

ശോഭനകാവ്യം
പദ്മപ്രസാദം

VI

ÄØÄÈÉÌÄ ÈÄÙÄÉÙÄÈÈ ÉÓ ÓÄáÄÈ Ì ÄÉÓ ÓÄØÄÒÈÄÄÈ Ì Ó
ÓÄÉÓÏÌ ÒÉÌ ÓÄÆÌ ÄÄÄÌ ÄÄÄ

Ä × áÄÆÄÈÈÓ Ì ÒÄÄÍÉÆÄÝÉÄ

ÓÄÉÓÏÌ ÒÉÌ ÞÉÄÄÄÍÉ

VI

BÄÈÈBÄÄÖÈÈ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ
სოხუმის ფილიალის გამომცემლობა
თბილისი – 2003

უაკ (UDC) 947.922+930.9(058)
ს187

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის ყოველწლიური სამეცნიერო გამოცემის (წელიწდეულის) „საისტორიო ძიებანი“-ს მე-ნ წიგნში შესულია სტატიები საქართველოს ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, ეთნოგრაფიის, ისტორიული მხარეთმცოდნეობის აქტუალურ პრობლემებზე.

წელიწდეული განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ἸΕΑΑΑΘΕ ὈΑἈΑΘΟΙ ὈΕ

ÆἸἸἈ ἸΑΒΑΘΘΕἸ

ὈΑἸἈἈΘΥΕΙ ἸΙ Ἰ ἈΑΕἈ: არჩილ ათანელიშვილი, თენგიზ ანთელავა, ჯამბულ ანჩაბაძე, მალხაზ ბარამიძე, ბორის კვარაცხელია, ავთანდილ კილასონია, თეიმურაზ მიბჩუანი, თეიმურაზ პაპასქირი, ოთარ ჟორდანი, ბეჟან ზორავა, ვანტანგ ჯაფარიძე, ღაზმირ ჯოჯუა.

© ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, 2003

ISSN 1512-2085

აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

ზურაბ პაპასქირი

მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის მ.წ. „მცდელობის“ შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში

აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგთა ანტიქართულ კამპანიაში საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე „მაკომპრომეტირებელ“ თემად დღემდე რჩება XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იანი წლების შუა ხანებში გატარებული პოლიტიკა კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში. კერძოდ, სეპარატიზტები საქართველოს ხელისუფლებას აბრალებენ აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის მცდელობას აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანისა და აფხაზური ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ლიკვიდაციის გზით. აფხაზური სეპარატიზმის ლიდერები ყოველმხრივ ცდილობენ მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით დამწერლობისა და განათლების სფეროში 30-იანი წლების მიწურულიდან გატარებული ნოვაციები ადგილობრივ ინიციატივად წარმოაჩინონ და ყოველივე ეს აფხაზი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ თბილისის ხრიკებად მონათლონ. არადა, საქმე სულ სხვაგვარადაა.

1936 წლის 5 დეკემბერს სრულიად საკავშირო საბჭოების VIII ყრილობაზე დამტკიცებულმა სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ, როგორც ცნობილია, გარკვეულწილად შეაჯამა ერთიანი საკავშირო სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში განვლილი გზა. ახალმა კონსტიტუციამ რიგი არსე-

ბითი ხასიათის ცვლილებები შეიტანა ქვეყნის ფედერაციულ მოწყობაში, კერძოდ, გაუქმდა ე.წ. „ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა“ და მისი სუბიექტები – საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები – უშუალოდ შევიდნენ სსრ კავშირის შემადგენლობაში. ამავე დროს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ გადადგა ნაბიჯები ე.წ. „მოკავშირე რესპუბლიკების“ სახელმწიფოებრივი სტატუსის ასამაღლებლად. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ამ მიმართულებით გატარებულ ღონისძიებათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სპეციალური გადაწყვეტილება ე.წ. „მცირე ერების“, ანუ ავტონომიური რესპუბლიკების ხალხების დამწერლობათა შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფოების დამწერლობის შრიფტზე გადაყვანის შესახებ.

უკანასკნელ პერიოდში ისტორიოგრაფიაში გაჩნდა ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია დამწერლობის რეფორმის გატარებასთან დაკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოებისა და საბჭოთა მთავრობის ოფიციალური დოკუმენტების საკმაოდ ამომწურავი ანალიზი. ამ მხრივ ჩვენ საგანგებოდ გვინდა გამოვყოთ ამჟამად მოსკოვში მოღვაწე სოხუმელი ისტორიკოსის, საბჭოთა პერიოდის აფხაზეთის ისტორიის ცნობილი მკვლევრის გრიგოლ ლეჟავას პუბლიკაციები, რომლებშიც სათანადო დოკუმენტური მასალის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია სსრ კავშირის მასშტაბით (და არა მხოლოდ აფხაზეთში) გატარებული „მცირე ერების“ დამწერლობათა რეფორმის არსი და გამოამჟღავნებელია აფხაზ სეპარატისტთა მხრიდან თბილისისთვის წაყენებული დემაგოგიური ბრალდებების სრული აბსურდულობა. გ. ლეჟავას ეს ნაშრომები განსაკუთრებით ფასეულია იმის გამო, რომ ისინი გამოქვეყნებულია რუსული ნაციონალისტურ-შოვინისტური განწყობილებებით ცნობილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიის ინსტიტუტის გრიფით (სწორედ ეს ნაშრომები დაედო საფუძველად სადოქტორო დისერტაციას, რომელიც გ. ლეჟავამ დაიცვა იმავე ინსტიტუტში). ეს გარემოება და აგრეთვე ისიც, რომ

ბ-ნი გ. ლეჟავა მაინცდამაინც არასოდეს გამოირჩეოდა „ანტიაფხაზური მიკერძობებით“ (ის ათეული წლების განმავლობაში ფაქტობრივად უპრობლემოდ მუშაობდა აფხაზური სეპარატიზმის „ბუნაგში“ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში და აფხაზეთისთვის სრულიად მისაღები პიროვნება იყო), მისეულ ანალიზს კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის.

მართლაც, დიდი დაფიქრება არ სჭირდება იმას, რომ ლათინურ ანბანზე გაწყობილი აფხაზური დამწერლობის ქართულ შრიფტზე გადაყვანა ნამდვილად არ იყო საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების კერძო ინიციატივა. ის ძთლიანად გამომდინარეობდა კრემლის საერთო პოლიტიკიდან, რომლის ერთადერთ მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა რსფსრ-ის ტერიტორიაზე მცხოვრები ათეულობით „მცირე ერების“ დამწერლობათა უნიფიცირება სლავურ-რუსული გრაფიკის საფუძველზე და ამ გზით მათი შემდგომი გარუსებისათვის ხელსაყრელი ფონის შექმნა. როგორც ცნობილია, 1922 წელს სსრ კავშირში (მათ შორის, რსფსრ-ში) მცხოვრები „მცირე ერებისა“ და ხალხების დამწერლობები გადაიყვანეს ლათინურ ანბანზე. ეს, რასაკვირველია, რამდენადმე აბრკოლებდა ამ ხალხების მოქცევას რუსული წიგნიერების არეალში, რაც ძირეულად ეწინააღმდეგებოდა მოსკოვის იმპერიულ ზრახვებს. 1936 წლისათვის, როდესაც ძირითადად დასრულდა საერთო საკავშირო სახელმწიფოს ფედერაციული მოწყობის პროცესი, კრემლმა საჭიროდ ჩათვალა 1922 წელს დაშვებული „ხარვეზის“ აღმოფხვრა და შეუდგა „მცირე ერების“ დამწერლობათა რეფორმის გატარებას. ასე (1936 წლიდან) დაიწყო და საბოლოოდ 1941 წელს დასრულდა ლათინურ შრიფტზე გაწყობილი დამწერლობების მასობრივი გადაყვანა სლავურ-რუსულ ანბანზე – ე.წ. „კირილიცაზე“.¹

უნდა აღინიშნოს, რომ გარეგნულად ეს არ გამოიყურებოდა

¹ თ. გვანცელაძე. აფხაზური დამწერლობის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიისათვის. – *ბედია* (ცოტნე დადიანის სახელობის სოხუმის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ლიტერატურულ-პუბლიცისტიკური ჟურნალი), №6-7. თბ., 2000, გვ. 83.

რუსიფიკატორული პოლიტიკის გამოვლინებად, რადგან ოფიციალურად „მცირე ერების“ დამწერლობა თითქოს გადაჰყავდათ შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ენის ალფაბეტზე, მაგრამ სინამდვილეში რუსულ „კირილიცაზე“ დამწერლობების გადაყვანა ხდებოდა ფაქტობრივად მთელი სსრ კავშირის მასშტაბით. ამ მხრივ, ერთადერთი გამონაკლისი იყო საქართველოს სსრ და არა იმიტომ, რომ სსრ კავშირის სათავეში მაშინ ქართველი იოსებ სტალინი (ჯუღაშვილი) იდგა. ამის მიზეზი სრულიად ბანალურია: იმ მოკავშირე რესპუბლიკებს (რსფსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, უზბეკეთის სსრ) შორის, რომელთა შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულები ფიგურირებდნენ, მხოლოდ საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენას – ქართულს გააჩნდა თავისი ორიგინალური (სხვათა შორის, მსოფლიოში არსებულ 14 ალფაბეტს შორის ერთ-ერთი) ანბანი (ცნობილია ასევე, რომ თვით უზბეკური და აზერბაიჯანული დამწერლობებიც გადაიყვანეს „კირილიცაზე“).

აი, რატომ გახდა საჭირო აფხაზური დამწერლობის ლათინური შრიფტის ქართულით შეცვლა. იმავე პერიოდში ანალოგიური რეფორმა გატარდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქშიც, სადაც ოსური დამწერლობა ასევე გადაიყვანეს ლათინურიდან ქართულ ალფაბეტზე. და ეს მაშინ, როდესაც რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტიურ რესპუბლიკაში შემავალ ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტიურ რესპუბლიკაში ოსური დამწერლობის ლათინური შრიფტი შეცვალეს „კირილიცით“, ე. ი. ერთი და იგივე ენას, ენას ერთი და იმავე ოსი ხალხისა, რომელიც სსრ კავშირის ფედერაციის ორი სხვადასხვა სუბიექტის (ოფიციალურად სხვადასხვა „სახელმწიფოს“) ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ერთდროულად ორი დამწერლობა აღმოაჩნდა: ერთი ქართულ ანბანზე გაწყობილი, ხოლო მეორე – „კირილიცაზე“. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

აფხაზური დამწერლობის რეფორმის მომზადება დაიწყო 1937 წელს, მას მერე, რაც საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის XV კონფერენციამ მიზანშეწონილად ჩათვალა აფხაზური დამწერლობის გადაყვანა ქართულ ან-

ბანზე. პარტიის ამ გადაწყვეტილებით „აღფროთოვანებულმა“ აფხაზური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა – ა. ხაშბამ, დ. ჩაგავამ და მ. ხაშბამ გაზეთ „Советская Абхазия“-ში (1937 წლის 17 ივნისი) გამოაქვეყნეს სტატია „Об абхазском алфавите“, რომელშიც დაასაბუთეს აფხაზური დამწერლობისათვის ლათინური ალფაბეტის უვარგისობა და მოიწონეს პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილება ლათინური შრიფტის ქართულით შეცვლის თაობაზე. კიდევ უფრო შორს წავიდა აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელი დიმიტრი გულია, რომელმაც „Советская Абхазия“-ს 11 ივლისის (1937 წ.) ნომერში გამოაქვეყნა წერილი ამავე თემაზე. მასში დ. გულია, მთლიანობაში იწონებდა რა ა. ხაშბას, დ. ჩაგავასა და მ. ხაშბას პუბლიკაციაში ჩამოყალიბებულ დებულებებს, განსაკუთრებით ხაზს უსვამდა იმას, რომ „это мероприятие, безусловно, будет способствовать укреплению и росту всей абхазской культуры, ибо грузинский алфавит является наиболее подходящим для более полного и совершенного обозначения звуков абхазского языка“.² მოგვიანებით, აფხაზური დამწერლობის რეფორმის საკითხს გამოეხმაურა კიდევ ერთი ცნობილი აფხაზი მოღვაწე მიხეილ დელბა, რომელმაც 1938 წლის 23 მარტს გაზეთ „Советская Абхазия“-ში გამოაქვეყნა წერილი სათაურით: „Об изучении нового абхазского алфавита“.

ამ პუბლიკაციაში ავტორი გამოხატავდა ღრმა რწმენას, რომ „Новый алфавит должен привести увязке алфавита с орфографией и полному соответствию с языком, с полиграфбазой, облегчит и закрепит усвоение алфавита трудящимися абхазами и будет способствовать снижению неграмотности и т.п.“³

უაღრესად საინტერესო მასალა აფხაზური დამწერლობის რეფორმის მომზადების შესახებ აღმოჩნდა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, აფხაზური ენის შესანიშნავი მცოდნის, აკად. სიმონ ჯანაშიას პირად არქივში. აღნიშნული მასალა გამოაქვეყნა ცნობილმა ფილოლოგმა, აფხაზური ენის მკვლევარმა, პროფ. თე-

² Г. П. Лежава. Между Грузией и Россией. М., 1997, გვ. 125.

³ Г. П. Лежава. Между Грузией и Россией, გვ. 126.

იმურაზ გვანცელაძემ. ეს არის 1937 წლის 4-5 დეკემბერს სოხუმში, ნიკო მარის სახელობის აფხაზეთის კულტურის ინსტიტუტში ჩატარებული თათბირის ოქმები. ამ მასალიდან ირკვევა, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის XV კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად, 4-5 დეკემბერს შედგა საშუალო თათბირი მეცნიერ-სპეციალისტებისა და აფხაზური კულტურის მოღვაწეთა მონაწილეობით. თათბირის 33 მონაწილიდან 8 ქართველი მეცნიერი იყო⁴, 4 – რუსი, ხოლო დანარჩენი 21 – აფხაზი. ქართველი მეცნიერებიდან თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ იმ დროისათვის უკვე აღიარებული ქართველოლოგები და კავკასიოლოგები: აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია (ყველა თბილისიდან), აგრეთვე სოხუმელი მეცნიერები: ნიკანდრო ბასილაია, სერგო აქირთავა (ისინი თ. გვანცელაძეს შეცდომით აფხაზები ჰგონია) და ბაგრატ ჯანაშია. თბილისიდან ჩასულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა პეტრე შარია – საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი. რუსი მეცნიერებიდან მონაწილეობდნენ: ა. გრენი, ი. ტიშჩენკო, ზ. მორინა, ა. ფადეევი. აფხაზებს წარმოადგენდა მთელი აფხაზური სამეცნიერო ელიტა: სემიონ ბასარია, ხუხუტი ბლაჟბა, ნიკოლოზ გერია, დიმიტრი გულია, გიორგი გულია, მიხეილ დელბა, ბაგრატ კაცია, ნოკოლოზ პატეიფა, გიორგი შაკირბაი, კონსტანტინე შაყრილი, პლატონ შაყრილი, გიორგი ძიძარია, კონსტანტინე ძიძარია, ანდრია ჭოჭუა, მუშნი ხაშბა, ნ. კოკოსკერია, ვ. მაანი, ვ. ხარაზია და სხვ.⁵

განსახილველად წარმოდგენილი იყო 4 პროექტი: 1) აკაკი შანიძის პროექტი, 2) სიმონ ჯანაშიას პროექტი, 3) დიმიტრი გულიას პროექტი და 4) დიმიტრი გულიას, ანდრია ჭოჭუას და მუშნი ხაშბას ერთობლივი პროექტი. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: დიმიტრი გულია (თავმჯდომარე), აკაკი შანიძე, სიმონ ჯანაშია, პლატონ შაყრილი,

⁴ და არა – 6, როგორც ამას წერს თ. გვანცელაძე. იხ.: თ. გვანცელაძე. აფხაზური დამწერლობის..., გვ. 87.

⁵ თ. გვანცელაძე. აფხაზური დამწერლობის..., გვ. 87.

მუშნი ხაშბა, ვ. ხარაზია, ვ. მანი. კომისიამ შეისწავლა წარმოდგენილი ვარიანტები (მე-4 ვარიანტის გამოკლებით) და მიიღო ერთიანი პროექტი. ეს პროექტი დამტკიცებდა 5 ლეკემბერს დასკვნით სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა გიორგი ძიძარია.

აფხაზმა მეცნიერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ანბანის რეფორმის ირგვლივ გამართულ დებატებში. უფრო მეტიც, სწორედ ისინი იყვნენ ტონის მიმცემნი თათბირზე. სხდომებზე სიტყვით გამოსული თათბირის 16 მონაწილიდან 11 აფხაზი იყო. მათ შორის ერთ-ერთი – მუშნი ხაშბა გამოვიდა ექვსჯერ, დიმიტრი გულია – ოთხჯერ და ა.შ.⁷ მიუხედავად იმისა, რომ თათბირის მონაწილე აფხაზ მოღვაწეთა შორის არცთუ ცოტანი იყვნენ ისინიც, რომელთაც ყოველთვის აღიზიანებდათ ქართულ-აფხაზური ერთობის ნებისმიერი გამოვლენა (მაგალითად, სემიონ ბასარია, კონსტანტინე და პლატონ შაყრილები და ა.შ.), არც ერთ მათგანს სიტყვა არ დასცდენია აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანის იდეის საწინააღმდეგოდ.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ შემთხვევაში მათი დუმილი იმ პერიოდში აფხაზეთში არსებული საერთო-პოლიტიკური კონიუნქტურით იყო გამოწვეული, მაგრამ ეს პრინციპულად არაფერს ცვლის. ფაქტი ფაქტად რჩება: აფხაზური დამწერლობის ლათინური ანბანიდან ქართულზე გადაყვანა (1938წ.) მოხდა იმდროინდელი აფხაზური ინტელექტუალური ელიტის ერთსულოვანი დასტურით.

აქ, ბუნებრივია, არ შეიძლება არ დაისვას კითხვა – რამდენად იყო შესაძლებელი ამგვარი რეფორმის გატარება უფრო ადრე, ნესტორ ლაკობას მმართველობის პერიოდში. ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ, საჭიროა მოკლედ გავეცნოთ პირველი აფხაზი ბოლშევიკის საქმიანობას XX საუკუნის 20-30-იანი წლების I ნახევარში.

ნესტორ ლაკობა, როგორც ცნობილია, ძველი რევოლუციონერი იყო. ის 19 წლის ასაკში შევიდა რუსეთის სოციალ-დე-

⁶ თ. გვანცელაძე. აფხაზური დამწერლობის..., გვ. 88-89.

⁷ თ. გვანცელაძე. აფხაზური დამწერლობის..., გვ. 88.

მოკრავი პარტიის (რსდმპ) რიგებში. ეს მოხდა ბათუმში 1912 წელს. 1917-1921 წლებში ნ. ლაკობა აქტიურად იბრძოდა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, თუმცა ეს მას ხელს არ უშლიდა, დროდადრო ეთანამშრომლა ხელისუფლებასთანაც, რომელსაც ამ პერიოდში აფხაზეთის სახალხო საბჭო განასახიერებდა. მაგალითად, ცნობილია, რომ ის, მენშევიკური მთავრობის დავალებით, ერთხანს ასრულებდა ოჩამჩირის კომისრის მოვალეობას⁸. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ნ. ლაკობა გახდა აფხაზეთის რევკომის წევრი, მაგრამ ამ დროს ის თავისი გავლენით აფხაზ ბოლშევიკებში მხოლოდ მეორე კაცი იყო, აფხაზ ბოლშევიკთა ლიდერად კი რევკომის თავმჯდომარე ეფრემ ეშბა ითვლებოდა. სწორედ ე. ეშბა იქნა არჩეული (სხვათა შორის, ნ. ლაკობას წინადადებით) აფხაზეთის ცაკის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის) – ადგილობრივი უმაღლესი ორგანოს თავმჯდომარედ, ხოლო ნ. ლაკობა დაინიშნა სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) თავმჯდომარედ. ეს ნ. ლაკობას ეშმაკური სვლა იყო. ისარგებლა რა იმით, რომ ქვეყნის ლიდერად ითვლებოდა ვ. ლენინი, რომელსაც ოფიციალურად არა ცაკის თავმჯდომარის, არამედ სახალხო კომისართა საბჭოს (მთავრობის) თავმჯდომარის პოსტი ეკავა, ნ. ლაკობამ მაშინვე ხელთ იგდო ინიციატივა და ფაქტობრივად აფხაზეთში პირველი პირი გახდა. მალე ე. ეშბამ საერთოდ დატოვა აფხაზეთი – ის გადაიყვანეს თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის (იდეოლოგიის დარგში) თანამდებობაზე, რის შემდეგაც ნ. ლაკობა აფხაზეთის სრულ ბატონ-პატრონად იქცა. ის არაფრად აგდებდა არც ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და არც ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელობას – საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, რომლის სათავეში იმ პერიოდში (20-იან წლებში), როგორც წესი, ქართველი ბოლშევიკები იდგნენ.

ნესტორ ლაკობას ამგვარმა ქედმაღლურმა დამოკიდებულებამ აფხაზეთის უმაღლესი პარტიული ორგანოს მიმართ გააღიზი-

⁸ **А. Ментешавили.** Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии. Тб., 1998, გვ. 61.

ანა საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობა, რომელმაც, როგორც ჩანს, ამის შესახებ (1929წ.) აცნობა მოსკოვს. მაგრამ სკკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, პირადად ი. სტალინმა ფაქტობრივად დაიცვა ნ. ლაკობა, თუმცა ამავე დროს არც მის შეცდომებზე დაუხუჭავს თვალი. ი. სტალინის თქმით, აფხაზეთის საოლქო კომიტეტი არ ითვალისწინებდა „специфических особенностей абхазского уклада, сбиваясь иногда на политику механического перенесения русских образцов социалистического строительства на абхазскую почву... Ошибка тов. Лакоба, — აღნიშნავდა სსკპ ცკ-ს გენერალური მდივანი, — состоит в том, что он а) не смотря на свой старый большевистский опыт, сбивается иногда в своей работе на политику опоры на все слои абхазского населения (это не большевистская политика) и б) находит возможным иногда не подчиняться решения обкома (это тоже не большевистская политика)... Я думаю, — ასკვნიდა ი. სტალინი, — что т. Лакоба может и должен освободиться от своих ошибок. Я думаю, что обком должен помочь т. Лакобе в этом деле, а тов. Лакоба должен признать без оговорок руководящую роль обкома во всех делах абхазской жизни“.⁹

მაგრამ ნ. ლაკობა ი. სტალინის ამ შენიშვნის შემდეგაც აგრძელებდა პარტიის საოლქო კომიტეტის იგნორირებას. უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც ნესტორ ლაკობა 1930 წელს გახდა აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) თავმჯდომარე და ერთდროულად მოექცა აფხაზეთის უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში (სახალხო კომისართა საბჭო გაუქმდა და მთავრობის ფუნქცია ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრა), ის პარტიის საოლქო კომიტეტს საერთოდ არაფრად აგდებდა. ცნობილია, რომ თვით პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომები ტარდებოდა არა საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის კაბინეტში, არამედ ნ. ლაკობას აპარტამენტებში. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი პარტიული ინსტანციის ამ დამამცირებელი პრაქტიკის წინააღმდეგ პირველმა გაილაშქრა ალექსი აგრბამ, რომელიც ლავ-

⁹ С. Лакоба. Очерки политической истории Абхазии. Сухуми, 1990, გვ. 112.

რენტი ბერიას რეკომენდაციით 1936 წლის იანვარში აირჩიეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად. ა. აგრამ აიძულა ნ. ლაკობა, გამოცხადებულიყო ბიუროს სხდომებზე საოლქო კომიტეტში, თუმცა უნდა ითქვას, რომ ნ. ლაკობა სისტემატიურად აგვიანებდა ამ სხდომებზე მისვლას¹⁰.

ა. აგრბა ამაზეც არ შეჩერდა და საოლქო კომიტეტის ბიუროს სპეციალური გადაწყვეტილებით აუკრძალა ბიუროს წევრებს სოხუმიდან გასვლა ბიუროსთან (ანუ პირველ მდივანთან) შეთანხმების გარეშე. ამ გადაწყვეტილებამ ნ. ლაკობა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა 1936 წლის ზაფხულში, როდესაც ის ვერ დახვდა მიუსერაში დასასვენებლად ჩამოსულ ი. სტალინს. კითხვაზე, თუ რატომ არ დახვდა მას ნ. ლაკობა, აფხაზეთის ლიდერმა ითხოვა ი. სტალინისთვის გადაეცათ, რომ ის „по-прежнему рад и счастлив встретить его, но... лишен этой возможности, так как будучи коммунистом дисциплинарным... не может нарушить постановление бюро обкома и выехать из Сухуми“.¹¹

ი. სტალინმა გულთან ახლოს მიიტანა თავისი უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის ეს „ჩივილი“ და უბრძანა ლ. ბერიას დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა დაკავებული თანამდებობიდან აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ჭირვეული მდივანი. მართლაც, ა. აგრბა გაიწვიეს თბილისში, თუმცა, მოგვიანებით, 1937 წლის დამდეგს ის კვლავ დააბრუნეს აფხაზეთში ამჯერად უკვე თვით ნ. ლაკობას თანამდებობაზე – აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარედ¹².

დღეს უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ნ. ლაკობა დიდხანს რჩებოდა ი. სტალინის ფავორიტად. როგორც ირკვევა, ი. სტალინმა 1935 წელს აფხაზეთის ლიდერს მოსკოვში გადასვლა და იქ მაღალი პოსტის დაკავება შესთავაზა. არის მოსაზრება (ს. ლაკობა), რომ მას შინაგან საქმეთა სახალხო

¹⁰ **С. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии, გვ. 131.

¹¹ **С. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии, გვ. 131-132.

¹² **С. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии, გვ. 132.

კომისარი გ. იაგოლა უნდა შეეცვალა, მაგრამ ნ. ლაკობამ თითქოს „თავაზიანი“ უარი განაცხადა ამ შემოთავაზებაზე, რითაც, როგორც ჩანს, გაანაწიყენა ი. სტალინი. ნ. ლაკობას უარი, ყოფილიყო უფრო ახლოს ბელადთან, შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი რამით – ის ბოლომდე არ ენდობოდა ი. სტალინს. რაც შეეხება აფხაზი ისტორიკოსის ს. ლაკობას მცდელობას, ეს უარი აიხსნას იმით, თითქოს აფხაზი ბოლშევიკების ნაცად წინამძღოლს ჰქონდა ერთი სერიოზული „ნაკლი“ – „он не был палачом“,¹³ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. მას მერე, რაც ნათელი მოეფინა 20-30-იანი წლების წითელი ტერორის ხასიათსა და მასშტაბებს, არა გვეონია ს. ლაკობა იმდენად გულუბრყვილო იყოს, რომ სერიოზულად ილაპარაკოს როგორც საკავშირო, ისე ადგილობრივი მასშტაბის პარტიულ ხელმძღვანელთა ჰუმანურობასა და კაცთმოყვარეობაზე. ბოლოს და ბოლოს, დროა, ყველამ შეიგნოს, რომ ეს იყო სისხლსმოწყურებული ფანატიკოსების ეპოქა, რომლებიც არაფერზე უკან არ იხევდნენ „კაცობრიობის საყოველთაო კეთილდღეობის“ მისაღწევად. რასაკვირველია, ასეთ ვითარებაში ვერც ნ. ლაკობა და ვერც სხვა ვინმე ვერ იქნებოდნენ ანგელოზები, რასაც ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ თავიანთ გზაზე ისინი არ ინდობდნენ და უმოწყალოდ ხოცავდნენ ყოფილ თანამებრძოლებს.

ამავე დროს, მართლაც არ არის გამორიცხული (როგორც ამას ფიქრობს ს. ლაკობა), რომ არა მარტო საქართველოს პარტიულ ლიდერს, ლავრენტი ბერიას, არამედ თვით ი. სტალინსაც უკვე აღიზიანებდა ნ. ლაკობას მცდელობები, როგორმე მოეპოვებინა მაქსიმალური სუვერენიტეტი თბილისისგან და საერთოდ გამოეყვანა აფხაზეთის ასსრ საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან. ამასთან დაკავშირებით უთუოდ საყურადღებოა ს. ლაკობას მიერ მოყვანილი ცალკეული ფაქტები, რომლებიც რამდენადმე ადასტურებენ იმას, რომ 1935-1936 წლებში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების წინ (რომელმაც, როგორც ცნობილია, შეცვალა საქართველოს სსრ-ის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსი) ნ. ლაკობა ცდილობდა, აფხაზეთის ასსრ რუ-

¹³ С. Лакоба. Очерки..., გვ. 122. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

სეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტური რესპუბლიკის შემაღვენლობაში შეყვანა¹⁴.

ასევე სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს ს. ლაკობა, როდესაც აღნიშნავს, რომ ნესტორ ლაკობას მმართველობის პერიოდში (იგულისხმება XX საუკუნის 30-იანი წლების პირველი ნახევარი) „Абхазская автономная республика, в силу его (ე. ი. ნ. ლაკობას – **ზ.პ.**) авторитета и близости к вождю, была фактически на положении союзной республики“.¹⁵

ყოველივე ზემოაღნიშნული, აგრეთვე ზოგიერთი სხვა ფაქტი პირველი აფხაზი ბოლშევიკის ცხოვრებიდან, რომელთა ფართო რეკლამირებას გაურბიან ჩვენი ოპონენტები, ნათლად ადასტურებენ, რომ ნესტორ ლაკობამ აფხაზეთში ნამდვილად შექმნა ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმი, რომლის საბოლოო მიზანი იყო აფხაზეთის დანარჩენი საქართველოსგან მოწყვეტა და მისი რსფსრ-სათვის მიერთება. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, აშკარად ჩანს თუნდაც ნ. ლაკობასა და მისი გარემოცვის პოლიტიკიდან განათლების და მეცნიერების სფეროში. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს XXს. 20-იან წლებში აფხაზეთში შექმნილმა სამეცნიერო პროლექციამ. ასე, მაგალითად, აფხაზეთის სსრ-ის განათლების სახალხო კომისარიატის დავალებით, თავისი სეპარატისტული შეხედულებებით ცნობილმა აფხაზმა მოღვაწემ სემიონ ბასარიამ დაწერა აფხაზეთის ისტორიისა და გეოგრაფიის ერთგვარი სახელმძღვანელო: „Абхазия в географическом, этнографическом и экономическом отношении“, რომელიც გამოქვეყნდა სოხუმში 1923 წელს. ამ წიგნში აფხაზეთი წარმოდგენილი იყო როგორც დანარჩენი საქართველოსაგან მთლიანად მოწყვეტილი ქვეყანა, რომელსაც ჰქონდა თავისი „ნაციონალური“ ორათასწლოვანი ისტორია. ამავე დროს, აფხაზეთი ცხადდებოდა მხოლოდ აფხაზების სამშობლოდ.

უფრო შორს მიდიოდა არანაკლებ ცნობილი სეპარატისტი მოღვაწე სემიონ აშხაცავა, რომელმაც 1925 წელს გამოაქვეყნა ნარკვევი – „Пути развития абхазской истории“. მასში ს. აშ-

¹⁴ С. Лакоба. Очерки..., გვ. 123.

¹⁵ С. Лакоба. Очерки..., გვ. 118. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

ხაცავამ აფხაზეთი არა მარტო დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ გაერთიანებად (უძველესი დროიდან) გამოაცხადა თავისი საკუთარი (დანარჩენი საქართველოსაგან მოწყვეტილი) ისტორიით, არამედ ქართველებს საერთოდ წაართვა თავისი ისტორია და ის აფხაზი ხალხის კუთვნილებად გაასაღა. აფხაზ ხალხს მიაწერა საერთო ქართული ქრისტიანული ცივილიზაციის და თვით ქართული დამწერლობის შექმნა, რომელიც შემდგომ თითქოს მითვისეს ქართველებმა.

ამავე პერიოდში, სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მოღვაწეებს მხარში ამოუდგნენ მათი რუსი „თანამოძმენი“. პირველ რიგში, ეს იყო კ. კუდრიავეცი, რომელმაც 1926 წელს სოხუმში გამოსცა: „Сборник материалов по истории Абхазии“. მასში აფხაზეთის ისტორია ასევე გადმოცემული იყო საქართველოს ისტორიისაგან მოწყვეტილ.

ყოველივე ეს მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნისკენ – შეექმნათ ერთგვარი ისტორიოგრაფიული საფუძველი, რომელიც გაამართლებდა დანარჩენი საქართველოსაგან დამოუკიდებელი აფხაზური ნაციონალური სახელმწიფოს არსებობას. სწორედ ამგვარი „ისტორიოგრაფიული დასაბუთებით“ შეიარაღებულმა ნესტორ ლაკობამ და მისმა თანამზრახველებმა განახორციელეს „კონსტიტუციური გადატრიალება“ აფხაზეთში 1925 წელს. მაგრამ აფხაზეთის ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას სულაც არ აკმაყოფილებდა ისტორიოგრაფიულ ასპარეზზე მოპოვებული „მიღწევები“ და ის პარალელურად თანმიმდევრულ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა სხვა მიმართულებითაც. ცხადია, ასეთი გამოკვეთილი ნაციონალისტური კონიუნქტურის პირობებში წარმოუდგენელი იყო აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანა¹⁶.

¹⁶ მიუხედავად იმისა, რომ აფხაზ ბოლშევიკთა აღიარებული თავკაცი ყოველნაირად ცდილობდა და საკმაოდ წარმატებითაც ახერხებდა კიდევ ავტონომიურ რესპუბლიკაში ანტიქართული კონიუნქტურის შექმნასა და აფხაზეთის აფხაზების „სახელმწიფოდ“ გადაქცევას, ვერ ვიტყვით, რომ მას შინაგანად მაინცდამაინც გულთან ახლოს მიჰქონდა თავის თანამემამულეთა ეროვნული სატკივარი და განსაკუთრებულ ზრუნვას ამჟღავნებდა აფხაზური ენის, ლიტერატურისა და ისტორიის მიმართ. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ნ. ლაკობას ნიჰილისტური და რამდენადმე ცინიკური დამოკი-

და მაინც, რამდენად საფუძვლიანია თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის მესვეურთა მტკიცება იმის შესახებ, რომ აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანა თითქოს გამიზნული იყო აფხაზთა ეთნოიდენტურობის მოსასპობად. მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს არის სეპარატისტების კიდევ ერთი მონაჭორი და წინასწარ განზრახული სიცრუე, რომელიც მთლიანად მიმართულია აფხაზურ მოსახლეობაში ანტიქართული განწყობილებების გასაღვივებლად. ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნებოდა, გაგვეხსენებინა, რომ თვით რუსეთის კავკასიის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირებიც კი, რომლებიც, თავის დროზე, უშუალოდ იღებდნენ მონაწილეობას აფხაზური ანბანის შექმნაში, იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ ქართული ანბანის უპირატესობა სლავურ-რუსულ „კირილიცასთან“ შედარებით. ამის დასტურია თუნდაც ცნობილი კავკასიოლოგის, ენათმეცნიერისა და ეთნოგრაფის, გენერალ პეტრე უსლარის მიერ მოცემული ქართული ანბანის შეფასება. ის ხაზ-

დებულება აფხაზური ენისადმი. აი, რას ამბობდა ის აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობაზე (1931წ. 6 თებერვალი) გამოსვლისას: „Институт абхазского языка и литературы. Когда он организовывался, то я говорил, это слишком громкое название и боюсь, что дело останется только в названии. Какого черта нужно заниматься исследованием абхазского языка, когда надо передать на этом языке то, что он не может дать, от него не возьмешь больше того, что он в состоянии дать. Если в абхазском языке нет ГПУ, то пиши прямо ГПУ, но когда начинаешь придумывать для абхазского языка всякую чепуху, начинаешь переводить непере译имое – спрашивается: кому это надо? Начинаются профессорские переводы абхазских пословиц, поговорок на русский язык – получается искажение смысла, абсурд, глупость. Всё это называется „научной“ работой или научно-исследовательским делом. Абхазский язык сам по себе прост, – он не терпит профессорских упражнений. Неужели этого до сих пор не поймут „научные“ работники абхазского языка. Или ещё так. Всё время занимаются тем, что хотят доказать, что абхазская литература существовала ещё до Адама. Не было её в истории и поставьте точку...“ (იხ.: **Д. Гамахария, Б. Гогия.** Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, გვ. 503) როგორც ვხედავთ, აფხაზეთის მაშინდელ კომუნისტურ ხელმძღვანელობას სულაც არ აწუხებდა აფხაზური ლიტერატურული ენის ბედობალი და მეცნიერ-სპეციალისტთა მონდომებას, დაეხვეწათ მშობლიური ენა, დაცინვით სრულიად უსაგნო „профессорские упражнения“-ს, აბსურდსა და სისუღელეს უწოდებდა.

გასმით აღნიშნავდა, რომ ქართული ანბანი იყო ყველაზე დახვეწილი „из всех существующих алфавитов“ და რომ მხოლოდ ეს ანბანი გამოდგება საფუძვლად „**для общей азбуки всех кавказских языков**, чуждых до сих пор грамотности“. მაგრამ მაშინ ამ იდეის რეალიზაციისაგან რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ თავი შეიკავა მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებებით, რასაც აღიარებდა კიდეც პ. უსლარი: „Если мы позаимствуем у грузин не только систему азбуки, но и начертания букв, – წერდა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მაღალჩინოსანი მონხელე, – то совершенно произвольно создадим затруднения, которые тем будут ошутительнее, чем более русская грамотность распространится по Кавказу“. არადა, „Туземная грамота, პ. უსლარის აზრით, მიმართული უნდა ყოფილიყო მხოლოდ იქითკენ, რომ облегчить для них изучение русского языка“.¹⁷

ამ მიმართულებით კიდეც უფრო შორს მიდიოდა მეორე ცნობილი რუსი მოღვაწე ვეგენი ვეიდენბაუმი, რომელიც ღიად აცხადებდა, რომ აფხაზური დამწერლობის შექმნის მთავარი მიზანი იყო ქართული ენისა და დამწერლობის შევიწროება: „Абхазский язык не имеющий письменности и литературы, – აღნიშნავდა ე. ვეიდენბაუმი, – обречен, конечно, на исчезновение в более или менее близком будущем. Вопрос в том: какой язык заменит его?.. Очевидно, роль проводника в население культурных идей и понятия должен был бы играть не грузинский, а русский язык... **поэтому учреждение абхазской письменности должно быть не целью само по себе, а только средством к ослаблению, путем церкви и школы, потребности в грузинском языке и постепенной замене его государственным.** Упустив это из виду мы рискуем создать, сверх грузинской и прочих автономии, еще и автономию абхазскую“.¹⁸

ერთი სიტყვით, ღიად დაფიქრება არაა საჭირო იმის მისახვედრად, თუ რომელი ანბანი უფრო შესაფერისი იქნებოდა მეცნიერული თვალსაზრისით აფხაზური დამწერლობისათვის და რო-

¹⁷ Г. Жоржолани. Исторические и политические корни конфликта в Абхазии/Грузия. Тб., 2000, გვ. 36.

¹⁸ Г. Жоржолани. Исторические и политические корни..., გვ. 36.

მელი ანბანის შემოტანა ისახავდა მიზნად აფხაზი ხალხის „ОБЪЕДИЧЛИВАНИЕ“-ს. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ამ სიმართლეს დღემდე საგულდაგულოდ უძალავენ თავიანთ თანამემამულეებს თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიები.

ანბანთან ერთად თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის მესვეურთა იდეოლოგიურ არსენალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ყბადაღებულ თემას ე.წ. „აფხაზური ეროვნული სკოლების“ მოშლისა და მათი ქართულ სკოლებად გადაკეთების შესახებ. სეპარატიზმთა მტკიცებით, ეს რეფორმა მიზნად ისახავდა აფხაზთა ისტორიული თვითმყოფადობისა და ეთნიკური ინდივიდუალობის ამოძირკვას და მათ გაქართველებას. ამ შემთხვევაში იგულისხმება აფხაზეთის ასსრ-ის და საქართველოს სსრ-ის უმაღლესი პარტიული ინსტანციების მიერ 1945 წლის 13 მარტსა და 23 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებები: „О мероприятиях по улучшению качества учебно-воспитательной работы в школах Абхазской АССР“.¹⁹

მართლაც, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველზე 1945-1946 სასწავლო წლიდან ე.წ. „აფხაზური სკოლებში“ სწავლება გადაიყვანეს ქართულ ენაზე. უნდა აღინიშნოს, რომ რუსული სკოლებისთვის ხელი არავის უხლია და ისინი ჩვეულებრივ განაგრძობდნენ ფუნქციონირებას. რეფორმა შეეხო მხოლოდ ე.წ. „აფხაზურ სკოლებს“. ამასთან, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს სკოლები აფხაზური მხოლოდ პირობით იყო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, სწავლება აფხაზურ ენაზე მხოლოდ დაწყებით (I-IV) კლასებში იყო, ხოლო V-X კლასებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. ანუ ეს სკოლები ფაქტობრივად რუსული სკოლები იყო. შედეგად, აფხაზთა მთელ თაობებს არ ჰქონდა საშუალება შეესწავლათ რესპუბლიკის – საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენა. ძნელი მისახვედრი არაა, რომ ეს იყო განათლების სფეროში ცარიზმის იმპერიული პოლიტიკის გაგრძელება. ამ პოლიტიკის უმთავრესი მიზანი კი მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აფხაზური ისტორიულ-კულტურული ერთობის მოშლა და აფხაზთა გარუსება იყო.

¹⁹ С. Лакоба. Очерки политической истории Абхазии..., გვ. 93.

ამავე დროს, მთელი კატეგორიულობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ 1945 წელს აფხაზეთში გატარებული სასკოლო რეფორმა სულაც არ იყო საქართველოს სსრ-ის ცენტრალური ხელისუფლების თვითშემოქმედება, როგორც ამას გაჰკვივიან სეპარატისტთა იდეოლოგები. ამჯერადაც საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთს ასსრ-ის პარტიული სტრუქტურები უბრალოდ ასრულებდნენ კრემლის მითითებებს. უფრო მეტიც, ირკვევა, რომ თბილისი და სოხუმი კარგა ხნის მანძილზე რამდენადმე ეურჩებოდნენ მოსკოვს და თავს იკავებდნენ სასკოლო რეფორმის გატარებისაგან. ამ უკანასკნელ ხანს, ჩვენ მიერ ნახსენებმა სოხუმელმა ისტორიკოსმა გრიგოლ ლეჟავამ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკებისა) ცენტრალური კომიტეტის ზოგიერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომლიდანაც სრულიად ნათლად ჩანს, თუ საიდან მოდიოდა ე.წ. „სასკოლო რეფორმის“ გატარების ინიციატივა.

ასე, ჯერ კიდევ 1937-1938 წლებში სკკპ(ბ) ცკ-მა მიიღო შემდეგი დადგენილებები: 1) „О ликвидации и преобразовании искусственно созданных районов и сельсоветов и связанной с этим реорганизацией национальных школ“ და 2) „Об обязательном изучении русского языка в школах национальных республик и областей“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგბიუროს 1938 წლის 24 იანვრის დადგენილება (მოწონებული სკკპ ცკ პოლიტბიუროს მიერ ჯერ კიდევ 1937 წლის 17 დეკემბერს), რომელშიც მოცემული იყო რეკომენდაცია: ა) „Реорганизовать особые национальные школы (немецкие, финские, польские, латышские, эстонские, греческие, ижорские и т.д.) в советские (იგულისხმება **რუსული** — **ზ.პ.**) школы обычного типа, а также **ликвидировать существующие при обычных советских школах особые национальные отделения**; б) ...Необходимо особые национальные школы реорганизовать путем перевода их на учебные и программы советских школ обычного типа, **с преподаванием или на языке соответствующей республики или на русском**; г) Наркомам просвещения союзных республик лично утвердить сроки, а также порядок реорганизации каж-

дой особой национальной школы, закончив всю работу к началу учебного года“ (ანუ 1938 წლის 1 აგვისტომდე – **ზ.პ.**)²⁰.

როგორც ვხედავთ, ქვეყნის უმაღლესი პარტიული ორგანოს დადგენილებაში ერთნიშნად იყო მითითებული, რომ მოკავშირე რესპუბლიკების (მათ შორის, ბუნებრივია, საქართველოს) განათლების სახალხო კომისრებს (ანუ მინისტრებს – **ზ.პ.**) უნდა დაესრულებინათ ეროვნული სკოლების რეორგანიზაცია 1938-1939 სასწავლო წლის დაწყებისათვის. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავი შეიკავა სკკპ(ბ) ცკ-ის ამ დავალების შესრულებისაგან. იმ პერიოდში აფხაზეთში არსებული ვითარების გასარკვევად, გლეჟავას მოჰყავს უადრესად მნიშვნელოვანი მასალა, საიდანაც ირკვევა, რომ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს 1938 წელს გადაწყვეტილი ჰქონია სკკპ(ბ) ცკ-ის ზემოთ ნახსენები დადგენილების ცხოვრებაში გატარება, მაგრამ ამის წინააღმდეგ კატეგორიულად გამოსულა აფხაზეთის ასსრ-ის განათლების მაშინდელი სახალხო კომისარი, ქართველი იასონ დარსანია, რომელიც შეწინააღმდეგებია საოლქო კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს (ასევე ქართველს) კირილე ბეჭვაიას. მას განუცხადებია, რომ აფხაზურ სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანა გამოიწვევდა აფხაზური მოსახლეობის უკმაყოფილებას. თავისი პოზიცია აფხაზეთის განათლების უწყების ხელმძღვანელს მტკიცედ დაუცავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, პირველ მდივანთან კანდიდ ჩარკვიანთან შეხვედრისას და დაურწმუნებია ეს უკანასკნელი, არ გაეტარებინათ სასკოლო რეფორმა აფხაზეთში. შედეგად, კ. ჩარკვიანს უბრძანებია აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნისათვის, საერთოდ არ წამოეჭრა განსახილველად აღნიშნული საკითხი²¹.

ამრიგად, 1938 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჩერა სკკპ(ბ) ცკ-ის დადგენილების რეალიზაცია და არ გაატარა სასკოლო რეფორმა აფხაზეთში. მაგ-

²⁰ **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией..., გვ. 121-122. ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

²¹ **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией..., გვ. 127.

რამ ეს პრობლემა საბოლოოდ მაინც არ მოხსნილა. რამდენიმე წლის შემდეგ ხელისუფლებამ კვლავ დააყენა დღის წესრიგში აფხაზეთში სასკოლო რეფორმის გატარების საკითხი.

1945წ. 9 იანვარს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა მოისმინა საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის აკაკი მგელაძის მოხსენება: „О мероприятиях по улучшению качества учебно-воспитательной работы в школах Абхазии“ და მიიღო გადაწყვეტილება სპეციალური კომისიის შექმნის შესახებ. კომისიის თავმჯდომარეობა დაევალა ცნობილ აფხაზ პარტიულ მუშაკს და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ დელბას. კომისიაში შეიყვანეს: ს. სიგუა (აფხაზეთის ასსრ-ის განათლების სახალხო კომისარი), ივანე ტუსკაძე (საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში), შალვა ხუბუტია (საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე), ანდრია ჭოჭუა (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი). კომისიამ შეასრულა სათანადო მუშაობა, რომლის შედეგები წარმოადგინა მოხსენებით ბარათში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის სახელზე. 1945წ. 13 მარტს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა განიხილა სპეციალური კომისიის მიერ წარმოდგენილი მასალა და მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთში სასკოლო რეფორმის გატარების შესახებ. 1945წ. 13 ივნისს შედგა უკვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელზედაც აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სპეციალური კომისიის წევრების უშუალო მონაწილეობით განიხილეს აფხაზეთში სასკოლო რეფორმის გატარების საკითხი და დაამტკიცეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის 1945 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება²².

აფხაზეთში სასკოლო რეფორმის გატარების საკითხზე მსჯელობისას არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს, რომ იმდროინდელი აფხაზური ინტელიგენცია, პირველ რიგში, ცნობილი აფხაზი პედაგოგები, სრულიადაც არ იდგნენ განზე აფხაზეთის გა-

²² Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 146-147.

ნათლების სფეროში მიმდინარე გარდაქმნებისაგან. უფრო მეტიც, აფხაზურ სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანის ინიციატივით სწორედ აფხაზი პედაგოგები გამოვიდნენ. ესენი იყვნენ აფხაზური პედაგოგიური კორპუსის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მთელ აფხაზეთში ცნობილი პიროვნებები: ბაგრატ კაცია (მოქვის აფხაზური სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ-ის დამსახურებული მასწავლებელი), ნიკოლოზ გერია (აფხაზეთის ასსრ-ის განათლების სახალხო კომისრის მოადგილე), ა. მარლანია (სახალხო განათლების ოჩამჩირის რაიონული განყოფილების გამგე), ა. შვანბა (რაიონული პედაგოგიური კაბინეტის გამგე), მ. ბუავა (ბედიის I არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი)²³. მათ გარდა, როგორც უკვე აღინიშნა, სასკოლო რეფორმის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მაშინდელი აფხაზური პარტიულ-პოლიტიკური და სამეცნიერო ელიტის ცნობილმა წარმომადგენლებმა: მიხეილ დელბამ (მოგვიანებით აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე) და ანდრია ჭოჭუამ (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი).

რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ აფხაზ მოღვაწეთა ეს „ენტუზიაზმი“ არ იყო „შეკვეთილი“ ზემოდან და რომ მათ „სულითა და გულით“ სურდათ აფხაზურ სკოლებში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, მაშინ, 1945 წელს, საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი პარტიული ინსტანციების წინააღმდეგ ოფიციალურად არავინ გამოსულა.

აფხაზეთში გატარებული სასკოლო რეფორმის წინააღმდეგ აფხაზმა მოღვაწეებმა პირველად ხმა მხოლოდ 1947 წლის თებერვალში აღიმადღეს, როდესაც აკად. ნიკო მარის სახელობის აფხაზეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამმა ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელმა – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატებმა კონსტანტინე შაყრილმა და ბაგრატ შინკუბამ, აგრეთვე ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი ძიძარიამ – საპროტესტო წერილით მიმართა სკკპ(ბ) ცენტრალურ კომი-

²³ Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 144-145.

ტეტს. წერილი-საჩივარი დაწერილი იყო გიორგი ძიძარას ხელით. ის გაიგზავნა სკკპ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში, ცკ-ის მდივნის ალექსანდრე კუზნეცოვის სახელზე. გ. ლეჟავა, რომელმაც გულდასმით შეისწავლა სკკპ(ბ) ცკ-ში გაგზავნილი საპროტესტო წერილთან დაკავშირებული ფაქტები, სვამს სავსებით ლოგიკურ კითხვას: რატომ იქნა შერჩეული მაინცდამაინც ა. კუზნეცოვი, რომელიც იმჟამად ცენტრალურ კომიტეტში კურიერებად ადმინისტრაციულ განყოფილებას და კადრების სამმართველოს, და არა ანდრეი ჟდანოვი, რომელიც ცკ-ის მდივანი იყო სწორედ იდეოლოგიურ სფეროში. სრულიად აშკარაა, და ეს ძალზე კარგად აჩვენა კიდევ გ. ლეჟავამ, რომ აფხაზ მეცნიერთა საპროტესტო წერილის ადრესატი შეირჩა არა შემთხვევით და რომ ა. კუზნეცოვის აპარატში იყვნენ ადამიანები, რომლებმაც, საერთოდ, შეიძლება უბიძგეს აფხაზ მეცნიერებს ამგვარი ნაბიჯის გადადგმისაკენ²⁴.

ის, რომ კონსტანტინე შაყრილსა და მის გუნდს მოსკოვში ნამდვილად ჰყავდათ მფარველები, არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მათ რიცხვში უნდა ყოფილიყო ცნობილი მეცნიერი-ლინგვისტი, აკად. ნიკო მარის მოწაფე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, სსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. გ. სერდიუჩენკო, რომელმაც ჯერ კიდევ მანამდე, სანამ დაიწერებოდა აფხაზ მეცნიერთა წერილი-საჩივარი, შეთითხნა ანალოგიური ხასიათის პასკვილი და გაგზავნა ის სკკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის აპარატში. როგორც ირკვევა, პროფ. გ. სერდიუჩენკო ყოფილა კ. შაყრილის მეცნიერ-ხელმძღვანელი და მას მეგობრული ურთიერთობები ჰქონია თავის მოწაფესთან²⁵.

ამ წერილებში მკაცრად იყო გაკრიტიკებული საქართველოსა და აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელობის პოლიტიკა ენობრივ სფეროში. გ. სერდიუჩენკოს მოხსენებით ბარათში გარკვეული ადგილი ჰქონდა დათმობილი აგრეთვე ენობრივი რეფორმის გატარებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში²⁶. სკკპ(ბ)

²⁴ **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией..., გვ. 140-141.

²⁵ **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией..., გვ. 131.

²⁶ **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией..., გვ. 138.

ცენტრალურმა კომიტეტმა კ. შაყრილისა და მისი თანამოაზრეების საჩივარი გადმოაგზავნა თბილისში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, რომელმაც საჩივარში აღძრული საკითხების შესწავლა დაავალა ცენტრალური კომიტეტის მდივანს იდეოლოგიის დარგში, ცნობილ მეცნიერ-ფილოსოფოსს, პროფ. პეტრე შარიას. ეს უკანასკნელი საგანგებოდ ჩავიდა აფხაზეთში და იქ ადგილზე შეისწავლა საქმის რეალური ვითარება. პ. შარიამ თავისი საქმიანობის შედეგები შეაჯამა მოხსენებით ბარათში, რომელიც აახლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კანდიდ ჩარკვიანს. მოხსენებით ბარათში უსაფუძვლოდ იყო მიჩნეული აფხაზ მეცნიერთა მიერ საქართველოს კომპარტიის ცკ-ისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტისადმი წაყენებული ბრალდებები²⁷.

1947 წლის 2 აგვისტოს საჩივრის ავტორები: კ. შაყრილი, ბ. შინკუბა და გ. ძიძარია დაიბარეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში, სადაც მათ პეტრე შარიამ შესთავაზა უარი ეთქვათ წერილზე. შედეგად „გამოცხვა“ ყბადაღებული „ალიარება“, რომელშიც ავტორები ინანიებდნენ ჩადენილ საქციელს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ – 1991 წელს, წერილი-საჩივრის ერთ-ერთმა ავტორმა და სულისჩამდგმელმა კ. შაყრილმა უარყო მისი მხრიდან „მონანიება-ალიარების“ ხელისმომწერა. კ. შაყრილის მტკიცებით, ბ. შინკუბასა და გ. ძიძარიასგან განსხვავებით, მისი ხელმომწერა ყალბი იყო. იმავე კ. შაყრილის განცხადებით, ბაგრატ შინკუბამ მასთან სატელეფონო საუბარში თითქოს დაადასტურა, რომ „ალიარება-მონანიება“ დაწერილი იყო მის (ე. ი. შინკუბას – **ზ.პ.**) მიერ²⁸. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ „ალიარება-მონანიებამ“ წერილის ავტორები, სულ ცოტა, პარტიულ სასჯელს გადაარჩინა.

მაგრამ ეს ისტორია ამით არ დასრულებულა. მოგვიანებით, 1955 წელს, ბ. შინკუბამ და გ. ძიძარიამ წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნიკიტა ხრუშჩოვსა

²⁷ **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией..., გვ. 144-150.

²⁸ **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией..., გვ. 151.

და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ალექსანდრე მირცხულავას, რომელშიც ისინი ერთგვარად ინანიებდნენ იმას, რომ მათ 1947 წელს მოუწიათ „ალიარების“ დაწერა²⁹.

ვასრულებთ რა 1945 წელს აფხაზეთში გატარებული სასკოლო რეფორმის შესახებ მსჯელობას, ჩვენ, რასაკვირველია, სრულიადაც არ ვაპირებთ გავამართლოთ აფხაზეთის ასსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელობის ქმედებები განათლების სფეროში. პირველ რიგში, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს გადაწყვეტილება დაწყებით კლასებში აფხაზურ ენაზე სწავლების მოშლის შესახებ. ჩვენ კარგად გვესმის, რომ სკოლაში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანით საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის ხელმძღვანელები რამდენადმე ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ აფხაზთა გარუსებისათვის და მოებრუნებინათ ისინი საერთო-ქართულ კულტურულ-ისტორიულ სივრცეში, მაგრამ ამის გაკეთება მშობლიური ენის ხარჯზე ნამდვილად არ შეიძლებოდა.

ამასთან, ჩვენ კატეგორიულად ვერ მივიღებთ ბრალდებებს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მისამართით იმასთან დაკავშირებით, რომ ის თითქოს ახორციელებდა მკვეთრად გამოხატულ ასიმილატორულ პოლიტიკას, რომლის საბოლოო მიზანი იყო აფხაზური ეთნოსის გაქრობა. ვინმე თუ ატარებდა ასიმილატორულ პოლიტიკას აფხაზეთში, ეს, პირველ რიგში, ნესტორ ლაკობას ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმი იყო, რომელიც, მოსკოვის აქტიური ხელშეწყობით, წლების მანძილზე წარმატებით ახერხებდა ადგილობრივი ქართული მოსახლეობის (ძირითადად მეგრელთა) გააფხაზებას. განა საიღუძლოა, რომ ამჟამინდელ აფხაზთა სულ ცოტა 60% (მკვლევართა ერთი ნაწილი უფრო შთამბეჭდავ ციფრებს ასახელებს) სწორედ გუშინდელი ქართველ-მეგრელები არიან, რომლებიც დღემდე ატარებენ ქართულ გვარებს. და ეს მაშინ, როდესაც გაქართველებულ აფხაზთა (ძირითადად გალის რ-ნში) რაოდენობა ბევრად უფრო ნაკლებია. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ გაქართველებული აფხა-

²⁹ Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 142.

ზები დღესაც ამაყობენ თავიანთი აფხაზური წარმომავლობით. ისინი არიან ჭეშმარიტი პატრიოტები როგორც თავიანთი მშობლიური კუთხის – აფხაზეთის, ისე დიდი სამშობლოს – საქართველოსი და მედგრად დგანან ქართულ-აფხაზური ისტორიული ერთობის სადარაჯოზე მაშინ, როდესაც გააფხაზებული ქართველები ყოველნაირად ცდილობენ, ფეხით გათელონ თავიანთი წარსული და მოღალატეობრივი ქმედებებით ანგრევენ ყოველივე იმას, რაც საუკუნეების მანძილზე აკავშირებდა ერთმანეთთან ქართველებსა და აფხაზებს.

აფხაზ სეპარატისტთა იდეოლოგიები კიდევ ერთი ყბადაღებული თემით ეწევიან სპეკულირებას. ესაა ე.წ. „ქართველთა მასობრივი ჩასახლება აფხაზეთში“, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1937-1953 წლებში. ძირითადად იგულისხმება დასავლეთ საქართველოს მიწისძვრით დაზარალებული რაიონებიდან უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ორგანიზებული ჩასახლება აფხაზეთში XXს. 40-იან წლებში. ეს პროცესი, სეპარატისტთა მტკიცებით, იყო საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების მხრიდან აფხაზეთის გაქართველების მიზანმიმართული აქცია.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით საკმაოდ მკაფიოააა ნაჩვენები, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან XX საუკუნემდე ქართული მოსახლეობა მუდამ ჭარბობდა აფხაზურს. ასე რომ, ზოგიერთი აფხაზი ისტორიკოსისა და პოლიტიკოსის დემაგოგიური მტკიცება, თითქოს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული ეთნიკური უმრავლესობა გაჩნდა მხოლოდ XXს. 30-40-იან წლებში ქართველთა ე.წ. „მასობრივი ორგანიზებული ჩასახლების“ შედეგად, უბრალოდ სიცრუე და ისტორიის უხეში გაყალბებაა. რასაკვირველია, რომ არა აფხაზი ხალხის დიდი ეროვნული ტრაგედია – მუჰაჯირობა, რომლის ინსპირატორი და ნამდვილი შემოქმედი რუსეთის იმპერია იყო, აფხაზური მოსახლეობა XXს. 30-40-იან წლებში რაოდენობრივად უფრო მეტი იქნებოდა. არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მას მერე, რაც XIXს. 60-70-იან წლებში აფხაზთა ერთმა ნაწილმა აფხაზეთში რუსული მმართველობის დამყარების წინააღმდეგ პროტეს-

ტის ნიშნად დატოვა მშობლიური მხარე და ოსმალეთში გადა-
იხვეწა, მათი საცხოვრებელი ადგილები მართლაც დაიკავეს სხვა
ერების წარმომადგენლებმა: რუსებმა, სომხებმა, ბერძნებმა და,
რასაკვირველია, ქართველებმა (განსაკუთრებით დასავლეთ საქარ-
თველოს რაიონებიდან). ამასთან, ცნობილია ისიც, რომ კავკასი-
ის რუსული ადმინისტრაცია ყოველნაირად ცდილობდა, არ და-
ეშვა ქართველთა მასობრივი დასახლება აფხაზეთში და ხელი
შეეშალა მხარის ქართულ ეთნო-კულტურულ სივრცეში მოქცევი-
სათვის. ამისათვის კი ერთ-ერთი მაღალჩინოსანი რუსი მოხელის,
სოხუმის „ოკრუგის“ (ანუ ამჟამინდელი აფხაზეთის) ადმინისტ-
რაციის უფროსის პოლკოვნიკ ბრაკერის განმარტებით (1995წ.),
აუცილებელი იყო „Вселение в Сухумский округ иноземного
элемента допущенное в начале... **прекратить** теперь же, в
**особенности вселение мингрельцев. Желательно сберечь
возможно большой фонд свободной земли для водворения
исключительно коренных русских людей**“.³⁰

„Русская колонизация округа, – წერდა მოგვიანებით ქუ-
თაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალი გერშელმანი, – име-
ет большое государственное значение в политическом отно-
шении. Абхазцы... до сих пор представляют из себя народ-
ность крайне малокультурную, мало развитую как в умствен-
ном, так и в нравственном отношении, шаткую в своих рели-
гиозных убеждениях и не раз уже проявившую свою полити-
ческую неблагонадежность. Все это **вызывает необходи-
мость особого внимания к ним. Помочь делу можно внесе-
нием в край русской гражданственности... Лучшим сред-
ством к осуществлению ся надо бесспорно признать коло-
низацию края русским населением**“.³¹

ეს არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმ მრავალფეროვანი დო-
კუმენტური მასალისა, რომლიდანაც სრულიად ნათლად ჩანს, თუ
ვინ ცდილობდა აფხაზეთა ეროვნული თვითმყოფადობის მოშლას

³⁰ С. З. Лакоба. Очерки., გვ. 40. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

³¹ Доклад Кутаисского военного губернатора по военно-народному управ-
лению, 2 сентября 1900 года. – წგნ.: ა. სილაგაძე, გ. გურული. ისტორი-
ულ-პოლიტიკური ნარკვევები. თბ., 2001, გვ. 309. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

და აფხაზეთის ჩვეულებრივ რუსულ პროვინციად გადაქცევას.

საკითხავია, რატომ ივიწყებენ ყოველივე ამას ჩვენი ის აფხაზი კოლეგები, რომლებიც ასე სკრუპულოზურად ითვლიან არითმეტიკულად რამდენი ქართველი როდის ჩასახლდა არა სხვა სახელმწიფოში, არამედ თავისივე ქვეყნის, საქართველოს ძირძველ კუთხეში – აფხაზეთში. დიახ, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა, ვალდებული ვართ, კიდევ ერთხელ შევახსენოთ ყველას: **აფხაზეთი ისტორიულად ყოველთვის იყო ერთიანი ქართული ეთნოკულტურული და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ორგანული ნაწილი, სამშობლო არა მხოლოდ ეთნიკურ აფხაზთა, არამედ პირველ რიგში, სწორედ (და უფრო მეტადაც) ქართველთა.** ასე რომ, ქართველების ადგილგადაანაცვლება საცხოვრებლად თავისივე ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში, სულაც არ არის ვინმეს წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური აქცია. რასაკვირველია, ეს ეხება 1937-1953 წლებსაც, როდესაც სახელმწიფო დონეზე მართლაც მოხდა ქართველთა მასობრივი ორგანიზებული ჩასახლება აფხაზეთში.

ბოლოს და ბოლოს, დროა, ყველამ შეიგნოს: ეს იყო ერთი ქვეყანა, ერთი სახელმწიფო, რომელიც ოფიციალურად იწოდებოდა – „საქართველოს სსრ“-დ, ხოლო „აფხაზეთის ასსრ“-ისი შემადგენელი ნაწილი იყო. მოსახლეობის მიგრაციის გამოცხადება კი ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის შიგნით დანაშაულად, უბრალოდ, ელემენტარული ლოგიკის ვერავითარ ჩარჩოებში ვერ ჯდება. უფრო მეტიც, არავისთვის არაა საიდუმლო, რომ სსრ კავშირის არსებობის პერიოდში იყო ერთიანი მოქალაქეობა: თითოეულ ადამიანს პასპორტში ეწერა არა საქართველოს სსრ-ის (მით უფრო, აფხაზეთის ასსრ-ის) მოქალაქე, არამედ „**სსრ კავშირის მოქალაქე**“. აქედან გამომდინარე, **ამ ერთიანი ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო თავისი სურვილისამებრ აერჩია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი** (ერთგვარი შეზღუდვა ამ მხრივ ჩაწერის ინსტიტუტის არსებობის გამო დიდ ქალაქებს ჰქონდა). რაც შეეხება „ორგანიზებულ გადასახლებას“ (მხედველობაში არა გვაქვს ზოგიერთი „დამნაშავედ“ მიჩნეული ხალხის ძალით აყრა თავიანთი მიწა-წყლიდან), მას ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ აფხაზეთ-

ში, არამედ სსრ კავშირის სხვა რეგიონებშიც და, პირველ რიგში, მოტივირებული იყო ეკონომიკური აუცილებლობით. თუნდაც ყაზახეთის მაგალითის გახსენება იკმარებდა, როდესაც ყამირი მიწების ასათვისებლად ამ რესპუბლიკაში ჩასახლდა ათეულ ათასობით რუსული ოჯახი. განა ასევე რუსული მოსახლეობის დიდი მასის „გადასროლა“ არ ახლდა თან მრეწველობის გიგანტების მშენებლობას ამა თუ იმ ნაციონალურ რესპუბლიკაში? შორს რომ არ წავიდეთ, რად ღირს თუნდაც ენგურის ქალაქკომბინატისა და ენგურჰესის მშენებლობები, რომლის დროსაც ზუგდიდის, წალენჯიხისა და გალის რაიონებში მთელი რუსული დასახლებები აღმოცენდა.

რატომ აღელვებთ ჩვენს აფხაზ ოპონენტებს რამდენიმე ათეული ათასი ქართველის ჩასახლება აფხაზეთში და რატომ არ იმაღლებენ ხმას, მაგალითად, იმის გამო, რომ 1888 წლიდან 1989 წლამდე რუსების რაოდენობა აფხაზეთში გაიზარდა, არც მეტი, არც ნაკლები, 70-ჯერ(!) (დაახლოებით ამდენჯერვე გაიზარდა სომხური მოსახლეობაც). ან რა ასეთი ზიანი მიაყენა აფხაზეთს იქ ჩასახლებულმა ქართველობამ? იქნებ ის, რომ გაპარტახებული და გავერანებული რაიონები ნამდვილ წალკოტად აქცია.

დღეს უკვე მთელმა მსოფლიომ იცის, თუ ვინ იყო აფხაზეთში მატერიალური კეთილდღეობის ნამდვილი შემქმნელი და თუ როგორი „შემოქმედებითი შრომა-საქმიანობა“ ძალუბთ მხარის „ერთადერთ აბორიგენებს – აფხაზებს“. ისტორიამ უკვე მეორეჯერ მოუწყო მათ გამოცდა. პირველად ეს იყო გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც მთიდან დაძრულმა „ბარბაროსული“ მენტალიტეტის მატარებელმა ჯიქ-აფხაზთა ტალღამ ერთიანად წალეკა ცივილიზებული ქრისტიან ქართველ-აფხაზთა მიერ საუკუნეების მანძილზე დიდი რუღუნებით შექმნილი აყვავებული ქვეყანა, განვითარებული ფეოდალური ეკონომიკითა და მოწინავე ქრისტიანული კულტურით და აქცია ის ჩამორჩენილ, ველურ პროვინციად. ისმის კითხვა: იქნებოდა კი საერთოდ ამჟამინდელი აფხაზი ერი, თავისი ნაციონალური კულტურით, რომ არა ამჟამინდელი გააფხაზებული ქართველები, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით სწორედ რომ საფუძველი დაუდეს აფხაზურ ეროვ-

ნულ-კულტურულ თვითშეგნებას?

მთელი კატეგორიულობით შეიძლება განვაცხადოთ, რომ აფხაზური ეროვნულ-კულტურული თვითშეგნების შემქმნელი ინტელექტუალური ელიტის პირველ ხუთეულში შედიან სწორედ ის მოღვაწენი, რომელთა ქართულ (მეგრულ) წარმომავლობაში წარმოდგენელია ვინმე ეჭვი შეიტანოს. ესენი არიან: აფხაზური ეროვნული ლიტერატურის ფუძემდებელი და ამავე დროს აფხაზური ანბანის ერთ-ერთი შემქმნელი **დიმიტრი გულია**; საყოველთაო აღიარებით აფხაზური პროზის პატრიარქად მიჩნეული **ივანე პაპასქირი**; აფხაზური პოეზიის კლასიკოსი **იუა კოლონია**; გამოჩენილი აფხაზი მეცნიერ-პედაგოგი **ანდრია ჭოჭუა**; გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი **გიორგი ძიძარია**. რასაკვირველია, აფხაზური კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში სხვა არაერთმა მოღვაწემ შეიტანა თავისი წვლილი, მაგრამ **ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ აფხაზი ერის ნაციონალურ-კულტურული ინდივიდუალობის ჩამოყალიბებას განსაკუთრებული ბიძგი სწორედ ამ „დიდმა ხუთეულმა“ მისცა**. ამაში ნამდვილად ძნელია ვინმე მათ პირველობას შეეცილოს. აი, როგორი „შეკება“ მისცა ქართველობამ მოძმე აფხაზ ხალხს. და რაოდენ სავალალოა, რომ ყოველივე ამას ივიწყებენ არა მარტო რუსულ იმპერიულ ანტიქართულ პროპაგანდას აყლილი აფსუა-აფხაზები, არამედ ისტორიულ მეხსიერებაზე დამბლადაცემული ამჟამად გააფხაზებული, გუშინდელი ტომით ქართველები.

ვინ ვინ და, განა ისინი არ უნდა ქცეულიყვნენ ქართულ-აფხაზური ისტორიული ძმობის დუღაბად, განა ისინი არ უნდა ჩამდგარიყვნენ ერთიანი სუვერენული ქართული სახელმწიფოს, რომლის ბურჯსაც ისტორიულად ყოველთვის წარმოადგენდა აფხაზეთი, მშენებლობის ავანგარდში? მაგრამ, ვაგლახ, რომ მათ სხვა არჩევანი გააკეთეს. სამწუხაროდ, ამ დიდი, კეთილშობილური საერთო-ეროვნული მისიის ნაცვლად ჩვენმა ვაითანამემამულებებმა მახვილი აღმართეს თავიანთ სისიზლსა და ჯილაგზე და შთამომავლობას სამშობლოს მოღალატის სამარცხვინო სახელი დაუტოვეს. ქვეყნისა და ერის ღალატი კი, როგორც ცნობილია, არავის შერჩენია.

З. В. ПАПАСКИРИ

МИФ О Т.Н. „ПОПЫТКАХ“ СО СТОРОНЫ ГРУЗИН ЛИШИТЬ АБХАЗСКИЙ НАРОД ЭТНОКУЛЬТУРНОЙ ИНДИВИДУАЛЬНОСТИ В КОНЦЕ 30-Х – 40-Х ГОДАХ XX ВЕКА

В статье опровергаются голословные утверждения идеологов абхазского сепаратизма о стремлении грузинского коммунистического руководства (в 30-40-х годах XXв.), обезличить абхазский этнос, и будто это осуществлялось путем перевода абхазской письменности с латинского алфавита на грузинский, а также упразднения обучения на абхазском языке в начальных классах т.н. „абхазских“ школ. В ней приведены конкретные документальные материалы, подтверждающие необоснованность подобных измышлений. В частности, отмечено, что проводимые в этот период реформы в области письменности и школьного образования не были выдумкой и самодельностью центрального руководства Грузии. Они целиком и полностью исходили из общего курса проводимого в тот период ЦК КПСС и советским правительством.

Организованное переселение людей из пострадавших от стихии регионов Западной Грузии на постоянное место жительства в Абхазию также нельзя рассматривать, как преднамеренную попытку Тбилисских властей, во что бы то ни стало, огрузинить Абхазию. Данная политика была направлена, прежде всего, на подъем экономики автономной республики, что и было достигнуто самоотверженным трудом, в первую очередь, именно грузинского населения, превратившего Абхазию в цветущий край.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა

ირაკლი არღვლიანი

ბიზანტიური წყაროები მისიმიანთა ტომის შესახებ

ბიზანტიურ საისტორიო წყაროებში მოხსენიებული არიან მისიმიანები – Μισιμιανοι (მისიმიელები), რომელთა შესახებ ცნობები მოცემულია ბიზანტიელი მოღვაწეების აგათია სქოლასტიკოსის (536-582), მენანდრე პროტიქტორის (VI ს. II ნახ.) და თეოდოსი განგრელის (VIII ს.) თხზულებებში.

აგათიას გადმოცემით, მისიმიანები „აფსილთა ტომზე უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, ოდნავ აღმოსავლეთისაკენ“.¹ მისივე თხზულებიდან ჩანს, რომ მისიმიანთა ქვეყანა კოლხეთის ზემოთ მდებარეობდა².

მსგავსი ცნობა აქვს მოცემული მენანდრესაც, რომლის მიხედვით მისიმიანებს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდნენ სვანები, სამხრეთ-დასავლეთიდან – აფსილები, ჩრდილოეთიდან კი კავკასიონის ქედი და ალანები³.

მოცემულ ცნობათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მისიმიანები დალის (მდ. კოდორის) ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორია-

¹ აგათია სქოლასტიკოსი. – *გეორგიკა*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტ. III. თბ., 1936, გვ. 86.

² აგათია სქოლასტიკოსი. – *გეორგიკა*, გვ. 155.

³ მენანდრე პროტიქტორი. – *გეორგიკა*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტ. III. თბ., 1936, გვ. 236-237.

ზე სახლობდნენ. თავის დროზე, აღნიშნულ დასკვნამდე არაერთი მკვლევარი მივიდა⁴.

რაც შეეხება მისიმიანთა ეთნიკური კუთვნილების საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევართა უმრავლესობა მათ სვანებად მიიჩნევს. მაგალითად, ს. ყაუხჩიშვილს, რომელსაც სხვა მეცნიერებიც უჭერენ მხარს, მიაჩნია, რომ „მისიმიანი“ სვანთა თვითსახელის – „მუშვანის“ – სახეცვლილი ფორმაა და ის უთუოდ სვანს ნიშნავს⁵.

მართალია, პ. ინგოროყვა მისიმიანებს მეგრულ-ლაზურ და სვანურ (ნარეკ) ხალხად თვლის, მაგრამ უფრო იმ მოსაზრებას უჭერს მხარს, რომ მისიმიანები სვანურენოვანი ქართველური ტომი იყონ⁶.

თ. მიქელაძის ვარაუდით, „შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მისიმიანთა სახით სამხრეთიდან მოსულ მოსინებთან (მოსინიკებთან – ი.ა.) გვაქვს საქმე“ (თ. მიქელაძე მოსინიკებსაც სვანებად მიიჩნევს).⁷

მისიმიანებს სვანურ ეთნიკურ წრეს აკუთვნებს დ. მუსხელიშვილიც. ის წერს, რომ „სწორედ მისიმიელების სვანური ტომი უნდა იგულისხმებოდეს პტოლემეაიოსის „სუანო-კოლხებში“,

⁴ ს. ყაუხჩიშვილი. მისიმიანთა ტომი. – თსუ შრომები, ტ. I. თბ., 1936, გვ. 279; **З. В. Анчабадзе**. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв.). Сухуми, 1959, გვ. 12; **З. В. Анчабадзе**. Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976, გვ. 44; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. ტ. I. თბ., 1977, გვ. 120-122; დ. მუსხელიშვილი. საქართველო IV-VIII საუკუნეებში. თბ., 2003, გვ. 291-292; **М. М. Гунба**. Абхазия в первом тысячелетии н.э. Сухуми, 1989, გვ. 142.

⁵ ს. ყაუხჩიშვილი. მისიმიანთა ტომი, გვ. 277-280; **Г. А. Меликишвили**. К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 92, 100, 384; გ. მელიქიშვილი. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ., 1965, გვ. 65; გ. მელიქიშვილი. საქართველო ახ. წ. I-III საუკუნეებში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ., 1970, გვ. 557; თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ., 1974, გვ. 13-14; **З. В. Папаскири**. О национально-государственном облике Абхазии/Грузия. Тб., 2003, გვ. 12.

⁶ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 130, 143-145.

⁷ თ. მიქელაძე. ძიებანი..., გვ. 13-14.

ანუ ფავსტოს ბიზანტიელის „ვერო-სუანებში“, იმ აზრით, რომ ესენი იყვნენ ვერისის სამეფოს მიერ დამორჩილებული სვანები იმ სვანებისაგან განსხვავებით, რომლებიც ჯერ არ იყვნენ ვერისის დაქვემდებარებულნი და რომელთა დამორჩილება მხოლოდ IV ს. დასასრულს მოხერხდა“.⁸

თ. მიბზუანისა და გ. გასვიანის მტკიცებითაც მისიმიანები სვანები იყვნენ. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას მათ აძლევს კოდორის ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე იმ არაერთი სვანური ტოპონიმის არსებობის ფაქტი, რომელთა აღნიშნულ ტერიტორიაზე გავრცელება იქ სვანების ხელმეორედ ჩასახლებაძღე (XX ს.-მდე) და ნაწილობრივ მისიმიანთა განსახლების დროიდან დასტურდება⁹.

გ. გასვიანის თანახმად, მისიმიანთა ვინაობის დასაზუსტებლად გარკვეული მნიშვნელობა აქვს მათ პოლიტიკურ ისტორიას¹⁰. როგორც ცნობილია, ბიზანტიასა და ირანს შორის ვერისში მიმდინარე „დიდი ომიანობის“ დროს მწვავედ იღვა სვანეთის საკითხი. არსებული მასალებით ირკვევა, რომ ამ პერიოდში მისიმიანები დანარჩენი სვანების კვალდაკვალ, განუდგნენ ბიზანტიას და ირანს მიემხრნენ¹¹.

აქედან გამომდინარე, გ. გასვიანი სავსებით საფუძვლიანად ვარაუდობს, რომ „მისიმიანები შემთხვევით არ იზიარებდნენ ბიზანტიის წინააღმდეგ მებრძოლ სვანთა ბედს, ისინი ერთი მოღვათისანი იყვნენ“.¹²

მისიმიანებს სვანებად მიიჩნევენ აგრეთვე თ. ბერაძე და მ. სანაძე¹³.

⁸ დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული..., ტ. I, გვ. 132-133.

⁹ თ. მიბზუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989, გვ. 130-131, გ. გასვიანი. ნარკვევები შუა საუკუნეების სვანეთის ისტორიიდან. თბ., 1991, გვ. 204, 208.

¹⁰ გ. გასვიანი. ნარკვევები..., გვ. 204.

¹¹ ავათია სქოლასტიკოსი. — გეორგიკა, ტ. III, გვ. 90; მენანდრე პროტიქტორი. — გეორგიკა, ტ. III, გვ. 214-215.

¹² გ. გასვიანი. ნარკვევები... გვ. 204.

¹³ თ. ბერაძე, მ. სანაძე. საქართველოს ისტორია. წ. I. ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები. თბ., 2003, გვ. 91.

რიგი მეცნიერებისა მისიმიანებს აფხაზურ ეთნიკურ წრეს აკუთვნებს, თუმცა საამისოდ მოშველიებული არგუმენტები მწირია და დამაჯერებლობას მოკლებული. ასე, მაგალითად: შ. ინალიფას და ზ. ანჩაბაძეს აგათია სქოლასტიკოსის თხზულების ის ადგილი მოჰყავთ, სადაც მისიმიანების აფსილებთან ნათესაობაზეა ლაპარაკი¹⁴.

აღნიშნული არგუმენტი, რა თქმა უნდა, აფხაზებისა და მისიმიანების იგივეობის დასამტკიცებლად არ გამოდგება, რადგან არამცთუ ისინი, არამედ არაერთ ძველ წყაროში კავკასიის ხალხებიც კი ერთიმეორის მონათესავედ ითვლებიან. სინამდვილეში აფხაზებისა და მისიმიანების სხვადასხვაობაზე იმავე აგათიას თხზულების სხვა ადგილი მიუთითებს: ისინი „განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობდნენ და სხვადასხვა კანონებს მისდევდნენ“¹⁵.

ზ. ანჩაბაძემ, რომელიც თავდაპირველად მისიმიანების უეჭველ აფხაზობას ამტკიცებდა, შემდგომში შესაძლებლად ჩათვალა აფხაზეთის მთიანი ზოლის ნაწილში სვანური ეთნიკური ელემენტის მოსახლეობა და მისიმიანების სვანობა¹⁶. შემდეგ ის კვლავ დაუბრუნდა მისიმიანების ვინაობის საკითხს და აღნიშნა, რომ მათი ეთნიკური კუთვნილების საკითხი რთულია და ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. ამავე დროს ისინი აფხაზი ხალხის წებელდა-დალის ეთნიკურ განშტოებად მიიჩნია იმ განსხვავებით, რომ ისინი ამჟამად ქართველების მონათესავე პალეოკავკასიურ ეთნოლინგვისტურ ტომად გამოაცხადა¹⁷.

მისიმიანებს აფხაზებად მიიჩნევს აგრეთვე მ. გუნბა, რომელიც ამაზინჯებს აგათიას ცნობას, თითქოს ის წერდეს მისიმიანებისა და აფხაზების წინაპრების (აფსილების) ენათა ნათესაობაზე¹⁸.

უნდა აღინიშნოს, რომ საისტორიო წყაროების დამაზინჯებას მ. გუნბა არაერთხელ ცდილა. ასე, მაგალითად: მისი განცხა-

¹⁴ იხ. *გეორგია*, ტ. III, გვ. 161-162.

¹⁵ აგათია სქოლასტიკოსი. – *გეორგია*, ტ. III, გვ. 86.

¹⁶ **З. В. Анчабадзе.** История и культура древней Абхазии. М., 1964, гв. 183.

¹⁷ **З. В. Анчабадзе.** Очерк этнической..., гв. 45.

¹⁸ **მ. გუნბა.** დასავლეთ საქართველო და ბიზანტია. სოხუმი, 1962, გვ. 49-50.

დებით, მეცნიერები, რომლებიც მისიმიანებს სვანებად მიიჩნევენ, ყურადღების მიღმა ტოვებენ აგათიას ცნობას, რომლის მიხედვით მისიმიანები აფსილთა უახლოესი მეზობლები და ცხოვრების წესით ახლო მდგომი ხალხია.¹⁹

მისიმიანებისა და აფსილების ახლო მეზობლობა მისიმიანების აფხაზობის დამამტკიცებელ არგუმენტად, ცხადია, არ გამოდგება. რაც შეეხება მისიმიანებისა და აფსილების ცხოვრების წესის მსგავსებას თუ სიახლოვეს, ასეთი რამ აგათიას თხზულებაში არ არის მოცემული. სინამდვილეში მისიმიანები და აფსილები რომ „განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობდნენ და სხვადასხვა კანონებს მისდევენ“, როგორც ავლნიშნეთ, იმავე აგათიას თხზულებაშია ნათქვამი.

მ. გუნბას მოსაზრებით, მისიმიანებისა და აფხაზების იგივეობაზე უნდა მეტყველებდეს კოდორის ზემო დინებასა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული აფხაზური ტოპონიმები: ჩხალთა, ჩხალთაღზიზი, აღზბა, მრამბა, გუანდრა და სხვა²⁰.

უნდა აღინიშნოს, რომ მ. გუნბას მიერ დასახელებული ტოპონიმები გვიანდელი, ანუ კოდორის ხეობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აფხაზთა განსახლების შემდეგ არის შერქმეული და მათ მისიმიანებთან არაფერი აქვთ საერთო.

ქართველმა მკვლევარებმა დამაჯერებლად აჩვენეს აფხაზ მეცნიერთა თვალსაზრისის უსაფუძვლობა და კონკრეტულ მასალაზე დაყრდნობით დაასაბუთეს მისიმიანთა ქართველური (სვანური) წარმომავლობა. ქართველი ისტორიკოსების არგუმენტებიდან, პირველ რიგში, უნდა გამოვყოთ დაკვირვებები მისიმიანთა განსახლების ტერიტორიის ტოპონიმიკაზე:

დალი – კოდორის ხეობის, ანუ ე.წ. აფხაზეთ-სვანეთის სახელი, სვანურად – დალ. „დალ“ სვანურ ღვთაებათა პანთეონში ნადირობის ღვთაებაა, რომლის შესახებ სვანურ ფოლკლორში არაერთი მითი და თქმულებაა გავრცელებული²¹.

¹⁹ **М. М. Гунба.** Абхазия..., გვ. 143.

²⁰ **М. М. Гунба.** Абхазия..., გვ. 144.

²¹ **თ. მიზნუანი.** დასავლეთ საქართველოს..., გვ. 136; **გ. გასვიანი.** ნარკვევები..., გვ. 208.

ფ უ ს ტ ა – დაახლოებით მისიმიანთა მხარეში არსებული ტოპონიმი. კაკკასიის ხალხებიდან ფუსტის (ფუსდის) სახელობის ეკლესიები მხოლოდ სვანეთში გვხვდება. სვანურ მეტყველებაში ამ სახელწოდებამ, ღვთიურ მნიშვნელობასთან ერთად (ღმერთი, უფალი, მეუფე, გამგებელი), შუა საუკუნეებში სოციალური შინაარსიც შეიძინა (პატრონი, ბატონი, მფლობელი, თავადი, უფროსი და ა.შ.).²²

გ ე ნ წ ვ ი შ – კოდორის ხეობის ერთ-ერთი სოფლის სახელწოდება, რომელიც დაკავშირებულია, ერთი მხრივ, ტირიფის სვანურ სახელთან „გენწვ“, მეორე მხრივ კი ანწლის სვანურ სახელთან „გენჭვ“ (გენწვიშ//გენჭვიშ ნიშნავს ანწლიან ადგილს).²³

ლ ა თ ა – კოდორის ხეობის სოფლის სახელწოდება. „ლათა“ სვანური ტოპონიმი და ნიშნავს გასაყოფ ან გამყოფ ადგილს²⁴.

ტ ი ბ ე ლ ე ო ს ი – მისიმიანთა და აფსილთა საზღვარზე მდებარე ციხე-სიმაგრის სახელწოდება. ტიბელეოსს საერთო უნდა ჰქონდეს ტიბტვიბთან, რაც სვანურად ხევს ნიშნავს. თუ ეს სწორია, მაშინ ტიბელეოსი ხევში განლაგებულ ციხეს აღნიშნავს²⁵.

ლ ა გ ვ ა ნ თ ა – ადგილის სახელწოდება. „ლაგვან“ სიტყვასიტყვით სატირალ, საგოდებელ ადგილს ეწოდება²⁶.

შ ი ყ ე ე რ – კოდორის სათავე ხეობის ფერლობის სახელწოდება, რომელიც დაკავშირებულია სვანურ შიყთან („შიყ“ სვანურად ზურგს ნიშნავს) და სხვ.²⁷

ამრიგად, ეჭვგარეშეა, რომ მისიმიანები ქართველური ტომი ანუ სვანები იყვნენ. ჩვენთვის, ცხადია, დიდად მნიშვნელოვანია

²² თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს..., გვ. 137-138; გ. გასვიანი. ნარკვევები..., გვ. 207.

²³ თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს..., გვ. 131; გ. გასვიანი. ნარკვევები..., გვ. 208.

²⁴ თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს..., გვ. 131.

²⁵ გ. გასვიანი. ნარკვევები..., გვ. 204-205.

²⁶ გ. გასვიანი. ნარკვევები..., გვ. 208.

²⁷ გ. გასვიანი. ნარკვევები..., გვ. 208.

მათი პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი მასალები, რომელთაგან განსაკუთრებით ღირებულა აგათიას თხზულება, სადაც მოთხრობილია ბიზანტიელთა წინააღმდეგ მისიმიანთა 555წ. აჯანყების შესახებ.

აგათიას ცნობით, ბიზანტიელთა სტრატეგოსი სოტერიქე, რომელსაც რომაელთა მოკავშირე ბარბაროსებისთვის „მეფისგან ფული ჰქონდა წამოღებული“,²⁸ მივიდა მისიმიანთა ქვეყანაში. მისიმიანებმა, რომელთაც დაინახეს იმის საშიშროება, რომ ერთ-ერთი მათი ციხე, ზედ ლაზეთის საზღვრებზე აღმართული, რომელსაც ბუქლოოსი ერქვა, სოტერიქეს შეიძლებოდა აღანებისთვის გადაეცა, მიუგზავნეს მას ორი „წარჩინებული კაცი“. მათ, ნახეს რა სოტერიქე ბუქლოოსის ციხის მახლობლად დაბანაკებული, კიდევ უფრო გაუძლიერდათ ეჭვი „და უთხრეს მას (სოტერიქეს – ი.ა.): „უსამართლობის მოყენება განგიზრახავს ჩვენთვის, სტრატეგოსო. არც სხვას უნდა მისცე ნება ჩვენი ქონება წაგვართვას, არც თვითონ უნდა მოინდომო ამის ჩადენა. თუ ეს შენ მართლა არ გიდევეს გულში, საჩქაროდ გადაბარგდი აქიდან, სხვა ადგილას მოთავსდი და შენ იქ სურსათი არ მოგაკლდება: ჩვენ მოგიტანთ ყველაფერს. აქ კი შენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩე; ჩვენ ვერ შევიწყნარებთ, რომ შენ აქ დაყოვნო და დაიცადო“.²⁹

სოტერიქე გააღიზიანა მისიმიანთა ასეთმა „თავხედურმა“ საქციელმა, რის გამოც უბრძანა თავის მხლებლებს ჯოხებით ეცემათ ისინი. „იმათაც უწყალოდ სცემეს მისიმიანებს და ცოცხალ-მკვდარნი გაისტუმრეს შინისკენ“.³⁰

დაღამდა თუ არა, მისიმიანები, „რომლებიც მიყენებულ შეურაცხყოფას ვერ ითმენდნენ“, თავს დაესხნენ მძინარე სოტერიქეს და მის რაზმს, ერთიანად ამოწყვიტეს ისინი (გადარჩა მხოლოდ რამდენიმე კაცი) და მათი ქონებაც გაიტაცეს, რის შემდეგაც მისიმიანები „აშკარად გადაუდგნენ რომაელებს, სპარსელების მხარეზე გადავიდნენ და ელჩები გაუგზავნეს თხოვნით, მიგ-

²⁸ აგათია სქოლასტიკოსი. – *გეორგიკა*, ტ. III, გვ. 85.

²⁹ აგათია სქოლასტიკოსი. – *გეორგიკა*, ტ. III, გვ. 87.

³⁰ აგათია სქოლასტიკოსი. – *გეორგიკა*, ტ. III, გვ. 88.

ვილეთ და დაგვეხმარეთ ამიერიდან, როგორც თქვენს ქვეშევრდომებსო“.³¹

ბიზანტიელები აღაშფოთა მისიმიანთა ასეთმა მოქმედებამ, მაგრამ მაშინვე სამაგიეროს გადახდა მათ არ შეეძლოთ, რადგან იმხანად სპარსელებთან ომი ლაზიკაში გადამწყვეტ სტადიაში იყო.

მომდევნო, ანუ 556 წლის გაზაფხულზე, ანუ მას შემდეგ, რაც ლაზიკისათვის ბრძოლაში ბიზანტიელებმა უპირატესობა მოიპოვეს, მათ მისიმიანთა წინააღმდეგ სადამსჯელო სამხედრო ექსპედიცია მოაწყვეს, რომელშიც ოთხიათასამდე კაცი მონაწილეობდა. ზაფხულში ეს ჯარი უკვე აფსილიაში იყო მისული, სადაც მათ დაბრკოლება შეუქმნა სპარსელთა ჯარმა, რომელიც მისიმიანთა დასახმარებლად მოსულიყო იბერიიდან და მუხირისის მახლობლად მდებარე ქალაქებიდან. რომაელებმა მიზანშეუწონლად ჩათვალეს სპარსელებისა და მისიმიელების გაერთიანებულ ძალებთან შეხება, აფსილთა სიმაგრეებთან ტრიალებდნენ და დროის გაყვანას ცდილობდნენ, რადგან იცოდნენ, რომ სპარსელთა მშობლიური წესების მიხედვით, არ იყო მიღებული ზამთარში შორეული ლაშქრობის წარმოება³².

მართლაც, ზამთრის დადგომისთანავე სპარსელებმა ხელი აიღეს მისიმიელთა დახმარებაზე, რის შემდეგაც ბიზანტიელთა ჯარი კვლავ დაიძრა მისიმიანეთისაკენ. ბიზანტიელებმა თავდაპირველად საჭიროდ ჩათვალეს, „ესინჯათ, მოისურვებდნენ თუ არა მისიმიელები გონიერ გზას დაბრუნებოდნენ: იქნებ მოენანიებინათ თავიანთი შეცოდებანი... დამორჩილებოდნენ რომაელებს და აენახლაურებინათ მთელი ის ფული, რომელიც მათ სოტერიქეს წაართვეს“. ამ მიზნით, ბიზანტიელებმა მოციქულებად მიუგზავნეს მათ „წარჩინებული კაცები“ აფსილთა ტომიდან, მაგრამ მისიმიანებმა უარი განაცხადეს მათ მორჩილებაზე, აფსილი მოციქულები კი დახოცეს³³.

მისიმიანთა ასეთმა საქციელმა საშინლად განარისხა ბიზან-

³¹ აგათია სქოლასტიკოსი. — *გეორგიკა*, ტ. III, გვ. 90.

³² აგათია სქოლასტიკოსი. — *გეორგიკა*, ტ. III, გვ. 156-159.

³³ აგათია სქოლასტიკოსი. — *გეორგიკა*, ტ. III, გვ. 159-162.

ტიელები, რის შემდეგაც მათ იერიში მიიტანეს მისიმიელებზე. აგათია გადმოგვცემს თუ როგორი სისასტიკით გაუსწორდნენ მისიმიანებს რომაელი ჯარისკაცები, რომელთაც არათუ ქალები, ბავშვებიც კი არ დაინდეს: „მრავალი ბავშვი, რომლებიც მწარე ტირილით ეძახოდნენ მშობელ ღებებს, დატყვევებულ იქმნა: ამათგან ზოგიერთები კლდეზე დაუშვეს შეუბრალებლად და ასე იქმნენ დაგლეჯილი, ხოლო ზოგიერთები, თითქოს თამაშის მიზნით, ჰაერში იქნენ ასროლილი და, როდესაც შემდეგ სიმძიმისაგან უკან დაეშვნენ, პირდაპირ აშვერილი შუბები დაახვედრეს და ზედ ააგეს ჰაერშივე“.³⁴

აგათიას ცნობით, მისიმიანებმა, დაინახეს რა, წინააღმდეგობის გაგრძელებას მათი სრული განადგურება მოჰყვებოდა, მოციქულები მიუგზავნეს ბიზანტიელებს, მორჩილება გამოუცხადეს და დაზავება სთხოვეს, რაზეც ისინი სიამოვნებით დათანხმდნენ. იოანემ (მისიმიელთა დასასჯელად გაგზავნილი ჯარის სარდალმა) „წამოასხა მძევლები, წამოიღო ფულიც, რამდენიც სოტერიქეს ჰქონდა მიტანილი, ბევრი სხვა რამეც და გარდა ამისა მეფის ოქრო: ხალასი და ნამღვილი ნომიზმები იყო ოცდარვა ათასი და რვაასი. ყველაფერი ეს წამოიღო, დიდძალი ნადავლიც შეიძინა, და ნება მისცა მისიმიელებს კვლავ თავიანთ ნებაზე ეცხოვრათ საკუთარ ქვეყანაში და ძველებური ცხოვრება განეახლებინათ“.³⁵

ბრძოლაში დაიღუპა თხუთმეტი ათასამდე მისიმიელი – ხუთი ათასი მეომარი, ამდენივე ქალი და ბავშვი³⁶.

რაც შეეხება მენანდრეს ცნობებს, მისი თხზულებიდან ირკვევა, რომ თურქეთიდან ბიზანტიონში მიმავალი ბიზანტიელი ელჩი – ზემარქე, რომელსაც თურქი ელჩებიც ახლდა, ალანიის წინამძღოლ საროდის რჩევით, „დარინის გზით მივიდა აფსილიაში: მისიმიანთა გზა მან უარჰყო, დასტოვა ის მარცხნივ: ამ გზით საფიქრებელი იყო, რომ თავს დაესხმოდნენ სპარსელები“.³⁷

³⁴ აგათია სქოლასტიკოსი. – *გეორგია*, ტ. III, გვ. 163-171.

³⁵ აგათია სქოლასტიკოსი. – *გეორგია*, ტ. III, გვ. 173-174.

³⁶ აგათია სქოლასტიკოსი. – *გეორგია*, ტ. III, გვ. 174.

³⁷ მენანდრე პროტიქტორი, *გეორგია*, ტ. III, გვ. 236-237.

თეოდოსი განგრელის ცნობით კი, ანასტასი აპოკრისიარი გაგზავნილ იქნა „ფსილიისა და მისიმიანის მხარეებში, რათა ფუსტას ციხეში დაემწყვდიათ“.³⁸

გვიანდელი ხანის საისტორიო წყაროებში მისიმიანები არ მოიხსენებიან, ამიტომ დღემდე დაუდგენელია, რა ბედი ეწიათ მათ. ცხადია, მისიმიანთა დიდი ნაწილი ბიზანტიელებთან და არაბებთან ბრძოლის დროს დაიღუპა³⁹. ნაწილი შესაძლოა ქლუხორის ადვილად გადასასვლელი უღელტეხილის გზით იმიერკავკასიაში გადასულიყო, ნაწილი კი თანამედროვე ზემო სვანეთის ტერიტორიაზე გადასახლებულიყო.

³⁸ **თეოდოსი განგრელი.** – *გეორგია*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**. ტ. IV, ნაკვ. I. თბ., 1941, გვ. 44.

³⁹ **აგათია სქოლასტიკოსი.** – *გეორგია*, ტ. III, გვ. 85-174; **თეოფანე ჟამთააღმწერელი.** – *გეორგია*. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**. ტ. IV, ნაკვ. I. თბ., 1941, გვ. 115.

И. Дж. АРГВЛИАНИ

ВИЗАНТИЙСКИЕ ИСТОЧНИКИ О ПЛЕМЕНАХ МИСИМИАН

Проблема этнической идентификации племен населявших территорию современной Абхазии в позднеантичную и раннесредневековую эпоху до сих пор вызывает полемику среди исследователей. Среди племен, вокруг которых существует определенное разногласие между грузинскими и абхазскими учеными, следует назвать и мисимян, которых византийские письменные источники локализуют в Дальском ущелье. В статье собраны сведения византийских авторов: Агафия Схоласта (536-582гг.), Менандра Протиктора (II половина VI века) и Теодосия Гангрского (VII век), – и на основе их критического анализа, новыми аргументами подкреплена точка зрения грузинских историков (С. Г. Каухчишвили, П. И. Ингорква, Т. Микеладзе, Д. Мухелишвили, Н. Ю. Ломоури, Т. Ш. Мибчуани, Г. Гасвиани и т.д.) о принадлежности мисимян исключительно к картвельскому этническому миру. Главным и неоспоримым аргументом признана топонимика края. В работе приведены отдельные топонимы: Дал, Генцвиш, Лата и др., картвельское происхождение которых не вызывает никаких сомнений. Вместе с тем, большое внимание уделено освещению восстания мисимян против Византии в VI веке.

ლია ახალაძე

წიგნის ძეგლი წარწერებში*

აფხაზეთის ეპიგრაფიკული ძეგლები სამ ძირითად ჯგუფად იყოფა: ლაპიდარული (დაახლ. 40-მდე წარწერა), ფრესკული (დაახლ. 40-მდე წარწერა) და ჭედური (დაახლ. 35-მდე) წარწერები. მათი დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია სხვადასხვა სახის გამოცემებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში. IX-X საუკუნეების ლაპიდარული წარწერები ვ. სილოგავამ ქართული წარწერების კორპუსის II ტომში გამოაქვეყნა¹, ხოლო აფხაზეთის ლაპიდარული და ფრესკული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო შესწავლილია ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში². ჭედური ხელოვნების ძეგლებზე შესრულებული წარწერების პალეოგრაფიული და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ღირებულება ცალკე კვლევის საგანი არ გამხდარა.

აფხაზეთის ჭედური წარწერებით თავდაპირველად ფრანგი ორიენტალისტი მარი ბროსე დაინტერესდა. მისმა პუბლიკაციამ შემოგვინახა რამდენიმე ჭედური წარწერის ტექსტი, მათგან დიდი ნაწილი დღეს დაკარგულია და წყაროს როლს ფაქტობრივად, მ. ბროსეს გამოცემა ასრულებს³.

* მოხსენება წაკითხულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, 2001წ.

¹ *ქართული წარწერების კორპუსი* (შემდეგში *წკ.*). ტ. II. ლაპიდარული წარწერები. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-Xსს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ. თბ., 1980.

² **ლ. ახალაძე.** ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები აფხაზეთში IX-XVIIIსს. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 1998.

³ *Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie.* Exécute en 1847-1848. Par **M. Brosset.** I livre. St-Petersburg, 1849.

რუსი არქეოლოგის პრასკოვია უვაროვას ნაშრომში გამოქვეყნებულია სამი ხატის ფოტო, რომლებზეც წარწერებია დაცული, მათგან ორი დღეს დაკარგულად ითვლება, თუმცა წარწერის ტექსტების დადგენა შესაძლებელია პ. უვაროვას მიერ გამოცემული ფოტოებიდანაც⁴.

წებელდის რეგიონის წარწერებში კლასიფიკაციის მიხედვით ჯერჯერობით სახეზე გვაქვს სამი ლაპიდარული და სამი ჭედური წარწერა:

I. ლაპიდარული წარწერები:

- 1) მიქაელის წარწერა⁵;
- 2) ლუკას სამშენებლო წარწერა⁶;
- 3) სამშენებლო წარწერა⁷;

II. ჭედური წარწერები:

- 1) მარიამის წარწერა წმ. ეკატერინეს ხატზე⁸;
- 2) იოანე ნათლისმცემლის ხატის წარწერა;
- 3) აბულასან იობის ძის წარწერა⁹.

წებელდის რეგიონში გაცილებით მეტი ეპიგრაფიკული ძეგლის არსებობა უნდა ვივარაუდოთ, მაგრამ სამწუხაროდ, ამ რე-

⁴ **П. С. Уварова.** Христианские памятники Кавказа. *Материалы Археологии Кавказа*, вып. IV. М., 1894, ტაბ. XI (ამ ტაბულაზე მოცემულია წმ. ეკატერინეს ხატი და აბულასან იობის ძის ხატის წარწერა, რომელიც თავდაყირა არის გამოქვეყნებული), ტაბ. X (იოანე ნათლისმცემლის ხატი).

⁵ გამოცემები: *ЖК*, II, გვ. 127. **Л. Ахаладзе.** Эпиграфические памятники Абхазии. – Сб.: *Разыскания по истории Абхазии/Грузия*. Тб., 1999, გვ. 368.

⁶ გამოცემები: **ვ. სილოგავა.** ქართული სამართლის ძეგლები დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებში. – „*მაცნე*“, ისტორიის... სერია, №4, 1972; **Л. Ахаладзе.** Эпиграфические памятники Абхазии, გვ. 368, №17; **ლ. ახალაძე.** აფხაზეთის ქართული წარწერები. – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი „*საქართველო*“, №2, 1998, გვ. 33.

⁷ გამოცემები: **Л. Ахаладзе.** Эпиграфические памятники Абхазии, გვ. 370, №25; **ლ. ახალაძე.** სამშენებლო წარწერა წებელდიდან. – „*საისტორიო ძიებანი*“, 5, 2002, გვ. 43-46.

⁸ გამოცემები: **Л. Ахаладзе.** Эпиграфические памятники Абхазии, გვ. 371.

⁹ **ქ. ჩხატარაიშვილი.** აბულასან იობისძის წარწერა წებელდიდან და მისი ისტორიული მნიშვნელობა. – კრ.: *საქართველოს ვეოლოგიური ხანის ისტორიის საკითხები*, ტ. VI. თბ., 1990, გვ. 88.

გიონში დღემდე არ ჩატარებულა საველე ეპიგრაფიკული კვლევა. ვფიქრობთ, მომავალში ამ მიმართულებით კვლავ გაგრძელდება მეცნიერული ძიება, რაც ახალი მასალების გამოვლენას ხელს შეუწყობს.

1. მარიამის წარწერა წმიდა ეკატერინეს ხატზე

XIX საუკუნის 80-იან წლებში წებელდაში იმოგზაურა პ. უვაროვამ, როგორც აღვნიშნეთ, მან არაერთი ქართული სიძველის ნიშნუში აღმოაჩინა, მათ შორის იყო წმიდა ეკატერინეს, იონანე ნათლისმცემლისა და წმიდა ანდრია მოციქულის ხატები. როგორც ჩანს, პ. უვაროვამ წმ. ეკატერინეს ხატის ცალკეული ფრაგმენტები აღმოაჩინა და ფოტოგრაფირების დროს საუკულაგულოდ დააღაგა, რაზეც მიუთითებს მარიამის ხატის ზემოთ თავდაყირა გამოქვეყნებული წმ. ანდრია მოციქულის ხატის ფრაგმენტი აბულასან იობის ძის წარწერით. ჩვენს მიერ წარმოდგენილი ხატისა და წარწერის აღწერილობა და გრაფიკული მონახაზი შესრულებულია პ. უვაროვას მიერ გამოქვეყნებული ფოტოს მიხედვით¹⁰ (სურ. 1).

ხატის ცენტრალურ ნაწილში მთელი სიმაღლით გამოსახულია წმ. ეკატერინე¹¹. მას ხელები ვედრების ნიშნად ზემოთ

¹⁰ **П. С. Уварова.** Христианские памятники Кавказа, ტაბ. XI. წარწერის ფოტო თავდაყირა არის გამოქვეყნებული წიგნშიც: **Х. С. Бражба.** Из истории письменности в Абхазии. Тб., 1967, გვ. 21.

¹¹ **წმ. ეკატერინე** – ქრისტიანი დიდმოწამე, ბერძნულად მისი სახელი ნიშნავს „მუდამ სუფთას“. წმ. ეკატერინე წარმოშობით ალექსანდრიიდან იყო, მის მოწამებორივ სიკვდილს ათარიღებენ ახ.წ. 307 წლით. ცნობები ეკატერინეს ხსოვნის საპატივცემულო დღესასწაულის შესახებ ჩნდება არა უადრეს VIII საუკუნისა, მას შემდეგ რაც ეგვიპტელი ქრისტიანების მიერ აღმოჩენილი იქნა ეკატერინეს წმიდა ნაწილები, რომლებიც გადატანილი იქნა სინას მთაზე, მონასტერში. ამ მონასტერმა მრავალრიცხოვანი მლოცველი მიიზიდა. წმინდანის თაყვანისცემა ჯერ აღმოსავლეთში ქრისტიანულ ეკლესიაში გავრცელდა და შემდეგ გადავიდა დასავლეთში, სადაც მას მრავალი ჰიმნი და გართიმული ლეგენდა უძღვნეს. სინას მთაზე ეკატერინეს წმ. ნაწილებზე თაყვანსაცემად მიმავალ მლოცველთა მფარველობისათვის ჩამოყალიბდა წმ. ეკატერინეს სახელობის რა-

აქვს აპყრობილი (ფოტოზე ხატის დაზიანების გამო მხოლოდ ცალი ხელი ჩანს). ნიმბის ორივე მხარეს მოთავსებულია გამო-სახულების განმარტებითი ასომთავრული წარწერა.

ჩ ა ო რ ი ა ო ე კ ა ტ ე რ ი ნ ე

წარწერის ძირითადი ნაწილი მოთავსებულია ხატის ქვედა ჩარჩოს კიდეზე. ორსტრიქონიანი, ასომთავრული წარწერა შეს-რულებულია კიდურწაისრული დამწერლობით. განკვეთილობის ნიშანი ორწერტილი, ქარაგმის ნიშანი არ ახლავს (ტაბ. I).

† ჩ ო : ო რ ი ა ო ე კ ა ტ ე რ ი ნ ე : ო რ ი ა ო ე კ ა ტ ე რ ი ნ ე : ო რ ი ა ო ე კ ა ტ ე რ ი ნ ე : ო რ ი ა ო ე კ ა ტ ე რ ი ნ ე : ო რ ი ა ო ე კ ა ტ ე რ ი ნ ე

„† წ(მილა)ო ეკ(ა)ტირინე, მფარვ(ელ) ე/ქმ(ენ) სულითა მა-რიაშს, ამენ“

წარწერაში დასახელებული მარიამის პიროვნება ჩვენთვის უცნობია, ამიტომ წარწერის დასათარიღებლად პალეოგრაფიულ მონაცემებს უნდა მივმართოთ. პალეოგრაფიული თვალსაზრისით, ნიშანდობლივია „ან“-ის, „კან“-ის, „ნარ“-ის, „მან“-ის, „რაე“-ს, „ენ“-ის მონახულობანი (იხ. გრაფიკული აღწერილობა), რომლებ-ბიც სხვა გრაფემებზე მეტად მომრგვალებულია და ხასიათდება მკვეთრი, შეიძლება ითქვას, კლასიკური კიდურწაისრულობით, რაც დამახასიათებელია XI საუკუნის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებისათვის. ამ მონაცემებით, წარწერაც და ხატიც XI საუ-კუნით თარიღდება.

ენობრივი მონაცემებით საყურადღებოა წმინდანის სახელის გადმოცემის დასავლურ-ქართული ფორმა — „ეკატირინე“, რაც

ინდთა ორდენი. დასავლეთის ეკლესიაში წმ. ეკატერინე ითვლება განათლებისა და მოსწავლე-ჟმაწვილების მფარველად. წმ. ეკატერი-ნეს სახელობის ქალთა ორდენი, რომელშიც იმპერატორის მეუღ-ლესთან ერთად შედიოდნენ არისტოკრატიული წარმოშობის რუსი ქალები. წმ. ეკატერინეს კულტი პოპულარული იყო საქართველო-შიც, ჩვენში იგი ქალწულთა მფარველად ითვლება.

დამკვეთის ან, უფრო მეტად, ოსტატის დასავლურ-ქართულ, ე.ი. ადგილობრივ წარმომავლობაზე მიუთითებს. აღნიშნული მოვლენა ხშირია დასავლეთ საქართველოს ისტორიულ საბუთებში. მაგალითად: მარეხი-მარიხის¹², ლაზარე-ლაზარის, დემეტრე-დიმიტრის¹³ სახით გვხვდება ისეთ წყაროებში, როგორცაა ბედიისა და ხობის წარწერები, ლაბსყალდის სიგელი, ცაიშის საწინამძღვრე ჯვარი და ა.შ.

წმიდა ეკატერინეს ხატის სახით სახეზე გვაქვს წებელდის სანახებში, ადგილობრივი ოსტატის მიერ XI საუკუნეში დამზადებული ჭედური ხელოვნების ძვირფასი ძეგლი, კიდურწაისრული დამწერლობის კლასიკური ნიმუში.

წარწერაში დასახელებული მარიამი მაღალი წრის წარჩინებული ქალბატონი უნდა იყოს.

2. იოანე ნათლისმცემლის ხატის წარწერა

იოანე ნათლისმცემლის ხატი¹⁴ აღმოჩენისას დაზიანებული

¹² რ. შმერლინგი. ბედიის ტაძრის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის *მოამბე*, ტ. XVIII, №4, 1957, გვ. 504; ლ. ახალაძე. ბედიის ტაძრის ფრესკული წარწერა და დადიანთა მანდატურთუხუცესობის საკითხი. – „საინტერესო ძეგლები“, 3, 2000, გვ. 62.

¹³ პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები. ნაკვ. II. ტექსტები. თბ., 1941, გვ. 28; *სვანეთის წერილობითი ძეგლები*. ტ. I. ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამეცნიერო საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ. თბ., 1986, გვ. 103-104.

¹⁴ იოანე ნათლისმცემელი – ბიბლიურ-ისტორიული პირი. იყო მღვდელ ზაქარიასა და ელისაბედის შვილი. ქრისტეს უახლოესი წინამორბედი, რომელმაც კაცობრიობას ქრისტეს მოსვლის შესახებ აუწყა და მოამზადა ხალხი მაცხოვრის მოსვლისათვის. საზოგადოებრივი ცხოვრებით უკმაყოფილო იოანე უდაბნოში წავიდა და გახდა წინასწარმეტყველი. იგი ყველას მოუწოდებდა მონანიებისაკენ, რადგან ახლოვდებოდა მესიის მოსვლის დღე, ხოლო სულიერი განახლებისა და მონანიების ნიშნად მას წყაღში მონათვლა მიაჩნდა. იოანე გახდა გალილეის მეფის ჰეროდეს ბოროტების მსხვერპლი. მაცხოვრის დახასიათებით, „დედაკაცთა ნაშობთა შორის არავინ არის იოანეზე დიდი“ (მათე, 11,11;) (ლუკა 7,28).

იყო. ხატის ფოტო პირველად გამოაქვეყნა პ. უვაროვამ, ხოლო შემდეგ გ. ჩუბინაშვილმა. უნდა აღინიშნოს რომ ორივე ფოტოზე ხატს ერთნაირი დაზიანება აღენიშნება. ჩვენს მიერ შესრულებული ხატისა და წარწერის არქეოგრაფიული აღწერილობა და გრაფიკული მონახაზი, ასევე ტექსტის დადგენა ეყრდნობა პ. უვაროვას¹⁵ და გ. ჩუბინაშვილის¹⁶ ფოტოებს (სურ. 2). არც პ. უვაროვას და არც გ. ჩუბინაშვილს წარწერის ტექსტის ვარიანტი არ შემოუთავაზებიათ, ალბათ ტექსტის ძლიერი დაზიანების გამო.

ფოტოზე ჩანს წმინდანის ნიშბი და ხატი. ჩარჩო მოოქროვილი ვერცხლისა ყოფილა. ნიშბის ზედა მარჯვენა და მარცხენა კუთხეში მოთავსებულია წმინდანის გამოსახულების განმარტებითი წარწერა. წმინდანი მარჯვნივ არის მობრუნებული და ხელი ვედრების ნიშნად ზემოთ აქვს აპყრობილი. ხატზე ფერწერით გამოსახული ყოფილა იოანე ნათლისმცემელი. ახლა გამოსახულების ადგილი ცარიელია.

ხატის ქვედა ჩარჩო შეკვსებულია ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერით, განკვეთილობის ნიშანი – ორწერტილი, ქარაგმის ნიშანი – სწორი, განივი ხაზი.

დაზიანება: წარწერა, ისევე როგორც ხატი, ფოტოზე ძლიერ დაზიანებული ჩანს. ჭედური ფირფიტების აგლეჯვის გამო წარწერის ტექსტის დასაწყისი ნაკლებია. ტექსტის სრული წაკითხვა პ. უვაროვას დროსაც შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამისა, წარწერის ტექსტის ფრაგმენტული აღდგენა მაინც მოვახერხეთ (ტაბ. II).

**...ქԶԿԶ: ԶԻԿԾԸՆԳԼԿԶ: ՆԻԿԻԶԵՆԸ: ԶԻԿԾԸԿԶԿԶ:
ԾԿԶԶ: ԻԶԵՆԶԿԶ |**

**ԿԶԶԶ: [...].ԶԿ: ԶԿԶԶԶԶԶԶ: ԶԶԶԶ: ԶԶԶԶԶԶ: ԶԶԶԶ
ԶԶԶԶԶ ԶԶԶ: ԶԶԶ ԶԶԶԶԶ:**

„ [...] ხმაო მქადაგებლო, სინანულის(ა) მოსწავებაო, დიდო ნ(ა)თლისმცვე[მელი] /[...]რელობ[მლ(ვ)დ(ე)ლ]...სა მამკობი ხ(ა)-ტ(ი)სა ლმობ(ი)თ მქენ. ს(ა)ბა მ(ა)ლელის [ძეს]ს(ა) ივს მტკბე“

¹⁵ Христианские памятники Кавказа, ტაბ. X.

¹⁶ Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Тб., 1959, ტაბ. 385.

შინაარსობრივად წარწერა სამშენებლო წარწერათა რიცხვში ერთიანდება, საბა არის ხატის „მამკობი“ და ქტიტორი. ჩვენი ვარაუდით, იგი სასულიერო პირი უნდა იყოს, ამიტომ წარწერის დაზიანებულ ადგილზე შეიძლება აღვადგინოთ [მლ(ვ)დ(ე)ლ]სა (შეიძლება [ხ(უ)ც(ეს)]სა.

წარწერას თარიღი არ ახლავს და მის დათარიღებაში ვერც დასახელებული ისტორიული პირი დაგვეხმარება. პ. უვაროვა ხატის დათარიღებაზე არაფერს ამბობს, ხოლო გ. ჩუბინაშვილი იძლევა იოანე ნათლისმცემლის ხატის ჩარჩოზე და ნიშბთან შესრულებულ ორნამენტთა დახასიათებას, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ხატის გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტებით მორთულობას, რაც დამახასიათებელია ქართული ჭედური ხელოვნების არაერთი ნიმუშისათვის, მაგალითად, ლაბსყალდის წმ. ნიკოლოზის, გელათის მაცხოვრის, ზარზმის ფერისცვალების, შოდის წმ. გიორგის, მურქმერის ღვთისმშობლის და სხვა ქართულ ხატთა ორნამენტიკისათვის. ხატს ახასიათებს გეომეტრიული „ბუდისმაგვარი“ მოტივი ჩარჩოს მორთულობაში. აღნიშნული ორნამენტის არსებობა ქართულ ჭედურ ხელოვნებაში უკვე XI საუკუნეში გარდაუვალი უნდა იყოს. მკვლევარი ასევე დამთარიღებელ მნიშვნელობას ანიჭებს ხატზე გამოსახული წმინდანის ნიშბის მორთულობას, რომელიც, ასევე დამახასიათებელი უნდა იყოს XI საუკუნის ქართული ხელოვნებისათვის. შევადაროთ რამდენად ემთხვევა ხატის ხელოვნებათმცოდნეობითი დათარიღება მის პალეოგრაფიულ მონაცემებს.

მიუხედავად ძლიერი დაზიანებისა და ფრაგმენტულობისა ფოტოზე ადვილად ჩანს წარწერის გრაფემათა კიდურწერტილოვანი, ძალზე იშვიათად, კიდურწაისრული ხასიათი.

კიდურწერტილოვანი ხელოვნებითი დამწერლობა საქართველოში X-XII საუკუნეებში და გვიანდელ პერიოდში – XV-XVII საუკუნეებისათვისაც გვხვდება. მაგრამ მათ შორის სხვაობა არის. X-XII საუკუნეების წარწერები სიმეტრიულია და არ არღვევენ ასომთავრული დამწერლობისათვის დამახასიათებელ ორხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციებს, ხოლო XV-XVII სს. კიდურწერტილოვან წარწერებში შეიმჩნევა ასიმეტრიულობა და საწერი ბადის რღვე-

ვის ტენდენციები. ჩვენს შემთხვევაში, წებელდის იოანე ნათლისმცემლის ხატის წარწერა მყარად ზის ორხაზოვან საწერ ბადეში და დაცულია სიმეტრიულობა. ამ ნიშნით იგი XI საუკუნის კიდურწერტილოვანი დამწერლობის ძეგლების რიცხვში ერთიანდება.

წარწერაში შეინიშნება ხვეულდამწერლობა. მაგალითად, სიტყვებში „ხატისა“, „სინანულისა“, „მამკობი“ და ა.შ. (იხ. ტაბულა №2) ცალკეულ გრაფემათა გრაფიკული მოხაზულობა XI საუკუნის დამწერლობისთვის დამახასიათებელ სხვა ნიშნებსაც ავლენს. მაგ. „უნი“ ასომთავრულ წარწერაში გადმოცემულია ერთი ასოთი, რაც ქართულ წარწერებში X-XI საუკუნეებიდან გვხვდება.

თუ გავითვალისწინებთ ხატის ხელოვნებათმცოდნეობით და წარწერის პალეოგრაფიულ მონაცემებს, ხატიც და წარწერაც XI საუკუნით უნდა დავათარილოთ. წარწერაში დასახელებული „ხატის მამკობი“ საბა მალელის ძე (მლელის ძე) სხვა წყაროებით უცნობია.

3. აბულასან იობის ძის წარწერა წმ. ანდრია მოციქულის ხატზე

წმ. ანდრია მოციქულის ხატი¹⁷; ჭედური, ვერცხლის, ფოტოზე შემორჩენილია ხატის ფრაგმენტები. პირველ ფრაგმენტზე იკითხება სამი სტრიქონი, მეორე ფრაგმენტი ორსტრიქონიანია. ორივე ფრაგმენტზე წარწერა ასომთავრულია. განკვეთილობის ნიშანი – ორწერტილი, ქარაგმის ნიშანი – განივი კლაკნილი ხაზი. ხატის არქეოგრაფიული აღწერილობა და ტექსტის დადგენა ემყარება შემორჩენილ სურათს (სურ. 3). წარწერა გამოკვეთებულია ე. თაყაიშვილის და ქ. ჩხატარაიშვილის მიერ.

† ზ: ყწ: წწ: გიღჟიღზ: ქლს: იღსღ: წნზჟღ:
ყრქრქრ გნქრქ |
ღს: რს გსღღღღღღ: ხზლნ რწრწღს: ზს:
გრღღღღღღ |

¹⁷ წმ. ანდრია მოციქული – ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფეთაგანი. საქართველოში ცნობილია, როგორც ქართველებში ქრისტიანობის პირველი მქადაგებელი.

QXQGNLX: CQXNLCNXLN: JQNLKX |
[XHXG]XN: YXN: KQQA: JN YN: LQXN:
HXN N C KNC[...] N XNNDQ:

„† კ(ოი) ყ(ოვლა)დ წ(მიდა)ო მოციქულო ქ(რის)ტ(ე)ს
ღ(ვ)თისაო*“

ანდრია შეიწირე მცირე(დი) ესე მსახურებაი ჩ(ე)მგ(ა)ნ
ე(რისთავთ) ე(რისთა)ვისა და

მეჭურ(ჭლეთ)/ უხუცესისა აბულასანისაგან იობისძისა.

(ვერცხ)/ლითა შევჭედე კუბოჲ ესე შ(ე)ნი,/ სულისა ჩემისა
და ძმათა [...] და ელიასათუს“

ჩ * (წმი) დაო

წმ. ანდრია მოციქულის ხატი ე. თაყაიშვილმა შეცდომით
ლურჯი მონასტრის საკუთრებად მიიჩნია და მისი წებელდიდან
წარმომავლობის შესახებ არაფერი იყო ცნობილი. აღნიშნული
შეცდომა გამოასწორა ქ. ჩხატარაიშვილმა¹⁸, რომელმაც ერთმა-
ნეთს შეუდარა პ. უვაროვას ნაშრომში თავდაყირა გამოქვეყნებუ-
ლი ხატის ფოტოს ფრაგმენტი, ხატის შემორჩენილი ფოტო და
ე. თაყაიშვილის პუბლიკაცია და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ეს
ერთი და იგივე ხატია ერთი და იმავე წარწერის ტექსტით.

ხატიც და წარწერაც უნდა დათარიღდეს წარწერაში დასა-
ხელებული ისტორიული პირის – აბულასან იობის ძის მოღვა-
წეობის პერიოდით.

ანდრია მოციქულის ხატის შემწირველი აბულასანი ქარ-
თულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად გაიგივებულია თამარის
ეპოქის სახელმწიფო მოღვაწესთან ქართლის ერისთავთ ერისთა-
ვისა და მეჭურჭლეთუხუცესის აბულასან იობის ძის სახელთან.
აბულასანის პიროვნებით სხვადასხვა დროს დაინტერესდნენ: ა. ხა-
ხანაშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ერემიანი, პ. ინგოროყვა, ი. ცინ-
ცაძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. მესხია, გ. ჩუბინაშვილი, რ. მეტრევე-

¹⁸ ქ. ჩხატარაიშვილი. აბულასან იობისძის წარწერა წებელდიდან...
გვ. 88-89; Е. Такаишвили. Археологические экскурсии, разыскания и за-
метки. Вып. II. 1905, გვ. 68-71.

ლი, ზ. პაპასქირი, ქ. ჩხატარაიშვილი და სხვები.

ცნობილია, რომ საქართველოს სასულიერო და საერო პირებმა, აბულასანის წინადადებით, თამარის ქმრის შერჩევასა რუს უფლისწულ გიორგი ანდრეას ძეზე შეაჩერეს არჩევანი. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანის“ ცნობით, აბულასანი იყო „მეფეთ მეფისაგან ჳელდასმული და ამირა ქართლისა და ტფილისისა“.¹⁹ ვახუშტი ბაგრატიონი საერთოდ არ ახსენებს აბულასანს, მაგრამ თამარის ქმრის შერჩევის ისტორიას შემდეგნაირად მოგვითხრობს: „ხოლო მკმუნვარეთა დიდებულთა ვერ მპოვნელთა საქმროდსა თამარისათა წარმოუდგათ კაცი ვაჭარი ტფილელი მეტყუელი: „მე საქმრო უწყი შესატყვისი თამარისა, რომელი არს სვიაჯსა ქალაქსა შინა ყივჩაყეთს, ძე რუსთა მეფისა, ბიძისა თვისისგან ვსევილოდისა მცირე ექსორია-ქმნილი და აწ ჰასაკითა სრული“.²⁰ ვახუშტის სიტყვები „კაცი ვაჭარი ტფილელი“ გაიგებებულ იქნა აბულასან იობის ძესთან, რომელსაც ა. ხახანაშვილმა რატომღაც უწოდა „одного из тифлиссских армян“. ა. ხახანაშვილის ეს მოსაზრება ეყრდნობოდა ვახუშტის ტექსტის არასწორ ინტერპრეტაციას²¹, რის საფუძველზეც, აბულასან იობის ძე ჯერ თბილისელ სომეხ ვაჭრად, ხოლო შემდეგ ს. ერემიანის მიერ, ახპატისა და მანკაბერდის მფლობელ სომეხ ფეოდალ ამირქურდი არწრუნად იქნა გამოცხადებული²². აღნიშნული მოსაზრება დღეს გაზიარებულია სომხურ ისტორიოგრაფიაში. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ბერძენიშვილის²³, ი. ცინცაძის²⁴, შ. მესხი-

¹⁹ „ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანის“. *ქართლის ცხოვრება*, ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959, გვ. 96.

²⁰ **ბატონიშვილი ვახუშტი**. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973, გვ. 173.

²¹ **А. С. Хаханов**. Положение армян в грузинском государстве. Братская помощь пострадавшим в Турции армянам. Изд. 2-е. М., 1898, გვ. 551.

²² **С. Т. Еремян**. Юрий Боголюбский в армянских и грузинских источниках. – Научные труды Ереванского гос. университета, т. XXIII. 1946, გვ. 395.

²³ **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VII. თბ., 1974, გვ. 96-104.

²⁴ **ი. ცინცაძე**. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVII სს). თბ., 1956.

ას²⁵ და სხვათა მიერ სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ეს მოსაზრებები აბულასანის სოციალურ წარმომავლობაზე, აზრთა სხვადასხვაობა მაინც არსებობს. მკვლევართა ერთ ნაწილს აბულასანი თბილისის მოქალაქეთა პრივილეგირებული ზედაფენებიდან, დიდვაჭრებისა და ფინანსისტების წრიდან გამოსულ მოხელედ²⁶, ხოლო მეორე ნაწილს ძირძველ ქართველ აზნაურთა და დიდებულთა წარმომადგენლად მიაჩნია²⁷.

აბულასან იობის ძის წარმომავლობისა და ნათესაური წრის წარმოშობის საკითხებს მიეძღვნა ორი შესანიშნავი ნაშრომი. კერძოდ, შ. დარჩიაშვილმა დამაჯერებლად უარყო აბულასან იობის ძისა და მისი ძმის, ბასილი ქართლის მთავარეპისკოპოსყოფილის იდენტიფიკაცია სომეხ ამირქურდ არწრუნთან და ჰალბატის წინამძღვარ ბარსელთან. სომხური ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემებზე დაყრდნობით დაზუსტდა, რომ ჰალბატის მონასტრის წინამძღვარი ეკუთვნოდა უქანიანთა და არა არწრუნთა გვარს, თანაც მას არასოდეს ჰყოლია ძმა სახელად ამირ-ქურდი (სომეხი ისტორიკოსების აზრით, იგივე აბულასან იობის ძე). მკვლევარმა ასევე წარმოადგინა აბულასან იობის ძის ნათესაური წრე, რომლის მიხედვით, აბულასანის მამას იობს ჰყავდა სამი შვილი – ბასილი (ქართლის მთავარეპისკოპოსყოფილი), აბულასანი (ერისთავთა ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი) და ელია²⁸.

აბულასანის სოციალურ წარმომავლობაზე საინტერესო დაკვირვება აქვს ქ. ჩხატარაიშვილს. ცხადია, წებელდის წმ. ანდ-

²⁵ შ. მესხია. საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში. თბ., 1962.

²⁶ შ. მესხია. საქალაქო კომუნა... გვ. 134; **З. В. Папаскири**. У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 138; **რ. მეტრეველი**. მეფე თამარი. თბ., 1991, გვ. 138.

²⁷ **პ. ინგოროყვა**. რუსთველიანას ეპილოგი. თხზულებათა კრებული, ტ. I. თბ., 1963, გვ. 645, 648; **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII. თბ., 1974, გვ. 96, 104; **ი. ცინცაძე**, ძიებანი... გვ. 97; **დ. მუსხელიშვილი**. თბილისის ამირთამირობის ინსტიტუტისათვის. – კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“. თბ., 1966, გვ. 214.

²⁸ **შ. დარჩიაშვილი**. სომხური ეპიგრაფიკა და „ქართლის ცხოვრება“ XII საუკუნის ზოგიერთი ქართველი და სომეხი ისტორიული პირის მცდარი იდენტიფიკაციის შესახებ. – „ქართული დიპლომატია“, 10. თბ., 2003, გვ. 520-535.

რია მოციქულის ხატი ანდრია მოციქულის მონასტრისთვისაა შეჭედილი, რადგან ანდრია მოციქულის სახელობის ტაძრების მშენებლობის ტრადიცია, ძირითადად, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში არსებობდა. ამიტომ ის ფაქტი, რომ აბულასან იობის ძემ თბილისში საგვარეულო ეკლესია ააგო წმ. ანდრია მოციქულის სახელზე, აბულასანის ვინაობისა და მისი გვარის წარმომავლობისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობისაა. შესაბამის წყაროებზე დაყრდნობით მკვლევარმა დააზუსტა, რომ XII საუკუნეში თბილისის მკვიდრნი იობის ძენი წარმოშობით დაღიწებელდელი მარუშიან-მარუშისძეების შთამომავლების ერთ შტოს წარმოადგენდნენ. „ლურჯი მონასტრის აგების დროისათვის მარუშიანთა დიდი საგვარეულოდან კარგა ხნის გამოყოფილნი არიან, მაგრამ როგორც ჩანს, მათ კავშირი არ გაუწყვეტიათ თავიანთ საგვარეულო მამულსა და სალოცავთან („ძირ ხატთან“) წებელდამი. აბულასან იობის ძის შეწირულება ამის დადასტურება უნდა იყოს²⁹.

დასახელებული ნაშრომების გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ აბულასან იობის ძე ქართველ დიდებულთა და წარჩინებულთა მარუშიან მარუშისძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა.

წმ. ანდრია მოციქულის ხატის წარწერაში აბულასანი დასახელებულია, როგორც ერისთავთ ერისთავი და მეჭურჭლეთუხუცესი, ხოლო თამარის საქმროს შერჩევის გამო გამართული დარბაზობის დროს, იგი იყო „მეფეთ მეფისგან წყალობა ჰქვდასმული და ამირა ქართლისა და ტფილისისა“. ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანადაა მიჩნეული, რომ ერისთავთ ერისთავისა და მეჭურჭლეთუხუცესის სახელოები მას უნდა მიეღო 1185 წელსვე, გიორგი რუსისა და თამარის დაქორწინებისთანავე, ხოლო გიორგი რუსის საქართველოდან გაძევების შემდეგ მას აღნიშნული სახელოები უნდა დაეკარგა. მაშასადამე, წმ. ანდრია მოციქულის ხატი 1185-1187 წლებში უნდა იყოს შეჭედილი და წარწერაც ასევე უნდა დათარიღდეს.

წარმოდგენილი ჭედური ხატების წარწერათა მონაცემებით

²⁹ ქ. ჩხატარაიშვილი. აბულასან იობისძის წარწერა წებელდიდან... გვ. 83-105.

წებელდა და მისი შემოგარენი მდიდარი ყოფილა ეკლესია-მონასტრებით. წარწერების შინაარსიდან ირკვევა, რომ წებელდაში იყო იოანე ნათლისმცემლის სახელობის, წმ. ანდრია მოციქულისა და წმ. ეკატერინეს სახელობის ეკლესიები. თუ ამ მონაცემებს დავუმატებთ ლაპიდარულ წარწერებში დაცულ ინფორმაციას, მაშინ წებელდის რეგიონში სახეზე გვაქვს ხუთი ეკლესია – წმ. თევდორეს, წმ. გიორგის სახელობის, იოანე ნათლისმცემლის, ანდრია მოციქულისა და წმიდა ეკატერინეს სახელობის ეკლესიები. აღნიშნული მონაცემები დასტურდება არქეოლოგიური გათხრებით³⁰, რომელთა მიხედვით ამ რეგიონში ათამდე ეკლესია არის აღრიცხული და გათხრილი. წებელდის არქეოლოგიური გათხრების გაცნობისას, 1989 წელს, ჩვენც ვნახეთ რამდენიმე დარბაზული ტიპის ეკლესიისა და ქრისტიანული სალოცავის ნანგრევები. დასახელებული ეკლესიებიდან წმ. თევდორეს სახელობის ეკლესია XI საუკუნეში უნდა იყოს აგებული, წმ. გიორგის ეკლესიის სამშენებლო წარწერა XII-XIII საუკუნეების მიჯნით თარიღდება და, ცხადია, ეკლესიაც ამ პერიოდით უნდა დათარიღდეს. შედარებით ადრეულ ეპოქებში (X საუკუნემდე) უნდა იყოს აგებული ანდრია მოციქულისა და იოანე ნათლისმცემლის ეკლესიები.

³⁰ *Археологические исследования в Цебельде*. Тб., 1983; **Ю. Н. Воронов**. Тайна Цебельдинской долины. М., 1975; **Ю. Н. Воронов**. Археологическая карта Абхазии. Сухуми, 1969.



სურ. 1. წმ. ეკატერინეს ხატი

ჩუ

გუჯაგუ

+ ჩო:უგუჯაგუ

გ:გუჯაგუ ბუ

+ გუ:უოუგუგუ:

გუჯაგუგუგუგუ

ტაბ. I. წმ. ეკატერინეს ხატის წარწერა



სურ. 2. წმ. იოანე ნათლისმცემლის ხატი

ჰუდაგჩინტუნუხობანინდთხედამსჩუნ

ყლო: ზინდინფსსს

ჩინბოჲ ლხინფიოჲჲ:ჩინდუნხობინ:ჩინჩინცუნუნხმინ

გჲს ვეჩუნ



სურ. 3. აბულასან იობის ძის წარწერა

Л. В. АХАЛАДЗЕ

ЧЕКАННЫЕ НАДПИСИ ЦЕБЕЛЬДЫ

Эпиграфические памятники Абхазии делятся на три группы: лапидарные, фресковые и чеканные надписи.

В работе изучена и расшифрована одна часть грузинских чеканных надписей Абхазии, в частности, Цебельдинские чеканные надписи, которые высечены на иконах. Фотоснимки этих икон были опубликованы в работах П. Уваровой и Г. Чубинашвили. Одна из них, надпись Абуласана Иобис-дзе была расшифрована Е. Такайшвили и опубликована несколько раз. В статье уточнены тексты этих надписей и дан источниковедческий и палеографический анализ.

Двухстрочная мемориальная надпись Мариам высечена на иконе св. Екатерины и характеризуется конечно-стрелочными формами букв, которые по палеографическим признакам свойственна для грузинского алфавита XI века.

Строительная надпись Сабы на иконе св. Иоанна Крестителя по палеографическим признакам характеризуется конечно-точечными буквами, которые расположены симметрично друг от друга и датируется XI веком.

Надпись Абуласана Иобис-дзе на иконе св. Андрея Первозванного датирована 1185-1187гг.

Из содержания этих надписей выясняется, что в Цебельде были монастыри в честь св. Иоанна Крестителя, св. Андрея Первозванного и св. Екатерины.

დავით ზაქარაია

პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XVIII ს. ბოლო მემოთხედში. ქელეშ-ბეი შარვაშიძის პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი პერიოდი. 1774-1800წწ.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისისათვის, აფხაზეთის სამთავრო, სხვა დასავლურ-ქართული პოლიტიკური ერთეულების მსგავსად, ცდილობდა რუსეთ-თურქეთის 1768-74 წლების ომი გამოეყენებინა თურქეთის ბატონობისაგან გასათავისუფლებლად. აფხაზეთის მთავარი ზურაბ შარვაშიძე და სამურზაყანოს მფლობელი ლევან შარვაშიძე სათავეში ჩაუდგნენ აფხაზეთში ანტიოსმალურ აჯანყებას. აჯანყებულებმა სოხუმის ციხე-სიმაგრედან თურქი მეციხოვნეები განდევნეს¹. მიღწეული გამარჯვების შენარჩუნება შეუძლებელი გახდა ლევან და ზურაბს შორის ატეხილი შუღლის გამო. რაინგის მიხედვით, რომელიც სპეციალური დავალებით საქართველოში გამოაგზავნეს, როგორც რუსეთის საქმეთა რწმუნებული (ის ჩრდილოეთ კავკასიაში განლაგებული ჯარის სარდლის გენერალ-პორუჩიკ პავლე სერგის ძე პოტიომკინის თანაშემწედ ითვლებოდა), „გამარჯვებულები ოსმალებს კიდევ უფრო მეტ ზიანს მიაყენებდნენ შეერთებული ძალითა და ქვეყნის საიმელო მდებარეობის მეშვეობით, რომ არ გათიშულიყვნენ ძმების ლევან შარვაშიძესა და ზურაბ-ბეის შორის ამტყდარი ჩხუბისა და უთანხმოების გამო“.² ლევანს და ზურაბს,

¹ ი. რაინგსი. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 2002, გვ. 109; **Ф. Ф. Торнау.** Воспоминания Кавказского офицера. М., 2000, გვ. 34; **Г. А. Дзидзария.** Присоединение Абхазии к России. – *Труды*, I. Сухуми, 1988, გვ. 17.

² ი. რაინგსი. მოგზაურობა..., გვ. 17, 109.

ასევე ძმებად მოიხსენიებს, ტორნაუ³. ა. პახომოვის მოხსენებით ბარათში ლევანი ზურაბის ძმად არ არის მოხსენიებული⁴.

ზურაბი იძულებული გახდა, სოხუმის ციხე-სიმაგრე სამურ-ზაყანოს მფლობელ ლევან შარვაშიძისათვის დაეთმო. მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად ითვლებოდა, აფხაზეთის სამთავრო ერთიანი მონოლითური პოლიტიკური ერთეული არ იყო⁵. ამ დროისათვის აფხაზეთის მთავარი უშუალოდ განაგებდა ტერიტორიას მდ. გუმისთასა და მდ. ბზიფს შორის⁶. ლევან შარვაშიძეს კი, რაინგის ცნობით, „რამდენიმე სოფელი და სოხუმი შერჩა“⁷.

ზოგიერთი მკვლევარის (ბ. ხორავა, ზ. წურწუშია) მოსაზრება, იმის შესახებ, რომ ლევან შარვაშიძემ თურქებს სოხუმის ციხე-სიმაგრე მიჰყიდა, სინამდვილეს არ შეეფარება⁸. აღნიშნული მკვლევარები აპელირებენ დიუბუა დე მონპერეს ცნობით, რაც მთლად გამართლებულად არ გვეჩვენება. დიუბუა დე მონპერე მართლაც წერს, რომ: „...они (ზურაბ და ლევან შარვაშიძეები – დ.ზ.) смогли бы утвердить свою независимость, но они были обессилены раздорами и Леван вынужден был продать туркам крепость Сухуми-Кале за двадцать турецких мешков, или десять тысяч пиастров (24000 франков)“, შემდეგ აღნიშნავს: „Так рассказывает об этом событии Рейнегс, и я ему охотно верю“⁹.

მაგრამ ამის დადასტურებას ი. რაინგსთან ვერ ვპოულობთ.

³ **Ф. Ф. Торнау.** Воспоминания., გვ. 34.

⁴ **А. Пахомов.** Записка об имениях князя Шервашидзе. – იხ.: **ირ. ანთელავა, გ. ძიძარია.** მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. – „საისტორიო ძეგლები“, ტ. 7. თბ., 1953, გვ. 243, 292.

⁵ **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии XVII-XVIII вв. Сухуми, 1951, გვ. 80; **З. В. Анчабадзе.** Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976, გვ. 71-72; **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს. თბ., 1996, გვ. 164.

⁶ **И. Г. Антелава.** Очерки., გვ. 80.

⁷ **ი. რაინგსი.** მოგზაურობა., გვ. 110.

⁸ **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა., გვ. 161; **ზ. წურწუშია.** აფხაზეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი თურქულ ისტორიოგრაფიაში. – „საისტორიო ძეგლები“, 5, 2002, გვ. 128.

⁹ **Ф. Дюбуа де Монпере.** Путешествие вокруг Кавказа. Т. I. Сухуми, 1937, გვ. 117.

ჩვენ გადავამოწმეთ ი. რაინეგსის თხზულებათა გამოცემები და მათში მხოლოდ ასეთი ცნობა აღმოვაჩინეთ: „ლევან შარვაშიძე შეუთანხმდა თურქებს და წლიური საზღაურის, ოცი ქისა (ექვსი ათასი მანეთი) – ფასად გადასცა იანიჩრების სოხუმის ციხე: ამ ციხისათვის უკეთ რომ ეპატრონათ, იგი იქნებოდა გასაღები დასავლეთ კავკასიისა, მით უმეტეს, რომ დაცულია და გამაგრებული აგუა ანუ აკუა-თი, ესაა მტკიცე პუნქტი, რომელიც საფეხურის ფორმის ყავისფერ ტრაპიზებურ კლდეზე ძევს“.¹⁰ ე. ი. საქმე გვაქვს არა გაყიდვასთან, არამედ ღრობით გადაცემასთან. ამასვე ადასტურებს დიუბუა დე მონპერეს თანამედროვე ოფიცერი ფ. ტორნაუც, „პირველი აფხაზური ექსპედიციის“ ხელმძღვანელი, რომელიც თავის მოგონებებში აღნიშნავს: „ლევანმა, ზურაბთან უთანხმოების გამო, თურქებს კვლავ გადასცა სოხუმი“.¹¹ აქ გასათვალისწინებელია, რომ ფ. ტორნაუ წერილობით წყაროებს საერთოდ არ ეყრდნობოდა და თავის მოგონებებს 1856წ. ვენაში წერდა.

თავის დროზე ირ. ანთელავასა და გ. ძიძარიას ყურადღება არ გაუმახვილებიათ ამ ფაქტზე. ისინი მხოლოდ აღნიშნავდნენ, რომ თურქებმა, გამოიყენეს რა ძმებს შორის შუღლი, იოლად ჩაიგდეს ხელში სოხუმის ციხე-სიმაგრე¹².

ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ რაინეგსის ცნობას, ვინაიდან ის იყო ამ მოვლენების თანამედროვე, და მიგვაჩნია, რომ ლევანმა ყოველწლიური საზღაურის ფასად სოხუმის ციხე-სიმაგრე უბრალოდ გადასცა თურქ მეციხოვნეებს. ეტყობა, ამ ნაბიჯისკენ მას უბიძგა ზურაბთან კონფრონტაციამ. ლევანი ამ გზით ცდილობდა სოხუმის ციხე-სიმაგრის შენარჩუნებას. რაინეგსის ცნობით, თურქებს სოხუმის ციხე-სიმაგრე „მხოლოდ სამი წელი ეკავათ და მიატოვეს როგორც მათთვის გამოუსადეგარი პუნქტი“.¹³ ამ ფაქტს

¹⁰ **Dr. Jacob Reineggs.** Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus. II. Hildesheim und St. Petersburg, 1797, გვ. 7, 8; ი. რაინეგსი. მოგზაურობა..., გვ. 110. ხაზგასმა ჩვენია – დ.ზ.

¹¹ **Ф. Торнау.** Воспоминания Кавказского офицера. 1835 год. Ч. I. М., 1864, გვ. 6.

¹² **Г. А. Дзидзария.** Присоединение..., გვ. 17-18; **И. Г. Антелава.** Очерки..., გვ. 79.

¹³ ი. რაინეგსი. მოგზაურობა..., გვ. 110.

ადასტურებენ დიუბუა დე მონპერე და ტორნაუც¹⁴.

მაგრამ, როგორც ჩანს, რაინგისის ცნობა იმის შესახებ, რომ თურქებმა მიატოვეს სოხუმის ციხე-სიმაგრე, სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს. მას შემდეგ, რაც, ლევან შარვაშიძემ სოხუმის ციხე-სიმაგრე ყოველწლიური საზღაურის ფასად თურქებს გადასცა, მისი ავტორიტეტი ადგილობრივ მოსახლეობაში მკვეთრად დაეცა. აფხაზებმა ამის შემდეგ დაიწყეს განუწყვეტელი თავდასხმები სოხუმის ციხე-სიმაგრეზე.

ამ თავდასხმების უკან, ეტყობა, თვით ზურაბ შარვაშიძე იდგა. ამის შესახებ წერს ტორნაუ: „...турки держались в нем (სოხუმის ციხე-სიმაგრეში – დ.ზ.) после того (1771 წლიდან – დ.ზ.) не более трех лет утомленные беспрерывным нападением Абхазцев“.¹⁵ ლევან შარვაშიძემ, მიტოვებულმა თავის მფარველ ბატონთაგან და ხალხისაგან შეძულებულმა, საჭიროდ დაინახა ანაკლიაში გაქცევა¹⁶. ამ დროს, ანაკლიის ციხეში თურქი მეციხოვნეები იდგნენ.

თურქების მიერ ანაკლიის ციხის ხელმეორედ დაკავება 1772 წლიდან მომხდარა, რადგან ამ წელს საქართველოში მყოფი გერმანელი მეცნიერის იოჰან გიულდენშტედტის (1745-1781) ცნობით, ანაკლია ფორმალურად აფხაზეთის მთავრის სამფლობელოს საზღვრებში ყოფილა მოქცეული¹⁷. სწორედ, ანაკლიაში ნახა თავშესაფარი „ხალხისგან შეძულებულმა“ ლევან შარვაშიძემ. რაინგისი „მფარველი ბატონების“ ქვეშ ალბათ გულისხმობს იმ თურქ მეციხოვნეებს, რომელიც მან მოიწვია სოხუმის ციხე-სიმაგრეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაუგებარი იქნება, როგორღა ნახა მან თავშესაფარი ანაკლიაში, თუ საერთოდ „თურქეთის მიერ იყო მიტოვებული“. ანაკლია ხომ ოსმალეთის იყო. თუ რატომ წავიდა ლევან შარვაშიძე ოსმალეთის ანაკლიაში და არა სამურზაყანო-

¹⁴ **Ф. Дюбуа де Монпере.** Путешествие..., გვ. 117; **Ф. Ф. Торнау.** Воспоминания..., 2000წ. გამოც., გვ. 34.

¹⁵ **Ф. Ф. Торнау.** Воспоминания..., 2000წ. გამოც., გვ. 7, 34.

¹⁶ **ო. რაინგისი.** მოგზაურობა..., გვ. 110.

¹⁷ **Иоганн Антон Гильденштедт.** Путешествие по Кавказу в 1770-1773гг. С.-П., 2002, გვ. 228; **ა. ტულუში.** ანაკლიის ისტორია. ზუგდიდი, 1999, გვ. 15.

ში, ალბათ განპირობებული იყო ოდიშის მთავარ კაცია დადიანთან არსებული დამოკიდებულებით.

ისტორიოგრაფიაში აქამდე ეს ფაქტი ყურადღების მიღმა რჩებოდა. მკვლევარებს ლევან შარვაშიძე დახასიათებული ჰყავთ როგორც „პროქართული ორიენტაციის პიროვნება“, ანტიოსმალურ ღონისძიებების აქტიური მონაწილე და რუსეთთან დაახლოვების ინიციატორი აფხაზეთის სამთავროში¹⁸. ჩვენი მოსაზრებით, ლევან შარვაშიძის ცალმხრივი შეფასება გაუმართლებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მისი ტრანსფორმაცია „აჯანყებულთა ლიდერიდან“ „თურქეთის ქვეშევრდომობამდე“ შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და ამას საფუძვლად ედო აფხაზეთის მთავარ ზურაბ შარვაშიძესთან კონფრონტაცია. წყაროების სიმწირის გამო შეუძლებელია იმის თქმა, უჭერდა თუ არა ოსმალეთი მხარს ლევან შარვაშიძეს, მაგრამ ცნობილია, რომ „ბრწყინვალე პორტა“ ნებისმიერ საშუალებას იყენებდა აფხაზეთის სამთავროზე კონტროლის დასამყარებლად.

ლევან შარვაშიძემ, რაინეგსის მიხედვით, ანაკლიაში გაიგო, „სამწუხარო ცნობა, რომ ქელემ-ბეის დაეკავებინა ეს (სოხუმის – დ.ზ.) ციხე“.¹⁹ ეს მომხდარა 1774 წელს. ე. ი. გამოდის, რომ 1771 წლიდან 1774 წლამდე სოხუმის ციხე ლევანის სამფლობელოდ ითვლებოდა. 1774 წლიდან აფხაზეთის სამთავროში აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას იწყებს ქელემ-ბეი შარვაშიძე. წყაროების სიმწირის გამო ჩვენთვის უცნობია, რა გარემოებაში დაიკავა ქელემ-ბეიმ სოხუმის ციხე-სიმაგრე. რაინეგსი აღნიშნავს მხოლოდ, რომ ქელემ-ბეი შარვაშიძემ ლევანის მიერ „მიტოვებული“ სოხუმის ციხე-სიმაგრე დაიკავა²⁰. ფ. ტორნაუ თავის მოგონებებში წერს, რომ „მაშინ ქელემ-ბეიმ სოხუმი დაიკავა და აფხაზები დაიმორჩილა“.²¹ სხვა წყაროების უქონლობის გამო არ არის ცნობილი, თუ რას გულისხმობდა ავტორი „აფხაზების დაიმორჩილების“ ქვეშ. ისტორიკოსი ზ. წურწუშია წერს, რომ: „ოს-

¹⁸ **И. Г. Антелава.** Очерки..., გვ. 79; **Г. А. Дзидзария.** Присоединение..., გვ. 16.

¹⁹ **ი. რაინეგსი.** მოგზაურობა..., გვ. 110.

²⁰ **ი. რაინეგსი.** მოგზაურობა..., გვ. 110.

²¹ **Ф. Ф. Торнау.** Воспоминания..., 2000წ. გამოც., გვ. 34.

მალებმა სოხუმის (აფუს) ციხე მთავრის ძმისწულს, გამაჰმადიანებულ შარვაშიძეს, ქელაიშ აჰმედ ბეგს ჩააბარეს“.²² ამასთან დაკავშირებით ავტორი უთითებს ირ. ანთელავას ნაშრომს. პროფ. ირ. ანთელავა (ასევე გ. ძიძარია, ხორავა და სხვ.), მართალია, ხაზს უსვამს ქელეშ-ბეის „მართლმორწმუნე მაჰმადიანობას“ და აფხაზეთის მთავრის მემკვიდრედ მის დანიშვნას²³, მაგრამ არაფერს ამბობს ოსმალების მიერ სოხუმის ციხის ქელეშ-ბეისთვის ჩაბარებაზე. ის მხოლოდ ქელეშ-ბეის მიერ სოხუმის ციხე-სიმაგრის ფლობის ფაქტს აფიქსირებს²⁴.

მიგვაჩნია, რომ ზურაბ შარვაშიძემ ქელეშ-ბეი ბათუმიდან ჩამოიყვანა. მისი ჩამოყვანით აფხაზეთის მთავარმა საბოლოოდ მოუსპო სამურზაყანოს მფლობელ ლევან შარვაშიძეს სოხუმის ციხე-სიმაგრის და მიმდებარე ტერიტორიის დაუფლების სურვილი.

საისტორიო წყაროებში არ მოიპოვება კონკრეტული ინფორმაცია ქელეშ-ბეი შარვაშიძის ვინაობასთან დაკავშირებით. მაგალითად, დიუბუა დე მონპერე, რაინეგსზე დაყრდნობით (მათი ცნობები ერთმანეთს არ ეთანხმება) აღნიშნავს: „ამტკიცებენ, რომ ვილაცა ქელეშ-ბეი, რომელმაც სოხუმის ციხე-სიმაგრე დაიკავა შარვაშიძეთა საგვარეულოს ეკუთვნის“.²⁵ ფ. ტორნაუ თავის მოგონებებში ქელეშ-ბეი შარვაშიძის ვინაობაზე საერთოდ არ საუბრობს და უბრალოდ მიუთითებს, რომ მან დაიკავა სოხუმი²⁶. ისტორიკოსთა უმრავლესობა ქელეშ-ბეი შარვაშიძეს მიიჩნევს აფხაზეთის ყოფილი მთავრისა და იმჟამად ბათუმის ფაშის, მანუჩარ შარვაშიძის შვილად.²⁷

არის ცნობები, რომ ქელეშ-ბეი ჩაჩბების საგვარეულოს ბათუმური შტოს წარმომადგენელია. „თურქი მეომრის“ შვილის (ხალილ ატალავ იფას) გადმოცემით, „ის (იგულისხმება ქელეშ-ბეი

²² **ზ. წურწუშია**. აფხაზეთის..., გვ. 128.

²³ **Г. А. Дзидзария**. Присоединение..., გვ. 22; გვ. 113; **ბ. ხორავა**, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 161.

²⁴ **И. Г. Антелава**, Очерки..., გვ. 80.

²⁵ **Ф. Дюбуа де Монпере**. Путешествие..., გვ. 117.

²⁶ **Ф. Ф. Торнау**. Воспоминания..., 2000წ. გამოც., გვ. 34.

²⁷ **Г. А. Дзидзария**. Присоединение..., გვ. 22; **И. Г. Антелава**, Очерки..., გვ. 82.

– დ.ზ.) ბათუმური ჩანბებიდან წარმომავლობით ამაცობდა“.²⁸

აფხაზეთის მთავარმა ზურაბ შარვაშიძემ ქელემ-ბეი ძიაფშიფების ასულზე დააქორწინა²⁹. ამით აფხაზეთის მთავარმა 60-იან წლებში გაძლიერებული ძიაფშიფები დაამოშინა.

ქელემ-ბეი შარვაშიძემ, პირველ რიგში, სოხუმის ციხე გამაგრა. მან მანუჩარს (ბათუმის ფაშა) ბათუმში ზუტუნია მარშანია, ვილაც ანჩაბაძე და ერთი ზვანბაია გაუგზავნა. ქელემ-ბეი მამას სთხოვდა ხელოსნების, განსაკუთრებით ქვისმთლელების, გამოგზავნას. ისინი მანუჩარის თაოსნობით ოსმალეთიდან მოიწვიეს. სოხუმის გამაგრების გარდა ქელემ-ბეიმ მიმდებარე ტერიტორიაზე დანგრეული სახლები აღადგენინა³⁰.

1775წ. აფხაზეთის სამთავროში ინგლისელი კაპიტანი თომას რეინი იმყოფებოდა, რომლის ცნობის თანახმად, „ოსმალეთი მთელი მონღოლებით ცდილობდა და ცდილობს აფხაზი ხალხის მიძნრობას, მაგრამ უშედეგოდ“.³¹

ქელემ-ბეიმ, ზურაბთან შეთანხმებით, დააკმაყოფილა ბათუმის ფაშის მანუჩარ შარვაშიძის ჰარემის უფროსის, ქობულეთელი შირვან შარვაშიძის (ა. პახომოვის მოხსენებით ბარათში ის სამცხელი წვრილი აზნაურის მემკვიდრედ არის გამოცხადებული) შვილის ბექირის თხოვნა, მისი აფხაზეთის სამთავროში მიღებასთან დაკავშირებით. ის გააგზავნეს სოფ. კვიტოულში. მას უფლება მიეცა მთავრის ქვეშევრდომებისგან აკრეფილი ბეგართი ეცხოვრა, რათა შიმშილით არ მომკვდარიყო³². ნ. დადიანის მიხედვით კი, „ფლობდა შვა-სოფელად წოდებულს აყუს საზღვრიდამ ვიდრე ღალიძგამდე ძმისწული ზურაბისა ბექირ-ბეგ“.³³ ბექირ-ბეის ზურაბის ძმისწულად მიიჩნევენ ისტორიკოსები გ. ძიძარია, ირ. ანთელავა და სხვ.³⁴ თუმცა, ცნობილია ისიც, რომ შარ-

²⁸ *სხცა*. ფ. 416, აღწ. 4, ს. 1032.

²⁹ **А. Пахомов**. Записка..., გვ. 231.

³⁰ **А. Пахомов**. Записка..., გვ. 292.

³¹ **Г. А. Дзидзария**. Присоединение..., გვ. 18.

³² **А. Пахомов**. Записка..., გვ. 293.

³³ **ბ. დადიანი**. „ქართველთ ცხოვრება“. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევები, კომენტარები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო **შ. ბურჯანაძემ**. თბ., 1962, გვ. 184.

³⁴ **И. Г. Антелава**. Очерки..., გვ. 80; **Г. А. Дзидзария**. Присоединение..., გვ. 27.

ვან (ისტორიკოსები, ზოგჯერ, მას შირვანისაც უწოდებენ) შარვაშიძეს შვილი არ ჰყოლია³⁵.

1780 წელს ქელემ-ბეი აფხაზეთის მთავარ ზურაბ შარვაშიძესა და სამურზაყანოს მფლობელ ლევან შარვაშიძესთან ერთად მონაწილეობდა რუხის ბრძოლაში თურქების მხარეს, სამეგრელოს მთავარ კაცია დადიანისა და სოლომონ I-ის წინააღმდეგ. რუხის ბრძოლაში ასევე აქტიურად მონაწილეობდა ბექირ-ბეი. ცნობილი პოეტის ბესარიონ გაბაშვილის (1750-1791წწ.) ცნობით, ქელემ-ბეი და ლევან შარვაშიძეებმა „აღძრეს“ ბექირ-ბეი და ზურაბი („ბექირ-ბეგს ასტეხს ქელემ-ბეგ; და ზურაბს აღძრავს ლევანი“).³⁶ ოსმალები აფხაზებს შეუთანხმდნენ („აფხაზნი და თურქნი ურთიერთს შეითქვენ“).³⁷ აფხაზნი, ჯიქნი და ჩერქეზნი ახალციხის ფაშამ ოქროთი მოისყიდა. ოსმალებმა „მისცეს ბევრი ოქრო მათ და მოიძტიცნეს მათნი თავადნი“.³⁸ ლიტერატურული წყაროს ცნობით, „ოთხ ძმათა შარვაშიძეთა, შური შეექმნათ მრავლად, ქელემ-ბეის, ზურაბს, ბექირ-ბეგს და ერთს უხმობენ ლევანად“.³⁹ ნიკო დადიანის მიხედვით: „განუდგნენ დადიანსა სამეფლობელო თვისი, აფხაზეთნი, სამურზაყანოდ წოდებული, და მიერთვენ მათ ხსენებულთა შარვაშიძეთა“.⁴⁰ ამრიგად, ქელემ-ბეის, ზურაბს და ბექირ-ბეის არ გასჭირვებიათ ლევანის მიმხრობა. ნ. დადიანის ცნობით, „ამათ (აფხაზებმა – დ.ზ.) შეიკრიბნეს ჯიქნი, ალანნი, ზიხუა და მაზუმა და წარმოემართნენ დადიანსა ზედა“.⁴¹ ამ ლაშქრობას, დ. დადიანის ცნობით, ქელემ-ბეი სარდლობდა („თანაგამზრახად, ლაშქართა სარდლად, ქელაიშ-ახმედ-ბეგ ხელში უჭირავს“).⁴² შარვაშიძეების მიერ შეგროვებული ლაშ-

³⁵ **А. Пахомов.** Записка..., გვ. 292.

³⁶ **ზ. მოლაშხია.** რუხის ბრძოლა. – „აია“, სამეცნიერო-პოპულარული და ლიტერატურული ჟურნალი, II. თბ., 2002, გვ. 11.

³⁷ **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 162.

³⁸ **ზ. მოლაშხია.** რუხის ბრძოლა, გვ. 11.

³⁹ **ი. გეგეჭკორი.** რუხის ბრძოლა ანუ ცხოვრება დიდის მეფისა სოლომონისა თქმული იოანე გეგეჭკორისგან. გამოცემა **ზ. ჭიჭინაძისა.** ტფ., 1895, გვ. 5-6.

⁴⁰ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

⁴¹ **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

⁴² **ზ. მოლაშხია.** რუხის ბრძოლა, გვ. 11.

ქარი ორმოცი ათას ადამიანს შეადგენდა. სხვა მონაცემებით: „აფხაზი, ჩერქეზი, თათარი თერთმეტი ათასი კაცი იყო“.⁴³ აფხაზ-ჯიქთა კოალიციამ მდ. ენგურთან დაიბანაკა. „მცნობამან ამისმან დადიანმა შეკრება სპანი თვისნი ოდიშ-ლენჩხუძისა და სვანეთისა და დაებანაკა რუხს კიდესა ზელა ეგურისასა“.⁴⁴

აფხაზ-ჯიქთა მრავალრიცხოვნობის გამო, კაცია დადიანი იძულებული გახდა, დახმარებისათვის იმერეთის მეფე სოლომონ I-ისთვის მიემართა. სოლომონ I-მა, ნ. დადიანის ცნობით, „მსწრაფლ ბრძანა შეკრება იმერთ სპისა და წარმოემართა სახელოვნად და მოვიდა დადიანისა თანა“.⁴⁵ კაცია დადიანი, „ათასი კაცის რჩეულით“, სოლომონ მეფეს მიეგება და „დაებანაკენ მახლობელ ერთმანეთისა (სოლომონ მეფე და კაცია დადიანი – **დ.ზ.**). შემდგომად რაოდენიმესა ჟამისა მოვიდენ აფხაზნი და მიურიდებლად გამოვიდნენ ენგურს და დასდგენ პირისპირ მათისა“.⁴⁶ მოწინააღმდეგეები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. კაცია დადიანს მტრის დასაზვერავად ადრე გაგზავნილი ჰყოლია ოთარ აფაქიძე⁴⁷.

შარვაშიძეებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა სოლომონ I-ის გამოჩენა, რამაც გარკვეული დაბნეულობა გამოიწვია აფხაზ-ჯიქთა ლაშქარში. ბექირ-ბეიმ აცნობა ქელემ-ბეის: „მტერნი ლხინობენ, მომატებიათ ძალია“.⁴⁸ ამის შემდეგ, შარვაშიძეებმა თათბირი გამართეს. ლიტერატურული წყაროს ცნობით:

„რა მოისმინა ქელემ-ბეგ თქვა თვისი მცონარებითა,
„ძმანო, თათბირი დავაწყოთ“ ფერი ჰკრთა მთრთოლარებათა,
კოჩი გავეზავნოთ მეფისად, მან უთხრას მძრწოლარებითა,
და შერიგება გვსურს, თუძცა უნდა იფიქროს თვისის კრებითა“.⁴⁹

ქელემ-ბეის ამ თათბირზე გეგმა წამოუყენებია, რომლის თანახმად:

„ამისთვის ჰსჯობს რომ წარვეზავნოთ ელჩი წინასწარ მდგომელა,

43 **ზ. მოლაშხია.** რუხის ბრძოლა, გვ. 11.

44 **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

45 **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

46 **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

47 **ზ. მოლაშხია.** რუხის ბრძოლა, გვ. 14.

48 **ი. გეგეჭკორი.** რუხის ბრძოლა..., გვ. 7.

49 **ი. გეგეჭკორი.** რუხის ბრძოლა..., გვ. 8.

შევნიშნოთ ოდეს მეფესთან იქმნეს აფხაზი მდგომელა,
მოუწყოთ მათ ზარბაზნი, მათისა სისხლთა მწვდომელა,
და ვესროლოთ, ვიქმნეთ მეფისა და დადიანის მკვდომელა.
თუმცა მოგვალით დადიანი და მეფე მისი სტუმარი,
უთავობითა ყოველნი დაშთებიანმცა მღუპარი,
ჯართ აღვზოცთ, აკვრებთ, შევიპყრობთ, შეიქმნებიან უხმარი
და რაჲ თუ ჰსჯობდეს თქვენა სოქვით, მე შევიქმნები მჩუპარი“.⁵⁰

წარმოდგენილ გეგმას დაეთანხმნენ ლევან და ზურაბ შარვაშიძეები:

„ლევან და ზურაბ იტყვიან: „დავასკვნათ ესე რჩევაო“.⁵¹

მათი აზრით, სოლომონ მეფესთან და კაცია დადიანთან ვი-
ლაც უჩარდია უნდა გაეგზავნათ. ეს გეგმა ბექირ-ბეი შარვაშიძემ
არ მოიწონა. ბექირ-ბეის აზრით, მამაციისთვის მიუღებელია „მუხ-
თლობით მიზნის მიღწევა“ („არც არის პატიოსნება მტრისა მუხ-
თლობით მკვლელობა“). მან მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ორ-
მოცათასიანი ლაშქრით ბრძოლის ველზე სრულიად შესაძლებე-
ლი იყო გამარჯვება⁵².

ქელეშ-ბეი თავიდან არ დაეთანხმა ბექირ-ბეის წინადადებას
(„გარნა მე ვთხოვ დამიჯერო, სიმხნითა განლალებულმან; და და-
ვასკვნათ ჩემი თათბირი, თავი წარწყმიდოს რებულმან“),⁵³ მაგ-
რამ შემდგომ, როგორც წყაროდან ჩანს, პრაქტიკულად ბექირ-ბე-
ის გეგმით მოქმედებდა.

ქელეშ-ბეიმ, ერთი მხრივ, უჩარდია გაგზავნა დადიანთან და
ბრძანა, „მოიღონ ზარბაზანი ბაშლაყუთ თავზედ მქონეთა“.⁵⁴ მე-
ორე მხრივ, მან ლაშქარი შეყარა, ომის მოლოდინში: ბექირ-ბეი
მარცხენა ფლანგზე განაწესა, მარჯვენა ფლანგის მეთაურობა ზუ-
რაბსა და ლევანს დააკისრა, თვითონ კი, ცენტრის ხელმძღვანე-
ლობა იკისრა⁵⁵. განსხვავებული ცნობების მიხედვით, „ქელეშ-ბე-
ის ათასი მცველი ახლავს. თითო რაზმს ოთხ-ოთხი ზარბაზანი

50 ი. გუგუშვილი. რუხის ბრძოლა... გვ. 8.

51 ი. გუგუშვილი. რუხის ბრძოლა... გვ. 8.

52 ი. გუგუშვილი. რუხის ბრძოლა... გვ. 9.

53 ი. გუგუშვილი. რუხის ბრძოლა... გვ. 9.

54 ი. გუგუშვილი. რუხის ბრძოლა... გვ. 11.

55 ი. გუგუშვილი. რუხის ბრძოლა... გვ. 11.

აქვს და თითო ზარბაზანს ხუთ-ხუთი კაცი ახლავსო: „მეწინავე“ ჯარს ბეჟირ-ბეგი (ზ. მოლაშხია შეცდომით იხსენიებს ბეჟირ-ბეის ქელემ-ბეის ძმად – დ.ზ.) სარდლობდა, რომელიც სამი ათასიანი ჯარით მოდიოდა; მემარჯვენეს წინ უძღოდა „ყაბარდოს ხანი?“⁵⁶, ხოლო „მემარცხენეს“ – ვინმე ბარძივი უძღვის ჯიქეთის ხალხის მთავარი პირი“⁵⁶.

შარვაშიძეთა ელჩი, უჩარდია, შეყოვნების შემდეგ, სოლომონ I-მა და კაცია დადიანმა მიიღეს. ამ დროს ი. გეგეჭკორის მიხედვით:

„ზარბაზანი გასწყვეტს მისის ნებისა მქნელობას, და ხმა, დიდი ქუხვა და ბგერა ლაშქართა მისცემს მშლელობასა ოთხის და ხუთის მოძველელი ტყვია მეფის წინ დავარდა. მხილველი ამის მგზებარე მეფე მკვირცხლად ავარდა“⁵⁷.

ამრიგად, ქელემ-ბეის პირველი გეგმა ჩავარდა. ამის შემდეგ, იმერ-ოდიშართა მხედრობამ შეუტია მარჯვენა ფლანგს. მარჯვენა ფლანგზე მდგომი ჯიქ-აფხაზნი ზურაბ და ლევან შარვაშიძეების მეთაურობით გაიქცნენ. ამ დღეს, მეფის და მთავრის მეწინავე მხედრობას, „ორმოცი მკვდარი, ასი დაჭრილი“ დაჰკლეს⁵⁸. მარჯვენა ფლანგის ბელი გაიზიარა ცენტრში მდგომმა ქელემ-ბეის რაზმამ⁵⁹. ქელემ-ბეი ძლივს გადაურჩა დატყვევებას⁶⁰. ჯერი მიღმა მარცხენა ფრთაზე. აქ იმერ-ოდიშარებს სოლომონ I-ის მეთაურობით, მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ბეჟირ-ბეი. ის იძულებული გახდა, პოზიციები დაეტოვებინა და ზურაბის მიერ მიტოვებულ მარჯვენა ფლანგზე გადაენაცვლა. ამ დროისათვის ჯიქ-აფხაზთა უმეტესი ნაწილი შარვაშიძეებთან (ზურაბი, ლევანი, ქელემ-ბეი) ერთად უკან იხევდა. ბრძოლის ველზე მხოლოდ ბეჟირ-ბეი დარჩა. დ. დადიანის ცნობით, ბრძოლაში „მძიმედ დაიჭრა“ „გმირი“ ბეჟირ-ბეგი⁶¹, ხოლო ი. გეგეჭკორის თქმით:

⁵⁶ **ზ. მოლაშხია**. რუხის ბრძოლა, გვ. 14.

⁵⁷ **ი. გეგეჭკორი**. რუხის ბრძოლა..., გვ. 12.

⁵⁸ **ზ. მოლაშხია**. რუხის ბრძოლა, გვ. 15.

⁵⁹ **ნ. დადიანი**. ქართველთ ცხოვრება. გვ. 180.

⁶⁰ **ზ. მოლაშხია**. რუხის ბრძოლა, გვ. 16.

⁶¹ **ზ. მოლაშხია**. რუხის ბრძოლა, გვ. 15; **ი. გეგეჭკორი**. რუხის ბრძოლა..., გვ. 14.

„აირივნენ აფხაზები, ძალა არ ჰქონდათ მეტია, აღარ ვახსენებ ქელემ-ბევს, ზურაბ და ლევანს მეტია ბექირ-ბევ ბრძოლით იწევა, ვით ვეფხვი სისხლის მხვრეტია და მეფე იძახის: „ვა მაგას“ მტერთა გაქცევის მჭვრეტია“.⁶²

ქელემ-ბეი შარვაშიძე ი. გეგეჭკორს უარყოფით პერსონად გამოჰყავს⁶³. ეს მაშინ, როცა ბექირ-ბეი გმირად და მამაცადაა გამოცხადებული⁶⁴. ქელემ-ბეი და ბექირ-ბეი ხომ ერთი ბანაკის (ჯიქ-აფხაზთა) წარმომადგენლები იყვნენ. აქედან გამომდინარე, ამ წყაროს ტენდენციურობა აშკარაა. ამის გარდა, ზოგიერთი ისტორიკოსი (ბ. ხორავა, ზ. წურწუშია), დ. დადიანზე დაყრდნობით, ვარაუდობს, რომ ჯიქ-აფხაზთა ლაშქრობას სარდლობდა ქელემ-ბეი და ამაზე სწორედ თურქებმა დაითანხმეს⁶⁵. დასახელებული წყაროებიდან (დ. დადიანის „რუხის ომის“ ჩათვლით) ქელემ-ბეი მოვლენების ცენტრში გვევლინება. ბრძოლის დროს ზურაბზე და ლევანზე რომ არაფერი ვთქვათ, ქელემ-ბეის თავი არაფრით გამოუჩენია. იგივე წყარო პირდაპირ ამბობს: „ქელემ-ბევ უკან იწევა, ის დედაბერი მხთალია“.⁶⁶ ეს მაშინ, როცა „ბექირ-ბევ ბრძოლით იწევა, ვით ვეფხვი სისხლის მხვრეტია“.⁶⁷

რუხის ბრძოლაში განცდილი მარცხის შემდეგ, აფხაზეთის მთავარ ზურაბ შარვაშიძესა და ქელემ-ბეის შორის ურთიერთობა გამწვავდა. წყაროების სიმწირის გამო, არსებული უთანხმოების მიზეზი უცნობია. ისტორიკოსების ნაწილს (ირ. ანთელავა, ბ. ხორავა, ზ. წურწუშია და სხვ.) ურთიერთობის გამწვავების ინიციატორად ქელემ-ბეი ჰყავთ გამოყვანილი, „ოსმალთა წაქეზებით, ქელემ-ბეი შეეცადა ზურაბ შარვაშიძის ტახტიდან ჩამოგდებას“.⁶⁸ ასევე უცნობია ამ მოვლენის ზუსტი თარიღი. ნ. დადიანი ზუ-

⁶² ი. გეგეჭკორი. რუხის ბრძოლა..., გვ. 14.

⁶³ ი. გეგეჭკორი. რუხის ბრძოლა..., გვ. 7, 14, 15.

⁶⁴ ი. გეგეჭკორი. რუხის ბრძოლა..., გვ. 14.

⁶⁵ ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 162; ზ. წურწუშია. აფხაზეთის..., გვ. 129.

⁶⁶ ი. გეგეჭკორი. რუხის ბრძოლა, გვ. 14.

⁶⁷ ი. გეგეჭკორი. რუხის ბრძოლა..., გვ. 14.

⁶⁸ ი. გ. ანთელავა, Очерки..., გვ. 82; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 164; ზ. წურწუშია. აფხაზეთის..., გვ. 129.

რაბსა და ქელემ-ბეის შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას 1781-1784 წლებს შორის ათავსებს. მისი თქმით, „შემდგომად რამოდენისამე ხანისა (1780წ. მარტში გამართული რუხის ბრძოლის შემდეგ – **დ.ზ.**) სიყვარულისა დასამტკიცებლად მოვიდა მეფე (სოლომონ I – **დ.ზ.**) სალხინოს დადიანისა თანა, მონათლა ასული დადიანისა მარიამ“. ამას მოსდევს ცნობა ზურაბსა და ქელემ-ბეის შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების შესახებ, რის შემდეგაც მოთავსებულია ცნობა ჩაქვის ბრძოლის შესახებ, რომელიც 1784წ. 9 მარტს გაიმართა⁶⁹.

ნ. დადიანის მიხედვით, „დროსა ამას (1781-1784წ. მარტამდე – **დ.ზ.**) შეიშურვენ ურთიერთისადმი შარვაშიძე ზურაბ, რომელი ფლობდა ზუფუს, და ძმისწული მისი ქელაიშ-აჰმედ-ბეგ, რომელი ფლობდა აყუს და მიმდგომსა მისსა“.⁷⁰ ზურაბი იძულებული გახდა, სამეგრელოს მთავარ კაცია დადიანისათვის დახმარება ეთხოვა. დადიანმა „...შეიკრიბა სპანი თვისნი, აჩინა მხედართ-მთავრად ძმა თვისი გიორგი და წარგზავნა აფხაზეთად“.⁷¹ როგორც ჩანს, აფხაზეთის მთავარს არ შესწევდა ძალა, თავისი ძალისხმევით ქელემ-ბეის მომხრეები დაემორჩილებინა. „მივიდნენ რა აფხაზეთს, – წერს ნ. დადიანი, – ურჩნი ზურაბისანი მოსწვევს, მოსწყვიდეს და შემდგომად მოადგენ ცხომის ციხეს, სადაც მამაცად ბრძოდენ ციხით გამო მეციხოვნენი ქელაიშ-აჰმედ-ბეისანი“.⁷² როგორც ცნობიდან ჩანს, აქ საუბარია სოხუმის (აყუს) ციხის შემოგარენზე. მეციხოვნეების მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად (ამ დროს ქელემ-ბეი სოხუმის ციხეში არ იმყოფებოდა), გიორგი დადიანმა „სიმხნე მამაცობითა საქებელითა აღილო ციხე იგი... და მოიქცა გამარჯვებული კვალად ოდიშადვე“.⁷³ ქელემ-ბეი, ამის მიუხედავად, 1786 წლისთვის სოხუმის ციხის მფლობელად იხსენიება⁷⁴.

⁶⁹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180; მ. რეხვიაშვილი. იმერეთი XVIII საუკუნეში. თბ., 1982, გვ. 170.

⁷⁰ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 180.

⁷¹ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 181.

⁷² ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 181.

⁷³ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 181.

⁷⁴ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 188.

„შემოდგომად ემზახლნენ ერთმანეთს კაცია დადიანი და ზურაბ შარვაშიძე, და ასული ზურაბ შარვაშიძისა, რუსუდან მოუყვანა დადიანმა მეუღლედ ძესა თვისსა მანუჩარს“.75 ბ. ხორავას მართებული შენიშვნით, კაცია II დადიანი დაუმოყვრდა არა ზურაბ შარვაშიძეს, არამედ ლევანს – სამურზაყანოს მფლობელს. კაცია დადიანის ძემ – მანუჩარმა შეირთო ლევან შარვაშიძის ასული ელისაბედი (განსხვავებული სახელი – რუსუდანი – მოცემულია ნ. დადიანთან).76 თანაც, ცნობილია ისიც, რომ ზურაბს შვილები არ ჰყავდა.77 ამით ოდიშის მთავარს სამურზაყანოს მფლობელის (რომელიც რუხის ომში ზურაბ, ქელემ-ბეი და ბექირ-ბეი შარვაშიძეებთან ერთად ჯიქ-აფხაზთა ბანაკში იმყოფებოდა) დამორჩილება სურდა78.

1785 წელს ქელემ-ბეი შარვაშიძე სტამბოლში იმყოფებოდა. მისი შუამდგომლობით, ბერი წულუკიძემ (ქუთაისის მოურავი და იმერეთის სამეფოს ბოქაულთუხუცესი) სამხედრო დახმარება სთხოვა ხონთქარს (ოსმალეთის სულთანს). ქელემ-ბეი, თავის მხრივ, დაპირდა ბერი წულუკიძეს, რომ დავით მეფეს (დავით გიორგის ძე, სოლომონის ბიძის გიორგის ვაჟი, რომელიც იმერეთის სამეფოში სოლომონ I სიკვდილის შემდეგ 1784წ. 23 აპრილს გამეფდა) ტახტიდან ჩამოაგდებდა, აჯანყებულ იმერეთს დაუმორჩილებდა და ხარკსაც დააკისრებდა. თურქეთის მთავრობამ წულუკიძის თხოვნა დააკმაყოფილა და თვით მეფის წინააღმდეგ გაგზავნა79. საფიქრებელია, რომ ქელემ-ბეის სტამბოლში ჩასვლა აფხაზეთის მთავართან კონფრონტაციის შემდეგ მომხდარიყო. როგორც ჩანს, ის სულთანის კარზე მიღებული პირი ყოფილა და შესაბამის საქმიანობასაც ეწეოდა.

1786 წლიდან ქელემ-ბეი აფხაზეთის სამთავროში იმყოფე-

75 **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 181.

76 **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 181.

77 **А. Пахомов.** Записка..., გვ. 292.

78 **ბ. ხორავა.** ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 164.

79 **მ. რეხვიაშვილი.** იმერეთი..., გვ. 195; **ნ. ბერძენიშვილი.** საანგარიშო მოხსენება მოსკოვ-ლენინგრადში სამეცნიერო მივლინებისა (1946წ.). – წგნ.: **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. IV. თბ., 1967, გვ. 167.

ბოლა. ნ. დადიანის ცნობით, „ჟამსა ამას (ავტორი აქამდე აღწერს, 1786წ. 15 იანვრის წულუკიძის და პაპუნა წერეთლის ლაშქრობას 500 ლეკსა და 1000 თურქთან ერთად, რაჭვის მორბევას და 26 იანვარს დავით გიორგის ძის მიერ მათ დამარცხებას – დ.ზ.) ...ფლობდნენ აფხაზეთს დადიანის საზღვარს იქით შარვაშიძე ზურაბ, ზუფუს და აყუს ციხესა შინა იყო ქელაიშ-აჰმედ-ბეგი და ეპყრა მახლობელნი მისნი და ფლობდა შვა-სოფლად წოდებულს აყუს საზღვრიდამ ვიდრე ღალიძგამდე ძმისწული ზურაბისა, ბეჭირ-ბეგ“.⁸⁰ როგორც ჩანს, სამურზაყანოს მფლობელი ამ დროისთვის აფხაზეთის სამთავრო კარის გავლენიდან გამოსული იყო. ცნობიდან ისიც ჩანს, რომ ბეჭირ-ბეის ზურაბის მხარდაჭერით მდგომარეობა გაუმყარებია – მისთვის აბჟუის ოლქი ჩაუბარებიათ⁸¹.

ქელეშ-ბეი შარვაშიძე 1789 წლისთვის უკვე აფხაზეთის მთავარი იყო. რასაც ადასტურებს ნიკო დადიანი, რომელიც წერს: „იქმნა მეფედ იმერთა ზედა სოლომონ (დავით არჩილის ძე, რომელიც 1789 წლის 12 ივლისს გაამეფეს) ძე არჩილისა, და დაიპყრა ყოველი იმერეთი... ზოლო ჟამსა მას მთავრობდა... აფხაზეთა შორის ქელაიშ აჰმედ-ბეგ შარვაშიძე“.⁸²

ქელეშ-ბეი შარვაშიძე აფხაზეთის მთავარი 1786-89 წლებს შორის უნდა გამხდარიყო. მოყვანილი ქრონოლოგიის ქვედა ზღვარს გვაკარაულებინებს რაინეგსისეული მინიშნებები. კერძოდ, როცა ავტორი საუბრობს 1771წ. შექმნილ ვითარებაზე და ლევანსა და ზურაბს შორის არსებულ უთანხმოებაზე, შემდეგ აღნიშნავს: „ეს უკანასკნელი, რომელიც ყველა აფხაზს უყვარს, ახლაც სრულიად დამოუკიდებელია და მშვიდობიან ურთიერთობაშია თავის მომხრეებთან“.⁸³ გარდა ამისა, როცა ქელეშ-ბეიმ 1774წ. ლევან შარვაშიძის მიერ მიტოვებული სოხუმის ციხე-სიმაგრე დაიკავა, აღნიშნულია: „იგი (ქელეშ-ბეი – დ.ზ.) ამჟამად საკმაოდ მშვიდობიანად ფლობს მას (სოხუმის ციხე-სიმაგრეს – დ.ზ.)“.⁸⁴ რაინეგსისეულ „ახლაც“ და „ამჟამად“-ში იგულისხმება 1784-86 წლები.

⁸⁰ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 183-184.

⁸¹ А. Пахомов. Записка..., გვ. 293.

⁸² ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 185.

⁸³ ი. რაინეგსი. მოგზაურობა..., გვ. 109.

⁸⁴ ი. რაინეგსი. მოგზაურობა..., გვ. 110.

რაინგსის შემორჩენილი ხელნაწერები, რომელთა ერთი ნაწილი შარდერმა 1796-97 წლებში გამოსცა⁸⁵ და ეკატერინე II-სადმი მიძღვნილი ხელნაწერი (იგი 1784-86 წლებს შორის უნდა იყოს დაწერილი – **დ.ზ.**). ამ ხელნაწერის გამომცემლის, გ. გელაშვილის მოსაზრებით, „ქველა ზღვარს გვაკარაულებინებს ტექსტში მოცემული რაინგსისეული მითითება, რომ სოლომონ I დიდი ხანი არაა, რაც გარდაიცვალა. ეს კი 1784 წ. აპრილში მოხდა“.⁸⁶ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნ. დადიანი 1786 წელს ქელემ-ბეის მხოლოდ სოხუმის (აყუს) ციხის მფლობელად იხსენიებს, ხოლო შემდგომში, 1789 წლისთვის, უკვე აფხაზეთის მთავრად, აქედან გამომდინარეობს, რომ ქელემ-ბეი აფხაზეთის მთავარი 1786-89 წლებს შორის გამხდარა.

მკვლევარები (გ. ძიძარია, ბ. ხორავა, ზ. წურწუშია) თვლიან, რომ ქელემ-ბეი აფხაზეთის მთავარი გახდა 1780 წლის დასაწყისში⁸⁷. პროფ. ირ. ანთელავას აზრით, ქელემ-ბეის გამთავრება XVIII ს. 80-იან წლებში მომხდარა⁸⁸.

აღსანიშნავია, რომ წყაროების სიმწირის გამო უცნობია, თუ რა გარემოებაში გამთავრდა აფხაზეთში ქელემ-ბეი. ზურაბ შარვაშიძეს შემკვიდრებები არ ჰყოლია. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ზურაბი იძულებული იქნებოდა აფხაზეთის მთავრის ტახტი თავისი ძმისწულისთვის, ქელემ-ბეისთვის გადაეცა. ქელემ-ბეისათვის აფხაზეთის სამთავროს გადაცემა ზურაბს თურქეთთან შეთანხმების გარეშე არ შეეძლო. მიგვაჩნია, რომ ამ გარემოებაზე მიუთითებს ა. ჩერეპოვი, რომლის თანახმად: „ზურაბმა ბათუმიდან ქელემ-ბეი მოიწვია და, თურქეთის ნებართვით, აფხაზეთის სამთავრო მას გადასცა“.⁸⁹

⁸⁵ **Dr. Jacob Reineggs.** Allgemeine historisch-topographische Beschreibung des Kaukasus („კავკასიის საყოველთაო ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“). I. Gotha und St. Petersburg 1796; II. Hildesheim und St. Petersburg, 1797.

⁸⁶ **ო. რაინგსი.** მოგზაურობა..., გვ. 5-28.

⁸⁷ **Г. А. Дзидзария.** Присоединение..., გვ. 22; **ზ. წურწუშია.** აფხაზეთს..., გვ. 129.

⁸⁸ **И. Г. Антелава.** Очерки..., გვ. 82.

⁸⁹ *Записка А. П. Черепова о сословиях и взаимных отношениях жителей Бзыбского округа.* – *სსცა. ფ.* 416, აღწ. 4, ს. 1032 (1866წ.).

ისტორიკოსთა (ირ. ანთელავა, გ. ძიძარია, ნ. ბერძენიშვილი, ბ. ხორავა, ზ. წურწუშია) მოსაზრებით, ქელემ-ბეიმ ოსმალთა დახმარებით ტახტიდან ჩამოაგდო ზურაბ შარვაშიძე და თვითონ გამთავრდა⁹⁰.

ქელემ-ბეის აფხაზეთში გამთავრების დროს სოხუმში თურქი მეციხოვნეები იდგნენ. გამბას მიხედვით, 1787 წლისთვის სოხუმში მცხოვრებთა რაოდენობა 3000 ადამიანს აღწევდა⁹¹. ადგილობრივი მოსახლეობა თურქ მეციხოვნეებს მუდმივად თავს ესხმოდა. 1785წ. რუსეთის საგანგებო ელჩი სტამბოლში ი. ბულგაკოვი ეკატერინე II-ს ატყობინებდა: „აფხაზები, ოსმალებს არ ემორჩილებიან და ყოველდღე თავს ესხმიან მათ, ამის გამო თურქი მეციხოვნეები, ოსმალეთიდან სამხედრო შენაერთის გამოგზავნას ითხოვენ აფხაზებისაგან თავდასაცავად. ცოტა ხნის წინ აქ გამოგზავნილმა ასმა თურქმა მეციხოვნემ ვერ შეაღწია სოხუმის ციხე-სიმაგრეში“.⁹²

აფხაზეთის მთავარს ამ დროს სამურზაყანო არ ემორჩილებოდა. სამურზაყანოს მფლობელები ოდიშის სამთავროში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში იყვნენ ჩართულნი. 1788წ., კაცია II დადიანის გარდაცვალების შემდეგ, სამურზაყანოელები გამოვიდნენ ახალი მთავრის – გრიგოლ კაციას ძე დადიანის წინააღმდეგ. ისინი დაუკავშირდნენ იმერეთის მეფე ლავით გიორგის ძეს და შესთავაზეს, სამეგრელოს მთავრის ტახტზე გრიგოლის ნაცვლად მისი ძმა, ლევან შარვაშიძის სიძე მანუჩარ დადიანი დაესვათ. ამასთან, ლევან შარვაშიძემ მზადყოფნა გამოაცხადა, ეცნო იმერეთის მეფის უზენაესობა.

ქელემ-ბეის მმართველობა ასევე არ ვრცელდებოდა ანაკლიაზეც. 1787 წლით დათარიღებული ერთი თურქული მოხსენე-

⁹⁰ **И. Г. Антелава**, Очерки..., გვ. 82; **Г. А. Дзидзария**. Присоединение..., გვ. 22; **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველო XIX ს-ის I მეოთხედში. – წგნ.: **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II, თბ., 1965, გვ. 400; **ბ. ხორავა**. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 164; **ზ. წურწუშია**. აფხაზეთის..., გვ. 128.

⁹¹ **ჟ. ფ. გამბა**. მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა **მზია მგალობლიშვილმა**. თბ., 1987, გვ. 82.

⁹² **Г. А. Дзидзария**. Присоединение..., გვ. 20.

ბიდან ირკვევა, რომ ანაკლიის თურქულ ციხიონს ოდიშის მთავარი კაცია დადიანიც კი დახმარებია ციხის გამაგრებაში. „ანაკლიის ციხეში ოდიშის მელიქმა კაცია დადიანმა ხისგან აშენებული ბურჯების გარდა ამჟამად ორი სართულის სიმაღლეზე ხის მტკიცე კედელი აავ. ამ კედლის შუა ადგილები ქვითა და თიხით აავსებინა“, – ვკითხულობთ ამ მოხსენებაში. ამავე მოხსენების მიხედვით, კაცია დადიანს თურქი მოხელისათვის განუცხადებია: „თუ მე თურქეთის მორჩილი ვარ, ამ ციხის კედლებისა და ბურჯების აშენება ჩემი მოვალეობა არისო, რადგან მე არ მსურსო „სხვა ვინმე მტერი მოვიდეს და დაიპყროსო“. ა. ტულუშის მმართველი შენიშვნით, ამ „სხვა ვინმე მტერში“, აფხაზეთის მთავარი ქელემ-ბეი იგულისხმება. ფორმალურად, ანაკლია ლევან შარვაშიძის სამფლობელოში შედიოდა⁹³.

ქელემ-ბეიმ მთავრად გახლომის შემდეგ, პოლიტიკური მოსაზრებით, რეზიდენცია ლიხნიდან სოხუმის ციხე-სიმაგრეში გადაიტანა. მის მიერ მიღებული ზომები სოხუმის ციხე-სიმაგრის გასამაგრებლად ხელს უწყობდა სამთავროს გაერთიანებას და აფხაზეთის მთავრის ხელისუფლების გაძლიერებას⁹⁴. ქელემ-ბეის ამ პოლიტიკას მაქსიმალურად უჭერდა მხარს ოსმალეთი. ამას ადასტურებს ს. ბრონევსკის ცნობა: „Келеш-бек, который вступил в наследственные права отца своего (შენიშნავთ, რომ ავტორი ქელემ-ბეის მამად შეცდომით იხსენიებს ზურაბს – დ.ზ.) также с согласия Порты. Имея около себя до 10,000 вооруженных абхазцев он мало заботился о выполнении фирманов от Порты насылаемых. Однакожь во удовлетворение гордости дивана называл свой войска „Турецкими“. Расширяя таким образом свою власть и владение, он сделался наконец повелителем всей полуденной Абхазии“⁹⁵.

ბრონევსკის მიერ მოყვანილი მასალა გვაფიქრებინებს, რომ ქელემ-ბეი ვერ მიიღებდა მონაწილეობას 1790წ. მეფე-მთავრებს შორის დადებული „ივერიელთა ერთობის ტრაქტატში“. სამხედ-

⁹³ ა. ტულუში. ანაკლიის..., გვ. 13-14.

⁹⁴ Г. А. Дзидзария. Присоединение..., გვ. 22.

⁹⁵ С. Броневский. Новейшие географические и исторические известия о Кавказе. Ч. I. М., 1823, გვ. 347.

რო-პოლიტიკური კავშირის ინიციატორებს, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ეს და იმერეთის მეფე სოლომონ II-ეს და მის წევრებს ოდიშის მთავარ გრიგოლ დადიანსა და გურიის მთავარ სიმონ გურიელს, ერთი მიზანი ამოძრავებდათ – ოსმალეთის და სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლა⁹⁶. ამ დროისათვის ქელემ-ბეი ახალი გამთავრებული იყო აფხაზეთში. ჩვენი აზრით, სამთავროს შიგნით არსებული პარატიკულარიზმი (ცალკეული სათავადოების, მაგალითად, ძიაფშიფების, აბჟუის ოლქის მფლობელ ბექირბეის და სამურზაყანოს მფლობელთა ურჩობა) და მერყევი მდგომარეობა სამთავრო ტახტზე (თურქეთი ამის გამო მას მთავრის ტახტიდან გადააყენებდა) ფაქტობრივად გამორიცხავდა ქელემ-ბეის მონაწილეობას ანტიოსმალურ ღონისძიებებში. გარდა ამისა, ქელემ-ბეი მენტალურად „ქართულ სულიერებას“ მოწყვეტილი იყო და ეს გარემოება არ მისცემდა უფლებას, მართლმადიდებლურ სამყაროში ეპოვა ადგილი.

პროფ. ირ. ანთელავას მოსაზრებით, ქელემ-ბეიმ შეგნებულად არ დაუჭირა მხარი ამ პროგრესულ წამოწყებას – ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც მკაფიოდ იყო გამოხატული 1790წ. „ივერიელთა ერთობის ტრაქტატში“.⁹⁷

ქელემ-ბეი შარვაშიძემ თავისი გავლენა აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში – საძებითა და უბიხებით დასახლებულ ტერიტორიაზე განამტკიცა⁹⁸. მან ასევე წებელდის მფლობელი მარშანიები და მდ. კოდორის მიღმა მცხოვრები ანჩაბაძეები დაიმორჩილა⁹⁹. აფხაზეთის მთავარმა დრანდის მოურავად აზნაური („აამსტა“) ლომკაც ზვანბაია დანიშნა¹⁰⁰.

ქელემ-ბეი შარვაშიძემ თავის დროზე ზურაბ შარვაშიძის მიერ დანიშნული აბჟუის აფხაზეთის მფლობელი ბექირ-ბეი შარ-

⁹⁶ ვ. მაჭარაძე. ივერიელ მეფეთა და მთავართა 1790 წლის შეთანხმება. – „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, II. თბ., 1995, გვ. 235-255.

⁹⁷ ი. გ. ანთელავა, Очерки..., გვ. 87.

⁹⁸ А. В. Фадеев. Краткий очерк истории Абхазии. Ч. I. Сухуми, 1934, გვ. 143.

⁹⁹ А. Пахомов. Записка..., გვ. 292-293; А. В. Фадеев. Краткий..., გვ. 134;

¹⁰⁰ А. Пахомов. Записка..., გვ. 284.; А. В. Фадеев. Краткий..., გვ. 184; ი. გ. ანთელავა. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII вв. Сухуми, 1949, გვ. 146.

ვაშიძე შეავიწროვა. მან ბექირ-ბეის წინასწარ გამიზნულად შერთო ნაბაკეველი ახტაულ ანჩაბადის ასული, რომ მას შემდგომში ეთამაშა შირმის როლი ქელემ-ბეისა და ბექირ-ბეის შორის. ნაბაკეველ ანჩაბადეებთან და ეშერელ ძიაფშიფებთან თანხმობით ის აფხაზეთის მთავარ ქელემ-ბეი შარვაშიძის გავლენისაგან თავის დაღწევას აპირებდა¹⁰¹. ქელემ-ბეიმ უმაღლვე ალყა შემოარტყა ბექირ-ბეის თავის „სიმაგრეში“, სოფ. ათარაში, რის შედეგადაც იგი იძულებული შეიქნა, დანებებოდა. აფხაზეთის მთავარმა ბექირ-ბეის აბუუის აფხაზეთის მმართველობა დაუტოვა, მაგრამ ის იძულებულად დააუძღურა, რომ გასაქანის საშუალებას არ აძლევდა¹⁰².

იარაღის ძალით ქელემ-ბეიმ დაიმორჩილა აგრეთვე ჯიქები, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე სახლობდნენ. მას, სულ მუდამ, მზად ჰყავდა 400-500 კაციანი შეიარაღებული გაწვრთნილი რაზმი და გაღერები (საბრძოლო ნავი). მისი ასევე ემინოდათ ზღვისპირა მცხოვრებლებს გელენჯიკის ყურიდან თითქმის ბათუმამდე¹⁰³.

ქელემ-ბეი კარგად შეიარაღებულ საზღვაო კატარღებს განაგებდა, ხოლო სოხუმის ციხე-სიმაგრესთან ახლოს გემთსამენი ჰქონდა¹⁰⁴. აქ, ისტორიკოს ზ. წურწუმიას მოსაზრებით, 1791-99 წლებს შორის, ოსმალო მოხელე გულშენ-ბეის „მეცადინეობით აიგო გემი“, დასახელებით „კილიდ ულ ბაჰირ“. მისი სიგრძე 40 მეტრს შეადგენდა. ხომალდის კორპუსი ბრინჯაოს ფირფიტებით იყო შეჭვდილი¹⁰⁵. „კილიდ ულ ბაჰირ“-ის შეიარაღება 28 ქვემეხისგან შესდგებოდა და მასზე 300 მეზღვაური და ჯარისკაცი მსახურობდა. დოკუმენტში არ იხსენიება ქელემ-ბეი. ამ ხომალდის ამნების შემდეგ ოსმალეთის ხელისუფლებამ სოხუმში გემთმშენებლობის შეწყვეტის განკარგულება გასცა. თურქულ დოკუ-

¹⁰¹ А. Пахомов. Записка..., გვ. 146.

¹⁰² Г. Д. Краевич. Очерки устройства общественно-политического быта Абхазии и Самурзакано. – *Сборник сведений о Кавказских горах*, вып. III. Тифлис, 1870, გვ. 20.

¹⁰³ *Краткие исторические сведения об Абхазии*. – Газ. „Тифлиские ведомости“, 1830-1831, №3.

¹⁰⁴ С. Броневский. Новейшие..., გვ. 226-227.

¹⁰⁵ ზ. წურწუშია. აფხაზეთის..., გვ. 131-132.

მენტში ეს გადაწყვეტილება დასაბუთებულია შემდეგი არგუმენტებით: სოხუმის გემთსაშენი იმპერიის ცენტრიდან დიდი მანძილით არის დაშორებული, გართულებულია და ღროხე არ სწარმოებს გემის მშენებლობისთვის აუცილებელი მასალების მიწოდება, არ არის საკმარისი რაოდენობით მუშახელი და გემთმშენებლობის სპეციალისტები¹⁰⁶.

ქელემ-ბეიმ, აფხაზეთის სამთავროში მომძლავრების შემდეგ, ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტა ეშერელ თავად ძიაფშიფებთან¹⁰⁷. თანამმართველად მან გვერდით დაიყენა საფარ-ბეი, რომელიც მუდმივად ლიხნში ცხოვრობდა¹⁰⁸. აღსანიშნავია ისიც, რომ საფარ-ბეის დედა – ლეიბას ქალი, სოფ. მუგუძირხვიდან (გუდაუთის რაიონი), გლეხური („ანჰაიუ“) წარმომავლობის იყო¹⁰⁹. ა. პახომოვის მოხსენებითი ბარათის მიხედვით, ქელემ-ბეის საფარ-ბეი ტყვე ჯიქისგან ეყოლა¹¹⁰. ქელემ-ბეიმ თავის შვილის საფარ-ბეის აღზრდისათვის ბეჟან მარლანიას სოფ. ემირხვა და აბა-ალოუადგილი, მიწით და გლეხებითურთ აჩუქა¹¹¹.

ქელემ-ბეი შარვაშიძის გავლენა სამურზაყანოში 1794 წლიდან იგრძნობოდა. აქამდე, 1792წ., როცა გრიგოლ დადიანი ჩამოაგდეს ტახტიდან, მან თავი სამურზაყანოს შეაფარა. როგორც ამ მოვლენის თანამედროვე ნ. დადიანი აღნიშნავს: „შეკრბენ სამურზაყანო-აფხაზნი შესაწევნელად გრიგოლ დადიანისა, ვინათგან იხილეს მფლობელი მათი განძებული უსამართლოდ“.¹¹² ე. ი, აშკარაა, რომ ამ დროს (1792წ.) სამურზაყანოელი აფხაზები თავიანთ მფლობელად გრიგოლ დადიანს მიიჩნევდნენ.

1794წ. ქელემ-ბეი შარვაშიძემ, ისარგებლა რა სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის იმერეთის მეფესთან გართულებული

¹⁰⁶ **ზ. წურწუშია.** აფხაზეთის..., გვ. 131-132.

¹⁰⁷ **А. Пахомов.** Записка..., გვ. 231.

¹⁰⁸ **А. Пахомов.** Записка..., გვ. 232; **Г. А. Дзидзария.** Народное хозяйство и социальный строй дореформенной Абхазии. – *Труды*, I . Сухуми, 1988, გვ. 224.

¹⁰⁹ **И. Г. Антелава,** Очерки..., გვ. 155.

¹¹⁰ **А. Пахомов.** Записка..., გვ. 231.

¹¹¹ *სსცა.* ფ. 416, აღწ. 3, ს. 1014, ფურც. 36-37.

¹¹² **ბ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 186-187.

მდგომარეობით, უშუალოდ დაამყარა კონტროლი სამურზაყანოზე. ამაზე მეტყველებს ნ. დადიანის ცნობა: „გრიგოლი რა შთავიდა ოდიშს, სთხოვა შეწევნა ქელაიშ-აჰმედ-ბეგსა შარვაშიძესა, რომელსა ეპყრა ყოველი აფხაზეთი, ვიდრე ღალიძგამდე და მძლავრებდაცა დადიანის სამფლობელო სამურზაყანო-აფხაზეთსა“.¹¹³

1794წ. იმერეთის მეფეს სოლომონ II-ს დაუპირისპირდა დავით გიორგის ძე, რომლის დასახმარებლად იმერეთისკენ გაეშურა გრიგოლ დადიანი „სამურზაყანოელი აფხაზების“ თანხლებით. დავით გიორგის ძისა და გრიგოლ დადიანის კოალიციას აფხაზეთის მთავარი ქელემ-ბეი შარვაშიძეც შეუერთდა¹¹⁴. ქელემ-ბეი აფხაზთა ლაშქრით ოდიშში გადავიდა და ხიბულაში დაბანაკდა. ამ დროს სოლომონს მოუვიდა ერეკლე მეფის გამოგზავნილი დამხმარე ჯარი ალექსანდრე ბატონიშვილის სარდლობით. სოლომონი 24 ოქტომბერს შეტევაზე გადავიდა და დაამარცხა დავით გიორგის ძე, რის შემდეგაც გრიგოლ დადიანისა და ქელემ-ბეის ბანაკისკენ გაემართა. ქელემ-ბეიმ თავი აარიდა იმერეთის მეფესთან ბრძოლას და აფხაზეთში გაბრუნდა¹¹⁵.

აფხაზეთის მთავარი სამთავროს ცენტრალიზაციის მიზნით გატარებულ ღონისძიებებში ეყრდნობოდა წვრილი თავადაზნაურობასა და ასევე „ანჰაიუ“-გლეხებს, რომელთა წარმომადგენლებს ის ხშირად აწინაურებდა. მსახურულ თავადაზნაურობას ჯამაგირი ეძლეოდა უშუალოდ მთავრისგან. ამან კი საფუძველი შეუქმნა „აშნაყმების“, როგორც სოციალური ფენის ჩამოყალიბებას. „აშნაყმებმა“, რომელთა რაოდენობა მცირე იყო, ნაწილობრივ შეითავსეს აზნაურის და თავადის უფლებები და გაცილებით მაღლა იდგნენ „ანჰაიუებზე“ – გლეხებზე. აშნაყმები თავადის ბრძანების შემსრულებლები იყვნენ და მათ მომსახურე პერსონალს წარმოადგენდნენ¹¹⁶. ამ „აშნაყმებში“ ს. ესაძე ხელავედა მსგავსებას ივანე მრისხანის „ოპრიჩნიკებთან“.¹¹⁷

¹¹³ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 192.

¹¹⁴ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 192.

¹¹⁵ ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 192; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 167-168.

¹¹⁶ А. В. Фадеев. Краткий..., გვ. 143; Г. А. Дзидзария. Народное..., გვ. 242.

¹¹⁷ „Тифлисский листок“, 10 ноября 1904 года.

აფხაზეთის სამთავროში, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა პოლიტიკურ ერთეულებში, ხშირი იყო ანტიოსმალური გამოსვლები. თურქი ისტორიკოსი ჯემალ გიოკჩე აღნიშნავს, რომ აფხაზები პერიოდულად ესხმოდნენ ოსმალებს სოხუმის ციხე-სიმაგრეში¹¹⁸. ცნობილი ფაქტია ისიც, რომ 1789 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის (1787-1791წწ.) დროს აფხაზეთის მთავარმა გარკვეული როლიც კი ითამაშა ჰუსეინ ბათალ-ფაშას კორპუსის განადგურებაში¹¹⁹. 1793წ., როცა თურქმა მოხელემ ფეიზულ-დერვიშმა ქელემ-ბეი შარვაშიძეს სულთან სელიმ III-ის ფირმანი გადასცა, რომლითაც ის დახმარებას ითხოვდა, აფხაზეთის მთავარი თურქებს არ დახმარებია.¹²⁰

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ აფხაზეთის სამთავროს იმგვარი გაძლიერება, როგორც აფხაზეთის მთავარს სურდა, თურქეთისათვის სასიკეთო არ იქნებოდა. ამიტომ თურქეთმა აღრიდანვე სცადა ქელემ-ბეი შარვაშიძის ჩამოშორება აფხაზეთიდან. ტრაპეზუნტის ფაშის, მახმუდ თაიარის განმარტებით ბარათში, რომელიც მან თეოდოსიის გენერალ-გუბერნატორ ჰერცოგ დე რიშელიეს 1806წ. მიართვა, აღნიშნულია, რომ „неизвестно по какимъ причинамъ, съ воли Султана принято было убить Келеш-бея. Онъ, узнавши о томъ предварительно принялъ къ защищению себя осторожность; с того времени получения жалованья прекратилось и повеления султана не исполнял управляя своимъ народомъ“.¹²¹

ქელემ-ბეისა და სულთნის ხელისუფლებას შორის არსებულ წინააღმდეგობაზე ასევე ყურადღებას ამახვილებდა აკად. ნ. ბერძენიშვილი: „როგორ მოხდა ჯერ-ჯერობით უცნობია, მაგრამ ოსმალეთის სულთანსა და ქელემ-ბეის შორის ძველი ურთიერთობა დარღვეულია, სულთანს ეს თავისი მოხელე (ქელემ-ბეი შარვაშიძე ორთულიანი ფაშა იყო – დ.ზ.) სასიკვდილოდ გაუწირავს, მაგრამ ქელემ-ბეის თავის დროზე შეუტყვია სულთანის გადაწყვე-

¹¹⁸ Г. А. Дзидзария. Присоединение..., გვ. 26.

¹¹⁹ П. Г. Бутков. Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803. Ч. II. СПб, 1869, გვ. 208-209; Г. А. Дзидзария. Присоединение..., გვ. 21.

¹²⁰ П. Г. Бутков. Материалы..., ч. III, გვ. 245.

¹²¹ *Акты, собранные Кавказскою археографическою комиссиею* (შემდგომში АКАК). Под. ред. А. Берже. Т. III. Тифлис, 1869, გვ. 191.

ტილება და თავდაცვის ზომაც მიუღია. ის სოხუმის ციხე-სიმაგრეში გამაგრებულა, მაგრამ არც აშკარად სულთანს ასჯანყებია“.¹²²

ამ ფაქტს ადგილი უნდა ჰქონოდა 1794-1802 წლებს შორის. ქელემ-ბეი შარვაშიძე, ერთი მხრივ, ებრძვის ცალკეულ ფეოდალებს (ძიფშიფები, მარშანიები, სამურზაყანოელი და აბჟუელი შარვაშიძეები), ხოლო მეორე მხრივ, იჩენს ურჩობას „ბრწყინვალე პორტასადმი“. ეს კი, ცხადია, თურქეთს იმის საბაბს აძლევდა, რათა ქელემ-ბეი ისევე მოემორებინათ აფხაზეთის სამთავროდან, როგორც ზურაბ და მანუჩარ შარვაშიძეები, ან თავად ქელემ-ბეი, სულ მცირე, სულთანის ყურმოჭრილი ვასალი გაეხადა.

ქელემ-ბეი შარვაშიძემ, ისარგებლა რა სამეგრელოს სამთავროს იმერეთის მეფესთან გართულებული მდგომარეობით, ანაკლიის ციხე-სიმაგრე მიმდებარე ტერიტორიით დაიკავა. ს. ბრონევსკი მიუთითებს, რომ „1799წ. სამეგრელოს მთავარი იძულებული შეიქნა აფხაზეთის მთავრისთვის, ქელემ-ბეი შარვაშიძისათვის ანაკლიის ციხე-სიმაგრე, მიმდებარე ტერიტორიით, დაეთმო“.¹²³ მსგავსი ცნობები გააჩნია ასევე ისტორიკოს ნ. დადიანს: „წარვიდა რიკხოფ (გენ. რიკგოფი, რომელმაც 1805წ. აპრილში ანაკლია აიღო, რის შემდეგაც ქელემ-ბეი შარვაშიძემ გრიგოლ დადიანის ძე ლევანი გაათავისუფლა ტყვეობიდან – დ.ზ.) თვისითა მხედრებითა და მისთანა სპანი ოდიშ-ლექსუმისანი და მივიდა ანაკლიას ციხესა ზედა, რომელი მას ჟამსა შინა მძლავრებით ეპყრა ქელაიშ-აჰმედ ბეგსა“.¹²⁴

1804 წელს საქართველოს მთავარმმართველის მიერ დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური და სამხედრო სიტუაციის შესწავლის მიზნით წარმოგზავნილმა ლიტვინოვმა, ანაკლიის ციხე-სიმაგრეზე აღნიშნა: „ანაკლია, რომელიც მდებარეობს ენგურის მარცხენა მხარეს, გადავიდა აფხაზეთის მთავრის ქელემ-ბეის ქვეშ არა უძებტეს ოთხი წლისა (ე.ი. დაახლ. 1800წ. – დ.ზ.)“.¹²⁵

¹²² **ბ. ბერძენიშვილი.** საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში. – წგნ.: **ბ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II, თბ., 1965, გვ. 400.

¹²³ **С. Броневский.** Новейшие..., გვ. 297, 348.

¹²⁴ **ბ. დადიანი.** ქართველთა ცხოვრება, გვ. 194. ხაზგასმა ჩვენია – დ.ზ.

¹²⁵ *АКАК*, т. II, Тифлис, 1868, გვ. 405-413.

ა. ტულუშის მოსაზრებით, „1780 წელს დაბრუნებული ანაკლია ოდიშის მთავარმა 1792 თუ 1794 წელს კვლავ დაკარგა. ის ისევ აფხაზთა მთავრის გამგებლობაში გადავიდა, მაგრამ მალე ისევ დაიბრუნა, თუმცა რომელ წელს ძნელი სათქმელია, 1799 წელს ანაკლია უკვე მერამდენედ, აფხაზეთის სამთავროს საზღვრებშია მოქცეული“.¹²⁶

საფიქრებელია, რომ 1787 წლის შემდეგ (ამ დროს აქ თურქული ციხიონი დგას) ოდიშის მთავარმა ანაკლია დაიბრუნა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სამურზაყანოს მფლობელები 1794 წლამდე ოდიშის მთავრის ქვეშევრდომები იყვნენ, მაშინ სარწმუნოდ ჩანს დადიანის მიერ ანაკლიის ციხე-სიმაგრის ფლობის ფაქტი. 1799წ. კი აფხაზეთის მთავარმა ანაკლიის ციხე-სიმაგრე საბოლოოდ დაიკავა.

ანაკლიის მმართველობა ქელემ-ბეიმ თავის შვილს მეჰმედ-ბეის უბოძა, რომელსაც მისცა უფლება, ანაკლიის შემოგარენში მცხოვრებთაგან აეკრიფა ფულადი ბეგარა, ასევე მიეღო ანაკლიის ნავსადგურის შემოსავალი. აქედან გაჰქონდათ ხე-ტყე, სხვადასხვა ტყავეული, ხორცის ნაწარმი, სიმინდი, ლობიო. შემოჰქონდათ მარილი, რკინა და სხვ. ანაკლიიდან ფართოდ წარმოებდა ადამიანებით ვაჭრობა¹²⁷. შემორჩენილი ცნობების მიხედვით, აქ 500-მდე სახლი და 2000 მცხოვრები იყო¹²⁸.

აფხაზეთის მთავარი ასევე მონაწილეობდა 1802 წელს დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფე სოლომონ II-ისა და სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანს შორის მიმდინარე შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებაში. ოდიშის მთავარმა ქელემ-ბეი შარვაშიძეს დახმარება სთხოვა. აფხაზეთის მთავარმა მძევალი მოითხოვა. ამის შემდეგ ქელემ-ბეი თავისი ლაშქრით (20000 მეომრითა და 3 ზარბაზნით) ოდიშში გადმოვიდა და აბელათში დაბანაკდა. სოლომონ II ოდიშში შეიჭრა. ქელემ-ბეიმ მეფესთან შებრძოლება ვერ გაბედა¹²⁹. აფხაზეთის მთავარმა სოლომონ II-ს თა-

¹²⁶ ა. ტულუში. ანაკლიის..., გვ. 17.

¹²⁷ Г. Д. Краевич. Очерки..., გვ. 20.

¹²⁸ ბ. ბერძენიშვილი. საქართველო..., გვ. 401-402.

¹²⁹ ბ. დადიანი. ქართველთა ცხოვრება, გვ. 192; ბ. ხორავა. ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა..., გვ. 169.

ვისი ნათესავი, სამურზაყანოს ერთ-ერთი მფლობელი ბეჟან შარვაშიძე მიუგზავნა. ქელემ-ბეი სოლომონ II-ს სთხოვდა, აფხაზეთის სამთავროს შიდა საქმეებში არ ჩარეულიყო, სანაცვლოდ კი მას ჰპირდებოდა, რომ მომავალში დადიანთან ერთად იმერეთის მეფის წინააღმდეგ არ გამოვიდოდა¹³⁰.

XVIII საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთის მთავარმა ქელემ-ბეი შარვაშიძემ თავის შვილებს აფხაზეთის სამთავრო „დაუნაწილა“: გიორგი შარვაშიძეს ბზიფის ოლქი გადასცა; ჰასან-ბეის, ქელემ-ბეის უმცროს შვილებთან (თაიარ-ბეი, ბათალ-ბეი, როსტომ-ბეი) ერთად, ჩააბარა ტერიტორია მდ. შიკუარასა და მდ. კოდორს შორის, კელასურით ცენტრში (სხვა ცნობების მიხედვით, ბათალ-ბეის და თაიარ-ბეის გამგებლობაში სოფ. მერხეულიც იყო); სამურყაზანოს აფხაზეთი კი მეჰმედ-ბეის (ანაკლიის ციხეში მისი ადგილსამყოფელი იყო) ერგო¹³¹.

აჟუის ოლქის და სამურყაზანოს ადგილობრივი მფლობელები იმდენად დაკნინებულან, რომ მათ შესახებ ცნობები არ მოიპოვება, რადგან XVIII საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთის სამთავრო ერთიანი, მონოლითური პოლიტიკური ერთეული იყო.

ქელემ-ბეი შარვაშიძის მოღვაწეობასთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრებაა გამოთქმული. გენერალი გ. ფილიპსონი, რომელიც იყო შავი ზღვის სანაპირო ზოლის შტაბის მეთაური, მას ახასიათებს, როგორც ძლიერ, პოპულარულ და დადებით მოღვაწეს¹³².

ამგვარადვე ახასიათებდა ქელემ-ბეი შარვაშიძეს ისტორიკოსი სიმონ ესაძე¹³³. საქართველოს მთავარმმართველი გენერალი ა. ერმოლოვი ერთ-ერთ თავის ოფიციალურ წერილში ქელემ-ბეის ახასიათებს, როგორც „დამოუკიდებელ მთავარს“, რომელიც ხანდახან თურქეთის მფარველობით სარგებლობდა¹³⁴. ასევეა შეფასებული მისი მოღვაწეობა XIX საუკუნის 20-იან წლებში¹³⁵.

¹³⁰ АКАК, т. I. Тифлис, 1866, გვ. 578.

¹³¹ А. Пахомов. Записка., გვ. 231; Г. А. Дзидзария. Народное., გვ. 224.

¹³² Г. Филиппсон. Воспоминания Кавказского офицера. М., 1885, გვ. 154.

¹³³ „Тифлисский листок“, 10 ноября 1904 года.

¹³⁴ АКАК, т. 6, ч.1. Тифлис, 1874, გვ. 656.

¹³⁵ Внешняя политика России XIX и нач. XX века. Документы. Серия II, т. 6 (14). М., 1985, გვ. 509.

ქელემ-ბეის მოღვაწეობას განსხვავებულად აფასებს პროფ. ირ. ანთელავა, რომლის აზრით, ის დასავლეთ საქართველოს მთავრებს შორის ყველაზე რეაქციული ელემენტი იყო (ნაგულისხმევია „ივერიელთა ერთობის ტრაქტატში“ არმონაწილეობა, დასავლეთ საქართველოს შიდა ომებსა და ადამიანებით ვაჭრობაში ქელემ-ბეის მონაწილეობა), ხოლო მის ღონისძიებებს, რომელიც მიმართული იყო სამთავროს გაერთიანებისაკენ, ირ. ანთელავა ხსნის თურქეთის ინტერესებით რეგიონში¹³⁶, თუმცა მისი ნაშრომის ადრეულ გამოცემაში ავტორი საწინააღმდეგოს ამტკიცებდა. ქელემ-ბეი აქ წარმოდგენილია თურქეთის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლად. ის, ირ. ანთელავას აზრით, თურქეთისაკენ ძალას იყენებდა თურქეთის დასამარცხებლად. ქელემ-ბეის მთავრობის დროს ადამიანებით ვაჭრობაც შემცირდა¹³⁷.

პროფ. მ. ღუმბაძეც თვლიდა, რომ ქელემ-ბეი შარვაშიძე დასავლეთ საქართველოს მთავართა შორის რეაქციულობით გამოირჩეოდა. მეცნიერის აზრით, XIX ს. დამდეგს აფხაზეთში ცენტრალური სამთავრო ხელისუფლება უმთავრესად ოსმალეთის სამხედრო ძალასა და მხარდაჭერას ეყრდნობოდა. მთავარი ამ დროს იყო უფროსი თანასწორთა შორის. მ. ღუმბაძის დაკვირვებით, ოსმალეთის პოლიტიკური ბატონობის გავლენა აფხაზეთის სამთავროს კულტურულ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე შეიმჩნეოდა იმაშიც, რომ მთავარს ორი ბეჭედი ჰქონდა – ერთი ქართული და მეორე ოსმალური¹³⁸.

აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით, „ქელაიშ-ბეგები ეს აფხაზეთის ათასწლოვანი ისტორიის უარყოფაა, ქართველობისაგან გამოთიშვაა, ოსმალეთის სამსახურში ყოფნა“¹³⁹ ავტორი ასევე აღნიშნავს სულთნის ხელისუფლებასა და ქელემ-ბეის შორის არსებულ უთანხმოებას და სვამს კითხვას: „ჯერჯერობით გაურკ-

¹³⁶ **И. Г. Антелава**, Очерки..., გვ. 88-91.

¹³⁷ **И. Г. Антелава**, Очерки..., 1949წ. გამოც., გვ. 74, 79-80.

¹³⁸ **მ. ღუმბაძე**. საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 1957, გვ. 129-131.

¹³⁹ **ნ. ბერძენიშვილი**. მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო. – წგნ.: **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. III, თბ., 1966, გვ. 285.

ვეველია, რატომ მოხდა უთანხმოება ქელემ-ბეისა და სულთანს შორის?¹⁴⁰

როგორც ვხედავთ, ზემოთ დასახელებული მკვლევარები აფხაზეთის სამთავროში გაერთიანების ტენდენციას ამჩნევდნენ, მაგრამ აქვე მიუთითებდნენ თურქეთის განმსაზღვრელ ინტერესებზე რეგიონში.

პროფ. გ. ძიძარია მეტ პოზიტიურს ხედავდა ქელემ-ბეის მოღვაწეობაში და აღნიშნავდა მის დამსახურებას იმაში, რომ ის არ დაეხმარა თურქებს XVIII საუკუნის 90-იან წლებში რეგიონში თავისი პოლიტიკის გატარებაში. მეცნიერი ქელემ-ბეის მიერ გატარებულ ცენტრალიზაციის პოლიტიკას დადებითად აფასებდა¹⁴¹.

პროფ. ზ. პაპასქირის მიხედვით, აფხაზეთზე ოსმალეთის გავლენის გაძლიერების მიუხედავად, იმდროინდელი აფხაზეთი სულაც არ იყო ამოვარდნილი საერთო-ქართული პოლიტიკური სამყაროდან¹⁴².

ჩვენი მოსაზრებით, ქელემ-ბეი შარვაშიძის ამ პერიოდის მოღვაწეობა მიზნად ისახავდა აფხაზეთის სამთავროს გაერთიანებას. ამას მოწმობს ზემოთ მოყვანილი ფაქტები: ქელემ-ბეის მიერ საძების, უბიხების, მარშანიების, აბჟუის ოლქის მმართველის, ბექირ-ბეის შევიწროვება, სამურზაყანოზე გავლენის მოპოვება, XVIII ს. ბოლოს ანაკლიის ციხის ხელში ჩაგდება, დიაფშიფებთან კავშირის გაწყვეტა, თანამმართველად არა დიაფშიფების ასულისგან ნაშობი შვილის, ასლან-ბეის,¹⁴³ არამედ მეორე ცოლისგან ნაშობი საფარბეის დანიშვნა, თურქეთის მიერ მოწყობილ ექსპედიციებში არმონაწილეობა, სულთნისადმი დაუმორჩილებლობა. XVIII ს. ბოლოს ოსმალეთთან გართულებული მდგომარეობა მიგვანიშნებს, რომ შეუძლებელია, ეს ოსმალეთის ინტერესებში ყოფილიყო. ხოლო რაც

¹⁴⁰ **ბ. ბერძენიშვილი.** მცირე შენიშვნა... გვ. 283; **ბ. ბერძენიშვილი.** საქართველო..., ტ. II, გვ. 400.

¹⁴¹ **Г. А. Дзидзария.** Присоединение..., გვ. 18-21.

¹⁴² **З. В. Папаскири.** О национально-государственном облике Абхазии/Грузия. Тб., 2003, გვ. 38.

¹⁴³ საარქივო მასალის მიხედვით, ქელემ-ბეის ჰყავდა ხუთი ცოლი და ექვსი შვილი: მეჰმედი, ასლანი, საფარი, ბათალი, თაირი, ჰასანი იხ.: *სსცა. ფ.* 416, აღწ. 3, ს. №1113.

შეეხება ტყვეებით ვაჭრობას, ეს მაშინდელ დასავლეთ საქართველოში მასობრივად გავრცელებული მოვლენა იყო. ამიტომ არ არის მართებული ქელემ-ბეი შარვაშიძის დასავლეთ საქართველოს მთავართა შორის ყველაზე რეაქციულ მთავრად გამოცხადება.

და ბოლოს, ქელემ-ბეი შარვაშიძე, 1786 წლიდან მოყოლებული დასავლეთ საქართველოში რუსეთის გამოჩენამდე, იღვწოდა სამთავროს ცენტრალიზაციისათვის და მის მიერ გატარებული ღონისძიებები ღიად არ უპირისპირდებოდა თურქეთის მიზნებს რეგიონში, მაგრამ თურქეთის გავლენას აფხაზეთში ფარულად ზღუდავდა. ასეთი პოლიტიკური სიტუაცია გრძელდებოდა რუსეთის გამოჩენამდე. ამის შემდეგ კი იწყება ქელემ-ბეი შარვაშიძის მოღვაწეობის ახალი ეტაპი.

Д. Р. ЗАКАРАИА

**ПОЛИТИЧЕСКИЕ ПРОЦЕССЫ В АБХАЗСКОМ
КНЯЖЕСТВЕ В ПОСЛЕДНЕЙ ЧЕТВЕРТИ XVIII-
НАЧАЛЕ XIXВ. ПЕРВЫЙ ПЕРИОД ПРАВЛЕНИЯ
КЕЛЕШ-БЕЯ ШАРВАШИДЗЕ**

Келеш-бей Шарвашидзе, владетельный князь Абхазии, с именем которого связана ревизия турецкой политической ориентации и подготовка почвы для установления российского владычества в Абхазии, всегда вызывал пристальный интерес исследователей. В статье, на фоне политических процессов в Западной Грузии, рассмотрены некоторые вопросы политической истории Абхазского княжества. В частности, уточнены некоторые факты биографии Келеш-бея Шарвашидзе: 1. Время его нахождения на должности коменданта Сухумской крепости – 1774-1786гг. (в противовес принятого ранее 1771 – начала 80-х годов XVIIIв.); 2. Время его восхождения на княжеский престол – 1786 (в противовес 1781г.)

Вместе с тем, дана попытка переоценить политическую роль самого Келеш-бея Шарвашидзе. Большинство ученых считает его исключительно реакционным деятелем, хотя были попытки его реабилитации. По мнению автора, его нельзя однозначно считать реакционным деятелем, так как в деяниях Келеш-бея были и позитивные моменты. В частности, мероприятия по централизации княжеской власти в Абхазии.

ბექან სორაპა

1830 წლის აფხაზეთის ექსპედიცია

1828-1829წწ. რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვებამ საბოლოოდ გადაწყვიტა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს საკითხი. აღრიანოპოლის ზავით (1829წ. 14 სექტემბერი) კავკასიაში რუსეთის ხელში გადავიდა ახალციხის საფაშოს ერთი ნაწილი – სამცხე-ჯავახეთი ძველი ქართული ქალაქებით: ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური და სხვ. აგრეთვე შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო მდ. ყუბანის შესართავიდან მდ. ჩოლოქამდე ქალაქებით: ანაპა და ფოთი¹. ბრწყინვალე პორტა უარს ამბობდა ყოველგვარ პრეტენზიაზე რუსეთ-თურქეთის ახალი საზღვრის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებზე და მათ „რუსეთის იმპერიის სამუდამო მფლობელობაში“ ცნობდა. ამ ტერიტორიებში შედიოდა ჩრდილო-დასავლეთი კავკასია, რომელიც, მართალია, თურქეთის მფლობელობაში არ იყო, მაგრამ მასზე ბრწყინვალე პორტას პოლიტიკური გავლენა ვრცელდებოდა². თურქეთის ეს ნომინალური გავლენა იმით იყო გამოწვეული, რომ სულთანი ყველა მაჰმადიანის, მათ შორის, კავკასიელი მთიელების უზენაეს მფარველად და მბრძანებლად ითვლებოდა. პოლიტიკურად ისინი სრულიად დამოუკიდებლები იყვნენ და მხოლოდ რელიგიური თვალსაზრისით ცნობდნენ სულთნის უზენაესობას. ამდენად, თუმცა თურქეთმა დასავლეთი კავკასია რუსეთის მფლობელობაში ცნო, ეს მხარე ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ დასაპყრობი ჰქონდა.

¹ *История дипломатии*. Т. I. Под ред. **В. А. Зорина**. М., 1959, გვ. 544; **მ. დუმბაძე**. იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება და ცარიზმის ბატონობის გაფართოება საქართველოში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 884.

² **А. В. Фадеев**. Россия и Кавказ первой трети XIX в. М., 1960, გვ. 339.

სანამ რუსეთი ჩრდ. კავკასიას, მათ შორის, ყუბანის მხარეს არ დაიპყრობდა, მისი ბატონობა სამხრეთ კავკასიაში მტკიცე ვერ იქნებოდა. ამიტომ ცარიზმი ამ საკითხის გადაწყვეტისათვის ზრუნვას შეუდგა. როდესაც ნიკოლოზ I (1825-1855) კავკასიის მთავარმართებელსა და კავკასიის კორპუსის მთავარსარდალს, გენერალ-ფელდმარშალ ი. პასკევიჩს (1827-1831) 1829წ. 25 სექტემბრის წერილში რუსეთ-თურქეთის ომში გამარჯვებას ულოცავდა, წერდა: „...кончив таким образом, одно славное дело, предстоит вам другое, в моих глазах столь же славное, а в рассуждении прямых польз гораздо важнейшее, – усмирение навсегда горских народов или истребление непокорных“.³

იმპერატორის დირექტივა – „მოიელთა სრული დამორჩილება ან მათი ამოწყვეტა“ – ნათლად ახასიათებს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის არსს და მიზანს კავკასიაში.

ირანთან და თურქეთთან ომებში გამარჯვების შემდეგ, XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში რუსეთის ჯარებმა გაააქტიურეს მოქმედება ჩრდილოეთ კავკასიაში, მათ შორის, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ნიკოლოზ I-ის დირექტივის რეალიზების მიზნით ი. პასკევიჩმა შეიმუშავა კავკასიის მთის ხალხების, მათ შორის, აფხაზების სწრაფი დამორჩილების გეგმა, რომელიც იმპერატორმა 1829წ. ოქტომბერში დაამტკიცა⁴. გეგმა ითვალისწინებდა დას. კავკასიაში – ყუბანის მხარეში და კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე მცხოვრები ადიღური ტომების დამორჩილებას, რისთვისაც საჭიროდ იყო მიჩნეული შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე არსებული სიმაგრეების – რედუტ-კალე, სოხუმი, ანაპა – გარდა ახალი სიმაგრეების აგება, მათი ერთმანეთთან მტკიცედ დაკავშირება სანაპირო გზით; ყუბანის მხარესა და შავი ზღვის სანაპიროს შორის მტკიცე კავშირის დამყარებას საუღელტეხილო გზების გაყვანით; ჩრდილოეთიდან რამდენიმე ექსპედიციის მოწყობას ყუბანის მხარეში⁵.

³ М. М. Щербатов. Генерал-фельдмаршал князь Паскевич-Эриванский. Т. III. СПб., 1891, გვ. 229-230.

⁴ Утверждение наше в Абхазии. – „Кавказский сборник“, т. X. Тифлис, 1889, გვ. 123.

⁵ „Кавказский сборник“. Материалы к истории. Под редакцией подпол-

ამ გეგმის რეალიზების მიზნით განზრახული იყო სამხედრო ექსპედიციის მოწყობა აფხაზეთში. აფხაზეთის ექსპედიციის მიზანი იყო სოხუმიდან ანაპამდე სანაპირო ზოლის დაკავება, გამაგრებული სანაპირო ხაზის შექმნა და სიმაგრეებს შორის სახმელეთო მიმოსვლის უზრუნველყოფა, საბოლოო ჯამში კი, დასავლეთ კავკასიის მთიანეთში რუსული სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობის დამყარება⁶.

გეგმის უმთავრესი ნაწილი იყო ფოთსა და ანაპას შორის მტკიცე და მუდმივი სახმელეთო კავშირის უზრუნველყოფა. ასეთი სახმელეთო კავშირი არ არსებობდა თვით რედუტ-კალესა და სოხუმ-კალეს შორისაც. ამ ციხეებს შორის ურთიერთობა ზღვით ხორციელდებოდა. კავკასიის რუსულ ადმინისტრაციას პეტერბურგში გაგზავნილ მოხსენებებში არაერთხელ აღუნიშნავს, რომ სოხუმ-კალესა და რედუტ-კალეს შორის სახმელეთო კავშირის დამყარებას ხელს უშლიდა რთული ბუნებრივი პირობები, პირველ რიგში, მრავალი წყალუხვი მდინარე, რომლებზეც ხიდები არ იყო, უგზობობა, ასევე აფხაზთა მშფოთვარე ხასიათი. აფხაზები ხშირად გამოდიოდნენ მთავრის მორჩილებიდან და ყოველთვის მზად იყვნენ თავს დასხმოდნენ რუსეთის ჯარის მცირერიცხოვან ნაწილებს, აფხაზეთიდან ანაპისკენ კი რუსეთის ჯარის ნაწილები არასდროს წასულან. ი. პასკევიჩი ფიქრობდა აფხაზეთის ექსპედიციაში მონაწილე ჯარის ნაწილების დაბანაკებას ლიხნში, აფხაზეთის მთავრის რეზიდენციასთან, რათა განემტკიცებინა მთავრისადმი ქვეშევრდომთა მორჩილება და მთელი აფხაზი ხალხის მორჩილება იმპერატორისადმი. მისი აზრით, თუ აფხაზებს ანაპისკენ ლაშქრობაში მონაწილეობაზეც დაიყოლიებდა, ექსპედიციის წარმატებისათვის ეს ძალიან სასარგებლო იქნებოდა მათ მიერ მხარის კარგი ცოდნის გამო⁷.

ი. პასკევიჩი ექსპედიციის მოწყობას 1830 წლის აპრილში გეგმავდა, მაგრამ 14 თებერვალს სამხედრო მინისტრმა ა. ჩერნი-

ковника Эсадзе. Т. XXXII, ч. II. Тифлис, 1912, გვ. 41-42.

⁶ А. В. Фадеев. Убыхи в освободительном движении на Западном Кавказе. — „Исторический сборник“, 4. М.-Л., 1935, გვ. 142-143.

⁷ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, гв. 41-43.

შევმა აუწყა, რომ ხომალდები, რომლებიც მას სჭირდებოდა, ივლისამდე ვერ გადმოეცემოდა. ამიტომ ექსპედიციის მოწყობა ივლისისთვის გადაიდო⁸.

1830წ. 28 მარტს ი. პასკევიჩმა ვრცელი წერილი გაუგზავნა იმერეთის მმართველსა და დასავლეთ საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდალს, გენერალ-მაიორ კ. გესეს (1827-1831), რომელიც თავისი მდგომარეობის გამო აფხაზეთის ექსპედიციის უშუალო ხელმძღვანელი უნდა ყოფილიყო. მთავარსარდალი წერდა, რომ რუსეთსა და თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ფოთსა და ანაპას შორის რუსეთის მფლობელობაში უნდა შესულიყო. ეს მხარე ძალზე მნიშვნელოვანი იყო როგორც სამხედრო, ისე სავაჭრო თვალსაზრისით და დიდი ხანია იქცეოდა მთავრობის ყურადღებას. იმპერატორმა დაამტკიცა გეგმა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ექსპედიციის მოწყობის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის ხელისუფლების მტკიცედ დამკვიდრებას ამ მხარეში, და ფოთის ციხესა და ანაპას შორის სახმელეთო კავშირის დამყარებას. ექსპედიციის მოსაწყობად გამოიყო რაზმი, მისთვის ზღვიდან მხარი უნდა დაეჭირა ხომალდებს. ამასთან, შექმნილ ვითარებას, შესაძლოა, მოეთხოვა რაზმის ერთი ადგილიდან მეორეზე ზღვით გადაყვანა, საჭირო იქნებოდა რაზმის სურსათით მომარაგებაც, რისთვისაც ხომალდებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა ექნებოდა. ი. პასკევიჩი კ. გესეს განუმარტავდა, რომ ექსპედიციას რუსეთისთვის უნდა დაემორჩილებინა თავისი მთებიოთა და უღრანი ტყეებით მიუდგომელი და ველური მხარე; ამასთან, ეს ღონისძიება დიდ წინდახედულებას მოითხოვდა: „по грубому невежеству обитателей ея абазинцев и черкесских племен с буйным и своевольным нравом, требует много соображений и большой осмотрительности“. მთავარსარდალის აზრით, ეს განსაკუთრებით იმ ტომებს ეხებოდა, რომლებიც გაგრძიდან ანაპამდე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. ეს ტომები განსხვავებულ ბუნებრივ პირობებში ცხოვრობდნენ, განსხვავდებოდნენ ენით, დაყოფილი იყვნენ ერთმანეთისაგან დამოუკი-

⁸ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 58.

დებელ თემებად. ისინი მხოლოდ გარეგნულად აღიარებდნენ პორტას ხელისუფლებას და ეწეოდნენ მასთან ვაჭრობას, მათ შორის, ადამიანებით ვაჭრობას; პორტას მხოლოდ მაშინ ემორჩილებოდნენ, როცა ანაპის ფაშები, რომელთა გამგებლობაშიც ისინი შედიოდნენ, თავიანთ მოთხოვნებს იარაღის ძალით ამაგრებდნენ. თურქეთის იმპერიის დასუსტების შემდეგ, სულთანს არ შეეძლო ამ მხარეში სამხედრო ნაწილების მუდმივად შენახვა, ამიტომ ამ მხარის მკვიდრთა დამოუკიდებლობა იმ ზომამდე გაიზარდა, რომ რუსეთის ხელისუფლებისადმი მათი დამორჩილება განსაკუთრებულ ზომებს მოითხოვდა. ასეთი ვითარების გამო ი. პასკევიჩს მიზანშეწონილად მიაჩნდა ექსპედიციის ორ ეტაპად გაყოფა. პირველ ეტაპზე უნდა მომხდარიყო მდ. ენგურიდან ბიჭვინთამდე სანაპირო ზოლის მტკიცედ დაუფლება, ხოლო მეორე ეტაპზე ის ფიქრობდა ლაშქრობის გაგრძელებას ანაპისკენ⁹.

რადგან ექსპედიციის მეორე ნაწილის წარმატება უშუალოდ იყო დამოკიდებული პირველი ნაწილის წარმატებაზე, ი. პასკევიჩის აზრით მთავარი ყურადღება უნდა მიქცეოდა აფხაზეთის დაკავებას. ამასთან, ის კ. გესეს ყურადღებას მიაპყრობდა იმ სირთულეებს, რაც ჯარს შეიძლება შეხვედროდა, სახელდობრ, რთული ბუნებრივი პირობების გამო; კიდევ ერთხელ ხაზს უსვამდა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო რუსეთისთვის სახმელეთო კავშირის უზრუნველყოფა ფოთსა და ანაპას შორის, ყუბანისპირეთის მთიელთა დასამორჩილებლად, ვაჭრობის უზრუნველყოფისათვის ამიერკავკასიასა და რუსეთს შორის, ბოლოს, სიმშვიდის უზრუნველსაყოფად ამ მხარეში¹⁰.

კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ მშვენივრად იცოდა, რომ აფხაზეთა შორის ბევრი იყო ოსმალოფილი. პორტას ტრაპიზონის ფაშას მეშვეობით ჰქონდა კავშირი აფხაზეთთან და მხარს უჭერდა მათ არაკეთილგანწყობას რუსეთისადმი. ი. პასკევიჩის აზრით, რუსეთის მფლობელობის განმტკიცება აფხაზეთში მოხდებოდა მუდმივად აქ ჯარის ნაწილის განლაგებით, რომელიც ყოველთვის მზად იქნებოდა დაეცვა მთავრის ხელისუფლება და

⁹ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 45-47.

¹⁰ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 47-49.

სიმშვიდე ამ მხარეში. ამიტომ მას განზრახული ჰქონდა 44-ე ეგერთა პოლკის შტაბ-ბინა სამეგრელოდან აფხაზეთში გადაეტანა, მთავრის რეზიდენციასთან ახლოს; აქვე ახლოს იყო მშფოთ-ვარე ჯიქების მიწა-წყალი, რომელთა ალაგმვაც ჯარის უმთავრესი მოვალეობა იქნებოდა; ზღვის სიახლოვე უზრუნველყოფდა ჯარის მომარაგებას. მთავარსარდლის აზრით, ექსპედიციას შეეძლო აფხაზების მხრიდან წინააღმდეგობა გამოეწვია აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის (1823-1864) მეამბოხე ბიძის, ასლან-ბეის მომხრეებისა და თურქოფილების წაქეზებით; აგრეთვე იმიტომაც, რომ აფხაზები შეჩვეულნი არ იყვნენ რუსებს. მას სასურველად მიაჩნდა ამ მხარის ნელ-ნელა დამორჩილება, როდესაც მოსახლეობა გაიგებდა მშვიდობის ფასს, ნორმალურ ცხოვრებას და ვაჭრობას მიჰყოფდა ხელს, რუსეთის ჯარის ნაწილებთან ერთად მონაწილეობა საერთო მტრის – მთიელების წინააღმდეგ, კიდევ უფრო დაახლოებდა მათ რუსებთან¹¹. რაც შეეხება აფხაზების მხრიდან წინააღმდეგობას, მთავრის ბიძა ჰასან-ბეი შარვაშიძე მთავარსარდალს ჰპირდებოდა, რომ ხალხს მოამზადებდა, რათა მშვიდობიანად შეხვედროდნენ რუსებს და თვითონ გააცილებდა ჯარს¹².

ი. პასკევიჩმა მითითებები მისცა კ. გესეს, რომ ჯარის ნაწილებისთვის თავი მოეყარა I ივლისისთვის რელუტ-კალეში 44-ე ეგერთა პოლკის მეთაურის, პოლკოვნიკ ა. პაცოვსკის მეთაურობით; თვით კ. გესე რელუტ-კალეში უნდა ყოფილიყო და მოემზადებინა აფხაზეთის ექსპედიცია. ამასთან, მას შარვაშიძეები უნდა მოეწვია და მათი აზრი გაეთვალისწინებინა. თუ ჰასან-ბეი დაარწმუნებდა, რომ ჯარის სახმელეთო გზით სოხუმისკენ მსვლელობა სისხლისღვრას არ გამოიწვევდა, შეიძლებოდა ჯარის ნაწილის ხმელეთით გაგზავნა, ხოლო ნაწილი ზღვით უნდა გადაეყვანათ¹³.

ექსპედიციაში მონაწილეობა უნდა მიეღო 2400-მდე მეომარს. ი. პასკევიჩი ყოველნაირად ცდილობდა, აფხაზებთან შეტაკებისთვის თავი აერიდებინა. მან კ. გესეს საგანგებოდ დაავალა,

¹¹ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 50-51.

¹² „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 52.

¹³ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 51-52.

რომ ჯარი მოსახლეობას კარგად მოპყრობოდა; წებელდებებისა და მთელი აფხაზეთის მოსახლეობისათვის პროკლამაციების მეშვეობით განემარტა, რომ სულთანმა რუსეთს გადასცა ფოთიდან ანაპამდე მიწა-წყალი. მთავარსარდლის აზრით, ამჯერად წებელდის დამორჩილება ვერ მოხერხდებოდა და ეს შემდეგისთვის უნდა გადაედოთ¹⁴.

ხელისუფლებისთვის ცნობილი იყო, რომ გელენჯიკის ყურესთან, სოფ. ჯუბლაში ცხოვრობდა აჰმეთ-ფაშა, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ განაწყობდა მთიელებს და მათ იარაღ-საჭურვლით ამარაგებდა. ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1828-1829წწ. ომის დაწყებამდე, ოსმალეთის სერასკირმა, წარმოშობით ლაზმა ოსმან-ფაშამ, სულთნის ნებართვით, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, ჩერქეზეთში, გააგზავნა თავისი ბიძაშვილი, ორთულიანი ფაშა აჰმეთი, რათა ემართა ეს მხარე და რუსეთის წინააღმდეგ შეეიარაღებინა. ჩერქეზეთში იმყოფებოდა აგრეთვე ასლან-ბეი შარვაშიძე. მას სულთნის მიერ სამუდამო პენსია ჰქონდა დანიშნული. იგი დიდი გავლენით სარგებლობდა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ტომებში, ამხედრებდა მათ რუსეთის წინააღმდეგ და აქტიურად ეხმარებოდა ფაშას¹⁵.

ი. პასკევიჩის აუცილებლად მიაჩნდა ასლან-ბეის ხელში ჩაგდება ან მისი ლიკვიდაცია, რასაც შეეძლო დაეჩქარებინა წესრიგის დამყარება აფხაზეთში; თურქეთისა და სხვა უცხო სახელმწიფოების მხრიდან კავკასიის მთიელებთან ურთიერთობის აღკვეთის მიზნით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ კრეისირება უნდა მოეწყოთ რუსეთის ხომალდებს; ლიხნში ჩასვლისთანავე, ა. პაცოვსკის უნდა შეეკრიბა ცნობები ანაპისაკენ მიმავალი გზის, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ტომების, მათი ერთმანეთთან დამოკიდებულების, რუსეთის ხელისუფლებისადმი განწყობის, მათი მმართველების, აგრეთვე აფხაზეთიდან ჩრდ. კავკასიაში მიმავალი გზებისა და სხვათა შესახებ¹⁶.

¹⁴ „*Кавказский сборник*“, т. XXXII, ч. II, გვ. 53-54.

¹⁵ „*Кавказский сборник*“, т. XXXII, ч. II, გვ. 54; *АКАК*, т. VII. Тифлис, 1878, №859, გვ. 886.

¹⁶ „*Кавказский сборник*“, т. XXXII, ч. II, გვ. 54-56.

აფხაზეთის ექსპედიციის მომზადების პერიოდში სამთავროში პოლიტიკური სიტუაცია გართულდა. 1830წ. მარტში სოხუმის კომენდანტმა, კაპიტანმა ჟილინმა გენერალ კ. გესეს აცნობა, რომ 4 ათასამდე წებელდელი სოხუმიდან 20 ვერსზე, სოფ. მერხეულის მახლობლად დაბანაკდა იმ განზრახვით, რომ თავს დასხმოდნენ სოფ. კელასურს და შემდეგ სოხუმის ციხეს, მაგრამ მთავრის ბიძამ თაიარ-ბეიმ გადააფიქრებინა, ყოველ შემთხვევაში, ჰასან-ბეის თბილისიდან დაბრუნებამდე, სადაც ის ი. პასკევიჩთან იყო აფხაზეთის ექსპედიციის თაობაზე დეტალების შესათანხმებლად. ამის შემდეგ ბევრი წებელდელი უკან გაბრუნდა, მაგრამ ნაწილი ადგილზე დარჩა, თუმცა გაურკვეველ მდგომარეობაში¹⁷.

29 მარტს ხუთმა ჩერქეზმა, როგორც რუსული ადმინისტრაცია ფიქრობდა, ადგილობრივ მცხოვრებთა მხარდაჭერით, ბიჭვინთის ტაძარი გატეხა და გაძარცვა. კ. გესე თვლიდა, რომ ასეთი ფაქტები აფხაზეთში მაშინაც კი არ ხდებოდა, როცა ეს მხარე მთლიანად მაჰმადიანთა დამოკიდებულებაში იყო¹⁸.

წებელდელმა მარშანიებმა და აბჟუის ოლქის უფროსმა ალიბეი შარვაშიძემ ერთმანეთს შეჰფიცეს, რომ არ ცნობდნენ რუსეთის ბატონობას და რუსეთის მიერ დაყენებული მთავრის მიხეილ შარვაშიძის ხელისუფლებას¹⁹. გახშირდა წებელდელების მიერ საქონლის გარეკვის, ძარცვის, ტყვედ გატაცების ფაქტები²⁰. ტყვედ გაიტაცეს სოხუმის ციხის გარნიზონის ერთი არტილერისტი ჯარისკაცი, რომელიც რაზმთან ერთად იყო გამოსული ციხიდან შეშისთვის. ამ ფაქტის შემდეგ კაპ. ჟილინმა ყოველი შემთხვევისთვის ფორშტატი გაამაგრა და, როგორც აღმოჩნდა, დროულად. სოხუმის ციხის გარნიზონმა 6-დან 7 და 7-დან 8 აპრილის ღამით სოხუმის ფორშტატზე აფხაზთა ორი შემოტევა მოიგერია. მიხეილ შარვაშიძემ კ. გესეს აცნობა, რომ მის სამფლობელოში შემოპარული მღელვარება თანდათან იზრდებოდა. მსტოვრები კ. გესეს ატყობინებდნენ, რომ წებელდელი თავადები

¹⁷ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 60.

¹⁸ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 61.

¹⁹ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 61.

²⁰ **М. М. Щербатов.** Генерал-фельдмаршал..., т. III, გვ. 266.

და ალი-ბეი არა მხოლოდ არ უშვებდნენ მიხეილ შარვაშიძეს თავიანთ სამფლობელოში, არამედ აპრილის დამდეგს, თავს დაესხნენ მის სახლს ფოქვეშში, გაძარცვეს და მისი მამული აიკლეს. თავდამსხმელებმა ერთი ქალი ადგილზე მოკლეს, ხოლო მარშანიამ 10 სული ტყვე გაიტაცა. მიხეილ შარვაშიძეს სახიფათოდ მიაჩნდა ლიხნში ყოფნა და გადაწყვეტილი ჰქონდა საცხოვრებლად სამეგრელოს მთავრის სამფლობელოში – სამურზაყანოში გადასვლა²¹.

ამ ამბების შესახებ ჰასან-ბეიმაც მიიღო ცნობა. მისი ინფორმაციით მიხეილ შარვაშიძე წაეკიდა ალი-ბეის და წებელდელ მარშანიებს, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ბზიფელების მძარცველობით. ამიტომ ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტეს ბზიფის თემთან და ბზიფელებს არ აძლევდნენ მათ სამფლობელოზე გავლის ნებასაც კი. ორივე მხარე უცდიდა ჰასან-ბეის ჩასვლას, რომელსაც ისინი უნდა შეერიგებინა²².

კაკკასიის რუსული ადმინისტრაცია შეშფოთებული იყო. აფხაზეთში შექმნილი ვითარება სერიოზული შიშის საფუძველს იძლეოდა, აფხაზეთში რუსეთის დამკვიდრებას შეიძლებოდა იმაზე მეტი სირთულეები შეხვედროდა, ვიდრე თავიდან ჩანდა. ი. პასკევიჩი ფიქრობდა, რომ შექმნილ ვითარებაში მომავალი სისხლისღვრის თავიდან აცილება შეიძლებოდა აფხაზეთზე ჰასან-ბეის გავლენის კეთილგონივრული გამოყენებით²³.

კ. გესემ სოხუმის ციხის გარნიზონის გაძლიერება გადაწყვიტა, რომელიც მაშინ 44-ე ეგერთა პოლკის მხოლოდ ერთი ასეულისაგან შედგებოდა. მან დაუყოვნებლივ გააგზავნა ხომალდებით სამხედრო ნაწილები სოხუმში და კომენდანტს უბრძანა სიფრთხილე გამოეჩინა. ეს ღონისძიება დროული აღმოჩნდა, რადგან 21 აპრილს აფხაზები კვლავ დაესხნენ თავს სოხუმის ფორშტატს, თუმცა უშედეგოდ²⁴.

ი. პასკევიჩმა სამხედრო მინისტრს, გენერალ-ადიუტანტ ა.

²¹ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 61, 63.

²² „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 62.

²³ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 62.

²⁴ **М. М. Щербатов.** Генерал-фельдмаршал..., т. III, გვ. 267.

ჩერნიშევს აცნობა, რომ მისი სურვილი, მტკიცე ფეხით ჩამდგარიყო აფხაზეთში, აგვისტოს ბოლომდე ვერ განხორციელდებოდა, რადგან ამ დროისთვის კავკასიის ხაზზე უნდა მოსულიყო მე-20 და 22-ე ქვეითთა დივიზიები. იგი ითხოვდა, 1 ივლისისთვის რელუტ-კალეში გამოეგზავნათ ზომილი აფხაზეთში ჯარის გადასაყვანად და მინისტრს აუწყებდა, რომ განზრახული ჰქონდა 44-ე ეგერთა პოლკის ბიჭვინთაში დაბანაკება, სადაც სამეგრელოსთან შედარებით უკეთესი კლიმატი იყო. ამასთანავე, აქედან ადვილი იქნებოდა დას. კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ მოქმედება, რაშიც იგი აფხაზთა სახალხო ლაშქრის გამოყენებასაც ფიქრობდა მიხეილ და ჰასან-ბეი შარვაშიძეების მეთაურობით. რაც შეეხება აფხაზეთის ექსპედიციას, ი. პასკევიჩი აღნიშნავდა, რომ მისი მომზადება გენერალ კ. გესეს დაავალა, ხოლო რაზმის უმუშალო ხელმძღვანელობა, პოლკოვნიკ ა. პაცოვსკის²⁵.

კავკასიის რუსული ადმინისტრაცია სიფროთხილეს იჩენდა. გენშტაბის ოფიცერს, ბარონ აშს და ჰასან-ბეი შარვაშიძეს დაევალებათ აფხაზეთში არსებული ვითარების გარკვევა და რელუტ-კალედან სოხუმამდე სანაპირო გზის დათვალიერება. აპრილის ბოლოს ბარონი აში და ჰასან-ბეი თბილისიდან აფხაზეთში გაემგზავრნენ. ისინი ჯერ რელუტ-კალეში ჩავიდნენ, იქიდან კი, ანაკლიის გავლით – სოფ. ნაბაკევში და შემდეგ სოფ. ილორში. მათთვის ცნობილი გახდა, რომ ჰასან-ბეის შესახებ გავრცელდა ხმები, თითქოს ის კვლავ რუსეთში წაიყვანეს და არ დაბრუნდებოდა; ამბობდნენ იმასაც, რომ მას რუსის ჯარი მოჰყავდა აფხაზეთში; გაურკვეველი სიტუაციის გამო გახშირდა ყაჩაღობის ფაქტები. სოფ. გალის მახლობლად მათ შეხვდათ ბზიფის თემის აზნაური კაც მარლანია, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა აფხაზეთზე. მიუხედავად იმისა, რომ ის მხოლოდ აზნაური იყო, თავადები დიდ პატივს სცემდნენ და მასთან მეგობრობას ეძიებდნენ. მან ბარონ აშს უთხრა, რომ დიდი ხანია სურდა, გენერალ კ. გესეს ზღებოდა და დაედასტურებინა თავისი მზადყოფნა, ემსახურა იმპერატორისთვის, თუმცა, ადრე, სამეგრელოს მთავართან უთანხმოების გამო უფროსხოდა ამის გაკეთებას. აშს მიაჩნდა, რომ

²⁵ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 58.

ხელისუფლება უნდა მოფერებოდა მას²⁶.

ილორიდან ბარონი აში და ჰასან-ბეი აფხაზეთში, სოფ. ტამიშში ჩავიდნენ, სადაც შეკრებილი იყვნენ ალი-ბეი შარვაშიძე, წებელდელი მისოუსტ მარშანია და სხვა თავად-აზნაურები შეიარაღებული ხალხის თანხლებით, რომელთა შორის, როგორც ბარონი აში მოგვიანებით თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, „განსაკუთრებით წებელდელები გამოირჩეოდნენ თავიანთი ველური გარეგნობით“. ალი-ბეიმ და წებელდელმა თავადებმა აშს სთხოვეს, ეცნობებინა თავისი უფროსებისთვის, რომ თუ რუსეთის ჯარი აფხაზეთში შევიდოდა, ისინი მას მშვიდობიანად შეხვდებოდნენ, თუმცა ითხოვდნენ იმ მიწების შენარჩუნებას, რასაც მათი მამები ფლობდნენ. საღამოს აშს თაიარ-ბეიც შეხვდა, რომელსაც, როგორც მოგვიანებით ბარონი აღნიშნავდა, რუსების მიმართ არაკეთილგანწყობა სახეზე ეწერა²⁷.

სამურზაყანოს საზღვრიდან სოფ. კელასურამდე, სოფლები დაცარიელებული იყო. მოსახლეობა მთებში გახიზნულიყო მიხეილ შარვაშიძის შიშით, რომელიც, როგორც ხმები დადიოდა, ალი-ბეისა და მისი მოკავშირე წებელდელების დასჯას აპირებდა. აშის დაკვირვებით, აფხაზები ორ პარტიად იყვნენ გაყოფილი. ბზიფის თემი მთავარს უჭერდა მხარს. მის წინააღმდეგ იყო განწყობილი აბჟუა ალი-ბეის მეთაურობით, რომელსაც წებელდაც გვერდში ედგა. ჰასან-ბეი ცდილობდა ორი დაპირისპირებული პარტიის შერიგებას. აში დარწმუნებული იყო, რომ ჰასან-ბეი თავისი გავლენის წყალობით შეძლებდა ამ მისიის შესრულებას. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ თავადებს შორისაც არ იყო ერთიანობა, ფარულად ყველა ერთმანეთს მტრობდა. მთავარსა და ჰასან-ბეის შორისაც უთანხმოება იყო. პატივმოყვარე მიხეილ შარვაშიძეს არ სურდა ჰასან-ბეის რჩევების გაზიარება. ეს უკანასკნელი კი, როგორც მისი ბიძა და აფხაზი თავადებიდან წარმოშობით ყველაზე მნიშვნელოვანი, დამამცირებლად თვლიდა უმცროსი და ხალხში ნაკლები გავლენის მქონე მთავრისადმი დამორჩილებას. აში ფიქრობდა, რომ ეს წინააღმდეგობა იყო აფხა-

²⁶ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 67.

²⁷ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 67.

ზეთში ყველა უთანხმოების მიზეზი²⁸.

30 აპრილს აში და ჰასან-ბეი სოხუმში ჩავიდნენ. ამის იქით ჰასან-ბეის გავლენა არ ვრცელდებოდა²⁹. ამს არც უცდია ლიხნისკენ გზის გაგრძელება, მითუმეტეს, არც ჰქონდა ასეთი დავალება. მისი ცნობით, აფხაზებს არ სჯეროდათ, რომ თურქეთმა რუსეთს დაუთმო შავი ზღვის სანაპირო ანაკლიიდან ანაპამდე. ამის დასტურად იმ ფაქტს იშველიებდნენ, რომ აჰმეთ-ფაშა ჯერაც ჩერქეზებთან იმყოფებოდა. მეორენი აღნიშნავდნენ, რომ რუსეთიდან და თურქეთიდან ჩერქეზეთსა და აფხაზეთში უნდა გამოეგზავნათ ჩინოვნიკი იმის გასარკვევად, თუ ვისი მორჩილება სურდა ხალხს, რუსეთის თუ თურქეთის³⁰. სოხუმის კომენდანტის ცნობით, აჰმეთ-ფაშა ავრცელებდა ხმებს, თითქოს მთელი ჩერქეზთა სანაპირო თურქეთს ეკუთვნოდა და მის დასაცავად მალე ჯარი ჩამოვიდოდა. როგორც კაპიტანი ჟილენი აღნიშნავდა, მიხეილ შარვაშიძემ მას დაუდასტურა, რომ ასეთი ხმები გავლენას ახდენდა ვითარებაზე აფხაზეთში³¹.

თავის მოხსენებით ბარათში ბარონი აში აღნიშნავდა, რომ სამარცხვინო ვაჭრობა ტყვე მეგრელებითა და რუსი ჯარისკაცებით კვლავ გრძელდებოდა მთელ აფხაზეთში და, განსაკუთრებით, სოფ. კელასურში, სადაც 60-მდე თურქის ოჯახი ცხოვრობდა. მათთვის ამ ვაჭრობას დიდი სარგებელი მოჰქონდა. აფხაზეთის ყველა მდინარის შესართავში თურქული კანჯოები იდგა სიმინდისა და ტყვეების საყიდლად. ადამიანებით ვაჭრობას ფრთა ჰქონდა გაშლილი, რადგან არავინ ეწინააღმდეგებოდა. აფხაზები ცდილობდნენ ჩქარა გაეყიდათ რუსი ჯარისკაცები, რადგან რუსეთის ჯარის შემოსვლის ეშინოდათ. იქვე, ბარონი აში თავის მოსაზრებასაც გამოთქვამდა, თუ როგორ უნდა შებრძოლებოდნენ ტყვეებით ვაჭრობას. მისი აზრით, აუცილებელი იყო მდინარეების: ღალიძგას, მერკულას, ტამიშის, კოდორის, კელასურის შესართავების დაკავება; ამასთანავე, ანაკლიიდან ღალიძ-

²⁸ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 68.

²⁹ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 67-69.

³⁰ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 67-69.

³¹ АКАК, т. VII, №336, გვ. 403.

გამდე და კოდორიდან კელასურამდე შუალედური საგუმაგოების მოწყობა, რითაც განმტკიცდებოდა კავშირურთიერთობა სანაპირო გზით რელუტ-კალესა და სოხუმს შორის³².

მაისის დასაწყისში მიხეილ შარვაშიძემ შეკრიბა 1300 კაციანი სახალხო ლაშქარი, 8 მაისს სოხუმის ციხეს მოადგა და იქვე დაბანაკდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა ალი-ბეის დასჯა, რომელსაც დაუმორჩილებლობასა და წებელდებთან კავშირში აღა-ნაშაულებდა. ჰასან-ბემ წინასწარ განჭვრიტა ამ ლაშქრობის მთელი უხერხულობა, ენერგიული ზომები მიიღო მთავრისა და ალი-ბეის შესარიგებლად და დაძაბული სიტუაცია განმუხტა³³. 12 მაისს მიხეილ შარვაშიძემ დაითხოვა ბზიფის ოლქის სახალხო ლაშქარი, რომელიც ხუთი დღის განმავლობაში სოხუმის ციხესთან იდგა. მთავარი და ალი-ბეი შერიგდნენ და შეთანხმდნენ, იმერეთის მმართველს გაერკვია მათი უფლებები სოფ. ფოქვეშზე, რაც მათ შორის დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო. მიხეილ შარვაშიძე სოფელს მამის ნაყიდად თვლიდა და მისი დასაკუთრება სურდა, ხოლო ალი-ბეი არ უთმობდა. იმავედროულად, წებელდელები ცდილობდნენ, აეძულებინათ მიხეილ შარვაშიძე, თავისი და ერთ-ერთი მარშანთის მიეთხოვებინა და ამ მიზნით მისი რამდენიმე კაცი ტყვედ გაიტაცეს³⁴. კაპიტან ჟილინის ცნობით, მთავარსა და რამდენიმე თავადს ერთმანეთთან უთანხმოება ჰქონდათ. ამით სარგებლობდნენ წებელდელები და სხვა ყაჩაღები და მრავალ კანონდარღვევას სჩადიოდნენ³⁵.

1830 წლის 15 მაისის წერილში ა. ჩერნიშევისადმი ი. პასკევიჩი შეეხო აპრილის მოვლენებს აფხაზეთში. მისი აზრით, ეს ამბები არ მოხდებოდა ჰასან-ბეის იქ ყოფნისას. შესაძლოა, მისმა დაყოვნებამ თბილისში მისცა საბაბი არაკეთილმოსურნეებს, გავერცელებინათ ხმა, რომ ხელისუფლება არ აძლევდა მას აფხაზეთში დაბრუნების ნებას, რისიც ჰასან-ბეისაც ეშინოდა. მთავარ-მართებელი აღნიშნავდა, რომ მიხეილ შარვაშიძე ახალგაზრდა

³² „*Кавказский сборник*“, т. XXXII, ч. II, გვ. 67-69.

³³ *АКАК*, т. VII, №336, გვ. 402-403.

³⁴ „*Кавказский сборник*“, т. XXXII, ч. II, გვ. 90

³⁵ *АКАК*, т. VII, №336, გვ. 403.

და გამოუცდელი იყო. იგი ეჭვობდა, რომ, შესაძლოა, მას გაუფრთხილებლობით და მოურიდელობით მიეცა უკმაყოფილების საბაბი ალი-ბეისთვის, რომელიც აქამდე წყნარად იყო. მისი განზრახვა, დაეტოვებინა თავისი სამფლობელო, ნათლად აჩვენებდა, თუ რამდენად მცირე გავლენა ჰქონდა მას და რამდენად მცირე შემწეობის იმედი უნდა ჰქონოდა ხელისუფლებას მისგან. რამდენადაც აფხაზეთი მიხეილ შარვაშიძეს არასოდეს ემორჩილებოდა, ი. პასკევიჩი სვამდა კითხვას, ამ მხარეში მტკიცე მშვიდობისა და რუსეთის პრესტიჟის შენარჩუნებისათვის კვლავ დაეჭირათ მისთვის მხარი მთავრის სტატუსში, თუ დაეტოვებინათ ის მხოლოდ თავისი ბზიფის მამულის მფლობელად და არ დაემორჩილებინათ მისთვის სხვა აფხაზი მფლობელები. ის სთხოვდა სამხედრო მინისტრს, გაერკვია ეს საკითხი იმპერატოროთან და მისი აზრი ეცნობებინა³⁶.

იმავედროულად, აქტიურად მიმდინარეობდა აფხაზეთის ექსპედიციის მომზადება. ივნისში რედუტ-კალეში თავი მოიყარეს აფხაზეთის ექსპედიციაში მონაწილე ჯარის ნაწილებმა. 25 ივნისს აქ შეიკრიბნენ: კ. გესე, მიხეილ, ჰასან-ბეი და ალი-ბეი შარვაშიძეები და ექსპედიციის გეგმის განხილვას შეუდგნენ. ალი-ბეი და ჰასან-ბეი თავიანთ ოლქებში სიმშვიდის გარანტიას იძლეოდნენ და სარდლობას ჯარის სოხუმამდე მშვიდობიანი გადასვლის ხელშეწყობას აღუთქვამდნენ, მაგრამ მიხეილ შარვაშიძე ვერ იძლეოდა ბზიფის ოლქში სიმშვიდის გარანტიას, სადაც მას სუსტი გავლენა ჰქონდა. ყოველი შემთხვევისთვის, გადაწყდა ჯარის ზღვით გადაყვანა სოხუმში. ივნისის მიწურულს გემებზე მოთავსდნენ ჯარის ნაწილები და 30 ივნისს მათ სოხუმისკენ აიღეს გეზი. იმავე დღეს, ექსპედიციაში მონაწილე მხედართა ცხენები კაზაკთა ასეულისა და აფხაზ თავადთა თანხლებით, სანაპირო გზით ასევე სოხუმისკენ გაისტუმრეს³⁷.

3 ივლისს ესკადრა სოხუმში ჩავიდა და ჯარი ზღვის სანაპიროზე დაბანაკდა. სოხუმში კ. გესემ ცნობა მიიღო, რომ რუსეთის ჯარის აფხაზეთში გამოჩენის გამო აფხაზები, რომლებმაც

³⁶ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 64.

³⁷ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 74

ამ ფაქტში საფრთხე დაინახეს, კვლავ მღელვარებამ მოიცვა. ბზიფის თემის თავად-აზნაურები ჩერქეზებთან გაემართნენ რუსების წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად. ჩერქეზებმა გადაწყვიტეს გაგრის გასასვლელის დაკავება, შემდეგ ლიხნში მთავრის სასახლის აკლება და ბზიფის თემის აფხაზებთან ერთად რუსების წინააღმდეგ მოქმედება. ასეთ პირობებში კ. გესემ გაგრის გასასვლელის საჩქაროდ დაკავება გადაწყვიტა, რათა არ დაეშვა ჩერქეზების აფხაზებთან შეერთება³⁸.

გაგრის გასასვლელის დაკავების შემდეგ კ. გესეს განზრახული ჰქონდა ბიჭვინთის კონცხის დაკავება და 44-ე ეგერთა პოლკის დროებით იქ დაბანაკება, შემდეგ კი შედგომოდა სიმშვიდის დამყარებას აფხაზეთში, რათა დიდი წინააღმდეგობისა და მსხვერპლის გარეშე მიეღწია ექსპედიციის პირველი ეტაპის მიზნისთვის: აფხაზეთში მტკიცედ დამკვიდრება და 44-ე ეგერთა პოლკის ლიხნში დაბინავება. ამიტომ მის განკარგულებაში მყოფი ესკადრის (მეთაური – კაპ.-ლეიტ. სტერლინგოვი) ექვს ხომალდზე მოათავსა 44-ე ეგერთა პოლკის ბატალიონი – 604 მეომარი, აგრეთვე 50 მესანგრე, 10 არტილერიისტი ქვემეხებით, 6 ივლისს ღამით სოხუმის ყურედან გავიდა და გაგრისაკენ გაემართა. ზღვაზე უქარო ამინდის გამო ესკადრა გაგრის ყურეში მხოლოდ 8 ივლისის დღით შევიდა³⁹.

გაგრის მაღალი, მრისხანე, ხშირი ტყით დაფარული მთები ბუნებრივ სიმაგრედ ჩანდა გიგანტური ბასტიონებით, რომელსაც ჯიქები, უბიხები და შაფსულები იცავდნენ. ესკადრამ ისარგებლა ზღვის სიღრმით, ნაპირს მიუახლოვდა და ხომალდის ქვემეხებიდან ცეცხლი დაუშინა ტყეს ჟოეკვარისა და გაგრიფშის ხეობაში, რამაც მთიელები აიძულა მიმალულიყვნენ⁴⁰.

კ. გესემ პოლკ. ა. პაცოვსკის უბრძანა გაგრის ტაძრის ტერიტორია დაეკავებინა და მდ. გაგრიფშთან პოზიცია მოეწყო. რო-

³⁸ „*Кавказский сборник*“, т. XXXII, ч. II, გვ. 70-71, 74, 76.

³⁹ „*Кавказский сборник*“, т. XXXII, ч. II, გვ. 71, 75.

⁴⁰ ა. დიანკოვ-ტარასოვი. გაგრა და მისი შემოგარენი. რუსულიდან თარგმნეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს **ზურაბ პაპასქირმა** და **ბეჟან ხორაყამ**. თბ. 2002, გვ. 100.

გორც კი დესანტი ნაპირზე გადასხდა, მთიელებმა მოპირდაპირე მთებიდან ცეცხლი გახსნეს და შეეცადნენ, ხელი შეეშალათ მათთვის პოზიციის დაკავებაში, მაგრამ გემებიდან არტილერიის ცეცხლმა უკუაგლო ისინი. დესანტმა დიდი დანაკარგების გარეშე ავანპოსტები დაიკავა. ახლომახლო მალეობებზე მაშინათვე გაიგზავნა რაზმები, რომლებსაც მთიელებისაგან უნდა გაეწმინდა შემოგარენი. იმავედროულად, სანაპიროზე დარჩენილი ასეულები გულმოდგინედ მუშაობდნენ მიწაყრილების ამოყვანაზე და ეკლესიის ქვის გალავნის გამაგრებაზე. მთიელებმა რამდენჯერმე განაახლეს შეტევა, მაგრამ ფრეგატებიდან დაშენილმა კარტეზის ცეცხლმა ისინი აიძულა ქედის თხემებს იქით მიმალულიყვნენ⁴¹.

გაგრა მაშინ წარმოადგენდა ამავე სახელწოდების მდინარის ორივე ნაპირზე, სუროთი და ეკალბარდით გადახლართულ ხშირ ტყეში გაშლილ მცირე ვაკეს, რომელსაც ზედ ადგებოდა ხშირი ტყით დაფარული ციცაბო მთების კალთები, რომლებიც კეტავდნენ ზღვის სანაპიროზე არსებულ ვიწრო გასასვლელს აფხაზეთისკენ. ეკლესია, რომელიც მდ. გაგრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა, ნაწილობრივ დანგრეული იყო. მას მთის ძირიდან ზღვის ნაპირამდე 65 საუენზე შემოვლებული ჰქონდა ქვის კედელი, რომელიც ასევე რამდენიმე ადგილას დანგრეული იყო⁴².

ამრიგად, გაგრის დაკავების ოპერაცია წარმატებით განხორციელდა. მასში მონაწილეობას ღებულობდა მიხეილ შარვაშიძის მიერ გამოგზავნილი 30 აფხაზიც, მათ შორის, კაც მარღანია და თავად როსტომ ინალიფას შვილი ნაულჩუკი⁴³.

გენერალი კ. გესე თვლიდა, რომ ეს პუნქტი დაკავებული უნდა ყოფილიყო გაძლიერებული გარნიზონით, რადგან ჩერქეზები აფხაზეთში სწორედ ამ გზით იჭრებოდნენ. მართალია, არსებობდა მთებით გადასასვლელი ბილიკები გაგრის გვერდის ავლით, თუმცა მხედრებისათვის მოუხერხებელი. ჩერქეზებს ერთმე-

41 „*Кавказский сборник*“, т. XXXII, ч. II, გვ. 71, 75; ა. დიაჩკოვ-ტარასოვი. გაგრა..., გვ. 100-101.

42 „*Кавказский сборник*“, т. XXXII, ч. II, გვ. 75-76; ა. დიაჩკოვ-ტარასოვი. გაგრა..., გვ. 101.

43 „*Кавказский сборник*“, т. XXXII, ч. II, გვ. 71, 75.

ოდათ აფხაზეთში დაუბრკოლებლად შემოჭრისა და თარეშის, აგრეთვე ბზიფის თემის აფხაზებისათვის დახმარების შესაძლებლობა, ამიტომ კ. გესეს აზრით, ისინი ამ ფაქტს ვერ შეურიგდებოდნენ და გააძლიერებდნენ თავდასხმებს გაგრაზე, რომლის გარნიზონის გაძლიერებაც ყოველთვის პრობლემა იქნებოდა, რადგან სანაპირო გზა სოხუმიდან გაგრამდე არ არსებობდა⁴⁴. კ. გესემ შეარჩია ადგილი სიმაგრის ასაგებად, უკანასკნელი მითითებები გასცა, დატოვა ჩამოყვანილი რაზმი მთლიანად, მაიორ პოლიაკოვის მეთაურობით, და ესკადრა, ხოლო თვითონ 10 ივლისს სოხუშში დაბრუნდა, რათა ამჯერად სანაპირო გზით წასულიყო ლიხნში და შემდეგ ბიჭვინთაში⁴⁵.

13 ივლისს კ. გესე სოხუშში დარჩენილი რაზმით ლიხნისაკენ გაემართა, სადაც 16 ივლისს ჩავიდა. გზაში მან მიიღო ცნობა, რომ გაგრის გარნიზონს 11-დან 12 ივლისის დამით და 12 ივლისს დღისით სამჯერ დაესხნენ ჩერქეზები. გარნიზონმა მოიგერია თავდასხმები, მაგრამ მსხვერპლიც იყო. მაიორ პოლიაკოვის ცნობით, ძნელი იყო ერთდროულად სიმაგრის აგებაზე მუშაობა და თვალყურის დევნება მოწინააღმდეგისათვის, ამიტომ დამატებით ძალებს ითხოვდა. კ. გესემ ჩათვალა, რომ გაგრის გარნიზონს ნამდვილად სჭირდებოდა დახმარება და 18 ივლისს ლიხნიდან გაგრაში სამეგრელოს ქვეითთა პოლკის ერთი ასეული გაგზავნა⁴⁶.

ლიხნში აფხაზეთის ექსპედიციას მიხეილ შარვაშიძე შეუერთდა. კ. გესემ 44-ე ეგერთა პოლკის დასაბინავებლად ლიხნიდან 4 ვერსზე შეარჩია ადგილი, რომელსაც ბომბორას ეძახდნენ. ამის შემდეგ აფხაზეთის ექსპედიციის მიზანი ბიჭვინთის კონცხის დაკავება იყო. ბიჭვინთისაკენ გზა ბზიფის თემზე გადიოდა, აფხაზი თავადების: ნარჩოუ, დარუყვა და ტაგუ ინალიშვილების და სხვათა მამულებზე, რომლებიც არ აპირებდნენ ჯარის გატარებას. კ. გესემ მოლაპარაკებები გამართა მათთან და განუმარტა, თუ რა უსიამოვნებებს დაიტეხდნენ თავზე ასეთ შემთხვევაში და

⁴⁴ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 71-73, 76.

⁴⁵ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 72, 75.

⁴⁶ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 77.

მიხეილ შარვაშიძის, ჰასან-ბეისა და სხვა თავადების მხარდაჭერით, რომლებსაც ნათესაური კავშირები ჰქონდათ მათთან, შეძლო დაერწმუნებინა ისინი, რომ რუსეთის ჯარების მიერ აფხაზეთის დაკავებისას მათი მამულები მათსავე მფლობელობაში დარჩებოდა. ის დათანხმდა აგრეთვე დარუკვა ინალიფას შეწყობაზე, რომელიც დიდი ხანი არ ემორჩილებოდა მიხეილ შარვაშიძეს⁴⁷.

როდესაც კ. გესე დარწმუნდა, რომ ბიჭვინთამდე ლაშქრობა უსაფრთხო იქნებოდა, 19 ივლისს გავიდა ლიხნიდან. რაზმს რთული გადასვლა მოუხდა მთებისა და ტყეების გავლით უგზოობის პირობებში და 21 ივლისს ბიჭვინთას მიაღწია. ბიჭვინთის კონცხზე, ზღვის სანაპიროზე, სოფ. ბიჭვინთის მახლობლად იდგა ნახევრად დანგრეული ტაძარი. კ. გესემ ბრძანება გასცა ტაძრის ქვის გალავანი დაეკავებინათ და აქ სიმაგრე მოეწყოთ⁴⁸.

ამდენად, აფხაზეთის სანაპირო ზოლში – ბომბორა, ბიჭვინთა, გაგრა, – რუსები სიმაგრეების აგებას შეუდგნენ. ბომბორაში დაბინავდა აფხაზეთის ექსპედიციის შტაბი. ამ სიმაგრეებს ჯიქებისა და უბიხებისთვის უნდა გადაეკეტა ის სანაპირო გზა, რომლითაც ისინი აფხაზეთში იჭრებოდნენ; აგრეთვე, მათ უნდა განემტკიცებინათ რუსების ბატონობა აფხაზეთში⁴⁹. ექსპედიციის შედეგების შესახებ ანგარიშში ი. პასკევიჩი ა. ჩერნიშევს აუწყებდა, რომ მიხეილ შარვაშიძეს ნამდვილად არ ჰქონდა გავლენა აფხაზეთში და თვით მის სამკვიდრო მამულშიც, ბზიფშიც არ სარგებლობდა დიდი პატივისცემით; რაც შეეხება ჰასან-ბეის, მან ყველაფერი გააკეთა აფხაზეთის ექსპედიციის წარმატებისათვის⁵⁰.

ივლისის ბოლოს ჩერქეზების თავდასხმები გაგრაზე განახლდა, თუმცა გარნიზონმა მოიგერია ისინი. ამის შემდეგ, უბიხების ერთ-ერთმა წინამძღოლმა, მიხეილ შარვაშიძის აღმზრდელმა ჰაჯი დაგუმოყვა ბარზემა 2 ათასამდე კაცით მდ. გაგრიფშის ხეობიდან ცეცხლი დაუშინა გაგრის ციხეს. 16 აგვისტოს ისინი

⁴⁷ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 77.

⁴⁸ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 78.

⁴⁹ **Д. Афанасьев.** К истории Черноморского флота. – „Русский архив“, кн. I. М., 1902, გვ. 427. **ა. დიანკოვ-ტარასოვი.** გაგრა და მისი შემოგარენი, გვ. 101.

⁵⁰ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 76.

შეეცადნენ შტურმით აეღოთ სიმაგრე, მაგრამ გარნიზონმა, რომელსაც ზღვიდან ხომალდებიც უჭერდნენ მხარს, უკუაგლო ისინი. მთიელებმა დიდი მსხვერპლი ნახეს. მათ დაღამებისას ბრძოლის ველიდან გაიყვანეს დაჭრილები და დაზოცილები, 17 აგვისტოს კი საერთოდ დატოვეს იქაურობა. ჩერქეზი თავადის ლაზ ანჩაბადის ცნობით, რომელსაც რუსეთის ერთგულების ფიცი ჰქონდა დადებული, ჩერქეზებში მსხვერპლი დიდი იყო, თვით ჰაჯი დაგუმოყვა ბარზეგიც მძიმედ იყო დაჭრილი⁵¹.

მალე დასრულდა სიმაგრეების აგება. ბომბორის სიმაგრეს დიდი პარალელოგრამის ფორმა ჰქონდა ბასტიონებით. შიგნით დაყოფილი იყო ექვს სწორ ნაწილად, სადაც აგებული იყო პატარა შეთეთრებული სახლები, გრძელი ყაზარმა და პროვიანტის მაღაზიები. მალე, სიმაგრესთან გაჩნდა პატარა ფორშტატი, რომელიც დასახლებული იყო სომეხი და ბერძენი ვაჭრებით. პოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით ბომბორის სიმაგრის მდებარეობა ხელსაყრელი იყო, რადგან საშუალებას აძლევდა გარნიზონს, თვალყური ედევნებინა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისთვის და მოვალე იყო, დაეცვა მთავრის ხელისუფლება, რომლის რეზიდენციაც რამდენიმე ვერსზე იყო. თუმცა მას ორი ნაკლი ჰქონდა: მოუხერხებელი ყურე, რის გამოც გემები ნაპირიდან სამ მილზე უნდა გაჩერებულიყვნენ, და ციებიანი კლიმატი, რის გამოც ჯარისკაცები მაღარიით ავადმყოფობდნენ⁵². ბიჭვინთის სიმაგრე მონასტრის ტერიტორიაზე აიგო. მონასტრის გალავანი განაახლეს და კუთხეებში ხის კოშკები ააგეს. აქვე აიგო ყაზარმა ჯარისკაცებისთვის. თავიდან ბიჭვინთაში ორი ასეული იდგა, მაგრამ მალე, მაღარიის გამო ერთ ასეულამდე შეამცირეს⁵³. გაგრავშიც სიმაგრის ასაგებად ტაძრის ქვის კედელი გამოიყენეს, რომელიც სანაპიროდან მთის ძირამდე მიემართებოდა. გარნიზონის მდგომარეობა მძიმე იყო, სიმაგრის ეზოში თავისუფლად გავლაც არ შეიძლებოდა, რადგან ახლო-მახლო მთებიდან მთიელები გა-

⁵¹ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, გვ. 80-81.

⁵² **А. Н. Дьячков-Тарасов.** Абхазия и Сухум в XIX столетии. – *Известия Кавказского Отдела Императорского Русского Географического Общества*, т. XX, №2, 1909-1910, გვ. 161-162.

⁵³ **А. Н. Дьячков-Тарасов.** Абхазия и Сухум..., გვ. 162.

ნუწყვეტილვ ცეცხლს უშენდნენ სიმაგრეს; ლაზარეთი სავსე იყო მალარიით დაავადებული ჯარისკაცებით და, ფაქტობრივად, სიმაგრე გარესამყაროს მოწყვეტილი იყო⁵⁴.

1830წ. 23 აგვისტოს ი. პასკევიჩმა პროკლამაციით მიმართა აფხაზებსა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ხალხებს, სადაც აღნიშნავდა, რომ აჰმეთ-ფაშას ისინი შეცდომაში შეჰყავდა. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები და მათი მეზობელი ხალხები ეკუთვნოდნენ არა პორტას, არამედ რუსეთის იმპერატორს და სულთანმა აჰმეთ-ფაშა და ყველა ჩინოვნიკი გაიწვია. იგი მთიელებს მოუწოდებდა, დაეყარათ იარაღი, დამორჩილებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას და ერთგულების ფიცი დაელოთ, რისთვისაც ხელმწიფის მოწყალებას ჰპირდებოდა⁵⁵.

როგორც გათვალისწინებული იყო, აფხაზეთის ექსპედიციის პარალელურად, ოქტომბერში ექსპედიცია მოეწყო ყუბანისპირეთშიც, შაფსულეთში, რომელსაც უშუალოდ ი. პასკევიჩი ხელმძღვანელობდა. რუსეთის ჯარის ნაწილების გამოჩენამ იმ ადგილებში, რომელსაც შაფსულები გაუვალად თვლიდნენ, შიში დაწერგა მათში და ი. პასკევიჩს მორჩილება გამოუცხადეს; იმავდროულად, მთავარმართებელმა მდ. ყუბანზე რამდენიმე სიმაგრე ააგო⁵⁶. მაგრამ რუსეთის ჯარის ნაწილების გასვლის შემდეგ შაფსულები კვლავ გამოვიდნენ მორჩილებიდან. ი. პასკევიჩიც თვლიდა, რომ ასეთ ექსპედიციებს დროებითი მნიშვნელობა ჰქონდა და შიშის დაწერგვას ემსახურებოდა. მთიელები გაურბოდნენ გადამწყვეტ ბრძოლას და პარტიზანულ ომს ეწეოდნენ. მან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ მთიელებისათვის საარსებო საშუალებების წართმევით, მათი მიწა-წყლის მუდმივად დაკავებით, აქ სიმაგრეების აგებითა და სამხედრო დასახლებათა მოწყობით შეიძლებოდა მათი დამორჩილება⁵⁷.

⁵⁴ **А. Н. Дьячков-Тарасов.** Абхазия и Сухум..., გვ. 162.

⁵⁵ *АКАК*, т. VII, №338, გვ. 403.

⁵⁶ **М. М. Щербатов.** Генерал-фельдмаршал..., т. III, გვ. 281-284; **Г. Филиппсон.** Воспоминания. М., 1885, გვ. 120; **ა. დიაჩკოვ-ტარასოვი.** გაგრა და მისი შემოგარენი, გვ. 99.

⁵⁷ **М. М. Щербатов.** Генерал-фельдмаршал..., т. III, გვ. 284-286.

რაც შეეხება აფხაზეთს, კავკასიის რუსული ადმინისტრაცია თვლიდა, რომ ამ მხარის შემომტკიცების პროცესი გაჭიანურდებოდა. აფხაზები მიჩვეულნი იყვნენ მშფოთვარე ცხოვრებას: ყაჩაღობას, ძარცვას, თითქმის არ ემორჩილებოდნენ მთავარს, ამიტომ გაძნელებოდა მათი მორჩილებაში მოყვანა. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო რედუტ-კალედან გაგრამდე სანაპირო ზოლის დაკავება საგუშაგოებით და კარანტინებით, სახმელეთო მიმოსვლის უზრუნველყოფა. ამით აღიკვეთებოდა აფხაზების ურთიერთობა თურქებთან, რომლებიც მათ იარაღითა და ტყვია-წამლით ამარაგებდნენ და რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობდნენ. რუსეთის გემები, რომლებიც კრეისირებას ეწეოდნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ, ჯერჯერობით ვერ ახერხებდნენ თურქების აფხაზებთან ურთიერთობის აღკვეთას. რედუტ-კალედან გაგრამდე სანაპირო ზოლში საჭირო იყო რუსეთის ჯარის ნაწილების დამატებითი ძალები⁵⁸. ამის შესაძლებლობა მაშინ რუსეთის ხელისუფლებას არ ჰქონდა.

ამრიგად, მიუხედავად თავდაპირველი წარმატებისა, სრულად ვერ იქნა მიღწეული აფხაზეთის ექსპედიციის მიზანი. რუსეთის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს აფხაზეთის სანაპირო ზოლი, მაგრამ გაგრის ჩრდილო-დასავლეთით წინსვლა შეფერხდა ჯიქებისა და უბიხების მედგარი წინააღმდეგობის გამო და ანაპისკენ ლაშქრობა მომავლისთვის გადაიდო.

⁵⁸ „Кавказский сборник“, т. XXXII, ч. II, гл. 72-73.

Б. К. ХОРАВА

АБХАЗСКАЯ ЭКСПЕДИЦИЯ 1830 ГОДА

С победой России в русско-турецкой войне 1828-1829гг. окончательно был решен вопрос восточного побережья Черного моря. По Адрианопольскому мирному договору (14 сентября 1829г.) в руки России перешел Северо-Восточный Кавказ, в том числе восточное побережье Черного моря от устья р. Кубани до р. Чолоки, с крепостями – Анапа и Поты. Несмотря на то, что Турция официально признала Западный Кавказ Российским владением, она должна была сначала завоевать его. Пока Россия не завоевала Северный Кавказ, в том числе Кубанский край, ее владычество в Закавказье не было бы прочным. Поэтому царское правительство приступило к решению этого вопроса. Император Николай I (1825-1855) в сентябре 1829г., поздравляя кавказского главноуправляющего и главнокомандующего Кавказским корпусом, генерал-фельдмаршала И. Паскевича (1827-1831) с победой в русско-турецкой войне, ставил перед ним задачу завершить завоевание горских народов Кавказа.

С целью реализации директивы императора, И. Паскевич разработал план скорейшего завоевания горских народов Кавказа, в том числе и абхазов. План, который был утвержден императором в октябре 1829 года, предусматривал завоевание адыгских племен, живших на Западном Кавказе – в Кубанском крае и на южных склонах Кавказского хребта, для чего было признано нужным, кроме существующих на восточном побережье Черного моря крепостей – Редут-Кале, Сухуми, Анапа – возведение новых крепостей, установление между ними прочного сухопутного сообщения; установление прочного сообщения между Кубанским краем и Черноморским побережьем путем проведения перевальных дорог; проведение нескольких экспедиций в Кубанском крае.

В связи с реализацией этого плана, в 1830г. была организована абхазская экспедиция, целью которого было овладение

побережьем от Сухуми до Анапы; создание укрепленной береговой линии и установление между крепостями прочного сухопутного сообщения.

В июле 1830г. абхазская экспедиция начала функционировать. В результате, на абхазском побережье появились новые русские укрепления – Гагра, Бомбора, Пицунда, которые должны были охранять Абхазию от вторжения горских племен – джиков и убыхов, упрочить владычество русских в этом крае.

Однако цель абхазской экспедиции полностью не была достигнута. Российские войска хотя и заняли побережье Абхазии, но севернее Гагры продвижение царских войск было приостановлено упорным сопротивлением джиков и убыхов, поэтому продвижение в сторону Анапы было перенесено на будущее.

ნონა ჭანტურია

ტრაპიზონის კონფერენციის საკითხი მეორეხული საბჭოს სსდომებზე

1918წ. 3 მარტს, საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასა და მის მოკავშირეებთან – ბულგარეთის, ავსტრია-უნგრეთის და თურქეთის სახელმწიფოებთან სეპარატული ზავი დადო. ამ ზავით ამიერკავკასიის ტერიტორიების დიდი ნაწილი, კერძოდ, არდაგანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები თურქეთს გადაეცა. ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება უმძიმესი იყო საქართველოსათვის, რადგანაც სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი კუთხეების მოწყვეტით ემუქრებოდა.

პირველი კონსულტაციები ჯერ კიდევ 1917წ. დეკემბერში მას შემდეგ დაიწყო, რაც რუსეთ-თურქეთის ფრონტზე ცხადი შეიქნა თურქეთის წინააღმდეგ ომის გაგრძელების შეუძლებლობა. თურქეთი ამიერკავკასიის სიღრმეში მოიწვევდა, ხოლო ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის ჯარები მათი შემოტევის შეჩერებას ვეღარ ახერხებდნენ. დღის წესრიგში დადგა სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების აუცილებლობა. მოხდა ისე, რომ სამშვიდობო ინიციატივით თვით თურქეთი გამოვიდა.

1917წ. 17(30) ნოემბერს კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა პრჟევალსკიმ წერილი მიიღო კავკასიის ფრონტის თურქეთის ჯარების მთავარსარდალ, გენერალ ვეჰიბ ფაშასაგან, რომელიც წინადადებას იძლეოდა, დაეწყოთ მოლაპარაკება დროებითი ზავის დადების მიზნით¹.

18 დეკემბერს რუსეთსა და ანტანტას შორის ერზინჯანში

¹ მ. სვანიძე. ტრაპიზონის კონფერენცია (1918 წლის 14 მარტი – 14 აპრილი). – „ქართული დიპლომატია“, წელიწადიუული, 5. თბ., 1998, გვ. 19.

დაიღო 14 მუხლისაგან შემდგარი ხელშეკრულება, რომლის მე-4 მუხლი, ბრესტის საზავო კონფერენციის დამთავრებამდე კრძალავდა ჯარების სტრატეგიულ გადაადგილებას. ორივე მხარე კისრულობდა ამ ვალდებულებას და თუ რომელიმე მხარე დაარღვევდა ამ პუნქტს, ეს ქმედება ბრძოლის განახლებად ჩაითვლებოდა. ერზინჯანის ხელშეკრულებით კავკასიის ფრონტის სარდლობას უნდა მიეღო და აესრულებინა ბრესტის ზავის ყველა პირობა².

1918 წლის 14 იანვარს ამიერკავკასიის ფრონტის სარდალმა ვეჰიბ-ფაშამ გენერალ ოდიშელიძეს მოსწერა წერილი, სადაც სთავაზობდა მოლაპარაკების წარმოებას. ოდიშელიძემ უპასუხა, რომ ასეთი მოლაპარაკება იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ საჭირო ინსტრუქციას მიიღებდა მთავრობისაგან³.

ამიერკავკასიის სეიმმა შექმნისთანავე (1918წ. 10 თებერვალს) მიიღო გადაწყვეტილება, საზავო მოლაპარაკება თურქეთთან დამოუკიდებლად ეწარმოებინა ქალაქ ტრაპიზონში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ტრაპიზონის საზავო კონფერენციის საკითხს მრავალი მკვლევარი შეეხო. მათ შორის უნდა დავასახელოთ: ნ. ზოსიძის⁴, შ. ჯაფარიძის⁵, ზ. ავალიშვილის⁶, ლ. თოიძის⁷, ა. ბენდიანიშვილის⁸, შ. ვადაჭკორიას⁹, მ. სვანიძის, დ. ჭუმბურიძის და სხვათა ნაშრომები.

მაგრამ ზემოთ დასახელებული მკვლევარები მიზნად არ ისახავდნენ სპეციალურად შეესწავლათ ეროვნული საბჭოს მოღვა-

² დ. ჭუმბურიძე. აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი. თბ., 1999, გვ. 13.

³ დ. ჭუმბურიძე. აჭარის საკითხი... გვ. 14.

⁴ ნ. ზოსიძე. პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში. 1918-1920. ბათუმი, 1995.

⁵ შ. ჯაფარიძე. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. 1918-1921, ბათუმი, 1994.

⁶ ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921წწ. საერთაშორისო პოლიტიკაში. თბ., 1990.

⁷ ლ. თოიძე. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. – „საისტორიო ვერტიკალები“, 1991, №1.

⁸ ა. ბენდიანიშვილი. საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.). თბ., 2001.

⁹ შ. ვადაჭკორია. ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921წწ. თბ., 2001.

წეობა ტრაპიზონის კონფერენციაზე განხილული საკითხებისადმი. ამიტომ წინამდებარე სტატიაში მიზნად დავისახეთ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ამ ხარვეზის შევსება.

ტრაპიზონის კონფერენციის მსვლელობის შესახებ ცნობები ეგზავნებოდა ეროვნულ საბჭოს, რომელიც დიდი ყურადღებით და გულისხმიერებით ღებულობდა შესაბამის გადაწყვეტილებებს.

1918წ. 19 თებერვალს ეროვნული საბჭოს IX სხდომა გაიმართა. სხდომას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანი. პრეზიდიუმში იყვნენ: აკაკი ჩხენკელი, გიორგი ლასხიშვილი, კონსტანტინე მესხი. მდივნობდა ეროვნული საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი. დღის წესრიგის მთავარ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც საზავო მოლაპარაკებას შეეხებოდა, ეროვნული საბჭოს წინაშე წარსდგა აკაკი ჩხენკელი. მან ეროვნული საბჭოს წევრებს აცნობა, რომ ამიერკავკასიის სეიმმა გარკვეული სამზადისი გასწვია მოლაპარაკებისათვის და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები. სახელდობრ: თურქეთის მთავრობას აცნობა, რომ მზად იყო მოლაპარაკების დასაწყებად. მოლაპარაკების ადგილად შეირჩა ტრაპიზონი, ხოლო შეხვედრის თარიღად 17 თებერვალი განისაზღვრა. მოლაპარაკებას საფუძვლად უნდა დადებოდა სეიმის სამშვიდობო კომისიის მიერ შემუშავებული შემდეგი პირობები. ორივე მხარეს უნდა შეენარჩუნებინა ის სახელმწიფო საზღვრები, რომელიც 1914 წლამდე არსებობდა და, ამასთანავე, ოსმალეთის სომხეთს მინიჭებოდა ეროვნული პოლიტიკური თვითმმართველობა ოსმალეთის საზღვრებში¹⁰.

ამიერკავკასიის სეიმმა თურქეთთან მოლაპარაკების მიზნით დელეგაციის ხელმძღვანელად დანიშნა ცნობილი დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწე აკაკი ჩხენკელი. დელეგაციაში შედიოდნენ: გ. ლასხიშვილი, გ. გვაზავა, ჰ. აბაშიძე, ა. სტასოვი, ო. კაჩაზნუნი, ს. მამელოვი, მ. განჯინსკი, მ. მესტიევი.

როგორც ეროვნული საბჭოს IX სხდომიდან ირკვევა, დელეგაციის გამგზავრება დროებით შეფერხდა, რადგანაც თბილისში მიიღეს რუსეთის დელეგაციის მდივნის ლ. კარახანის დეპეშა,

¹⁰ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში სცსსა). ფ. 1836, აღწ. 1, ს. 3, ფურც. 80.

რომელშიც იყო შეტყობინება იმის შესახებ, რომ უკვე ხელი მოაწერეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავს და ამ აქტით ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქები უნდა დაეთმოთ თურქეთისათვის¹¹.

ზავის პირობებმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ამიერკავკასიის ხალხებში. მათ არ სცნეს ზავის პირობები. იმავე საღამოს სასწრაფოდ მოიწვიეს ამიერკავკასიის ყველა ფრაქციის წარმომადგენელთა თათბირი, რომლებმაც ერთხმად დაგმეს საბჭოთა რუსეთის მიერ ოსმალეთისათვის აღნიშნული ოლქების გადაცემის ფაქტი და ამის საპასუხოდ გადაწყვიტეს ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო კონფერენციის, აგრეთვე პეტროგრადში მყოფი საბჭოთა მთავრობის და სხვა სახელმწიფოთა მთავრობებისათვის საპროტესტო დეპეშა გაეგზავნათ: „თანახმად სეიმის გადაწყვეტილებისა, – ნათქვამია მასში, – თუ ბრესტ-ლიტოვსკში შეკრული ზავის პირობები ამიერკავკასიის შესახებ მართალია, იგი პირობები სავალდებულო და მისაღები არ არის ამიერკავკასიისათვის, როგორც მის დაუკითხავად და დაუდასტურებლად მიღებული“.¹²

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების პირობებმა წინა პლანზე წამოსწია საკითხი ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით, როგორც ეროვნული საბჭოს IX სხდომიდან ირკვევა, თავდაპირველად მსჯელობა ამიერკავკასიის სეიმის სხდომაზე გაიმართა.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხის განხილვას დაეთმო ეროვნული საბჭოს 19 თებერვლის სხდომა. სოციალ-დემოკრატებს მწვავედ შეუტია იასონ ლორთქიფანიძემ. „როცა ვამბობდით დამოუკიდებლობა გამოვაცხადოთ, თქვენ უარზე იყავით, მაგრამ არავინ იცოდა, რა საბუთებს ემყარებოდით. მაშინ რომ გამოვვეცხადებინა დამოუკიდებლობა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავს, ჩვენთვის არავითარი სავალდებულო მნიშვნელობა არ ექნებოდა. ახლა ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ რუსეთი ვერ დაგვეხმარება, ხოლო საკუთარი ძალა ჩვენ არ გვყავს. ასეთ პირობებში კი ოსმალეთთან ომი შეუძლებელია“.¹³

¹¹ სცხსა. ფ. 1875, აღწ. 1, ს. 4, ფურც. 54.

¹² სცხსა. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 3, ფურც. 80-81.

¹³ სცხსა. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 3, ფურც. 82.

ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას იასონ ლორთქიფანიძის გამოსვლას შემდეგი არგუმენტებით დაუპირისპირდა: „რუსეთი ჩვენ ვერ გვიშველის, საკმარისი ძალაც არ გავგაჩნია, მაგრამ ჩვენ ომს არ ვაპირებთ. ჩვენი მიზანია გავამაგროთ ბათუმი, რომლის ზღვით ალება ოსმალეთისთვის შეუძლებელია. ამასთანავე ოსმალეთის ჯარი დაუძღვრებულია და იმხელა ძალას ვერ მოიტანს, რომ ხმელეთიდან დაგვამარცხოს. სანამ ოსმალეთსა და ინგლისს შორის ომი გრძელდება, ოსმალეთს დიდი რაოდენობით ჯარის გადმოსხმა ჩვენს ტერიტორიაზე არ შეუძლია. რაც შეეხება ინგლისს, იგი თვითონ არის დაინტერესებული ამიერკავკასიის ბედ-იღბლით. არავინ იცის როგორ განვითარდება მოვლენები. ასეთ ვითარებაში, ჩვენ რომ აჩქარებით გამოგვეცხადებინა დამოუკიდებლობა ორ ცეცხლშუა მოვექცეოდით“¹⁴.

ეროვნული საბჭოს 26 მარტის სხდომაზე განსაკუთრებით მწვავე დავა გამოიწვია საკითხმა ბათუმის შესახებ. ხანგრძლივი კამათისა და აზრთა ურთიერთგაცვლის შემდეგ ეროვნული საბჭოს კრებამ შემდეგი სახის რეზოლუცია მიიღო: „საქართველოს ეროვნული საბჭო საჭიროდ თვლის, მილიტარულ და ფინანსური ძალების მობილიზაციას ბათუმის დასაცავად. საქართველოს ეროვნული საბჭო საჭიროდ თვლის პირდაპირი კონტაქტის დამყარებას ამიერკავკასიის სხვა ერთა საბჭოებთან და ამიერკავკასიის სეიმის მიერ დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებას. ამასთანავე, იმავე სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, აკაკი ჩხენკელს დაევალა მოლაპარაკება ამიერკავკასიის კომისარიატთან, რათა გამონახულიყო საშუალება სამხედრო საჭიროებისათვის“¹⁵.

თურქეთი მყისვე შეუდგა ბრესტის ზავით მინიჭებული უფლებების რეალიზაციას. საამისოდ მას ყველა ფორმალური პირობა ჰქონდა. მან მოითხოვა ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ევაკუაცია. ამიერკავკასიის კომისარიატი სადავო ტერიტორიას თურქეთს არ უთმობდა, მაგრამ მასთან ომსაც ერიდებოდა, რადგან საამისო ძალები არ გააჩნდა. დარჩა ერთადერთი გზა – სა-

¹⁴ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 3, ფურც. 82.

¹⁵ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 3, ფურც. 82.

ზავო მოლაპარაკება¹⁶.

ასეთი არასახარბიელო სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ფონზე შეუდგა მუშაობას ტრაპიზონის საზავო კონფერენცია. 22 თებერვალს ამიერკავკასიის დელეგაციამ ტრაპიზონიდან გენერალ კოლოსოვსკისაგან მიიღო ცნობა, რომ ტრაპიზონში ელოდებოდნენ თურქების დელეგაციას. 23 თებერვალს ტრაპიზონში ჩავიდა ამიერკავკასიის დელეგაცია¹⁷.

არსებობს გადმოცემა, რომ როდესაც ტრაპიზონში მოსალაპარაკებლად გაგზავნილი ამიერკავკასიის დელეგაცია ნაპირზე გადავიდა დამხმარე კრეისერ „კაროლ კარლოსიდან“, ვიღაც თურქმა თქვა: „თუ ეს მომლაპარაკებელი მხარის მოსახლეობაა, მაშინ ცოტანი არიან, თუ მხოლოდ დელეგაცია ძალიან ბევრიაო“.¹⁸

ტრაპიზონის საზავო ონფერენცია გაიხსნა 1918წ. 1 (14) მარტს. სულ გაიმართა 6 პლენარული სხდომა და 2 თათბირი. ოსმალეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა რაუფ-ბეი¹⁹.

1918წ. 8 აპრილს გაიმართა ეროვნული საბჭოს XI სხდომა, რომელსაც ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობა. ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, სხდომა დახურულად გამოცხადდა, რადგანაც ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის მოხსენება უნდა მოესმინათ. კონფერენციის მსვლელობის შესახებ დეტალური მოხსენება ა. ჩხენკელმა გააკეთა. მისი საუბრიდან ნათელი გახდა, რომ დელეგაციას მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა. ამასთანავე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დელეგაცია საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო, რაც ქმნიდა დიდ უხერხულობას. დელეგატებს შორის არ იყო თანხმობა, ერთსულოვნება, მდგომარეობას ართულებდა ქვეყნის შინაური ვითარება, კერძოდ, ბოლშევიკების გამოსვლები. განსაკუთრებულ სირთულეს ქმნიდა ის გარემოება, რომ სახელმწიფო, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ, საერთაშორისო არენაზე არ იყო აღიარებული. არ იყო გადაჭრილი ეროვნული საკითხი, ამიერკავკასიის ჯარის ნაწილები

¹⁶ ლ. თოიძე. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა..., გვ. 22.

¹⁷ სცხსა. ფ. 1875, აღწ. 1, ს. 4, ფურც. 54.

¹⁸ ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა, გვ. 49.

¹⁹ სცხსა. ფ. 1875, აღწ. 1, ს. 4, ფურც. 54.

უკან იხევდნენ, რასაც მოჰყვა ერზინჯანის და არზრუმის დატოვება, სარიყამიშის დაცემა, ასეთ პირობებში უხდებოდა დელეგაციას მუშაობის დაწყება²⁰.

ა. ჩხენკელის აზრით, ამიერკავკასიის დელეგაციაში უთანხმოებას ძირითადად ორი გარემოება იწვევდა. პირველი ის, რომ სომხები ზავის დადების წინააღმდეგი იყვნენ, რადგანაც მასში თავიანთთვის რაიმე სასიკეთოს ვერ ხედავდნენ. აზერბაიჯანლები კი, პირიქით, ოსმალებთან ზავის დადებას აუცილებლად მიიჩნევდნენ, თუნდაც ეს ზავი უკანონო ყოფილიყო.

საზავო მოლაპარაკების მიმდინარეობამ ნათელი გახადა დათმობაზე წასვლის აუცილებლობა. გადაწყდა, შეემუშავებინათ დათმობის არა მარტო მინიმუმი, არამედ მაქსიმუმიც, ამავე დროს დელეგაციას ჰქონდა მცდელობა, მოლაპარაკება ეწარმოებინა გერმანელებთან, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა.

მოლაპარაკების მსვლელობის დროს ოსმალეთის დელეგაციის მხრიდან დაისვა ორი ძირითადი საკითხი: 1. რას წარმოადგენდა ამიერკავკასია, რუსეთის ნაწილი იყო იგი თუ დამოუკიდებელი სახელმწიფო; 2. იყო ბრესტის ზავი სავალდებულო ამიერკავკასიისათვის თუ არა²¹.

ა. ჩხენკელის განმარტებით, ტრაპიზონის კონფერენციის პირველი ნაწილი სწორედ ამ ორი საკითხის ირგვლივ მოლაპარაკებას ეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულს არ ჰქონდა იურიდიული სახე, დელეგაციის პასუხი საკმაოდ მტკიცე იყო: ამიერკავკასია არის დამოუკიდებელი სახელმწიფო და, როგორც ასეთი, არავითარ ანგარიშს არ უწევს ბრესტის ზავს, რომელიც დაღო ბოლშევიკების მთავრობამ, ხოლო 1917 წლიდან, ე.ი. მათი აჯანყების დღიდან, ამიერკავკასია დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანიზმია საკუთარი მმართველობით, რომელიც არავის ემორჩილება. როგორც ა. ჩხენკელი აღნიშნავდა, ამიერკავკასიის დელეგაციის ამ განცხადებაზე თურქეთმა პროტესტი გამოთქვა. ისინი არ ცნობდნენ ამიერკავკასიას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რადგანაც მისი დამოუ-

²⁰ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 77.

²¹ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 77.

კიდებლობა არც ერთი სახელმწიფოსაგან არ იყო აღიარებული, და მას განიხილავდნენ, როგორც რუსეთის ნაწილს. დავა ამ საკითხების ირგვლივ სამ სხდომაზე გაგრძელდა. კამათის დასრულების შემდეგ ამიერკავკასიის დელეგაციამ კონფერენციას წარუდგინა ამიერკავკასიის სეიმის მიერ მიღებული 4 თეზისი²².

პირველ ორ თეზისში აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის სეიმი სრულუფლებიანად თვლის თავის თავს, ზავი შეკრას ოსმალეთთან და ამასთანავე შეკრას მუდმივი ზავი.

მესამე თეზისი შეეხებოდა საზღვრებს და გულისხმობდა ომის დაწყებამდე არსებულ საზღვრებს.

მეოთხე თეზისი ეხებოდა ანატოლიაში მცხოვრებ ერებს, განსაკუთრებით სომხებს, და ოსმალეთისაგან მოითხოვდა სომხებისათვის ავტონომიას ოსმალეთის სახელმწიფოს ფარგლებში²³.

„თეზისებთან დაკავშირებით, – ამბობდა ა. ჩხენკელი, – კატეგორიული გამოდგა თურქეთის პასუხი. მე-4 თეზისის შესახებ, რომელიც სომხეთის ავტონომიას შეეხებოდა, ჩვენ ცალკე ნოტა მივიღეთ, რომლის მიხედვითაც ამ საკითხის დასმას ოსმალეთი შინაურ საქმეებში ჩარევად მიიჩნევდა და დღის წესრიგიდან ხსნიდა. ხოლო, რაც შეეხება მე-3 თეზისს, დაუყოვნებლივ მოითხოვდა ბრესტის ზავის პირობებით მითითებული ტერიტორიების დაცლას“²⁴.

ამავე დროს მივიღეთ გადაწყვეტილება, ოსმალეთის დელეგაციისათვის გადაგვეცა, სეიმის რეზოლუცია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ, სადაც ეს დამოუკიდებლობა პრინციპულად აღიარებული იყო შემდეგი დამატებით – უწყებულ პირობათა მიხედვით („при известных условиях“). ეს რეზოლუციაც არ გამოდგა არგუმენტად, რადგანაც თურქეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას, თუ საზავო ხელშეკრულების აქტში, ცალკე მუხლად იქნებოდა შეტანილი ეს დამოუკიდებლობა. ამით მოლაპარაკების პირველი ნაწი-

²² სცხსა. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 77.

²³ სცხსა. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 77.

²⁴ სცხსა. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 77 (იხ. აგრეთვე: ქართული დიპლომატიის ისტორია. ქრესტომათია. თბ., 2004, გვ 427).

ლი დასრულდა. კონფერენციის მუშაობა დროებით შეჩერდა²⁵.

ამასობაში, როგორც გაზეთი „სახალხო საქმე“ იტყობინებოდა, ამიერკავკასიის სეიმა, მოისმინა რა მთავრობის მოხსენება საზავო მოლაპარაკების შესახებ, მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „სურს მიაღწიოს საპატიო ზავს, რომელიც მისაღები იქნება ოსმალეთისა და ამიერკავკასიისათვის, საგარეო საქმეთა მინისტრს და დელეგაციის თავმჯდომარეს ა. ჩხენკელს მოსავს საგანგებო რწმუნებით“.²⁶ ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარისათვის ამგვარი უფლებების მინიჭებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, ეს გადაწყვეტილება იურიდიულ უფლებას არ ანიჭებდა მას, მაგრამ კონფერენციის შემდგომი მსვლელობისას ამან დადებითი შედეგები მოიტანა.

„მოლაპარაკების განახლებისთანავე, – აცნობებდა ეროვნული საბჭოს წევრებს აკაკი ჩხენკელი, – ოსმალეთს წარუდგინეთ დათმობის მინიმუმი, რომელიც ითვალისწინებდა ოსმალებისათვის დაგვეთმო ოლთისის ოლქი, არტაანის სამხრეთი ნაწილი, სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი ყარსის ოლქისა და ყაგიზმანის ოლქის დასავლეთი ნაწილი. თურქებმა მხოლოდ გზა შეინარჩუნეს ოლთისიდან ყარსამდე“.²⁷ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს გადაწყვეტილება დელეგაციის წევრებმა მიიღეს სპეციალისტებთან გარკვეული რჩევისა და შეჯერების შედეგად.

ოსმალეთის დელეგაციამ ეს წინადადება თავის მთავრობას გადასცა.

რ აპრილს ოსმალეთის მთავრობამ ამიერკავკასიის დელეგაციას წარუდგინა ულტიმატუმი: ეცნოთ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები. ამ მოთხოვნაზე ოსმალეთს პასუხი უნდა მიეღო 48 საათის განმავლობაში²⁸.

იმავე დღეს აკაკი ჩხენკელმა სთხოვა ევგენი გეგეჭკორს, დაესვა საკითხი სეიმის წინაშე, შესაძლებელი იყო თუ არა იარაღით ბათუმის, არდაგანის, ყარსის დაცვა? მაგრამ ოსმალეთმა

²⁵ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 77.

²⁶ „ამიერკავკასიის სეიმი“. – გაზ. „სახალხო საქმე“, 1918წ. 16 მარტი.

²⁷ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფ. 79.

²⁸ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფ. 79.

უკვე გადადგა სათანადო ნაბიჯი და მისი ჯარები შემოიჭრა ამიერკავკასიის საზღვრებში. ამგვარად, ოსმალეთმა მოისურვა ამიერკავკასიის ფაქტის წინაშე დაყენება“.²⁹

„შეიქნა მეტად კრიტიკული მდგომარეობა, – აღნიშნავდა აკაკი ჩხენკელი. – ამას დაემატა ის გარემოებაც, რომ იმავე დღეს თბილისიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპეშა მივიღეთ, რომელიც შეიცავდა ოფიციალურად შემოწმებულ ბრესტის ზავის მე-4 მუხლს, რომელიც ამიერკავკასიას შეეხებოდა“.³⁰

ბრესტის ზავის აღნიშნული მუხლი მწვავე კომენტარებით გახეთმა „სახალხო საქმე“ 1918წ. 15 მარტს თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა: „როგორც ვიცით, – წერდა გახეთი, – ოსმალეთის სამშვიდობო დელეგაცია მოითხოვს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შესრულებას და ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქების დაცვას, მაგრამ თვით ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება ასეთი კატეგორიული ხასიათის არ არის. ხელშეკრულების მე-4 მუხლში ვკითხულობთ შემდეგს: „რუსეთი ყოველნაირ ზომებს მიიღებს, რათა უზრუნველყოს განთავისუფლება აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციებისა და კანონიერი აღორძინება ოსმალეთისა. არდაგანიდან, ყარსიდან და ბათუმიდან დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს რუსის ჯარი. რუსეთი არ ჩაერევა ამ ოლქების სახელმწიფოებრივ-საერთაშორისო, უფლებრივ ურთიერთობაში და მცხოვრებლებს საშუალებას მისცემს ახალი წეს-წყობილება დაამყაროს მეზობელ სახელმწიფოთა და სხვათა შორის ოსმალეთთან შეთანხმებით“.³¹ როგორც ვხედავთ, ზემოთ დასახელებული ოლქებიდან გამოყვანილი უნდა ყოფილიყო რუსეთის ჯარები, მაგრამ არ არის ნათქვამი, რომ ეს ოლქები უნდა გადასულიყო თურქეთის მფლობელობაში. ხელშეკრულებით ამ სამი ოლქის მომავალი ბედი უნდა გადაწყვიტა ადგილობრივ მოსახლეობას მეზობელ ქვეყნებთან, განსაკუთრებით თურქეთთან შეთანხმებისა და მათი დახმარების მეშვეობით. თურქეთმა კი ეს უფლება ერთ-

²⁹ ვ. ნოზაძე. საქართველოს ადღეგენისათვის, ბრძოლა მესხეთის გამო. თბ., 1989, გვ. 24.

³⁰ სცხსა. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 80.

³¹ „ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება“. – გაზ. „სახალხო საქმე“, 1918წ. 15 მარტი, №195.

პიროვნულად მიითვისა და აღნიშნული ტერიტორიების ოკუპაციას შეუდგა.

1918წ. 8 აპრილს ეროვნული საბჭოს სხდომაზე „ამ დეპეშამ, – აღნიშნავდა აკაკი ჩხენკელი, – დელეგაციაში დიდი უთანხმოება გამოიწვია. სომხები, რომლებიც თანახმა იყვნენ დათმობის მაქსიმუმზე, მას შემდეგ, რაც გაეცნენ აღნიშნულ მუხლს, წინააღმდეგი გახდნენ, ოსმალეთისათვის დაეთმოთ ის ტერიტორიები, რომელთა მცხოვრებლებს ბრესტის ზავი თვითგამორკვევის უფლებას უტოვებდა. ამათ მიემხრნენ აზერბაიჯანლები. ჩვენ გადავწყვიტეთ დათმობის მაქსიმუმზე შეჩერება, რადგანაც თვითგამორკვევის პრინციპს ქართველები ვერ დავემყარებოდით, ვინაიდან ბათუმში მდგომარეობა მეტად კრიტიკული იყო, მიუხედავად ჩვენი დელეგაციის წევრების მიერ გაწეული მუშაობისა. თავისი საქმიანობით იქ მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანებს შორის დიდი ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა ჰაიდარ ბეგ აბაშიძემ. ჩვენს ჩასვლამდე ტრაპიზონში ყოფილა მემედ ბეგ-აბაშიძე, რომელსაც ათასობით პროკლამაცია ჩაუტანია ხალხში გასავრცელებლად საქართველოსთან ერთიანობის პროპაგანდის მიზნით. ასე რომ, სრული საბუთი გვაქვს იმისა, რომ მემედ ბეგ აბაშიძე პროპაგანდას ეწეოდა, რათა ქართველ მაჰმადიანებს არ შეეწყვიტათ კავშირი დედა-სამშობლო საქართველოსთან. ამიტომ სრულად უსაფუძვლოა ის ხმები, რომ მას ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის ელაღატოს“.³²

ა. ჩხენკელის განცხადებით, ყველა საშუალებას მიმართეს, რომ ქართველ მაჰმადიანებს საქართველოსთან კავშირი არ შეეწყვიტათ. მაგრამ მათმა საქმიანობამ შედეგი ვერ გამოიღო.

და როდესაც გავიგე, აჭარამ ზურგში მახვილი ჩაგვცა, ჩემი ფარ-ხმალი შესუსტდა. როგორ შემიძლო დამეცვა მე თვითგამორკვევის პრინციპი, როდესაც საამისო ნიადაგი ფეხქვეშ გამოგვცალა. და რაკი ასეთი მწვავე მდგომარეობა გველობებოდა წინ, ბათუმის დაცვა შეუძლებელი იყო, რადგანაც ბათუმი მარტო ჩვენ, ქრისტიან ქართველებს, არ გვეკუთვნოდა, არამედ უპირველესად იმათი, აჭარლების, იყო. ამასთანავე თვით ოსმალეთს განსაკუთ-

³² სცხსა. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფ. 79-83.

რებით აინტერესებდა ბათუმი, მხოლოდ არა როგორც ქალაქი, არამედ როგორც სიმაგრე. სწორედ ამიტომ შეუძლებელი იყო ჩვენთვის ნაბიჯის გადადგმა თვითგამორკვევის პრინციპის დაცვისა-საკენ ბათუმის შესახებ“.³³

ასეთი ვითარების ფონზე 25 მარტს (7 აპრილს) ჩვენმა დელეგაციამ გადაწყვიტა ოსმალეთისათვის შეეთავაზებინა დათმობის მაქსიმუმი, რომელიც ა. ჩხენკელმა აცნობა თავის მთავრობას.

ა. ჩხენკელის მიერ გამოგზავნილი დათმობის მაქსიმუმის პირობები თბილისში 26 მარტს (8 აპრილს) მიიღეს. იმავე დღესვე ეროვნული საბჭოს XI საგანგებო სხდომა შედგა. კრებას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანიას. მან ეროვნული საბჭოს წევრებს გააცნო დებუების შინაარსი. მასში საუბარი იყო ამიერკავკასიის დელეგაციის მიერ შემუშავებულ დათმობის მაქსიმუმზე, რომელიც გულისხმობდა ყარსისა და არდაგანის ოლქების დათმობას, მხოლოდ ყარსის ოლქიდან, იმ ერთი ნაწილის გამოკლებით, რომლის მოსახლეობას სომხები შეადგენდნენ და არდაგანის ოლქის ნაწილის გამოკლებით. რაც შეეხებოდა ბათუმის ოლქს, აქედან ოსმალეთს რჩებოდა მხოლოდ ართვინის უბანი, ბათუმი და ბათუმის მხარე ჩვენ გვრჩებოდა³⁴.

ეროვნული საბჭოს 26 მარტის სხდომაზე იმსჯელებს იმის შესახებ, თუ ოსმალეთის დელეგაცია არ მიიღებდა დათმობის მაქსიმუმს, რა იქნებოდა შემდეგი ნაბიჯი, მზად იყვნენ თუ არა დაეცვათ ბათუმი, იყო თუ არა ამის რეალური შესაძლებლობა ქვეყანაში³⁵.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავიანთი აზრი გამოთქმეს გ. რცხილაძემ, ე. თაყაიშვილმა, კ. აფხაზმა, ი. ბარათაშვილმა, შ. ამირეჯიბმა, ი. ჩერქეზიშვილმა და სხვებმა³⁶.

სოციალისტ-ფედერალისტები, რომელთა სახელითაც ეროვნული საბჭოს XI სხდომაზე მოხსნებით წარსდგა გრიგოლ რცხილაძე, მოითხოვდნენ დაწვრილებით ცნობებს სამხედრო მდგომარეობის შესახებ.

³³ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფ. 84.

³⁴ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 59.

³⁵ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 59.

³⁶ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 60-68.

რეობის შესახებ. ასეთი ცნობების ეროვნული საბჭოს სხდომებზე გამოტანის კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ სოციალ-დემოკრატები. უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი გადაწყვეტილება სავსებით ლოგიკური იყო, რადგანაც სამხედრო საიდუმლოება არ შეიძლება გამხდარიყო ღია მსჯელობის საგანი. განსაკუთრებით საყურადღებოა ექვთიმე თაყაიშვილის გამოსვლა: „ჩვენ კისრამდის უფსკრულში ვართ ჩაფლული, ერთმანეთთან კინკლაობას თავი დავანებოთ და ვეცადოთ გამოვარკვიოთ რა გვიშველის და რა გვიხსნის... ამისთანა დიდ კრებაზე ყველაფრის გათვალისწინება და გამჟღავნება შეუძლებელია. საქმის დადებითად გადასაწყვეტად უმჯობესია ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი გავაძლიეროთ დამატებით არჩეული პირებით და მათ მივანდოთ ჩვენი ქვეყნის ბედის გადაწყვეტა“.³⁷

ოსმალეთთან ომის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო კონსტანტინე აფხაზი. მისი აზრით, თუ საქართველო ომს დაიწყებდა, მტერი იმ ტერიტორიებსაც დაიპყრობდა, რომელიც ბრესტის ზავით არ იყო განსაზღვრული. ეს კი საქართველოს პოლიტიკური რუკიდან გაქრობას გამოიწვევდა.³⁸

ეროვნული საბჭოს ამავე სხდომაზე ნ. ჟორდანიამ სხდომის წევრებს ბათუმის დაცვასთან დაკავშირებით ამიერკავკასიის სეიმის ფრაქციათა აზრი გააცნო. „რაც შეეხება პარტიების აზრს ბათუმის შესახებ, ისინი წინააღმდეგი არიან ბათუმის დათმობისა. დაშნაკცაკანები, აგრეთვე მუსულმანთა პარტია „მუსავატი“ დღეს ტრაპიზონში გზავნის დელეგაციას, რათა გავლენა მოახდინონ ოსმალებზე და მორიგებით გაათავონ საქმე. ასევე დელეგაციას გზავნიან ჩეჩნები და ინგუშები. ეს დელეგაციები ტფილისიდან დღეს საღამოს 9 საათზე გავლენ (იგულისხმება 26 მარტი). თათრები ამბობენ, თუ ჩვენთვის ბაქოა საჭირო, თქვენთვის ბათუმის შენარჩუნება არის მთავარი. ამრიგად, ყველა პარტია თანახმაა ბათუმის დაცვისა“.³⁹

ტრაპიზონის კონფერენციაზე მიღებული ულტიმატუმის ვა-

³⁷ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 60-61.

³⁸ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 63.

³⁹ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 73.

და, როგორც ეროვნული საბჭოს 1918წ. 8 აპრილის სხდომაზე, – აღნიშნავდა ა. ჩხენკელი, – 26 მარტს 7 საათზე იწურებოდა. პასუხი კი თბილისიდან აგვიანებდა. ამავე დროს მივიღეთ ცნობა ბათუმში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ. ოსმალები ბათუმიდან 8 კილომეტრზე იმყოფებოდნენ. აჭარლებმა აჭარისწყალი დაიკავეს, ქართულმა ჯარმა კი პოზიციები მიატოვა და უკან დაიხია. ამის შემდეგ ყველამ ის აზრი გამოთქვა, რომ საჭიროა ბრესტის ზავი მივიღოთ. მე მაინც არ დავეთანხმე, მაგრამ კვლავ მოვიდა ცნობა: ბათუმი ცუდ მდგომარეობაშია. ამას ზედ მოჰყვა ერთი კერძო ცნობა სანდო პირისაგან ბათუმის უიმელო მდგომარეობის შესახებ... დოკუმენტურად კი გამოვარკვეე, რომ ბათუმს, როგორც სიმაგრეს, ოსმალები არ დათმობდნენ. რა დოკუმენტიცაა ეს, ვერ მოგახსენებთ, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ იყო ერთგვარი შეკითხვა ბათუმის ქართველი ერისათვის დათმობის შესახებ და ამაზე შემდეგი პასუხი მივიღეთ. ბათუმს ქართველებს ვერ დავუთმობთ. ქართველებს ჩვენ სხვაგვარად დავაკმაყოფილებთ. მომეცით ნება, ამაზე მეტი აღარა ვთქვა რა. ერთი სიტყვით, გამოირკვა, რომ დიპლომატიური გზით შეუძლებელი იყო ბათუმის შენარჩუნება. იარაღით კი, რამდენიც გნებავთ“.⁴⁰

ასეთი მძიმე იყო რეალობა. წინ ულტიმატუმი იდო. პასუხი თბილისიდან იგვიანებდა. ა. ჩხენკელმა მიიღო ზომები ულტიმატუმის ვადის გასაგრძელებლად. ვადად კვლავ 48 საათი დაინიშნა. ულტიმატუმის ვადა 28 მარტს 7 საათზე თავდებოდა. პასუხი თბილისიდან არ მიუღიათ. „ასეთ კრიტიკულ ვითარებაში, – აღნიშნავდა ა. ჩხენკელი, – მთავრობისაგან თანხმობის გარეშე გადავწყვიტეთ მიგველო ბრესტის ზავის პირობები“.⁴¹

ამიერკავკასიის დელეგაციის ეს გადაწყვეტილება ოსმალეთის დელეგაციას 1918წ. 10 აპრილს გადაეცა. პასუხი ოსმალეთის მთავრობისაგან 31 მარტს (13 აპრილს) მიიღო, საიდანაც ირკვეოდა, რომ ოსმალეთის მთავრობა მოლაპარაკების საფუძვლად იღებდა ბრესტის ზავს. აქედან გამომდინარე, საჭიროდ თვლიდა მოლაპარაკებაში ჩაერთო მოკავშირეები, ხოლო ამიერკავკასიის

⁴⁰ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 80.

⁴¹ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 81.

მთავრობისაგან მოითხოვდა დამოუკიდებლობის გამოცხადებას⁴².

ასეთ რთულ ვითარებაში 1 (14) აპრილს თბილისიდან ამიერკავკასიის დელეგაციამ მიიღო მთავრობის დეპეშა, რომელიც შემდეგი შინაარსის იყო. „დღეს ამიერკავკასიის სეიმმა ერთხმად მიიღო დადგენილება: ვინაიდან სამშვიდობო მოლაპარაკებამ ამიერკავკასიისა და ოსმალეთს შორის საზღვრების საკითხზე შეთანხმებას ვერ მიაღწია, ამიერკავკასიის დელეგაციას წინადადება ეძლევა დაუყოვნებლივ დაბრუნდეს თბილისში“.⁴³

როგორც ვხედავთ, სიტუაცია უკიდურესად გამწვავდა, ბრძანებას საზავო მოლაპარაკების შეწყვეტის შესახებ შეიძლებოდა უმძიმესი შედეგები მოჰყოლოდა, რაც მომავალში საზავო მოლაპარაკების გაგრძელებას შეუძლებელს გახდიდა. „ასეთ ვითარებაში, – აღნიშნავდა ა. ჩხენკელი, – ამიერკავკასიის დელეგაციის წევრებმა გადავწყვიტეთ, მთავრობის დასტურის გარეშე გადაგვედგა ნაბიჯები. როგორც მოგახსენებთ, პირველი და უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბრესტის ზავის მიღების შესახებ მთავრობისაგან ნებართვის გარეშე გადავდგით, დელეგაციამ ეს ნაკლები დანაშაულიც თავის თავზე აიღო, რათა შემდეგში ზავის შეკვრა შესაძლებელი გამხდარიყო. ამ მოსაზრებით ოსმალეთის დელეგაციას, დეპეშის მხოლოდ მეორე ნაწილი ვაცნობეთ, რაც შეეხებოდა მოტივებს, ამის თქმა საჭიროდ არ მივიჩნიეთ, აღვნიშნე, რომ მოლაპარაკება დროებით არის შეჩერებული და არაა შეწყვეტილი“.⁴⁴

ამ გადაწყვეტილებით ტრაპიზონის კონფერენციამ 1918წ. 1 (14) აპრილს მუშაობა დაასრულა.

ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება შეწყდა და დაიწყო ომი ოფიციალურად. იმავე დღეს მთავრობამ ხალხს იარაღისაკენ მოუწოდა. არაოფიციალურად, 1918წ. 9 აპრილიდან დაწყებული ომი 13 აპრილს უკვე ოფიციალური გახდა⁴⁵.

ამრიგად, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თავის სხდომებზე დიდი ყურადღება დაუთმო ტრაპიზონის საზავო კონფე-

⁴² *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 81.

⁴³ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 82.

⁴⁴ *სცხსა*. ფ. 1836, აღწ. 1, ს. 5, ფურც. 82.

⁴⁵ **გ. ნოზაძე**. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა, გვ. 26.

რენციის მსვლელობის განხილვას. ეროვნული საბჭოს წევრებს ღრმად ჰქონდათ გააზრებული ისტორიული ტერიტორიების დაცვის აუცილებლობა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცების საქმეში. აქედან გამომდინარე, კონფერენციის მსვლელობის პარალელურად ეროვნული საბჭოს სხდომებზე საფუძვლიანად განიხილებოდა ამიერკავკასიის დელეგაციის მიერ გამოგზავნილი ცნობები და იღებოდა შესაბამისი რეზოლუციები. მიუხედავად აღნიშნული ღონისძიებებისა, ტრაპიზონის კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდა. ოსმალეთის დელეგაციას წინასწარ ჰქონდა შემუშავებული და ჩამოყალიბებული თავისი მოთხოვნები, რომელიც თავს მოახვია ამიერკავკასიის დელეგაციას.

Н. Р. ЧАНТУРИА

ТРАПЕЗУНТСКАЯ КОНФЕРЕНЦИЯ НА ЗАСЕДАНИЯХ НАЦИОНАЛЬНОГО СОВЕТА

Представленная статья основана на изученных нами архивных материалах и на соответствующей ей научной литературе. В грузинской историографии многие исследователи затронули вопросы заседаний Траpezунтской конференции (27.II-1.IV.1918г.), но их работа не ставила перед собой целью специально изучить деятельность Национального совета по отношению к рассмотренным вопросам Траpezунтской конференции.

Национальный Совет Грузии – своеобразный неофициальный парламент страны – в своей деятельности большое внимание уделял проходившей в феврале-марте 1918г. в Траpezунте мирной конференции с участием делегации Закавказского Сейма и Турции. На заседаниях Совета неоднократно рассматривались вопросы, связанные с ходом переговоров в Траpezунте. Члены Национального Совета глубоко осознавали необходимость защиты исторических территорий Грузии и восстановления национальной государственности. Именно в этом направлении шла дискуссия на заседаниях Национального Совета. На этих заседаниях детально обсуждались сведения предоставленные делегацией Закавказского Сейма и принимались соответствующие резолюции. Однако, старания Национального Совета Грузии не увенчались успехом и Траpezунтская конференция закончилась безрезультатно.

დაზმირ ჯოჯუა

საქართველოს ეროვნული მოძრაობის კერიოდიზაციის საკითხისათვის.

XXს. II ნახევარი

უძველესი ცივილიზაციების ეპოქის ერთმა ჩინელმა ბრძენ-კაცმა ისტორიული რეალობა მარმარილოს ქვას შეადარა, ხოლო ისტორიკოსი – სკულპტორს, რომელიც ამ მასალისაგან ხელოვნების ძეგლს ქმნის. ცხადია, რომ სკულპტორის სულიერებაზე, მის ესთეტიკურ მრწამსზე და ცნობიერულ ბაზაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სკულპტურული ძეგლის რაობა და ის, თუ რომელ კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს ეს ძეგლი – მშვენიერს, ამაღლებულს თუ კომიკურს, მახინჯს, უგემოვნებოს.

ისტორია არ არსებობს სულის, ე.ი. ისტორიკოსის ცნობიერების გარეშე. ისტორიკოსის სულიერი ორიენტაცია და მსოფლმხედველობრივი კრედიო ფაქტობრივად განსაზღვრავს კიდევ მის მიერ ამა თუ იმ ეპოქის თუ ისტორიული ფენომენის ანალიზს. ეს ისტორიოსოფიული რეფლექსია მოქმედებს თავისთავად, თვით ისტორიკოსისაგან დამოუკიდებლად, როგორც ქვეცნობიერი გნოსეოლოგიური თეზა.

XX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორია უმნიშვნელოვანესი ეტაპია ჩვენი ერისა და მისი სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიულ პროცესში. ცხადია, რომ მისი მიუკერძოებელი, ობიექტური და ფაქტობრივ მასალაზე დაფუძნებული ანალიზი თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის პრიორიტეტული ამოცანაა. ამ ამოცანის გადაწყვეტის თვალსაზრისით კი მეტად არასახარბიელო მდგომარეობის წინაშე ვიმყოფებით სულ ცოტა ორი მომენტის გამო. ჯერ ერთი, თვალშისაცემია პუბლიცისტიკის უპირატესობა მეცნიერულ-ისტორიულ კვლევასთან შედარებით. შეიძლება ითქვას, პუბლიცის-

ტებმა გაუსწრეს ისტორიკოსებს ამ სფეროში. რა თქმა უნდა, პუბლიცისტიკა საზოგადოებრივი აზროვნების განუყოფელი ნაწილია, მაგრამ, როგორც წესი, ისტორიული პროცესისადმი პუბლიცისტურ მიდგომას აკლია რეპრეზენტატულობა, გამოყენებული წყაროს ან ინფორმაციის დამაჯერებლობის შეფასება და ა.შ. მაგალითად, პუბლიცისტს შეუძლია აღწეროს 1992 წლის იანვრის თბილისის ქუჩები, წარმოადგინოს საქართველოს გაპარტახებისა და ნგრევის მასშტაბები, მაგრამ მას არ ევალება ისაუბროს ამ მოვლენების სიღრმისეულ მიზეზებზე, კონკრეტულ-ისტორიულ ფაქტებზე, ასე ვთქვათ, ისტორიულ ონტოლოგიაზე დაყრდნობით დაახასიათოს კონფორტაციისა და სამოქალაქო ომის წანამძღვრები. ისტორიკოსისათვის კი, თუ, რასაკვირველია, მას აქვს ჭეშმარიტების დადგენის პრეტენზია, მთავარია გაანალიზოს საკვლევი პროცესების ობიექტური სურათი, განსაკუთრებულად შეაფასოს ამა თუ იმ წყაროს დამაჯერებლობა.

მეორე მომენტი თვით ისტორიულ მეცნიერებაში გამეფებულ კრიზისულ სიტუაციას შეეხება. ე. შევარდნადის დროს შექმნილმა სისტემამ შეიმუშავა საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების ათასნაირი მეთოდი და საშუალება – ინფორმაციის დოზირება, სიმართლის დამალვა, ლოკუმენტური ფალსიფიკაციები და მისტიფიკაციები (მაგ. მითები შევარდნადის მიერ ქართული ენის გადარჩენაზე, 9 აპრილის ტრაგედიაში მის პოზიტიურ (sic!) როლზე, სამოქალაქო ომიდან საქართველოს გამოყვანაზე (?) და ა.შ.), არასასურველი წყაროების განადგურება (მაგ. ბიბლიოთეკების ფონდებიდან მიზანმიმართულად არის ამოღებული სახელმწიფო გადატრიალებაში ე. შევარდნადის მონაწილეობის დამადასტურებელი რუსული პრესის მასალები) და სხვ., – რის შედეგადაც ჩამოყალიბდა თავისებური ორაზროვნების, ორმაგობის სისტემა – მოვლენათა არსი ერთგვარად იხლიჩება რეალობასა და ოფიციალური იდეოლოგიის მიერ შემოთავაზებულ სქემებს შორის; შედეგად მივიღეთ ფალსიფიცირებული, დამახინჯებული ისტორია ეროვნული მოძრაობისა. ჩინელი ბრძენკაცის ზემოთ მოყვანილი ნააზრევის პერიფრაზს თუ მოვანდენთ, შენდება ისეთი სკულპტურული ძეგლი, რომელშიც თავის ადგილას ფეხებია

მოყვანილი, ან მკერდის ადგილას – ზურგი. ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტი ლიდერები რადიკალებად, მოლაღატეებად და სახელმწიფო დამნაშავეებად არიან სახელდებულნი, ხოლო ნამდვილი მოლაღატეები და სისხლის სამართლის დამნაშავეები კი – სწორუპოვარ პოლიტიკოსებად და ერისკაცებად.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს ეროვნული მოძრაობის ობიექტური და აუთენტური ისტორიის შექმნა ჩვენი ისტორიოგრაფიის უპირატესი პრობლემაა. აქ იგულისხმება დღეს არსებული პრიორიტეტებისა და თეორიულ-მსოფლმხედველობრივი მიდგომების გადასინჯვის საჭიროებაც და წყაროთა კორპუსის მნიშვნელოვანი გაფართოებაც. ახლებური კონცეპტუალური მიდგომის ერთ-ერთი აუცილებელი გამოვლენაა საქართველოს ეროვნული მოძრაობის პერიოდიზაციის მეტ-ნაკლებად ოპტიმალური სქემის ფორმირება.

უწინარეს ყოვლისა, პერიოდიზაციის კრიტერიუმთან დაკავშირებით. რა შეიძლება ავირჩიოთ ძირითად კრიტერიუმად, ეროვნული მოძრაობის პროცესის შინაგანი ეტაპების კლასიფიკაციის სისტემად? ამ სფეროში, ვფიქრობთ, ძირითად ორიენტირს წარმოადგენს ქართული ეროვნული იდეა – საქართველოს სუვერენიტეტისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეა. ამ იდეის მატარებელი ადამიანები თუ სოციალური ჯგუფები წარმოადგენენ საქართველოს ეროვნული მოძრაობის სუბიექტს. ეს სუბიექტი, ცხადია, იყო გარკვეული ერთობა, გარკვეული ეროვნული მოთხოვნილებებისა და ინტერესების მქონე ადამიანთა აპოლიტიკური დასი. ამასთან, ეს კოლექტიური და იერარქიზებული სუბიექტი, საბჭოთა იმპერიაში არსებული კრიზისული სიტუაციების პერიოდული ცვალებადობის კვალობაზე, თვითონაც იცვლებოდა რაოდენობრივად და ხარისხითაც, განიცდიდა ევოლუციას. სწორედ ამ ევოლუციის ცალკეული ფაზების კონტექსტშია მიზანშეწონილი ეროვნული მოძრაობის ეტაპობრივი დიფერენციაცია. მამასადაძე, ეროვნული მოძრაობის სუბიექტის შინაგანი დინამიკა – აი, რა მიგვაჩნია ამ უაღრესად ღირებული და პროგრესული პოლიტიკური პროცესის პერიოდიზაციის განმსაზღვრელ ფაქტორად, მისი იმანენტური თვისობრიობისა და ორგანიზაციის ფორმე-

ბის პოლიტოლოგიური ანალიზისათვის მეცნიერულ „გასაღებად“.

XX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ეროვნული მოძრაობის პირველი ფაზა შეიძლება შეფასდეს, როგორც **დისიდენტურ-ლატენტური** ფაზა და მოექცეს ქრონოლოგიურ ჩარჩოებში 50-იანი წლებიდან 1986 წლის ჩათვლით. ეს არის ეროვნული მოძრაობის ფაქტობრივი გენეზისის, მისი მიზნებისა და ორიენტაციების ფორმირების საწყისი, ჩანასახოვანი ეტაპი. ამ ეტაპზე ადგილი ჰქონდა კომუნისტური დიქტატურისა და მარქსისტული მსოფლმხედველობის სულიერი ბატონობის ვითარებაში მიძინებული ეროვნული თვითცნობიერების აღდგენისაკენ მისწრაფებას, ასევე დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობის რესტავრაციის ტენდენციების ჩამოყალიბებას. ამდენად, ეროვნული მოძრაობის დისიდენტურ-ლატენტური ეტაპი მისი დაბადების, ეროვნული იდეის ბავშვობისა და სიჭაბუკის ხანაა. ამ ეტაპზე მოძრაობის ერთადერთ სუბიექტს წარმოადგენენ დისიდენტები – ეროვნულ-პატრიოტული არალეგალური ჯგუფებისა და ორგანიზაციების ქსელი. პირველ დისიდენტურ ჯგუფებს შორის აღსანიშნავია – „სიღნაღის ახალგაზრდა გვარდია“, იგივე „საგ“-ი (ჩამოყალიბდა 1956 წლის 10 მარტს),¹ 1961-1964წწ. თბილისში მოქმედი ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია – „საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის კავშირი“², რომლის პროგრამა დასაწყისში მოითხოვდა საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის რეგიონალურ კონსოლიდაციას და დამოუკიდებელი და ნეიტრალური სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოს შექმნას, შემდეგ კი – საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ ეტაპზე ორგანიზაციის ცალკეული წევრები გაიტაცა ინდივიდუალური ტერორის ტაქტიკამ და საბჭოთა იმპერიის მმართველი ბირთვის ფიზიკური განადგურების აუცილებლობის ლოზუნგმა. მაგ., ეს ჯგუფი გივი ნატრიაშვილის მეთაურობით გეგმავდა ტერორისტულ აქტს ნ. ხრუმწოვზე, რაც ვერ განხორციელდა 1964 წლის ოქტომბერში „კრემლის გადატრიალების“ შედეგად ამ უკანასკნელის თანამდე-

¹ გაზ. „კონსტიტუციურ-დემოკრატი“, 1994წ. ივნისი.

² ქურნ. „პოლიტიკა“, 1991, №9-10, გვ. 23.

ბობიდან გადაყენების გამო³.

ეროვნული მოძრაობის დისიდენტურ-ლატენტური ეტაპის თავისებური გვირგვინი იყო ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას ანტისაბჭოთა მოღვაწეობა. სრულიად გადაუჭარბებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოღვაწეობამ მთელი ეპოქა შექმნა ეროვნული იდეის რეალიზაციისათვის ბრძოლის ისტორიაში, თანაც არა მხოლოდ XXს. 70-80-იანი წლების კონკრეტულ-ისტორიული ვითარების თვალსაზრისით, არამედ საქართველოს საერთო-ისტორიული განვითარების კონტექსტში. უცხოელ დამპყრობთა პერმანენტული ინვაზიების გამო ეროვნულ იდეას საქართველოში მუდამ ჰქონდა ტრანზიტულობის ფუნქცია, ე.ი. ის განუწყვეტლივ გადადიოდა ეპოქიდან ეპოქაში და ამით განაპირობებდა ეროვნული მოძრაობის უწყვეტ, ტრანსეპოქალურ ხასიათს. XXს. II ნახევარში ეს ტრანზიცია, ეროვნული იდეის ისტორიული ინვარიანტულობა სწორედ ზ. გამსახურდიასა და მ. კოსტავას მოღვაწეობამ უზრუნველყო.

1975 წლის 31 ივლისს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის სახელმწიფოთაშორისმა თათბირმა ჰელსინკში მიიღო ე.წ. „დასკვნითი აქტი“, რომლის ძირითად მუხლებს შორის ფიგურირებდა – ერთა თვითგამორკვევა, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი, მოქალაქეთა ეროვნული უფლებების დაცვა, ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ხელშეუხებლობა და ა.შ. ამ აქტის მიღებამ და მის საფუძველზე გლობალურ დონეზე დაწყებულმა ე. წ. „ჰელსინკის პროცესმა“ სერიოზული კატალიზატორის როლი შეასრულა საქართველოს ეროვნული მოძრაობის განვითარებაში. ამ დროიდან იწყება მისი ორგანიზაციის ფორმების გარდაქმნა და დისიდენტური ჯგუფების ერთიან არალეგალურ სტრუქტურაში ინტეგრირება. კერძოდ, 1975 წ. ოქტომბერში შეიქმნა „ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი“, რომლის ბაზაზე 1976 წ. ჩამოყალიბდა ჯერ „ჰელსინკის ჯგუფი“, შემდეგ კი პირველი ოფიციალური არალეგალური დისიდენტური ორგანიზაცია – „ჰელსინკის კავშირი“.

³ როგორც ჩანს, ბრეჟნევი-შელეპინის ჯგუფის მიერ განხორციელებულმა „სასახლის გადატრიალებამ“ მართლაც იხსნა ბიჭვინთაში მყოფი ნ. ხრუშჩოვი ტერორისტული თავდასხმისაგან.

„ჰელსინკის კავშირის“ არალეგალურმა მოღვაწეობამ, ზ. გამ-სახურდიას რედაქტორობით გამომაგალმა თვითგამოცემებმა – „სა-ქართველოს მოამბე“, „ოქროს საწმისი“, „სალვთისმეტყველო კრე-ბული“ – უდიდესი როლი შეასრულეს ქართველი ერის ცალკე-ულ ჯგუფებში ეროვნული თვითშემეცნების გაღვივების, ეროვნუ-ლი და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის პროპაგან-დის, ეროვნული ეკლესიის სიწმინდისა და კულტურული ფასეუ-ლობების დაცვის საქმეში. ამასთან, „ჰელსინკის კავშირის“ მოღ-ვაწეობამ ხელი შეუწყო ეროვნული ორიენტაციის ძალების კონ-სოლიდაციას და მომაგალი ბრძოლისათვის მდგრადი და სტაბი-ლური ბირთვის ჩამოყალიბებას.

საქართველოს ეროვნული მოძრაობის დისიდენტურ-ლატენ-ტური ფაზის ერთი ნიშანდობლივი ფურცელია დისიდენტ ვლადიმერ ჟვანიას მიერ მოწყობილი ტერორისტული აქტები სოხუმ-სა და თბილისში 1975-1976 წლებში. ნიშანდობლივია იმდენად, რამდენადაც, როგორც ჩანს, ამ აქტების უკან იდგა დისიდენტუ-რი სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია „საქართველოს განთა-ვისუფლების ფრონტი“ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგე-ნის საკმაოდ საინტერესო ტაქტიკური მოთხოვნებით. ამის თქმის უფლებას იძლევა ერთი დოკუმენტი, რომელიც ვ. ჟვანიას დაპა-ტიმრების მომენტში აღმოუჩინეს და თარიღდება 1975 წლის 19 აპრილით⁴. დოკუმენტი, რომლის ადრესატია საქართველოს მმარ-თველი კომუნისტური რეჟიმი, წარმოადგენს თავისებურ ეროვნულ დეკლარაციას დამოუკიდებლობის მიღწევის საკმაოდ ორიგინალუ-რი ვარიანტით – საბჭოთა კონსტიტუციური სისტემის ფარგლებ-ში რეფერენდუმის მოწყობის გზით. დეკლარაციის პრეამბულა განმარტავს 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს სამხედრო ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტებს და ხაზს უსვამს იმას, რომ „ფრონტის“ მთავარი მიზანია სსრკ-დან გამოყოფა და სრული ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება. შემდგომ დეკ-ლარაცია მოითხოვს დამოუკიდებლობის საკითხზე საერთო-ეროვ-ნული რეფერენდუმის მოწყობას (1976წ. ბოლო თვეებში), „ფრონ-ტისათვის“ წინასარეფერენდუმო კამპანიაში სრულფასოვანი მო-

⁴ გახ. „ახსავალ-დასავალი“, 1993 წელი, 22 აპრილი.

ნაწილეობის უფლებას. თუ რეფერენდუმის მონაწილეთა 70%-ზე მეტი ხმას მისცემს სსრკ-დან გამოყოფას, მაშინ უნდა მოიწვიონ საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესია და მან უნდა დაადგინოს საქართველოს დამოუკიდებლობა, ნეიტრალიტეტი, რუსეთის ჯარების გაყვანა, ახალი პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნები. დეკლარაციაში ყურადღებას იქცევს ერთი მომენტიც: რეჟიმისადმი წაყენებული მოთხოვნების ნუსხაში ფიგურირებს „საქართველოს დემოკრატიული პარტიის“ არსებობის ცნობის მოთხოვნაც. სამწუხაროდ, შეუძლებელია იმის გარკვევა – ეს პარტია უკვე არსებობდა თუ ნავარაუდევია იყო მისი შექმნა დისიდენტური ჯგუფებისაგან რეფერენდუმის შემდეგ. ცნობილია, რომ ვ. ჟვანიას სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა შეუფარდა.

ეროვნული მოძრაობის მეორე ფაზა წარმოადგენს მისი **ინსტიტუციონალიზაციის**, ფორმალიზაციის ეტაპს და მოიცავს პერიოდს 1987-1989წწ. აპრილს შორის. ეს ეტაპი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მის პერიოდში ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ინსტიტუციური საფუძვლები, მოხდა ძირითადი პოლიტიკური პარტიებისა და გაერთიანებების ორგანიზაციული სტრუქტურირება.

1976წ. შექმნილ „ჰელსინკის კავშირთან ერთად ეროვნული მოძრაობის სერიოზულ პოლიტიკურ ცენტრს და მომავალი ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციების თავისებურ სამჭედლო ბირთვს წარმოადგენდა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“. მისი დამფუძნებელი კრება გაიმართა თბილისში 1987წ. 1 დეკემბერს, ხოლო პარტიის საბოლოო ფორმალიზაცია მოხდა პირველ ყრილობაზე, 1988წ. ნოემბერში.

„საზოგადოების“ უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება და ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირება პოლიტიკური პლურალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების გზით. ამიტომ თავისი პოლიტოლოგიური ანატომიით ის წარმოადგენდა მემარჯვენე-ლიბერალური ტიპის პარტიას.

„ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ წარმოადგენდა თავისებურ დედა-პარტიას, რომელსაც თანდათანობით გამოეყო და სა-

კუთარი პოლიტიკური თვისობრიობა შექმნა საქართველოს ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის თითქმის ყველა გაერთიანებაში. ამ „საზოგადოების“ ღებინტეგრაციის ბაზაზე ჩამოყალიბდნენ „წმინდა ილია მართლის საზოგადოება“, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია და ა.შ.

მამასადაძმე, ინსტიტუციონალიზაციის ეტაპის ნიშანდობლივ გამოვლენას წარმოადგენდა ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური სპექტრის გენეზისი, იმ ეროვნულ-პოლიტიკური სივრცის შექმნა, რომელიც შედგებოდა ეროვნული იდეის მატარებელი არაფორმალური გაერთიანებების ფართო ქსელისაგან.

ამავე ეტაპის მეორე მნიშვნელოვანი მომენტი იმაში მდგომარეობდა, რომ თანდათანობით, ეტაპობრივად გამოიკვეთა ეროვნული მოძრაობის მასიფიკაციის და ამ გზით მისი სუბიექტის გაფართოების უადრესად პოზიტიური ტენდენცია. დაიწყო კრებების, თავყრილობების, მანიფესტაციებისა და მასობრივი მიტინგების ორგანიზაციის ფაზა. „მიტინგური დემოკრატიის“ ამ ეტაპს, მმართველი რეჟიმის პერმანენტულ ღებორგანიზაციასთან ერთად ის ღირებულება ჰქონდა, რომ განაპირობებდა ეროვნული იდეის მასობრიობას, ეროვნული მოძრაობის სოციალური ბაზის გაფართოებას და მის მიერ კონტროლირებადი საერთო-ეროვნული სივრცის კონსოლიდაციას. ამ ღროს ეროვნული მოძრაობის ღიდერებმა შეძლეს ერის ფართო მასების დარაზმვა საერთო-ეროვნული პრობლემების გადასაჭრელად. 1988 წლის ზაფხულში ეროვნულმა მოძრაობამ ფაქტობრივად „ჩააგლო“ ტრანსკავკასიის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის პროექტი, ასევე მთიან ზონებში გიგანტური წყალსაცავებისა და ჰიდროელექტროსადგურების აგების გეგმები, რომლებიც ქვეყანას ეკოლოგიურ-ტექნოგენური კატასტროფის საფრთხის წინაშე აყენებდა.

1988წ. 12 ნოემბერს იპოდრომის მიდამოებში გამართულ მრავალათასიან მანიფესტაციაზე დაფიქსირდა პირველად, ოფიციალურად, საქართველოს ეროვნული მოძრაობის ფუნდამენტური პოლიტიკური მოთხოვნა – დამოუკიდებლობა. იმავე წლის 12-28 ნოემბერს მთავრობის სასახლესთან გაიმართა ეროვნული მოძრაობის პირველი გაერთიანებული აქცია ანტისაბჭოთა ღოზუნგებით,

რამაც გარკვეული წარმატებით ჩაიარა – იმპერიულმა ცენტრმა უარი თქვა იმ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, რომელთა თანახმადაც სსრკ-დან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლის საკითხს წყვეტდა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობა⁵.

მესამე საყურადღებო მომენტი, რომელიც საქართველოს ეროვნული მოძრაობის განვითარებაში გამოიკვეთა მისი ინსტიტუციონალიზაციის ფაზაზე, იყო ქართული ინტელიგენციის გააქტიურება და მისი ერთგვარი ინტეგრირება ამ მოძრაობაში. რა თქმა უნდა, ინტელიგენცია ვერ გახდებოდა ეროვნული მოძრაობის მარგანიზებელი ფაქტორი და პრიორიტეტულ ფუნქციას ვერ „წაართმევდა“ დისიდენტურ ჯგუფებს, მაგრამ იგი საკმაოდ საინტერესო, სასარგებლო და ერთობ სპეციფიკური ფუნქციის მქონე ფენა გახდა. ინტელიგენციის ჩართვა ეროვნული მოძრაობაში არ იყო თვით ამ ფენის ტრანსფორმაციის, რადიკალური ეროვნული პროგრამისაკენ მისი მიბრუნების შედეგი. ეს უფრო მმართველი რეჟიმის ცდა იყო – ეროვნული მოძრაობაში ჩაენერგა მართვადობისა და ირიბი კონტროლის მექანიზმები. თუმცა, ხელისუფლების ამ მისწრაფების მიუხედავად, ფორმულას „ეროვნული მოძრაობა+ინტელიგენცია“ შეედლო პოზიტიური როლის შესრულება მოძრაობაში ზომიერი, ლიბერალურ-ცენტრისტული ბლოკის ფორმირების სახით. ასეთ ბლოკს, ჯერ ერთი, შეედლო მოეხდინა ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთის გარკვეული დაბალანსება, მისი ულტარადიკალური მოთხოვნების მინიმიზაცია და, მეორე, შეედლო შეესრულებინა მმართველ რეჟიმსა და ეროვნული მოძრაობას შორის პოლიტიკურ-ინტელექტუალური ბუფერის ფუნქცია.

ეროვნული მოძრაობის სივრცეში ინტელიგენციის ინსტიტუირების ყველაზე რელიეფური გამოხატულება იყო 1989 წლის მარტში „რუსთაველის საზოგადოების“ დაფუძნება, რომელშიც შევიდნენ თვალსაჩინო მწერლები, მეცნიერები, ხელოვნებისა და საზოგადო მოღვაწეები. საზოგადოების პირველ პრეზიდენტს ა. ბაქრაძეს მმართველ რეჟიმთან კომპრომისული თანამშრომლობის,

⁵ უ. ბლუაშვილი. პოლიტიკური პარტიები და ეროვნული მოძრაობა საქართველოში 1988-1991 წწ. თბ., 1994, გვ. 16-17.

ფსევდოდისიდენტობისა და ფსევდოპოზიციურობის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა. მაგრამ ინტელიგენციის და ეროვნული მოძრაობის რადიკალური ფრთის კოალიცია ვერ შედგა. ვერ შედგა ნაწილობრივ ამ უკანასკნელის რადიკალიზმის, ძირითადად კი ინტელიგენციის ტრადიციული პროსაბჭოური კონფორმიზმისა და კომუნისტურ რეჟიმთან ზომაზე მეტად ასოცირების გამო.

შემდგომი მოკლევადიანი ციკლი ეროვნული მოძრაობის ისტორიაში არის მისი **ლეგალიზაციის** ფაზა – 1989წ. 9 აპრილი – 1990წ. 28 ოქტომბერი. ამ ეტაპზე მასზე უდიდესი მასტიმულირებელი გავლენა მოახდინა 9 აპრილის ტრაგედია, რომელმაც ერთგვარი წყალგამყოფის როლი შეასრულა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1989წ. 4 აპრილს მთავრობის სასახლის წინ დაიწყო ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით მოწყობილი საპროტესტო მიტინგი, რომელიც წარმოადგენდა ეროვნული ძალების რეაქციას 1989წ. 18 მარტის ე.წ. „ლიხნის წერილზე“. 6 აპრილს, უკვე ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ინიციატივით, ლოზუნგი შეიცვალა და აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნა საქართველოს დამოუკიდებლობისა და დეოკუპაციის მოთხოვნად გარდაიქმნა⁶. ცნობილია, რომ 9 აპრილს გამთენიისას იმპერიის შეიარაღებული ძალების სპეცკონტინგენტის მიერ მოწყობილ სადამსჯელო ოპერაციას 19 ადამიანის, მათ შორის 16 ქალის სიცოცხლე შეეწირა.

9 აპრილის ტრაგედიით დაიწყო საქართველოს მმართველი რეჟიმის ტოტალური კრიზისი. ეროვნული მოძრაობის ორბიტაში მოექცა ფაქტობრივად მთელი ქართველი ერი, მისი თითქმის ყველა ფენა. საბოლოოდ ჩამოყალიბდა ეროვნულ-პოლიტიკური მენტალიტეტი, რომლის ძირითადი იპოსტასები შეიძლება ამგვარი ბინარული სქემებით დავახასიათოთ: იყო სოციალიზმი – გვინდა კერძო საკუთრება; იყო კომუნისტური რეჟიმი – გვინდა ეროვნული ხელისუფლება, ბატონობდა ინტერნაციონალიზმი – საჭიროა ნაციონალიზმი; ბატონობდა ათეიზმი – გვინდა რელიგიურ-

⁶ **უ. ბლუაშვილი.** პოლიტიკური პარტიები..., გვ. 18 აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე ზ. გამსახურდია მხარს არ უჭერდა პოლიტიკური მოთხოვნის ამგვარ რადიკალიზაციას.

მართლმადიდებლური რენესანსი და ა.შ.

ეროვნული მოძრაობის ლეგალიზაციის ეტაპის ერთ-ერთი არსებითი თავისებურება იყო ეროვნული მოძრაობის სუბიექტის ლამის ყოვლისმომცველი მასიფიკაცია. ამ პროცესს ერთი ნეგატიური ასპექტი ჰქონდა: ეროვნული მოძრაობის სივრცეში შეაღწიეს შემთხვევითმა, კრიმინალურმა ელემენტებმა, რომლებსაც მხოლოდ კერძო ინტერესები ამოძრავებდათ და მოძრაობის ფრთხილ ქვეშ სურდათ მისი რეალიზაცია. „პერესტროიკის“ პროცესში მიმდინარე ღრმა ცვლილებებმა გამოიწვიეს საქართველოს საზოგადოების გარკვეული ნაწილის ლიუბჰენიზაცია და მარგინალიზაცია. ამ ნაწილს თავისი პოლიტიკური სოციალიზაციის, ასე ვთქვათ, რესოციალიზაციის შესანიშნავი ნიადაგი შეექმნა ეროვნული მოძრაობის ცალკეულ პარტიებსა და გაერთიანებებში შესვლის საშუალებით. სწორედ ეროვნული მოძრაობა გახდა მათი სოციალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი არხი, რამაც შემდგომში შექმნა მოძრაობის ცალკეული სექტორების კრიმინალიზაციის, თვით ეროვნული მოძრაობის რეალური გახლეჩის სერიოზული პრეცედენტი. ამასთან, ლიუბჰენიზირებული და მარგინალური ფენების მოსვლით გაძლიერდა მოძრაობის დისკრედიტაცია, გაღრმავდა შინაგანი წინააღმდეგობები, დამკვიდრდა აგრესიისა და ულტრარადიკალიზმის ატმოსფერო, რასაც პირობითად შეიძლება „აგრესიული სულიერება“ ვუწოდოთ.

ამ ფაზაზე საგრძნობლად გაღრმავდა მმართველი რეჟიმის დელეგიტიმაციის პროცესი, რამაც საქართველოში თავისებური ორხელისუფლებიანობის სიტუაცია წარმოშვა. სახელისუფლო სტრუქტურების პოლიტიკური პოტენციის გამოფიტვისა და მათი მზარდი დეზორიენტაციის პარალელურად სულ უფრო და უფრო იზრდებოდა ეროვნული მოძრაობის ლიდერების ავტორიტეტი და პოლიტიკური რესურსები. ეროვნულმა მოძრაობამ შეძლო იმ ძალების ბლოკირება და ფაქტობრივი იზოლაცია, რომლებიც ამუხრუჭებდნენ ეროვნული იდეის რეალიზაციის პროცესს. პარადიგმამ „ჩვენ – ისინი“ მიიღო ტოტალური ხასიათი. ორხელისუფლებიანობის რეჟიმის დამკვიდრებას, ბუნებრივია, ხელი შეუწყო იმპერიულ ცენტრში მიმდინარე ლიბერალიზაციის პროცესმაც.

სსრკ კონსტიტუციიდან VI მუხლის ამოღებამ, რომელიც აკანონებდა მონოპარტიულ დიქტატურას კომპარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი ფუნქციებით, ხელი შეუწყო პოლიტიკური პლურალიზმის ჩამოყალიბებას, რომლის საფუძველზეც ნებადართული იყო სკკპ-გან დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნა. ორხელისუფლებიანობის რეჟიმის პირობებში საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მმართველი რეჟიმის მიერ მიღებულ იქნა ეროვნული მოძრაობის აქციების ზეწოლით ან მასთან წინასწარი შეთანხმებით. 1990წ. 9 მარტს კომუნისტური ხელისუფლების უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ“. მიღებულ იქნა ასევე პრინციპული ხასიათის დადგენილებანი რუსეთის მიერ 1920 წლის 7 მაისის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების შესახებ, ასევე 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენების სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასების შესახებ და ა.შ. 1990 წლის ზაფხულში ზ. გამსახურდიამ გამართა პოლიტიკური მოლაპარაკება მმართველ რეჟიმთან. ამ მოლაპარაკებისა და 1990წ. ივლისის სამტრედიის აქციის ლოგიკური შედეგი იყო პირველი საყოველთაო მრავალპარტიული არჩევნების დანიშვნა 1990წ. 28 ოქტომბრისათვის.

ლეგალიზაციის ეტაპის კიდევ ერთი არსებითი ნიშანი იყო ეროვნული მოძრაობის ერთიანი ბირთვის დაშლა, მისი დიფერენცირება ორ შეურიგებელ და რადიკალურად ურთიერთდაპირისპირებულ ძალად. პიროვნულ ფაქტორთან ერთად მოძრაობის დაყოფის ძირითადი წინამძღვრები იმპერიულ ცენტრთან პოლიტიკური ურთიერთობის ტექნოლოგიის საკითხებში ტაქტიკური მეთოდების განსხვავებაში უნდა ვეძებოთ.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა ეროვნული მოძრაობის ერთიანი საკოორდინაციო სტრუქტურა – „ეროვნული ხსნის კომიტეტი“. ძირითადი პოლიტიკური პარტიების კოალიციის ბაზაზე ჩამოყალიბებული ეს ორგანო ფაქტობრივად განასახიერებდა ეროვნული ანტისაბჭოთა წინააღმდეგო-

ბის ინტეგრირებულ ფრონტს, რომელსაც გააჩნდა როგორც პროგრამა-მინიმუმი (70-წლიანი ოკუპაციის პირობებში დაგროვილი კონკრეტული ეროვნულ-პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტა), ისე პროგრამა მაქსიმუმი (ეტაპობრივი გამოსვლა სსრკ-ს შემადგენლობიდან და სუვერენული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება).

1990 წლის 13-15 მარტს გამართულ კონფერენციაზე ჩამოყალიბდა „ეროვნული ფორუმი“, რომლის ძირითად ფუნქციად მოიაზრებოდა „არჩევნების გამართვა და ეროვნული კონგრესის ფორმირება საქართველოს სახელმწიფოებრივი საქმეების მართვისათვის“.⁷ „ფორუმმა“ ეროვნული მოძრაობის ერთადერთ უალტერნატივო ტაქტიკად გამოაცხადა ეროვნული დაუმორჩილებლობა.

სწორედ ტაქტიკური სქემების შეუთანხმებლობამ განაპირობა 1990წ. აპრილში „ეროვნული ფორუმიდან“ ჰელსინკის კავშირის, წმინდა ილია მართლის საზოგადოების, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისა და სხვა ორგანიზაციების გამოსვლა და მათ ბაზაზე ეროვნულ-პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ შექმნა. „ფორუმში“ დარჩენილმა ძალებმა კი ჩამოყალიბეს ე.წ. „საკოორდინაციო ცენტრი“ ეროვნული კონგრესის არჩევნების მოწყობის მიზნით.

რაში მდგომარეობდა ტაქტიკური სქემების შეუსაბამობა? კონგრესისტული ორიენტაციის პარტიები თვლიდნენ, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევის ერთადერთი გზა იყო საქართველოსთვის კოლონიური სტატუსის მინიჭება და შემდგომ დეკოლონიზაციის პროცედურის ამოქმედება (60-იან წლებში აზია-აფრიკის ხალხთა განთავისუფლების ანალოგიით). აქედან გამომდინარეობდა დაუმორჩილებლობის კურსის აბსოლუტიზაცია და საბჭოთა რეჟიმის მიერ დანიშნული არჩევნების ბოიკოტის ტაქტიკა.

„მრგვალი მაგიდის“ ბლოკში ინტეგრირებულმა ძალებმა კი იმპერიულ ცენტრთან და მის ადგილობრივ ადმინისტრაციასთან ბრძოლის თავისებური, ასე ვთქვათ, სინთეზური ტაქტიკა აირჩიეს უმთავრეს ორიენტირად. ამ ტაქტიკაში ერთმანეთს შეერწყა რო-

⁷ ი. კვესელავა. საქართველო XX ს. 70-80-იან წლებში (საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 1999, გვ. 172.

გორც სამოქალაქო და ეროვნული დაუმორჩილებლობის კურსი, ისე წმინდა პოლიტიკურ-პრაგმატული თვალსაზრისით აუცილებელი მოლაპარაკებებისა და იძულებითი კონტაქტების (მაგრამ არა კაპიტულაციებისა და კომპრომისების) კურსი, რის საფუძველზეც რეჟიმის მიერ დანიშნული, მაგრამ მრავალპარტიული და, ამდენად, არასაბჭოური არჩევნების ბოიკოტის თეზა უარყოფილ იქნა.

ცხადია, რომ საერთაშორისო დონეზე XXს. 60-იანი წლების დეკოლონიზაციის პროცესის ამოქმედება 90-იან წლებში უტოპიად ჩანდა. ცნობილია, რომ 60-იანი წლების დეკოლონიზაციის გლობალურმა პროცესმა, რომლის იურიდიულ ბაზას ქმნიდა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული სპეციალური დეკლარაცია, ბოლო მოუღო ე.წ. თალასოკრატიული იმპერიების არსებობას. ამ იმპერიების ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურას მეტროპოლია-კოლონიის სუბორდინაციის სისტემაზე აგებული იურიდიული ხასიათი ჰქონდა. ამას ვერ ვიტყვით სსრკ-ზე, რომელიც დე ფაქტო მართლაც წარმოადგენდა იმპერიულ გაერთიანებას, მაგრამ დე იურე არც კრემლს ჰქონდა მეტროპოლიის სტატუსი და არც ეროვნულ რეპუბლიკებს – კოლონიის, ამიტომ სსრკ-ის დეზინტეგრაციის პროცესს საერთაშორისო სამართალი ვერ მისცემდა დეკოლონიზაციის კვალიფიკაციას, მითუმეტეს იქ მიმდინარე „პერესტროიკისა“ და ლიბერალიზაციის კვალობაზე. ამასთან, სსრკ-ის კონსტიტუცია ითვალისწინებდა რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობიდან გასვლის იურიდიულ მექანიზმებს. ამდენად არჩევნების ბოიკოტის ტაქტიკა იყო იმდროინდელ სიტუაციაში მცდარი, ულტრარადიკალური და ეროვნული მოძრაობის ერთიანობის ინტერესების თვალსაზრისით მიუღებელი ტაქტიკა. ეს ნათლად დაადასტურა ეროვნული კონგრესის ე.წ. არჩევნებმა 1990წ. 30 სექტემბერს. „არჩეული“ ეროვნული კონგრესი გახდა ეროვნული მოძრაობის ულტრარადიკალური და კრიმინალიზირებული ძალების ცენტრი, რომელიც ზომიერ, ლიბერალურ-ცენტრისტულ კოალიციასთან პერმანენტული დაპირისპირების პროვოცირებით დესტაბილიზაციისა და საერთო-ეროვნული თანხმობის ჩაშლის მუდმივმოქმედ ფაქტორად გადაიქცა.

ზ. გამსახურდიას ბლოკმა კარგად ისარგებლა ულტრარა-

დიკალების ტაქტიკური ჩავარდნებით, საკუთარ ხელში აიღო პოლიტიკური ინიციატივა და რეალური ოპოზიციური სტრუქტურების კოორდინაციის გზით ეროვნული იდეის განხორციელებისათვის ბრძოლის დროსა ხელიდან გამოგლიჯა როგორც რევოლუციური კატაკლიზმებისაკენ ორიენტირებულ რადიკალებს, ისევე ეროვნული მანტიით შემოსილ პროკომუნისტურ ძალებს და მათთან ასოცირებულ ნომენკლატურულ ინტელიგენციას.

ეროვნული მოძრაობის შემდგომი ეტაპი, რომელიც მოიცავს პერიოდს 1990წ. 28 ოქტომბრიდან 1992წ. 6 იანვრამდე, წარმოადგენს მისი **ლეგიტიმიზაციის** ფაზას. 1990წ. 28 ოქტომბერს გამართული პირველი (საქართველოს ანექსიის შემდეგ) პლურალისტური საპარლამენტო არჩევნები ეროვნული ძალების სრული უპირატესობით დასრულდა და „მრგვალი მაგიდის“ ბლოკმა საპარლამენტო მანდატების 62% მიიღო. 1990წ. 11 ნოემბერს ახლადარჩეული ეროვნული პარლამენტის პირველსავე სესიაზე მის თავმჯდომარედ ზ. გამსახურდია აირჩიეს. ამავე სესიაზე საქართველო გამოცხადდა რესპუბლიკად და აღდგენილ იქნა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სიმბოლიკა. „გარდამავალი პერიოდის შესახებ“ მიღებულ დადგენილებაში უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა გარდამავალი პერიოდი საქართველოს დამოუკიდებლობის სრული აღდგენისათვის საფუძვლების შემზადების მიზნით. თავის საპროგრამო გამოსვლაში ზ. გამსახურდიამ აღნიშნა, რომ ახალ ეტაპზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებები იმაში მდგომარეობდა, რომ ამიერიდან ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის სათავეში ჩაუდგა უზენაესი საბჭო, როგორც ხელისუფლების არჩეული ორგანო⁸. მაშასადამე, ეროვნულ პარლამენტს ენიჭებოდა დუალისტური ფუნქცია – ის წარმოადგენდა როგორც ლეგიტიმურ საკანონმდებლო ხელისუფლებას, ისევე ეროვნული მოძრაობის წარმართველ ცენტრსაც, ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარ იურიდიულ ინსტიტუტს.

ამდენად, 1990წ. 28 ოქტომბერს დაიწყო საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლეგიტიმიზაციის, გასახელმწიფოებრივების ეტაპი. ეროვნული მოძრაობა გარდაიქმნა სახელმწიფოს პოლიტიკურ

⁸ გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“; 1990წ. 12 ნოემბერი.

ხელისუფლებად, ქვეყნის პოლიტიკური სივრცის იურისდიქციის სუბიექტად.

სამეცნიერო ლიტერატურაში ოქტომბრის პოლიტიკური ტრანსფორმაციის შეფასება აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. „ერთნი მას სახალხო დემოკრატიულ რევოლუციას უწოდებენ, მეორენი – მშვიდობიან სახელმწიფო გადატრიალებას. კ. კემულარია მას პირობითად ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას უწოდებს და მიაჩნია, რომ პარტიულმა ნომენკლატურულმა ელიტამ, რომელიც კაპიტალის დაგროვების პროცესში იყო ჩართული, წინააღმდეგობა არ გაუწია ეროვნულ ძალებს და ხელი შეუწყო კიდევაც მათ ხელისუფლებაში მოსულიყვნენ“.⁹

რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია, რატომ უნდა ეწოდოს არსებული კონსტიტუციური სისტემის ფარგლებში და საარჩევნო კანონმდებლობის ბაზაზე განხორციელებულ პოლიტიკურ ცვლილებას გადატრიალება, თუნდაც მშვიდობიანი? შეიძლება ამ მოვლენისათვის მშვიდობიანი სახელმწიფო გადატრიალება გვეწოდებინა იმ შემთხვევაში, თუ, რასაკვირველია, იგი მოხდებოდა მმართველ რეჟიმზე არამალადობრივი დაუმორჩილებლობის აქციის ზეწოლის სახით და დაუმორჩილებლობის კოორდინატორი სტრუქტურა შეიძენდა საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივებს (სხვათა შორის, ასე მოხდა ჩეჩნეთში 1991 წლის შემოდგომაზე). ზ. გამსახურდიას კოალიციამ ხელისუფლება მიიღო არჩევნების გზით, ე. ი., ის იყო წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირშე, საერთო-ეროვნული სუვერენიტეტის განსახიერება და არა სახელმწიფო გადატრიალების პროდუქტი.

ვფიქრობთ, არამართლზომიერია ამ მოვლენის წარმოდგენა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციად. ჯერ ერთი, ასეთ დეფინიციის აშკარად ჩანს საბჭოთა ისტორიოგრაფიის მარქსისტული სქემების ინერცია, შიშველი სოციოლოგიური დეტერმინიზმი, სოციალური პრობლემატიკის აბსოლუტიზაცია. რა თქმა უნდა, „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკურ კონცეფციაში გარკვეული ადგილი ეთმობოდა სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საკითხებს, მაგრამ მოსახლეობის ფართო ფენების მიზიდულობის

⁹ იხ. ი. კვესელავა. საქართველო XX ს. 70-80-იან წლებში, გვ. 245.

ცენტრი უდავოდ ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა იყო. ამიტომ 28 ოქტომბრის ცვლილება ქართული საზოგადოების ცალკეული ფენების სოციალური ინტერესების ფონზე კი არა, არამედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების კონტექსტში უნდა გავიაზროთ. ეროვნულ-პოლიტიკური თვითიდენტიფიკაცია – აი, რაში უნდა დავინახოთ ამ მოვლენის არსი. მეორეც, ნომენკლატურულმა პარტიულმა ელიტამ სწორედ რომ ვერ გაუწია წინააღმდეგობა ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში მოსვლის პროცესს.

ჩვენის აზრით, ოქტომბრის პოლიტიკური ტრანსფორმაციის შეფასება კომპლექსურ-ინდუქციური პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე გაცილებით მართებული და ობიექტური იქნება. ამ თვალსაზრისით 1990წ. 28 ოქტომბერი უნდა შეფასდეს შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთიან სისტემაში და არა მათგან იზოლირებულად და განყენებულად. 1991წ. 31 მარტის რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე, 1991წ. 9 აპრილის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და 1991წ. 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნებში ზ. გამსახურდიას გამარჯვება – ღირსშესანიშნავ მოვლენათა ეს ეტაპობრივი, თანამიმდევრული სვლა, რასაკვირველია, საკუთრივ 1990წ. 28 ოქტომბრის პლურალისტურ არჩევნებთან ერთად, შეიძლება დახასიათდეს, როგორც **მშვიდობიანი, ეროვნული კონსერვატიული რევოლუცია**. პროცესის ამგვარი დეფინიციის საფუძველს ქმნის იმაზე პასუხის გაცემა, თუ რაში მდგომარეობდა XXს. II ნახევრის საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიული და სულიერი წყაროები და, სახელდობრ, რომელ საგარეო ძალას დაუპირისპირდა ზ. გამსახურდიას ბლოკი. ის დაუპირისპირდა საბჭოთა-რუსულ იმპერიას და ამ ბრძოლაში იკვებებოდა XIXს. დასაწყისის მონარქისტული განმათავისუფლებელი მოძრაობის, XIXს. II ნახევრის ლიბერალურ-დემოკრატიული მოძრაობის („ილიას დასი“) იდეალებით, ასევე 1918-1921წწ. საქართველოს პირველი რესპუბლიკის პოლიტიკური გამოცდილებით. ამდენად, ეს იყო სერიოზული ეტაპი ჩვენი ქვეყნის ეროვნული აღორძინების გზაზე. მაგრამ რაში მდგომარეობდა თვით აღორძინების არსი? უპირველეს ყოვლისა, ის გულისხმობდა ეროვნული ისტორიის ღრმა სული-

ერ გააზრებას, ისტორიული ეროვნული თვითშემეცნების აღდგენას, რუსეთის იმპერიის ექსპანსიამდე არსებული ტრადიციებისკენ მიბრუნებას. მეორე, აღორძინება მოიაზრებოდა, როგორც მთელი ერის მობილიზაცია სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოპოვებისათვის საბრძოლველად, როგორც მთელი მამულის კონცენტრაცია ეროვნული იდეის ბაზაზე. და კიდევ ერთი ფუძემდებლური მომენტი: ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, ისევე როგორც რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე, ახლაც დადგა ერის გვერდით. მან მთელი თავისი სულიერ-ზნეობრივი ძლიერებითა და რიტუალებით უშუალო მონაწილეობა მიიღო საერთო-ეროვნული აღორძინების პროცესში, რითაც გამოიკვეთა სოციალისტურ ეპოქაში შექმნილი სულიერი ვაკუუმის ქრისტიანული რწმენით შევსების ტენდენცია.

თუ ჩვენ ერთ მთლიანობაში გავიაზრებთ ამ სამ ძალას – ისტორია, ერი და მართლმადიდებელი ქრისტიანული ტრადიცია, – მაშინ აღმოვაჩინთ ეროვნულ ღირებულებით კონტინუუმს, სისტემას იმ ფასეულობებისა, რომლებითაც იკვებებოდა ტრადიციული ქართული კონსერვატიზმი იმ დროიდან, როდესაც ის შეეჯახა რუსეთის იმპერიას.

ასე რომ, 1990-1991წწ. საქართველოში განხორციელდა ეროვნული კონსერვატიული რევოლუცია. საქართველოს ეროვნული მოძრაობა, მისი ლეგიტიმიზაციის ანუ გასახელმწიფოებრივების სტადიაზე, მშვიდობიან კონსერვატიულ რევოლუციაში გადაიზარდა.

სამწუხაროდ, ზ. გამსახურდიას კოალიციამ ვერ შეძლო კონსერვატიული რევოლუციის ბოლომდე რეალიზება. 1991წ. სექტემბერ-ნოემბრის პუტჩისტურმა მოძრაობამ, რომელიც 1991წ. 22 დეკემბერ–1992 წ. 6 იანვრის სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებაში გადაიზარდა, მოახდინა ეროვნული ხელისუფლების დამხობა. დღეს უკვე აშკარაა, რომ მთელი ეს ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი პროცესი ინიცირებული იყო და იმართებოდა რუსეთიდან. პუტჩისტური მოძრაობის და სამხედრო გადატრიალების გეგმა, მისი განხორციელების ტაქტიკა და მეთოდები მთლიანად იყო შეთანხმებული რუსეთის ოფიციალურ სტრუქტურებთან და სადაზვერვო სამსახურებთან. ამ გეგმის რეალიზა-

ციის პროცესის მართვისა და კოორდინაციის მიზნით კრემლის ადმინისტრაციასა და გენერალურ შტაბში ჩამოყალიბდა სპეციალური ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რუსეთის ვიცე-პრემიერი და სახელმწიფო მინისტრი გ. ბურბულისი. გ. ბურბულისის ბრძანებების საფუძველზე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობა პერმანენტულად აწარმოებდა ქართული შეიარაღებული ოპოზიციის სამხედრო მხარდაჭერას, ხოლო რუსეთის საკრედიტო დაწესებულებები, მათ შორის ცენტრობანკი, ახორციელებდნენ დესტაბილიზაციისა და გადატრიალების პროცესის სუბსიდირებას გასაიდუმლოებული საკრედიტო ხაზებით.

მთავარი არგუმენტი, რომლის საფუძველზეც რუსეთმა მხარი დაუჭირა სამხედრო გადატრიალებას, მდგომარეობდა შემდეგში – გამსახურდიას რეჟიმის დამხობა იყო უმოკლესი გზა საქართველოსა და მთელი კავკასიის რეკოლონიზაციისაკენ.

აღსანიშნავია, რომ გადატრიალების წარმატება გარკვეულწილად განაპირობა აშშ-ს ადმინისტრაციის უადრესად დისკრიმინაციულმა პოლიტიკამ საქართველოს მიმართ. გადატრიალები-სათვის იმდროინდელი დასავლეთის მესვეურთა მიერ „მწვანე შუქის“ ანთების შთაბეჭდილებას ტოვებს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის საპროგრამო სიტყვა პრინსტონის უნივერსიტეტში 1991წ. 12 დეკემბერს. ამ სიტყვაში, რომელიც, ცხადია, აშშ-ის ოფიციალურ პოზიციას წარმოადგენდა, საქართველოს ეროვნული ხელისუფლება დახსიათებული იყო, როგორც „სტალინური სისტემის ნარჩენი (sic!), ექსტრემისტული და ფაშისტური (?) ძალა“.¹⁰ ჯ. ბეიკერმა პირდაპირმა განაცხადა, რომ „საქართველოს ავტორიტარული ადმინისტრაცია არ იმსახურებს აშშ-ის მხრიდან ცნობასა და მხარდაჭერას... რადგანაც იგი ადგას რესპუბლიკური ავტარკიის კურსს“.¹¹ როგორც ვხედავთ, საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიერ დსთ-ს პროექტის უარყოფა ჯ. ბუშის ადმინისტრაციის მიერ შეფასებულია ავტარკიად, იზოლაციონიზმად. არადა, სწორედ დსთ-ს პროექტის უარყოფა და ზ. გამსახურდიას არმონაწილეობა 1991წ. 21 დეკემბრის აღ-

¹⁰ „Дипломатический вестник“, 1992, №1, გვ. 40.

¹¹ „Дипломатический вестник“, 1992, №1, გვ. 40.

მაათის სამიტში გახდა 22 დეკემბრის დღით გადატრიალების დაწყების კონკრეტული საბაბი.

როგორც ჩანს, 1991 წ. შემოდგომაზე დასავლეთმა დააკმაყოფილა ბ. ელცინის პოლიტიკური ჯგუფის მოთხოვნები ექსსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის კონტროლის შენარჩუნებასთან დაკავშირებით. კავკასია მთლიანად „ჩაჯდა“ ახალი გეოპოლიტიკური ცენტრის ფორმირების ამ მოთხოვნაში³, მხოლოდ ბალტიისპირეთმა დააღწია თავი ერთიანი სივრცის აღდგენას.

სახელმწიფო გადატრიალების წარმატებამ (ეროვნული ხელისუფლების დამხობა, კონსტიტუციის მოქმედების შეჩერება, ხელისუფლების სათავეში პარტნომენკლატურისა და მასთან ასოცირებული ოლიგარქიული ჯგუფების მოსვლა, პარამილიტარული სამხედრო დაჯგუფებების თარეში და ა.შ.) განაპირობა ეროვნული კონსერვატიული რევოლუციის დამარცხება. საგულისხმოა, რომ სწორედ გადატრიალების მიმდინარეობის დროს იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარებული დე იურე-დ. ეს დაკავშირებული იყო სსრკ-ის იურიდიული არსებობის შეწყვეტასთან (21 დეკემბრის აღმათის სამიტზე დსთ-ს ფორმალიზაცია და 25 დეკემბერს პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის გადადგომა). თვით აშშ-მა და კანადამ ეს დიპლომატიური აქტი განახორციელეს 1991წ. 25 დეკემბერს. საერთოდ, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას იძულებით ემიგრაციამდე (1992წ. 6 იანვარი) საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად ცნო 29 სახელმწიფომ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული მოძრაობის თავისებური „აქტილევსის ქუსლი“ გახდა იმპერიული ცენტრის მიერ ინსპირირებული ეთნოკრიზისები. აფხაზური და ოსური ეთნოკრატიების სეპარატისტულმა მოძრაობებმა განსაკუთრებულად უარყოფითი მადესტაბილიზებელი ზეგავლენა მოახდინეს ეროვნული მოძრაობაზე, ძირითადადში მისი ლეგალიზაციისა და ლეგიტიმიზაციის ეტაპებზე.

საქართველოს ეროვნული მოძრაობის შინაგანი დინამიკა:

³ თითქმის ანალოგიური სცენარით მოხდა ა. ელჩიბეის რეჟიმის დამხობა აზერბაიჯანში 1993წ. ივნისში. ორივე გადატრიალებამ უზრუნველყო სამხრეთ კავკასიაში განმათავისუფლებელი პროცესის შეჩერება და ძალთა თანაფარდობის შეცვლა რუსეთის სასარგებლოდ.

<p>ეტაპები პარამეტრები</p>	<p>1956-1986 წლები – დისიდენტურ-ლატენტური</p>	<p>1987-1989წ. აპრილი – ინსტიტუციონალიზაცია</p>	<p>1989წ. აპრილი – 1990წ. ოქტომბერი – ლეგალიზაცია</p>	<p>1990 წლის 28 ოქტომბერი – 1992 წლის 6 იანვარი – ლეგიტიმიზაცია</p>
<p>მოდრაობის პოლიტიკური ფორმები</p>	<p>არალეგალური მოღვაწეობა, თვითგამოცემები; ინდივიდუალური ტერორის ცდა</p>	<p>პრესაში გამოსვლა; მიტინგები, მანიფესტაციები და შიმშილობები.</p>	<p>პრესაში გამოსვლა; მიტინგები, მანიფესტაციები, შიმშილობები. სამოქალაქო და უმორჩილებლობა</p>	<p>ოფიციალური ხელისუფლების განხორციელება; ეროვნული და უმორჩილებლობა</p>
<p>მთავარი მოვლენა</p>	<p>„ჰელსინკის კავშირის“ შექმნა; 1978წ. 14 აპრილის დემონსტრაცია.</p>	<p>1988წ. ნოემბრის აქცია</p>	<p>1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია</p>	<p>1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტი</p>
<p>მოკავშირეები</p>	<p>სსრკ-ის სხვა რესპუბლიკების დისიდენტური წრეები</p>	<p>სხვა რესპუბლიკების ეროვნული მოძრაობები</p>	<p>სხვა რესპუბლიკების ეროვნული მოძრაობები; ქართული ემიგრაცია; დასავლეთის პოლიტიკური წრეები</p>	<p>სხვა რესპუბლიკების ეროვნული მოძრაობები; ქართული ემიგრაცია; დასავლეთის პოლიტიკური წრეები</p>
<p>მოწინააღმდეგეები</p>	<p>სსრკ-ს უმაღლესი ხელმძღვანელობა; სპეცსამსახურები; საქართველოს რესპუბლიკური პარტიული და საბჭოთა ნომენკლატურა</p>	<p>სსრკ-ს უმაღლესი ხელმძღვანელობა; სპეცსამსახურები; ადგილობრივი ნომენკლატურა.</p>	<p>სსრკ-ს უმაღლესი ხელმძღვანელობა; სპეცსამსახურები; ადგილობრივი ნომენკლატურა; აფხაზური და ოსური ეთნოკრატები.</p>	<p>სსრკ უმაღლესი ხელმძღვანელობა; რუსეთის უმაღლესი ხელმძღვანელობა; აშშ-ს ადმინისტრაცია; ყოფილი პარტოკრატია; ეროვნული კონგრესი; ნომენკლატურული ინტელიგენცია; პარამილიტარული დაჯგუფებები.</p>

ისტორიას არა აქვს პირობითი კილო. ის, რაც მოხდა, მოხდა. მას შემდეგ, რაც „ახალი მსოფლიო წესრიგის“ არქიტექტონიკაში კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცისა და მისი ღერძული სახელმწიფოს – საქართველოს სუვერენობა გამოირიცხა, იმთავითვე განისაზღვრა კიდევ საქართველოსა და პირადად ზ. გამსახურდიას ტრაგედია. ქართული ნაციონალიზმი დამარცხდა. XXს. ბოლოს, პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის გენეზისის ეპოქაში ქართული ნაციონალიზმი შთაინთქა იმ ბარბაროსულ კოსმოპოლიტურ ოკეანეში, რომელიც რუსული და „ლიბერალური“ ანგლო-საქსონური იმპერიალიზმების დროებითმა გარიგებამ წარმოშვა. მაგრამ ქართველი ერის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი ეპოპეა ახალი გმირულ-პატრიოტული ფურცლის გადაშლას ითხოვს. ქართული ხმალი ხომ არასოდეს ჩაგებულა ქარქაშში...

Д. Ю. ДЖОДЖУА

**К ВОПРОСУ О ПЕРИОДИЗАЦИИ
НАЦИОНАЛЬНОГО ДВИЖЕНИЯ ГРУЗИИ.
ВТОРАЯ ПОЛОВИНА XX ВЕКА**

В статье дана попытка периодизации грузинского национального движения во второй половине XX столетия. За основу такой периодизации взята внутренняя динамика субъекта национального движения. Именно последовательные изменения этого субъекта, смена его элементов, форм организации и действий является определяющим фактором классификации основных этапов национального движения.

На основе данного подхода раскрыта логика развертывания национального движения в Грузии с середины 50-х годов XXв. и выявлены четыре последовательных этапа в этом процессе – диссидентно-латентный, институционализации, легализации и легитимации (этап огосударствления).

არქეოლოგია, ეთნოგრაფია

კობა ოკუჯავა

სასჯელთა ფორმები შავიზღვისპირა ადიღების ჩვეულებით სამართალში. *XIX საუკუნის ეთნოლოგიური მასალების მიხედვით*

ადიღური ჩვეულებითი სამართალი ციხეებს და გვემით სასჯელებს არ იცნობდა. ისევე როგორც კავკასიის სხვა მთიელებში, სასჯელთა ფორმები ძირითადად ქონებრივი საზღაურებით შემოიფარგლებოდა¹.

შავიზღვისპირა ადიღების ადათობრივ სამართალში არსებულ ქონებრივ საზღაურებთან დაკავშირებით ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ერთ-ერთ პუბლიკაციაში². ამჯერად შევეხებით სასჯელთა სხვა სახეებს.

ყველაზე მძიმე სასჯელს ზღვისპირა ადიღებში სიკვდილით დასჯა წარმოადგენდა. მაგალითად, პიროვნების სიცოცხლის ხელყოფისთვის დამნაშავეს კისერზე ქვას მოაბამდნენ და დაბორკილს ზღვაში აგდებდნენ³.

გამოიყენებოდა სხვა საშუალებაც, კერძოდ, სიკვდილის-

¹ Л. Люлье. О Натухажцахъ, Шапсугахъ и Абадзехахъ. – Записки Кавказского Отдела Императорского Русского Географического общества, кн. IV. Тифлиси, 1857, გვ. 236.

² კ. ოკუჯავა. კომპოზიციის სისტემა შავიზღვისპირა ადიღების ჩვეულებით სამართალში. *XIX საუკუნის ეთნოლოგიური მასალების მიხედვით*. – „საისტორიო ძიებანი“, V, 2002, გვ. 244-259.

³ Дж. Белл. Дневник пребывания в Черкесии в течение 1837, 1838, 1839 гг. – წიგნ.: *Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв.* Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В. К. Гарданова. Нальчик, 1974, გვ. 514.

ჯილს ხეზე მიაბამდნენ და ცეცხლსასროლი იარაღით კლავდნენ. წესისამებრ, განაჩენს აღასრულებდა არა თვისტომი, არამედ რომელიმე მონა.

სასამართლოს მიერ სასიკვდილო განაჩენის გამოტანის მიზეზი სხვა მძიმე დანაშაულიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგალითად, თუ პიროვნება რამდენჯერმე დაარღვევდა ადათ-წესს და გატენდა დადებულ ფიცს, მას, როგორც გამოუსწორებელ დამნაშავეს სიკვდილით სჯიდნენ¹.

სასიკვდილო განაჩენის გამოტანის უფლება ჰქონდა თემის სახალხო კრების სასამართლოს, თუ დანაშაული თემის შიგნით მოხდებოდა და აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ თემი თავისი წევრის სხვაგან ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების გამო იძულებული გახდებოდა მიეღო მისი თავიდან მოცილების, სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ჯ. ლონგუორთის* მიერ აღწერილი შემთხვევა. ერთხელ მას და მის ჩერქეზ თანამგზავრს წემეზის (ამჟამინდელი ნოვოროსიისკის) მახლობლად თავს დაესხა ყაჩაღი, რომელსაც წინა დღეს მახლობელი აულის მკვიდრი ჰყავდა მოკლული. ჩერქეზმა ყაჩაღი მოიგერია და თავისუფლად შეეძლო მისი მოკვლა, თუმცა ის უვნებლად გაუშვა. ამგვარი საქციელი მან იმით ახსნა, რომ თავად არც მკვლელის, არც მოკლულის თემს არ ეკუთვნოდა და მის მიერ მკვლელის მოკვლა მისი სანათესავოს მკვლელის სამძმოსთან გადამტერებას გამოიწვევდა. „მოკლული რომც ჩვენი სამძმოდან ყოფილიყო, ჩვენ მაინც საზღაურს ვარჩევდით, ვიდრე მის სიცოცხლეს, რომელიც არავის არაფრად არ სჭირდება. მას თავისი სამძმო ისედაც მოუსწრაფებს სიცოცხლეს, რადგან მათთვის ის უკვე ზედმეტი ტვირთია“, – განუმარტა ჩერქეზმა ლონგუორთს. მართლაც, რამდენიმე დღეში მკვლელის თემმა ალყა შემოარტყა მთას, სადაც მისი დამნაშავე წევრი იმალებოდა, დაიჭი-

¹ Л. Люльс. Учреждения и народные обычаи Шапсугов и Натухажцев. Записки Кавказского Отдела Императорского Русского географического общества, кн. VII. Тифлиси, 1866, გვ. 5.

* ლონდონის გაზეთ „თაიმს“-ის კორესპონდენტი. შავიზღვისპირა ადიღებში იმყოფებოდა 1839 წელს. – კ.ო.

რა ის და თემის უზუცესთა სასამართლოს წარუდგინა. მკვლელს თავისი ავი ქმედებით თემისთვის მომავალშიც რომ არ გაეტეხა სახელი, უზუცესებმა სიკვდილი მიუსაჯეს. სიკვდილმისჯილს მძიმე ქვები მოაბეს და კლდიდან ზღვაში გადააგდეს¹.

ადილეური თემის ყოველი წევრის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულება იყო წილის დადება იმ გადასახადის შეგროვებაში, რომელიც მიესჯებოდა თემის წევრს, მის მიერ სხვა თემში ჩადენილი მკვლელობისას, ან სხვა მძიმე დანაშაულისას. მაგრამ თემი ამგვარად იქცეოდა პირველი ან ორი დანაშაულის შემთხვევაში, თუ დანაშაული რამდენჯერმე განმეორდებოდა, თემის სასამართლო მას სიკვდილით, ან სხვა მძიმე სასჯელით სჯიდა².

თუ პიროვნება სხვის თემში ჩაიდენდა მძიმე დანაშაულს, მისი გასამართლება და სასიკვდილო განაჩენის გამოტანა შეეძლო ამ ორი თემის წარმომადგენლებისგან შემდგარ სასამართლოს, თანაც საქმის განხილვაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ ორივე თემის უზუცესებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავის სიკვდილით დასჯა, მითუმეტეს თუ ამ განაჩენს დაზარალებული თემი აღასრულებდა, მხარეთა შორის მტრობას კიდევ უფრო გაამწვავებდა³.

თუ საქმე ეხებოდა მოურჯულებელ დამნაშავეს, მას სასიკვდილო განაჩენს გამოუტანდა ან საკუთარი თემი, ან შავიზღვისპირა ადილების (უფრო ზუსტად შავსულ-ნათუხაების) რვა თემის წარმომადგენლებისგან შემდგარი სასამართლო⁴.

ადილებში ძლიერ შემორჩენილი მესისხლეობა-შურისძიების გამო, პიროვნების სიცოცხლის ხელყოფისთვის დამნაშავისთვის სასიკვდილო განაჩენი ხშირად გამოჰქონდა მოკლულის გვარს. სწორედ ეს გარემოება უნდა ჰქონოდა მხედველობაში კოხს, როდესაც აღნიშნავს – „მკვლელობა და ოჯახის შიგნით მომხდარი

¹ **Дж. Лонгворт.** Год среди Черкесов. – წიგნ.: *Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв.* Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам **В. К. Гарданова.** Нальчик, 1974, გვ. 569.

² **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 469.

³ **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 482.

⁴ **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 519, 520.

ღალატი წარმოადგენენ იმ გამონაკლის დანაშაულებს, რომელთა გამო სასჯელი გამოაქვს დაზარალებულის ოჯახს“.¹

კოხის ცნობა მასზეც მიუთითებს, რომ ოჯახის შიგნით მომხდარ დანაშაულს თვით ოჯახი არჩევდა და ამის გამო თემის ან შუამავალთა სასამართლო არ მოიწვეოდა.

იგივეს აღნიშნავს დიუბუა დე მონპერეც*.² სასჯელი მრუში ცოლისთვის დამოკიდებული იყო ქმარზე, რომელსაც შეეძლო ის მოეკლა, ან დაემახინჯებინა, ან გაეწბილებინა და ამგვარად დაებრუნებინა მშობლებისთვის, თუმცა მათ, შვილის მოკვლის ან დამახინჯების გამო შურისძიება შეეძლოთ.²

XIX საუკუნის მასალების მიხედვით, სიკვდილით ისჯებოდა ქალის ან სხვისი დანიშნულის შეურაცხყოფელი. დასჯის უფლება ამ შემთხვევაში ჰქონდა შეურაცხყოფილის ოჯახს ან საქმროს³.

სასჯელთა ერთ-ერთი ფორმა იყო ტყვედ გაყიდვა. ბელის დღიურში აღნიშნულია, რომ თავისი წვერის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, თემი მას საზღაურის გადახდაში ეხმარებოდა, მაგრამ, თუ პიროვნება დანაშაულს რამდენჯერმე ჩაიდენდა, თემი მას სიკვდილით სჯიდა ან ტყვედ გაყიდდა. საერთოდ, ამგვარად სჯიდნენ მკვლელს ან გამოუსწორებელ დამნაშავეს⁴.

ბელის ცნობაში კარგად ჩანს, რომ დამნაშავეს გარკვეული დანაშაულისთვის ტყვედ ჰყიდდა საკუთარი თემი, რომელიც თავისი წვერის დანაშაულებრივი ქმედების გამო მატერიალურად ზარალდებოდა, ვინაიდან, ადათის ძალით საზღაურს დამნაშავესთან ერთად მთელი თემი იხდიდა.

¹ **К. Кох.** Путешествие по России и в Кавказские земли. – წიგნ.: *Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв.* Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам **В. К. Гарданова.** Нальчик, 1974, გვ. 586.

* ჩერქეზეთში იმყოფებოდა 1833 წელს – **კ.ო.**

² **Фр. Дюбуа де Монпере.** Путешествие вокруг Кавказа. Т. I. Сухуми, 1937, გვ. 52.

³ **Г. Новицкий.** Географическо-статистическое обозрение земли населённой народом Адехе. – „*Тифлиские ведомости*“, 1829, №25; **Л. Люлье.** Учреждения и народные обычаи..., გვ. 7.

⁴ **Дж. Белл.** Дневник пребывания в Черкесии..., გვ. 484.

დამნაშავის ტყვედ გაყიდვა შეეძლო იმ თემსაც, რომელსაც წევრი მოუკლეს, ან რომელსაც უცხო პიროვნების დანაშაულებრივი ქმედების გამო დიდი ზიანი მიაღდა. კერძოდ, როდესაც დამნაშავეს გადასახდელი ჰქონდა დიდი ოდენობის საზღაური, მშობლიური თემის კრება მსჯელობდა, დახმარებოდა თუ არა მას. თუ მშობლიური თემი დაასკვნინდა, რომ არ დაეხმარებოდა მას, ხოლო დამნაშავეს არ ჰქონდა საზღაურის გადახდის საშუალება, მას ან ზღვაში ახრჩობდნენ, ან დაზარალებულის თემს გადასცემდნენ. ამ უკანასკნელს კი სრული უფლება ჰქონდა დამნაშავე ან ზღვაში დაეხრჩო, ან ტყვედ გაეყიდა¹.

ტყვედ ჰყიდდნენ არა მარტო მკვლელს და გამოუსწორებელ დამნაშავეს, არამედ მრუმე ქალსაც, როდესაც შერცხვენილი მშობლებს უბრუნდებოდა. მრუმობისთვის ასევე ისჯებოდა გაუთხოვარი გოგოც². ხშირად მრუმე ქალს უკანონო ჩვილთან ერთად მიჰყიდდნენ თურქებს³.

ადილეურ ადათობრივ სამართალში სასჯელის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა იყო მოკვეთა.

რა იყო მოკვეთის მიზეზი?

კარლგოფის თანახმად, ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად, დამნაშავე საზღაურს იხდიდა შესაძლებლობის მიხედვით, დანარჩენს – მისი გვარი. თუ დამნაშავე თავისი ქმედებით რამდენჯერმე აიძულებდა მშობლიურ გვარს, ყოფილიყო ვალდებული საზღაურით სხვა გვარის წინაშე, მაშინ მის წინააღმდეგ იყენებდნენ ხალხურ წეს-ჩვეულებას – გვარიდან მოკვეთას. ხალხში, სადაც პირადი უსაფრთხოება და ქონების ხელშეუხებლობა დაფუძნებული იყო გვარის მფარველობაზე, მოკვეთა იმავე მნიშვნელობისა იყო, რაც ევროპაში დამნაშავის გამოცხადება კანონის მფარველობას მოკლებულად. ნებისმიერს შეეძლო მოკვეთილის

¹ **К. Кох.** Путешествие по России..., გვ. 586.

² **ო. სპენსერი.** მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ. – წიგნი: *კ. კობისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო **ლ. მამაცაშვილმა**. თბ., 1981, გვ. 128.

³ **Л. Люлье.** Учреждения и народные обычаи..., გვ. 13.

მოკვლა, შეურაცხყოფა, გაქურდვა, დამონება და ამგვარი ქმედებისთვის არავინ აგებდა პასუხს. მოკვეთილის მოკვლის ან შეურაცხყოფის გამო შურს არავინ იძიებდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ მოკვეთილი სხვა გვარში არ იპოვიდა თავშესაფარს¹.

გვარიდან მოკვეთით სჯიდნენ მასაც, ვისაც სისხლის აღება მართებდა და ნათესავისა თუ ახლობლის მოკვლის გამო შურს არ იძიებდა².

შავისზღვისპირა ადიღებში სასჯელის ერთ-ერთი სახეობა ყოფილა თემიდან გაძევება, რაზედაც მიუთითებს სპენსერის სიტყვები – „ჩერქეზები დამნაშავეს დანაშაულის შესაბამისად გარკვეულ ფულად ჯარიმას ახდევინებენ, ან სამუდამოდ განდევნიან“³.

ადიღებში თემიდან განდევნა ანუ გაძევება ორგვარი იყო: პირველი, როდესაც დაზარალებულს, ან მის ნათესავს უფლება ჰქონდა, გაძევებული, თუ მას სადმე გადაეყრებოდა, მოეკლა, ან შემოერიგებინა გარკვეულ პირობებზე; მეორე – დამნაშავეს გაძევება გარკვეული ვადით, როდესაც დაზარალებულს ან მის ნათესავს მისი მოკვლის უფლება არ ჰქონდა⁴.

შავიზღვისპირა ადიღებში XIX საუკუნისთვის სხეულებითი სასჯელები არ გამოიყენებოდა, მაგრამ წარსულში რომ ცნობილი იყო, ჩანს დიუბუა დე მონპერეს სიტყვებიდან: „სასჯელი მრუში ცოლისთვის დამოკიდებული იყო ქმარზე, რომელსაც შეეძლო ის მოეკლა, ან დაემახინჯებინა (მაგ., ყურის მოჭრით), ან შეაჭრიდა თმებს, ან კაბის სახელურებს და ამგვარად შერცხვენილს მშობლებს უბრუნებდა. ქმარს შეეძლო აგრეთვე, შერიგებოდა შეურაცხყოფელს განსაზღვრული ოდენობის საზღაურის გადახდის შემდეგ. იშვიათი იყო შემთხვევა, როდესაც ქმარი კლავდა ან ამახინჯებდა დამნაშავე ცოლს, ვინაიდან მისი სამართლიანი განაჩენის მიუხედავად ქალის ახლობლებს შურისძიების

¹ **Н. Карлгофь.** О политическом устройстве Черкеских племёнъ, населяющихъ северо-восточный берегъ Чёрного моря. – „Русский вестникъ“, т. 28, кн. II. М., 1860, გვ. 527.

² **К. Кох.** Путешествие по России..., გვ. 587.

³ **ო. სპენსერი.** მოგზაურობა..., გვ. 128.

⁴ **Е. Зевакин.** Адагы. – წიგნ.: *Очерки истории Адыгеи.* Т. I. Отв. ред. С. Бушуев. Майкоп, 1957, გვ. 219.

უფლება ჰქონდათ“.¹

ლიულიეს* ცნობით, „წარსულში ქმარი თვითონ სჯიდა მოღალატე ცოლს, მოაჭრიდა ცხვირს ან განდევნიდა... ახლა მრუმ ქალს მშობლებს უბრუნებენ“.²

დიუბუა დე მონპერეს ზემოთ აღნიშნული ცნობიდან ირკვევა, რომ ადილებში ცნობილი ყოფილა სასჯელთა კიდევ ერთი სახეობა – გაწბილება, რაც კონკრეტულ შემთხვევაში შეურაცხყოფილი ქმრის მიერ მოღალატე ცოლისთვის თმების, ან კაბის სახელურების მოჭრით და ამგვარად შერცხვენილის მშობლებისთვის დაბრუნებაში გამოიხატებოდა.

ამრიგად, XIX საუკუნის ისტორიულ-ეთნოლოგიური მასალებით ირკვევა შავიზღვისპირა ადილების ჩვეულებით სამართალში არსებული სასჯელთა შემდეგი ფორმები: სიკვდილით დასჯა, ტყვედ გაყიდვა, თემიდან მოკვეთა, თემიდან გაძევება, გაწბილება და სხვადასხვა სახის საზღაურები (კომპოზიციის სისტემა).

¹ Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа, გვ. 52.

* ჩერქეზეთში იმყოფებოდა XIX საუკუნის 20-30-იან წლებში – კ.ო.

² Л. Люлье. Учреждения и народные обычаи..., გვ. 13.

К. М. ОКУДЖАВА

**ФОРМЫ НАКАЗАНИЯ В ОБЫЧНОМ ПРАВЕ
ПРИЧЕРНОМОРСКИХ АДЫГОВ.
*ПО ЭТНОЛОГИЧЕСКИМ МАТЕРИАЛАМ XIX ВЕКА***

Причерноморскими адыгами назывались черкесы, которые жили в Северо-Восточном Причерноморье, в частности, между Таманским полуостровом, Кавказским хребтом и р. Шахе.

В статье, основываясь на документальные и мемуарные сведения авторов XIX века, утверждается, что тюрьмы и телесные наказания среди причерноморских адыгов не были распространены. В основном формы наказания ограничивались системой композиции. Кроме этого, применялись такие наказания, как смертная казнь, продажа в плен, изгнание из общины, посрамление.

ლიტო ღმკლარიანი

რელიგიური დღესასწაულები დალის სვანეთში. „ლამპრობ“

კოდორის ხეობის ამჟამინდელი დასახლება, რომელსაც დალი ჰქვია, სათავეებს იღებს XIX-XXსს. მიჯნიდან, როცა, ძირითადად მიწის სიმცირის მიზეზით, ენგურის ხეობის სვანების ნაწილი იწყებს ლათის¹ ზემოთ, ჩრდილო-აღმოსავლეთით ტერიტორიების დაკავებას. ზემო სვანეთისაგან განსხვავებით, კოდორის ხეობაში ბალსზემოური და ქვემოური წარმომავლობის სვანები ტერიტორიულად ნაკლებად არიან გამიჯნული. ამან დალელ სვანთა კილო-გამოთქმას გარკვეული თავისებურება შესძინა.

დალის სვანეთისათვის თავისებურია ისიც, რომ ესა თუ ის რელიგიური რიტუალი, რაც ზემო სვანეთში თემ-დასახლებების მიხედვით გარკვეული განსხვავებულობით (აქ არ იგულისხმება რიტუალის შინაარსობრივი მხარე) აღესრულებოდა, აქ უფრო ერთგვაროვანი ხდება. ასეთ რიტუალთა რიგს მიეკუთვნება უძველესი სვანური რელიგიური დღესასწაული „ლამპრობ“. ჩვეულებრივ, „ლამპრობს“ ბალსზემო სვანეთში კერძო ოჯახებში აღნიშნავენ, მაშინ როდესაც ბალსქვემოთ მოლამპრები „სკარს“ (შეყრილობა) მიმართავენ. დღეს დალის სვანეთში „ლამპრობს“ დიდი ზეიმით აღნიშნავენ. მთელი მოსახლეობა გაყოფილია „სკარებად“. „სკარები“ იქმნება გვარს შიგნით ან შერეულად, მეზობლურ წრეში.

სანამ აღვწერდეთ ამ დღესასწაულს, საჭიროდ ვთვლით, გავაკარწყლოთ ის ცრუ შეხედულებანი „ლამპრობის“ წარმოშობის შესახებ, რომელიც, სამწუხაროდ, მავან სვანთა მალემრწმენობას გაუთავისებია და რის გამოც ჩირქი მოცხებია ამ მეტად საინტერესო მსახურებას, რომელმაც, ვინ იცის, რამდენი საუკუ-

¹ ლათა – ლათა სვანური ტოპონიმი და ნიშნავს გასაყარს. ესაა ხეობის შუამდებარე ყველაზე დიდი დასახლების სახელი.

ნე გამოიარა.

არსებობს მთარული, საკმაოდ ბუნდოვანი გადმოცემა, რომ რუსთა საოკუპაციო კორპუსის რომელიღაცა ჩინოსანმა, გადაწყვიტა რა სვანეთში მამრობითი სქესის მოსახლეობის აღწერა, მოსახლეობას დაავალა, ყოველ მამრ სულზე თითო ლამპრის გამოტანა დანიშნულ ადგილზე. სწორედ ამ ღონისძიებას მიიჩნევენ საფუძველმდებად.

ჩვენ არ უარვყოფთ მსგავსი ღონისძიების ჩატარებას – იგი შეიძლება სინამდვილეს შეეფერება, მაგრამ დაუჯერებელია, რუსთა „მფარველობის“ პერიოდში რომელიმე სამხედრო პირის გამართულ სალამპრო თავყრილობას (აღწერის მიზნით) შეეძინა ის საკრალური ელფერი, რაც „ლამპრობს“ ახასიათებს.

რუს დამპყრობლებს ბევრი, მათთვის გაუგებარი წესჩვეულება შეხვდათ სვანეთში. მათ შორის იქნებოდა „ლამპრობაც“. მათი ფანტაზიისთვისაც ძნელი არ იქნებოდა იმის გააზრება, რომ მთიან დაფანტულ სოფლებში მეტად მოსახერხებელი იქნებოდა მოსახლეობის აღწერის მიზნით მანათობელი ლამპრის გამოყენება. რუსიფიკაციის პოლიტიკის მესვეურთ კი ეს ფაქტი ადვილად შეეძლოთ გამოეყენებინათ ნამდვილი „ლამპრობის“, როგორც გარკვეული ეთნოსის რელიგიურ-კულტურული ღირებულების მისაჩქმალად და მისავიწყებლად. ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რომ მას შემდეგ, რაც მეფის რუსეთის მძლავრობა შეიცვალა საბჭოური ათეისტური იდეოლოგიით, ზემოთ აღნიშნულ ცრუ მოსაზრებასაც „ლამპრობაზე“ ახალი ხელშემწყობი პირობები შეექმნა. არადა, „ლამპრობა“ – მისი წარმოშობა და ისტორია – სულ სხვა რელიგიურ-ფილოსოფიურ ასპექტში უნდა იქნას გააზრებული.

ჩვენი ამ დასკვნის სასარგებლოდ მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ სვანეთში აღინიშნება არა მხოლოდ ერთი რომელიმე ლამპრობა, არამედ მისი ნაირსახეობანი, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. „ლამპრობათაგან“ ყველაზე ცნობილი, რომელიც დალის სვანებმა შეურყვნელად შეინარჩუნეს, არის „ჯგერავი ლამპრობ“ (წმ. გიორგის ლამპრობა), რომელიც დროში ცვალებადია. „ლამპრობის“ თარიღთან დაკავშირებით დალის სვანეთში ორი სხვა-

დასხვა მოსაზრებაა. ერთის თანახმად, „ლამპრობა“ იანგარიშება აღდგომასთან მიმართებაში – მას აღნიშნავენ ათი კვირით ადრე აღდგომამდე და იგი ყოველთვის კვირა დღეს ხვდება. მეორე ვარიანტით, „ლამპრობა“ შემდეგნაირად თარიღდება: იგი ხვდება „ზომხას“ (სვან. ძვ. ახ. წელი) მომყოლი ახალი მთვარის კვირა დღეს.

სალამპრედ უმეტესად იყენებენ რცხილას ან თხილის ხეს. სალამპრეს კარგად შეათბობენ, შემდეგ ერთ ბოლოს ლამაზად წაწვეტავენ, ხოლო თავის მხრიდან დაკეპავენ და დააქუცმაცებენ. გამზადებულ ლამპრებს დღესასწაულის დადგომამდე ლუმელს უკან მიაყუდებენ ან გარეთ ახმობენ ნელ ცეცხლზე. ლამპართა რიცხვი უდრის ოჯახის მამრთა რაოდენობას. ამას ემატება ერთი ლამპარიც ოჯახის სახელზე.

„ლამპრობა“ იწყება უთენია. პირველ რიგში, ლუმელში ანთებენ ოჯახის ლამპარს. იგი ოჯახის უფროსს მხარმარჯვნივ შემოტრიალებით გამოაქვს. ოჯახის თავი, მამაკაცი წმ. გიორგის შესთხოვს ოჯახში მამაკაცთა სიმრავლეს და ძალას, ბედნიერი წლის დადგომას. ლამპარს არჭობენ შუაგულ ეზოში. შემდეგ თითოეულს (მხოლოდ მამრებს) რიგრიგობით გამოაქვს თავისი ლამპარი. „სკარის“ მონაწილენი დანიშნულ ადგილას გროვდებიან ლამპრებით. ყოველი მოსული, სანამ დაარჭობს ლამპარს, ანთებული ლამპრით სამჯერ მხარმარჯვნივ შემოუვლის ცეცხლს და ულოცავს „სკარს“ ბედნიერ „ლამპრობას“.

„სკარს“ ყოველ „ლამპრობაზე“ ჰყავს მორიგე ოჯახი, რომელსაც თავის ხარჯზე გამოყავს ნასუქი ხბო ან ვაცი. ჩვეულებრივ, როგორც წესი, „სკარის“ ყველა წვერ-ოჯახს მოაქვს სალოცავი პურები („ლემზირები“) და ზეღამე (არაყი ან ღვინო). ხბოს სანთლებით შეტრუსავენ ჯვარედინად. მოლამპრე მამაკაცები პირით აღმოსავლეთისაკენ დგებიან ხელაპყრობილი. იწყება ლოცვა-ღაღადისი. წმ. გიორგის შესთხოვენ მამაკაცთა – ქუდის დამხურვათა („ფაყუა მეგემ“) სიმრავლეს... ხბოს დაკლავენ, გულ-ღვიძლს შეწვავენ და კვლავად „ლემზირებთან“ ერთად ზე აღაპყრობენ. ამჯერად ლოცვა-ვედრება აღესრულება „სკარის“ ყოველი მონაწილე ოჯახისა და მისი ქუდის დამხურავის სახელზე. ევედრებიან მამა ღმერთს („ხომა ღერბეთ“) ქრისტე მაცხოვარს

(„მაცხეუარ“), წმ. გიორგის („ჯგერავს“)... „ლიმზირის“ (ლოცვის) მომთავრების შემდეგ ქალებსაც შეუძლიათ მოსვლა. ჭამენ გულ-ღვიძლს, ილოცებიან ზედაშეთი. ამ დღეს, რაც არ უნდა იყოს განაჭირვები „სკარის“ რომელიმე მონაწილე, წმ. გიორგის საგალობელი („ჯგერავიშ“) მაინც უნდა შესრულდეს. იგი იძლეობს სამჯერ, რადგან მიაჩნიათ, რომ „მესამე მეჰად ჯგერავიშლი“ (მესამე ყოველთვის წმ. გიორგისია). დალის მოსახლეობის ერთი ნაწილი ლამპრებს ანთებს სასაფლაოზე. 2. „თერლე ლამპრობ“ (თვალთა ლამპრობა). ეს ლამპრობა უძრავია – აღინიშნება 15 თებერვალს. იგი ტარდება ახლად შეღამებულზე. ლამპრები შედარებით პატარა ზომისაა. ისინი გამზადებულია ოჯახის ყველა სულზე. ამავე რაოდენობის ცხვება „ლემზირები“. „თერლე ლამპრობ“ არ აღინიშნება „სკარობით“. ლამპრებს ანთებენ სახლის სიახლოვეზე. ოჯახის უფროსი დგება აღმოსავლით, ცალ ხელში სალოცავ პურს იკავებს და ცალით – ანთებულ ლამპარს. ხელებს ზე აღმართავს. იგი ლოცვით მიმართავს „სუიმნ დეცეშს“ (სუიმნი ცისა) და შესთხოვს ოჯახის ყოველი წევრის თვალთა ჩინის, სინათლის („თერლე ნარჰის“) სიმრთელეს, ევედრება, მორიდოს მორაული, სახადი სენი („ხუაშ მეყუარიელ – ხველება მორაული) თუ სხვა „მარცხ-მაუინ“-ი (მარცხი-მავნებელი) აჯა მთავრდება შემდეგნაირად: „ამი თერლე მასტუნა ი მარცხ ი მაუინ, ლეჟა ბიქუს ლახო ი ლექუა ლიცს“ (ამის თვალთა ტკივილები და მარცხი და მვნებელი ზევით ქარს გაატანე და ქვევით წყალს, ხოლო თავად შუაში მშვიდობით ამყოფეო). „ლიმზირის“ შემდეგ „ლემზირებს“ ადგილზე ჭამენ. ნარჩენების დატოვება და ოჯახში დაბრუნება იკრძალება.

3. „დეცე ლამპრობ“ („თხერემი ლამპრობ“). აღნიშნული ლამპრობა ამავე საღამოს – 15 თებერვალს იმართება. „დეცე ლამპრობ“-ს (ცის ლამპრობა) „თხერემი ლამპრობ“-საც (მგლის ლამპრობა) ეძახიან. გამოაქვთ ერთი დიდი ლამპარი. მარტო მისი ტარი 2-3 მეტრამდე სიგრძისაა. მას თავზე მიამაგრებენ ამ ლამპრობის სახელზე მოჭრილი ხისაგან (რცხილა ან თხილის ხე) წვრილად დაკეპილ გამხმარ ნაპობთა კონას. ლამპარს აღმართავენ ეხოში. ამ ცის (დეცე) ლამპარით ღმერთს ევედრებიან შინაური

პირუტყვის სიმრავლეს და მტაცებელი ნადირისაგან – მგლისაგან დაცვა-მფარველობას.

4. „ხილრე ლამპრობ“ („ხილთა ლამპრობა“). ესეც აღნიშნულ საღამოს სრულდება. ანთებული გრძელი ლამპრით გადიან ბაღში. ლამპარს სათითაოდ მიაჯახებენ ყოველი ხის ტოტს და სამერმისოდ ნაყოფის სიმრავლეს – მსხმოიარობას შეთხოვენ ღმერთს.

5. 15 თებერვალი – ამ დღეს არის ასევე „სუიმნიშ“ (სუიმნისა). ეს მიცვალებულთა ნათლად, სამოთხედ ყოფნის სავედრებელი „ლიმზირ-ლიფანე“ (ლოცვა-კურთხევა), რაც სრულდება ლამპრით. ახლად შეღამებულზე ყველა თავს იყრის სასაფლაოზე. ყოველ ოჯახს თან მოაქვს თითო აუნთებელი ლამპარი და ტრაპეზი (ხორცი, ყველი, სასმელი...). ლამპარს იქვე ანთებენ და ასობენ უკანასკნელად გარდაცვლილის საფლავზე. იქვე შლიან სუფრას, ანთებენ სანთლებს და ასრულებენ „ლიფანეს“ (კურთხევას – მიცვალებულთა შესავედრებელ ლოცვას). მამა ღმერთს, ქრისტე მაცხოვარს ევედრებიან, ნათელში ამყოფონ მიცვალებულთა სულები; ეხვეწებიან, გამოტანილი ტაბლა და ყოველივე შესაწირავი გამხდარიყოს „ქუინი სარგიბ“ (სულთა სარგო) საჭიროდ მიგვაჩნია, აქვე აღინიშნოს ერთი სვანური ტრადიცია: დაკრძალვის შემდეგ, შებინდებისას, განსვენებულის ახლობლები ცეცხლს ანთებენ საფლავზე, გადაუქცევენ ჭიქას, გარკვეულ ხანს რჩებიან კოცონთან. მიაჩნიათ, რომ ისინი ამხნევებენ და ართობენ მიცვალებულის სულს, რომელიც ამ დროს საფლავთან ახლოს ტრიალებს, და მარტოობის შემთხვევაში, პირველ ღამეს შიში შეიპყრობს ხოლმე.

6. 14 თებერვალს ბალსქვემოური სვანები აღნიშნავენ საღალღობო ხასიათის ლამპრობას – „ზაი ლიჩაჩხიელ“-ს (წლის დაჯახება). ამ ლამპრობას ბავშვთა ლამპრობასაც („ბოფმრე ლამპრობ“) უწოდებენ, თუმცა მათში უფროსებიც მონაწილეობენ. დილის საათებში ანთებენ ლამპარს. იგი მალულად მიაქვს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ოჯახის რომელიმე წევრს მეზობლის საცხოვრებლისაკენ და ცეცხლმოკიდებულ ლამპარს მოულოდნელად სახლის კარებში აგდებს შემდეგი სიტყვებით: „ზაიდ ჯაჩენხ“ (წელი მოგივარდა, დაგეჯახა). ამის შემდეგ „თავდამსხმე-

ლი“ გარბის უკან. მასპინძლის მოვალეობაა გაქცეულის დაჭერა. თუ მღევარმა იმარჯვა, მომხდურს უკან აბრუნებენ, პატივს სცემენ, რაც მასპინძლის გამარჯვებაა და იგი მისთვის ბედნიერი წლის დადგომას მოასწავებს.

როგორც ვხედავთ, კარზე ლამპრით მიხდომა დასწრებაზეა, საბოლოო ჯამში კი დაგვიანებული და დამარცხებული არავინ რჩება – თითო გამზადებული ლამპარი ყველა ოჯახიდან გააქვთ და თავდამსხმელს „რატომდაც“ ყოველთვის იჭერენ და უმასპინძლდებიან.

ცეცხლისა და შუქ-სინათლის სიმბოლიკა ყველა რელიგიისათვის უმთავრესთაგანია. ბიბლიის თანახმად, სამყაროს შესაქმნე ღვთიური, პირველყოფილი ნათელი იწყება. აქ სინათლეა ფონი და ერთ-ერთი უმთავრესი პირობა შემდგომ ყველანაირ მყარ არსთა და მატერიალურ ცოცხალ ფენომენტთა შესაქმნელად. შუქმნის პროცესში პირველყოფილ ნათელს მოყვება მნათობები, ე. ი. მატერიალური წყარო შუქ-სინათლისა – ესაა გარკვეულ ნივთიერებათა წვა-ხარჯვით აღძრული ცეცხლი და მისი გამონაშუქი, თავისი წარმოშობით განსხვავებული იმ სინათლისაგან, რამაც ქაოსი გამოაჩინა.

რამდენადაც ყველა რელიგია პრეტენზიას აცხადებს სიცოცხლისა და ყოფიერების გაჩენის მიზეზთა ახსნაზე, ბუნებრივია, ყოველი მათგანის ინტერესი ერთ-ერთ ძირითად საგანს შეადგენს ცეცხლი (შუქი), ურომლისოდაც სიცოცხლე არ არსებობს. ამ მხრივ სხვა რელიგიათაგან გამორჩეული ადგილი ზოროასტრიზმს უკავია, რომლის მიხედვით სამყაროს უზენაესი ღვთაება აჰურამაზდა (ორმუზდი), უპირველეს ყოვლისა, შუქ-ნათელის ღვთაებაა. იგივე ითქმის აჰურამაზდას შვილზე – მითრაზე, რომელიც მამის მერე მეორე პირია და იცავს სამყაროს მზის, მთვარისა და ვარსკვლავების დახმარებით². მითრას კულტში წარმოიშვა ზოროასტრიზმის განშტოება მითრაიზმი, რაც, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩვენს საკითხთან – ლამპრობის წარმოშობასთან – დაკავშირებით.

როგორც აღინიშნა, სვანეთში ლამპრობათაგან ყველაზე ცნო-

² ნ. პაპუაშვილი. რელიგიის კარიბჭე. თბ., 1996, გვ. 44, 46.

ბილია „ჯგერაგი ლამპრობ“ (წმ. გიორგის ლამპრობა). ამ რიტუალიდან ყურადღებას იპყრობს შემდეგი მომენტები.

1. სვანი კაცი ლამპრით ხვდება რიჟრაჟს – ის სიბნელიდან ლოცვით ლამპრით ხელში გადადის სინათლეში. იგი თითქოს ანგარიშს აბარებს მზის ღმერთს – მითრას, რომ მისი არყოფნის დროს ის ლამპრით ათენებდა და არ დაემონა წყვდიადის მეუფე არიმანს. ტრაიანეს და დომიციანეს დროს (II-III სს.), როცა მითრაიზმი რომში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, განთიადს მითრას ლოცვით ეგებებოდნენ.³ სომეხი ისტორიკოსის მოსე ხორენელის ცნობითაც, ქართველები თურმე ადრე აპურამაზდას დილაადრიან თავიანთი სახლების ბანიდან სცემდნენ თავყვანს⁴.

2. „ჯგერაგი ლამპრობ“ მამაკაცთა ღრესასწაულია. „ჯგერაგი“ სვანთათვის მეომარი ღვთაებაა და, ვფიქრობთ, თუ ლამპრობის ძირები მაზდეიზმიდან მოდის, ე. ი. თუ იგი აპურამაზდამითრას კულტს უკავშირდება, „ჯგერაგის“ ანაცვლება ამ ღვთაებების ადგილას ბუნებრივად მოჩანს, რადგან „მითრაც მებრძოლი ღვთაებაა, იგი უპირატესად მხედრობის ღმერთია,”⁵ ამან აქცია რომაულ ძლევამოსილ სამხედრო სამყაროში ძლევამოსილად. მითრა ძლიერი მხედარია და მხედართა მფარველიც: „მითრა ვერცხლის ჩაფხუტნიანი მხედარია, ტანზე აცვია ოქროს აბჯარი, ჰკიდია განმგმირავი ხანჯალი, ხელში უჭირავს გრძელი მახვილი და თეთრ ცხენზე ზის“.⁶ ამ აღწერილობით მითრა ემსგავსება როგორც წმ. გიორგის, ისე არმაზის კულტსაც.

3. საგულისხმოა „ლამპრობის“ გამონაგარიშების ორი ვარიანტი: პირველი, როცა ამ ღრესასწაულს აღდგომასთან მიმართებაში გამოითვლიან. ვფიქრობთ, აღდგომასთან ლამპრობის დაკავშირება ჩვეულებრივი მოვლენაა. ასეთი ბედი უნდა სწეოდა მას გაქრისტიანებულ სვანთა გარკვეულ ნაწილში, სადაც ახალი რელიგია თავისი დოგმატით უფრო განმტკიცდა. მოხდა ახალ მსახურებასთან ძველის შერწყმა, ამასთან, პირველის დომინანტით.

³ ა. გელოვანი. მითოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1983, გვ. 322, 378.

⁴ ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. დამბაშიძე. ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბ., 1991, გვ. 56.

⁵ ქართული მართლმადიდებლური საეკლესიო კალენდარი. თბ., 2000.

⁶ ს.-ს. ორბელიანი. სიტყვის კონა. ტ. II. თბ., 1966, გვ. 205.

ასეთი რამ ქართული სინამდვილისათვის, მით უფრო, მთიელთა ყოფიერებისათვის უცხო არ განლდათ. „ლამპრობა“ იმართება ასევე კვირა დღეს, რომელიც „ზომხას“ შემდგომ განახლებულ მთვარეს მოყვება. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამგვარად, მთვარის გარკვეულ ფაზასთან კავშირში უნდა ეანგარიშათ ძველ სვანებს „ლამპრობის“ ხდომილება. იგი წარმოშობით წარმართული დღესასწაულია და მთვარის კულტთან მისი გარკვეული საერთოობა სრულიად ბუნებრივია. ამასთან, „ლამპრობ“ შემთხვევით არ ხვდება კვირა დღეს – „მიჟ ლადალს“ (მზის დღეს), მზე ხომ წარმართული რელიგიური აზროვნების (ზოროასტრიზმის) ძირითადი სათაყვანებელი ელემენტია იმავე მთვარესა და ვარსკვლავებთან ერთად. რაც შეეხება ათვლის წერტილად „ზომხას“ ალებას, ეს უფრო გვიან უნდა დამკვიდრებულიყო, რადგან ამ თარიღს ქართული წარმართული კალენდარი არ ეთანხმება, ე. ი. დაუშვავთ, რომ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ „ლამპრობა“ დროში გადაადგილდა.

„ჯგერავი ლამპრობისგან“ განსხვავებით, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება, 15 თებერვლის „თერლე ლამპრობ“ (თვალთა ლამპრობა) სიანლოვეშია დასავლეთ საქართველოში (ზემო და ქვემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, სამეგრელო) შემორჩენილ რელიგიურ წეს-ჩვეულებასთან, რომელიც თვალთა სიმრთელეს, მხედველობის ჯანმრთელობას ეძღვნება. ამ რიტუალს რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთში „მეისარობ“ ეწოდება (დაკლავდნენ მამალს), სამეგრელოში კი ამ ცერემონიალს მირსობას ეძახიან (კლავენ ღორს). „გურიაში მოისარი თვალთახილვის მფარველად“ ითვლებოდა⁷.

აღნიშნული რიტუალი, დროში მცირეოდენი განსხვავებით, იმართებოდა დიდმარხვის წინა ხანებში, ძირითადად, ყველიერის ორშაბათამდე. მართალია, აქ თვალისჩინის ღვთაებას ლამპრობით არ ელოცებიან, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ მკვლევარები „მისრას“ სპარსულ „მითრასთან“ იგივეობას უშვებენ⁸. ჩვენს შემთხვევაში, ვფიქრობთ, დასაშვებია, „თერლე ლამპრობის“ მისამართიც

⁷ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VI. თბ., 1979, გვ. 537-538.

⁸ იხ. ს. მაკალათია. მითრას კულტი საქართველოში. – საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1926, №3.

მითრა იყოს, რომლის ერთ-ერთი ეპითეტიც „ათასთვლიანია“.

მითრა მიწის განმყოფიერებელი და საქონლის მფარველია. ხოლო ზორაოსტრიზმის უზენაეს პირს ორმუზდს (აჰურამაზდა) ცხოველთაგან გამორჩეულად უყვარს ძაღლი⁹, როგორც ერთგულების სიმბოლო – ადამიანისა და შინაური სულდგმულის დარაჯი. „ხილრე ლამპრობისა“ და „დეცე (თხერეში) ლამპრობის“ სავედრებელ ღვთაებებადაც აჰურამაზდა და მითრა უნდა ვიგულისხმოთ. ლოგიკურია ისიც, რომ ცის (ე.ი. ციურ ძალთა) ლამპრობის სინონიმი მგლის ლამპრობაა – ადამიანის ერთგული მეგობრის – ძაღლის მფარველ ორმუზდს ეაჯვებიან, დაიცვას შინაური პირუტყვი მტაცებლისაგან, რომლის სიმბოლურ სახედ – ძაღლისაგან საპირისპიროდ – აქ მგელია წარმოდგენილი.

15 თებერვლის მეორე ლამპრობაა „სუიმნიშ“ – ესაა იგივე „ქუინი ლამპრობ“ (სულთა ლამპრობა). იმისთვის, რომ ჩავწვდეთ ამ ლამპრობის შინაარსს, იგი უნდა განვიხილოთ მირქმის ქრისტიანულ დღესასწაულთან კავშირში (მირქმა უძრავია – ხვდება 15 თებერვალს). მირქმა VI ს.-მდე გამორჩეული ზეიმით არ აღინიშნებოდა. 528 წელს, იმპერატორ იუსტინეს დროს ანტიოქიაში მოხდა საშინელი მიწისძვრა, რამაც უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. მალე ამას დაერთო შავი ჭირი: ყოველდღე ათასობით სული იხოცებოდა... ერთ-ერთ კეთილმსახურ ქრისტიანს გამოცხადებით ეუწყა, რომ მირქმის დღესასწაული უფრო საზეიმოდ აღენიშნათ. მართლაც, როცა ამ დღეს ღამისთვის ლოცვები და ლიტანიობა აღასრულეს, ბიზანტიაში უბედურებები შეწყდა. ამგვარად, მირქმა, რომელიც ქრისტიანებს მოაგონებდათ ქრისტეს ცხოვრების ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს – შობის მეორმოცე დღეს მასთან სვიმეონ მართალის მიგებებას, რომელიც სულიწმინდისაგან შთაგონებული, გულისხმიერ უცდიდა მაცხოვრის გამოჩენას, VI ს.-ში დაიტვირთა ახალი ფუნქციით: მისი აღნიშვნისას უფალს შესთხოვნენ კაცთა მშვიდობასა და ავედრებდნენ მიცვალებულთა სულებს, რომლებიც სტიქიამ და ავბედითმა ავადმყოფობამ იმსხვერპლა. ფაქტობრივად, მირქმა იქცეოდა გარდაცვლილთა მოსახ-

⁹ კ. გამსახურდია. ქართველობა და უცხოეთის გენია. – ჟურ. „დრო-შა“, №, თბ., 1991, გვ. 5.

სენებელ და პატივსაცემ დღედაც. იქნებ, სწორედ, სვანეთია ის ადგილი, სადაც დღემდე, მსგავსად იმ ღირსსახსოვარი ღამისა, მირქმის დღესასწაულს სასაფლაოზეც აღნიშნავენ შეღამებულზე.

გასარკვევია „სუიმნ“-ის ეტიმოლოგია. ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, რომ „სუიმნ, სუინ“ ახლოსაა სვინასთან (მომნათველთან) – ასე განიმარტება იგი სულხან-საბას მიერ¹⁰. მისი სვანური ვარიანტია სუინი. ამ შემთხვევაში „სუიმნ დეცემი“-ი იქნება ნათელი ცისაო. ჩვენს შემთხვევაში დამაფიქრებელია ისიც, რომ საეკლესიო ტრადიცია მიმრქმელსაც ნათლიასთან ასინონიმებს. ამდენად, აღნიშნულ რიტუალში შემდეგნაირად ფიგურირდება ნათელი – იგია მისამართი, ნათლის ღვთაება, და მას მიმართავენ შუქზე, რასაც სულთა სახელზე დანთებული ღამპარი გადმოსცემს. „სუიმნ დეცემი“ (ნათელი ცისა) შეიძლება ასოცირდეს ქრისტე მაცხოვართან და ორმუზდ-მითრასთანაც.

მიცვალებულ სულთა სუფევას ქრისტეს ნათელში – ცის ნათელში (სუიმნ დეცემი-ში) იგულვებენ. იგივე ითქმის ორმიზდ-მითრაზეც: ორმუზდი, მიცვალებულებს საიქიოში მიუძღვება, „სხივოსანი დასაბამია“, შუქის უმრეტი წყაროა; ასევე მითრაც სინათლის გუშაგია. დაკრძალვის დღეს, შეღამებისას საფლავზე ცეცხლის დანთების სვანური ტრადიციაც მაზდეიზმის რწმენა-შეხედულებებს უნდა უკავშირდებოდეს.

მითრასა და ქრისტეს მსგავსებაზე მითითებულია სპეციალურ ლიტერატურაში. დავიმოწმებთ მხოლოდ ნეტარი ავგუსტინეს ნათქვამს წარმართულ ლიტერატურაზე: „...მე წავიკითხე, რომ ადამიანის სული სწამებს ნათლისათვის... მე ვპოვე, რომ ძე შეიძლება იყოს მამის ტოლი...“ ავტორი აქ მითრაზე საუბრობს. მსგავსად ქრისტესი, მითრაც კაცად მოვევლინა ქვეყნიერებას, ეწამა, და მერე ცად ამაღლდა – დგას მამამისის – ორმუზდის გვერდით.

როგორც უკვე აღინიშნა, VI ს.-ში მირქმის ტრადიციულმა დღესასწაულმა, გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, დაიმატა სარიტუალო ელემენტები და ამით შინაარსობრივად დაიტვირთა. სავარაუდოა, რომ ბიზანტიაში, ქრისტიანიზმის ცენტრში ახლებურად აღნიშნულ მირქმის რიტუალს თავისებურად გამო-

¹⁰ ს.-ს. ორბელიანი. სიტყვის კონა, ტ. II, გვ. 125.

ენმაურებოდა ამიერკავკასიის ქართველურ ტომთა ქრისტიანული სამყარო. ამ თავისებურებაში საგულისხმოა აქ – უფრო მთაში – შენარჩუნებული წარმართული წეს-ჩვეულებების მისადაგება, მორგება მირქმის ქრისტიანულ მსახურებასთან, რის შედეგადაც უნდა მიგველო „სუიმნიშ“-ი. სვანურ სინამდვილეში, როგორც ეს ეტყობა, წარმართული ელემენტების სიჭარბემ იმდენად მიჩქმალა თავისი დამატებით მირქმის ტრადიციული სახე, რომ დღეს მისი მთავარი ატრიბუტი – სვიმონ მართლის მიერ იესოს მიგეგება – „სუიმნიშობაში“ არ ჩანს. „სუიმნი დეცემთან“ ერთად ახსენებენ ქრისტეს ნათელს, „ხოშა ღერბეთს“ (მამა ღმერთი), ანთებენ სანთლებს და სხვა.

დღევანდელი გადასახედიდან ძნელია გადაჭრით თქმა, რამდენად იყო მირქმის დღესასწაული დამკვიდრებული სვანურ სინამდვილეში VI ს.-მდე. სარწმუნოდ კი შეიძლება შემდეგის თქმა: მირქმა, ჩვენთვის უკვე ცნობილი სახეცვლილებებით, უფრო გაითავისეს სვანებმა. სვანეთი, თავის დროზე წარმართული კულტების ძლიერი კერა, ცნობილი იქნებოდა სპირიტული და ოკულტური აზროვნებითაც, რისი ძლიერი კვალიც დღემდე ამჩნევია აქაურ რელიგიურ ტრადიციებს. სწორედ, ამ გარემოებას უნდა ეკარნახა იმდროინდელი ღვთისმსახურებისათვის, ინტერესით მოკიდებოდნენ მირქმის დღესასწაულის დამატებით ნაწილს და საჭიროდ ჩაეთვალიათ სვანთათვის დამახასიათებელი, სრულიად დამოუკიდებელი სულთა ხსენების გარკვეული რიტუალიც მირქმაზე გადმოეტანათ. ამით ბიზანტიური ეკლესიის მიერ სახენაცვალ მირქმის ქრისტიანულ დღესასწაულს კიდევ ერთი სიახლე შეერწყა.

საფიქრებელია, რომ თავიდან მირქმის ძირითადი იდეა, მასზედ დამატებული სარიტუალო ელემენტებით, რომელთაგან ერთს მორწმუნეთათვის უნდა მოეგონებინა ანტიოქიის მოვლენები, ხოლო მეორე წარმოადგენდა სვანური წარმართული რელიგიური აზროვნების ნაყოფს, თანასწორად უნდა არსებულიყო აღნიშნული დღესასწაულის სვანურ ვარიანტში, რაც შემდგომ, ისტორიული გარემოებების გამო, სვანეთის იზოლირებულობის პერიოდებში, მივიწყებული იქნებოდა, როგორც უკვე ვთქვით, ისევ წარმართული ელემენტების ზედაწოლით.

„ზაი ლინაჩხიელ“ (წლის დაჯახება) – ახალი წლის მილოცვის ერთ-ერთი სვანური ტრადიცია-აღსანიშნავია იმით, რომ აქაც ცეცხლთან გვაქვს საქმე – „მოვარდნილი“ წლის სიმბოლიკა ლამპარია. ამ სცენაში გამოხატული იდეით სვანები ერთმანეთს, ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით, მზადყოფნასა და თადარიგისაკენ მოუწოდებენ. საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული წეს-ჩვეულებით ახალი წელი 14 თებერვალს ხვდება. ამ მომენტს ანგარიში უნდა გაეწიოს სვანური წარმართული კალენდრის კვლევისათვის.

ცეცხლზე – ცეცხლოვან არსზეა ლაპარაკი ზომხადლუს – მეკვლეს მიერ ოჯახის დალოცვაში: „ზაი ყერ – მეცადი, ზონა ზაის-უ ჯიცადი...“ (წლის ყერმა – შემნაცვლებელმა, კარგი წელი შეეცვალოს). ყერს სვანები ეძახიან ცაზე გაელვებულ ცეცხლოვან ბურთს, რომლის მნახველმა თუ ნატვრა („ვად“) მოასწრო, აუსრულდებაო. ამის გარდა: ფიც-მტკიცებისას სვანი ხშირად მოიშველიებს განგების ძალას: „ჯგერაგი ყერლო, ღერმეთი ყერლო“ (ჯგერაგის ძალამ, ღმერთის ძალამ).

გამოდის, რომ „ყერ“ სახიერ ცეცხლად გამოხატული ნებაა, რომელიც მართავს წელთა მოქცევას, მას ძალუძს ნატვრის ასრულება, ე. ი. ციური შემოქმედი ძალაა. ციურ სხეულთა დროში მოძრაობის – წელიწადთა მოქცევის მომწესრიგებელ ძალად ცეცხლის გამოყვანით სვანები თავყანს სცემდნენ სამყაროს შუაგულს – მზეს, როგორც ცეცხლის ყველანაირ ვარიაციათა უძირითადეს წყაროს. აქ ცეცხლმადიდებლობა აგებულია ციური მექანიკის ოდინდელ რეალურ ცოდნაზე.

გვინდა ჩავთოთ: ბოლო დროს მოპოვებული ინფორმაციებით პლანეტები ცოცხალი მოაზროვნე სხეულებია; გლობალური აზროვნების ენერგეტიკული სხეულია მზე¹¹. მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი გერმანელი ოკულტისტი და ანთროპოსოფი რუდოლფ შტაინერი ამტკიცებდა, რომ იესო ქრისტე მზის არსებობა¹².

¹¹ იხ. მ. ელცინი. ამოუცნობი მფრინავი ობიექტები. თბ., 1991.

¹² იხ.: რ. შტაინერი. აღდგომის დღესასწაული, ვითარცა კაცობრიობის მისტერიული ნაწილი. – ჟურ. „რიქა“. სოხუმი, 1991.

გადაჭარბებულად რომ არ მოგვეჩვენოს სვანთა რელიგიურ ცნობიერებაში წარმართული მსოფლგაგების ასეთი სიმკვიდრე, გააკეთებთ ისტორიულ ექსკურსს ძველ და შუა საუკუნეების საქართველოში ზოროასტრიზმის გავლენასთან დაკავშირებით.

ზოროასტრიული კულტების ისტორია სამ პერიოდად იყოფა საქართველოში:

1. ესაა ძვ.წ. VI – ახ.წ. IIIსს. – ირანში აქემენიდათ დროიდან სასანიანთა გამეფებამდე. ამ დროს ირანთან მშვიდობიანი ურთიერთობა იყო. ზოროასტრიზმის გავლენა დაეტყო და დღემდე შემორჩა ქართულ ენა-მეტყველებაში (ტაძარი, კერპი, ზუარაკი, ეშმა, ჯოჯოხეთი, მართალი, წარმართი, ბაგინი, დროშა, ანდერძი, დასტური და სხვა.). ზოროასტრიული თეოსოფიური სახელებია: ფარნავაზი, ფარნაჯომი, არტავაზი, არშაკი, ბაგრატი, ბაკური, მიდრატი, ადარნასე, აზორკი და სხვა.)

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, არშაკიანთა ქართლში გამეფების დროს ზოროასტრიზმის რომელიღაც სახეობა სამეფო კულტის დონემდეც ამაღლდა. ამას ადასტურებს ქარელის მხარეში, დედოფლის მინდორზე აღმოჩენილი სატაძრო კომპლექსი (ძვ.წ. II-IIIს.).

ზოგიერთი მკვლევარი არმაზის სახელსაც აპურამაზდას უკავშირებს. მცხეთაში ძველთაგანვე არსებობდა ცეცხლთაყვანისმცემელ მოგვთა უბანი და ზოროასტრიზმის მიმდევართა თემი.

2. ირანში სასანიანთა დინასტიის მეფობის ხანაში (III-VIII საუკუნეები) რელიგიური სხვადასხვაობის სიმკვეთრე ამწვავებს ირანთან ურთიერთობას. ამაზეა ლაპარაკი მხატვრულ-დოკუმენტურ ლიტერატურაში (შუმანიკისა და ვესტათი მცხეთელის მარტვილობები, ლეონტი მროველის, ჯუანშერის ცნობები და სხვ.). ამ დროისათვის ქალაქებსა და სოფლებშიც არსებობდა ზოროასტრიზმის მიმდევარი მოსახლეობა. მემატიანე იძლევა ცნობას, რომ ვახტანგ გორგასალის დროს ნიქოზში იყო „საგზებელი ცეცხლისა“ (ცეცხლის ტაძარი).

3. სასანიანთა დაცემის შემდგომ ზოროასტრიზმი თვით ირანშიც იღვენებოდა, ხოლო საქართველოში VIII-IXსს.-ში ზოროასტრიული კულტების გამოცოცხლება იგრძნობა (გველდების საკურო-

ხვეული). ეს მოვლენა ახსნილია, როგორც რეაქცია არაბთა მძლავრობაზე. იგი იყო შედეგი ირანიდან ლტოლვილ ცეცხლთაყვანისმცემელთა შემოხიზვნისა საქართველოში. თბილისში ზოროასტრიზმის მიმდევართა, ალბათ სპარსულენოვანი თემი, როგორც ჩანს, სახლობდა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. ამის უეჭველი საბუთია ფეთხოვანზე შემორჩენილი ცეცხლის ტაძრის – „ათეშაგას“ ნაშთები.

საქართველოს კუთხეთაგან სვანეთი გეოგრაფიულად თითქმის ყველაზე შორსაა ირანისაგან. ამდენად, ამ მხარეში ზოროასტრიზმის გავლენაზე საუბრისას რაღაც განსაკუთრებული, სპეციფიკური გარემოებიდან უნდა გამოვდიოდეთ. მართლაც, მთელი ისტორიის განმავლობაში სვანეთი ირანისადმი პოლიტიკურად სულ ერთხელ იყო დაქვემდებარებული. ეს პერიოდი უკავშირდება ე.წ. დიდ ომიანობას ეგრისში. 542 წელს ეგრისელებმა ორიენტაცია შეიცვალეს (ბიზანტიის საწინააღმდეგოდ) და უხმეს ირანს, რომელმაც დას. საქართველოს გარკვეული ნაწილი დაიკავა. ცნობილია, რომ 575 წელს ირანის ჯარები სვანეთიდან განდევნეს. არა გვგონია, ღროის ეს მონაკვეთი საკმარისი ყოფილიყო იმისათვის, რომ ირანელებს სვანეთში რომელიც უფრო ბიზანტიის ხანგრძლივი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მაზდეიზმისათვის ყამირი გაეტეხათ.

ირანელები დიდი მონდომებით შეეცდებოდნენ ზოროასტრული კულტების დანერგვას, ისინი მიაღწევდნენ კიდევ რაღაც შედეგს, მაგრამ სვანეთში რომ გარკვეული წარმართული რელიგიური ტრადიციები არ დახვედროდათ ნიადაგად, ზოროასტრული კულტმსახურებანი ვერ შეიძენდნენ იმ სიცოცხლისუნარიანობას, რითაც ქრისტიანულ წეს-კანონებთან ერთად დღესაც განაგრძობენ არსებობას.

ამ საკითხის უკეთ გასარკვევად აუცილებლად მიგვაჩნია, გავივით ქრისტიანობამდელი სვანეთის სარწმუნოებრივი მდგომარეობა, რაც გამოწვლილვით კვლევას მოითხოვს, და ეს ცალკე სასაუბრო თემაა. ამჯერად კი იკვეთება შემდეგი ვარაუდი: გაქრისტიანებამდე სვანეთში უნდა არსებულებოდა მაზდეიზმის გარკვეული ნაირსახეობა, რასაც დამოუკიდებელი, ორიგინალური სა-

ხე ექნებოდა. ცეცხლის კულტთან დაკავშირებული რწმენა-შეხედულებათა ნაწილი უნდა შერწყმოდა ახალ რელიგიას (ქრისტიანობას), ნაწილი კიდევ დამოუკიდებელი სახით შენარჩუნდებოდა. სწორედ, ეს გახდებოდა მგრძობიარე ადგილი ზოროასტრიზმის იმ ირანელი მქადაგებლებისათვის, რომლებიც VIIს.-ში სვანეთში შემოსულ ირანულ ჯარს შემოყვებოდნენ.

თუ ეს ასეა, სვანური ცეცხლთაყვანისმცემლობის ძირები შეიძლება ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში იყოს საგულვებელი. მაზღეიზმი ჯერ კიდევ შუა აზიაში აღმოცენდა, სანამ იგი ძვ.წ. დაახლოებით 1000 წელს ფარსიზმი გახდებოდა. ასეთ შემთხვევაში, VIIს.-ში სვანეთში ერთი რელიგიის ორი განაყარი შტოს შეხვედრა უნდა მომხდარიყო. ეს უფრო სარწმუნო იქნება, თუ გავითვალისწინებთ იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომლებსაც ქართველური ტომების უძველეს საბინადრო არეალად ამიერკავკასიის სამხრეთი წარმოუდგენიათ.

ამგვარად, ირანს შეეძლო სტიმულატორის როლი ეთამამა სვანეთის რელიგიურ ცხოვრებაში მაზღეიზმის სასარგებლო. იგი იცნობდა ქართველურ ტომთა ხასიათს და ჰქონდა რელიგიური ქადაგების დიდი გამოცდილება, როგორც ამაში ისტორიულმა ექსკურსმა დაგვარწმუნა. მაგრამ VIIს.-ში იგი არ ყოფილა ამ რელიგიის პიონერი და შემოქმედი სვანეთში, რადგან სვანთა ცნობიერებაში დიდი ხანია უკვე არსებობდა თავისებურად წარმოდგენილი აჭურამაზდა (ორმუზდი) – მითრას ხატება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ასეთი შედარების გაკეთება: თუ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ირანი საუკუნეების განმავლობაში ნერგავდა ზოროასტრიზმს ძალისმიერი თუ ლოიალური მეთოდებით, მისთვის უცნობ სვანეთში იგი აღმოჩნდა უჩვეულო ფაქტის წინაშე – მას შეხვდა სარწმუნეობრივი ნათესავი სპეციფიკური ტრადიციებით, რომელთა ჩამოყალიბებაშიც უშუალოდ მას წვლილი არ შეიძლება ჰქონოდა.

ირანს შეეძლო, გარკვეული ახლებური ელემენტები შეეტანა სვანურ წარმართულ კულტმსახურებაში, მაგრამ, სახელობდნო რა, ამაზე კონკრეტულად რაიმეს თქმა ამ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან, ჩვენი აზრით, იმ პერიოდისათვის შემორჩე-

წილი სვანური წარმართული წეს-ჩვეულებების ძირითადი ბირთვი უფრო ქრისტიანულ მსახურებასთან შეთავსება-მორგებაზე იქნებოდა გადახრილი, რასაც უნდა გაეჩნელებინა ირანული ზორასტრიზმის სვლა ადგილობრივი წარმართული ჩვევების წიად. თუმცა, ვიმეორებთ, ირანული გავლენა უკვალოდ არ დარჩებოდა და თავისი, ასე ვთქვათ, მოკრძალებული ხელწერა აუცილებლად უნდა დაეტოვებინა სვანურ წარმართულ კულტურაში, რის შედეგადაც მიღებული იქნა მაზდეიზმის ორი სხვადასხვა ქურაში გამოტარებული მიმდინარეობების შერწყმა ქრისტიანულ თეოლოგიურ აზროვნებასთან. ამის საილუსტრაციოდ კვლავ მივმართავთ „ჯგერავი ლამპრობას“. სვანი კაცი ამ რიტუალის აღსრულებისას ხარკს უხდის ქრისტე მაცხოვარს და წარმართულ ღვთაებებსაც. სარწმუნოებრივი ალლო კარნახობს მას, შეარიგოს ციური ძალები.

ლამპრობა ორიგინალური სინთეზია სხვადასხვა სარწმუნოების ხატ-სიმბოლოებისა. რიტუალის მთავარი ატრიბუტთაგანი ლამპარია, თავად ლამპრობა კი ქრისტიანი წმინდანის სახელობისაა, და აღმოსავლით, განთიადისკენ პირმიქცეული სვანები მამა ღმერთს და ქრისტეს ელოცებიან: დადარზე წარმართული წესით ცვილის ნამცეცებს ახრჩოლებენ, ხელთ უპყრიათ „ლემზირები“ კიდებზე სამი ნიშნულით (წმ. სამების აღმნიშვნელი) და შემწვარი გულ-ღვიძლი.

თვალთა ლამპრობაზეც („თერლე ლამპრობა“) როგორც უკვე ვნახეთ, ევედრებიან ქრისტე მაცხოვარს, ამასთან, იქვე სახად ავადმყოფობებს სტიქიას – ქარსა და წყალს – მიანდობენ დასასჯელად. მთლიანობაში კი სვანური ლამპრობები საკრალურად მიმზიდველია და იდუმალი.

ქართველური ტომების კულტურული თავისებურება, განსაკუთრებით რელიგიური მსოფლალქმის სფეროში, სწორედ ის გახლავთ, რომ კონფესიურ გავლენათა წინეს მასზედ დამანგრეველი გავლენა არასოდეს არ მოუხდენია, პირიქით მათგან ქართულმა რელიგიურობამ მიმზიდველობა შეიძინა. ამ სინთეზის შუაგული იმ იდეალებითაა მკვრივად ნაგები, რომლებიც, მიუხედავად სხვადასხვაობისა, ერთმანეთს ავსებენ, რამეთუ ისინი სხვადასხვა კუთ-

ხით სამყაროს ხედვის ძალებს წარმოადგენენ. ქართული ნიჭის ფენომენალური თვისებაც ამ იდეათა დაჭერა და გათავისებაა. იგივე თვისება ქართველის სულს აძლევდა გამძლეობასა და მოქნილობას. ამასთან დაკავშირებით აქვს ნათქვამი კონსტანტინე გამსახურდიას: „ჩვენი ეროვნება სწორედ დიონისესა, ქრისტე-ნაზარეველსა და ზარათუშტრას შორის დადგომამ იხსნა. ეს გასაოცარი დუალიზმი ჩვენი სულისა და ჩვენი ბუნებისა უებარ მაღალმოდ ეწამლა ჩვენსავე ეროვნულ არსებობას“.¹³

დ. დ. დევდარიანი

РЕЛИГИОЗНЫЕ ПРАЗДНИКИ В ДАЛЬСКОЙ СВАНЕТИ. „ЛАМПРОБА“

В Дальской Сванети (Кодорское ущелье в Абхазии) те или иные обычаи отличаются от аналогичных обычаев в Верхней Сванети. Это касается и различных религиозных ритуалов, в том числе религиозного праздника, который по-свански звучит как „Лампроб“ (на литературном грузинском – „Лампроба“, дословно – праздник „зажигания факелов“). В Сванети отмечают несколько праздников „Лампроба“, но наиболее популярной из них в Дальской Сванети является „Лампроба“ в честь св. Георгия – „Джгераг Лампроб“.

В статье подробно описывается ритуал „Джгераг Лампроб“. На основе анализа данного ритуала, сделан вывод, что „Лампроба“ представляет собой оригинальный синтез символов разных верований. Главным атрибутом этого праздника является факел в честь христианской святыни, однако по своей атрибуции „Лампроба“ близка к Зороастризму.

¹³ კ. გამსახურდია. ქართველობა და უცხოეთის გენია. – ჟურ. „დროშა“, №, თბ., 1991, გვ. 5

ისტორიული მხარეთმცოდნეობა

ბორის კვარაცხელია

ზოგი რამ გულრიფშის რაიონის ისტორიულ წარსულზე

გულრიფში საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი კუთხეა. სარწმუნო ცნობებს აფხაზეთის ისტორიული ადგილების, მათ შორის, ამჟამინდელი გულრიფშის რაიონის დასახლებული პუნქტების შესახებ, ვხვდებით ძველ ბერძნულ და ბიზანტიურ წყაროებში.

ცნობილია, რომ ტოპონიმიკა მნიშვნელოვანი საშუალებაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესმე მოსახლე ხალხის ისტორიული ცხოვრების გასაცნობად. მისი პრაქტიკული მხარეა გეოგრაფიული ობიექტებისათვის სახელთა შერქმევა, უცხოურ ტოპონიმთა გადმოცემა მშობლიურ ენაზე.

საქართველოს ტოპონიმების მეცნიერულ კვლევას გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა და გეოგრაფოსმა ვახუშტი ბატონიშვილმა ჩაუყარა საფუძველი. მან არა მარტო აღრიცხა და შემოგვინახა ჩვენი ქვეყნის ასობით გეოგრაფიული სახელწოდება, არამედ მოგვცა მათი კლასიფიკაცია და ეტიმოლოგია. ამა თუ იმ მხარისა და ქვეყნის შესასწავლად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ისტორიული გეოგრაფია.

აფხაზეთის გეოგრაფიული სახელწოდებებისა და აქაური მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს ვახუშტი ბატონიშვილის უნიკალურ ნაშრომს „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. იმავე თვალსაზრისით უთუოდ ყურადღების ღირსია ცნობილი ქართველი მეცნიერის პავლე ინგოროყვას ფუნდამენტური გამოკვლევა „გიორგი მერჩულე“, რო-

მელშიც ავტორი განიხილავს აფხაზეთის ისტორიის მთელ რიგ პრობლემატურ საკითხებს. პ. ინგოროყვამ თავისი გამოკვლევის მეოთხე თავის პირველ ქვეთავს, „აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში“, დაურთო სპეციალური ექსკურსი – „აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული სახელწოდებანი და მათი კავშირი ქართულ ენობრივ სამყაროსთან“.

აფხაზეთის ტერიტორიაზე შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების არაერთი შესანიშნავი ძეგლია აღმართული. ერთ-ერთი მათგანი, დრანდის მონასტერი ისტორიული კოლხეთის ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნება. მონასტერი აღმართულია დრანდის თვალწარმტაც პლატოზე, სოხუმიდან მე-18 კილომეტრზე. „მოქვს მდინარის დასავლეთით, – აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი, – დის კოდორის მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია დრანდას მთაში, გუმბათიანი, შუენიერი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა“.¹

დრანდის ტაძარი ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით განეკუთვნება ძველი, ბიზანტიური ტაძრების ტიპს და შეიძლება ჩაითვალოს კავკასიაში ბიზანტიური არქიტექტურის შესანიშნავ ნიმუშად. ეს გუმბათოვანი ეკლესია უახლოვდება ჯვრის ტიპს და თავისი ორიგინალობით არაფერი აქვს საერთო აფხაზეთის ძველ ტაძრებთან. რუსუდან მეფისაშვილის მოსაზრებით, რომელიც ითვალისწინებს VII-VIII საუკუნეებში შექმნილ ისტორიულ ფონს, დრანდის მონასტერი VIII საუკუნეში უნდა იყოს აგებული².

თურქების ბატონობის დროს დრანდის მონასტერი დაინგრა, რის შემდეგ ის დატოვეს ეპისკოპოსებმა და მონაზვნებმა. მონასტრის კათედრის არქიებისკოპოსი გაბრიელი იძულებულია დატოვოს ტაძარი და იერუსალიმში გადავიდეს, სადაც გარდაიცვალა. წყაროების მიხედვით უკანასკნელი ქრისტიანი მღვდელმთავარი

¹ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ. 781.

² P. Меписашвили. Дранда. Памятник архитектуры VIII века. Тб., 1983, გვ. 10.

დრანდაში იყო ეკლემონ დრანდელი, რომელიც XVII საუკუნეში მოღვაწეობდა³.

თავად სოფელი დრანდა მდებარეობს მცირე კოდორსა და აძიუბუას შუა ტერიტორიაზე. ის უძველეს დროში დაარსდა და მჭიდროდ დასახლებულ პუნქტს წარმოადგენდა. აფხაზეთის ამ ცნობილი დასახლების ძველი ფორმა არის დანდარი, ანუ დანდრა, რაც დამოწმებულია არქანჯელო ლამბერტისთანაც⁴. ეს ტერიტორია დასახლებული ყოფილა დანდარებით და ამდენად დანდარი სატომო სახელიც ყოფილა. დიონისე პერიეგეტი ასახელებს ტინდარელთა ქვეყანას. ის აგრეთვე მოიხსენიება ჰეკათეოს მილეტელთან⁵, როგორც ირკვევა იმუჰამად დრანდა დასახლებული იყო ტინდარელებით, დანდარელებით და აქედან წარმოიშვა მისი სახელწოდებაც.

„სახელწოდება დანდარი, – აღნიშნავს პავლე ინგოროყვა, – თავისი გრამატიკული ფორმით განეკუთვნება ქართული გეოგრაფიული სახელების ჯგუფს ანალოგიური ბოლოკიდური ფორმატით „არ-ი“, როგორიცაა – გაგარი, ხიდარი, გომარი, წუნარი და სხვ.“⁶

დრანდა რამდენიმეჯერ იქნა დანგრეული და გაძარცული თურქთა შემოსევების დროს. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს თურქებმა ის კვლავ დაარბიეს.

1885 წლიდან დიმიტრი მაჭავარიანმა დაიწყო დრანდის ეკლესიის აღდგენა. XX საუკუნის დასაწყისამდე დრანდის სავარგულების უმეტესი ნაწილი ძიაფშიპებს – აფხაზ თავადთა საგვარეულოს ეკუთვნოდა, თუმცა საბოლოოდ შარვაშიძეების მფლობელობაში გადავიდა.

³ *Черноморское побережье Кавказа*. Справочная книга. Петроград, 1916, გვ. 440.

⁴ ა. ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან *ალექსანდრე ჭყონიახი*. თბ., 1938, გვ. 120.

⁵ დიონისოს პერიეგეტი. – წგნ.: თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I. თბ., 1967, გვ. 122; ნ. ლომოური. ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები საქართველოს შესახებ. – „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 35. თბ., 1963, გვ. 27.

⁶ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. ნაწ. I. თბ., 1954, გვ. 158.

დრანდას მოშენებული მიდამოები იწვევდა წებელ-დალ-ფსხუ-ელთა მხრიდან პერმანენტულ თავდასხმებს. დრანდის მფლობელი ალი-ბეი-შარვაშიძე ამ მუდმივი თავდასხმების გამო XIX საუკუნის 20-იან წლებში იძულებული გამხდარა, სოფ. ტამუშს გადასახლებულიყო. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ შარვაშიძემ მოიჯარადრეებად მოიწვია ყმობიდან გათავისუფლებული მეგრელები. პირველი მოიჯარადრე ბაბუშისაგან წარმოდგება სოფელ ბაბუშარას სახელწოდება („მეურს ბაბუშიში შარაშა“ – მიდის ბაბუშის გზითო).⁷

ზურაბ ანჩაბაძის მიხედვით, „რიფშ“ ბოლოკიდურიან ტოპონიმები გვიან შუა საუკუნეებში გაგრის დასავლეთით მცხოვრებ საძების ტომებს უნდა უკავშირდებოდეს: გაგრის რაიონში – გაგრიფში, ცანდრიფში, მიხელრიფში⁸, სოხუმის აღმოსავლეთით – გულრიფში, სადაც საძების ყოფნა გამორიცხულია.

მდინარეებს მზიმთასა და კოდორს შორის ვხვდებით ფუძე ფშა-ს და ფშ-ს, რომლებიც გვეკვლინებიან მეორე კომპონენტის სახით და მონაწილეობენ არა მარტო ჰიდრონიმების წარმოქმნაში, არამედ აღნიშნავენ დიდ დასახლებულ პუნქტებსაც. მაგალითად, ცანდრიფში – აფხაზური გვარი ა-ცან-ბა, გულ-რი-ფში – გვარი გულია, გულ-უა. როგორც ცნობილი აფხაზი მეცნიერი ხ. ბლაჟბა აღნიშნავს, ამ რთული ტოპონიმების პირველი ნაწილი მიუთითებს გვარის ფუძეს. აღნიშნულ ტოპონიმებს ის აგრეთვე უკავშირებს „დომენს“, რაც ნიშნავს ფეოდალის მამულს, ან კუთვნილებას. ხ. ბლაჟბას ამ მოსაზრებას ამყარებს აფხაზური გამოთქმარი-ფშ-ითანცეააიტ, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „გაქრნენ ისინი თავიანთი მამულიდან“.⁹

პავლე ინგოროყვას მიხედვით, თუ რიფშ აფხაზურად წყალს ნიშნავს (მაგ. გაგრიფში – გაგის წყალი),¹⁰ მაშინ გულრიფში შეიძლება აიხსნას, როგორც გულუების, ან გულიების წყალი, შესაძლოა გულის წყალი, თუ ხ. ბლაჟბას დავესესხებით, მაშინ გულ-

⁷ კ. ბერულავა. აფხაზეთის ისტორიული ადგილები. თბ., 1951, გვ. 76.

⁸ З. В. Анчабадзе. История и культура древней Абхазии. М., 1964, гв. 174.

⁹ Х. С. Бгажба. Книга 1. Этюды и исследования. Сухуми, 1987, гв. 170.

¹⁰ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 149-150.

რიფში ნიშნავს გულუების, ან გულიების დომენს, მამულს. როგორც ჩანს, ზემოთ მოტანილი ფაქტები ვერ იძლევიან ცალსახა, კატეგორიული დასკვნის გამოტანის საშუალებას.

სოფელი გულრიფში პირველად XIX ს. 30-იანი წლების დასაწყისში მოიხსენიება. აფხაზეთის სოფლებს შორის დასახელებულია სოფ. გულრიფში¹¹. ფ. ზავადსკის მიერ 1854 წლამდე შეგროვებული ცნობების მიხედვით, სოფ. გულრიფში 30 ოჯახი ცხოვრობდა¹².

გულრიფშის რაიონის დასავლეთი საზღვარია მდინარე კელასური, რომელიც სათავეს იღებს ზიმსის მყინვარზე. მისი სიგრძე 42 კილომეტრია. ამ მდინარის ხეობაში მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფელი. „კლისურა“ ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს გასასვლელ ადგილს, ვიწრობს. ისტორიულ წყაროებში, კერძოდ, ჯუანშერთან ის მოხსენიებულია ორჯერ. კელასურის კედელი, ე.წ. „აფხაზეთის დიდი კედელი“, რომელიც საისტორიო წყაროებში მოხსენიებულია, როგორც „ზღუდე კლისურისა“, ჩრდილოეთ კავკასიიდან შავიზღვისპირეთში მიმავალ გზებს ამაგრებდა. VIII საუკუნის დასასრულიდან, „აფხაზთა“ სამეფოს შექმნის შემდეგ ზღუდე დაკარგა თავისი მნიშვნელობა. მისმა ნაშთებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, თუმცა ეს სადავოა.

შემორჩენილია ლევან II დადიანის მიერ აფხაზი მოთარეშეების შესაჩერებლად XVII საუკუნეში აგებული სამაგრ-ნაგებობათა სისტემა (საერთო სიგრძე 60 კმ). კედელი იწყება მდინარე კელასურის შესართავიდან, მიუყვება მდინარის მარცხენა ნაპირს, მერე უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და ფანავის ქედის ძირის სამხრეთის მხრიდან გრძელდება მდინარე დალიბგას ხეობაში. ლევან II დადიანმა საგანგებო ღონისძიებები გაატარა კელასურის კედლის დასაცავად. მაგალითად, ყოველი ფეოდალი ვალდებული იყო წელიწადში ერთი თვე თავისი მხედრებით მორიგეობა განეხორციელებინა. მისი სიკვდილის შემდეგ კელასურის კედლის დაცვის სისტემა მოიშალა და აფხაზმა ფეოდალებმა ძალაუფლება მდინარე ენგურამდე გადმოიტანეს, რის შემდეგ კედელმა

¹¹ П. Зубов. Картины Кавказского края. Ч. II. СПб, 1835, გვ. 268-269.

¹² Газ. „Кавказ“, 1867, №59.

თავისი ფუნქცია დაკარგა¹³.

საინტერესოა აფხაზეთის ერთ-ერთი უძველესი ისტორიული დასახლების – წებელდის წარმომავლობა. მას შორეული, მაგრამ საყურადღებო ისტორია აქვს. პ. ინგოროყვას მიხედვით ამ პუნქტის სახელის ორი ძირითადი ფორმა არსებობს – წიბელი და წიბელთა. ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს წებელდა. ეს სახელწოდება წიბელი – წებელდა დაკავშირებულია ხის სახელთან – წიფელი, ისე როგორც ბიჭვინთა – ფიჭვთან. სწორედ ეს არის, – აღნიშნავს მეცნიერი, – თანამედროვე წებელდა კოდორის ხეობაში¹⁴.

ადრეული შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში (პროკოპი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი) წებელდა აფშილეთის ძლიერ სიმაგრედ მოიხსენიება. ადგილობრივი მკვიდრნი მას „წიბილონს“ ეძახდნენ. პროკოპი კესარიელის ცნობით, „აფსილები ძველთაგანვე ლაზთა ქვეშევრდომები არიან. ამ ქვეყანაში არის ერთი ციხე, მეტად მტკიცე, ადგილობრივი მცხოვრებლები მას წიბილეს უწოდებენ“.¹⁵ იმავე ციხეს შედარებით განსხვავებული ფორმით ახსენებს აგათია სქოლასტიკოსიც – „ტიბელეოსის ციხე, რომელიც მისიმიელთა და აფსილთა ქვეყნების საზღვარზეა და მათ ჰყოფს“.¹⁶

წებელდის აღმოსავლეთით კოდორის ხეობაში (დალი) ჯერ სვანებს (მისიმიელებს) უცხოვრიათ, შემდეგ აფხაზებს საუკუნეების მანძილზე დალი-წებელდის მფლობელები სვანი მარუშიანები იყვნენ, შემდეგ აფხაზი მარუშანიები.

ძველი დროიდან აფშილები ლაზების მორჩილნი და „წიბი-

¹³ **კ. ოკუჯავა**. კელასურის ზღუდე. – „საისტორიო ძიებანი“, წელიწდეული, II. თბ., 1999, გვ. 77.

¹⁴ **პ. ინგოროყვა**. გიორგი მერჩულე, გვ. 155.

¹⁵ *პროკოპი კესარიელი*. – *გეორგიკა*. ტ. I. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტება დაურთო **სიმონ ყაუხჩიშვილმა**. ტფ., 1934, გვ. 191.

¹⁶ აგათია სქოლასტიკოსი. – *გეორგიკა*. ტ. III. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტება დაურთო **სიმონ ყაუხჩიშვილმა**. ტფ., 1936, გვ. 16.

ლონში“ ლაზების მეციხოვნეები იყვნენ. მოვიყვანთ ერთ ცნობილ, საინტერესო ფაქტს წებელდის წარსულიდან. ეგრისის მეფის გუბაზის ერთ-ერთი დიდი მოხელე, სახელად ტერდეტი, რომელიც უკმაყოფილო დიდებულთა რიცხვს ეკუთვნოდა, განუდგა მეფეს, ღალატით გადასცა სპარსელებს აფშილეთის ციხე წიბელი (წებელდა). სპარსთა წინამძღოლი იმდენად გაკადნიერდა, რომ მონღომა ციხისთავის, ტომით აფშილის ცოლის გაუპატიურება. ქალის ღირსებას ხალხი ძვირად აფასებდა და აფშილებმა ამოჟლიტეს წიბელის ციხეში შესული სპარსელები¹⁷.

მდებარეობდა რა ჩრდილოეთ კავკასიიდან მარუხის უღელტეხილით მიმავალ გზაზე, წებელის სიმაგრე იცავდა ბარს მთიელთა შემოსევისაგან. XVს. მეორე ნახევარში ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ დაღ-წებელში ფეხი მოიკიდეს თავადმა მარშანიებმა, რომლებიც მალე გახდნენ შარვაშიძეებისაგან დამოუკიდებელი. ისინი გამუდმებით ესხმოდნენ დაბლობში მცხოვრებ მეზობლებს, იტაცებდნენ ადამიანებს, საქონელს და ჩრდილოეთ კავკასიაში ერეკებოდნენ, სადაც ყიდდნენ ან უბრალო ნივთებზე ცვლიდნენ. ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი (1611-1657) იძულებული შეიქნა, გაემგრებინა მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირი და მთის გადმოსასვლელები, რათა სამთავრო წებელისა და დალის მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმებისაგან დაეცვა. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს თავდასხმები უფრო გახშირდა, რის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. თუ რამდენად შემზარავი ყოფილა ოდიშისათვის წებელის ხსოვნა იქიდან ჩანს, რომ დღემდე ხალხში შემორჩენილია წყევლა „ნეტა წებელში დაგაგლოვო“.

წებელაში გრაფინია პ. უვაროვასა და დ. ბაქრაძის მოგზაურობებმა, აგრეთვე, XX საუკუნის 80-იან წლებში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინეს საკულტო და საერო დანიშნულების ნაგებობები. აქ აღმოჩნდა არა ერთი ქრისტიანული ტაძარი, რომელთა ნანგრევებში აღმოჩენილია ქართული ლაპიდარული და ჭედური წარწერების შესანიშნავი ნიმუშები. აქვე ნაპოვია ქართული მონეტების საგანძური. მონეტები,

¹⁷ პროკოპი კესარიელი, გვ. 162-164.

ნუმიზმატთა აზრით, გიორგი III-ის ეპოქას ეკუთვნის¹⁸.

ქართული წარწერების შინაარსის მიხედვით შუა საუკუნეების წებელდა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი იყო, როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით.

საინტერესოა მისიმიანეთის ერთ-ერთი ძველი დასახლებული პუნქტის ჩხალთას ისტორია. VI საუკუნის ავტორს, აგათია სქოლასტიკოსს მოხსენიებული აქვს მისიმიანეთის მხარის მთავარი ციხე ძახარი, ანუ ჩახარი, რომელსაც მეტსახელად „რკინისას“ ეძახდნენ. ეს ისტორიული ციხე-სიმაგრე, რომელსაც ამჟამად ჩხალთა ეწოდება, მდებარეობს ზემო კოდორის ხეობაში და კეტავს ქლუხორისა და მარუხის უღელტეხილებსაკენ მიმავალ გზებს. აქ დღემდე შემონახულია ძველი ციხის ნანგრევები. ჩხალთის მიდამოებში რკინის მადნები მოიპოვება. სწორედ ამიტომ დაერქვა მას „რკინის“ ციხე. როგორც პ. ინგოროყვა აღნიშნავს, ამავე სახელწოდების დასახლებებს ვხვდებით იმერეთში: ჩხარი, საჩხერე, ჩიხორი, რაც ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის¹⁹.

კლავდიოს პტოლემეაიოსის „გეოგრაფიაში“ მდინარე კორახის ხეობაში დასახლებულია პუნქტი ნაანა, რომლის სახელთან, ჩანს, კავშირი აქვს სახელწოდებას ნაა. ბოლოკიდური „ნა“, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივია ქართულ გეოგრაფიულ სახელებში, მაგალითად, ალაპანა, ნოკორნა, ასკანა და სხვ.²⁰

სოფელი ფშია, ანუ ფშა XVII საუკუნის დასაწყისში მოიხსენიება აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდ იადგარში. ის აგრეთვე აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის რუკაზე. ეს სოფელი მდებარეობს მდინარეების სქურჩას და ლაგუაშის სათავეებში. პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ „ფშა“, „ფშანი“ ქართულია და დასახლება ქართული წარმოშობისაა²¹. სულხან-საბას განმარტებით: „ფშა – მდინარისაგან წყარო, მუნვე ახლოს გამოდენილი წყალია“.²² სოფელი ფშაფი არის სახელწოდება მდინარისა და სოფლისა,

¹⁸ М. М. Гунба. Новые памятники цебелдинской культуры. Тб., 1978.

¹⁹ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 158-159.

²⁰ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 157.

²¹ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 185.

²² ს.-ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II. თბ., 1993, გვ. 207.

იმავე შუა სოფლის მხარეში, დრანდის სექტორში²³.

კოდორი თავდაპირველად დაბის სახელწოდება ყოფილა და აქედან დარქმევია შემდეგ ეს სახელი მდინარეს. დაბა კოდორი „სკოტორის“ ფორმით მოიხსენიება ანასტასი აპოქრისიარის წერილში²⁴. ამ დოკუმენტში დასახელებული დაბა კოდორი მდებარეობდა აფსილეთში, იმ სექტორში, სადაც აფსილეთის მხარე ადგება მდინარე კოდორს, ე. ი. წებელდის აღმოსავლეთით. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „გარნა მდინარე კოდორი დრანდამდის დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე კავკასიიდან, და დრანდიდამ ზღუამდე დის ჩდილოდამ სამკრით. მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელიც არს დრანდას ზეით, ამ წყალ ზედ, მთაში“²⁵. მდინარე კოდორი აფხაზეთში ყველაზე დიდი მდინარეა. მისი სიგრძე 110 კილომეტრია. მას ადრე ჰენისწყალი ეწოდებოდა, რის საფუძველზე კოლხურ ტომს ჰენიოხებს უკავშირებენ. კლავდიოს პტოლემეაიოსი კოდორს კოლხურ ტომს – კორაქსებს უკავშირებს. აფხაზები კოდორს კუდრის უწოდებენ, რადგან ხმოვანი „ო“ აფხაზურში არ არის.

სახელწოდებაში კოდორი ფუძე-სიტყვაა კოდი, კოდა. როგორც პ. ინგოროყვა აღნიშნავს, ეს სახელწოდება გვხვდება არა მარტო აფხაზეთში, არამედ შიდა საქართველოში, სამეგრელოსა და იმერეთის საზღვარზე (სოფ. კოდორი აბაშის რაიონში). კოდი გვხვდება ქართულში, კოდის წყარო – სახელი სამი სხვადასხვა სოფლისა ქართლში²⁶.

ასეთია, მოკლედ, ჩვენი ისტორიულ-მხარეთმცოდნეობითი დაკვირვებები გულრიფშის რაიონის დასახლებულ პუნქტებზე. განხილული მასალიდან შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ რაიონის ეთნო-ენობრივი იერ-სახე წარსულში ძირითადად ქართული იყო.

²³ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 173.

²⁴ თეოდოსი განგრელი. – გეორგიკა. ტ. IV, ნაკვ. I. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტება დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ., 1941, გვ. 52.

²⁵ ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 781.

²⁶ პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე, გვ. 156.

Б. Е. КВАРАЦХЕЛИЯ

**ОБ ИСТОРИЧЕСКОМ ПРОШЛОМ
ГУЛЬРИПШСКОГО РАЙОНА**

Статья представляет собой историко-источниковедческое наблюдение. В ней отражено историческое прошлое самого Гульрипши, а также отдельных населенных пунктов современного Гульрипшского района: Дранды, Цебельды, Кодори, Пшапи, Наа и др. Отмечено, что этно-языковой облик Гульрипшского района в прошлом был явно грузинским.

მ ს ო ზ ლ ი ო ი ს ტ ო რ ი ა

კახაბერ შიშია

კოლხეთი რომის იმპერიის პროვინციულ სისტემაში

ძვ.წ. II ნახევარში მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე მძლავრი პოლიტიკური ძვრების შედეგად, რომელიც მოჰყვა პონტო-რომის დაპირისპირებას, მითრიდატე VI ევპატორის (ძვ.წ. 120-63წწ.) და შემდეგ რომაელთა დაპყრობებს აზიაში, კოლხეთმა დიდი ხნით დაკარგა დამოუკიდებლობა. იგი ჯერ მითრიდატეს ვრცელი სამეფოს შემადგენლობაში იქნა ჩართული, ხოლო ძვ.წ. 65წ. პომპეუსის მიერ პონტოს სამეფოს საბოლოოდ განადგურების შემდეგ, რომის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა. მაგრამ რომაელთა კოლხეთში ლაშქრობას არ მოჰყვლია ამ ქვეყნის უშუალოდ რომის პროვინციულ სისტემაში ჩართვა. გარკვეული დროის მანძილზე კოლხეთს რომაელთა მიერ დანიშნული მმართველი განაგებდა, ხოლო ძვ.წ. 35-33წწ. იგი შეეყვანილ იქნა რომის მიერ აღდგენილი ვასალური სამეფოს – პოლემონიდური პონტოს შემადგენლობაში, რის შემდეგაც ხანგრძლივი დროის მანძილზე კოლხეთი პონტოს განუყოფელი ნაწილი იყო და მისი დამოკიდებულება რომზე ამ სამეფოს მეშვეობით ხორციელდებოდა¹.

კოლხეთის პოლიტიკური სტატუსის ცვლილება და მისი რომის პროვინციულ სისტემაში ჩართვა დაკავშირებული იყო იმპერატორ ნერონის (54-68წწ.) აღმოსავლურ პოლიტიკასთან. ახ.წ.

¹ იხ. კ. ფიფია. კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიიდან (ძვ.წ. I საუკუნე). – „საისტორიო ძიებანი“, I. თბ., 1998, გვ. 23-28; კ. ფიფია. დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა რომთან ახ.წ. I საუკუნეში. – „საისტორიო ძიებანი“, II. თბ., 1999, გვ. 8-18.

63წ. ნერონმა, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, გააუქმა პოლემონიდური პონტოს სამეფო². მისი ტერიტორია, კოლხეთთან ერთად, გალატიის პროვინციას შეუერთეს³. ახალი პროვინციის სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრი გახდა ქ. ტრაპეზუნტი. აქვე იყო საზღვაო ფლოტის ბაზა⁴. ნერონის ბრძანებით, კოლხეთის სანაპირო პუნქტებში – აფსაროსში, ფასისსა და სებასტოპოლისში განლაგებულ იქნა რომაული სამხედრო ნაწილები⁵. ამდენად, 63წ. კოლხეთი რომის პროვინციული მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა და აქ პოლემონიდთა არცთუ ისე ძლიერი ხელისუფლება უშუალოდ რომაულმა ადმინისტრაციამ შეცვალა.

ნერონის მიერ პონტოს სამეფოს ოკუპაციას ადგილობრივ ძალთა მხრიდან წინააღმდეგობა არ შეხვედრია და მის სიცოცხლეში მეოტიდა-პონტოსპირეთში შენარჩუნებული იყო „3000 ჰოპლიტისა და 40 სამხედრო ხომალდის“⁶ ძალით დამყარებული „რომაული წესრიგი“. თუმცა, პონტოს სამეფოს გაუქმებით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ მოგვიანებით მაინც იჩინა თავი. 69წ. იმპერიაში ვიტელიუსსა და ვესპასიანეს შორის მიმდინარე სამოქალაქო ომის დროს, როგორც კი შესუსტდა რომაელთა საოკუ-

² *Tac.*, Hist., III, 47; *Suet.*, Nero, 18; *SHA*, Vit. Aurel., XXI, 11; *Eutr.*, Brev., VII, 14; **С. Ю. Сапрыкин**. Понтийское царство. М., 1996, გვ. 338; **D. Magie**. Roman Rule in Asia Minor. Vol. I (Text), vol. II (Notes). Princeton, NJ, 1950, ტ. I, გვ. 561-562, ტ. II, გვ. 1417-1418, შენ. 62.

³ **Г. А. Меликишвили**. К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 364; **Н. Ю. Ломоури**. Грузино-римские взаимоотношения. Тб., გვ. 1981, გვ. 209.

⁴ **А. И. Амиранашвили**. Иберия и римская экспансия в Азии. – „*Вестник древней истории*“, 1938, №4(5), გვ. 171; **T. B. Mitford**. Some Inscriptions from the Cappadocian Limes. – *Journal of Roman Studies*, LXIV, 1974, გვ. 163; შდრ. **М. И. Максимова**. Античные города Юго-Восточного Причерноморья. М.-Л., 1956, გვ. 318.

⁵ **თ. თოდუა**. რომაული სამყარო და საქართველოს შავიზღვისპირეთი. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 1995, გვ. 44-47; **კ. ფიფია**. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული გარნიზონების ჩადგომის დროის საკითხისათვის. – სოხუმის უნივერსიტეტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციის *მასალები*. თბ., 1999, გვ. 131-133.

⁶ *Jos. Flav.*, Bell. Jud., II, 366-368.

პაციო ჯარების სიძლიერე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იფეთქა დიდმა ანტირომაულმა აჯანყებამ, რომელსაც სათავეში ედგა პონტოს სამეფო ფლოტის ყოფილი სარდალი ანიკეტი⁷. მიუხედავად იმისა, რომ ანიკეტის აჯანყებას შედარებით ლოკალური ხასიათი ჰქონდა და შემოფარგლული იყო ტრაპეზუნტით⁸, იგი გამოხატავდა საერთოდ აღმოსავლეთ პონტოსპირეთის რომაულ სამფლობელოთა განწყობას და კოლხეთის მდგომარეობასაც ახასიათებდა⁹. მართალია, აჯანყება მარცხით დასრულდა, მაგრამ მან გარკვეული როლი შეასრულა მთლიანად რეგიონის მიმართ იმპერიის პოლიტიკური კურსის შეცვლაში. თუმცა რომი, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა კოლხეთსა და მთლიანად ამიერკავკასიაზე თავისი გავლენის შესუსტებას და იმპერატორი ვესპასიანე (69-79წწ.) თავდაცვის მაღალორგანიზებული სისტემის მეშვეობით ცდილობდა სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გაკონტროლებას რეგიონში. ამ დროიდან აქტიურად დაიწყო ფუნქციონირება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაულმა სასაზღვრო-თავდაცვითმა სისტემამ. გარდა ამისა, 72წ. კოლხეთი შეეყვანილ იქნა ე.წ. „კაპადოკიურ კომპლექსში“, რომელიც შეიქმნა პროვინციების – გალატიისა და კაპადოკიის გაერთიანებით¹⁰. „კაპადოკიური კომპლექსის“ შექმნის ძირითადი მიზანი იყო რომის აღმოსავლური საზღვრების თავდაცვისუნარიანობის ამაღლება. თუმცა, ამ ახალ ადმინისტრაციულ ერთეულს დიდხანს არ უარსებია და დომიციანეს (81-96წწ.) დროს კოლხეთი კვლავ გახდა რომის პროვინციალური პოლიტიკის კიდევ ერთი ცვალებადობის ობიექტი. დომიციანეს, როგორც ჩანს, შეეშინდა გაერთიანებული პონტო-კაპადოკიის პროვინციის ერთი მმართველისათვის გადაცემა და მისი ბრძანებით „კაპადოკიური კომპლექსი“ კვლავ გალატი-

⁷ *Тас., Hist.*, III, 47-48.

⁸ **Н. Ю. Ломоури.** Восточное Причерноморье и Рим в I в. н.э. – *„Историко-филологические разыскания“*, I. Тб., 1980, გვ. 143-145.

⁹ **Б. ლომოური.** ქართული პოლიტიკური სამყარო საერთაშორისო არენაზე ძვ.წ. I და ახ.წ. II საუკუნეებში. – *„ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები“*, ნაწ. I. თბ., 1998, გვ. 61; **კ. ფიფია.** დასავლეთ საქართველოს..., გვ. 22.

¹⁰ **О. В. Кудрявцев.** Провинция Каппадокия в системе римской восточной политики (17-72). – *„Вестник древней истории“*, 1955, №2, გვ. 70-71.

სა და კაპადოკიის პროვინციებად დაიშალა¹¹. კოლხეთი კაპადოკიის პროვინციის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი¹².

ამიერიდან კოლხეთი საკმაოდ ხანგრძლივი დროით (დაახლ. 50 წელი) უშუალოდ რომაულ ადმინისტრაციას დაემორჩილა. ჩვენ არავითარი მონაცემი არ გავგაჩნია რომის პროვინციალურ სისტემაში ჩართვის შემდეგ კოლხეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და ადგილზე რომაული მმართველობის მექანიზმების შესახებ, მაგრამ კოლხეთის ადგილობრივი, ისტორიულად ჩამოყალიბებული რეალების, რომის საერთო-პროვინციალური პოლიტიკისა და პროვინციების მოსახლეობის მართვის რომაული პრაქტიკის გათვალისწინებით, შესაძლებლად მიგვაჩნია გარკვეული ჰიპოთეტური მოსაზრების გამოთქმა.

როგორც ცნობილია, კოლხეთის სამეფო ჩამოყალიბების დროიდანვე მრავალტომიანი ქვეყანა იყო და მის შემადგენლობაში შემავალი ცალკეული ტომები ყოველთვის ინარჩუნებდნენ გარკვეულ დამოუკიდებლობას. ერთიანი კოლხეთის სამეფოს არსებობის პერიოდში ეს ცალკეული ტერიტორიულ-ტომობრივი ჯგუფები თანდათან ჩამოყალიბდნენ ადმინისტრაციულ ერთეულებად, ე.წ. „სკეპტუხიებად“.¹³ ეს „სკეპტუხიები“, წარმოადგენდნენ რა „ჯერ კიდევ კლასობრივი საზოგადოების წინა ხანაში არსებულ სატომო ორგანიზაციათა საფუძველზე წარმოქმნილ ადმინისტრაციულ ერთეულებს“,¹⁴ აერთიანებდნენ კოლხეთის სამეფოში შემავალ ცალკეულ ტერიტორიულ-ეთნიკურ ჯგუფებს და ყოველთვის იჩენდნენ ადმინისტრაციული ერთეულიდან ცალკე სამთავროდ გადაქცევის ტენდენციას¹⁵.

¹¹ „კაპადოკიური კომპლექსის“ შესახებ დაწვრ. იხ.: **კ. ფიფია**. დასავლეთ საქართველოს..., გვ. 22-24; **О. В. Кудрявцев**. Провинция Каппадокия..., გვ. 69-71.

¹² **გ. მელიქიშვილი**. საქართველო ახ.წ. I-III საუკუნეებში. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. I. თბ., 1970, გვ. 538; **კ. ფიფია**. დასავლეთ საქართველოს..., გვ. 24.

¹³ **მ. ინაძე**. კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიათა საკითხისათვის. – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის *მოამბე*, ტ. XXVI, №6, 1961, გვ. 785-789.

¹⁴ **მ. ინაძე**. კოლხეთის სამეფოს..., გვ. 788.

¹⁵ **მ. ინაძე**. კოლხეთის სამეფოს..., გვ. 789.

ძვ.წ. IX კოლხეთში მომხდარი პოლიტიკური კატაკლიზმების, კოლხეთის სამეფოს დაცემისა და მისი ტერიტორიის ჯერ მითრიდატე VI-ის ვრცელი სამეფოს შემადგენლობაში მოქცევის, შემდეგ კი რომაელების მიერ კოლხეთის დაპყრობის შემდეგ, სკეპტუხთა ეს ტენდენციები შეიზღუდა¹⁶. ჩვენ არ გავგანხივებთ კონკრეტული ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი იყო კოლხეთის საშინაო, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის სისტემა, მისი ადგილობრივი მმართველობის ორგანიზაცია მითრიდატე ევპატორის სახელმწიფოსა და რომაელთა ვასალური პოლემონის პონტოს სამეფოს შემადგენლობაში, მაგრამ სავარაუდოა, რომ მრავალტომიან კოლხეთში პონტოს მმართველებს არ შეეძლოთ, უარი ეთქვათ ტერიტორიულ-ტომობრივ ერთეულებზე და, როგორც ფიქრობენ, კოლხეთში კვლავ შენარჩუნებულ იქნა ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფა ტრადიციულ „სკეპტუხიებად“.¹⁷ პოლემონიდთა მმართველობის დროს „სკეპტუხები“ კვლავ აგრძელებდნენ ბრძოლას დამოუკიდებლობისა და მათ გამგებლობაში მყოფი ადმინისტრაციული ერთეულების ცალკე სამთავროდ გადაქცევისათვის, მაგრამ პოლემონიდები მეტნაკლებად ახერხებდნენ „სკეპტუხთა“ ამ მისწრაფებების ალაგმვას. ნკწ. ნერონის მიერ პონტოს სამეფოს გაუქმების შემდეგ, რა თქმა უნდა, გაუქმდა პოლემონიდთა მმართველობის აპარატი პერიფერიებშიც. პონტოელთა ხელისუფლება აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში უშუალოდ რომაულმა ადმინისტრაციამ შეცვალა. უნდა ვივარაუდოთ, რომ რომის მმართველი წრეები კოლხეთშიც ისეთივე ღონისძიებებს გაატარებდნენ, როგორსაც პროვინციულ სისტემაში ჩართულ სხვა ქვეყნებში.

გლობალური საგარეო ექსპანსიის, სხვადასხვა ისტორიული წარსულის, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მქონე ქვეყნების დაპყრობის შედეგად შექმნილ რომის იმპერიას ძალზე რთული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურა ჰქონდა. რომაელები დაპყრობილ ქვეყნებში თავდაპირველად ანგარიშს უწევდნენ ადგილობრივ ტრადიციებს, ადამიანებს, ეყრდნობოდნენ ადგილობრივ კანონებსა და მმართველობის ორგანი-

¹⁶ **Б. Ломоносов**. *Евгониის სამეფოს ისტორია*. თბ., 1968, გვ. 22.

¹⁷ **Т. Т. Тогуа**. *Колхида в составе Понтийского царства*. Тб., 1990, გვ. 81.

ზაცის¹⁸ და მეტნაკლებად ითვალისწინებდნენ კონკრეტული ქვეყნის ისტორიული განვითარების დონეს. როგორც ცნობილია, რომაული პროვინციების შემადგენლობაში შედიოდა არა მარტო თვითმმართველობის მქონე ქალაქები, მათთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებით, არამედ ცალკეულ ტომთა გაერთიანებებიც¹⁹. ტომთა ეს გაერთიანებები რომაული სამხედრო ნაწილების კონტროლქვეშ იმყოფებოდა და ემორჩილებოდა მათ ტერიტორიაზე მყოფი საოკუპაციო სამხედრო შენაერთის მეთაურებს – პრეფექტებს, რომლებიც ტომთა გაერთიანებების უზენაეს ხელისუფლად ითვლებოდნენ²⁰. მაგალითად, პროვინცია მეზიის შექმნის დროს, რომაელებმა, მხედველობაში მიიღეს რა ქვეყნის ისტორიული განვითარების შედეგად შექმნილი მდგომარეობა, პროვინციული სისტემის ფარგლებში შეინარჩუნეს ადგილობრივი სატომო ორგანიზაციები მათივე ბელადების მეთაურობით, რომელთაც ადმინისტრატორებად დაუნიშნეს უახლოესი რომაული სამხედრო ნაწილების მეთაურები, პრეფექტები (*praefectus civitatis*).²¹ *Praefectus civitatis* იყო არა მარტო სამხედრო, არამედ ადმინისტრაციული თანამდებობა. ასე რომ, ერთ პრეფექტურაში გაერთიანებული სხვადასხვა ტომების უზენაეს ხელისუფლად რომაული ჯარის ოფიცრები ითვლებოდნენ²². ასევე იყო სხვა პროვინციებშიც – დალმაციაში, პანონიაში, აფრიკაში და ა.შ.²³ რომის სამხედრო ხელისუფლებას არ ეკისრებოდა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ პირდაპირი ადმინისტრაციული მოვალეობების შესრულება²⁴.

¹⁸ **F. De Martino.** Storia della costituzione Romana. II. Napoli, 1958, გვ. 298; **А. Б. Ранович.** Восточные провинции Римской империи I-III вв. М.-Л., 1949, გვ. 71.

¹⁹ **Н. А. Машкин.** История древнего Рима. Л., 1948, გვ. 463; *История древнего Рима.* Под редакцией **В. И. Кузищина.** М., 1981, გვ. 230-233.

²⁰ **Т. Д. Златковская.** Мёзия в I и II веках н.э. М., 1951, გვ. 46; **Ю. К. Колосовская.** Паннония в I-III веках. М., 1973, გვ. 61.

²¹ **Т. Д. Златковская.** Мёзия..., გვ. 46.

²² **Т. Д. Златковская.** Мёзия..., გვ. 46.

²³ **Т. Д. Златковская.** Мёзия..., გვ. 46, შენ. 2.

²⁴ **М. С. Садовская.** Романизация провинции Британии (I-II вв. н.э.). – *Ученые записки Московского государственного педагогического института имени В. И. Ленина*, №153, 1960, გვ. 77; **М. И. Решина.** Происхождение и расселение Фризов. – сб. „*Романия и Барбария*“. М., 1989, გვ. 135.

ამ ფუნქციებს ტომთა თუ თემთა გაერთიანებების წარჩინებული წარმომადგენლები ასრულებდნენ, რომლებიც პანონიის წარწერებში „principes“-ად ანუ უზუცესებად იხსენიებიან²⁵. სწორედ მათ ევალებოდათ თავიანთ თანატომელებთან უშუალო კონტაქტი, გადასახადების აკრეფა და რომაული დამხმარე ჯარის ნაწილებში კონტინგენტის გაწვევის ორგანიზება²⁶. ერთი სიტყვით, რომაული სამხედრო ნაწილების მეთაურთა მიერ ზურგმომაგრებული და მათზე დაქვემდებარებული „უზუცესები“ თავიანთი თანამემამულეებისათვის იყვნენ რომის ხელისუფლების პირდაპირი წარმომადგენლები.

კიდევ უფრო რთული იყო რომის აღმოსავლური პროვინციების პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტრუქტურა. თითქმის ყველა აღმოსავლური პროვინცია შექმნილი იყო ადრე დამოუკიდებელი სამეფოების ბაზაზე, სადაც ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით ძლიერი იყო ადგილობრივი, ძველადმოსავლური მემკვიდრეობისა და ელინური ტრადიციების სინთეზი, რის გამოც აქ ერთმანეთის გვერდით არსებობდა – ელინისტური ქალაქები, ადგილობრივი ტიპის ძველადმოსავლური ტრადიციების მატარებელი საქალაქო ცენტრები, რომაელთა მიერ დაარსებული კოლონიები და მუნიციპალიტეტები. გარდა ამისა, ყველა პროვინციის შემადგენლობაში შედიოდა ავტონომიური სატადრო ტერიტორიები, ტომთა გაერთიანებები, ცალკეული პოლიტიკური ერთეულები – სატრაპიები და პატარა სამეფოებიც კი²⁷.

ასეთი იყო რომაული პროვინციის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური სტრუქტურა. ჩვენ, როგორც აღვნიშნეთ, არ გაგვაჩნია პირდაპირი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი იყო კოლხეთის ადმინისტრაციული დაყოფა პოლემონიდების სამეფოს გაუქმების შემდეგ, მაგრამ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელი საფიქრებელია, რომ რომის ხელისუფალთ გაუქმებინათ კოლხეთის ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები, „სკეპტუხიები“. როგორც

²⁵ Ю. К. Колосовская. Паннония., გვ. 61.

²⁶ Ю. К. Колосовская. Паннония., გვ. 61.

²⁷ *История древнего Рима*, под редакцией В. И. Кузищина, გვ. 233.

ვნახეთ, რომის მმართველი წრეები პროვინციების ორგანიზებისას ითვალისწინებდნენ ადგილობრივ ისტორიულ-პოლიტიკურ მდგომარეობას, თანაც კოლხეთში რომაულ ადმინისტრაციას დახვდა მისთვის ძალზე ხელსაყრელი ვითარება. დასავლეთის პროვინციების ჩამორჩენილი, განვითარების დაბალ დონეზე მყოფი ტომებისა და მათი ბელადების ნაცვლად, რომს აქ დახვდა სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული მართვის გამოცდილების მქონე წვრილ-წვრილი ტომობრივი ერთეულები, რომელთა მმართველებს – „სკეპტუხებს“, რომაული სამხედრო ნაწილების მეთაურებისა თუ პრეფექტების ხელმძღვანელობით, შეეძლოთ შეენარჩუნებინათ რომის გავლენის სტაბილურობა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. კოლხეთის ცალკეულ „სკეპტუხიათა“ მეთაურებისა და აქ დისლოცირებული რომაული გარნიზონების მჭიდრო კავშირი იყო სწორედ ის ნიადაგი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობის მორჩილების უზრუნველსაყოფად უნდა დაყრდნობოდა ტრაპეზუნტის (ახლადშექმნილი პროვინციის ცენტრი) რომაული ადმინისტრაცია.

ამრიგად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლე ტომებისა და მათი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზაციის – „სკეპტუხების“ უზენაეს ხელისუფლად, რომის პოლიტიკის ადგილზე გამტარებლად ითვლებოდნენ ზღვისპირა ზოლში დისლოცირებული რომაული გარნიზონების მეთაურები. მაგ., აფსაროსის დამხმარე შენაერთების უფროსის (praepositus) კონტროლქვეშ იმყოფებოდა ამ ციხე-ქალაქის სიანლოვეს თუ მისგან მოშორებით მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობა²⁸. რადგანაც რომაული გარნიზონები კოლხეთის ტერიტორიაზე II ს. შეუახანებამდე მხოლოდ სამ პუნქტში – აფსაროსში, ფასისსა და დიოსკურიაში იყვნენ დისლოცირებულნი, როგორც ჩანს, გარნიზონების მეთაურებსა თუ სამხედრო პრეფექტებს ერთდროულად რამდენიმე „სკეპტუხის“, რამდენიმე სხვადასხვა ტომის გაკონტროლება ევალებოდათ. მაგ., იმავე აფსაროსის გარნიზონის უფროსს, ალბათ, ევალებოდა ზიდრიტებისა (რომლებზეც ჯერ კიდევ არ ვრცელდებოდა იბერიის გავლენა) და მაკრონ-ჰენიონების მეთვალყურეობა, ფასისის რომაულ გარნიზონს – ლაზებისა და ქვეყნის შიდა რაი-

²⁸ თ. თოდუა. რომაული სამყარო..., გვ. 205.

ონებში არსებული „სკეპტუხების“, ხოლო სებასტოპოლისის კასტელუმს – სანიგების, აბაზგებისა და აფსილების გაკონტროლება. ერთი სამხედრო ნაწილის მეთაურის მიერ რამდენიმე სხვადასხვა ტომის გაკონტროლების პრაქტიკა ფართოდ იყო გავრცელებული რომის პროვინციებში. მაგ., ღუნაისპირეთის ორი დიდი ტომი – მეზები და ტრებალები ერთი პრეფექტის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ²⁹, ხოლო ნორიკუმის პირველი კოჰორტის პრეფექტი, რომელიც ასევე ღუნაის სანაპიროს იცავდა, ერთდროულად ბოიებისა და აზალების თემთა გაერთიანებებს უწევდა კონტროლს³⁰. როგორც ჩანს, ასე იყო კოლხეთშიც.

რაც შეეხება ადგილობრივი არისტოკრატის ფუნქციებს, ანალოგიებიდან გამომდინარე, მათ მოვალეობად თანამემამულეების რომაულ არმიაში გაწვევის ორგანიზებასა და გადასახადების აკრეფას მიიჩნევენ³¹, რაც, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანი მოსაზრებაა, მხოლოდ მიგვაჩნია, რომ ეს ფუნქციები და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები, პირველ რიგში, „სკეპტუხების“ კომპეტენციას შეადგენდა.

ასე რომ, რომაელთა უშუალო მფლობელობის ქვეშ მოქცეული იყო კოლხეთის მხოლოდ ზღვისპირა ნაწილი, ქვეყნის შუაგულში კი მათ სამხედრო-სტრატეგიული პუნქტები არ გააჩნდათ. ეს რაიონები ადგილობრივი მმართველების ხელში იყო, რომლებიც ანგარიშვალდებულნი იყვნენ რომაული გარნიზონების მეთაურთა წინაშე. მაგრამ რამდენად ეფექტური და მოქნილი იყო რომის სამხედრო ნაწილების მიერ ქვეყნის შიდა რაიონებზე განხორციელებული კონტროლი, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ რომაულმა პროვინციული მმართველობის სისტემამ კოლხეთში, საბოლოო ჯამში, ვერ გაამართლა და ახ.წ. III. დასაწყისში რომი იძულებული გახდა, ეცნო კოლხეთის ცალკეულ ტერიტორიულ-ტომობრივ გაერთიანებათა გარკვეული სუვერენიტეტი.

²⁹ Т. Д. Златковская. Мёзия в I-II веках нашей эры, გვ. 46.

³⁰ А. Dobo. Inscriptiones extra fines Pannoniae da caiegue repartae adres eurun den provinci arum pertinentes. Budapest, 1940, გვ. 238.

³¹ თ. თოდუა. რომაული სამყარო..., გვ. 206.

**КОЛХИДА В ПРОВИНЦИАЛЬНОЙ СИСТЕМЕ
РИМСКОЙ ИМПЕРИИ**

В 63г. н.э. после упразднения Нероном Понтийского царства Полемонидов, Колхида, которая являлась его частью, непосредственно оказалась под провинциальным правлением Рима. В прибрежных пунктах Колхиды – в Апсаре, Фасисе и Себастополисе, были дислоцированы римские гарнизоны. Вначале римляне Колхиду присоединили к провинции Галатия, а 72г. н.э., ее ввели в состав объединенной Галато-Каппадокийской провинции, т. н. „Каппадокийского комплекса“.

Так что, с 63г. Колхида достаточно длительное время входила в провинциальную систему Рима. После упразднения Понтийского царства были ликвидированы органы управления Полемонидов и на перифериях. В Колхиде власть понтийцев непосредственно была заменена римской администрацией. У нас нет никаких сведений, об административно-территориальном устройстве Колхиды и о местном механизме римского управления после включения страны в провинциальную систему. Исходя из практики римской провинциальной политики, которая предусматривала уровень исторического развития конкретной страны, империя вначале считалась с местными законами и традициями и опиралась на органы местного управления. Следовательно, по нашему мнению, в Колхиде было сохранено исторически сложившееся административное деления страны на отдельные племенно-территориальные единицы, т. н. „Скептухий“.

Исходя из аналогов, считаем, что верховной властью скептухийцев являлись командиры (префекты) римских гарнизонов, дислоцированных в прибрежных пунктах Колхиды. Но при этом, префекты не были обязаны иметь прямые контакты с местным населением. Собираение налогов, организация призыва соотечественников в римскую союзническую армию входили в обязанности скептухов.

В конечном итоге, как показали последующие события, система римского провинциального управления в Колхиде, не оправдала себя, и с начала Пв. Рим вынужден признать определенный суверенитет этнополитических единиц Колхиды.

ნოდარ ბერულავა

დასავლეთ ევროპის რაინდთა შვიარაღების ბანვითარება X-XIV საუკუნეებში

საბრძოლო იარაღი მატერიალური კულტურის ის ნაწილია, რომელიც მკვეთრად რეაგირებს გარემომცველ პირობებზე და ზოგადად საზოგადოების მატერიალური კულტურის განვითარების ადეკვატურია. ამ სფეროში ჩამორჩენას მძიმე შედეგები მოაქვს როგორც ცალკეული პირის, ასევე მთელი საზოგადოებისათვის. ეს დებულება მართებულია კაცობრიობის ისტორიის ნებისმიერი პერიოდისათვის. ამ თვალსაზრისით დასავლეთ ევროპის რაინდთა შვიარაღება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. მასში ყველაზე რელიეფურად აისახება ძირითადი ცვლილებები შეტევისა და თავდაცვის საშუალებებში, რომლებსაც სამხედრო საქმის, წარმოებისა და სოციალური ურთიერთობის დონე კარნახობს.

ახ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში დასავლეთ-ქრისტიანული სამყარო, რომელიც მაშინ შედარებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა ანტიკურ ევროპასთან შედარებით, მკვეთრად შემცირებული მოსახლეობით, ფაქტობრივად, ალყაშემორტყმულ სიმაგრეს წარმოადგენდა. აღმოსავლეთიდან მას ავართა და უნგრელთა ურდოები ემუქრებოდა, ჩრდილოეთიდან – ნორმანები, სამხრეთიდან – არაბები, რომლებმაც ძირითადი დარტყმა უფრო ძლიერი ბიზანტიის წინააღმდეგ მიმართეს. ასეთ პირობებში დასავლეთ ევროპაში წინააღმდეგობის საშუალებათა აშკარა დეფიციტი შეიმჩნეოდა, საჭირო იყო მათი კარდინალური გაუმჯობესება. ეს იყო გარდატეხის ხანა, ძველი სამხედრო სისტემა ეფექტურობას კარგავდა, ახალი კი შექმნის სტადიაში იყო. ქვეითი ლაშქრობის ბრძოლისუნარიანობის მზარდი დაცემის პირობებში აქცენტი ფე-

ოდალიზებული დიდკაცობის მძიმე შეიარაღებაზე გაკეთდა¹.

VIII-XI სს. რაინდთა მხედრობის შექმნის ეპოქაა ფრანკთა სამეფოსა და მეზობელ ქვეყნებში. შეიარაღების ხასიათი ადგილობრივი ტრადიციებითა და ვითარების მოთხოვნილებებით იყო განპირობებული. გერმანულ-რომანული ევროპის როგორც ქრისტიანული, ისევე წარმართული (სკანდინავიური) ნაწილის შეიარაღება, უმნიშვნელო ვარიაციებით, ერთი და იმავე ტიპის იყო. სამხრეთ ევროპასა და ბრიტანეთში² ის ალბათ უფრო მსუბუქი იყო, ვიდრე ფრანკებში და, მითუმეტეს, ნორმანებში, მაგრამ მთლიანობაში ჩანს მასიური ფორმებისაკენ მიდრეკილება.

ჩვენ განვიხილავთ რამდენიმე ყველაზე გავრცელებული იარაღის სახეობის ევოლუციას. ერთ-ერთ ძირითად იარაღს შუბი წარმოადგენდა. შუბის პირის ზედა ნაწილში ხშირად დამატებითი წვეტანები იყო. შუბის პირები, როგორც წესი, ან ფოთლისებური ფორმის იყო, მკვეთრი სიმტკიცის ღერძით, ან კიდევ რომბისებური³ (ნახ. II, A-J). ეს ბოლო ფორმა უფრო პოპულარული იყო სკანდინავიაში. ისინი ზოგჯერ იმდენად დიდი ზომისაა, რომ ვარგისია მწენავი დარტყმისთვისაც. XI ს.-დან ნებისმიერი ბრძოლის ძირითადი ნაწილია რაინდთა ჯგუფური ორთაბრძოლა. მისი ძირითადი ილეთია შუბის ტარანისებური დარტყმა, ოდნავ დაშვებულ უხანგზე დაყრდნობით, რაინდისა და ცხენის წონის გამოყენებით. ეს ილეთი დასავლეთ ევროპაში ფართოდ ვრცელდება XI ს. 30-იანი წლებიდან,⁴ მაგრამ ცნობილ „ბაიოს ხალიჩაზეც“ კი, სადაც 1066 წ. ჰასტინგის ბრძოლაა ასახული, რაინდების საკმაოდ დიდი ნაწილი შუბს ძველებურად იჭერს – სანახევროდ გასწორებული ხელით, ილლიისაგან საკმაოდ შორს, რაინდის წონის ეფექტური გამოყენების გარეშე (ნახ. VIII).

ამ დროიდან შუბი მთავარ იარაღად იქცა, მის ძველ ფორმებთან ერთად (რომლებიც XI ს.-ში მხოლოდ კბილანებს კარგა-

¹ Г. Дельбрюк. История военного искусства. Т. 2. Смоленск, 2003, გვ. 13.

² აქ იგულისხმება ანგლო-საქსური სამეფოები. კელტური ბრიტანეთი, რომელიც ცალკეულ სუბკულტურას წარმოადგენდა, ამ სტატიის მიღმა დარჩა.

³ Г. Лебедев. Эпоха викингов в Северной Европе. Л., 1985, გვ. 124.

⁴ А. Кирпичников. Древнерусское оружие. Л., 1971, გვ. 68.

ვენ), ჩნდება ახალი ტიპები. მაგალითად, გრძელი შუბის პირი, კვადრატული განივკვეთით, რომელიც უშუალოდ გადადის შუბის მილში ან 2 შერწყმული პირამიდის მსგავსი ძალიან მოკლე შუბის პირი.

VIII-Xსს. მახვილები ე.წ. „კაროლინგური“ ანუ „სკანდინავიური“ ტიპის სხვადასხვა ვარიანტს მიეკუთვნება. VIIIს. მეორე ნახევარში ეს ტიპი ცვლის ძველ მახვილს – „სპათას“, რომელსაც ჰქონდა ფართო, მაგრამ საკმაოდ თხელი, ბრტყელი ფხა, მოკლე სახელური, სხვადასხვა ფორმის მასიური ტარის ქუდი, აგრეთვე მასიური ვადა⁵. კაროლინგურ მახვილებსაც ჰქონდა ფართო ფხა მომრგვალებული ან ოდნავ წაწვეტებული დაბოლოებით, თუმცა ეს მომრგვალებული დაბოლოება უკვე ილესებოდა მაინც. ფხა გახდა უფრო სქელი და მაგარი, მას ჰქონდა გასწვრივი ღარი. მისი ჩვეულებრივი სიგრძე იყო 75-100სმ. ვადა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ის წარმოადგენდა მარტივ ჯვარეს, ფართო და სწორი იყო, ზოგჯერ ფხისკენ ოდნავ მოღუნული, მასიური, მაგრამ არც თუ გრძელი. ტარი საკმაოდ მოკლე, ჩვეულებრივ ოდნავ გაბრტყელებული. ტარის ქუდი ჩვეულებრივ გაყოფილია ორ ნაწილად: მასიური ჰორიზონტალური ზოდი, სწორკუთხა განივკვეთისა, და 3 ან 5 ვერტიკალური რელიეფური ზოლისაგან შემდგარი დაბოლოება⁶ (ნახ. I, F-K). გვხდება ამ მახვილების არისტოკრატიული ან საზეიმო ეგზემპლარები, მოჩუქურთმებული, ძვირფასი ან ფერადი ლითონით შემოკვერილი სახელურებით, ზოგჯერ ლათინური ან რუნული წარწერებით. აგრეთვე ცნობილია უფრო მკაცრ სტილში შესრულებული, სუფთა უტილიტარული ხასიათის საბრძოლო იარაღი. სკანდინავიაში ზოგჯერ მოიპოვება გამარტივებული ეგზემპლარები ან რბილი რკინისაგან გაკეთებული მახვილები, რომლებსაც ძირითადად სიმბოლური დანიშნულება ჰქონდა – მათი მფლობელების თავისუფალი სტატუსის ჩვენება. ასეთ მახვილებს ხშირად ჩუქნიდნენ გათავისუფლებულ მონებსა და სრულწლოვანების ასაკს მიღწეულ

⁵ Д. М. Вильсон. Англосаксы, покорители кельтской Британии. М., 2004, გვ. 122.

⁶ Д. Авдусин. Археология СССР. М., 1980, გვ. 159.

ყმაწვილებს. აქვე ამზადებდნენ იარაღს მაღალხარისხიანი ლითონისაგან, რომელიც ხარისხით დამასკოს ფოლადსაც ედრებოდა.

იარაღის მესამე გავრცელებული სახეობა იყო ცული. VIII-X სს. ჭარბობდა მისი 2 სახეობის ქვეტიპები: კონტინენტურ ევროპაში დომინირებს ე.წ. „მოტეხილტანიანი“ ცულები, რომელთა კორპუსებს სხვადასხვა კუთხით მოტეხილო ფორმა ახასიათებს⁷ (ნახ. IV, D-F), ჩრდილოეთ ევროპაში კი უფრო პოპულარული იყო არქაული გარეგნობის „ფართო ცულის“ ტიპები, რომლებსაც ახასიათებს ყუადან ორივე მხარეზე გაფართოებული პირი (ნახ. IV, G-J). მისი ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი იყო X ს. ვიკინგური სეკირა, ასიმეტრიული ფხით (ნახ. IV, J). XI ს. მეორე მეოთხედში დასავლეთ ევროპაში ვრცელდება მისგან წარმოშობილი „დანური ცული“ (ნახ. IV, J). ის წაგრძელებულია, იმდენად წვეტიანი, რომ საჩხვლეტად ვარგა, ყუაზე კი ბასრი ჩუგლუგი აქვს. ძველი ვიკინგური სეკირა დარჩა ინგლისში, ყოველ შემთხვევაში, ის კარგად ჩანს „ბაიოს ხალიჩაზე“ (ნახ. VIII). ცულის ეს ტიპები, ბევრ სხვა სახეობასთან ერთად, გამოიყენება მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. XII ს.-დან მათ ყუასა და ტარის წინა ნაწილში ხშირად უმატებენ წვეტიან პირებს და ჩუგლუგებს, ტარი კი ხშირად რკინითაა შემოჭედილი (ნახ. IV, K). თუკი კონტინენტზე მახვილი ითვლებოდა მაღალი რანგის მეომრების იარაღად, ხოლო ცული უბრალო ფეხოსნებში იყო გავრცელებული, სკანდინავიაში ორივე ეს იარაღი თანაბრად გამოიყენებოდა ყველა რანგის მეომრებში. ამიტომაც, როგორც მარტივი გარეგნობის მახვილები, ასევე საზეიმო გარეგნობის ცულეებიც გვხვდება.

დამცავ აღჭურვილობაში ჭარბობს მძიმე იარაღისაგან დასაცავად გათვალისწინებული მასიური ფირფიტებისაგან გაკეთებული აბჯრები. ჯაჭვის პერანგი რეგიონში არაა ფართოდ გავრცელებული. როგორც XIX ს. მკვლევარები თვლიდნენ⁸, ჯაჭვის პერანგს ევროპაში ამზადებდნენ კელტებისა და რომაელების დროიდან, მაგრამ ის იშვიათად იყო იმდენად მტკიცე, რომ პირდაპირი

⁷ Г. Лебедев. Эпоха..., გვ. 125.

⁸ А. Кирпичников. Древнерусское оружие..., გვ. 10-11.

ძლიერი დარტყმისათვის გაედლო, ხოლო გაძლების შემთხვევაში ობიექტს მოტეხილობა ან დაჟეჟილობა მაინც არ ასცდებოდა.

ჯაჭვის პერანგის პოპულარობას არც ქრისტიანული სამყაროს საზღვრებზე (პანონიასა და ესპანეთში) არსებული ვითარება უწყობდა ხელს, მიუხედავად იმისა, რომ აქ ფრანკებს იმ მოწინააღმდეგეებთან ჰქონდათ საქმე, რომლებიც სწორედ ამ აბჯარს ამჯობინებდნენ (ავარებთან, მადიარებთან, არაბებთან). ამ მოწინააღმდეგეებს ფრანკი მხედრები მანევრირებაში ვერ უტოლდებოდნენ, ამიტომ მათი მოძრავი კავალერიის ტაქტიკასა და შეიარაღებას ვერ ბაძავდნენ და მთელ იმედს ძლიერ პირდაპირ იერიშზე ამყარებდნენ. აღმოსავლეთის მომთაბარეთა მძლავრი ჰუნური მშვილდებიც ჯაჭვის პერანგს ადვილად ხვრეტდა. ამ მიზეზების გამო ფრანკები ამ ფრონტებზეც მძიმე შეიარაღებას ამჯობინებდნენ, მხოლოდ ესპანელმა ქრისტიანებმა აიღეს თავისი რაინდობის შექმნისას ნიმუშად არაბთა მძიმე კავალერია, რომელშიც ჯაჭვის პერანგი ყოველთვის იყო გავრცელებული. ევროპაში ადრეულ შუა საუკუნეებში ჭარბობდა საკმაოდ არქაული ტიპის აბჯრები, ძირითადად შემდეგი სახეობებისა:

1. უძველესი ფირფიტოვანი აბჯარი, სადაც ფირფიტები ტყავის ან ტილოს პერანგზე, ერთმანეთის პარალელურად იყო განლაგებული. ფირფიტები ძირითადად ოთხკუთხა ფორმისაა.

2. კერეჭსახოვანი ჯავშანი, რომელსაც ხშირად „ქერცლიანს“ ეძახიან, რადგან ფირფიტები ზემოდან ნაწილობრივ ფარავენ ერთმანეთს, რაც გარეგნულად ჰგავს თევზის კერეჭს. ამ აბჯრის კლასიკური სახე, კერეჭების მომრგვალებული ქვედა ნაპირით, ძველებურად პოპულარული მხოლოდ არაბებთან იყო, სხვაგან კი იშვიათი გახდა⁹. ევროპაში კი ვრცელდება სწორკუთხა ფორმის კერეჭები და აბჯარი გარეგნულად ემსგავსება ფირფიტოვან აბჯარს¹⁰.

3. ლამილარული აბჯარი, რომელზეც ფირფიტები ერთმა-

⁹ Д. Николле, А. МакБрайдт. Армии Мусульманского Востока. VII-XI века. М., 2003, გვ. 46.

¹⁰ А. Кирпичников. Военное дело на Руси в XIII-XV века. Л., 1976, гв. 36-37.

ნეთს უშუალოდ, სარჩულის გარეშე არის მიმაგრებული. შუა საუკუნეებში ჭარბობდა მისი საკმაოდ რთული ფორმები, სადაც ფირფიტები ერთმანეთს ნაწილობრივ ფარავენ. ზოგიერთი ვარიანტი კერეჭსახოვან ჯავშანს ჰგავდა, ხშირად – თავდაყირა გადმობრუნებული კერეჭებით (ნახ. III, D).

4. ტყავის აბჯარი თითქმის მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. მისი უმარტივესი ნაირსახეობა უბრალოდ უხეშ პერანგს წარმოადგენს, მაგრამ გვხვდება უფრო დახვეწილი ვარიანტებიც, რამდენიმე დამცავი ფენით. VIII ს.-დან ჩრდილოეთ ევროპაში ვრცელდება ტყავის ჯავშანი, რომლის ზედა შრე ტყავის ქაძრებისგანაა დაწნული. მაგარი ტყავისაგან გაკეთებული აბჯრის ფირფიტები, რომლებიც ლითონის ფირფიტების ფორმას იმეორებენ, ცნობილია მხოლოდ აღმოსავლეთში¹¹, თუმცა ძვლისგან გაკეთებული ფირფიტები ევროპაშიც გვხვდება.

5. რგოლსახა ჯავშანი, სადაც რგოლები ერთმანეთს კი არ უერთდებოდა, არამედ რბილ სარჩულზე იყო მიმაგრებული, ერთმანეთს მიყოლებით (ნახ. III, A). ძალიან გავრცელდა ევროპაში XI ს.-ში. როგორც ჩანს, სწორედ ეს აბჯარი ძირითადად ასახული „ბაიოს ხალიჩაზე“ (ნახ. VIII).

XII ს. ბოლოს რგოლსახა აბჯრის მეორე გაუმჯობესებული ვარიანტი ვრცელდება, სადაც რგოლები ასხმული იყო მსხვილ მავთულებზე (ნახ. III, B). ამ ვარიანტს ზოგჯერ „ზოლიან აბჯარს“ ეძახიან. რგოლსახა აბჯარი ჯაჭვის პერანგის ნაირსახეობად ითვლებოდა და XIX ს. მეცნიერები მიიჩნევდნენ, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობამდე ევროპაში მხოლოდ ასეთი ჯაჭვის პერანგები არსებობდა¹².

6. ბოლო 3 ტიპის სინთეზის შედეგად შეიძლება წარმოვიდგინოთ სამფენოვანი ჯავშანი, რომელსაც კერეჭის ან რგოლის თითო ჰორიზონტალურ რიგზე ტყავის ზოლი ჰქონდა მიკერილი. საკმაოდ პოპულარული იყო XII-XIII სს.-ში.

დანარჩენი აბჯრებისაგან უნდა გამოვყოთ მუზარადი. ადრე-

¹¹ Д. Николле, А. МакБрайдт. Армии..., გვ. 32, 40.

¹² Энциклопедический словарь Российской империи под ред. Брокгауза. Т. 30. СПб, 1895, გვ. 805-806.

ულ შუა საუკუნეებში ის, როგორც წესი, რკინის ფირფიტებისაგან დამოქლონილი იყო ან რკინის კარკასიან ტყავის ჩაფხუტს წარმოადგენდა. მოგვიანებით ევროპაში ისწავლეს მისი გაკეთება რკინის მთლიანი ფურცლისაგანაც. VIII-IXს.-ში მუზარადს, როგორც წესი, ნახევარსფეროს ფორმა ჰქონდა. უფრო ადრეულ პერიოდში ფრანკთა სამეფოში ზომიერად წაწვეტილი ჩაფხუტიც იყო გავრცელებული, პატარა ბურთულით ან ისრით თავზე (ნახ. V, C-D), მაგრამ ადრეკაროლინგურ ხანაში დომინირებს მომრგვალებული ჩაფხუტი პატარა ფარფლებითა და ვერტიკალური თხემით კეფაზე (ნახ. V, A-B). ცალკეულ ეგზემპლარებზე დეკორატიული დეტალებია, ძირითადად რქებისა და ფრთების სახით. ეს შიდა ევროპის უძველესი ტრადიციაა, მაგრამ აღნიშნულ ეპოქაში ძირითადად მხოლოდ სკანდინავიისათვისაა დამახასიათებელი. ჩაფხუტის კარკასი წარმოადგენს შუბის სალტეს, თავზე რკალისებურად გადაჯვარებული რკინის ზოლებით, რომლებიც ქმნიდნენ კამარის საფუძველს, რომელსაც ემაგრებოდა ტყავისაგან გაკეთებული ან რკინის მოღუნული ფილებისაგან შედგენილი მუზარადის კორპუსი (ნახ. V).

იმ ქვეყნებში, სადაც ცოცხალი იყო კელტური ტრადიციები, მუზარადს ზოგჯერ ემატებოდა კერეკსახოვანი სამხრეული, თუმცა Xს. II ნახევრამდე სამხრეული ევროპაში იშვიათია. უფრო ხშირად ხმარობდნენ სქელი ტილოსგან ნაქსოვ, ლურსმნებით გამაგრებულ ჩაბალახს, რომელიც თავიდან თვითონ ასრულებდა მუზარადის ფუნქციას, მოგვიანებით კი იცმებოდა მუზარადის ან რკინის კაპიუშონის ქვეშ. Xს.-ში ჩნდება ცხვირის დასაცავი ფილები ან რკინის ზოლებისაგან შემდგარი ნახევარნიღები (ნახ. V, G-H). Xს. ბოლოს ცხვირსარიდი, რომელიც ადრეულ ნორმანულ ჩაფხუტებში მხოლოდ ჩანასახის სახით თუ არსებობდა, სრულყოფილ ფორმას იძენს (ნახ. V, J), ხოლო „ბაიოს ხალიჩაზე“ (XIს.) ის უკვე ყველა იქ ასახულ ჩაფხუტზე ჩანს.

ფარები Xს. მეორე ნახევრამდე იყო ძირითადად მრგვალი ფორმის, ამობურცული (ტყავისა) ან უფრო ხშირად ბრტყელი (ხის), თუმცა ზოგჯერ ტყავით დაფარული. მათ ამაგრებდა უმბონი, ხშირად ირგვლივი არშიაც. უმბონისა და არშიის შორის

სივრცეს მთლიანი ლითონის დაფარვა არ ჰქონდა გარდა ცალკეული ბალოების და რკინის ზოლებისა (ნახ. VI, A). სწორედ ფართო დაიწყო X-XI სს.-ში ცვლილებები, რომლის შედეგად შეიქმნა რაინდული შეიარაღების კომპლექსი, რომელმაც უმნიშვნელო ცვლილებებით XIV ს.-მდე იარსება. ფარის ქვედა ნაწილი წაგრძელდა და წაიწვეტა, ზომა კი გაიზარდა ისე, რომ მეომარის მარცხენა მხარეს მთლიანად ფარავდა ცხვირიდან კოჭამდე, ხოლო თუ ის ცხენზე იჯდა, ქუსლამდეც კი (ნახ. VI, B). ამ სიტუაციაში მეომარს ძირითადად მხოლოდ შემხები და ირიბი მჭრელი დარტყმები ემუქრებოდა, რომლებისაგან ჯაჭვის პერანგი კარგად იცავდა, ამავე დროს ეს ძალიან მოხერხებული და მსუბუქი აბჯარი იყო. ამ დროიდან ჯაჭვის პერანგი მთელს ევროპაში ვრცელდება, უსწრებს სამეფნოვან ჯავშანს, ხოლო აბჯრის ყველა სხვა სახეობა უკეთეს შემთხვევაში დამხმარე ქვეითი ჯარის ატრიბუტად იქცა. მრგვალი მუზარადი წაწვეტებულით იცვლება, რადგან სახის ნაწილი უკვე ფართო იყო დაფარული და თავს ძირითადად ვერტიკალური დარტყმა ემუქრებოდა. ცხვირს და სახეს იცავდა ცხვირსარიდი. კისერსა და მხრებს ფარავდა ჯაჭვის სამხრეული, სავარაუდოდ, უპირატესად ტყავის საფუძველზე ადრე აღწერილი რგოლსახე ჯავშანის ტიპისა (ნახ. V, J). ჯაჭვის პერანგი შედგებოდა რგოლებისაგან, რომელთა ფორმა ყოველთვის არ იყო დახვეწილად მრგვალი. ზოგჯერ რგოლის ერთი მხარე თავისებურად გაფართოებული იყო. ამ ადგილზე რგოლის ორი ბოლო ერთმანეთს უერთდებოდა მოქლონის (ანუ „ლურსმნის“) მეშვეობით. ასეთ დამოქლონილ რგოლებს „ჯავის მარცვლებს“ ეძახდნენ. რგოლები ჰორიზონტალურ რიგებად ლაგდებოდა. ზოგ შემთხვევაში მრგვალი რგოლებისა და მარცვლების რიგები ენაცვლებოდა (ნახ. III, C). ზოგჯერ პერანგი შედგებოდა მხოლოდ „მარცვლების“ რიგებისაგან, სადაც წაწვეტილი მხარეები საპირისპიროდ იყო მიმართული. საუკეთესოდ ითვლებოდა აბჯარი, რომლის ყოველი 4 „მარცვალზე“ ერთი რგოლი მოდიოდა. უბრალო ჯაჭვის პერანგის რგოლები რკინის ფურცლისგან გამომტვრეული იყო, ძვირი ეგზემპლარებისათვის კი თითო რგოლს ცალკე ჭედავდნენ. მაინც ჯაჭვის პერანგის დამზადებაში ევროპელი მჭედ-

ლები შესაძინევად ჩამოუვარდებოდნენ წინააზიელებს, რომლებს-
თვის ჯაჭვის პერანგი დამცავი აღჭურვის ძირითად კომპონენ-
ტად რჩება მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში. ევროპაში ხში-
რად ლითონიც ნაკლები ხარისხის იყო, რის გამოც ევროპელები
უფრო ღიდი და უხეში რგოლების გამოყენებით უმატებდნენ აბ-
ჯარს სიმტკიცეს. გარდა ამისა, მაჰმადიანები ხშირად კაზმავდნენ
ჯაჭვის პერანგებს სპილენძისა და ვერცხლის რგოლებით. ამ მი-
ზეხების გამო ევროპაში ძვირად ფასობდა ესპანური ჯაჭვის პე-
რანგები. ზოგიერთი რუსი მკვლევარი მიუთითებდა, რომ მაღალი
ხარისხით რუსული ჯაჭვის პერანგებიც გამოირჩეოდნენ¹³. თუ გა-
ვითვალისწინებთ რუსეთის შედარებით მჭიდრო კონტაქტებს აღ-
მოსავლეთთან, ეს საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს. კერძოდ, რუსეთ-
ში ნაკლებ სავარაუდოა ზემოთ აღწერილი რგოლსახა ჯავშნის
ფართო გავრცელება ნამდვილი ჯაჭვის პერანგის ნაცვლად, რასაც
ადგილი ჰქონდა ევროპაში, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ
რუსეთი ფოლადის ხარისხით ჩამოუვარდებოდა არა მარტო აზი-
ურ, არამედ ზოგიერთ ევროპულ ქვეყანასაც. ფოლადი აქ მხო-
ლოდ Xს.-დან ჩნდება, ისიც მარტო ქალაქებში.

XIIს.-ში მახვილის ფორმაც იცვლება, ჩნდება „რომანული
მახვილი“. მისი სახელურის ქუდი პარანუსის (სამხრეთის ნიგე-
ზის) ფორმას იძენს. ვადა წვრილია და გრძელი (25სმ-მდე), კვად-
რატული განაკვეთით (ნახ. I, L). მახვილის პირი ზოგჯერ (ძი-
რითადად XIIIს. ბოლოდან), წაწვეტებულ ბოლოს იძენს. კარო-
ლინგური მახვილების მსგავსად, სახელური ზოგჯერ ფერადი ლი-
თონებითა და ჩუქურთმებით, აგრეთვე ქრისტიანული სიმბოლი-
კითა და წარწერებითაა მორთული. ამ დროიდან სახელურის თავი
ზოგჯერ ცარიელი კეთდება, აქ ინახება წმინდა ნაწილები, საყ-
ვარელი ქალის თმის კულულები და სხვა.

XIIს. რაინდთა ფენის საბოლოო შექმნით და რაინდული
საბრძოლო ტაქტიკის ნათლად ჩამოყალიბებით ხასიათდება. ამის
ერთგვარ ასახვას მთელი ევროპისთვის საერთო შეიარაღების კომ-
პლექსის არსებობაც წარმოადგენს. ამ სფეროში ბრიტანეთი და

¹³ Е. Разин. История военного искусства. Т.2. СПб, 1999, გვ. 39.

სკანდინავია Xს. მეორე ნახევრიდან გარკვეულწილად ჩამორჩე-
ბოდნენ¹⁴, მაგრამ ნორმანთა კონტინენტური კოლონიური სამფ-
ლობელოები (ჩრდ. საფრანგეთში, სამხრეთ იტალიაში, რუსეთ-
ში), პირიქით, ამ პროცესების ავანგარდში გვევლინება¹⁵. ამ ას-
პექტში განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთი.

რუსეთის ისტორიოგრაფიის „თავის ტკივილს“ ე.წ. „ნორ-
მანული თეორია“ წარმოადგენდა. აქ ყველა მისი ასპექტის გან-
ხილვის ადგილი არ არის, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ საბ-
ჭოთა ეპოქის ისტორიკოსების უმეტესობა ყურადღებას არ აქ-
ცევდა უამრავ ფაქტს, რომლებიც კერძოდ ადასტურებენ სიტყვა
„რუსი“-ს არასლავურ წარმოშობას, აგრეთვე რუსეთის პირველი
მმართველებისა და მათი შეიარაღებული რაზმების სკანდინავიურ
ეთნიკურ წარმომავლობას. მაგალითად დ. ავდუსინის რედაქციით
გამოსულ სახელმძღვანელოში „Археология СССР“, აქცენტი კეთ-
დება რუსეთსა და სკანდინავიის მატერიალური კულტურის გან-
სხვავებაზე¹⁶, მაგრამ ამ დროს XIIს. რუსეთის მასალებს ადარე-
ბენ გაცილებით უფრო ადრინდელ სკანდინავიურს. ბუნებრივია,
განსხვავება დიდია, რადგან რუს-ნორმანთა პირველი ტაღლის შთა-
მომავალთა სლავიზაცია აქ დასრულდა XIIს. პირველ მეოთხედ-
ში. და საერთოდ, კოლონისტთა და მეტროპოლიის კულტურის
პროგრესირებადი განცალკევება ჩვეულებრივი მოვლენაა. ნორმან-
რუსები კი, ჩვენი აზრით, ამ დროს დიდ როლს ასრულებდნენ
არამარტო აღმოსავლეთ, არამედ დასავლეთ ევროპის შეიარაღე-
ბაშიც, ბიზანტიასა და ხმელთაშუაზღვისპირეთში ნამყოფ ნორ-
მანთა სხვა ჯგუფებთან ერთად.

ცნობილია, რომ ფრანგიზირებული ნორმანები (ანუ „ნორ-
მანდიელები“) სამხედრო საქმეში XIIს.-ში ერთგვარი ფლაგმანის
როლს ასრულებდნენ ევროპაში. მათ სამფლობელოებში მიმდინარე-
ობდა სკანდინავიური და კონტინენტური სამხედრო ტრადიციების
შერწყმის ინტენსიური პროცესი. ვილჰელმ დამპყრობლის ჯარ-
თან შედარებით მისი ინგლისელი მოწინააღმდეგეების ჯარი უკვე

¹⁴ Г. Лебедев. Эпоха..., გვ. 22-23.

¹⁵ У. Черчилль. Рождение Британии. Смоленск, 2002, გვ. 155.

¹⁶ Д. Авдусин. Археология СССР, გვ. 227-229.

„გუმინდელ ღღეს“ წარმოადგენდა, თუმცა აქაც ახალი დროს დარი ჩანს. „ბაიოს ხალიჩაზე“ ასახულ ინგლისელ მეომრებს პრაქტიკულად იგივე შეიარაღება აქვთ, რაც ნორმანებს (ნახ. VIII), მათ მეფეს, ჰაროლდს მცირერიცხოვანი მხედრობაც ჰყავდა, თუმცა იმდენად სუსტი, რომ მისი ქვეით ჯართან შეერთება ამჯობინა¹⁷. ევროპულ შეიარაღებაზე ნორმანთა ძლიერ გავლენაზე წვეტიანი მუზარადების პირობითი დასახელებაც მოწმობს – „ნორმანული მუზარადები“. ჩაფხუტის მსგავსი ფორმები ევროპაში აღრეც გვხვდება, მაგრამ მისი საყოველთაო გავრცელება ალბათ ნორმანებთანაა დაკავშირებული, თანაც, პირველ რიგში, კონტინენტურ „ნორმანდიელებთან“, რომელთანაც ის უფრო გავრცელებული იყო, ვიდრე სკანდინავიაში, სადაც ძველებური მომრგვალო ფორმის ჩაფხუტები ისევ არსებობს, ხოლო ახალი გუმბათოვანი ფორმა მხოლოდ სკანდინავიური სახვითი ხელოვნების ნიმუშებზე გვხვდება¹⁸. ეს ალბათ დანარჩენ ზემოთ აღწერილ სიახლეებსაც ეხება. ამ პროცესებში რუს-ნორმანების როლი საინტერესოდ მიგვაჩნია. ხაზარებისა და ბულგარელების მეშვეობით მათ მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან, სადაც მუზარადის აღნიშნული ფორმა ბრინჯაოს ხანიდანაა გავრცელებული. ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული იყო აგრეთვე დრეკადი ჩაჩქანი (სამხრეული), რომელიც კისერს იცავდა, ჯაჭვის პერანგი, კავალერია კი იყო ნებისმიერი ძლიერი ჯარის ღერძი¹⁹. სვიატოსლავი, შეიძლება, პირველი ნორმანი ბელადი იყო, რომელიც პაჭანიკების, უნგრელებისა და ბულგარელების კავალერიას ასე აქტიურად იყენებდა, რამაც ის ბიზანტიის სერიოზულ მოწინააღმდეგედ აქცია. ერთ-ერთ ბრძოლაში მან თავისი მეომრები

¹⁷ Г. Дельбрюк. История..., გვ. 63.

¹⁸ А. Кирпичников. Древнерусское..., გვ. 24.

¹⁹ არაბთა სახალიფოში ნამდვილი რეგულარული კავალერია VIII ს. მიწურულს ჩამოყალიბდა. აზიაში, ევროპისაგან განსხვავებით მაღალკვალიფიციური ქვეითი ჯარიც ყოველთვის არსებობდა. იყო, მაგალითად, დელეიმიტიების ტომი, რომელიც სულ ქვეითად იბრძოდა, მაგრამ დიდი ჯარის შემადგენლობაში ის, როგორც წესი, მაინც მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა (Д. Николле, А. МакБрайдт. Армии..., გვ. 25-31).

(„დრუჟინნიკები“) ცხენებზე შესვა, თუმცა უშედეგოდ (მანამდე ვიკინგები და აღმოსავლეთ სლავები გადაადგილდებოდნენ ხოლმე ცხენებით, მაგრამ ბრძოლის წინ ყოველთვის ქვეითდებოდნენ). მის მეომრებს, ლევ დიაკონის მონაცემებით, 971 წელს უკვე ჰქონდათ ჯაჭვის პერანგები და გრძელი ფარები²⁰.

ნორმან-რუსები, ცხადია, ევროპელ ნორმანებთან კავშირს არ კარგავდნენ და ზემოთ აღწერილი შეიარაღების სიახლეების საყოველთაო გავრცელებაში მათ არანაკლები წვლილი მიუძღვით, ვიდრე ბიზანტიაში ნამყოფ „ვარანგებს“ (რომლებიც ხშირად სწორედ რუსეთის გავლით მიდიოდნენ ბიზანტიაში).²¹ ერთ ფრანგულ მინიატიურაზე ვიკინგთა ხომალდია ასახული (ნახ. VII). მინიატურა X საუკუნისაა, მაგრამ მასზე წარმოდგენილია შეიარაღების მთელი კომპლექტი, რომელიც უფრო XI საუკუნისთვისაა დამახასიათებელი: ზომიერად წვეტიანი მუზარადები სამხრეულით, ზოგჯერ – ცხვირსარიდითაც, ჯაჭვის პერანგები, გრძელი ფარები. შეიძლება აქ რუს-ნორმანთა ხომალდია ასახული, სკანდინავთა შეიარაღება X საუკუნის ბოლო მეოთხედიამდე მანც უფრო კონსერვატიული უნდა ყოფილიყო. XII ს.-ში, როგორც რუსი, ისევე ფრანგი ნორმანების პროგრესირებადი ასიმილაციის მიუხედავად, მათი შეიარაღება პრაქტიკულად იდენტურია. შემდგომში მათ შორის განსხვავება მატულობს. ბიზანტიასა და ახლო აღმოსავლეთთან მჭიდრო კავშირში მყოფ რუსეთში ძველებურად დომინირებს მოკლესახელოიანი ჯაჭვის პერანგი, გრძელი ფარი, რომელიც მომთაბარეთა ისრებისგან კარგად იცავდა, და წვეტიანი მუზარადები (თუმცა XIII ს. ევროპაში გავრცელებული ფორმების მუზარადებიც გვხვდება). კათოლიკურ ქვეყნებში კი განვითარება თავისებურად მიდის. დღის წესრიგში დგას კიდურების დაცვა, წვეტისებური ფარი სხეულის ნახევარს იცავდა, მაგრამ მარჯვენა ხელ-ფეხი დაუცველი რჩებოდა.

²⁰ *История Льва Диакона Калойского*. – წგნ.: **История Отечества в романах, статьях, документах**. Века VI-X. М., 1986, გვ. 558.

²¹ **В. Г. Васильевский**. Варяго-русская и варяго-английская дружина в Константинополе X-I пол. XII вв. Т. I. СПб, 1908, გვ. 196-210; **З. В. Папаскири**. У истоков грузино-русских взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 29-30, 43-46.

აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში კიდურებს იცავდნენ სპეციალური აბჯრით, ხელნავითა და წვეისაფარით. დასავლეთში კი XIIIს. მიჯნაზე დააგრძელეს ჯაჭვის პერანგის სახელოები, შექმნეს ჯაჭვის შარვალი, ცოტა მოგვიანებით – ხელთათმანი და წინდები. ჯაჭვის სამხრეული კი ჯაჭვის ან კერეჭის კაპიუმონმა – ჰაუბერკმა შეცვალა. მის ქვემოთ იხურავდნენ სქელ ქუდს ან ჩაბალახს, ზემოთ კი – მუზარადს. იყო რამდენიმე მცდელობა თავის მარტო ჰაუბერკით დაცვისა, მაგარმ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. კუნძ. გოტლანდზე აღმოჩენილია თავის ქალები, რომლებიც შუაზე იყო გაჩეხილი ძლიერი დარტყმით ჰაუბერკთან ერთად. ამიტომ უმუზარადო ჰაუბერკი მარტო ქვეით კნეხთებში თუ არსებობდა.

მუზარადის ფორმა XIIIს. დასაწყისში იცვლება. მისი გუმბათი ან „ნივდება“, კვერცხისებური ხდება, ან წინ იკეცება სკვირთური ქუდის მსგავსად (ნახ. V, J-K). ეს კარგ დამცავ ეფექტს იძლეოდა, რადგან მუზარადის კედლები თავის ქალას არ ეხებოდა. ოღნავ მოგვიანებით, XIIIს. მეორე მეოთხედში მუზარადს ემატება უძრავი რკინის ნიღაბი (ჩაჩქანი), რომელიც ნიკაპსაც იცავდა. ამ ცვლილებების მიზეზი ისევ ფარი იყო. აბჯრის დამძიმებამ მისი შემსუბუქების სურვილი გააჩინა. XIIIს. დასაწყისში ფარის ზედა ნაწილი მოჭრილ იქნა. მან მიიღო სამკუთხედის ფორმა და ნიკაპს უკვე არ იცავდა.

მთლიანობაში, გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, თავიდან ევროპელ რაინდთა აბჯარი აღმოსავლეთ ევროპულზე ან წინააზიურზე მსუბუქი იყო და მხოლოდ XIII საუკუნეში გაუტოლდა მათ. აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც დამცავი აღჭურვილობის საფუძველი ჯაჭვის პერანგი იყო. თუმცა დასავლეთში იგი კიდურებსაც ფარავდა, სამაგიეროდ აღმოსავლეთში მას ხშირად უმატებდნენ ფირფიტოვან ან კერეჭიან საჭურველს (რასაც დასავლეთ ევროპაში XIIIს.-მდე თითქმის არ აკეთებდნენ), ხელფეხს კი მკლავსაფარებითა და ხელნავებით იცავდნენ, რომლებიც ჯაჭვის სახელოებზე და წინდებზე მძიმე იყო.

თანდათანობით აბჯარი მძიმდებოდა დასავლეთშიც. ამაში თავისი როლი შეასრულა როგორც სარკინოზთა მაგალითმა, ისე

რაინდულ საბრძოლო იარაღში მომხდარმა ცვლილებებმა. XIIIს.-დან ჯერ იშვიათად, შემდეგ კი უფრო ხშირად გვხვდება მახვილი წაწვეტებული პირით. ზოგჯერ ის პრაქტიკულად იღებს ძალიან წაგრძელებული სამკუთხედის ფორმას, რომისეზური განიკვეთით (ნახ. I, M). მჩეხავი მახვილის მჩხვლეტავი ფუნქციაც ძლიერდება, რომელიც დომონირებულაც კი ხდება შუა საუკუნეების ბოლო ეტაპზე.

XIIIს. II ნახევარში მახვილის სახელურის ქედის ფორმაც იცვლება. ამ დროიდან მრგვალთან მიახლოებული ფორმები ჭარბობს²², თავიდან ძირითადად დისკოსებური, მოგვიანებით კი ბურთულები, „დაწახნაგებული ვაშლები“, ბრტყელი რვაკუთხედები და სხვა. ვადა ძველებურად გრძელი და ვიწროა, ზოგჯერ – ოდნავ გაბრტყელებული და წინ წაწეული ბოლოებით (ნახ. I, N). XIIIს. ბოლოდან სახელური წაგრძელებულია. ჩნდება ე.წ. გოთიკური ანუ „ერთნახევარი ხელის“ მახვილი. სახელურის სიგრძე უტოლდება შემკვეთის გამლილი ხელის გულისა და მუშტის ერთად აღებულ სიგანეს. ამან, მიუხედავად პირის შევიწროებისა, გააძლიერა როგორც მჩეხავი, ისევე მჩხვლეტავი ფუნქცია, გააადვილა რაინდებში პოპულარული ფარიკაობა ორივე ხელით. ფარიკაობის იღეთები უფრო მრავალფეროვანი გახდა, თუმცა ნამდვილი დახვეწილი ფარიკაობა ევროპაში არ არსებობდა XVIს.-მდე, როცა მახვილი დაშნად იქცა. მანამდე დარტყმები იყო არც თუ ხშირი, მაგრამ ძალიან ძლიერი²³. „ერთნახევარი ხელის“ მახვილის სიგრძე იყო 120-150 სმ. ამ მახვილით შეიარაღებული მეომარი ითვლებოდა ძველებური მახვილითა და ფარით შეიარაღებულის ტოლად. თუმცა ახალი მახვილითაც შეიძლებოდა ერთი ხელით მოქმედება, ფართან კომპლექტში, მაგრამ დიდი სიგ-

²² *Большая иллюстрированная энциклопедия древностей*. Прага, 1980, გვ. 430-431.

²³ იმას, რომ ფარიკაობას ევროპაში XVს. მეორე ნახევარში უკვე ჰქონდა სერიოზული წარმატებები, შემდეგი ფაქტი მოწმობს: მოსკოვის მმართველმა ივანე III-მ (1462-1505) ბრძანებით აუკრძალა მოსკოველებს სასამართლო ორთაბრძოლები უცხოელებთან. ამის მიზეზი იყო ცნობილი რუსი მეომრის ორთაბრძოლაში დამარცხება ჩამოსულ ევროპელთან, რომელიც უცნობ იღეთებს ფლობდა.

რძის გამო ეს არც თუ მოსახერხებელი იყო.

ფარი კარგავს ზოგიერთ ფუნქციას. ძირითადად ის სჭირდება ცხენოსანს, მტრის შუბისაგან დასაცავად. ქვეითად კი რაინდები ხშირად ორი ხელით ბრძოლას ამბჯობინებდნენ. ფარი ამ დროს ზურგზე ეკიდათ სპეციალურ ქამარზე. ის შემსუბუქდა, დაკარგა უმბონი და სხვა რკინის საფარი, დაპატარავდა. მის ზედა ნაწილში ზოგჯერ კეთდება სპეციალური ამონაჭერი შუბისთვის (ნახ. VI, D), სამაგიეროდ შესაძლებელი გახდა მისით აქტიური მოქმედება, ფარიკაობა. XIIIს.-დან რაინდის ფარზე ჩვეულებრივ ასახულია ღერბი, თავიდან საგვარეულო ან სიუზერენისა, XIIIს.-დან კი – მისი პირადი²⁴. XIIIს.-ში ფარის ფუნქციების შეზღუდვამ გამოიწვია აბჯრის გაძლიერება. ის გამოწვეული იყო მახვილის შეცვლითა და აღმოსავლეთიდან შემოსული შემდეგი იარაღების გაჩენით:

1. კვერთხი, ანუ გურზი („მორგენშთერნი“) – ლითონის თავიანი, როგორც წესი ქიმიანი კომპალი. აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, სადაც ჭარბობდა მრგვალთავიანი გურზები, დასავლეთში XIIIს.-დან მათ ხშირად წაგრძელებული, ან ცილინდრი-სებური ფორმის თავები ჰქონდა (ნახ. X, A-B). მის ვარიანტს წარმოადგენს კისტენი, სადაც ბირთვი ჯაჭვითაა მიმაგრებული ტარზე (ნახ. X, C-F), 6- ან 8-წვერიანი კვერთხი (ნახ. X, M), აგრეთვე ფლანდრიული გოდენდავი – გურზისა და შუბის ჰიბრიდი (ნახ. X, G). მეომარს ამ ტიპის იარაღისგან დრეკადი ჯაჭვის პერანგი ვერ იცავდა, რადგან მისი ძირითადი მოქმედება იყო არა ჩხვლეტა ან ჭრა, არამედ დარტყმა. გურზის ზოგიერთი ტიპით შეიძლებოდა კაცის მოკვლა სისხლისღვრის გარეშე, რის გამოც ეს იარაღი პოპულარული იყო სასულიერო ფეოდალებში, რომლებიც სისხლის არდაღვრის ფიცს დებდნენ. ასეთი, მაგალითად, იყო ძველებური მრგვალთავიანი გურზი, არც თუ მჭრელი გასწვრივი ზღუდეებით, ზემოთ აღწერილი 6-წვერიანი კვერთხის წინამორბედი (ნახ. X, M).

2. თავი, ანუ წვეტიანი ჩუგლუგი. მისი მოქმედების პრინ-

²⁴ Большая иллюстрированная энциклопедия древностей, გვ. 442.

ციპი იგივე იყო რაც ცულისა, მაგრამ მის წვეტიან წვერს დიდი სახვრეტი ძალა ჰქონდა (ნახ. X, H).

3. არბალეტი – უძლიერესი დაზგური მშვილდი, რომელიც ტილოსავით ხვრეტდა ჯაჭვის პერანგს.

4. ფალმონი, დიდი მჭრელი დანა, ხმლისა და სეკირის ნაჯვარი (ნახ. X J). ზოგჯერ მას ხმარობდნენ ხმალივით, გრძელი ტარის გარეშე.

5. ალუბარდა – შუბის, ცულისა და ჩუგლუნგის ნაჯვარი (ნახ. X, J-L).

აბჯრის გაძლიერება მუხარადით დაიწყო. მისი კეფა ეშვება, გუმბათი კი ბრტყელდება, საპირალი ფართოვდება და სქელდება. ეს ე.წ. „ქოთნისებური“ მუხარადია, ვედროსებური ფორმის, თვალებისა და ჰაერისათვის გაკეთებული ნახვრეტებით. ამ დროს ის არსად ეხება თავს, რადგან არა მარტო ჰაუბერკის ქვეშ არის ტილოს სარჩეული, არამედ მის ზემოდაც დახურულია სქელი ქული (ნახ. IX, A). XIIIს. მეორე მეოთხედში ჯაჭვის პერანგს ამაგრებენ რკინის ფილებით²⁵. არაა გამორიცხული, რომ ესეც აღმოსავლეთიდან იყოს შემოტანილი ჯვაროსნების მიერ, მაგრამ ფორმები საკმაოდ ორიგინალურია. ჩნდება „ბრიგანდინის“ ტიპის აბჯარი, რბილ სარჩულზე მიმაგრებული რკინის ფურცლებისაგან გაკეთებული. ეს იყო ძველი ფირფიტოვანი ჯავშნის იდეისკენ დაბრუნება, მაგრამ ფილები ხშირად უფრო დიდი ზომის იყო, ზოგჯერ ასიმეტრიული, თანაც გამოიყენებოდა (ქვეითი კნებთების გამონაკლისით) ჯაჭვის პერანგთან კომპლექტში. ფილებიც, უმეტეს შემთხვევაში, სარჩულს უმაგრებდა შიგნიდან, გარედან კი მხოლოდ მოქლონების რიგები ჩანდა (ნახ. IX, A-B). ზოგჯერ ამ აბჯარს მოკლე მკერდსაფარის სახე ჰქონდა (ნახ. IX, B), ზოგჯერ კი – გრძელი, უსახელოებო მოსასხამის 4 ჭრილით კალთაზე, თუმცა რკინით გამაგრებული მხოლოდ მისი ზედა ნაწილი იყო (ნახ. IX, A). XIIIს. ბოლოდან თვით ჯაჭვის პერანგის სუსტი ადგილებიც ფილის დამატებითაა გამაგრებული. XIIIს.-ში ვრცელდება სამუხლეები (ნახ. IX, A), ხოლო ამ საუკუნის ბოლოდან

²⁵ Большая иллюстрированная энциклопедия древностей, გვ. 442-444.

– რკინის წინდები, საბეჭურები, სამხრეები, რომელიც ჯაჭვის სახელოებისა და წინდების ზემოთ იცმევა (ნახ. IX, B).

ფარის შემსუბუქების შემდეგ რაინდს ხშირად ერთდროულად ფართა და მახვილით ფარიკაობა უხდებოდა. ბრძოლას მეტი დაკვირვება და ყურადღება სჭირდებოდა. ამიტომ რაინდებმა დროებით უარი თქვეს სახის დაცვაზე. ქოთნისებური მუზარადი XIIIს. ბოლოს მხოლოდ სატურნირო საჭურველად იქცა. ახალ მუზარადს ღია სახე ჰქონდა, კისერსა და ყელს ჯაჭვის ყელსაკიდი იცავდა (ნახ. IX, B). ამ ჩაფხუტის 2 ვარიანტი არსებობდა. ცენტრალურ-ვეროპული ვარიანტი წარმოადგენდა ზომიერად წვეტიან მუზარადს, ოდნავ უკან წაწეული წვეტით. იტალიაში კი ჭარბობდა მეორე ვარიანტი – ოვალური ჩაფხუტი, ცხვირსაფრით²⁶. მაგრამ ღია ადგილების დატოვება დამცავ საჭურველში რაინდებს არ უყვარდათ. მიუხედავად ამისა, ღია ჩაფხუტმა თითქმის მთელი საუკუნე გაძლო. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ კრესის ბრძოლის შემდეგ (1346) რაინდები ხშირად იბრძოდნენ ქვეითად, რამაც დროებით შეამცირა შუბის როლი. მახვილით ბრძოლა კი მეტ დაკვირვებას მოითხოვდა. გამოსავალი XIVს. ბოლო მეოთხედში ნახეს. გავრცელდა მოძრავი ჩაჩქანი საყრდენებზე (თუმცა ის XIIIს.-ში მოიგონეს, მაგრამ მაშინ გავრცელებული მუზარადების ფორმები მის პოპულარობას ხელს არ უწყობდა, ახლა კი შესაძლებელი გახდა დაცული ან ღია სახით ბრძოლა სურვილის მიხედვით).²⁷

ამავე დროს ცხენის აბჯარიც ვითარდება, რომლის იდეა აგრეთვე აღმოსავლეთიდან შემოვიდა. XIIIს. ევროპაში ცხენებს იცავდნენ მზისა და წვიმისაგან ტილოს წამოსასხამით. მაშინვე გაჩნდა უნაგირი-სავარძელი, მაღალი კოტებით. წინა კოტა მხედრის მუცელს იცავდა, ხოლო უკანა კი მას დასაყრდენს აძლევდა შუბის დარტყმის შემთხვევაში. XIIIს.-ში ცხენის წამოსასხამი, ე.წ. „ბარდი“ ჯაჭვის პერანგისა გახდა, თავი კი დაცულ იქნა რკინის ნიღბით. შემდეგში ცხენის აბჯარი, ისევე როგორც კაცი-

²⁶ Большая иллюстрированная энциклопедия древностей, გვ. 442-444.

²⁷ Большая иллюстрированная энциклопедия древностей, გვ. 443.

სა, ფირფიტოვანი ხდება.


ასე რომ, რაინდულ საჭურველში X-XIVსს.-ში ყველა ცვლილება შინაგანი კანონზომიერებით იყო განპირობებული. მისი ერთი ნაწილი მეორის ხარჯზე ძლიერდებოდა, თუმცა XIIIს.-ში მისი საერთო წონის ზრდა ჩანს. XIIIს. და XIVს. პირველი ნახევარი დიდი ექსპერიმენტული მუშაობის დროა. ფარი, რომლითაც XI-XIIIსს.-ში მომხდარი რაინდული აბჯრის პრაქტიკულად ყველა ძირითადი ცვლილება იწყება, XIVს.-დან თანდათანობით კარგავს წამყვანი დამცავი საშუალების როლს. ჯავშნის ევოლუცია კი XIVს.-ში მივიდა მთლიანი რკინის ფურცლისგან გაკეთებულ მკერდსაფარის შექმნამდე, ტყავის ან ტილოს სარჩულზე, რომელსაც ჯაჭვის პერანგის ქვემოთ იცვამდნენ. XIVს. შუა ხნიდან კი მთლიანი ამობურცული რკინის ჯავშანი – კირასა ჯაჭვის პერანგის ზემოთ იცმევა, მაგრამ კაბის ქვეშ. თუ XIVს.-მდე ევროპელი მესაჭურველეები აზიელებთან მიმართებაში ძირითადად ნიჭიერი მოწაფეების როლში გამოდიოდნენ, ახლა მდგომარეობა იცვლება. კირასა წმინდა ევროპული გამოგონებაა, აზიაში ის ევროპის გავლენით თუ ჩნდება და შედარებით მცირე როლს თამაშობს. ევროპაში კი ის XV-XVIIსს.-ში აბჯრის საფუძვლის როლს ასრულებს და სწრაფად ვითარდება, მაგრამ ეს ცალკე თემაა.

Н. Б. БЕРУЛАВА


ЭВОЛЮЦИЯ ВООРУЖЕНИЯ ЗАПАДНО-ЕВРОПЕЙСКИХ РЫЦАРЕЙ В X-XIVВВ.

Интенсивное развитие военной тактики, а также оборонительного и наступательного вооружения в Западной Европе в X-XIвв., приведшее к созданию в XIв. рыцарства в его законченном виде, было результатом как внутреннего развития, так и возросших контактов со странами Востока. Активную роль в этих процессах играли нормандцы и другие христианизированные потомки скандинавских викингов, осевшие в некоторых регионах Европы. Поскольку многие из новинок европейского вооружения XIв. имеют восточное происхождение, а снаряжение норманских рыцарей указанного периода и русских дружинников практически идентично, в статье высказывается мысль о важной роли норманов-, „русов“ (правлящей верхушки Руси скандинавского происхождения) в перевооружении Европы.

В дальнейшем различия в вооружении Западной и Восточной Европы возрастают. В работе показана динамика развития западноевропейского рыцарского вооружения в X-XIVвв., сделана попытка выявления внутренней логики данного процесса.



I. A-E – IV-VIII სს. მახვილ-ხანჯლები
 F-K – კაროლინგურ-სკანდინავიური
 მახვილები (VIII-X სს.)
 L – რომანული მახვილი (XI-XIII სს.)
 II. A-E – V-VIII სს. შუბის პირები
 F-N – VII-X სს. შუბის პირები



III. A-B – რგოლსაზა
 ჯავშნის ვარიანტები
 C – ჯაჭვის პერანგის
 სტრუქტურა
 D – ლამილარული
 ჯავშნის ნაპირი და
 ცალკე ფირფიტა




IV. A-F – ფრანკთა ცულები
 G-I – „ფართო ცულები“
 J – „დანური ცული“
 K – XIII ს. ცული



VIII



V. A-D – ფრანკული ჩაფხუტები (V-IX სს.)
 E-F – VIII-X სს. ვიკინგური ჩაფხუტები
 G-H – X ს. ვიკინგური ჩაფხუტები
 I – XII ს. მუზარადი
 J-K – XIII ს. მუზარადები
 VI. ფარის ფორმების განვითარება IX-XIV
 საუკუნეებში
 VII. ფრანკულ მინიატურაზე ასახული
 ვიკინგთა ზომილი (X ს. დასასრული)
 VIII. „ბაიოს ხალიჩის“ ფრაგმენტები



IX. A - XIIIს. შეიარაღების კომპლექტი
 B - „გოთიკური“ აღჭურვის კომპლექტი შექმნის სტადიაზე (XIII-XIVსს. მიჯნა)



X. XII-XIVსს.-ში შემოსული შეიარაღების ნიმუშები

თენგიზ (მსტატე) ანთელავა

ზომი რამ კაზაკებისა და მათი ჩრდილოეთ კავკასიაში დასახლების შესახებ

რუსეთის აგრესიული კურსი კავკასიის მიმართ, უპირველეს ყოვლისა, მოტივირებული იყო ამ რეგიონის უდიდესი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობით. რუსეთის მიერ კავკასიის წინააღმდეგ წარმოებული ხანგრძლივი კოლონიალური ომი ამ მიზნების განხორციელებას ემსახურებოდა.

ეკონომიკური თვალსაზრისით, კავკასიის დაპყრობა რუსეთის ხელისუფლებას აძლევდა საშუალებას, დაეკმაყოფილებინა თავადაზნაურობის, სავაჭრო-სამრეწველო წრეების, უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებისა და გენერალიტეტის მოთხოვნები. მიტაცებული მიწებისა და წიაღისეული სიმდიდრეების ექსპლუატაცია მათ შემოსავალს განუზომლად ზრდიდა, ხელს უწყობდა რუსული სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის მნიშვნელოვან ზრდას. კავკასიის დაპყრობით რუსეთი დაეპატრონებოდა შავ და კასპიის ზღვაზე გამავალ დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ სატრანსპორტო გზებს, რომლებსაც უდიდესი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ამავე დროს, კავკასიის დაუფლებით რუსეთი აპირებდა ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების მოგვარებას. დაპყრობილ ტერიტორიებზე რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან კაზაკების, უმიწო გლეხების ჩასახლებით, მაღალი რანგის ჩინოვნიკების მიწებით დასაჩუქრებით, ხელისუფლება ფიქრობდა პოლიტიკური წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების დაჩუქურთმებას. რუსეთის ხელისუფლებას სრულებით არ ადელ-

ვება, რომ ამ გეგმის პრაქტიკული განხორციელება ადვილობრივ მოსახლეობას შეუქმნიდა ცხოვრების უძძიმეს პირობებს.

ჩვენ რუსული კოლონიალური პოლიტიკის საბჭოურ შეფასებას არ ვიზიარებთ, მაგრამ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ მოვიყვანთ ფ. ენგელსის სიტყვებს: „Чтобы самодержавно господствовать внутри страны, царизм должен был быть более чем непобедимым за ее пределами; ему необходимо было непрерывно одерживать победы, он должен был уметь вознаграждать безусловную покорность своих подданных шовинистическим угаром побед, всё новыми и новыми завоеваниями“.¹

რუსეთი კავკასიის კოლონიზაციას ახორციელებდა „მშვიდობიანი“ და ძალისმიერი მეთოდების ერთდროული ან ცალ-ცალკე გამოყენების გზით. რუსეთის „მშვიდობიანი“ კოლონიზაციის პოლიტიკის არსი მდგომარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ „თავისუფალ“, „აუთვისებელ“ ტერიტორიებზე რუსების, განსაკუთრებით, კაზაკების მასობრივ ჩასახლებაში. მიტაცებულ და დაპყრობილ ტერიტორიებზე იქმნებოდა გამაგრებული დასახლებები, ციხესიმაგრეები და საკორდონო ხაზები, რომლებიც წარმოადგენდნენ საიმედო პლაცდარმებს სამხედრო-საომარი ოპერაციების ჩასატარებლად.

რუსეთმა ჩრდილოეთ კავკასიის კოლონიზაციის პროცესი დაიწყო ჯერ კიდევ XVI საუკუნეში. თავიდანვე კაზაკები ხელისუფლების მიერ გამოყენებულ იქნა კოლონიური პოლიტიკის განხორციელების იარაღად. პირველად კაზაკები მოხსენიებულია XIV საუკუნის პირველ ნახევარში – მიტროპოლიტების ფილარეტისა და ალექსის სიგელებში. მოსკოვის სახელმწიფოში კაზაკობა უთანაბრდებოდა „ბოიართა შვილებს“, სამხედრო მსახურთა წოდებას და ითვლებოდა ქვეყნის ცხენოსანი ჯარის შენაერთის ნაწილად. როგორც „ბოიართა შვილების“, ასევე კაზაკების მიწათმფლობელობის უფლების მოპოვება დაკავშირებული იყო სახელმწიფო სამსახურში ყოფნასთან. ივანე III კაზაკობას სა-

¹ Ф. Энгельс. Внешняя политика русского царизма. – К. Маркс, Ф. Энгельс. Сочинения. Изд. 2-е, т. 22, გვ. 40.

ხელმწიფო სამსახურისათვის მიწებს გულუხვად ურიგებდა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სამსახურისთვის გამოყოფილი მიწა არ ითვლებოდა კერძო საკუთრებად. მ. პოკროვსკი აღნიშნავდა, რომ „Казачество являлось коллективным помещиком“.² XVI საუკუნეში მოსკოვის სახელმწიფოში მიწაზე კოლექტიური საკუთრების უფლება იყო ჩვეულებრივი მოვლენა. „До чего не привычна была Московской Руси XIV века, – აღნიშნავს მ. პოკროვსკი, – идея личной земельной собственности, показывает нам любопытный факт, когда великий князь раздавал земли в поместья за службу, то хотя сама служба была личной, ему не пришло в голову раздавать землю тоже отдельным лицам“.³

ცნობილია, რომ თერგში კაზაკები ჩასახლდნენ XVI ს. მეორე მეოთხედში. თავდაპირველად კაზაკები პოულობდნენ მცირე ყაბარდოს თავადთა მხარდაჭერას; ყაბარდო განიცდიდა ხშირ თავდასხმებს ყირიმელი თათრების მხრიდან და აქ ჩასახლებული კაზაკები იძულებული გახდნენ, ებრძოლათ მათ წინააღმდეგ. ყირიმის თათრებისა და ყუმიყების ხშირმა თავდასხმებმა აიძულა ყაბარდოს თავადები, დახმარებისთვის მოსკოვისათვის მიემართათ. ყაბარდოელების პირველი ელჩობა მოსკოვში გაიგზავნა 1552 წელს. ყაბარდოელები იძულებული გახდნენ, დათანხმებოდნენ ივანე მრისხანის მოთხოვნას მდინარეების სუნიჯისა და თერგის შესართავთან ციხესიმაგრის აშენების შესახებ, რომელიც ცნობილი იყო ტერკას სახელით. XVIII ს. 30-იან წლებში რუსეთმა ეს ციხესიმაგრე დატოვა და თერგზე მისთვის უფრო ხელსაყრელ ადგილზე დააარსა ახალი ციხე-სიმაგრე – კიზლიარი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ჩრდილოეთ კავკასიის შემდგომი კოლონიზაციის საქმეში⁴.

თერგის კაზაკთა ლაშქრის შექმნის თარიღად ითვლება 1577 წელი, როდესაც მათ მდ. სუნიჯის შესართავთან სასტიკად დაა-

² М. Н. Покровский. Русская история с древнейших времен. Т. 1. М., 1991, გვ. 42.

³ М. Н. Покровский. Русская история..., გვ. 42.

⁴ Столетие Военного Министерства. Главное управление казачьих войск. СПб, 1902, გვ. 9.

მარცხეს ყირიმის თათრები. 1582 წელს თერგში გადმოსახლდა ყუბანის კაზაკთა ნაწილი. რუსეთის მთავრობა კაზაკებს ამარაგებდა შეიარაღებით და ტყვია-წამლით, იყენებდა მათ ყირიმისა და ნოღაელი თათრების წინააღმდეგ ბრძოლებში. 1685-1707 წლებში ნოღაელი და ყირიმის თათრები სისტემატიურად ამარცხებდნენ კაზაკებს, რის გამოც ეს უკანასკნელნი იძულებული გახდნენ, გადასახლებულიყვნენ თერგის ქვემო წელში⁵.

დონის კაზაკების ისტორია მე-15 საუკუნიდან იწყება. ამ დროისათვის რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გამოქცეულმა ყმა-გლეხებმა აზოვისა და მდ. მედვედიცას შორის შექმნეს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი პირველი კაზაკური დასახლება. დონზე გამოქცეული ყმა-გლეხობის მოზღვავებამ გამოიწვია ახალ-ახალი კაზაკური დასახლებების წარმოშობა. XVII ს. მეორე ნახევარში მდინარე დონის დინების გასწვრივ კაზაკური დასახლებები ყალიბდება ორგანიზებული თემის სახით და შეიქმნა „დონის მთავარი ლაშქარი“. XVII ს. ბოლოსთვის კაზაკური დასახლებები აღმოცენდნენ მდ. დონისა და მისი შენაკადების (დონეცის, მედვედიცას, ხოპერის, ბუზულუკის, ჟერებეცის) 800 კმ გასწვრივ⁶.

როგორც ცნობილია, პარტიარქ ნიკონის რეფორმამ რუსეთში საეკლესიო განხეთქილება გამოიწვია. 1666-1667წწ. საეკლესიო კრებამ რეფორმის მოწინააღმდეგეები დასწყევლა და მათი საქმის განხილვა გადასცა სამოქალაქო ხელისუფლებას.⁷ რეფორმის მოწინააღმდეგეები, რომლებსაც „სტარობრიადეცებს“ (რასკოლნიკებს) უწოდებდნენ, განიცდიდნენ სასტიკ დევნას. რასკოლნიკები მასობრივად გარბოდნენ რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან სამხრეთის სტეპებში. 1682წ. რასკოლნიკები ორ ჯგუფად გაიყვნენ, ერთმა კოსიუკის მეთაურობით თავი შეაფარა დონის ზედა წელს, მეორე – იგნატი ნეკრასოვის თაოსნობით, ჩაბარდა ყირი-

⁵ Н. Я. Янчевский. Гражданская борьба на Северном Кавказе. Т. I. Ростов-на-Дону, 1927, გვ. 4.

⁶ Краткое историческое и статистическое описание Войска Донского. Новочеркасск, 1887, გვ. 17.

⁷ История России. Т. I. Рук. автор. колл. А. А. Данилов. М., 1995, გვ. 108.

მის ხან კაპლან გირეის. შემდგომში, ნეკრასოველთა შთამომავლობის ერთი ნაწილი რუსეთში დაბრუნდა, ხოლო მეორე – ყირიმელ თათრებთან ერთად იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ⁸.

XVIII ს. ბოლოს დონზე კაზაკთა დასახლების რაოდენობა შეადგენდა 125. დონის კაზაკთა ლაშქრის მოსახლეობა XVIII საუკუნემდე ძირითადად დაკავებული იყო ნადირობითა და მეთევზეობით. დონის კაზაკები ნადავლის მოპოვების მიზნით სისტემატურად თავს ესხმოდნენ თურქეთის აზოვის, კასპიისა და შავი ზღვების სანაპიროებს. 1637 წელს დონის კაზაკებმა თურქეთს წაართვეს აზოვი, რომელსაც ფლობდნენ 1642 წლამდე⁹.

XVI საუკუნის ბოლოსთვის ძირითადად ჩამოყალიბდა რუსეთის საზოგადოების სპეციფიკური ნიშნები. ქვეყნის განვითარების თავისებურმა გზამ ჩამოაყალიბა დასავლეთევროპული ქვეყნებისაგან ხარისხობრივად განსხვავებული ფეოდალიზმის რუსული ტიპი. მისი დამახასიათებელი ნიშნები იყო სახელმწიფოს ჰიპერტროფიული როლი, თვითმპყრობელობა და ბატონყმობა.

გლეხობის დაყმევების პროცესის პარალელურად სულ უფრო მასობრივ ხასიათს იღებდა ყმა-გლეხთა გაქცევა დონის, ყუბანისა და თერგის კაზაკთა ტერიტორიებზე. აქ გაქცეულ (БЕГЛЫХ) გლეხებს „გოლიტბას“ (შიშვლებს) უწოდებდნენ, ხოლო კაზაკებს – „დომოვიტებს“¹⁰. XVIII ს. მეორე ნახევრისათვის დონზე „გოლიტბას“ რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მათ სურდათ კაზაკობის უფლებების მოპოვება, რაც იწვევდა „დომოვიტების“ უკმაყოფილებას. „გოლიტბა“ იძულებული გახდა, სტეფანე რაზინის მეთაურობით დაეტოვებინა ჩერკასკი და დაეკავებინა ვოლგისა და კასპიის ზღვის სავაჭრო გზები. „დომოვიტმა“ კაზაკებმა შეიპყრეს სტეფანე რაზინი და გადასცეს ხელისუფლებას (1671)¹¹.

⁸ *Краткое историческое и статистическое описание...*, გვ. 17.

⁹ **Н. Я. Янчевский.** Гражданская борьба..., გვ. 6.

¹⁰ *История Отечества с древнейших времен до конца XX века.* Ч. I. Авторский колл.: **Р. А. Арсланов, В. В. Бабкин, В. Т. Джангириян** и др. М., 2000, გვ. 127.

¹¹ **Г. Котошихин.** О России в царствование Алексея Михайловича. СПб, 1906, გვ. 187.

რაზინის დამარცხების შემდგომ მეფე ალექსი მიხეილის ძე დაკმაყოფილდა მხოლოდ ჩერკასელი კაზაკების ერთგულების ფიციით. კაზაკები კვლავინდებურად სარგებლობდნენ ფართო ავტონომიით; დამოუკიდებლად ირჩევდნენ თავიანთ მმართველობით ორგანოებს: სამხედრო წრეს – უმაღლესი მმართველობითი ორგანოს, სასამართლოს და აღმასრულებელ ორგანოებს – ატამანს, 2 ესაულსა და დიაკონს, ლაშქრობის დროს სპეციალურად ირჩევდნენ მოლაშქრე ატამანს განუსაზღვრელი უფლებებით¹². გამოჩენილი რუსი ისტორიკოსი მ. პოკროვსკი წერდა: „...В основе Западно-русского казачества, как и восточного, лежала обязательная военная служба всего пограничного населения, нельзя даже сказать „служба“, потому что с этим словом связывается представление о некоторых принуждениях сверху, а здесь, на окраине степи, откуда ежедневно появлялись татары, чело- веку, естественно, нужно было быть военным... Грабежи татарских стад, „лупление“ чабанов соседних турецких городов входили в круг промыслов южно-русской степи точно так же, как грабежи туземцев в круг промыслов и южно-африканских колонистов“.¹³

სტეფანე რაზინის დამარცხების შემდგომაც, კაზაკების „სამფლობელოები“ ღია იყო რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან გამოქცეული ყმა-გლეხებისათვის. კაზაკები კვლავინდებურად სარგებლობდნენ თევზჭერის, ნადირობის, წიაღისეული სიმდიდრის ექსპლუატაციისა და უბაჟო ვაჭრობის უფლებებით. ფართო გაქანება მიეცა ყჩაღურ ვაჭრობას (разнойничья торговля), ხელისუფლების ნებართვის გარეშე მიწების დატაცებასა და იქ კაზაკური ცხოვრების წესის დამკვიდრებას¹⁴.

XVIII. ბოლო პერიოდამდე ქვეყნის კაზაკების ძირითადი ფუნქცია სამხრეთ საზღვრების დაცვა იყო. რეგულარული არმიის გაძლიერებასთან ერთად, კაზაკობაც თანდათანობით კარგავდა ამ ფუნქციას. პირველი დარტყმა კაზაკთა თავისუფლებას მიაყენა

¹² В. О. Ключевский. Русская история. Кн. 2. Ростов-на-Дону, 1998, გვ. 187.

¹³ М. Н. Покровский. Русская история с древнейших времен. Т. 2. М., 1993, გვ. 164-165.

¹⁴ М. Н. Покровский. Русская история..., т. 2, გვ. 164-165.

პეტრე I-მა და დაამთავრა ეკატერინე II.

ყმა-გლეხების და სხვა მუშა-ხალხის მასობრივი გაქცევა სამხრეთში იწვევდა შიდა რუსეთის მეურნეობის მოშლას. ამ პროცესის შეჩერების მიზნით პეტრე I-მა დაიწყო კაზაკების თავისუფლების შეზღუდვა. 1682 წელს დონის კაზაკებს აკრძალა გაქცეული „ბოიართა ხოლოპების“ შეფარება და დასაქმება; კაზაკთა მოსაზღვრე გუბერნიებში შეიქმნა სამხედრო პოსტები, რომელთა მთავარი დანიშნულება იყო „გაქცეულთა“ დაბრუნება მათ მემამულეებთან¹⁵, ხოლო ვოევოდას მიეცა უფლება, „пойманных вешать и бить кнутом, а подговорщиков ссылать навек на каторжные работы“.¹⁶ ხელისუფლებამ დონიდან გამოასახლა 1695 წლის შემდგომ „გაქცეული“ 3000 ყმა გლეხი¹⁷.

1703 წელს ხელისუფლებამ აღწერა დონის კაზაკთა დასახლებები და აკრძალა თავისუფალი მიწების დაკავება. პეტრე I-ის ამ ღონისძიებებმა გამოიწვია კონდრატე ბულავინის აჯანყება (1707-1708). ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა აჯანყებულებს (700 კაზაკი დაიღუპა) ბულავინმა თავი მოიკლა, დანგრეული იქნა კაზაკთა ქალაქები – მედვედიცე, ხოპრუ და ბუზლუკუ¹⁸. 1721 წელს პეტრე I აკრძალა კაზაკთა ატამანის არჩევნები. სამხედრო კოლეგიას დაევალა კაზაკთა მმართველობის, სამეურნეო და სამხედრო საქმიანობის ხელმძღვანელობა და ატამანების დანიშვნა¹⁹.

კაზაკების ავტონომიური უფლებების ლიკვიდაციის პროცესი გაგრძელდა ანა ივანეს ასულის მეფობის დროს (1730-1740). 1732 წელს მეფის ბრძანებით კაზაკებს შეუზღუდეს დონზე და აზოვის ზღვის სანაპირო ზოლში თევზჭერის, მარილის მოპოვებისა და მისი გასაღების უფლებები²⁰. მდინარე დონზე ციხე-სი-

¹⁵ *Известия общества любителей изучения Кубанской области*. Вып. 2. Новочеркасск, 1900, გვ. 4.

¹⁶ *Известия общества любителей изучения Кубанской области*, გვ. 4.

¹⁷ *Краткое историческое и статистическое описание...*, გვ. 16.

¹⁸ *История Отечества с древнейших времен до конца XX века*, გვ. 160.

¹⁹ **Н. А. Дьякова, М. А. Чепелкин.** Границы России в XVII-XXвв. М., 1995, გვ. 43.

²⁰ *Акты относительно к истории Войска Донского, собранные генерал-майором А. А. Лишиным*. Т. 1, часть 2. Новочеркасск, 1894, გვ. 175, 189.

მაგრის წმ. ანას (როსტოვი) აშენების შემდგომ კაზაკებს აეკრძალათ თურქეთთან უბაჟოდ ვაჭრობის უფლება²¹.

რუსეთი, რომელიც XVII საუკუნიდან ჩაერთო საერთაშორისო პურის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში, ინტენსიურად აგრძელებდა კოლონიზაციის პროცესს. მოსკოვის რუსეთის ტერიტორია XVII ს. ბოლოდან გაიზარდა 430 ათასიდან 5,4 მილ. კვ კმ-მდე, ე. ი. 12,5-ჯერ. XVI საუკუნიდან XVIII ს. ბოლომდე მისი ტერიტორია ყოველწლიურად იზრდებოდა 35 ათასი კვ კმ-ით, რომელიც თანამედროვე ჰოლანდიის ტერიტორიის ტოლია²². რუსეთის მოსახლეობა 1719 წლიდან 1796 წლამდე გაიზარდა 15,5 მილიონიდან 37,2 მილიონამდე²³. XVIII ს. ბოლოსთვის კოლონიზებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობა შეადგენდა ქვეყნის 40%-ს.²⁴

რაც შეეხება კაზაკებს, ამ დროისთვის მთავრდება მათი დამოუკიდებელი არსებობის პერიოდი. 1763 ეკატერინე II ბრძანებით კაზაკებს დაუწესდა სამხედრო სავალდებულო სამსახური²⁵.

1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთმა თურქეთისაგან მიიღო ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი და ყაბარდო. ხელისუფლება სამხრეთში თავისი პოზიციების გამაგრების მიზნით შექმნა ახალი საკორდონო ხაზი მოზდოკიდან აზოვამდე. პუგაჩოვის აჯანყების დროს სამთავრობო ჯარმა მთლიანად დაიკავა დონის ოლქი და 1775 წელს მეფის ბრძანებით კაზაკებმა საბოლოოდ დაკარგეს დამოუკიდებლობა, ისინი იძულებით გადაასახლეს თერგის ოლქში, ხოლო მათ ნაცვლად, გადმოსახლეს ზაპოროჟიის სეჩისა და უკრაინის კაზაკები, რომლებმაც დააარსეს ქალაქი ეკატერინოდარი (კრასნოდარი)²⁶. 1783 წელს რუსეთ-თურქეთის ტრაქტატით რუსეთმა დაისაკუთრა ყუბანის ჩრდილოეთ ნაწილი

²¹ *Акты относительно к истории Войска Донского*, გვ. 175, 189.

²² *История России*. Т. 1, გვ. 91.

²³ *История России*. Т. 1, გვ. 125.

²⁴ *История России*. Т. 1, გვ. 125.

²⁵ **Н. Я. Янчевский**. *Гражданская борьба...*, გვ. 19.

²⁶ **Н. Я. Янчевский**. *Гражданская борьба...*, გვ. 19.

და ყირიმის ნახევარკუნძული. ამ დროიდან იწყება ნოვოროსიის კოლონიზაცია და შემდგომი წინსვლა კავკასიისაკენ. ეკატერინე II-მ თურქეთთან ორი ომის (1768-1774, 1787-1791) შედეგად რუსეთის სამხრეთის საზღვრად ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი გახდა. გარდა ამისა, XVIII ს. 80-იან წლების დასაწყისისათვის ჩრდილოეთ კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის შემადგენლობაში იმყოფებოდა. რუსეთის ხელისუფლებამ 1785წ., ამ უზარმაზარი ტერიტორიული შენაძენის შენარჩუნებისა და შემდგომი კოლონიზაციის მიზნით, შექმნა კავკასიის გუბერნია ორი ოლქით: კავკასიისა და ასტრახანის. თუ რამდენად დიდი იყო კავკასიის გუბერნიის ტერიტორია, ნათლად ჩანს მისი ერთი ოლქის მაგალითზე: კავკასიის ოლქი ესაზღვრებოდა კასპიის ზღვას, ირანს, საქართველოს, თურქეთსა და მის მფლობელობის ქვეშ მყოფ დასავლეთ კავკასიას, აზოვის ზღვასა და ღონის კაზაკთა მიწებს. იგი დაყოფილი იქნა 6 მაზრად: კიზლიარის, მოზლოკის, ეკატერინოგრადის, გეორგიევსკის, სტავროპოლის და ალექსანდროვსკის²⁷.

კავკასიის საგუბერნატოროს შექმნის შემდეგ მთავრობა ცდილობდა „ახალი მიწების“ ათვისებას ფეოდალური მეურნეობის დანერგვის მეშვეობით. წინა კავკასიის სტეპის ზოლში, მხოლოდ 1804 წელს რუს მემამულეებს 623 306 დეს. მიწის ნაკვეთი დაურიგდა²⁸. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამხრეთ მიწების კოლონიზაციის პროცესში აქტიურად ჩაებნენ რუსი არისტოკრატებიც. მათ 143 წარმომადგენელს გამოეყო 752 994 დეს. მიწა, მათ შორის: თავად მენშიკოვს – 16 800, გრაფ პლატოვს – 7 200, გენ. კუტეინიკოვს – 14 000. გენ. მიტროფანოვს – 14 000, გენ. კულგაჩევს – 14 000²⁹ და ა.შ. ამ გზით რუსეთმა ვერ შეძლო ჩრდილოეთ კავკასიის სწრაფი ეკონომიკური ათვისება. ამიტომ

²⁷ **Н. П. Гриценко.** Классовая и антиколониальная борьба крестьян Чечено-ингушетии на рубеже XIX-XX веков. Грозный, 1971, გვ. 83-84.

²⁸ *Очерки истории Чечено-ингушетской АССР (1917-1970).* Т. 2. Грозный, 1972, გვ. 84.

²⁹ **К. В. Марков.** Крестьяне на Дону. – *Сб. обл. Войска Донского*, вып. 13. Екатериноград, 1915, გვ. 71.

ხელისუფლება XVIII ს. ბოლოდან ჩრდილოეთ კავკასიის კოლონიზაციას ახორციელებს კაზაკებისა და გლეხების მასობრივად ჩასახლების მეშვეობით, რაც იწვევს მთიელების განდევნას ბარიდან მთის ზოლში და ახალი საკორდონო ხაზებისა და სტანიცების მშენებლობას.

XVIII ს. ბოლოს იზრდება გამოქცეული ყმა-გლეხების ჩასახლების პროცესი. 1891წ. დონის სამხედრო მიწების სტატისტიკურ ცნობარში კვითხულობთ: „многочисленные толпы малороссийских казаков и крестьян оставили свои жилища, приходили в пределы войска, как и прежде, с намерением поступить в казаки, но донские чиновники под разным предлогом, самопроизвольно поселившие их на общественных войсковых землях, записали за собой и назвали их крестьянами“.³⁰

XVIII ს. პირველ ნახევარში დაიწყო კაზაკების დაშლა ფენებად. მ. პოკროვსკი წერდა: „К середине XVIII века казацкая Украина превратилась в такую же дворянскую страну, какой было Московское государство XVIII веке“.³¹ 1796წ. ყმა გლეხთა რაოდენობა დონზე შეადგენდა 55 000 სულს, 1817წ. – 78 991, 1834წ. – 112 560.³²

1796 წელს პავლე I-ის ბრძანებულებით მიწას მიამაგრეს დონის გლეხობა. „Каждый из поселян должен остаться в том месте и звании, кем он нынешней ревизии записан будет“, – კვითხულობთ ბრძანებულებაში³³. 1798 წელს პავლე I-მა დონის ჩინოვნიკები თავადაზნაურთა წოდებას გაუთანაბრა. კაზაკურ ოლქებში ჩინოვნიკებად ითვლებოდა მიწის მესაკუთრე კაზაკი. ოფიციალური სტატისტიკით კაზაკური მიწები იყოფოდა სამ კატეგორიად – 1. სამხედრო თადარიგთა; 2. ოფიცრებისა და ჩინოვნიკების; 3. სტანიცების. ჩრდილოეთ კავკასიაში ეს მიწები განაწილებული იყო შემდეგნაირად³⁴:

³⁰ *Статистическое описание земли Войска Донского*. Черкасск, 1891, გვ. 18.

³¹ **К. В. Марков**. Крестьяне на Дону, გვ. 73.

³² **М. Н. Покровский**. Русская история..., т. 2, გვ. 105.

³³ *Статистический обзор современного положения казачьих войск*. СПб, 1903, გვ. 16.

³⁴ *Статистический обзор современного положения казачьих войск*, გვ. 16.

კაზაკები	სტანიცების ნადელები	%-%	ოფიცრებისა და ჩინოვნიკების ნადელები	%-%	ლაშქრის რეზერვი	%-%
ღონის	9304653	72,6	1264425	9,9	2251703	17,5
თერგის	5269289	74,5	505501	7,1	1025061	18,4
ყუბანის	1738310	86,6	118393	5,9	149574	7,5

XVIII ს. დასასრულიდან იწყება კაზაკური ცხოვრების ახალი პერიოდი – ირღვევა ერთიანი სამხედრო საკუთრების პრინციპი.

ნიკოლოზ I-ის 1839წ. ბრძანებით კაზაკი ოფიცრები და ჩინოვნიკები განთავისუფლდნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან და მათ მიეცა კაზაკობიდან გასვლის უფლება. ამ კანონს კაზაკი ოფიცრებისა და ჩინოვნიკებისათვის იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც, თავის დროზე, ეკატერინე II-ის ბოძების სიგელს თავადაზნაურობისათვის.

XVIII ს. მიწურულიდან, კაზაკობამ დაკარგა თავისი ნახევრად დამოუკიდებლობა, მაგრამ ხელისუფლებამ არ მოსპო მათი სამხედრო ორგანიზაცია იმ პირობით, რომ ის მთლიანად დემორჩილებოდა ხელისუფლებას და იქნებოდა სახელმწიფო სამსახურში. რუსეთის რეგულარული ჯარის გაძლიერების კვალობაზე, კაზაკობა, როგორც რუსეთის სამხრეთ საზღვრების დაცვის ერთადერთი გარანტი, თანდათანობით კარგავდა თავის ფუნქციას. კავკასიის ომის დროს კაზაკები გამოყენებული იყო, როგორც რეგულარული ჯარის დამხმარე ძალა. კავკასიის ომის დამთავრების შემდგომ, როდესაც მთიელები რუსეთისთვის გარეშე მტრებიდან „შინაურ“ მტრებად გადაიქცა, კაზაკების როლმა კვლავ წამოიწია. ამ შემთხვევაში ხელისუფლებამ მას დააკისრა პოლიციური ფუნქცია. 1903 წლის სტატისტიკურ ანგარიშში კაზაკური სამხედრო ლაშქრის მდგომარეობის შესახებ ვკითხულობთ: „С конца XVIII столетия начинается новейший период жизни казачества. Организация казачества, как военной силы, не было уничтожено государством, и казацкая община до настоящего времени служит надежным оплотом окраин России, но уже при условии полного подчинения государственной власти и на

постоянной службе государству. Последнее пользуется вооруженным населенном казачьих областей для расширения своего влияния на южных и восточных окраинах для задач русской колонизации“.³⁵

ერთ-ერთი მთავარი ძალა, რომელიც განსაზღვრავდა თერგის ოლქის (მთელი ჩრდ. კავკასიის) მდგომარეობას, იყო თერგის კაზაკთა ჯარი, რომელიც ხელისუფლების მიერ სარგებლობდა განსაკუთრებული პრივილეგიებით “სახელმწიფო სამსახურისათვის“. მისი მთავარი ამოცანა იყო რუსეთის ხელისუფლების კოლონიზატორული პოლიტიკის განხორციელება. კაზაკთა ცხოვრების თვითმმართველობის წესს მთავრობა მხარს უჭერდა და უნერგავდა მათ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ერებს შორის უპირატესობის, პირველობის გრძნობას, თითქოსდა ისინი „რუსეთის საუკეთესო შვილები“ იყვნენ.

Т.-Е. М. АНТЕЛОВА

О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ РАССЕЛЕНИЯ КАЗАКОВ НА СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ

В статье на основе анализа документальных материалов и мемуарных первоисточников, а также специальной литературы, рассмотрены отдельные вопросы расселения казаков на Северном Кавказе. Отмечено, что российские цари с XVIв., самого начала колонизации Северного Кавказа, рассматривали казаков, как орудие своей колониальной политики. С конца XVIIIв. казаки потеряли свое полунезависимое положение, однако имперские власти сохранили их военную организацию для расширения своего влияния на Северном Кавказе.

³⁵ *Статистический обзор современного положения казачьих войск*, გვ. 19.

ГУРАМ МАРХУЛИЯ

ТЕРРИТОРИАЛЬНЫЕ ПРЕТЕНЗИИ ДАШНАКОВЦЕВ И Т.Н. ВОПРОС „РАЗДЕЛА АРМЕНИИ“ В ПОЛИТИЧЕСКИХ КРУГАХ ТУРЦИИ, ГРУЗИИ И АЗЕРБАЙДЖАНА

„Армяне, в какой стране они бы не жили, думают, что везде Хайастан“.

Акакий Церетели

Подъем патриотических настроений народов Южного Кавказа, последовавший после Октябрьского переворота, оказался благодатной почвой для обращения к историческому прошлому. Вместе с тем, идея патриотического долга лидеров политических партий Южного Кавказа, неохотно вступала в конфликт с идеей целостности России. Однако первостепенность историко-политических задач заставляла сознательно изменить Российской Родине.

В октябре 1917г. в Тбилиси, по инициативе дашнаков, открылся армянский национальный конгресс, который избрал Армянский Национальный Совет для защиты национальных интересов армянского народа. В работе конгресса принимало участие более 2000 делегатов. Его главной задачей было определение границ будущего независимого армянского государства. Было решено проведение границ по этническому принципу¹. Согласно выработанной концепции, большая часть Восточной Грузии должна была войти в пределы новой Армении. В начале предусматривалось проведение административного

¹ R. C. Hovannisian. The Republic of Armenia. Berkeley, CA, 1975, p. 17-18.

деления отпавшего от России Южного Кавказа, безусловно, по удобному для будущей Армении плану. Однако из-за нестабильности положения в Петрограде, армянский национальный конгресс решил отложить на неопределенное время проведение нового административного деления Закавказья².

В территорию предполагаемой „Великой Армении“ дашнакскими активистами были включены семь вилайетов Османской империи – Ван, Багеш, Дийарбекир, Харберд, Севастия, Карин, Трапезунд и четыре санджака – Мараш, Сис, Джелал-Берекет, Адана: „Проектировалось и требовалось обширное государство, Великая Армения, с Черного моря до Средиземного, с Карабахских гор до Аравийских пустынь“³.

Дашнакские эмиссары, подняв на щит карту мифической „Великой Армении“, перешли к тотальному террору. Вооруженные формирования армянских боевиков уничтожили 200 азербайджанских селений в Ереванской губернии. 100 тысяч азербайджанцев покинули Ереванский, Эчмиадзинский, Шарурский уезды⁴. Так „Дашнакцутюн“ истреблял местное мусульманское население. Эта политика дашнакских лидеров имела свое „политическое основание“, так как в указанных территориях армяне составляли значительное меньшинство⁵.

25 апреля 1918 года в Карской области армянскими бандитами были убиты 750 этнических турок⁶. Бандформированиями, выполняющими установку армянской террористической организации „Дашнакцутюн“, во многих турецких районах были казнены несколько тысяч мирных жителей. Этнические курды в селениях Иланлы, Гарагаш, Дярджик, Тякмяли и др. были сожжены заживо или зарублены топорами⁷. Продолжалась „чистка“ территории будущей „Великой Армении“.

² **Р. С. Novannisian.** The Republic of Armenia, p. 17-18.

³ **О. Качазнуни.** Дашнакцутюн больше нечего делать. Тифлис, 1927, с. 43.

⁴ **А. Амирян.** Газ. „Бакинский рабочий“, 28 (15) мая 1918 года.

⁵ См. *Историческая география Западного Азербайджана.* Под ред. **Б. Будагова.** Баку, 1998, с. 36.

⁶ *Преступления армянских террористических и бандитских формирований против человечества (XIX-XXI вв.).* Краткая хронологическая энциклопедия. Под ред. **Н. Фаиг-Гызы.** Баку, 2002, с. 83.

⁷ *Преступления армянских..*, с. 84.

Спустя некоторое время армянская пропагандистская машина попыталась представить общественности главарей армянских банд в качестве героев. В этой связи, большое значение имеет мнение русского дипломата, генерала Г. Маевского, высказанное в начале XX века: „Нам известны имена многих героев Балкан. Но слышал ли кто-нибудь о героизме армянского народа? Нигде. Почему? Потому что „герои“ армян всегда были больше палачами, нежели спасителями. Армянские банды, как правило, провоцировали беспорядки, разрубали шашками женщин и детей, а потом, убегая, скрывались“.⁸

За бандами дашнаков последовало профессионально обученное воинство небезызвестных генералов Андраника⁹, Дро¹⁰, Гарегина Нжде¹¹ и других. Возглавляемые ими формирования уничтожали все на своем пути. „Доблестные“ генералы затопили Зангезур в крови мирного азербайджанского населения. По данным официальных документов, здесь было сожжено

⁸ **В. Ф. Маевский.** Армяно-татарская смута на Кавказе, как один из фазисов армянского вопроса. Тифлис, 1915, с. 42.

⁹ Андраник Озаян Тороси. Зверства, чинимые этим „кровавым генералом“ над мирным населением ужасали даже самих армян. Правительство Армении 31 августа 1918 года вынуждено было обещать Москве, Стамбулу и Берлину, что если Андраник вступит на территорию Армении, он будет немедленно арестован и предан военному трибуналу. Доживавший свои дни в США (он скончался в 1927 году), Андраник в своем „послании“ назвал русских злостными врагами армянского народа (См. *Преступления армянских...*, с. 150.).

¹⁰ Дро – Драстамат Канаян, командующий армянскими войсками в ходе армяно-грузинской войны 1918 года. Потерпевший поражение в этой войне Дро перешел затем к террору азербайджанского населения. На его совести тысячи погубленных жизней.

¹¹ Гарегин Нжде – Гарегин Тер-Арутюнян – совершивший кровавые преступления в балканских странах, Турции и Азербайджане, принимал активное участие в боевых операциях Вермахта в Крыму, дослужился до звания генерала гитлеровской армии. В 2001 году в Армении была выпущена монета с номинальной стоимостью в 100 драм, на реверсе которой, с указанием имени и фамилии, изображен генерал фашистской армии, армянский террорист Г. Нжде (**Э. Файгл.** Правда о терроре. Армянский терроризм – истоки и причины. – В кн. *Преступления армянских террористических и бандитских формирований против человечества (XIX-XXI вв.)*. Краткая хронологическая энциклопедия. Под ред. **Н. Фаиг-Гызы.** Баку, 2002, с. 152.).

115 сел. Скорбный счет зангезурских жертв составил 10 068 человек; 60 тысяч жителей были изгнаны из своих очагов озверевшими вояками.

В начале мая 1918 года армянские бандформирования в союзе с беженцами-армянами учинили кровавую резню над грузинами-мусульманами в городе Ахалцихе, который, согласно программе „Дашнакцутюн“, был объявлен „исконно армянским“. Среди зверски убитых мирных жителей, как правило, жертвы армянской резни – женщины, старики и дети¹². Так дашнакские изуверы пытались освободить территорию Грузии для „будущей Армении“, они стремились создать свое государство на чужих землях, на крови тех народов, которые когда-то приютили их и поселили на своих землях. Карабах, Зангезур, Шуша, Ахалкалаки, Ахалцихе, Лоре, Санаин, Караклис – это все вехи преступлений, совершенных в те годы армянскими националистами против азербайджанского и грузинского народов. Следует также отметить, что армяне, получившие приют в Грузии, никогда не подвергались никаким притеснениям по национальному признаку. Казалось, что у них должно было сложиться благоприятное мнение к приютившему их народу, однако, увы, как это ни парадоксально, они на протяжении веков разрывались ненавистью к грузинам и завистью ко всему грузинскому.

Разгул армянских банд на территории Турции продолжался с невероятной жестокостью, однако вскоре, 3 марта 1918 года, Советская Россия подписала Брест-Литовский договор, согласно которому она уступала Турции Карс, Ардаган и Батуми. Турция сразу же приступила к реализации предоставленных ей прав, к тому же пантюркистские и панисламистские стремления младотурок требовали захвата и других территорий¹³.

Еще до начала турецкого наступления армяне убедились, что не могут удержать всю территорию, на которую пре-

¹² **Кариби.** Красная книга. Тифлис, 1920, с. 17.

¹³ Младотурки первоначально намеревались овладеть всем Кавказом и мечтали о походе на Волгу, в Туркестан, в Индию и др.

тендовали, и начали паническое отступление. По мере отступления армяне разрушали оставшиеся здания мусульман, сжигали урожай и имущество, которое не могли взять с собой. Те же оставшиеся в регионе турки, которые попадали в руки отступающих армян, были истреблены. После ухода армян уцелевшие турки получили возможность вернуться в родные места. Их глазам предстала опустошенная земля, на которой почти не осталось ни турок, ни армян¹⁴.

Закавказское правительство не желало уступать Турции свои области, но избегало военного столкновения с ней. В такой сложной обстановке 7 марта 1918 года делегация Закавказского Сейма во главе с А. Чхенкели выехала из Тифлиса в Трапезунд¹⁵ для подписания с Турцией „более почетного мира“. Однако турки в Трапезунде в ультимативной форме потребовали признания Брест-Литовского договора и провозглашения независимости Закавказья.

В Трапезунде велись переговоры, а Турция продолжала военные действия. Вступившие в город Эрзинджан турецкие солдаты обнаружили, что все общественные и исламские культовые здания и более 1000 домов разрушены. Сотни тел убитых турок Эрзинджана были найдены на улицах, еще больше – в водоемах и наспех вырытых могилах. Терджан был целиком разрушен динамитом. В Эрзеруме, по подсчетам османских властей, было убито 8000 турок. Цифра может показаться преувеличенной, но солдаты вели учет каждого тела, похороненного ими. Только в первые восемь дней было предано земле 2124 трупа мужчин. Из соображений приличия солдаты не подсчитывали захороненные тела женщин и не сообщали о том, что сотворили с ними армяне.

Зверства, совершенные в городах, повторялись и в селах. Линия армянского отступления была усеяна трупами мусульман, не сумевших убежать. Уцелели лишь отдельные дома, но

¹⁴ **J. McCarthy, C. McCarthy.** *Turks and Armenians. A Manual on the Armenian Question.* Перевод с английского **Р. Асадова.** Баку, 1996, с. 76.

¹⁵ Трапезундская конференция проходила с 1/14 марта по 1/14 апреля 1918 года.

ни одного полностью сохранившегося селения¹⁶.

Не может быть сомнений в том, что армян, захваченных во время отступления, постигла участь турок. Слишком многое пролегло между двумя народами, чтобы осталось место милосердию. Турецкий комендант Александропольского района Мехмет Геджир в своем секретном приказе отмечал, что население армянских сел Артик, Ширванджук, Махиуджук было „наказано по всей строгости военных законов“.¹⁷

Ясно, что в такой военно-политической обстановке турецкое правительство не могло и думать о создании Армении. Следует отметить, что в Трапезунде, во время переговоров, турецкой делегацией была затронута тема о разделе территории т.н. „русской Армении“, т.е. Ереванской губернии. Эти вопросы обсуждались сепаратно с грузинской и азербайджанской делегациями, однако турки не получили поддержку грузинской стороны в этом вопросе. Из-за отсутствия документов неясно, какое участие могла принять Грузия в „разделе Армении“, хотя само существование этого плана вызывает несомненный интерес.

Политические деятели Грузии были возмущены ничем не обоснованными территориальными претензиями дашнаковцев и зверствами армянских бандформирований в отношении грузин-мусульман, т.е. оснований для захвата „армянских территорий“ было более чем достаточно, однако реальное участие грузинской стороны в разделе еще несуществующей Армении представлялось невозможным¹⁸.

Между тем, турецкая армия заняла территории, переданные ей по Брест-Литовскому договору, а 9(22) апреля 1918 го-

¹⁶ **J. McCarthy, C. McCarthy.** *Turks and Armenians*, с. 76.

¹⁷ **Е. К. Саркисян.** *Экспансионистская политика Османской империи в Закавказье. Накануне и в годы Первой мировой войны.* Ереван, 1962, с. 398.

¹⁸ В исторических архивах, как Грузии, так и Армении, нами не обнаружены документы, указывающие на существование плана раздела Армении. Однако в 1919 году правительством Грузии была выпущена книга – „Из истории армяно-грузинских отношений 1918г.“, в которой подозрительно отрицается участие Грузии в разделе Армении. Ниже мы попытаемся внести дополнительные пояснения в этот вопрос.

да Закавказский Сейм провозгласил независимость Закавказской Демократической Федеративной Республики¹⁹. Однако надежды руководителей Закавказской Республики не оправдались, провозглашение независимости Закавказья не остановило наступление турецких войск. Наоборот, турки продолжали военные действия и занимали территории, теперь уже не предусмотренные Брест-Литовским договором. Английский ученый Ф. Маклин справедливо отмечает, что: „Провозглашение независимости Закавказья не принесло никакой пользы, более того – турки объявили ей новые территориальные претензии“.²⁰

В такой сложной военно-политической обстановке между социал-демократами, дашнаками и мусаватистами не было единства ни во внутривнутриполитических, ни в вопросах внешней политики, что привело к распаду федеративного государства.

26 мая 1918 года, перед самороспуском Закавказского Сейма, армянская фракция официально обратилась к азербайджанской фракции Сейма о передаче города Еревана, так как создаваемая Армения не имела столицы для провозглашения акта о независимости. После обещания дашнаков прекратить разбои, массовые убийства и грабежи мирного населения, азербайджанские делегаты дали положительный ответ²¹.

В тот же день, 26 мая Грузия провозгласила независимость, 28 мая независимость провозгласили Азербайджан и Армения. Соглашение младотурок на создание Армении было вынужденным актом, так как завоевательные планы турецкого правительства в отношении Кавказа расходились с намерениями их союзника – Германии, что и определило образование независимых государств на Южном Кавказе. К тому же турецкое правительство созданием Армении думало решить волнующий ее „Армянский вопрос“. Поэтому во время подписания

¹⁹ *Документы внешней политики Закавказья и Грузии*. Тифлис, 1919, док. № 99, с. 200-222.

²⁰ **F. Maclean**. *To Caucasus. The End of All the Earth*. L., 1976, p. 112.

²¹ **Фатали хан Хойский**. Жизнь и деятельность. – В кн. *Преступления армянских террористических и бандитских формирований против человечества (XIX-XXI вв.)*. Краткая хронологическая энциклопедия. Под ред. **Н. Фаиг-Гызы**. Баку, 2002, с. 88.

Батумского соглашения глава турецкой делегации Халил-бей заявил: „Оттоманское имперское правительство управляло своими чувствами с большим спокойствием и поручило мне подписать документ, признающий существование армянского правительства“.²²

Дашнаки, мечтавшие стать хозяевами „независимого“ армянского государства, пришли в восторг от „щедрости“ турок. У председателя дашнакской делегации Хатисова закружилась голова от мысли, что Армения становится „независимым“ государством, а он сам – одним из вершителей ее судеб. В своей ответной речи Хатисов сказал: „Сегодня армяне приобрели право на национальное существование и вступили в семью независимых государств... Этот большой день является торжественной датой в истории армян. Мы хотим, чтобы между Оттоманской империей и Республикой Арменией был установлен прочный мир и вечная дружба...“²³

Однако провозглашение независимости в планах турецкого правительства было лишь тактическим маневром. „Мы будем водить армян за нос до тех пор, пока нам нужны солдаты для фронта, – говорил Вехиб-паша, – а потом при помощи курдов и татар заставим их задохнуться в том мешке, в котором они сидят“.²⁴ Под „мешком“ Вехиб-паша подразумевал крохотную Армению, территория которой составляла всего 9 тыс. кв. км гористой и пустынной местности²⁵.

Таким образом, правительство Турции созданием Армении стремилось избавиться от т.н. „армянского вопроса“, следовательно, и от армян. Косвенным подтверждением этого являются слова Энвера-паши, сказанные им в 1918г. в Стамбуле представителям дашнакского правительства: „Турецкие министры две недели думали – создать Армению или нет, и, наконец, решили создать, потому что, так было выгодно как для

²² ЦГИАА. Ф. 200, оп. № 1, д. № 74, л. 40-41.

²³ ЦГИАА. Ф. 200, оп. № 1, д. № 74, л. 41.

²⁴ ЦГИАА. Ф. 200, оп. № 1, д. № 11, л. 79.

²⁵ Г. Р. Мархулия. Из истории возникновения армянской националистической партии „Дашнакцутюн“ и ее политики в отношении Грузии в 1918-1920гг. – „Исторические разыскания“, т. II. Тб., 1999, с. 187.

армян, так и для турок“.²⁶ Однако правительство новообразованной Армении, мечтавшее о воссоздании мифической „Великой Армении“, сразу же предъявило территориальные претензии к соседним государствам. Следовательно, армянский вопрос не только не был решен, а, напротив, был реанимирован. В целях воздействия на дашнаковцев, со стороны руководства Грузии были приняты некоторые меры, но они ни к чему не привели.

8 июня 1918 года (за № 6793) Председателем Правительства было сообщено начальнику Германской военной миссии, что правительством Грузии сделано распоряжение о занятии территории по линии Закавказской железной дороги до места по реке Куре и ст. Пойлы, а по Александропольской²⁷ линии той же дороги – до середины тоннеля между станциями Караклис²⁸ и Шагали²⁹, хотя исторические территории Грузии продолжались далее названных пунктов.

Однако это распоряжение правительства Грузии вызвало протест со стороны Армянского Национального Совета Тифлиса³⁰. В ноте протеста, опубликованной в газете „Борьба“, го-

²⁶ **Е. К. Саркисян.** Экспансионистская политика..., с. 401.

²⁷ Александрополь – ныне Гюмри в Армении. В советское время Лениканан.

²⁸ Караклис – ныне Ванадзор в Армении. В советское время Кировокан. Следует отметить, что в этих исторических областях Грузии ни следа не осталось о прошлом грузинского государства.

²⁹ ЦГИАА. Ф. 1864, оп. № 1, д. № 17, л. 12.

³⁰ Правительство Армении было создано в Тифлисе по инициативе Тифлисского Армянского Национального Совета. По существу оно состояло из членов этого же национального совета. Следует также отметить, что до прибытия правительства дашнаков в Армению Эриванский Армянский Национальный Совет, в свою очередь, образовал „Временное правительство“, не объявив об этом народу. Причем это т.н. правительство делегировало своего представителя в Тифлисский Армянский Национальный Совет для сообщения им следующего ультимативного требования: „Если после получения данного письма через две недели Вы не приедете в Эривань, то мы объявим в газетах Тифлиса и др. местностей, что Вы не являетесь представителями этой страны. И, что разочарованные вами, немедленно будет образовано Учредительное собрание, которое волею народа решит судьбу страны“ (ЦГИАА. Ф. 222, оп. № 1, д. № 13, л. 149-150.). Правительство О. Качазнуни, таким образом, было вынуждено (в конце июля 1918г.) выехать в Ереван – новую столицу Армении.

ворилось: „Армянский Национальный Совет, осведомившись о декларации Правительства Грузии, в которой оно предписало грузинским частям занять часть железной дороги Тифлис-Александрополь до тоннеля между Шагали-Караклис, ссылаясь на договор 1783 года, заключенный между Россией и Грузией, по которому исторические границы последней простираются еще дальше, полагает: между республиками Грузии и Армении не состоялось соглашения по вопросу о границах двух соседних государств. По одностороннему постановлению Правительства Грузии не может быть разрешен вопрос о границах, которые должны быть установлены договорным соглашением между Грузией и Арменией. По своему существу постановление Грузинского Правительства противоречит демократическим принципам, основой которых служит самоопределение народов и этнический принцип, чем и руководствовалась до сих пор кавказская демократия“.³¹

Таким образом, как видно из приведенного документа, занятие правительством Грузии исторических территорий якобы „противоречило... демократическим принципам“, и, безусловно, мешало армянам самоопределяться на грузинских территориях. Армянский Национальный Совет был категорически против проведения границ на исторической основе, так как оно поставило бы под сомнение существование армянской государственности. „Дашнакские созидатели“, таким образом, требовали от грузинского правительства признания продолжавшейся на протяжении столетий ползучей этнической оккупации исторических областей Грузии.

Армянский маневр в определенных аспектах достиг своей цели, так как для определения государственной границы между двумя государствами была образована комиссия. 10 июня 1918 года, на первом же заседании комиссии от имени Национального Совета Грузии И. Церетели представителем Армении (Н. Карчикян, Г. Хатисов, Г. Караханов) заявил, что в состав Грузии полностью должны войти Ахалкалаки³², Каза-

³¹ Газ. „Борьба“, 1918, № 96.

³² Здесь не шла речь об Ахалцихе, так как он был занят турками по Батумскому договору.

хи³³, Борчало³⁴ и Александропольский уезд³⁵. В связи с этим представитель Армении Н. Карчикян заявил, что в предложении И. Церетели он видит старый план раздела Армении между Грузией, Азербайджаном и Турцией и добавил, что Лоре и Ахалкалаки бесспорно принадлежат Армении³⁶.

В приведенном выше заявлении Н. Карчикяна вызывает интерес „существование“ некоего „старого плана раздела Армении“. Дело в том, что, по мнению дашнаков, грузинские меньшевики объявили Грузию независимой республикой только для того, чтобы начать с Турцией сепаратные переговоры и избавиться от турецких захватчиков, уступив им всю Армению. Хотя, как указывалось выше, о существовании этого плана вроде бы стало известно к началу Трапезундской конференции, когда в политических кругах Турции не могли даже в мыслях допустить образование Армении.

В дальнейшем, когда интересы Турции столкнулись с интересами Германии, Султанское правительство вынуждено было отказаться от территории Грузии и Азербайджана. Во время конфиденциальной встречи с грузинскими и азербайджанскими представителями делегации Закавказского Сейма в Трапезунде, турецкая сторона обсуждала предварительные границы будущих государств – Грузии и Азербайджана. Представители грузинских социал-демократов выразили надежду, что Грузия будет восстановлена в границах, предусмотренных в договоре 1783 года между Россией и Грузией. Азербайджан претендовал на бывшее Иериванское ханство, остальную же часть „территории Армении“ оставляла себе Турция. Однако здесь же следует отметить, что это не было планом раздела Армении, а было лишь намерением правительства Турции³⁷,

³³ Казахи – ныне в Азербайджане.

³⁴ Борчало – Марнеули.

³⁵ В Александропольский уезд входил также Караклис (Ванадзор) и другие южные области Грузии.

³⁶ ЦГИАА. Ф. 276, оп. № 1, д. № 96, л. 22.

³⁷ Известно, что после подписания Брест-Литовского договора Султанское правительство пыталось возродить пантюкистские планы и создать государство – Туран. Однако затем пришлось отказаться от этого плана в связи с изменением международной обстановки.

что касается азербайджанских и грузинских представителей, то они выражали свои мнения о возможных границах своих государств. Об этой позиции грузинских и азербайджанских парламентариев стало известно дашнакам, которые посчитали, что меньшевики и мусаватисты в союзе с Турцией составили план раздела еще не существующей Армении.

Вскоре в вопрос создания новых государств на Южном Кавказе, и об их использовании для борьбы против Советской России, вмешалась Англия, имевшая свои счеты с Турцией и поддерживающая дашнаковцев в их мечте – „создании Великой Армении“. В результате английского вмешательства турецкое правительство вынуждено было изменить свое отношение к Армении, и она предоставила ей если не „Великую“, то определенную территорию, ошибочно надеясь, что наконец-то окончательно избавится от армян и т.н. армянского вопроса.

Таким образом, никакого плана раздела Армении между Азербайджаном, Грузией и Турцией не существовало. Грузинские представители требовали своих исторических территорий, однако эти исторические, южные области Грузии были заселены армянами и считались ими „чисто армянскими“. Если бы Грузия восстановила государственность в своих исторических границах, то от т.н. Армении осталась бы небольшая территория, к тому же Азербайджан имел свои обоснованные претензии к армянам, планы же Турции общеизвестны. Эти мотивы и были приняты дашнаками за „план раздела Армении“, о чем утверждал Н. Карчикян на заседании комиссии по определению государственной границы.

На заседании комиссии 11 июня был заслушан доклад П. Ингорюкв. Главные выводы ученого таковы: „С юга граница Грузии тянется по хребту Малый Кавказ, проходит около южной границы Борчалинского уезда, Южнее Караклиса, доходит до северного берега озера Гогчи, сворачивает на север по реке Акстаф, доходит до ст. Дзегам, охватывает Закатальский округ и заканчивается горой Силоват“.³⁸ Этническую границу

³⁸ ЦГИАГ. Ф. 1864, оп. № 1, д. № 31, л. 16.

П. Ингороква справедливо отвергал, как не отвечающую потребностям государственности.

Представители Национального Совета Армении в свою очередь потребовали Лоре, Ахалкалаки и 2/3 Борчалинского уезда. Эти области, по требованию армянской делегации, должны были войти в пределы Армении. Такое заявление представителей Армении вызвало резкое возмущение со стороны грузинской комиссии, заседание было прервано, и в дальнейшем работа комиссии продолжена не была.

Вопросы государственной границы между Грузией и Арменией были включены в программу созванной в конце июля 1918 года по инициативе Турецкого правительства Константинопольской конференции, однако и эта возможность решить вопросы мирным путем не привела ни к каким результатам.

Итак, попытки армян создать государство в пределах Турции оказались тщетными. После провозглашения независимости Армении дашнаки стали предъявлять территориальные претензии к сопредельным государствам. Уповавшее на силы западных государств правительство Армении успело за короткое время (1918-1920 гг.) развязать войны против Грузии, Азербайджана и Турции. Путь к мифической „Великой Армении“ был залит кровью, однако решить вопрос „расширения Армении“ так и не удался.

В ноябре 1920 года Армянская республика фактически перестала существовать. Ни одно из государств мира не выразило сожаление по этому поводу, вследствие чего дашнаки вынуждены были временно сойти с политической сцены.

გურამ მარხულია

დაშნაკთა ტერიტორიული პრეტენზიები და ე.წ. „სომხეთის დანაწილების“ საკითხი თურქეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის პოლიტიკურ წრეებში

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება უმძიმესი იყო საქართველოსთვის. ამიტომაც ტრაპიზონში ამიერკავკასიის დელეგაცია ცდილობდა „უფრო ღირსეული“ ზავის მიღწევას თურქეთთან. მაგრამ თურქეთის დელეგაციის მეთაურმა ა. ჩხენკელს მტკიცედ განუცხადა, რომ იგი ტრაპიზონში ჩამოვიდა მხოლოდ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების დასაზუსტებლად და არა ახალი ხელშეკრულების დასადებად.

ტრაპიზონის კონფერენციის მსვლელობას ართულებდა აგრეთვე დაშნაკთა უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენზიები. მათი მოთხოვნები გამაღიზიანებელი იყო არა მარტო თურქებისათვის, არამედ ქართველებისა და აზერბაიჯანელებისათვის. თურქეთსა და გერმანიას შორის სამხრეთ კავკასიაში გავლენის სფეროს განაწილების შემდეგ ოსმალთა მთავრობა იძულებული გახდა ხელი აეღო საქართველოსა და აზერბაიჯანისადმი ტერიტორიულ პრეტენზიებზე. თურქეთის მთავრობა დაინტერესდა, თუ რომელ საზღვრებში აღდგებოდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ტრაპიზონში კონფიდენციალურ შეხვედრაზე ქართველმა დელეგატმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგებოდა რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღვრებში. აზერბაიჯანის მხარემ პრეტენზია გამოთქვა ყოფილი ერევნის სახანოს ტერიტორიაზე, რადგან თურქეთის მთავრობას ამ ეტაპზე არ სურდა სომხეთის შექმნა – იტოვებდა თავისთვის სომხეთის დანარჩენ ტერიტორიას. აღნიშნული მოსაზრება ცნობილი გახდა დაშნაკური წრეებისათვის, რომლებმაც ატეხეს განგაში, რადგან ჩათვალეს, რომ თურქეთმა, საქართველომ და აზერბაიჯანმა შეადგინეს სომხეთის დანაწილების გეგმა. ატეხილ განგაშში ჩაება ინგლისი, რომელიც მხარს უჭერ-

და დაშნაკთა გეგმას – მითიური „დიდი სომხეთის“ აღდგენას.

შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო თურქეთის მთავრობა იძულებული გახდა, დაეშვა სომხეთის სახელმწიფოს არსებობა, რადგან შეცდომით ჩათვალეს, რომ ისინი სომხეთის შექმნით საშუალოდ განთავისუფლდებოდნენ როგორც ე.წ. „სომხეთის საკითხისაგან“, ისე სომხებისგან.

საქართველოს მთავრობამ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საზღვრების დადგენის ისტორიული პარამეტრებით ხელმძღვანელობის პრინციპი წამოაყენა, ხოლო სომხეთის მთავრობამ საზღვრების საკითხის გადასაწყვეტად ეთნიკური პრინციპი მოიშველია და მოითხოვა სომხური მოსახლეობით დასახლებული ტერიტორიები.

1918 წლის 10 ივნისს ორ ქვეყანას შორის საზღვრის გამიჯვნის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომაზე ი. წერეთელმა, განუცხადა სომხეთის მხარეს, რომ საქართველოს შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო ახალციხე, ყაზახი, ბორჩალოსა და ალექსანდროპოლის მაზრები. ამასთან დაკავშირებით ხ. კარჩიკიანმა განაცხადა, რომ ი. წერეთლის წინადადებაში იგი ხელავდა საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის სომხეთის დანაწილების ძველ გეგმას. ამრიგად მშვიდობიანი გზით სომხეთის და საქართველოს შორის საზღვრების დადგენა ვერ მოხერხდა.

1918 წლის შემოდგომაზე გერმანიის დამარცხებამ რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია. სამხრეთ კავკასიაში შემოვიდა ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ძალები. ამ ძალების იმედით სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის წინააღმდეგ წამოიწყო სისხლისმღვრელი ომი, მაგრამ დამარცხდა და სომეხთა ეროვნული იდეის „დიდი სომხეთის“ აღდგენის გეგმამ კრაზი განიცადა.

1920წ. ნოემბერში სომხეთის რესპუბლიკამ თავისი ზანმოკლულ არსებობა შეწყვიტა. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას ამ ფაქტთან დაკავშირებით სინანული არ გამოუთქვამს.

თეიმურაზ კაკასქირი

დუმბარტონ ოქსის კონფერენცია. უმნიშვნელოვანესი ეტაპი გამართიანებული ერაზის ორგანიზაციის შემხნის გზაზე

1944წ. შემოდგომაზე „დიდი სამეულის“ დიპლომატიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საკითხს ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის ჩამოყალიბების შესახებ. მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა ანტიჰიტლერული კოალიციის ამკარა სამხედრო უპირატესობა, მოკავშირეებმა სულ უფრო სერიოზულად დაიწყეს ფიქრი ისეთი მექანიზმის შექმნაზე, რომელიც ერთა ლიგაზე უფრო ეფექტურად იმოქმედებდა მსოფლიოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის პრინციპებზე საუბარი ჯერ კიდევ 1941წ. დაიწყო, ჩერჩილისა და რუზველტის პირველ კონფერენციაზე არჯენტიაში¹, მაგრამ ყოველივე ეს ზოგად ხასიათს ატარებდა და იმ პერიოდში მოკავშირეები ვერც იცლიდნენ ამ საკითხის უფრო კონკრეტული განხილვისათვის. მხოლოდ 1943წ. ოქტომბერში მოსკოვში გამართულ საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე დაუბრუნდნენ აშშ, დიდი ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი პრობლემის განხილვას და მიიღეს კიდევ დეკლარაცია, რომელსაც მოგვიანებით ჩინეთიც შეუერთდა. დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ ომის დასრულების შემდეგ აუცილებლად შეიქმნებოდა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფდა მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების

¹ *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1941. Vol. I. General. Wash., 1958, გვ. 368-369.*

დაცვას¹. მოგვიანებით თეირანში სტალინმა, რუზველტმა და ჩერ-ჩილმა 1943წ. 1 დეკემბრის დეკლარაციით დაადასტურეს მოს-კოვში მიღებული გადაწყვეტილებები².

1944წ. მაისში დღის წესრიგში დადგა კონკრეტული მო-ლაპარაკებების ჩატარება საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნას-თან დაკავშირებულ საკითხებზე. 30 მაისს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კ. ჰალმა შესთავაზა სსრკ-ს და დიდი ბრიტანეთის ელ-ჩებს, განეხილათ აღნიშნული პრობლემები ვაშინგტონში³. თავდა-პირველად ამერიკელებს სურდათ, რომ კონფერენციაზე მონაწი-ლეობა მიეღოთ ჩინეთის წარმომადგენლებსაც⁴, მაგრამ მოგვიანე-ბით გადაწყდა ჩინელებთან მოლაპარაკებები გაემართათ ცალკე – საბჭოთა მხარის მონაწილეობის გარეშე⁵. დადგინდა კონფერენ-ციის მოწვევის თარიღიც – 1944წ. 21 აგვისტო.

კონფერენციისათვის მზადების პერიოდში მხარეებმა ერთმა-ნეთს გააცნეს განსახილველი საკითხების თავიანთი თვალთახედ-ვა. 1944წ. 18 ივლისს ამერიკელებმა დიდი ბრიტანეთის, სსრკ-ს

¹ *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1943. Vol. I. General.* Wash., 1963, გვ. 755; *Советский Союз на международных конференци-ях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг.* Т. I. **Московская конференция министров иностранных дел СССР, США и Великобритании** (19-30 октября 1943г.). *Сборник документов.* М., 1978, გვ. 347.

² *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. The Conferences at Cairo and Tehran, 1943.* Wash., 1961, გვ. 639; *Советский Союз на меж-дународных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг.* Т. II. **Тегеранская конференция руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании** (28 ноября – 1 декабря 1943г.). *Сборник документов.* М., 1978, გვ. 174-175.

³ *Foreign Relations of the United States. Diplomatic Papers. 1944. Vol. I. General* (შემდგომში *FRUS*, 1944, I). Wash., 1966, გვ. 637; *Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг.* Т. III. **Конференция трех союзных держав – СССР, США и Великобритании в Думбартон-Оксе** (21 августа – 28 сентября 1944г.). *Сборник документов* (შემდგომში **Конференция в Думбартон-Оксе...**). М., 1979, გვ. 42-43.

⁴ *FRUS*, 1944, I, გვ. 637-638; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 43-44.

⁵ *FRUS*, 1944, I, გვ. 642-645; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 44-45. აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის დელეგაციების მოლაპარაკებები დაიწყო 1944წ. 29 სექტემბერს და დასრულდა 7 ოქტომბერს.

და ჩინეთის წარმომადგენლებს გაუგზავნეს დოკუმენტი სახელწოდებით: „წინასწარი წინადადებები საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის შესახებ“.¹ აღნიშნულ დოკუმენტში გაცხადებული იყო, რომ მოსკოვის დეკლარაციის ხელისმომწერ ოთხ სახელმწიფოს უნდა მიეღწია შეთანხმებისათვის მსოფლიო ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებზე, ხოლო შემდეგ, უკვე შეჯერებული პროექტი, გადაეცა დანარჩენი გაერთიანებული ერების² მთავრობებისათვის. დასკვნითი ეტაპი, ამერიკელების აზრით, გახდებოდა გაერთიანებული ერების კონფერენცია, რომელზეც საბოლოოდ იქნებოდა შეთანხმებული ორგანიზაციის ძირითადი დოკუმენტები³.

22 ივლისს მოკავშირეებს თავისი იდეები გააცნეს ბრიტანელებმაც, რომლებმაც 5 მემორანდუმი შეიმუშავეს⁴. ინგლისელებს მიაჩნდათ, რომ ოთხ სახელმწიფოს – აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, სსრკ-ს, ჩინეთს – უნდა დაეკავებინათ განსაკუთრებული ადგილი ორგანიზაციაში და სწორედ მათ უნდა აეღოთ, ძირითადად, პასუხისმგებლობა საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად⁵.

12 აგვისტოს თავისი მემორანდუმი უკვე გაავრცელა საბჭოთა მხარემ⁶. მასში ყურადღება გამახვილებული იყო ორგანიზა-

¹ *Charter of the United Nations*. Report to the President on the Results of the San Francisco Conference. By the Chairman of the United States Delegation, the Secretary of State. Department of State. Publication 2349. Conference Series 71. Wash., 1945, გვ. 25.

² ტერმინი „გაერთიანებული ერები“ გაჩნდა 1942წ. 1 იანვარს ვაშინგტონში 26 სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილი დეკლარაციის შედეგად (დეკლარაციის ტექსტი იხ.: *Foreign Relations of the United States*. Diplomatic Papers. **The Conferences at Washington, 1941-1942, and Casablanca, 1943**. Wash., 1968, გვ. 376-377; **J. Gwyer**. Grand Strategy. June 1941–August 1942, vol. 3, part I, L., 1964, გვ. 400; *Внешняя политика Советского Союза в период Отечественной войны*. Документы и материалы. В 3-х томах. Т. I. М., 1946, გვ. 194.

³ *Postwar Foreign Policy Preparation, 1939-1945*. U.S. Department of State. Publication 3580. Wash., 1950, გვ. 583-584.

⁴ *FRUS*, 1944, I, გვ. 670-693; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 73-99.

⁵ *FRUS*, 1944, I, გვ. 672; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 75.

⁶ *FRUS*, 1944, I, გვ. 706, 711; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 102-106.

ციის მიზნებსა და ამოცანებზე, შემაღვენლობაზე, ძირითად ორგანოებზე და აგრესიის აღკვეთისა და ჩახშობის საშუალებებზე¹. კონფერენციის დაწყების შემდეგ, 23 აგვისტოს, ჩინეთმაც წარმოადგინა თავისი წინადადებები².

კონფერენცია დაიწყო დროს, 1944წ. 21 აგვისტოს დაიწყო ვაშინგტონის გარეუბან ლუმბარტონ ოქსში. მოლაპარაკებები საკმაოდ პროდუქტიული გამოდგა. ლუმბარტონ ოქსის კონფერენციაზე ფაქტობრივად შემუშავებული იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. განსაკუთრებით დიდი დრო დაეთმო უშიშროების საბჭოში კენჭისყრის პროცედურას. კამათის მთავარი მიზეზი იყო საბჭოთა მხარის მოთხოვნა, რომ ნებისმიერი კენჭისყრისას დაცული ყოფილიყო ერთხმეობის პრინციპი და იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე მუდმივი წევრი იქნებოდა მოდავე მხარე, მას ჰქონოდა ხმის მიცემის უფლება³. ბუნებრივია, ამის წინააღმდეგ გაილაშქრეს ბრიტანეთისა და აშშ-ს დელეგაციებმა, რომელთაც ვერ წარმოედგინათ, თუ როგორ უნდა ჰქონოდა დავის მონაწილე ქვეყანას ხმის მიცემის (ფაქტობრივად კი ვეტოს დადების) უფლება⁴. საბოლოო ჯამში, სწორედ ეს აღმოჩნდა თითქმის ერთადერთი საკითხი, რომელზეც ლუმბარტონ ოქსში გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული⁵.

¹ *FRUS*, 1944, I, გვ. 706-707; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 102.

² *FRUS*, 1944, I, გვ. 718-728.

³ *FRUS*, 1944, I, გვ. 741; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 149.

⁴ *FRUS*, 1944, I, გვ. 798; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 128.

⁵ ეს საკითხი დაზუსტდა ყირიმის კონფერენციაზე და შეთანხმებას საფუძვლად ამერიკელებისა და ბრიტანელების წინადადება დაედო (იხ.: *Foreign Relations of the United States. The Conferences at Malta and Yalta*. Wash., 1957, გვ. 976; *Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг.* Т. IV. **Крымская конференция** руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании (4-11 февраля 1945г.). Сборник документов. М., 1979, გვ. 275), თუმცა საბოლოო რედაქცია მაინც მიღებული იქნა უშუალოდ სან ფრანცისკოს კონფერენციაზე (იხ.: *A Commentary on the Charter of the United Nations*. By **Norman Bentwich** and **Andrew Martin**. New York, 1950, გვ. XXII; *Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941-1945гг.* Т. V. **Конференция объединенных наций в Сан-Франциско** (25 апреля-26 июня 1945г.). Сборник документов. М., 1980, გვ. 594).

გარკვეული კამათი წარმოიშვა ორგანიზაციაში გაწევრიანების პრინციპის განსაზღვრისასაც. საბჭოთა მხარემ წამოაყენა წინადადება, რომ დამფუძნებელი წევრების რიცხვში შესულიყო ყველა სახელმწიფო, რომელმაც ხელი მოაწერა გაერთიანებული ერების დეკლარაციას ან მოგვიანებით შეუერთდა მას¹. საკუთრივ ამ დებულებას არ გამოუწვევია არანაირი წინააღმდეგობა კონფერენციაზე, მაგრამ მოგვიანებით საბჭოთა დელეგაციამ მოითხოვა დამფუძნებელთა რიცხვში შეეყვანათ 16-ვე საბჭოთა რესპუბლიკა². ბუნებრივია, ამან ამერიკელებისა და ბრიტანელების გაოცება გამოიწვია. რუზველტმა ვერ დამალა თავისი გაღიზიანება ამ ფაქტით და სტალინისათვის გაგზავნილ წერილში შემოფოთება გამოთქვა აღნიშნული მოთხოვნის გამო³. საბოლოო ჯამში, ეს წინადადება არ იქნა მიღებული და მისი განხილვა შემდგომისათვის გადაიდო⁴. გარდა ამისა, საბჭოთა მხარეს სურდა, რომ წესდებით აკრძალულიყო ორგანიზაციაში ფაშისტური ტიპის სახელმწიფოების გაწევრიანება⁵, მაგრამ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა უარყვეს ეს წინადადება. მათი თქმით, ძნელი განსასაზღვრი იქნებოდა, იყო თუ არა ესა თუ ის სახელმწიფო ფაშისტური ტიპის⁶. ამიტომაც გადაწყვეტილებებში ჩაიწერა, რომ ორგანიზაციის წევრობა შეეძლო ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს⁷.

¹ *FRUS*, 1944, I, გვ. 776-777; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 183.

² *FRUS*, 1944, I, გვ. 743; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 145. ამით საბჭოთა კავშირის გენერალურ ასამბლეაზე ავტომატურად ექნებოდა 17 ხმა, რაც საკმაოდ სერიოზული წინაპირობა იქნებოდა ამ ორგანოში უმრავლესობის მოსაპოვებლად.

³ **Переписка...**, т. II, გვ. 157.

⁴ ყირიმის კონფერენციაზე მხარეები შეთანხმდნენ, რომ ახალ ორგანიზაციაში გაწევრიანების უფლება ექნებოდათ უკრაინის სსრ-ს და ბელარუსიის სსრ-ს (იხ.: **The Conferences at Malta and Yalta**, გვ. 976; **Крымская конференция...**, გვ. 275)

⁵ **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 207.

⁶ **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 207-208; **R. B. Russell. A History of the United Nations: The Role of the United States, 1940-1945.** Assisted by **Jeannette E. Muther.** Wash., 1958, გვ. 424

⁷ *FRUS*, 1944, I, გვ. 891; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 230.

კონფერენციაზე შეთანხმებულ იქნა ახალი ორგანიზაციის, რომელსაც პირობითად ეწოდა „გაერთიანებული ერები“,¹ სტრუქტურა და ორგანოები. გადაწყდა, რომ ძირითადი ორგანოები ყოფილიყო: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო. დამხმარე ორგანოებს, საჭიროების შემთხვევაში, თავად ორგანიზაცია შექმნიდა². განისაზღვრა აგრეთვე მათი ფუნქციები. მსოფლიოში უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა დაეკისრა მუდმივმოქმედ უშიშროების საბჭოს, რომლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებით უნდა ეხელმძღვანელა ორგანიზაციის ყველა წევრს³. განისაზღვრა უშიშროების საბჭოს წევრთა რაოდენობაც – 11, რომელთაგან 5 – აშშ, სსრკ, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი და საფრანგეთი – მუდმივი წევრი იქნებოდა, დანარჩენები კი აირჩეოდნენ 2 წლით 6-დან სამი მათგანის ყოველ წელს გადარჩევით⁴. გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობის მიღების უფლება ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოს მიენიჭა. ასამბლეის ფუნქციებში შევიდა უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით ორგანიზაციაში ახალი წევრის მიღება და ნებისმიერი წევრის გარიცხვა, თუ ეს უკანასკნელი სისტემატურად დაარღვევდა სტატუტში ჩამოყალიბებულ პრინციპებს. გარდა ამისა, გენერალურ ასამბლეას მიეცა ორგანიზაციის გენერალური მდივნის არჩევის უფლება, თუმცა ყოველივე ეს ასევე უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით უნდა მომხდარიყო. აღნიშნული ორგანოს ფუნქციებში შევიდა აგრეთვე უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრების არჩევა და ორგანიზაციის ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხები⁵.

¹ *Dumbarton Oaks Documents on International Organization together with Chart and Questions and Answers* (Revised). U.S. Department of State. Publication 2257. Conference Series 60 (შემდგომში *Dumbarton Oaks Documents...*). Wash., 1945, გვ. 5; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 230.

² *Dumbarton Oaks Documents...*, გვ. 6; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 230.

³ *Dumbarton Oaks Documents...*, გვ. 8; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 233.

⁴ *Dumbarton Oaks Documents...*, გვ. 8; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 233.

⁵ *Dumbarton Oaks Documents...*, გვ. 6-7; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 231-232.

საორგანიზაციო საკითხების გარდა, ყველა გადაწყვეტილება ასამბლეას უნდა მიეღო 2/3-ით¹. დებატები ასამბლეასთან დაკავშირებულ საკითხებზე გაიმართა მხოლოდ ერთხელ და ეს გამოიწვია ამერიკელთა წინადადებამ, რომ ფინანსური საკითხების გადაწყვეტისას სახელმწიფოთა ხმების რაოდენობა ყოფილიყო ორგანიზაციის ხარჯებში მათი მონაწილეობის პროპორციული², მაგრამ ეს შემოთავაზება უარყოფილი იქნა.

დუმბარტონ ოქსში ჩამოყალიბდა დებულებები საერთაშორისო სასამართლოს შესახებ, თუმცა არ იქნა საბოლოოდ განსაზღვრული მისი სტატუსი. გადაწყდა, რომ მომავალში შექმნილიყო ახალი სტატუსი, ან შექმნილ ვითარებასთან შესაბამისობაში მოეყვანათ ერთა ლიგის მიერ 1922წ. დამტკიცებული სტატუსი³.

დელეგატებმა გადაწყვიტეს აგრეთვე ეკონომიკური და სოციალური საბჭოს შექმნა, რომლის წევრები ირჩეოდნენ 3 წლით და საკითხები უნდა გადაეწყვიტა უბრალო უმრავლესობით. საბჭოს ასევე მიენიჭა საჭირო კომისიების შექმნის უფლება⁴.

კონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს ორგანიზაციის მთავარ ადმინისტრაციულ პირზეც. გადაწყდა, რომ ეს ფუნქცია დაეკისრებოდა გენერალურ მდივანს, რომელსაც აირჩევდა გენერალური ასამბლეა ხმების 2/3-ით უშიშროების საბჭოსაგან რეკომენდაციის მიღების შემდეგ. მისი უფლებამოსილების ვადის განსაზღვრა მომავლისათვის გადაიდო⁵.

შეთანხმებულ დოკუმენტში აგრეთვე შევიდა ახალი ორგანიზაციის სტატუსტში ცვლილებების შეტანის დებულებაც. ეს დასაშვებად იქნა მიჩნეული, თუ შესწორებას მხარს დაუჭერდა ასამბლეის მონაწილეთა 2/3 და შემდგომ მოხდებოდა შეცვლილი სტა-

¹ *Dumbarton Oaks Documents...*, გვ. 7; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 232.

² **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 55.

³ *Dumbarton Oaks Documents...*, გვ. 9; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 235.

⁴ *Dumbarton Oaks Documents...*, გვ. 15; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 239-240.

⁵ *Dumbarton Oaks Documents...*, გვ. 16; **Конференция в Думбартон-Оксе...**, გვ. 241.

ტუტის ხელახალი რატიფიკაცია¹.

დუმბარტონ ოქსში მიღებული გადაწყვეტილებები აისახა მონაწილეების მიერ შემუშავებულ დოკუმენტში, რომელსაც ეწოდა „წინადადებები უსაფრთხოების საყოველთაო საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნასთან დაკავშირებით“ და რომელიც გამოქვეყნდა 1944წ. 9-10 ოქტომბერს². კონფერენციის შედეგებით სამივე მხარე მეტად კმაყოფილი დარჩა, რაც აისახა კიდევ როგორც მის მონაწილეთა მემუარებში, ისე ისტორიოგრაფიაში³. მართლაც, კონფერენცია გამოირჩეოდა სხვა მაღალი დონის შეხვედრებისაგან შედარებით მშვიდი ატმოსფეროთი და საკითხების სწრაფი გადაწყვეტით, თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დუმბარტონ ოქსში წამოჭრილი პრობლემების უმრავლესობას პრინციპული მნიშვნელობა მხარეებისათვის არ ჰქონდა. იქ კი, სადაც მართლაც პრინციპული იყო ამა თუ იმ მხარისათვის თავისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღება, იმართებოდა საკმაოდ მწვავე დებატები, რომლებსაც ზოგჯერ შედეგი არ მოჰქონდა. საბოლოო ჯამში, კონფერენცია წინგადადგმული ნაბიჯი იყო მსოფლიო ორგანიზაციის შექმნის გზაზე და, ალბათ, მართალი გახლდათ ჩ. ბოლენი, როდესაც აცხადებდა, რომ „დუმბარტონ ოქსის გარეშე არ იქნებოდა სან ფრანცისკო და შეიძლება არ ყოფილიყო გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“⁴.

¹ *Dumbarton Oaks Documents...*, გვ. 16; *Конференция в Думбартон-Оксе...*, გვ. 241.

² *Конференция в Думбартон-Оксе...*, გვ. 21.

³ *The Memoirs of Lord Gladwyn*. New York, 1972, გვ. 149; **А. А. Громько**. Памятное. Кн. 1. М., 1988, გვ. 342; **В. Л. Исраэлян**. Дипломатия в годы войны. 1941-1945, М., 1985, გვ. 328; **С. Боратынский**. Дипломатия периода второй мировой войны. М., 1959, გვ. 260 და ა.შ.

⁴ **Ch. E. Bohlen**. *Witness to History, 1929-1969*, New York, 1973, გვ. 160.

Т. З. ПАПАСКИРИ

КОНФЕРЕНЦИЯ В ДУМБАРТОН-ОКСЕ. ВАЖНЕЙШИЙ ЭТАП НА ПУТИ УЧРЕЖДЕНИЯ ОРГАНИЗАЦИИ ОБЪЕДИНЕННЫХ НАЦИЙ

В статье на основе анализа документальных материалов и мемуарных публикаций, а также специальной литературы, освещены ход и итоги переговоров, проходивших в пригороде Вашингтона Думбартон-Оксе.

Весной 1944г. в дипломатии „Большой Тройки“ одним из самых значительных был вопрос о формировании новой международной организации. По мере того, как военное преимущество антигитлеровской коалиции становилось явным, союзники более серьезно стали задумываться о создании такого механизма, который значительно эффективнее обеспечил бы безопасность во всем мире.

Конференция в Думбартон-Оксе была большим шагом вперед на пути к созданию всемирной организации. Представители США, Великобритании и СССР практически выработали устав Организации Объединенных Наций. Они согласовали условия членства в новой организации, её структуру и органы, полномочия Совета Безопасности, Генеральной Ассамблеи и Генерального Секретаря организации, и т.д. Сторонам не удалось выработать единого решения лишь по одному вопросу – процедуре голосования в Совете Безопасности. Главной причиной дискуссии явилось требование советской стороны при любом голосовании быть верными принципу единогласия, а также предоставить постоянному члену право голосовать, даже если он являлся одной из сторон участвующих в споре. Естественно, против этого выступили делегации Великобритании и США, которые просто не могли представить себе, как могла страна, участвующая в таком споре, голосовать (если быть точнее, накладывать вето) при рассмотрении конфликтной ситуации. В конце концов, этот вопрос был урегулирован на Крымской конференции.

Принятые в Думбартон-Оксе решения вошли в выработанный участниками документ, опубликованный 9-10 октября 1944г. Итогами конференции все участники остались довольны, что получило соответствующее отражение как в мемуарах участников, так и историографии.

თეიმურაზ პაპასძირი

შარლ დე გოლის ვიზიტი მოსკოვში და სსრკ-საფრანგეთის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება

1944წ. 2 დეკემბერს მოსკოვს ვიზიტით ეწვია საფრანგეთის დროებითი მთავრობის მეთაური გენ. შარლ დე გოლი. სსრკ-ში ჩამოსვლის იდეა მთლიანად დე გოლს ეკუთვნოდა და მან თავისი სურვილის შესახებ ამცნო საბჭოთა მხარეს 8 ნოემბერს საფრანგეთის დროებით მთავრობასთან აკრედიტებულ ელჩ ა. ბოგომოლოვთან საუბრისას¹. 13 ნოემბერს ბოგომოლოვმა მოლოტოვისაგან დადებითი პასუხი მიიღო და ვიზიტისათვის მზადებაც დაიწყო. დე გოლისთვის აღნიშნული შეხვედრა უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. საფრანგეთის დროებითი მთავრობის მეთაურს ყველანაირად სურდა, აღედგინა თავისი ქვეყნის ომამდელი მდგომარეობა. ის გრძობდა, რომ ღიდი ბრიტანეთისა და, განსაკუთრებით, აშშ-ს ხელმძღვანელობა არ აღიქვამდა საფრანგეთს სრულ-

¹ *Советско-французские отношения во время Великой Отечественной войны 1941-1945гг.* Документы и материалы. М., 1959, გვ. 325. აღსანიშნავია, რომ თავად დე გოლი სრულიად საპირისპიროს ამტკიცებდა მე-მუარებში. მისი თქმით, ჩერჩილისა და იდენის საფრანგეთში ვიზიტის დასრულების შემდეგ (ვიზიტი 1944წ. 10-13 ნოემბერს შედგა) ბოგომოლოვმა თავად გადასცა მას საბჭოთა მთავრობის მოწვევა მისი მხრიდან ყოველგვარი თხოვნის გარეშე (იხ.: **Ch. de Gaulle.** War Memoirs. The Salvation 1944-1946. Translated from French by *Richard Howard.* New York, 1960, გვ. 61; *The Complete War Memoirs of Charles de Gaulle.* 1940-1946. New York, 1984, გვ. 729). თუმცა ა. ვერთის მტკიცებით, დე გოლის მემუარები მოსკოვის ვიზიტის აღწერისას მაინცდამაინც ღიდი სიზუსტითა და სანდოობით არ გამოირჩევა, რასაც ის საკუთარი დაკვირვებებით (ა. ვერთი თავად იყო ამ ვიზიტისას შემდგარი რამდენიმე შეხვედრის მოწმე) ასაბუთებს (იხ.: **A. Werth.** De Gaulle: A Political Biography. New York, 1966, გვ. 182-186).

უფლებიან პარტნიორად². ამიტომ დე გოლს ძალიან მოეწონა აზრი, დაედო სამოკავშირეო ხელშეკრულება სსრკ-სთან, რაც მას გარკვეულწილად მისცემდა საშუალებას, ქცეულიყო რუზველტისა და ჩერჩილის თანასწორად³. სწორედ ასეთი დოკუმენტის ხელმოწერა სტალინთან იყო დე გოლის მთავარი პოლიტიკური მიზანი მოსკოვში. გარდა ამისა, დე გოლს სურდა, გაერკვია, თუ რა დამოკიდებულება ექნებოდა საბჭოთა ლიდერს საფრანგეთ-გერმანიის მომავალი საზღვრის საკითხისადმი. თავის მხრივ, როგორც ჩანს, სტალინს არ ჰქონდა ცალსახად ჩამოყალიბებული პოზიცია საფრანგეთის მიმართ. სავარაუდოდ, მისი დამოკიდებულება დე გოლისადმი მთლად დადებითი არ იყო. ამას გვაფიქრებინებს ა. ბოგომოლოვის მიერ სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში 1944წ. 14 ნოემბერს გამოგზავნილი წერილი. მასში სსრკ-ს ელჩი საფრანგეთში საკმაოდ საინტერესო კომენტარებს აკეთებს. ის შესაძლებლად მიიჩნევს დე გოლის მიერ წარმოდგენილი დელეგაციის წევრების სიის დამტკიცებას და იქვე აღნიშნავს, რომ საფრანგეთის ლიდერი შეჩვეული იყო პალეესკის⁴ მდივნობას, რაც, ბოგომოლოვის თქმით, მისთვისვე იქნებოდა უარესი, თუ ცუდი თანაშემწე ჰყავდა შერჩეული⁵. გარდა ამისა, საბჭოთა ელჩი ითხოვდა ნებართვას, გამოჰყოლოდა დე გოლს, რომელიც

² **A. W. DePorte.** De Gaulle's Foreign Policy. 1944-1946. Cambridge, MA, 1968, გვ. 75; **B. Crozier.** De Gaulle. New York, 1973, გვ. 341-342; **Ch. Williams.** The Last Great Frenchman: A Life of General De Gaulle. 1944-1946. New York, 1993, გვ. 294; **D. Cook.** Charles De Gaulle: A Biography. New York, 1983, გვ. 261-262; **F. Mauriac.** De Gaulle. Translated from French by **Richard Howard.** New York, 1966, გვ. 40; **B. Ledwidge.** De Gaulle. New York, 1982, გვ. 186.

³ ამით ის მოკავშირეებისათვის სამაგიეროს გადახდას აპირებდა „ღალატისათვის“ (იხ.: **C. Mauriac.** Un Autre de Gaulle. P., 1971, გვ. 23; **C. Mauriac.** The Other de Gaulle. Diaries 1944-1945. Translated by **Moura Budberg** and **Gordon Latta.** New York, 1973, გვ. 22).

⁴ პალეესკი იყო დე გოლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ჩვენთვის უცნობია, თუ რა მიზეზით მოიხსენია ის ასეთი ტონით ბოგომოლოვმა – **თ.პ.**

⁵ *Советско-французские отношения во время Великой Отечественной войны 1941-1945гг.* Документы и материалы. В 2-х томах, т. II. 1944-1945. М., 1983, გვ. 144.

მეტად მგრძობიარე იყო სახელმწიფოს მეთაურის პროტოკოლის ნორმების საკითხში და საჭირო არ იყო მისი განაწყენება მოგზაურობის დასაწყისიდანვე⁶.

დე გოლმა მოსკოვში 8 დღე დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე შეხვდა სტალინს. გარდა ამისა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჟ. ბილოსა და სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მოლოტოვს სისტემატური კონსულტაციები ჰქონდათ. მოლაპარაკებების ძირითადი თემა იყო საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელშეკრულების გაფორმების საკითხი. პირველივე დღიდან ნათელი გახდა, რომ ფრანგებს სურდათ, საბჭოთა მხარესთან დაედოთ 1942წ. 26 მაისის სსრკ-დიდი ბრიტანეთის სამოკავშირეო ხელშეკრულების მსგავსი დოკუმენტი⁷.

პირველი საუბარი სტალინსა და დე გოლს შორის შედგა 2 დეკემბერს. თავდაპირველად მხარეებმა ზოგადი ხასიათის თემებზე ისაუბრეს, რის შემდეგაც დე გოლი პირდაპირ გადავიდა მთავარ საკითხზე. მან განაცხადა, რომ საფრანგეთის წინაშე არსებული თითქმის ყველა საგარეო თუ შინაპოლიტიკური პრობლემა სათავეს იღებდა 1870-1871, 1914-1918 და 1940 წლებში გერმანიის მიერ საფრანგეთზე განხორციელებული თავდასხმებიდან. ამიტომ, დე გოლის თქმით, ფრანგებისთვის ცხადი გახდა, რომ მომავალში ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი იყო მჭიდრო თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან. მან ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთის უბედურებების ძირითადი მიზეზი იყო რუსეთთან (ასეა ორიგინალში – თ.პ.) ეფექტური ხელშეკრულების უქონლობა⁸. საბჭოთა მხარემ, კერძოდ, მოლოტოვმა, შეახ-

⁶ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 144.

⁷ დოკუმენტის ტექსტი იხ.: *Внешняя политика Советского Союза в период Отечественной войны*. Документы и материалы. В 3-х томах. Т. I. М., 1946, გვ. 270-273.

⁸ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 158. დე გოლის მემუარებში ამ შეხვედრის ტექსტი ოდნავ განსხვავდება საბჭოთა ჩანაწერისაგან. მასში საფრანგეთის მარცხი ახსნილია იმ გარემოებით, რომ რუსეთი არ იყო წარმოდგენილი 1919წ. პარიზის საზავო კონფერენციაზე, რის გამოც ფრანგებს დააკლდათ რუსების მხარდაჭერა საზღვრების საკითხში (იხ.: **Ch. de Gaulle**. *War Memoirs. The Salvation 1944-1946. Documents*. Translated by **Joyce Murchie** and **Hamish Erskine** (შემდგომში *The Salvation. Documents...*). New York, 1960, გვ. 84.

სენა დე გოლს, რომ 1935წ. საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის გაფორმდა პაქტი, რომელიც ფაქტობრივად არ შესრულდა⁹. საფრანგეთის ლიდერმაც გაიხსენა ეს ხელშეკრულება და აღნიშნა, რომ ძირითადად ის არ იყო ცუდი დოკუმენტი, თუმცა მასში რამდენიმე პუნქტი მოძველდა. აქვე მან იკითხა, იყო თუ არა შესაძლებელი 1935 წლის პაქტზე დაყრდნობა ახალი ხელშეკრულების შემუშავებისას. სტალინმა შესაძლებლად მიიჩნია ამ საკითხზე დაფიქრება¹⁰.

გარდა სამოკავშირეო ხელშეკრულებისა, დე გოლმა წამოჭრა საფრანგეთ-გერმანიის მომავალი საზღვრის საკითხიც. საფრანგეთის ლიდერმა პირდაპირ განუცხადა სტალინს, რომ მას სურდა საზღვარი მდინარე რაინზე, რაც გეოგრაფიულად უფრო იოლს გახდიდა შემდგომში გერმანიისაგან თავის დაცვას. სტალინმა დააზუსტებინა დე გოლს, ნიშნავდა თუ არა ეს რაინის ოლქის საფრანგეთის შემადგენლობაში შეყვანას და, დადებითი პასუხის მიღების შემდეგ აღნიშნა, რომ მას პირველად ესმოდა ასეთი მოთხოვნის შესახებ, რადგანაც ინგლისელები რაინ-ვესტ-ფალიის ოლქზე საერთაშორისო კონტროლის დამყარების იდეას იხილავდნენ. აქვე საბჭოთა ლიდერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთს (ასეა ორიგინალში – თ.პ.) გაუჭირდებოდა ბრიტანელების მოსაზრების წინააღმდეგ წასვლა¹¹. როგორც ჩანს, დე გოლი საკმაოდ გააღიზიანა ამ შენიშვნამ და განაცხადა, რომ ფრანგების მდგომარეობაში ინგლისელები და ამერიკელები სხვანაირად გადაწყვეტდნენ საკითხს, მაგრამ მათ სხვა პრობლემები აწუხებდათ, რადგანაც გეოგრაფიულად და ისტორიულად რაინზე არ იმყოფებოდნენ. ამიტომაც მოუხდათ ყველაზე დიდი მსხვერპლის გაღება, დე გოლის თქმით, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს¹². სტალინს ამკარად არ მოსწონდა ამ საკითხზე საუბარი და ყვე-

⁹ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 164; *The Salvation. Documents*, გვ. 86.

¹⁰ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 164-165; *The Salvation. Documents*, გვ. 86.

¹¹ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 162; *The Salvation. Documents*, გვ. 85.

¹² *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 162.

ლანიარად ეცადა, აერიდებინა მისი განხილვა. მან აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ხელმძღვანელების გარეშე არ შეიძლებოდა საზღვრების საკითხის გადაწყვეტა. გარდა ამისა, სტალინიმა შენიშნა, რომ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის გარეშე ასევე ძნელი იყო გერმანიის დამარცხება, რაზეც მეტყველებდა ბოლო ორი ომის გაკვეთილები¹³.

შესაძლოა, საბჭოთა ლიდერი ფიქრობდა, რომ დე გოლი ამის შემდეგ მაინც შეწყვეტდა რაინზე საუბარს, მაგრამ გენერალი მაინც არ დაცხრა. მან განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ჩარევა ხდებოდა მაშინ, როდესაც საფრანგეთი უკვე თითქმის დაღუპული იყო. ამიტომ დე გოლმა საჭიროდ ჩათვალა კარგი პირობების შექმნა გერმანიასთან შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში, რაც, ყველას, მათ შორის ინგლისელებისა და ამერიკელების, ინტერესებში შედიოდა¹⁴. სტალინიმა ახლა უკვე პირდაპირ უთხრა საფრანგეთის ლიდერს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა საბჭოთა მხარეს არ შეეძლო სხვა მოკავშირეების გარეშე. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ სსრკ-შიც იყო ხალხი, ვინც კარპატებსა და ტრანსილვანიას ბუნებრივ საზღვრებად თვლიდა, მაგრამ ამის მიღწევა არ იყო ადვილი¹⁵. სტალინიმა ხაზი გაუსვა, რომ სამხედრო თვალსაზრისით საზღვრები კი არ იყო მნიშვნელოვანი, არამედ ძლიერი არმია¹⁶. როგორც ჩანს, ეს არგუმენტი საკმაოდ დამაჯერებელი აღმოჩნდა დე გოლისათვის, რომელმაც მხოლოდ ის შენიშნა, რომ რაინის ოლქზე საერთაშორისო კონტროლის დამყარების შემთხვევაში საფრანგეთი სხვა სახელმწიფოების კეთილ ნებასა და მზადყოფნის დონეზე იქნებოდა დამოკიდებული¹⁷.

¹³ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 162-163.

¹⁴ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 163.

¹⁵ ძნელი სათქმელია, თუ ვინ თვლიდა საბჭოთა კავშირში სსრკ-ს ბუნებრივ საზღვრად ტრანსილვანიას (საერთოდ, ისიც საკითხავია, თუ რამდენად სწორად შეიძლება ჩაითვალოს ტერმინი „სსრკ-ს ბუნებრივი საზღვარი“ ისტორიული თვალსაზრისით), მაგრამ კარპატებს საბჭოთა იმპერიის საზღვარი მთელ რიგ მონაკვეთებზე ომის შემდგომ გასცდა კიდევ. სტალინის ეს სიტყვები ერთგვარ ეჭვს გვიძინებს, ხომ არ სურდა მას რუმინეთის მთლიანად „ჩაყლაპვა“ და ერთ-ერთ საბჭოთა რესპუბლიკად გადაქცევა.

¹⁶ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 163.

¹⁷ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 163.

გაცილებით უფრო იოლად წარიმართა მსჯელობა გერმანიის აღმოსავლეთი საზღვრის საკითხზე. დე გოლი პრაქტიკულად განხილვის გარეშე დაეთანხმა სტალინის სურვილს, რომ გერმანია-პოლონეთის საზღვარს გაეველო მდინარეებზე ოდერსა და ნოისეზე. გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ საფრანგეთი არ იქნებოდა აღმოსავლეთ პრუსიის პოლონეთისათვის გადაცემის წინააღმდეგი¹⁸.

ზემოაღნიშნული საკითხების გარდა, სტალინმა საკმაოდ დაწვრილებით გამოჰკითხა დე გოლს, საფრანგეთში არსებული მდგომარეობისა მისი სამხედრო პოტენციალის შესახებ. გაირკვა, რომ საფრანგეთში მრეწველობის აღდგენა საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა, არმიას თითქმის არ ჰყავდა ოფიცრები, ხოლო ავიაცია პრაქტიკულად არ არსებობდა. სტალინმა შესთავაზა კიდევ დე გოლს, რომ დაუბრუნებდა მას საავიაციო პოლკ „ნორმანდიის“ პილოტებს, მაგრამ საფრანგეთის ლიდერმა უპასუხა, რომ ამ შენაერთს დიდი სარგებელი მოჰქონდა აღმოსავლეთის ფრონტზე. მაშინ სტალინმა მას შესთავაზა აღნიშნული პოლკის დივიზიად გადაკეთება. ეს იდეა დე გოლსაც მოეწონა და თანხმობაც განაცხადა ახალგაზრდა მფრინავების საბჭოთა კავშირში გამოგზავნაზე¹⁹.

საუბრის ბოლოს სტალინმა საუბმეზე მიიწვია დე გოლი, რომელმაც, თავის მხრივ, მადლობა გადაუხადა საბჭოთა ლიდერს მიღებისათვის²⁰.

მომდევნო დღეს რაიმე მოლაპარაკებებს უმაღლეს დონეზე თუ საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის ადგილი არ ჰქონია, თუმცა საღამოს, როდესაც ფრანგული დელეგაცია თეატრში იმყოფებოდა, მოლოტოვმა წამოჭრა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის პაქტის რატიფიკაციის საკითხი. სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჯერ დეჟანს დაუსვა კითხვა, თუ რა პირობებში

¹⁸ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 165-166; *The Salvation. Documents*, გვ. 86.

¹⁹ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 160-161. ეს ნაწილი არ არის მოყვანილი შეხვედრის ამსახველ ფრანგულ დოკუმენტში, რომლის ჩაწერასაც გარო აწარმოებდა.

²⁰ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 166; *The Salvation. Documents*, გვ. 86.

მოხდებოდა საფრანგეთში პაქტის რატიფიცირება და თუ მიიღებდა ამასში მონაწილეობას საფრანგეთის საკონსულტაციო ასამბლეა²¹. ფრანგმა დიპლომატმა მას ამცნო, რომ ასამბლევას მხოლოდ რჩევის მიცემა შეეძლო, რაც ჩანდა კიდევ მისი სახელწოდებიდან. მოლოტოვი, როგორც ჩანს, არ დაკმაყოფილდა პასუხით და ახლა უკვე ბიდოს მიმართა იგივე კითხვით. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგივე განმარტება მისცა თავის საბჭოთა კოლეგას, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც არ დაკმაყოფილდა და უკვე თავად დე გოლს შეეკითხა რატიფიკაციის თაობაზე. საფრანგეთის ლიდერმაც დაამოწმა თავისი ხელქვეითების პასუხი და დაუკონკრეტა კიდევ მოლოტოვს, რომ 1943 წლის სსრკ-ჩეხოსლოვაკიის პაქტი რატიფიცირებულ იქნა მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის ედუარდ ბენეშის მიერ, რომელიც, ამასთან, დროებით ასრულებდა თავის მოვალეობებს და თანაც ლონდონში იმყოფებოდა²². მხოლოდ ამის შემდეგ დაცხრა სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, თუმცა, როგორც ჩანს, სტალინი ბოლომდე არ დაკმაყოფილდა ამ განმარტებით. ამას ადასტურებს მის მიერ იმავე დღეს ჩერჩილისა და რუზველტისათვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც ის მათ ამცნობდა დე გოლთან მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ. საბჭოთა ლიდერმა „დიდი სამეულის“ სხვა წევრებს შეატყობინა, რომ ფრანგებს ჯერ კიდევ უნდა დაეზუსტებინათ რატიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები²³. აქვე სტალინი შეეხო საფრანგეთ-გერმანიის მომავალი საზღვრის საკითხს და ამცნო ჩერჩილსა და რუზველტს, რომ მან უარი უთხრა საფრანგეთის დროებითი მთავრობის მეთაურს ამ საკითხის გადაწყვეტაზე აშშ-სა და დიდი ბრი-

²¹ **Ch. de Gaulle.** Mémoires de guerre. Le Salut. 1944-1946. P., 1959, გვ. 146; Complete War Memoirs..., გვ. 741.

²² **Ch. de Gaulle.** Mémoires de guerre. Le Salut, გვ. 146; Complete War Memoirs..., გვ. 741.

²³ *Переписка председателя совета министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании во время Великой Отечественной войны 1941-1945гг.* (შემდგომში *Переписка...*). Т. I. Переписка с У. Черчиллем и К. Эттли (июль 1941г. – ноябрь 1945г.). М., 1957, გვ. 285; *Переписка...*, т. II. Переписка с Ф. Рузвельтом и Г. Труменом (август 1941г. – декабрь 1945г.). М., 1957, გვ. 169-170.

ტანეთის თანხმობის გარეშე²⁴. წერილის ბოლოს საბჭოთა ლიდერმა სთხოვა თავის კოლეგებს, რომ გამოეგზავნათ თავიანთი შენიშვნები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით²⁵.

5 დეკემბერს შედგა ოფიციალური საუბარი მოლოტოვსა და ბილოს შორის, რომლის დროსაც მხარეები ძირითადად ხელშეკრულების პროექტს ათანხმებდნენ, თუმცა, უკვე შეხვედრის დასაწყისში, საბჭოთა მინისტრმა გააკეთა ერთი მეტად საინტერესო განცხადება, რომელმაც ცხადყო, რომ სტალინს გარკვეული გეგმა ჰქონდა შემუშავებული ფრანგებთან მიმართებაში. მოლოტოვმა ჯერ ამცნო თავის კოლეგას, რომ დუმბარტონ ოქსში საბჭოთა მხარემ მხარი დაუჭირა ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის მუდმივ წევრთა შორის საფრანგეთის შეყვანას. მან აქვე აღნიშნა, რომ სსრკ-მ აგრეთვე შესთავაზა დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს, შეეყვანათ საფრანგეთის წარმომადგენელი ევროპის საკონსულტაციო კომისიაში²⁶. ამის შემდეგ კი მოლოტოვმა მოულოდნელად განუცხადა ბილოს, რომ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს კიდევ ჰქონდათ გადასადგმელი ნაბიჯები თავიანთი პოზიციების შესაჯერებლად სხვადასხვა საკითხზე, კერძოდ კი, პოლონეთის შესახებ²⁷. ჩვენი ყურადღება სწორედ ამ გარემოებამ მიიქცია. როგორც შემდგომმა მოლაპარაკებებმა ცხადყო, საბჭოთა მხარის მოქმედება შემთხვევითი არ იყო. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, როგორც ჩანს, თავიდან მაინცდამაინც არ გაუმახვილებია ყურადღება ამ ფაქტზე და მხოლოდ აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა დაინტერესებული იყო ძლიერი პოლონეთით და მას არ ჰქონდა რაიმე შენიშვნები პოლონეთის საზღვრებთან დაკავშირებით²⁸. შესაძლოა, ფრანგულ დელეგაციას იმედი ჰქონდა, რომ პოლონეთის თემა ამით ამოწურული იქნებოდა, მაგრამ საუბრისას გაირკვა საბჭოთა მხარის ნამდვილი მიზანი. პაქტის

²⁴ *Переписка...*, т. I, გვ. 285; *Переписка...*, т. II, გვ. 169.

²⁵ *Переписка...*, т. I, გვ. 285; *Переписка...*, т. II, გვ. 170.

²⁶ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 168-169. ფრანგულ დოკუმენტებში მხოლოდ დე გოლისა და სტალინის საუბრების ჩანაწერებია მოყვანილი, თანაც არასრულად – თ.პ.

²⁷ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 169.

²⁸ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 169.

პროექტის განხილვის დასრულების შემდეგ მოლოტოვი კვლავ დაუბრუნდა პოლონეთის საკითხს და ჰკითხა ფრანგული დელეგაციის წევრებს (შეხვედრას გარო და ლეჟანიც ესწრებოდნენ – თ.პ.), თუ შეესაბამებოდა სიმართლეს ფრანგული მხარის სურვილი, გაეგზავნა ლუბლინში, სადაც განთავსებული იყო პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი, ორი ფრანგი ოფიცერი, რომლებიც იზრუნებდნენ განთავისუფლებულ ფრანგ ტყვეებზე და, ამავე დროს, მიეღო პარიზში პეგკ-ს ოფიციალური წარმომადგენელი²⁹. ბილომ და გარომ დაადასტურეს ეს ინფორმაცია, რის შემდეგაც სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მოულოდნელად შესთავაზა მათ, გაეცვალათ ოფიციალური წარმომადგენლები ლუბლინელ პოლონელებთან და აღნიშნა, რომ მსგავსი აქტი გაადვილებდა ხელშეკრულების გაფორმებას საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის³⁰. აქ უკვე ნათელი გახდა საბჭოთა მხარის ჭეშმარიტი მიზანი: მოეხდინა მის მიერ შეკონსტიტუციონირებული პოლონეთის მარიონეტული მთავრობის საერთაშორისო ცნობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოური ისტორიოგრაფია ყველანაირად ცდილობდა, არ „შეემჩნია“ აღნიშნული ფაქტი. მკვლევართა დიდი უმრავლესობა არც იხსენიებდა იმ გარემოებას, რომ სტალინმა და მოლოტოვმა საფრანგეთსა და სსრკ-ს შორის პაქტის გაფორმება პირდაპირ მიაბეს პეგკ-ს ოფიციალური ცნობის საკითხს³¹. ასე, მაგალითად, ვ. ისრაელიანმა მხოლოდ აღნიშნა,

²⁹ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 171.

³⁰ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 171-172. როგორც ჩანს, ფრანგულ მხარეს ასეთი შესაძლებლობა გათვალისწინებული ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებს თავად დე გოლი, თუმცა, მისი თქმით, მას სურდა საბოლოოდ დაზუსტება, თუ რისი გაკეთება სურდა სტალინს პოლონეთში (იხ.: **Charles de Gaulle**. War Memoirs. The Salvation, გვ. 73).

³¹ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ოფიციალური საბჭოთა გამოცემა „История дипломатии“, თუმცა აქაც არის მნიშვნელოვანი უზუსტობა, თითქოს ჯერ შეთანხმებული იქნა საფრანგეთის დროებით მთავრობასა და პეგკ-ს შორის არაოფიციალური წარმომადგენლების გაცვლა და მხოლოდ შემდეგ იქნა გაფორმებული პაქტი (იხ.: **История дипломатии**, т. IV, გვ. 518-519).

რომ დე გოლის ვიზიტის დროს გამართული შეხვედრებისას მიმდინარეობდა საუბარი პოლონეთის პრობლემაზე, თუმცა რა ვითარებაში და როგორ, არ დაუკონკრეტებია. უფრო მეტიც, მან ისიც კი განაცხადა, რომ ამ საკითხზე არანაირი გადაწყვეტილებები არ იქნა მიღებული³².

ჩვენი აზრით, სტალინმა ჩერჩილთან მოსკოვში გამართული მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ ერთგვარად შეიცვალა პოზიცია პოლონეთის საკითხზე. სავარაუდოდ, ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო ლონდონის პოლონურ მთავრობაში მომხდარი სერიოზული გადაადგილებებით. 1944წ. ნოემბრის ბოლოს ემიგრანტული მთავრობის პრემიერ მინისტრი მიკოლაიჩიკი იძულებული გახდა, გადამდგარიყო და მისი ადგილი დაიკავა ტომაშ არციშევსკიმ. მიკოლაიჩიკის გადადგომის მთავარი მიზეზი გახდა მისი თანხმობა პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრად კერზონის ხაზის განსაზღვრაზე. ახალმა მთავრობამ კატეგორიული უარი განაცხადა საბჭოთა მხარის ამ მოთხოვნაზე, რამაც სტალინს, როგორც ჩანს, საბოლოოდ გადააწყვეტინა მათი ბედი. ყოველ შემთხვევაში, აქედან მოყოლებული ის გაცილებით უფრო აქტიურად უჭერდა მხარს მის მიერვე შექმნილ პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტს და ეს მკაფიოდ სწორედ დე გოლის მოსკოვში ვიზიტისას გამოვლინდა.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიპლომატიურად თავი შეიკავა კონკრეტული პასუხის გაცემისაგან და აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობა არ გადადგამდა ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც არ იქნებოდა შეთანხმებული მოკავშირეებთან და რომ ის შეწუხებული იყო ლონდონისა და ლუბლინის პოლონურ მთავრობებს შორის არსებული დაპირისპირებით. აქვე ბილომ შენიშნა, რომ საკითხის ამგვარად დაყენება მისთვის სიახლე იყო და პირადი შეხედულებით მისი დადებითად გადაწყვეტა შესაძლებლად ჩათვალა³³.

³² **В. Л. Израэлян.** Дипломатическая история Великой Отечественной войны. М., 1959, გვ. 269-270; **В. Л. Израэлян.** Дипломатия в годы войны. М., 1985, გვ. 318-319.

³³ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 172.

მოლოტოვი არ დაკმაყოფილდა ბილოს პასუხით და პირდაპირ განუცხადა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ საბჭოთა მხარე ერთმანეთს უკავშირებდა სსრკ-საფრანგეთის ხელშეკრულების დადებასა და პოლონეთსა და საფრანგეთს შორის ოფიციალური კონტაქტების გაფორმებას და ამ პროცესებს ერთდროულად გადასაწყვეტად მიიჩნევდა³⁴. პასუხად ბილომ შენიშნა, რომ ის არ თვლიდა აუცილებლად პაქტის დაკავშირებას რაიმე წინაპირობასთან. აქვე მან აღნიშნა, რომ ფრანგებსაც სურდათ ზოგიერთი საკითხის, პირველ რიგში, რაინზე საზღვრის, სასწრაფოდ გადაწყვეტა³⁵. გარომ, თავის მხრივ, დაამატა, რომ ფრანგები ისედაც ყველა სხვა მოკავშირეზე შორს იყვნენ წასული ლუბლინის მთავრობასთან დაკავშირებით, რაზეც მეტყველებდა მათი კონტაქტები პეკ-ს წევრებთან და წინადადება არაოფიციალური წარმომადგენლების გაცვლის შესახებ, რომელზეც პასუხი ჯერ კიდევ არ იყო მიღებული³⁶.

მოლოტოვმა აქ ოდნავ დაიხია უკან და აღნიშნა, რომ ის არ სთხოვდა ფრანგებს, ურთიერთობა გაეწყვიტათ ლონდონის ემიგრანტულ მთავრობასთან, თუმცა პირდაპირ უთხრა მათ, თუ რატომ არ იყო პასუხი მიღებული ლუბლინიდან. მისი თქმით, პოლონელებს არ აკმაყოფილებდათ შეთავაზებული პირობები. საუბრის დასასრულს კი სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა კიდევ ერთხელ განუმარტა ფრანგულ დელეგაციას, რომ პოლონეთის საკითხში პოზიციების თანხვედრა იქნებოდა საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულების დადების მთავარი პირობა³⁷. აქ ბილოს, როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს აზრად მოუვიდა, განეცხადებინა, რომ დე გოლის თანხმობის გარეშე მას არ შეეძლო რაიმე გადაწყვეტილების მიღება, თუმცა მან იქვე, ჩვენი აზრით, საკმაოდ სერიოზული შეცდომა დაუშვა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ურთიერთობები ლონდონის ემიგრანტულ მთავრობასთან სამუდამო ხა-

³⁴ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 172.

³⁵ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 172.

³⁶ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 172.

³⁷ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 172-173.

სიათს არ ატარებდა და რომ პირადად ის არ ხელავდა რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რათა აღნიშნული საკითხი არ გადაწყვეტილიყო³⁸. ეს ნამდვილად არ იყო სწორი ნაბიჯი, რადგანაც ამით ფრანგმა დიპლომატმა აგრძნობინა საბჭოთა მხარეს, რომ მათთვის პაქტის დადება უალრესად მნიშვნელოვანი იყო და ყველა დანარჩენი საკითხი პრინციპულ ხასიათს არ ატარებდა.

აღნიშნული საუბარი ამით დასრულდა და დებატები გაგრძელდა მომდევნო დღეს, მთავრობათა მეთაურების მორიგი შეხვედრისას. დე გოლმა საუბარი სწორედ პოლონეთის საკითხით დაიწყო და საკმაოდ ვრცლად ისაუბრა საფრანგეთისა და პოლონეთის ისტორიულ მოკავშირეობაზე, პოლონეთის მომავალ საზღვრებზე, რის შემდეგაც გადავიდა პრობლემაზე, რომელიც აწუხებდა სტალინს³⁹. უნდა აღინიშნოს, რომ აქ საფრანგეთის ლიდერი წარმოჩინდა, როგორც კარგი დიპლომატი, რადგანაც მისი პასუხი იმდენად დაბალანსებული იყო, რომ სტალინმა ვერ მოახერხა თავისი სურვილის დაფიქსირება და პოლონეთის საკითხის მიბმა სსრკ-საფრანგეთის ხელშეკრულებასთან. დე გოლმა შენიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობას ჯერ კიდევ სიკორსკის⁴⁰ დროიდან ჰქონდა დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობები პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობასთან და იქვე დასძინა, რომ ფრანგებს არ გააჩნდათ რაიმე პრაქტიკული ან მატერიალური შეხება მასთან, რადგანაც ეს პოლონელები იმყოფებოდნენ ლონდონში და არა პოლონეთში. საფრანგეთის ლიდერმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა თვალყურს მიადევნებდა მოვლენების განვითარებას პოლონეთში და როდესაც ამ სახელმწიფოს ტერიტორია მთლიანად იქნებოდა განთავისუფლებული საბჭოთა ჯარების მიერ, გამოიყენებდა თავის გავლენას და მაქსიმალურად ხელს შეუწყობდა ორ პოლონურ დაჯგუფებას შორის საერთო ენის გამონახვას. ის შეეცდებოდა აგრეთვე, უზრუნველყო სსრკ-სა

³⁸ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 173.

³⁹ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 176-177.

⁴⁰ ვლადისლავ სიკორსკი იყო პოლონეთის ემიგრანტული მთავრობის პრემიერ მინისტრი 1939-1943 წლებში. ის დაიღუპა 1943წ. ივლისში ავიაკატასტროფაში ჰიბრალტარის მახლობლად.

და საფრანგეთის მიმართ პოლონეთის მხრიდან მეგობრული პოზიციის დაკავება⁴¹.

დე გოლის ვრცელი გამოსვლა იმდენად ზოგადი იყო და იმდენად ოსტატურად აგებული, რომ სტალინი, როგორც ჩანს, არ აღმოჩნდა მზად საკითხის ამგვარად დასმისათვის და მცირე ტაიმაუტი აიღო პოლონეთის პრობლემასთან დაკავშირებით. მან აქცენტი გადაიტანა ე.წ. „დასავლეთის ბლოკზე“ და ჰკითხა დე გოლს, თუ რა იყო ეს⁴². საფრანგეთის ლიდერი არ დააბნია სტალინის შეკითხვამ და განაცხადა, რომ ასეთი კავშირი არ არსებობდა და თუ შეიქმნებოდა, ეს არ იქნებოდა ბლოკი. მან ხაზი გაუსვა, რომ ევროპაში შეედლო ეარსება მხოლოდ იმ სახელმწიფოთა ბლოკს, რომელთაც არ სურდათ, გამხდარიყვნენ გერმანიის აგრესიის მსხვერპლი⁴³. სწორედ ამიტომ, მისი თქმით, საფრანგეთმა არჩია ხელშეკრულების გაფორმება საბჭოთა კავშირთან, თუმცა მას შეედლო მიემართა უშუალო მეზობლებისათვის. დე გოლმა აღნიშნა, რომ მხოლოდ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სსრკ-ს ალიანსი შეიძლებოდა აღქმულიყო ევროპულ

⁴¹ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 177; *The Salvation. Documents*, გვ. 88-89.

⁴² *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 178; *The Salvation. Documents*, გვ. 89. „დასავლეთის ბლოკის“ იდეა ეფუძნებოდა საფრანგეთისა და ინგლისის კავშირის შექმნას, რომელსაც შეუერთდებოდა რამდენიმე მცირე სახელმწიფო. ბლოკი მიმართული უნდა ყოფილიყო გერმანიის წინააღმდეგ, თუ ეს უკანასკნელი კვლავ დაიწყებდა მეზობლების წინააღმდეგ აგრესიულ ქმედებებს, თუმცა ამ იდეას აღფრთოვანებით არც საბჭოთა კავშირი შეხვედრია. უფრო მეტიც, მოგვიანებით, როდესაც 1948წ. მართლაც შეიქმნა „დასავლეთის კავშირი“ – სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის შემადგენლობით, ამან საბჭოთა მხარის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „დასავლეთის კავშირის“ იდეა არც 1944წ. იყო საბჭოთა ლიდერისათვის მისაღები და სწორედ ამიტომ წამოჭრა მან ეს საკითხი დე გოლთან მოლაპარაკებების დროს.

⁴³ საინტერესოა, რომ 1944წ. დე გოლისათვის არსებული ერთადერთი მტერი – გერმანია, 1958წ. იქცა ერთადერთ... მეგობრად (**A. Grosser. La Politique extérieure de la Cinquième République. P.**, 1965, გვ. 5; **A. Grosser. French Foreign Policy under de Gaulle. Boston, MA, 1967**, გვ. 6).

ბლოკად⁴⁴. როგორც ჩანს, სტალინი დააკმაყოფილა დე გოლის პოზიციამ ამ საკითხზე და დაადასტურა საბჭოთა მხარის ინტერესი საფრანგეთ-რუსეთის პაქტის დადებისადმი. მან გამოთქვა ვარაუდი, რომ რამდენიმე დღეში ეს საქმე დასრულებული იქნებოდა⁴⁵.

ამის შემდეგ სტალინი მიუბრუნდა პოლონეთის საკითხს. მან საკმაოდ ვრცლად ისაუბრა რუსებისა და პოლონელების ოდინდელი სიძულვილის მიზეზებზე. აქვე საბჭოთა ლიდერმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის დამოკიდებულება პოლონეთის მიმართ ყოველთვის დადებითი იყო სხვა დიდი სახელმწიფოებისაგან განსხვავებით და იმედი გამოთქვა, რომ საფრანგეთის მოქმედი მთავრობის პოზიციაც უფრო პოზიტიური იქნებოდა, ვიდრე დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების⁴⁶. სტალინმა განაცხადა, რომ ინგლისელები, რომელთაც მჭიდრო კავშირი ჰქონდათ პოლონეთის ემიგრანტულ მთავრობასთან, გარკვეულწილად დაიბნენ, ისევე როგორც ეს მათ დაემართათ იუგოსლავიაში მიხაილოვიჩთან მიმართებაში. მისი თქმით, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ, მსგავსად მიხაილოვიჩისა, რომელიც საკუთარ ქვეყანაშიც კი ვერ ბრუნდებოდა, არც პოლონელი ჟიროები და ლავალები მიეშვა ადგილობრივ მოსახლეობას პოლონეთში⁴⁷. აქ უკვე სტალინმა დე გოლს იმის მოყოლა დაუწყო, თუ როგორ იყო გაბრაზებული პოლონეთის მოსახლეობა ლონდონის მთავრობაზე, რადგანაც ისინი არ იმყოფებოდნენ ქვეყანაში მისი განთავისუფლების პერიოდში. მან ხაზი გაუსვა მიწის რეფორმასაც, რომელსაც ატარებდნენ პოლონეთში⁴⁸, თუმცა ძნელი სათქმელია, რომ საფრანგეთის ლიდერზე ამ დემაგოგიურმა განცხადებებმა რაიმე

⁴⁴ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 178-179; *The Salvation. Documents*, გვ. 89-91.

⁴⁵ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 179. ფრანგულ ჩანაწერში სტალინის ვარაუდი არ გვხვდება.

⁴⁶ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 180; *The Salvation. Documents*, გვ. 91-92.

⁴⁷ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 180; *The Salvation. Documents*, გვ. 91.

⁴⁸ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 180-181; *The Salvation. Documents*, გვ. 92.

გავლენა იქონია. დე გოლმა მშვიდად განუცხადა სტალინს, რომ პოლონეთის განთავისუფლების შემდეგ ნათელი გახდებოდა, თუ როგორი იყო პოლონელების დამოკიდებულება ლონდონისა და ლუბლინის მთავრობებისადმი. მან აქვე აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობას ჰქონდა ურთიერთობები ემიგრანტულ მთავრობასთან, ხოლო სხვა მთავრობას სცნობდა მხოლოდ დანარჩენ მოკავშირეებთან შეთანხმებით და განაცხადა, რომ სწორედ ასე მოიქცა საბჭოთა ხელისუფლებაც, როდესაც თავად საფრანგეთის დროებითი მთავრობის ცნობის საკითხი იღვა დღის წესრიგში⁴⁹. გარდა ამისა, დე გოლმა სტალინი დაიჭირა უზუსტობაში და შენიშნა, რომ ლავალისა და ჟიროს ერთ ტაფაში მოხარშვა არ შეიძლებოდა, რადგანაც მათ შორის საკმაოდ დიდი სხვაობა იყო. მან შეახსენა საბჭოთა ლიდერს, რომ ლავალი თანამშრომლობდა გერმანელებთან, ჟირო კი – არა⁵⁰. სტალინიც დაეთანხმა დე გოლს და განაცხადა, რომ ის არ ურევდა ერთმანეთში ლავალსა და ჟიროს⁵¹. საინტერესოა, რომ ამით ძირითადი საკითხის განხილვა დასრულდა და მხარეებმა მეორეხარისხოვან თემებზე – მდგომარეობა ბალკანეთსა და ცენტრალურ ევროპაში, საერთაშორისო ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები – განაგრძეს საუბარი⁵². ჩვენი აზრით, ეს არ არის შემთხვევითი. სტალინი ამკარად მიხვდა, რომ მოლაპარაკებების ეს რაუნდი დე გოლის უპირატესობით წარიმართა და მომავლისათვის გადადო ძირითადი პრობლემის გადაწყვეტა.

მომდევნო დღეს, 7 დეკემბერს, შედგა მოლოტოვისა და ბიდოს კიდევ ერთი შეხვედრა. მინისტრების საუბრისას გაირკვა, რომ საბჭოთა მხარის პოზიციაში ერთგვარი ტრანსფორმაცია მოხდა. ფორმალურად სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომი-

⁴⁹ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 181-182; *The Salvation. Documents*, გვ. 93.

⁵⁰ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 182; *The Salvation. Documents*, გვ. 93.

⁵¹ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 182; *The Salvation. Documents*, გვ. 93.

⁵² *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 182-185; *The Salvation. Documents*, გვ. 93-96.

სარმა ამის მიზეზად გამოაცხადა ჩერჩილის მიერ სტალინისათვის გამოგზავნილი წერილი. აღნიშნულ ბარათში ბრიტანეთის პრემიერი სთავაზობდა საბჭოთა ლიდერს, დადებულყო სსრკ-ინგლის-საფრანგეთის სამმხრივი შეთანხმება, რომელშიც შევიდოდა მოქმედი საბჭოთა კავშირ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულება⁵³. აქ აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ჩერჩილის მხრიდან ასეთი იდეის წამოჭრა შემთხვევითი სულაც არ იყო. ოფიციალური ლონდონი მეტად შეშფოთებული დარჩა საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის სავარაუდო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობით. ინგლისელები შეშინდნენ, რომ საფრანგეთსა და სსრკ-ს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება შეასუსტებდა ბრიტანელთა გავლენას ევროპაში. სწორედ ამიტომ ლონდონში გადაწყდა ინიციატივის ხელში ჩაგდება და სამმხრივი პაქტის იდეის წამოყენება⁵⁴. ჩერჩილისაგან განსხვავებით, რუზველტი მაინცდამაინც არ შეშფოთებულა სსრკ-საფრანგეთის პაქტით და აცნობა სტალინს, რომ ის არ იქნებოდა წინააღმდეგი, თუ ასეთი ხელშეკრულება გაფორმებული იქნებოდა⁵⁵.

ჩვენი აზრით, საბჭოთა მხარე მთლად გულწრფელი არ იყო, როდესაც პოზიციის შეცვლის მიზეზად ჩერჩილის წერილს ასახელებდა. მთავარი გარემოება, რამაც გამოიწვია საბჭოთა მხარის პოზიციის ტრანსფორმაცია, იყო დე გოლის მიერ სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის ცნობის საკითხში. ამის მტკიცების საფუძველს ჩვენ ვგაძლევს ის ფაქტი, რომ წერილი სტალინმა მიიღო 5 დეკემბერს და ძნელი დასაჯერებელია, თითქოს მან ის მხოლოდ ერთი დღის შემდეგ წაიკითხა, როგორც ამას უმტკიცებდა მოლოტოვი ბილოს⁵⁶. საინტერესოა, რომ აქ სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ერთგვარად საკუთარ ტყუილშივე გაება, რადგანაც იქვე აღნიშნა, თითქოს ამ საკითხზე იმსჯელებს სტალინმა და დე გოლმა წინა საღამოს, ანუ იმ დროს,

⁵³ *Переписка...*, т. I, გვ. 285.

⁵⁴ **A. Daff Cooper.** *Old Men Forget*, გვ. 342

⁵⁵ *Переписка...*, т. II, გვ. 170.

⁵⁶ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 186.

როდესაც, მოლოტოვისავე თქმით, საბჭოთა ლიდერს წერილი ჯერ წაკითხული არ უნდა ჰქონოდა⁵⁷. საბჭოთა ჩანაწერში არ არის დაფიქსირებული ასეთი განხილვა. მასში მხოლოდ გვხვდება დე გოლის ფრაზა, რომ „ბლოკი მოსკოვი–პარიზი–ლონდონი ნამდვილი ევროპული ბლოკი იქნებოდა“⁵⁸, თუმცა ეს საკითხის წამოჭრასაც არ ნიშნავდა, რადგანაც საფრანგეთის ლიდერი უბრალოდ მსჯელობდა გერმანიის საწინააღმდეგო კოალიციის შექმნაზე. მოლოტოვმაც იცოდა ამის შესახებ, რადგანაც მან აღნიშნა, რომ ეს აზრი საკმაოდ ახლოს იყო ჩერჩილის იდეასთან, რომელიც, მისი თქმით, სტალინმა დადებითად შეაფასა⁵⁹.

საბჭოთა მხარის მიერ სამმხრივი პაქტის იდეის წამოყენება ფრანგებისათვის მეტად მოულოდნელი გამოდგა. ბილო მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა, რადგანაც ვერც იწონებდა ამგვარ შემოთავაზებას და ვერც ღიად უარყოფდა, თუმცა, სავარაუდოდ, მისი დამოკიდებულება ნამდვილად არ იყო დადებითი. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ საფრანგეთს მოსაგვარებელი ჰქონდა ზოგიერთი საკითხი ინგლისთან და არ სურდა უბრალოდ შეერთებოდა სსრკ–დიდი ბრიტანეთის 1942წ. ხელშეკრულებას⁶⁰. როდესაც მოლოტოვმა შესთავაზა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, პირდაპირ გადასულიყვნენ სამმხრივი პაქტის მუხლების შეთანხმებაზე და თავი დაენებებინათ ორმხრივი ხელშეკრულებისათვის, ბილომ მართლაც მიანიჭა უპირატესობა ამგვარ ვარიანტს, მაგრამ შემდეგ ითხოვა დრო, რათა ემცნო დე გოლისათვის საბჭოთა მხარის სურვილები. აქვე მან მაინც მოისურვა ორმხრივ ხელშეკრულების პროექტის განხილვა, რომელთან დაკავშირებითაც მომზადებული ჰქონდა გარკვეული შენიშვნები. მოლოტოვიც დაეთანხმა ბილოს და შეხვედრის თითქმის მთელი დარჩენილი ნაწილი მხარეებმა ტექსტის შეთანხმებას მონაღმეს⁶¹. საუბრის მიწურულს კი სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჰკითხა თავის ფრანგ კო-

⁵⁷ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 186.

⁵⁸ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 179.

⁵⁹ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 187.

⁶⁰ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 187.

⁶¹ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 188-190.

ლეგას, ხომ არ ჰქონდა მას პასუხი პეგკ-ს ოფიციალურ ცნობასთან დაკავშირებით, რაზეც ბილომ შეახსენა მოლოტოვს, რომ დე გოლმა წინაღობით სტალინს უკვე გააცნო თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი⁶². ამით 7 დეკემბრის შეხვედრა დასრულდა, თუმცა მასზე წამოჭრილი საკითხი სამმხრივი პაქტის შესახებ იმდენად მნიშვნელოვნად ეჩვენა დე გოლს, რომ ის იმავე დღეს სასწრაფოდ შეხვდა ბოგომოლოვს და სთხოვა მას, გადაეცა საბჭოთა მხარისათვის მისი აზრი აღნიშნული იდეის მიმართ. საფრანგეთის ლიდერმა ფაქტობრივად აგრძნობინა საბჭოთა ელჩს, რომ მას არ მოსწონდა ეს იდეა და სურდა ორმხრივი შეთანხმების გაფორმება სსრკ-სთან⁶³.

აღნიშნული საკითხი ძირითადი აღმოჩნდა სტალინის და დე გოლის ბოლო ოფიციალური საუბრისას, რომელიც 8 დეკემბერს შედგა. შეხვედრამ საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა, თუმცა გარეგნულად ორივე ლიდერი კორექტულობას ინარჩუნებდა. დე გოლმა ვრცლად ისაუბრა საფრანგეთისა და რუსეთის ინტერესების თანხვედრაზე და, ამავე დროს, ხაზი გაუსვა ინგლისის, როგორც მოკავშირის, არასაიმედოობას⁶⁴. სტალინმა დაიცვა ინგლისელები ამ თვალსაზრისით, მაგრამ შემდეგ დაეთანხმა საფრანგეთის ლიდერს, რომ აუცილებელი იყო უფრო მჭიდრო კავშირი ორ ქვეყანას შორის⁶⁵. აქვე მან ხაზი გაუსვა, რომ ეს კავშირი ხელსაყრელი იყო საბჭოთა მხარისათვის, მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა ფრანგებისათვის, რომლებსაც მისცემდა დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების საშუალებას, რაშიც მათ ხელს უშლიდა ზოგიერთი სახელმწიფო⁶⁶. მიუ-

⁶² *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 191.

⁶³ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 192-195; *The Salvation. Documents*, გვ. 96-97.

⁶⁴ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 196-198; *The Salvation. Documents*, გვ. 98.

⁶⁵ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 198; *The Salvation. Documents*, გვ. 100.

⁶⁶ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 198-199. სტალინის ეს გამონათქვამი, რომელშიც მას, სავარაუდოდ, მხედველობაში ჰყავდა აშშ და დიდი ბრიტანეთი, არ გვხვდება ფრანგულ ჩანაწერში – **თ.პ.**

ხელავად ამისა, სტალინმა კიდევ ცოტა ხანს ილაპარაკა სამმხრივ პაქტზე და შენიშნა, რომ ამ იდეაზე უარის თქმის შემთხვევაში ბრიტანეთის პრემიერ მინისტრი ნაწყენი დარჩებოდა⁶⁷. საბჭოთა ლიდერმა თითქოს უკვე გადაწყვიტა, რომ იქნებოდა მხოლოდ სამმხრივი შეთანხმება, მაგრამ სულ რაღაც ერთი წუთის შემდეგ ის მოულოდნელად კვლავ პოლონეთის საკითხს დაუბრუნდა. სტალინმა დაუფარავად უთხრა დე გოლს, რომ თუ ფრანგები გაცვლიდნენ წარმომადგენლებს პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტთან, მაშინ ორ ქვეყანას შორის ხელშეკრულება გაფორმებული იქნებოდა მიუხედავად იმისა, როგორი რეაქცია ექნებოდა ამაზე ჩერჩილს⁶⁸. საფრანგეთის ლიდერმა ამ შეთავაზებაზე ერთგვარი სარკაზმით შენიშნა, რომ, როგორც ჩანდა, სტალინი ხანდახან აწყენინებდა ხოლმე ჩერჩილს, რაზეც პასუხად მიიღო, რომ ეს დროდადრო მართლაც ხდებოდა, თუმცა ამგვარ შემთხვევებს პირიქითაც ჰქონდა ადგილი, რისი დასტურიც იყო მათი მიმოწერა⁶⁹.

საბჭოთა ლიდერის წინადადებას ფრანგულმა დელეგაციამ დუმილით უპასუხა. დე გოლმა და ბილომ თითქოს არც შეიმჩნიეს ეს შეთავაზება. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კვლავ ისაუბრა ორმხრივი პაქტის უღავო უპირატესობაზე სამმხრივთან შედარებით. აქ უკვე სტალინმა დატოვა უპასუხოდ ეს მონოლოგი და მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა ფრანგთა ლიდერს, თუ როდის მიემგზავრებოდა ის შინ⁷⁰. ეს ფაქტობრივად მოლაპარაკებების ჩიხში შესვლას ნიშნავდა. ამის შემდეგ საუბარი გაგრძელდა საბჭოთა საავიაციო ქარხნების მოწყობილობასა და მათ შესაძლებლობებზე და მხოლოდ დასასრულისკენ შენიშნა სინანულით დე გოლმა, რომ ორმხრივი შეთანხმების მიღწევა ვერ

⁶⁷ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 200. ფრანგულ ჩანაწერში ეს მონაკვეთი არ გვხვდება.

⁶⁸ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 200; *The Salvation. Documents*, გვ. 100.

⁶⁹ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 200; ფრანგულ ჩანაწერში არც ეს მონაკვეთი გვხვდება.

⁷⁰ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 201.

ხერხდებოდა⁷¹. მან უკანასკნელად სცადა, აეხსნა სტალინისათვის, რომ ფრანგები ცუდად იცნობდნენ ლუბლინში განთავსებულ კომიტეტს და რომ მათ სჭირდებოდათ დრო სიტუაციაში გასარკვევად, მაგრამ საბჭოთა ლიდერმა ყურადღებაც არ მიაქცია დე გოლის განმარტებებს და უბრალოდ ჰკითხა, ხომ არ ჰქონდა მას კიდევ კითხვები⁷². ეს აუდიენციის დასასრულს ნიშნავდა და, ბუნებრივია, რომ საფრანგეთის ლიდერიც მიხვდა ამას. ერთი შეხედვით, დე გოლის ვიზიტი მოსკოვში თითქოს უშედეგოდ მთავრდებოდა, მაგრამ მოკლე ხანში ვითარება შეიცვალა.

იმავე საღამოს ბილო და გარო კიდევ ერთხელ შეხვდნენ მოლოტოვს და სთხოვეს მას ერთი საკითხის დაზუსტება. მათი თქმით, დე გოლმა გაიგო, თითქოს სტალინი მას ლუბლინის მთავრობის ცნობის სანაცვლოდ სთავაზობდა ხელშეკრულების გაფორმებას სსრკ-ს, საფრანგეთსა და ჰეგკ-ს შორის. თავად ბილო და გარო ვერ იხსენებდნენ ამგვარ განცხადებას და მიაჩნდათ, რომ ლუბლინელ პოლონელებთან წარმომადგენლობების გაცვლის შემთხვევაში გაფორმდებოდა საფრანგეთ-სსრ კავშირის ორმხრივი ხელშეკრულება⁷³. მოლოტოვმა დაუდასტურა ფრანგ დიპლომატებს, რომ საუბარი მხოლოდ საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის შეთანხმებაზე მიდიოდა⁷⁴. ბილომ პასუხად განაცხადა, რომ ეს ცვლიდა საქმის ვითარებას. მან გამოთქვა იმედი, რომ ასეთ შემთხვევაში საკითხი სწრაფად იქნებოდა გადაწყვეტილი. გარდა ამისა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა საბჭოთა დიპლომატს, რომ დე გოლი მეორე დღეს შეხვდებოდა ჰეგკ-ს წარმომადგენლებს⁷⁵. ყოველივე ეს, ბუნებრივია, ნიშნავდა იმას, რომ დე გოლმა გადაწყვიტა დათმობა პოლონე-

⁷¹ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 201-202; *The Salvation. Documents*, გვ. 100.

⁷² *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 202.

⁷³ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 202-203. ჩვენი აზრით, აქ არანაირ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონდა და ეს იყო მხოლოდ დიპლომატიური ნაბიჯი ფრანგული დელეგაციის მხრიდან, რომელიც მიზნად ისახავდა თავისი პრესტიჟის შენარჩუნებას.

⁷⁴ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 203.

⁷⁵ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 203.

თის საკითხში, რათა მიეღწია საბჭოთა კავშირთან პაქტის დადებისათვის. ბუნებრივია, სტალინი ამას მიხვდა და სწორედ იმ საღამოს გაუგზავნა ჩერჩილს მეტად საგულისხმო წერილი, რომელშიც აღნიშნა, რომ ლონდონის ემიგრანტულმა მთავრობამ დაკარგა ყველანაირი კავშირი პოლონელ ხალხთან, რის გამოც ის საჭიროდ თვლიდა, მოკავშირეებს მხარი დაეჭირათ ლუბლინის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტისათვის⁷⁶. ჩვენი აზრით, სტალინის ეს ნაბიჯი მნიშვნელოვანწილად განაპირობა ფრანგების პოზიციის შეცვლამ და, რაც ყველაზე უფრო საინტერესოა, ბრიტანეთის პრემიერს ამგვარ სიტუაციაში, პირველ რიგში, საკუთარი თავი უნდა დაედანაშაულებინა. მოლაპარაკებების მსვლელობიდან გამომდინარე, საკმაოდ დიდი იყო იმის ალბათობა, რომ ფრანგულ დელეგაციას არ დაეთმო თავისი პოზიციები და საბჭოთა მხარეც შერიგებოდა ამას. ყოველ შემთხვევაში, სტალინი ვერაფრით ვერ ახერხებდა დე გოლის წინააღმდეგობის დაძლევას პოლონეთის საკითხში და, მიუხედავად ამისა, პირდაპირ არ ამბობდა უარს ორმხრივი ხელშეკრულების დადებაზე. მაგრამ ჩერჩილის იდეამ სამმხრივი პაქტის შესახებ ფრანგები პრაქტიკულად გამოუვალ სიტუაციაში ჩააყენა, სტალინს კი ლავირებისთვის საკმაოდ ფართო ასპარეზი დაუტოვა. შექმნილ ვითარებაში სულაც არ იყო გასაკვირი, რომ დე გოლმა მისთვის ნაკლებად არასასურველი ვარიანტი აირჩია და დათანხმდა პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტის ფაქტობრივ ცნობას სსრკ-სთან სამოკავშირეო ხელშეკრულების საწინააღმდეგოდ. აი, ჩერჩილმა კი, როგორც ჩანს, კარგად ვერ გათვალა საკუთარი დიპლომატიური კომბინაცია და შედეგად ორმაგად დაზარალდა: საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის დაიღო ორმხრივი ხელშეკრულება, პოლონეთის საკითხში კი სტალინმა მკვეთრად გაიუმჯობესა პოზიციები და უკვე შეეძლო აპელირება, რომ ლუბლინის მთავრობას სხვა სახელმწიფოებიც სცნობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საკითხი პრაქტიკულად 8 დეკემბერს გადაწყდა, მომდევნო დღეს ბიდოსა და მოლოტოვს შორის მაინც საკმაოდ რთული მოლაპარაკებები წარიმართა. ამის მიზეზი

⁷⁶ *Перетиска...*, т. I, გვ. 287.

გახდა საბჭოთა მხარის სურვილი, კიდევ უფრო დიდი წარმატებით დაესრულებინა მოლაპარაკებები. სწორედ ამიტომ სსრკ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა თავის კოლეგას შესთავაზა დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება ლუბლინის მთავრობასა და საფრანგეთის დროებით მთავრობას შორის. ამ წინადადებას მან თან მიაყოლა ლუბლინის კომიტეტის ერთ-ერთი ლიდერის – ოსუბკა-მორავსკის წერილი დე გოლის სახელზე⁷⁷. ბილმომ გაცემა ვერ დაფარა ამ შეთავაზებასთან დაკავშირებით. პირველ რიგში, მან შენიშნა, რომ წერილების გაცემა ხდებოდა მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობების ოფიციალური დამყარებისას, ახლა კი, როდესაც საქმე ეხებოდა მხოლოდ დე-ფაქტოდ ცნობას, მსგავსი პროცედურა საჭირო არ იყო⁷⁸. შემდეგ მან მიუთითა მოლოტოვს, რომ აღნიშნული წინადადება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა წინა დღეს სტალინის მიერ დე გოლთან საუბარში გამოთქმული შეთავაზებისაგან⁷⁹. ბოლოს კი ფრანგმა დიპლომატმა შეახსენა თავის საბჭოთა კოლეგას, რომ არც თუ დიდი ხნის წინ საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი თვითონ იყო მსგავსი სიტუაციაში და არასდროს მისი წარმომადგენლების დანიშვნა ამა თუ იმ სახელმწიფოში არ გაფორმებულა ამ ფორმით⁸⁰. საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი უშედეგოდ დასრულდა და კვლავ გაჩნდა იმის შეგრძნება, რომ შეთანხმება მიღწეული არ იქნებოდა, თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, სტალინმა ახალი მოთხოვნა მხოლოდ ზონდაჟის მიზნით წამოაყენა. როდესაც ის დარწმუნდა, რომ ფრანგები მეტ დათმო-

⁷⁷ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 204, 208. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საუბრამდე ცოტა ხნით ადრე დე გოლი შეხვედა ლუბლინის მთავრობის წარმომადგენლებს – ბ. ბერუტს, ოსუბკა-მორავსკისა და გენ. როლა-ჟიმერსკის. ფრანგი ლიდერის თქმით, ლუბლინის მთავრობის წარმომადგენლები ზუსტად ისე საუბრობდნენ პოლონეთზე, როგორც „პრავდა“ აშუქებდა იქ არსებულ მდგომარეობას, რამაც ნათელი გახადა, რომ ისინი დამოუკიდებელ პოლონეთს არ წარმოადგენდნენ. ამიტომაც შეხვედრა აბსოლუტურად უშედეგოდ დასრულდა (*The Complete War Memoirs...*, გვ. 748-749).

⁷⁸ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 204.

⁷⁹ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 206.

⁸⁰ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 207.

ბაზე არ წავიდოდნენ, მან მოახსენებინა მოლოტოვს ახალი მოთხოვნა და მხარეებიც 9 დეკემბრის საღამოს საბოლოოდ შეთანხმდნენ ორივე საკითხზე. 10 დეკემბერს, დილით, ხელი მოეწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებას სსრკ-სა და საფრანგეთს შორის, რის სანაცვლოდაც დე გოლი დათანხმდა პოლონეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტთან არაოფიციალური წარმომადგენლების გაცვლას⁸¹.

სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულების დადებაზე მსჯელობისას საბჭოთა მკვლევარები რატომღაც ცდილობდნენ იმ ფაქტის დაფარვას, რომ სტალინმა პირდაპირ დაუკავშირა პაქტის დადება პეგა-ს ცნობას და ამ მოთხოვნის იგნორირებას ახდენდნენ. ისინი ყველგან ხაზს უსვამდნენ, რომ ხელშეკრულება ორივე მხარისათვის სასარგებლო იყო.

10 დეკემბერს დადებული პაქტი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო დე გოლისათვის იმ პერიოდში, თუმცა დიდი პრაქტიკული ღირებულების ეს შეთანხმება არ გამოდგა. ხელშეკრულება, რომელიც შედგებოდა 8 მუხლისაგან, ითვალისწინებდა გერმანიის წინააღმდეგ კოორდინირებული პოლიტიკის გატარებას როგორც ომის პერიოდში, ისე ომის შემდეგ, თუ გერმანიის მხრიდან აგრესიის საფრთხე გაჩნდებოდა⁸². ამავე დროს, მხარეებმა პირობა დადეს, რომ არ მიიღებდნენ მონაწილეობას ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულ კოალიციაში ან კავშირში⁸³. პაქტი დაიდო 20

⁸¹ **J. Lacouture.** De Gaulle. The Ruler. 1945-1970. New York, 1992, გვ. 52. აქ უნდა აღინიშნოს, რომ სტალინმა კიდევ ერთხელ სცადა ბედი და 10 დეკემბრის დილით, როდესაც დე გოლს საბჭოთა წარმომადგენლები საელჩოში დაადგინენ თავს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, მისთვის კვლავინდებურად გადააცემინა ფრანგული დელეგაციის მიერ დაწესებული პროექტი ლუბლინის კომიტეტთან ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ. როდესაც დე გოლმა გაკვირვებით შეამჩნია ეს პუნქტი კომუნიკეში, საბჭოთა დიპლომატებმა უკან გამოართვეს მას დოკუმენტი და გადასცეს ახალი პროექტი, რომელშიც უკვე წინა დამით მიღწეული შეთანხმება ზუსტად იყო ასახული (იხ.: **W. A. Harriman, E. Abel.** Special Envoy to Churchill and Stalin. 1941-1946. Random House, New York, 1975, გვ. 398).

⁸² *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 209.

⁸³ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 210.

წლით და აღინიშნა, რომ მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდებოდა განუსაზღვრელი დროით, თუ არ მოხდებოდა დენონსაცია მისი ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე მაინც⁸⁴. მიუხედავად ამისა, ურთიერთობები საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ომის დამთავრების შემდეგ გაუარესდა და სულ მალე ფრანგები და გერმანელები ერთ ბლოკშიც აღმოჩნდნენ, რის შედეგადაც ხელშეკრულება დენონსირებული იქნა საბჭოთა მხარის მიერ 1955წ. 7 მაისს⁸⁵.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, დე გოლის ვიზიტი მოსკოვში საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა, თუმცა, საბოლოო შედეგი იმ დროის რეალობის გათვალისწინებით, ორივე მხარისათვის მისაღები იყო. ფრანგულმა დელეგაციამ მიაღწია თავის მიზანს და დადო პაქტი საბჭოთა კავშირთან, რაც საფრანგეთის ხელისუფლებას აძლევდა საშუალებას, უფრო თამამი ყოფილიყო ლონდონისა და ვაშინგტონის მიმართ, თავის მხრივ, მოსკოვმა პირველი ნაბიჯი გადადგა პოლონეთის პროსაბჭოური მარიონეტული მთავრობის საერთაშორისო აღიარების უზრუნველყოფის გზაზე. საფრანგეთის დროებითი მთავრობის მიერ ლუბლინის კომიტეტთან წარმომადგენლობების გაცვლა არც დე გოლისთვის აღმოჩნდა მაინცდამაინც დიდი დათმობა, რადგანაც საკმაოდ მცირე ხანში საბჭოთა ჯარებმა თითქმის მთლიანად დაიკავეს პოლონეთის ტერიტორია და მინიმუმამდე დაიყვანეს ლონდონის ემიგრანტული მთავრობის შანსები უკან დაბრუნებაზე, თუმცა, არ არის გამორიცხებული, რომ დე გოლს დათვური სამსახური გაუწია მის მიერ მოსკოვში დაკავებულმა მტკიცე პოზიციამ. ყოველ შემთხვევაში, სტალინის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება საფრანგეთისადმი ყირიმის კონფერენციის დროს, ალბათ, სწორედ ამ ფაქტით იყო გამოწვეული⁸⁶. როგორც ჩანს, მას ამიტომაც

⁸⁴ *Советско-французские отношения...*, т. II, გვ. 210.

⁸⁵ იმავე დღეს დენონსირებული იქნა სსრკ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულებაც.

⁸⁶ ერთ-ერთი ამერიკელი მკვლევარი ამ დამოკიდებულებას „მტრულსაც“ კი უწოდებს (იხ.: **M. Viorst. Hostile Allies: FDR and Charles de Gaulle.** New York, 1965, გვ. 231).

არ სურდა დე გოლის მოწვევა ყირიმში⁸⁷ და ეს იმის მიუხედავად, რომ სტალინისათვის პაქტი საფრანგეთთან არანაირად არ აღიქმებოდა დათმობად⁸⁸, რადგანაც დე გოლის აქტიური პოლიტიკა საფრანგეთის ძველი ღიდეების დასაბრუნებლად, პირველ რიგში, ღიდი ბრიტანეთისა და აშშ-სათვის იყო უფრო გამაღიანიანებელი, ვიდრე საბჭოთა კავშირისათვის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სსრკ-საფრანგეთის ორმხრივი ხელშეკრულება მხოლოდ ჩერჩილისათვის აღმოჩნდა დიპლომატიური მარცხი და თანაც საკმაოდ მძიმე იმის გათვალისწინებით, რომ ფრანგებმა ფაქტობრივად ცნეს პოლონეთის პროსაბჭოური მთავრობა.

⁸⁷ უნდა აღინიშნოს, რომ დე გოლის იალტაში მოწვევის წინააღმდეგ განსაკუთრებით გაილაშქრა რუზველტმა, რომელსაც საკმაოდ მძიმე ურთიერთობები ჰქონდა მასთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ძირითადად განპირობებული იყო რუზველტის მხრიდან საფრანგეთის ინტერესების სრული უგულვებელყოფით, რაც ზოგჯერ დიპლომატიურ უტაქტობაშიც კი გადაიზრდებოდა ხოლმე. ასე, მაგალითად, იალტიდან ამერიკაში მიმავალმა რუზველტმა, ფრანგი ღიდერის გულის მოსაგებად (დე გოლი ძალიან გაბრაზებული იყო იალტაში არმიწვევის გამო), მიიწვია ის შესახვედრად ქ. ალჟირში. გაცვებულმა დე გოლმა, ბუნებრივია, უარი განაცხადა და აუხსნა ამერიკელ წარმომადგენლებს, რომ აშშ-ს პრეზიდენტს არანაირი უფლება არ ჰქონდა საფრანგეთის მთავრობის მეთაური მიეწვია საფრანგეთისვე კუთვნილ ქალაქში (**Ch. de Gaulle. Mémoires de guerre. Le Salut**, გვ. 87-88; **G. de Carmony. The Foreign Policies of France. 1944-1968. Translated by Elaine p. Halperin.** Chi., 1970, გვ. 19). როგორც ჩანს, ეს დღემდე გაუგებარი რჩება ზოგიერთი ამერიკელი მკვლევარისათვის (იხ.: **A. Shannon. De Gaulle.** New York, 1993, გვ. 42). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ პოტსდამში დე გოლის მიწვევის წინააღმდეგ კვლავინდებურად აშშ-ს პრეზიდენტი, ამჯერად უკვე ჰარი ტრუმენი გამოვიდა (იხ.: **R. Murphy. Diplomat Among Warriors.** New York, 1964, გვ. 287).

⁸⁸ ბრიტანელი მკვლევარის, ა. კროულის აზრით, სტალინი პაქტს ძალზე მცირე მნიშვნელობას ანიჭებდა და მასზე ხელმოწერა უბრალოდ დე გოლის პრესტიჟის შენარჩუნებისათვის მოხდა (იხ.: **A. Krawley. De Gaulle.** New York, 1969, გვ. 270). ჩვენი აზრით, ეს არ არის მთლად სწორი დებულება, რასაც ცხადყოფს, თუ რა დაძაბული ბრძოლა გაიმართა პაქტის გარშემო.

Т. З. ПАПАСКИРИ

ВИЗИТ ШАРЛЯ ДЕ ГОЛЛЯ В МОСКВУ И ПОДПИСАНИЕ СОЮЗНИЧЕСКОГО СОГЛАШЕНИЯ МЕЖДУ СССР И ФРАНЦИЕЙ

В статье на основе анализа документальных материалов и мемуарных первоисточников, а также специальной литературы, освещен визит главы Временного правительства Франции ген. Шарля де Голля в Москву в декабре 1944г. Де Голль пробыл в Москве 8 дней и несколько раз встретился со Сталиным. Параллельно проходили консультации между Министром Иностранных Дел Франции Ж. Бидо и Народным Комиссаром Иностранных Дел СССР В. Молотовым. Главным во время переговоров стал вопрос о союзническом соглашении между Францией и Советским Союзом. Новый лидер Франции старался восстановить довоенное положение своего государства, и рассчитывал, что пакт с СССР позволил бы ему, в определенном смысле, поравняться с Рузвельтом и Черчиллем. В свою очередь, и у советской стороны были определенные интересы. Сталин хотел добиться от французов признания действующего в Люблине Польского Комитета Национального Освобождения в качестве польского правительства.

Определенное влияние на ход переговоров в Москве оказал премьер-министр Великобритании Уинстон Черчилль, который представил инициативу о заключении тройственного пакта между Великобританией, СССР и Францией. Эта идея была неприемлема для французов и де Голль, который до этого весьма искусно вел переговоры, был вынужден согласиться на менее нежелательный вариант и в сущности признал ПКНО в обмен на союзническое соглашение с СССР. По-видимому, Черчилль неправильно просчитал свою дипломатическую комбинацию и в итоге получил двойной удар: СССР и Франция заключили двусторонний договор, а в Польском вопросе Сталин значительно укрепил свои позиции и мог уже апеллировать признанием Люблинского правительства и другими государствами.

Договор между СССР и Францией был подписан 10 декабря 1944г. Несмотря на то, что де Голль придавал большое значение пакту, его практическая значимость оказалась минимальной. В то же время, не исключено, что занятая французским лидером в Москве твердая позиция оказала ему медвежьей услугой. По крайней мере, отрицательное отношение Сталина к Франции во время Крымской конференции, скорее всего, вызвано именно этим обстоятельством.

ომარ არღაშელია

ალჟირის კრიზისი და შარლ დე გოლის პოლიტიკა

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთის კოლონიებში დაწყებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ XX საუკუნის 50-იან წლებში შეუქცევადი სახე მიიღო. შარლ დე გოლი იმ იშვიათ პოლიტიკოსთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელიც ამ მოვლენების დასაწყისიდანვე გრძნობდა, რომ კოლონიების შესანარჩუნებლად ძალის გამოყენება პრობლემას მხოლოდ გაახანგრძლივებდა, მაგრამ ვერ გადაწყვეტდა.

საფრანგეთის IV რესპუბლიკის პოლიტიკური კრიზისი და მისი დაცემა – ალჟირში განვითარებულმა მოვლენებმა განაპირობა, სადაც, დამოუკიდებლობის მოთხოვნით, 1954 წლის 1 ნოემბერს დაიწყო შეიარაღებული ბრძოლა საფრანგეთის კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ.

საფრანგეთის ისტორიაში ალჟირს განსაკუთრებული ადგილი ეკავა, რადგან ის იყო პირველი აფრიკული ქვეყანა, რომელიც საფრანგეთმა XIX საუკუნის 30-იან წლებში დაიპყრო¹. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფრანგი კოლონისტების რიცხვი², რომელთა დიდი ნაწილი ამ ქვეყანას ლამის მეორე სამ-

¹ 1830წ. 25 მაისს, საფრანგეთის მეფე შარლ X-ის დროს 500 ხომალდი 36-ათასიანი არმიით გაემართა ტულონიდან ალჟირისაკენ. იმავე წლის 14 ივლისს ალჟირის დემ (მმართველმა) კაპიტულაცია გამოაცხადა. ოფიციალურად ალჟირი საფრანგეთის კოლონიად 1838 წელს გამოცხადდა.

² 1960 წლისათვის ქვეყნის მოსახლეობის 9,6%-ს ევროპელები შეადგენდნენ, მათ შორის იყვნენ ფრანგები, ესპანელები და იტალიელები (*Страны Северной и Северо-Восточной Африки. Географические справки.* М., 1962, გვ. 9).

შობლოდ თვლიდა. ფაქტობრივად, ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის (სასოფლო-სამეურნეო სავარგული მიწები, წიაღისეული) უდიდესი ნაწილი ფრანგების ხელში იყო, გარდა ამისა, XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში, ალჟირის საჰარაში აღმოჩნდა გაზისა და ნავთობის დიდი მარაგი, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა ფრანგი კოლონისტებისა და საბანკო წრეების ეკონომიკური ინტერესები ალჟირისადმი.

აფრიკის შედარებით ღარიბ ქვეყნებში, ტუნისსა და მაროკოში 1950 წელს დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაცილებით უმტკივნეულოდ წარიმართა. მართალია, მათი მოთხოვნები შეიარაღებულ გამოსვლებში გადაიზარდა, მაგრამ საბოლოოდ 1956 წელს ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდა. მეზობელ ქვეყნებში განვითარებული ეს მოვლენები მძლავრი კატალიზატორი აღმოჩნდა 1954 წლის 1 ნოემბერს „ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის“ ხელმძღვანელობით დაწყებული შეიარაღებული გამოსვლებისა, რომლის ძირითადი მიზანი ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო. ალჟირში განვითარებული მოვლენები საფრანგეთის მმართველი წრეებისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ამ „გაუგებრობას“ მალე მოუღებდნენ ბოლოს, მაგრამ დაწყებული პარტიზანული ომი სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა, რომელშიც საფრანგეთის არმიის 300 ათასი ჯარისკაცი მონაწილეობდა³.

მემარჯვენე პარტიების ლიდერებისაგან განსხვავებით, დეგოლისთვის კონფლიქტის დაწყებიდანვე ნათელი იყო, რომ საფრანგეთის კოლონიური სისტემა კრახის წინაშე იდგა და მის უმტკივნეულო დემონტაჟს უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო საფრანგეთისთვის, ვიდრე კონფლიქტის სამხედრო ძალით გადაწყვეტას. ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მეორედ მოსვლამდე, ცალკეულ ინტერვიუებსა და პირად საუბრებში დეგოლი არ მალავდა, რომ ალჟირისთვის დამოუკიდებლობის მიცემა მხოლოდ დროის ამბავი იყო და ამ პროცესის შეჩერება შეუძლებელი იყო.

³ ალჟირის ომი შეიდინახევარ წელიწადს გრძელდებოდა – 1954წ. 1 ნოემბერიდან 1962წ. 18 მარტამდე.

1954 წელს, ამერიკელი კორესპონდენტის დ. შენბრუნისთვის მიცემულ ინტერვიუში, მან განაცხადა, „...რომ ალჟირში დამოუკიდებლობისათვის მოძრაობა მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწყო“.⁴ ასეთივე აზრი გამოთქვა გენერალმა 1955 წლის აპრილში, ალჟირელ მწერალთან ჟ. ამრუშთან⁵ საუბარში. მწერლის კითხვაზე, თუ როდის იქნება ალჟირი დამოუკიდებელი, მან უპასუხა, რომ „ალჟირი იქნება განთავისუფლებული, მაგრამ ეს ძალიან არ მოხდება და, სამწუხაროდ, დაკავშირებული იქნება დიდ მსხვერპლთან“.⁶ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ პერიოდში საფრანგეთის მმართველ წრეებს თავის კოლონიებში კონფლიქტების მოგვარების გამოკვეთილი და მკაფიო გეგმა არ გააჩნდა, თუმცა საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობა მზად იყო, შერიგებოდა ალჟირის დამოუკიდებლობას⁷, მაგრამ მის დეკოლონიზაციას საფრანგეთში ჰყავდა როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები. მოწინააღმდეგეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა საფრანგეთის არმიის გენერალიტეტის ნაწილი და ოფიცრობა, ულტრამემარჯვენე პარტიის წევრები და ფრანგი კოლონისტები⁸.

1954წ. ალჟირში დაწყებული შეიარაღებული გამოსვლები დაემთხვა საფრანგეთის მეოთხე რესპუბლიკის კრიზისს, რომელიც გამოწვეული იყო სახელისუფლო ვერტიკალის სისუსტით, პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირებითა და კოლონიური სისტემის რღვევის დასაწყისით. ამ დროს საფრანგეთის ულტრაკონსერვატორული და მემარჯვენე ძალები დათმობაზე წასვლას არ აპირებდნენ და მხოლოდ იარაღის ძალით ცდილობდნენ კოლონიური სისტემის რღვევის შეჩერებას. თუმცა შემდეგ ვიეტნამში და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში (მაროკო, ტუნისი, ალჟირი) განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ეს გზა სრულიად უპერსპექტივო იყო.

ალჟირში შეიქმნა დროებითი მთავრობა, რომელიც აღიარე-

⁴ **D. Schoenbrun.** The Three Lives of Charles de Gaulle. New York, 1966, გვ. 212.

⁵ ჟან ელ-მუხუე ამრუში (1906-1962) – ალჟირის ფრანგულენოვანი ლიტერატურის ფუძემდებელი.

⁶ **L. Terrenoire.** De Gaulle et l'Algérie. P., 1964, გვ. 11.

⁷ **Г. М. Ратиани.** Франция: Судьба двух республик. М., 1980, გვ. 383.

⁸ **Г. М. Ратиани.** Франция: Судьба двух республик, გვ. 270-273.

ბული იქნა მრავალი სახელმწიფოს მიერ, პირველ რიგში, მაროკოს, ტუნისის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის და სხვათა მიერ. ამ ფაქტმა საფრანგეთის მმართველი წრეები, აიძულა შეემუშავებინათ ალჟირის კრიზისის მოგვარების ახლებური კონცეფცია.

1958 წელს შარლ დე გოლის ხელისუფლებაში მოსვლა დაკავშირებული იყო ულტრამემარჯვენე ძალების მოთხოვნასთან, ქვეყანაში შეექმნათ ძლიერი ხელისუფლება, რომელიც შეძლებდა საფრანგეთისთვის კოლონიების შენარჩუნებას. 1958 წლის 13 მაისს ალჟირში დისლოცირებულმა საფრანგეთის ჯარის რეაქციულად განწყობილმა ოფიცრებმა და ფრანგმა კოლონისტებმა, „ალჟირისა და საჰარის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტის“ სახელით, სცადეს სამხედრო გადატრიალება, რომელსაც დე გოლის პრემიერ მინისტრად დანიშვნა მოჰყვა. მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ახალ პრემიერ მინისტრს აიძულებდა, მოექცინა ის გზები, რომლითაც საფრანგეთი მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე შეინარჩუნებდა ცივილიზებული სახელმწიფოს სახეს და იმავე დროს დაარწმუნებდა ფრანგული საზოგადოების ყველაზე კონსერვატორულ ფენებს დათმობებზე წასვლის აუცილებლობაში.

იმავე 1958 წელს, დე გოლი, პრემიერ მინისტრის რანგში, პირველად ჩავიდა ალჟირში, სადაც ფრანგი კოლონისტების დამშვიდების მიზნით განაცხადა, რომ „ალჟირი იყო და დარჩება საფრანგეთის ნაწილად“. ფაქტობრივად, ამ განცხადებით იგი შეეცადა ულტრამემარჯვენე ძალების დაშოშმინებასა და დროის მოგებას ხელისუფლების განმტკიცების მიზნით. პარიზში დაბრუნების შემდეგ, მან პრემიერ მინისტრის კანცელარიასთან შექმნა სპეციალური სამდივნო, რომელსაც პირადად მისთვის უნდა მიეწოდებინა ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ალჟირს ეხებოდა⁹.

თავდაპირველად, მოსახლეობის უკმაყოფილების დაშოშმინების მიზნით, დე გოლი შეეცადა თანდათანობით დაესუსტებინა ფრანგული გენერალიტეტის გავლენა ალჟირში. ამ მიზნით 1958 წლის 12 დეკემბერს რამდენიმე გავლენიანი ოფიცერი, მათ შორის ალჟირში განთავსებული საფრანგეთის არმიის კორპუსის გე-

⁹ L. Vallon. Le grand dessein national. P., 1964, გვ. 57.

ნერალი სალანი¹⁰ თანამდებობიდან გადააყენა.

მსოფლიო საზოგადოებრიობის ზეწოლა, მზარდი ოპოზიციური აზრის არსებობა და საფრანგეთის მცდელობა, მოეპოვებინა სიმპათია „მესამე ქვეყნების“ თვალში, აიძულებდა შარლ დე გოლს, მკვეთრად შეეცვალა ქვეყნის პოლიტიკა და მოემზადებინა ნიადაგი ალჟირის დამოუკიდებლობის აღიარებისათვის. ამ გზაზე დე გოლი ატარებდა მიზანმიმართულ, თანმიმდევრულ პოლიტიკას. როგორც აღნიშნეთ, პირველ ეტაპზე მან მხარი დაუჭირა ალჟირელ კოლონისტებს, ხოლო მეორე ეტაპზე, საფრანგეთის გავლენის შენარჩუნების მიზნით, შეიმუშავა ძლიერი ეკონომიკური დახმარების კონცეფცია, რომლის საფუძველზე სურდა, ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეექმნა ფრანგული ორიენტაციის მძლავრი სოციალური ბაზა. ამ პოლიტიკის მესამე ეტაპს წარმოადგენდა ალჟირის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

რუსულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აღნიშნული მოვლენები გაშუქებული იყო ცალმხრივად და ტენდენციურად, რადგან ალჟირისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების გზაზე გამოკვეთილი იყო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის როლი და მნიშვნელობა და აბსოლუტურად უარყოფილია პროგრესულად მოაზროვნე ფრანგული საზოგადოებისა და თავად შარლ დე გოლის როლი ამ ქვეყნის დეკოლონიზაციის საქმეში.

1958 წლის 3 ოქტომბერს დე გოლი გამოვიდა ალჟირის

¹⁰ რაულ სალანი – გენერალი, დაიბადა 1899 წელს, სამხრეთ საფრანგეთის ქ. როკურში. სენ-სირის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მსახურობდა სირიასა და ინდოჩინეთში. საფრანგეთის სამხედრო დაზვერვის დავალებით აფრიკასა და ეთიოპიაში იმყოფებოდა საიდუმლო სამხედრო მისიით. მეორე მსოფლიო ომის დროს მხარს უჭერდა ვიშისტებს, შემდეგ შეუერთდა წინააღმდეგობის მოძრაობას და ომი ბრიგადის გენერლის წოდებით დაასრულა. 1945 წლიდან მსახურობდა ვიეტნამში, ინდოჩინეთსა და ბოლოს ალჟირში. 1958 წელს ალჟირში სათავეში ჩაუდგა „პუტჩს“, რომლის შედეგად საფრანგეთის ხელისუფლების სათავეში შარლ დე გოლი მოვიდა. მას შემდეგ, რაც დე გოლმა ალჟირის თვითგამორკვევის უფლება აღიარა, სალანმა, თანამოაზრეებთან ერთად, შექმნა „საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია“.

სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმის ინიციატივით, რომლის საფუძველზე ადგილობრივ გლეხებს საჰარის ნავთობითა და გაზით მდიდარ რაიონში უნდა მიეღოთ 250 ჰექტარი მიწა, დაიწყო ნავთობისა და გაზის მოპოვება, უნდა აშენებულიყო ქიმიური და მეტალურგიული საწარმოები, გაფართოვდა და გაიზარდა გზების, პორტებისა და სამედიცინო დაწესებულებების რიცხვი. მაშინდელი ფრანგული პრესის მონაცემების საფუძველზე, ამ პროექტის საერთო კაპიტალდაბანდებები ყოველწლიურად 470 მილიარდ ფრანკს აღწევდა¹¹. აღნიშნული პროექტის პარალელურად საფრანგეთის მთავრობამ შეიმუშავა ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის არმიის მშვიდობიანი დაშლის პოლიტიკა, მაგრამ ამავე დროს არსებობდა ე.წ. „შალის გეგმა“, რომელიც საჭირო შემთხვევაში ითვალისწინებდა ამ არმიის დაშლას ძალის გამოყენებით.

1958 წლის 23 ოქტომბერს გენერალმა დე გოლმა, პრემიერ მინისტრის რანგში თავის პირველ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ დრო იყო, ალჟირის მოსახლეობა შედგომოდა მშვიდობიანი ცხოვრების პოლიტიკას. მან მოუწოდა მოსახლეობას, „ჩაეპროთ აჯანყების ცეცხლი და დაბრუნებოდნენ თავიანთ სახლებს შიშისა და დამცირების გარეშე“ და ეს იქნებოდა „მშვიდობა მამაცთათვის“. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის მთავრობა იძულებული გახდა, 1959 წლის მარტ-აპრილში განეხორციელებინა ე.წ. „შალის გეგმის“ პირველი ეტაპი, რომლის საფუძველზე ჩაქრა აჯანყების რამდენიმე კერა, მათ შორის ალჟირის დედაქალაქის რაიონში¹².

1958 წელს, ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, საფრანგეთი გამოცხადდა საპრეზიდენტო რესპუბლიკად, რის შემდეგ შეიქმნა საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკა. ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლებით აღჭურვილი საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი დე გოლი შეეცადა, თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებით მოეკარებინა ალჟირის კრიზისი და,

¹¹ “Cahiers du communisme”, novembre 1958, გვ. 1548; “Le Monde”, 1959, 1 jan.

¹² Ch. de Gaulle. Mémoires d'espoir. T. I. Le Renouveau. P., 1970, გვ. 77.

ამავე დროს, შეენარჩუნებინა საფრანგეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა ამ ქვეყანაში. პრეზიდენტად არჩევისთანავე მან განათავისუფლა 7 ათასი ალჟირელი მაჰმადიანი, ხოლო „ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის“ მოძრაობის ლიდერს აჰმედ ბენ ბელასა¹³ და მის თანამოაზრეებს შეუმსუბუქდათ პატიმრობის რეჟიმი¹⁴. ეს იყო პრეზიდენტის მშვიდობისმოყვარე შესტი, რომელიც ეყრდნობოდა წინასწარ შემუშავებულ, კარგად გათვლილ პოლიტიკას, რაც ნათლად გამოჩნდა 1959 წლის 16 სექტემბერს, როდესაც დე გოლი ალჟირელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებებისა და ალჟირის შესაძლო დამოუკიდებლობის განცხადებით გამოვიდა. ამ განცხადების საფუძველზე, აფრიკის არაერთმა პატარა ერმა გამოთქვა სურვილი სუვერენული სახელმწიფოს შექმნის შესახებ. ფრანგულ ისტორიოგრაფიაში გენერალ დე გოლის 16 სექტემბრის გამოსვლა შეფასებულია, როგორც „დეკოლონიზაციის“ დასაწყისი ფრანგულ კოლონიებში. 16 სექტემბრის განცხადებას მოლაპარაკებების დაწყება და ესოდენ გაჭიანურებული ომის დასრულება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ 1960 წლის 19 იანვარს ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში გამოქვეყნდა ალჟირში საფრანგეთის არმიის მეთაურის, გენერალ მასიუს ინტერვიუ, რომელშიც მან განაცხადა, რომ არმიას არ ესმის პრეზიდენტის პოლიტიკის და არასოდეს არ დატოვებდა ალჟირს¹⁵. ამ განცხადების შემდეგ გენერალი მასიუ გადაყენებული იქნა დაკავებული თანამდებობიდან, რასაც მოჰყვა ერთკვირიანი ამბოხი მიმართული საფრანგეთის ახალი პრეზიდენტის პოლიტიკის წინააღმდეგ. დე გოლის ხელისუფლებამ შეძლო აღნიშნული კრიზისის მოგვარება, თუმცა 1960 წლის 5 თებერვალს გადაყენებული იქნა ალჟირის გენერალ-გუბერნატორი ჟაკ სუსტელი, 14 თებერვალს პრეზიდენტის მეთაურობით შეიქმნა „ალჟირის საქმეების კომიტეტი“, რომელშიც მხოლოდ პრემიერ

¹³ აჰმედ ბენ ბელა – ალჟირის პირველი პრემიერ მინისტრი, შემდეგ პრეზიდენტი, 1965 წელს პოლკოვნიკ ჰუარი ბუმედიენის მიერ მოწყობილი სამხედრო გადატრიალების შედეგად 14 წელი ციხეში გაატარა. 1980 წელს ქვეყანა დატოვა და მხოლოდ 1990 წელს დაბრუნდა.

¹⁴ **Ch. de Gaulle. Mémoires d'espoir.** T. I. Le Renouveau, გვ. 75.

¹⁵ *“Le Populaire”*, 1960, 20 jan.

მინისტრი, სამხედრო მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრები შედიოდნენ. ამიერიდან ალჟირის საკითხს მხოლოდ პრეზიდენტი და მასთან შექმნილი კომიტეტი წყვეტდა. 1960 წლის 4 მარტს რადიოთი გამოსვლის დროს დე გოლმა განაცხადა, რომ „მისი მიზანია, შეიქმნას „ალჟირული ალჟირი“, რომელიც ეკონომიკური, ტექნიკური და კულტურული თვალსაზრისით დაკავშირებული იქნება საფრანგეთთან“.¹⁶

დე გოლის მიერ გატარებული ღონისძიებების პასუხად, რეაქციულად განწყობილმა ფრანგმა სამხედრო ოფიცრებმა და ულტრამემარჯვენე ძალებმა შექმნეს „საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია“ (OAS)¹⁷, რომლის მიზანი იყო ალჟირის შენარჩუნება საფრანგეთის შემადგენლობაში, რისთვისაც ტერორის მეთოდებით უსწორდებოდნენ დე გოლის პოლიტიკის მომხრეებს. „საიდუმლო სამხედრო ორგანიზაციის“ წევრებმა არაერთხელ სცადეს დე გოლის ფიზიკური განადგურება, მაგრამ უშედეგოდ¹⁸.

მსგავსი რადიკალური შეხედულებების არსებობის პარალელურად, 1954-1962 წლებში „ალჟირის კრიზისის“ დროს საფრანგეთის არმიის მძიმე დანაკარგებმა და სამხედრო ხარჯების ზრდამ¹⁹, ფრანგული საზოგადოების უკმაყოფილება და ამ ომისადმი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია. ომის საწინააღმდეგო პაციფისტური სულისკვეთება განსაკუთრებით აქტიურად გამოიხატა ფრანგული კულტურისა და ხელოვნების ცნო-

¹⁶ “Le Monde”, 1960, 9 mars.

¹⁷ „საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია“ (OAS) – 1961 წლის მარტში გენერალ დე გოლის ალჟირული პოლიტიკის მოწინააღმდეგეებმა შვეიცარიაში კონსპირაციულ პირობებში შექმნეს „საიდუმლო სამხედრო ორგანიზაცია“ გენერალ სალანის მეთაურობით. ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მეთოდად აღიარებული იქნა ტერორი, რომელიც მიმართული იყო შარლ დე გოლისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ.

¹⁸ G. Depeux. La France de 1945 à 1965. P., 1969, გვ. 254.

¹⁹ ალჟირის ომის (1954-1962) დროს, 7 წლის მანძილზე, დაიდუმა 2000 ათასი ფრანგი ჯარისკაცი. 1962 წელს საფრანგეთის სამხედრო ბიუჯეტმა მიადწია 50 მილიარდ ფრანკს, რაც მძიმე ტვირთად დააწვა საფრანგეთის ეკონომიკას (Э. Г. Георгиев. Африканская политика Франции. М., 1985, გვ. 37).

ბილი წარმომადგენლების „121-ის მანიფესტში“, რომელიც, ფაქტობრივად, მხარს უჭერდა და ამაგრებდა დე გოლის პოლიტიკას ალჟირის კრიზისის მოგვარების საკითხში. დოკუმენტს ხელს აწერდნენ საფრანგეთის გამოჩენილი ადამიანები: ჟან-პოლ სარტრი, მორის ნალო, სიმონა დე ბოვუარი, სიმონა სინიორე, არტურ ადამოვი, ალენ რენე და სხვები. აღნიშნულ მანიფესტს არაერთი ფრანგი შეუერთდა, ომის შეწყვეტისა და ალჟირის საკითხის მოგვარების მოთხოვნით²⁰. საფრანგეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი იმედოვნებდა, რომ ქვეყნის ახალი პრეზიდენტი ბოლოს მოუღებდა ასეთ გაჭიანურებულ კონფლიქტს და საფრანგეთი ალჟირის კრიზისიდან ღირსეულად გამოვიდოდა.

ალჟირის კრიზისის მოგვარების საკითხში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენად ითვლება დე გოლის მიერ, 1960 წლის 4 ნოემბერს, ტელევიზიით გამოსვლისას ნახსენები „ალჟირის რესპუბლიკა“, რასაც მოჰყვა 7 ნოემბერს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გაკეთებული განცხადება – „დროა, საფრანგეთმა დაიწყოს ალჟირის დეკოლონიზაცია“.²¹ 22 ნოემბერს ალჟირის საქმეებში მინისტრად დაინიშნა ლ. ჟოქსი, ადამიანი, რომელიც პრეზიდენტის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა. ამიერიდან დე გოლი ალჟირთან დაკავშირებულ ყველა საკითხს განიხილავდა ლ. ჟოქსთან და პრემიერ მინისტრ მ. დებრესთან ერთად. საყურადღებოა, რომ ეს უკანასკნელი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ არ იზიარებდა გენერალ დე გოლის პოლიტიკას ალჟირთან მიმართებაში²².

ალჟირის ომი გახდა მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი უმწვავესი საკითხი, რომელიც 1955 წლიდან მუდმივად მწვავედ განიხილებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში. გაეროს გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა, 1960 წლის 15 დეკემბერს, მიიღო რეზოლუცია ალჟირში თვითგამორკვევის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების შესახებ.

²⁰ J.-F. Revel. En France (La nti de J'opposition). P., 1965, გვ. 102.

²¹ L. Terrenoire. De Gaulle et l'Algérie, გვ. 196.

²² P. Viansson-Ponte. Histoire de la république gaullienne. T. I. P., 1970, გვ. 462.

ალჟირში თვითმმართველობისა და ავტონომიური ორგანოების შექმნის მიზნით, 1961 წლის 8 თებერვალს ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც ფრანგული მოსახლეობის 75%-მა მიიღო მონაწილეობა და მხარი დაუჭირა თვითმმართველობის ორგანოების ჩამოყალიბებას, მაგრამ საკუთრივ ალჟირის მკვიდრმა მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ალჟირის „ეროვნული განთავისუფლების ფრონტის“ მიერ წამოყენებულ პოლიტიკურ მოთხოვნას ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის შესახებ.

მალე, 1960 წლის 20 თებერვლიდან 5 მარტამდე, შვეიცარიის ქალაქ ლიუცერნში, შარლ დე გოლის ნდობით აღჭურვილ პირს ჟ. პომპიდუსა²³ და ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის წარმომადგენლებს შორის დაიწყო კონფიდენციალური მოლაპარაკება, რომელმაც, ფაქტობრივად, შეამზადა საფრანგეთ-ალჟირის ოფიციალური მოლაპარაკებები, რომელიც 1961 წლის 20 მაისს დაიწყო ჟენევის ტბის ნაპირას მდებარე საკურორტო ქალაქ ვეიანში, მაგრამ ეს მოლაპარაკებები მალე ჩაიშალა, რადგან მხარეები ვერ მორიგდნენ საჰარისა და ევროპელი უმცირესობების გარანტიების საკითხებზე²⁴. იმავე წლის 20 ივლისს ლიუგერენში (ზემო სავოია) განახლდა მოლაპარაკებები, მაგრამ 28 ივლისს კვლავ ჩაიშალა.

1961 წლის 11 აპრილის პრეს-კონფერენციაზე, გენერალმა დე გოლმა განაცხადა, რომ „ალჟირის სახელმწიფო იქნება სუვერენული“ და „საფრანგეთი ხელს არ შეუშლის მისი დამოუკიდებლობის აღიარებას“, მაგრამ თუ მოლაპარაკებები ჩაიშლებო-

²³ ჟორჟ პომპიდუ (1911–1974) – საფრანგეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. მუშაობდა მასწავლებლად. 1935-1940 წლებში მსახურობდა არმიაში, საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ შეუერთდა წინააღმდეგობის მოძრაობას. 1944 წელს მიიწვიეს შარლ დე გოლის დროებითი მთავრობის სამდივნოში. მუშაობდა გოლის პირადი კანცელარიის ყოფილ უფროსად. ლიუცერნის მოლაპარაკებების დროს იყო როტშილდების ბანკის გენერალური დირექტორი. 1958 წელს მონაწილეობდა კონსტიტუციის შექმნაში. 1959-1962 წლებში იყო საკონსტიტუციო საბჭოს წევრი. 1962-1968 წლებში იყო პრემიერ მინისტრი, 1969-1974 წლებში საფრანგეთის პრეზიდენტი.

²⁴ G. Depeux. La France de 1945 a 1965, გვ. 278.

და, არ გამორიცხავდა ალჟირის გაყოფის შესაძლებლობას²⁵. ტერმინი „დეკოლონიზაცია“ დე გოლმა პირველად ამ პრეს-კონფერენციაზე გამოიყენა: „დეკოლონიზაცია პასუხობს ჩვენს ინტერესებს და აქედან გამომდინარე იგი ჩვენი პოლიტიკაა“.²⁶ მიუხედავად ამისა, მეხუთე რესპუბლიკის ხელისუფლებასა და „ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტს“ შორის მოლაპარაკებები (მელენის, ვეიენის, ლიუგრენის) ფაქტობრივად სამჯერ ჩაიშალა, რაც დაკავშირებული იყო საჰარის ნავთობითა და გაზით მდიდარი რაიონების განაწილების საკითხთან. მაგრამ 1961 წლის 5 სექტემბრის პრეს-კონფერენციაზე დე გოლმა განაცხადა, რომ საჰარა დარჩებოდა დამოუკიდებელი ალჟირის შემადგენლობაში²⁷. ამის შემდეგ, 1961 წლის ოქტომბერში, განახლდა საიდუმლო მოლაპარაკებები ალჟირის „ეროვნული განთავისუფლების ფრონტთან“.

ხეშოთ აღნიშნული საიდუმლო მოლაპარაკებების პარალელურად, საფრანგეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი, გაფიცვებისა და დემონსტრაციების სახით, ომის საწინააღმდეგო პროტესტს გამოთქვამდა და მოითხოვდა ალჟირის კრიზისის სასწრაფო მოგვარებას.

1962წ. 7 მარტიდან 18 მარტამდე ქალაქ ევიანში, კვლავ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, რომელიც წარმატებით დასრულდა და 18 მარტს დაიდო საბოლოო შეთანხმება საფრანგეთსა და ალჟირის „ეროვნული განთავისუფლების ფრონტს“ შორის.

ევიანის ხელშეკრულების საფუძველზე საფრანგეთმა აღიარა ალჟირის სუვერენიტეტი და გაიყვანა შეიარაღებული ძალები, მაგრამ შეინარჩუნა კონცესია საჰარის ნავთობისა და გაზის საბადოების ათვისებაზე, ასევე სამხედრო-საზღვაო ბაზა მერს-ელ-კებირში და ატომური იარაღის გამოსაცდელი პოლიგონი რაგანში. ალჟირი რჩებოდა ფრანკის მიმოქცევის ზონაში, მაგრამ უნდა მიეღო ეკონომიკური დახმარება საფრანგეთისაგან²⁸. აღნიშნული ხელშეკრულება დე გოლის მთავრობამ სახალხო რეფერენდუმზე

²⁵ A. Passeron. De Gaulle parle (1958-1962). P., 1962, გვ. 304.

²⁶ A. Passeron. De Gaulle parle, გვ. 290.

²⁷ A. Passeron. De Gaulle parle, გვ. 314.

²⁸ S. Berstein. La décolonisation et ses problèmes. P., 1969, გვ. 50-51.

გაიტანა. 1962 წლის 8 თებერვალს საფრანგეთის მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ალჟირის „დეკოლონიზაციას“.²⁹ I ივლისს ალჟირში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც მოსახლეობის 99%-მა მხარი დაუჭირა ალჟირის დამოუკიდებლობას. ხელისუფლება „ეროვნული განთავისუფლების ფრონტის“ ხელში გადავიდა. იმავე წლის 20 სექტემბერს ჩატარდა ეროვნული დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელმაც 25 სექტემბერს ალჟირის სახალხო და დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოაცხადა. დამფუძნებელმა კრებამ შექმნა რესპუბლიკის მთავრობა აკმედ ბენ ბელას მეთაურობით. შემდგომში ბენ ბელა რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდა.

ამრიგად, XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დასაწყისში, საფრანგეთის დემოკრატიულმა საზოგადოებამ და მისმა პროგრესულად მოაზროვნე პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა მიზანმიმართული, თანმიმდევრული პოლიტიკის გატარებით, პიროვნული რისკისა და გამბედაობის საფუძველზე, შეძლეს მრავალწლიანი კრიზისის დაძლევა და ომიდან საფრანგეთის სახელმწიფოს გამოყვანა.

О. В. АРДАШЕЛИА

АЛЖИРСКИЙ КРИЗИС И ПОЛИТИКА ШАРЛЯ ДЕ ГОЛЛЯ

В работе, на основе французских материалов, рассмотрен алжирский кризис (1954-1962) и политика Шарля де Голля. В конце 50-х и начале 60-х годов демократическая общественность Франции и ее прогрессивно мыслящий президент Шарль де Голль проведением целеустремленной последовательной политики смогли провести политику „деколонизации“ и осилить многолетний кризис в Алжире и вывести Францию из войны.

²⁹ *L'Année politique. 1962.* P., 1963, გვ. 38.

კონსტანტინე გამსახურდია – 110

ზურაბ პაპასძირი

საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის კონსტანტინე გამსახურდიასეული გააზრება

ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატის, ეროვნული ლიტერატურის ნამდვილი გიგანტის, დიდი მწერლისა და მამულიშვილის კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება სისხლ-ხორცეულადაა დაკავშირებული ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ისტორიულ წარსულთან. მისი სწორუპოვარი მხატვრული ქმნილებები (სხვათა შორის, არა მხოლოდ ისტორიული რომანები) შეიძლება ითქვას, დახუნძლულია ისტორიული მასალებით, რომლებშიც უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით არის გაცოცხლებული ქართველი ხალხის მიერ განვლილი გზა დასაბამიდან თითქმის XXს. პირველი ნახევრის ჩათვლით. ამ თვალსაზრისით, რად ღირს თუნდაც მისი „მთვარის მოტაცება“, რომელიც თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ საისტორიო ენციკლოპედიად და რომელშიც აისახა როგორც მთლიანად საქართველოს, ისე მისი ცალკეული კუთხეების (ოდიშ-აფხაზეთის, სვანეთის და ა.შ.) ისტორიული წარსული.

ბუნებრივია, ძნელია მცირე მოცულობის წერილში, თუნდაც სქემატურად, წარმოვაჩინოთ კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული თვალსაწიერი მთლიანად. ჩვენ არც შეიძლება გვეჩონდეს ამის გაკეთების პრეტენზია. ამჯერად, შემოვიფარგლებით ერთი კონკრეტული საკითხით – თუ როგორ ჰქონდა მწერალს გააზრებული XIIს. I მესამედის საქართველოს ისტორიის უმნიშვნე-

ლოვანესი მოვლენები¹ და როგორ ესადაგება მათი კ. გამსახურდიასეული ახსნა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიაში შემუშავებულ მეცნიერულ ხედვას.

როგორც დასმული პრობლემიდან ჩანს, მსჯელობა გვექნება კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურულ შედეგზე: „დიდოსტატის მარჯვენა“. რასაკვირველია, აქ არ შევუდგებით ამ ნაწარმოების მხატვრულ ღირსებებზე საუბარს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „დიდოსტატის მარჯვენა“ ქართული პროზის სრულიად უნიკალური ძეგლი, მისი ნამდვილი მშვენიერება.

„დიდოსტატის მარჯვენაში“, როგორც ცნობილია, აისახა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ურთულესი პერიოდი XI ს. I მესამედი, როდესაც ახლადფეხადგმულ ერთიან ქართულ სახელმწიფოს უხდებოდა ბიზანტიის უძლეველი და უბოროტესი იმპერიის აგრესიის მოგერიება კონსტანტინოპოლისაგან სრული სუვერენიტეტის მოპოვებისათვის ბრძოლა. სწორედ ეს ამოცანა იდგა „დიდოსტატის მარჯვენის“ მთავარი პერსონაჟის გაერთიანებული საქართველოს მეორე მეფის გიორგი I-ის (1014-1027წწ.) წინაშე. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ, შეიძლება ითქვას, უფრო ადრე, ვიდრე ამას გააკეთებდა ისტორიო-

¹ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მონახაზი შეიქმნა ჯერ კიდევ 1991-1992 წლებში, მაგრამ დასრულებული სახე მიიღო მხოლოდ 1999 წლის გაზაფხულზე, როდესაც წაქითხულ იქნა მოხსენების სახით საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც გაიმართა ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში. მოგვიანებით, იმავე 1999 წელს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების ამ მხარეზე საინტერესო ნარკვევი გამოაქვეყნა აკად. რ. მეტრეველმა (იხ.: **რ. მეტრეველი**. „დიდოსტატის“ ისტორიული ფონი. – წგნ.: **რ. მეტრეველი**. ისტორიზმი ქართველი მწერლების შემოქმედებაში. თბ., 1999, გვ. 61-70). მიუხედავად იმისა, რომ რ. მეტრეველის ნარკვევში მოცემულია უადრესად საყურადღებო დაკვირვებები განსახილველი პრობლემის ირგვლივ, ჩვენ, ამჯერად მაინც შევიკავეთ თავი ამ მასალით ჩვენი ნაშრომის შევსებისაგან და მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ზემოაღნიშნულ სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენების უცვლელი სახით დაბეჭდვა, მითუმეტეს, რომ ახლო მომავალში ვაპირებთ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების საფუძვლიან შესწავლას სწორედ ამ კუთხით.

გრაფია, სავსებით მართებულად მიუთითა იმ განსაკუთრებულ მისი-
აზე, რომელიც იტვირთა გიორგი I-მა. „ბაღდადის მიწები და
და მოცუბა აფხაზთა მეფე გიორგი პირველი,“ – აღნიშნავს
მწერალი თავის წინასიტყვაობაში, – „სიჭაბუკეში მომემატა პატი-
ვისცემა მისდამი, როცა გავიგე, თუ რამოდენა ვეშაპს შებნია ეს
შესანიშნავი რაინდი. მიყვარდა ის ორ კურაპალატს შორის გა-
მოსრესილი მეფე“.² კ. გამსახურდია პროტესტს გამოთქვამს იმ
უსამართლობის გამო, რომელსაც ადგილი აქვს „ქართლის ცხოვ-
რება“-ში და რაც იმაში გამოიხატა, რომ ასეთ ძლიერ მოღვა-
წეს, მწერლის სიტყვებით: „კოლოსალური ძალის მატარებელს“,
რომელიც მედგრად შეეჭიდა მსოფლიო იმპერიის მბრძანებელს
და „ერთხელ მაინც დაამარცხა კეისარი ბიზანტიისა... ამ უბად-
ლო ვაჟკაცს... უშიშოს, ვითარცა უზორცოს“, შუა საუკუნეების
საქართველოს უმთავრეს საისტორიო წიგნში მხოლოდ ორიოდე
გვერდი აქვს დათმობილი³.

მართლაც, ძნელია არ დაეთანხმო მწერლის ამ უდავოდ
სამართლიან შენიშვნას. გიორგი I, მიუხედავად თავისი ახალგაზ-
რდობისა, ურთულეს პოლიტიკურ პროცესებს მართავდა და არა
მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, მაგრამ ქართველმა მემკვიდრე-
ებმა რატომღაც ყოველივე ეს ვერ „შეამჩნია“. მაგალითისათვის
კმარა თუნდაც საქართველოს მეფის აქტიური ჩარევა მეზობელი
სომხეთის – ანისის სამეფოს საშინაო საქმეებში, რომელიც ფაქ-
ტობრივად დოკუმენტურად ასახა არა სხვა ვინმემ, არამედ თვით
თითქმის ამ მოვლენების თანამედროვემ, ცნობილმა სომეხმა ის-
ტორიკოსმა არისტაკეს ლასტივერტციმ. სომეხი ისტორიკოსის
გადმოცემით, მეფე გაგიკის გარდაცვალების (1017წ.) შემდეგ ანი-
სის სამეფოში შინაომი ატეხილა, რომლის დროსაც ერთმანეთს
დაპირისპირებიან მეფე გაგიკის შვილები: „სუმბატი, რომელიც
იოანედ იწოდებოდა და აშოტი (სუმბატის) მკვიდრი ძმა. ...ისინი
ერთმანეთს შეეტაკნენ ქვეყნის დანაწილებისათვის, საჭირო შეიქნა

² კ. გამსახურდია. რჩეული თხზულებანი. ტ. II. თბ., 1959, გვ. 813, ხაზგასმა ჩვენი – ზ.პ. (აქ იგულისხმება გიორგი I-ის მამა – სა-
ქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ III კურაპალატი (978-
1014წწ.) და მისი მემკვიდრე – ბაგრატ IV (1027-1072წწ.).

³ კ. გამსახურდია. რჩეული თხზულებანი, ტ. II, გვ. 813.

სასამართლო, მათთან მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი და მშვიდობიანად შეარიგა ისინი. ორი სახელის მქონე სუმბატს (ასაკით) უფროსობის გამო (გიორგიმ) მისცა წილი: ანისის ციხე, მის გარშემო მდებარე გავარებითურთ, ხოლო აშოტს — ქვეყნის შიდა მხარე, რომელიც სპარსეთსა და საქართველოს უყურებდა“.⁴ კიდევ უფრო მრავლისმთქმელია მომდევნო ფრაგმენტი სომეხი ისტორიკოსის თხზულებიდან: „აშოტის მხრიდან ერთი მთავარი საჩივრით მოვიდა გიორგისთან და უთხრა, რომ შატიკი ჩემი სამკვიდრო ადგილია, რომელიც ჩემგან უსამართლოდ წაიღო სუმბატმაო. ეს რომ გიორგიმ მოისმინა, დიდი რისხვითა და სიბრაზით აღენთო და ჯარი დაადევნა (სუმბატს) კვალდაკვალ... (გიორგის ჯარებმა) გზაზე (ქალაქ) ანისის კარამდე გვამების ხროვა დააყენეს... შეპყრობილი სუმბატი მათ გიორგისთან მოიყვანეს, რომელმაც ბრძანა მისი ჩამწყვედვა. შემდეგ წაართვა სამი ციხესიმაგრე და გაათავისუფლა (სუმბატი)“.⁵

როგორც ვხედავთ, გიორგი I-ის პოლიტიკური ავტორიტეტი საკმაოდ მაღალია საერთაშორისო მასშტაბით. ის, არც მეტი არც ნაკლები, გამოდის არბიტრის როლში სომხეთის საშინაო კონფლიქტში. უფრო მეტიც, მას უნარი შესწევს ისეთი წესრიგი დაამყაროს ანისის სამეფოში, როგორც სურს: ურჩნი დასაჯოს, მეფე შეიპყროს და ჩამწყვდიოს და ა.შ. ყოველივე ეს კი ამკარად მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს მეფე მთლიანად აკონტროლებს პოლიტიკურ სიტუაციას მეზობელ სახელმწიფოში და რომ ანისის მეფე სუმბატი ფაქტობრივად მისი ვასალია.

ქართველი მემატიანისათვის ასევე უცნობია გიორგი I-ის სხვა განმაურებული საგარეო-პოლიტიკური აქციები, მათ შორის მისი კონტაქტები ეგვიპტის ფატიმიან ხალიფა ალ-ჰაქიმთან. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ და სხვა მასალებზე დაყრდნობით შემუშავებულია მყარი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ სწორედ გიორგი I იყო პირველი მონარქი, რომელიც შეეცადა საქართველოს სახელმწიფოს ფართო საერთაშორისო არე-

⁴ არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა *ქ. ცაგარეიშვილმა*. თბ., 1974, გვ. 44, ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**

⁵ არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია, გვ. 44. ხაზგასმა ჩვენია — **ზ.პ.**

ნაზე გაყვანას⁶.

უაღრესად მახვილგონივრულია კ. გამსახურდიას გამოთქმა „**ორ კურაპალატს შორის გამოსრესილი მეფე**“. მასში ზუსტად არის მინიშნებული გიორგი I-ის პოლიტიკური კურსის პრინციპული განსხვავება მისი წინამორბედი (ბაგრატ III) და მომდევნო (ბაგრატ IV – განსაკუთრებით მმართველობის ბოლო პერიოდში) მეფე-კურაპალატთა პოლიტიკისაგან. დღევანდელი გადასახედოდან, სრულიად აშკარაა და ისტორიოგრაფიაშიც საკმაოდ მკაფიოდაა ნაჩვენები გიორგი I-ის შეურიგებელი ანტიბიზანტიური კურსი, რითაც ის უდავოდ განსხვავდებოდა მამამისისაგან – ბაგრატ III-საგან, რომელიც თავს არიდებდა ღია კონფრონტაციას ბიზანტიის მრისხანე იმპერატორთან ბასილი II-სთან და ოფიციალურად აღიარებდა კონსტანტინოპოლის უზენაესობას⁷. როგორც ცნობილია, ამის გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენდა ბაგრატ III-სათვის კურაპალატის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულის მინიჭება 1001 წელს. თუმცა, აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ბაგრატ III-ის მხრიდან კურაპალატის ტიტულის მიღება დიპლომატიური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. ამით, ჯერ მხოლოდ „აფხაზთა“ მეფე⁸ ბაგრატ III ცდილობდა (და მიაღწია კიდევ) ბასილი კეისრის ნეიტრალიზებას, რათა ეს უკანასკნელი არ ჩარეულიყო აქტიურად საქართველოს საშინაო საქმეებში და ხელი არ შეეშალა ქუთაისის ტახტის ირგვლივ ქვეყნის გაერთიანებისათვის. რაც შეეხება ბაგრატ IV-ს, ის (ჯერ კიდევ მცირეწლოვანი) ტახტზე ასვლის პირველ წლებში, მართა-

⁶ **ო. ცქიტიშვილი**. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის გიორგი I-ის პერიოდში, – „*მაცნე*“, №4. თბ., 1968, გვ. 125; **ხ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 114.

⁷ საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ხასიათის შესახებ ბაგრატ III-ის მეფობის პერიოდში იხ.: **ხ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული... გვ. 58-60.

⁸ არაა გამორიცხული ამ დროისათვის (პაპის – „ქართუელთა“ მეფის ბაგრატ II „რეგუენის“ გარდაცვალების – 994წ. – შემდეგ) ბაგრატ III (ფორმალურად) უკვე „ქართუელთა“ მეფის ტიტულსაც ატარებდა (იხ.: **ხ. პაპასქირი**. ერთიანი ქართული... გვ. 75-82).

ლია, მოექცა დედამისის, მარიამ დედოფლის და მისი თანამოაზრეების – პრობიზანტიური დასის – გავლენის ქვეშ და ამ გუნდის დიპლომატიური აქტიურობის წყალობით კურაპალატის ტიტულიც მიიღო, მაგრამ, მოგვიანებით, როდესაც დამოუკიდებლად დაიწყო ქვეყნის მართვა, ბაგრატ მეფემ ძირეულად გადასინჯა ურთიერთობა ბიზანტიასთან და ენერგიულად შეუდგა მამისეული ანტიბიზანტიური კურსის გატარებას, რაც, საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, მარცხით დამთავრდა. XIს. 50-იანი წლების შუა ხანებში ბაგრატ IV იძულებული შეიქნა, უარი ეთქვა ბიზანტიასთან კონფრონტაციაზე და ეცნო იმპერატორის უზენაესობა⁹.

სავსებით დამაჯერებელია ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით კ. გამსახურდიას მიერ დახატული საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მელქისედეკ I-ის პოლიტიკური პორტრეტი. მელქისედეკი ნაწარმოებში არაერთხელაა გამოყვანილი, როგორც გიორგი I-ის ანტიბიზანტიური კურსის მოწინააღმდეგე. „არც... ბიზანტიასთან სამტრო პოლიტიკას იზიარებდა“-ო მელქისედეკ კათალიკოსი, – წერს მწერალი¹⁰. მას არ მოსწონდა, რომ „ბაგრატის ძემ – გიორგიმ კურაპალატისა და ნოველისიმოსის ხარისხებს ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლა... არჩია“.¹¹ ბიზანტიასთან ერთმორწმუნეობას ამოფარებული მელქისედეკ კათალიკოსი აშკარად ბიზანტიის იმპერიის კონტრაგენტის როლში გამოდის. ის წუხს, რომ გიორგი არ ჰგავს მამამისს ბაგრატ კურაპალატს და მასსავით არ ექცევა „გულმოდგინედ ... სარწმუნოებისა და ზნეობის საქმეებს“.¹²

სწორედ ეს იწვევს გიორგი მეფის კურსის მომხრეთა პროტესტს. სასახლეში შეურიგებელი აზრთა სხვადასხვაობის ატმოს-

⁹ ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **გ. კოპალიანი**. საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა 970-1070 წლებში. თბ., 1969, გვ. 72-89, 129-279; **მ. ლორთქიფანიძე**. საქართველოს შინა-პოლიტიკური და საგარეო ვითარება XIს. 80-იანი წლებიდან XIს. 80-იან წლებამდე. – *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III. თბ., 1979, გვ. 170-191; **ზ. პაპასქერი**. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა... გვ. 150-210.

¹⁰ **კ. გამსახურდია**. რჩეული... გვ. 540.

¹¹ **კ. გამსახურდია**. რჩეული... გვ. 593.

¹² **კ. გამსახურდია**. რჩეული... გვ. 486.

ფერო სუფევდა. „დელოფალი და კათალიკოსი ისე გაიტაცა ბრმად-მორწმუნეობამ, რომ ისინი საქართველოს მტერს როდი ზედავენ კვისარში, არამედ ქრისტიანული სამყაროს უზენაეს არსებას, რომელიც ვითარცა რომის იმპერატორი... მხოლოდ ღმერთს უთმობდა პირველობას ამ ქვეყნად“, – ასე გადმოსცემს მწერალი ზვიად სპასალარის – გიორგი I-ის უერთგულესი მოხელის ფიქრებს¹³. სრულიად ამკარაა, რომ ზვიად სპასალარის ეს შეფასებები უდავოდ ავტორისეულია. თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია მთლიანად იზიარებს იმდროინდელი საქართველოს შინაპოლიტიკური ვითარების კ. გამსახურდიასეულ ანალიზს. თავის დროზე, დაახლოებით იგივე დასკვნას აკეთებდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, რომელიც ასევე თვლიდა, რომ ქართული ეკლესიის მესვეურები საქართველო-ბიზანტიის კონფლიქტის დროს (XI ს. 20-იან წლებში) ამკარად პრობიზანტიურ ორიენტაციას ადგენენ¹⁴. მართალია, გამოჩენილი მეცნიერის ეს მოსაზრება რამდენადმე საეჭვოდ მიიჩნია ვ. კოპალიანი¹⁵, მაგრამ ზოგიერთი დოკუმენტური წყაროს (კათალიკოს მელქისედეკის „დაწერილი“) მონაცემები ამკარად მოწმობენ აკად. ნ. ბერძენიშვილის დასკვნის სისწორეს¹⁶, რაც რამდენადმე დავასაბუთეთ კიდევ 1990წ. გამოცემულ მონოგრაფიაში¹⁷.

„დიდოსტატის მარჯვენაში“ ასევე სწორად არის ნაჩვენები დელოფალ მარიამის პოლიტიკური სახეც, კერძოდ, მისი და მელ-

¹³ კ. გამსახურდია. რჩეული..., გვ. 584-585.

¹⁴ ნ. ბერძენიშვილი. ქართული მიწების პოლიტიკური გაერთიანება, – წგნ.: ნ. ბერძენიშვილი. ისტორიის ისტორიის საკითხები, ტ. VI. თბ., 1973, გვ. 22.

¹⁵ ვ. კოპალიანი. საქართველოსა და ბიზანტიის..., გვ. 148-158.

¹⁶ არაა გამორიცხული, რომ ნ. ბერძენიშვილის დასკვნა ემყარებოდა კიდევ (თუმცა კონკრეტული მსჯელობა ამ კუთხით მკვლევარს არა აქვს) მის მიერვე საგანგებოდ შესწავლილ და გამოცემულ კათალიკოს მელქისედეკის „დაწერილს“ (იხ.: ნ. ბერძენიშვილი. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა. – წგნ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. IV. თბ., 1967, გვ. 217-286), რომელშიც ერთნიშნადაა დაფიქსირებული საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის საკმაოდ თბილი ურთიერთობები ბიზანტიის იმ კეისრებთან (ბასილი II, კოსტანტინე VIII, რომანოზ არგვიროსი), რომლებიც დიდად გამოდიოდნენ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ.

¹⁷ ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული..., გვ. 134-135.

ქისედეკ კათალიკოსის მოკავშირეობა. სათანადო წერილობითი წყაროები (მაგალითად, XII ს. არაბი ავტორის იაჰია ანტიოქიელის თხზულება¹⁸, რომლის ვ. როზენისეულ გამოცემასაც¹⁹ კარგად იცნობდა კ. გამსახურდია) აშკარად ადასტურებენ კათალიკოს მელქისედეკის აქტიურ მონაწილეობას მარიამ დედოფლის „სამშვიდობო ინიციატივაში“, რომელიც, ფაქტობრივად, გარდაცვლილი გიორგი I-ის ანტიბიზანტიური კურსის სრულ რევიზიას წარმოადგენდა და მიმართული იყო ბიზანტიის იმპერიასთან „ერთობის“ დამყარებისაკენ. ნაწარმოებში კარგად არის ნაჩვენები დედოფალ მარიამისა და მელქისედეკ კათალიკოსის ეს ალიანსი. „მარიამ დედოფლისა და მელქისედეკ კათალიკოსის მომხრენი“²⁰ აქტიურად მოქმედებენ ფარსმან სპარსის წინააღმდეგ. გიორგი I-ის კრიტიკის ფონზე, კათალიკოსი მის თანამეცხედრეს დემონსტრაციულად „წმინდანთა სწორ დედოფალ მარიამად“ მოიხსენიებს²¹.

მარიამ დედოფლის პიროვნებასა და გიორგი მეფესთან მისი ურთიერთობის საკითხზე მსჯელობისას, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ შორენას სახეს. ისმის კითხვა, რატომ შემოიტანა ავტორმა რომანში გიორგი I-ის სასიყვარულო ისტორია. არის ეს მთლიანად მწერლის ფანტაზია (მაგალითად, ისეთივე, როგორიცაა დავით აღმაშენებლისა და დედისიმედის სასიყვარულო ამბავი), თუ მას რაიმე ისტორიული საფუძველი გააჩნია. ყოველგვარი დაეჭვების გარეშე შეიძლება ვამტკიცოთ, რომ კ. გამსახურდიას ეს

¹⁸ იაჰია ანტიოქიელის ცნობები ქართულად გამოქვეყნებული აქვთ ო. ცქიტიშვილსა და ბ. სილაგაძეს (იხ.: **ო. ცქიტიშვილი**. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის..., გვ. 115-133; **ბ. სილაგაძე**. იაჰია ანტიოქიელის ცნობები საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის შესახებ X ს.-ის ბოლო მეოთხედსა და XII ს.-ის I მეოთხედში. – კრ.: *ქართული წყაროთმცოდნეობა*, VI. თბ., 1986, გვ. 108-126. იაჰია ანტიოქიელის ცნობები უფრო სრულად მოცემულია გ. ბუაჩიძის პუბლიკაციაში. იხ.: **გ. ბუაჩიძე**. ერთი ეპიზოდი საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობიდან იაჰია ანტიოქიელის „ისტორიაში“ – *ქართული დიპლომატია*. წელიწდეული, ტ. 3. თბ., 1996, გვ. 96-116.

¹⁹ **В. Розен**. Император Василий Болгаробойца. Извлечения Яхьи Антиохийского. Издал, перевел и объяснил барон **В. Розен**. СПб, 1883.

²⁰ **კ. გამსახურდია**. რჩეული..., გვ. 583.

²¹ **კ. გამსახურდია**. რჩეული..., გვ. 768.

თემა შემთხვევით არ წამოუწყვია. შორენას რეალური ისტორიული პროტოტიპი ჰყავს. ესაა გიორგი I-ის ე.წ. „მეორე ცოლი“, „ოვსთა მეფის ასული“, რომელსაც პირდაპირ ასახელებს XI ს.-ის „მატიანე ქართლისაჲ“-დ წოდებული ქართული ქრონიკა²² და რომლის სახელი – ალდა – დაფიქსირებულია იმავე საუკუნის ბიზანტიურ წყაროში²³. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე ახსნილია გიორგი I-ის ოვსთა მეფის ასულზე შესაძლო დაქორწინების ეს, ერთი შეხედვით, მეტად უცნაური ფაქტი და მიჩნეულია, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რეალურ ისტორიულ მოვლენასთან. კერძოდ, როგორც ჩანს, პოლიტიკური მოსაზრებით გიორგი I-მა გადაწყვიტა მისი კურსის მოწინააღმდეგე დედოფალ მარიამის გზიდან ჩამოცილება და ოვსეთის სამეფოსთან დინასტიურ-ნათესაური ურთიერთობის დამყარებით მძლავრი მოკავშირის შექმნა ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ. მაგრამ გიორგი I-ის ეს მცდელობა, სავარაუდოა, მარცხით დამთავრდა. მან ვერ შეძლო ის, რაც მოგვიანებით მოახერხა მისმა დიდმა შთამომავალმა დავით აღმაშენებელმა, რომელმაც, დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაში, მიაღწია პირველ ცოლთან – ტახტის მემკვიდრე დემეტრე უფლისწულის დედასთან – განქორწინებას და ახალი მეუღლის – „ყივჩაყთა უმთავრესის ათრაქა შარალანის ძის“ ასულ გურადუხტის გადღოფლებას²⁴. როგორც ჩანს, გიორგი I ვერ მოერია დედოფალ მარიამისა და მელქისედეკ კათალიკოსის ალიანსს და შეიძლება შეეწირა კიდევ თავის ამ წა-

²² **მატიანე ქართლისა.** – *ქართლის ცხოვრება*. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით **ს. ყაუხჩიშვილის** მიერ. თბ., 1955, გვ. 295.

²³ **გიორგი კედრენე.** ქრონოგრაფია. – წგნ.: *გეორგიკა*. ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. V. ბერძნული ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო **ს. ყაუხჩიშვილმა**. თბ., 1963, გვ. 5.

²⁴ ამის შესახებ იხ.: **ი. ჯავახიშვილი.** ქართველი ერის ისტორია, ტ. II. თბ., 1965, გვ. 219-220; **ზ. ავალიშვილი.** ჯვაროსანთა დროიდან. *4 ისტორიული ნარკვევი*. პარიზი, 1929, გვ. 25-29; **შ. ბადრიძე.** საქართველო და ჯვაროსნები. თბ., 1973, გვ. 15-18; **შ. ბადრიძე.** საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და ჯვაროსნებთან. თბ., 1984, გვ. 124-125; **ზ. პაპასქირი.** ერთიანი ქართული..., გვ. 125-126.

მოწყობას²⁵.

ესაა მხოლოდ მცირე ნაწილი დიდი ქართველი მწერლის ნაფიქრალიდან ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულზე. მოცემული მასალა, ჩვენი აზრით, იძლევა საკმაოდ მკაფიო წარმოდგენას კონსტანტინე გამსახურდიას შესაშურ ისტორიოგრაფიულ ალლოზზე, მის უნარზე, წარმოაჩინოს ეპოქის მაქსიმალურად რეალისტური სურათი.

З. В. ПАПАСКИРИ

О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ ИСТОРИЧЕСКОГО МЫШЛЕНИЯ КОНСТАНТИНЭ ГАМСАХУРДИА

В статье освещаются некоторые аспекты исторического мышления великого грузинского писателя Константинэ Гамсахурдия на примере его выдающегося произведения „Десница великого мастера“. Отмечено, что видение писателя политических процессов, протекавших в Грузии в I четверти XIX., а также данные им портреты исторических деятелей той эпохи (царя Гиоргия I-го, царицы Мариам, Католикоса Мелкиседека) однозначно свидетельствуют о высокой эрудированности автора и правильном восприятии им, в историографическом плане, политической жизни Грузии того периода.

²⁵ ამის შესახებ დაწვრილ. იხ.: **ზ. პაპასკირი**. „მატიანე ქართლისას“ ერთი ცნობის გაგების საკითხისათვის. – *მ. გორკის სახ. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, I. თბ., 1983, გვ. 136-144; **З. В. Папаскири**. О некоторых вопросах внешней политики Грузинского царства в I трети XI века. – *Сборник работ молодых ученых и специалистов Абхазии*. Сухуми, 1980, гв. 64-74; **ზ. პაპასკირი**. ერთიანი ქართული., გვ. 123-138.

პ რ ი ტ ი კ ა , ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ზურაბ პაპასძირი

ნაშრომი საქართველოს პოლიტიკური ბაზრითიანების საკითხებზე

**რეცენზია გურამ გაბუნias სადოქტორო დისერტაციაზე:
„საქართველო X საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XIს.
დასაწყისში“ (საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების
პრობლემური საკითხები)**

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის პრობლემის მეცნიერულ შესწავლა-დამუშავებას ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ყველა ეტაპზე ექცეოდა სრულიად განსაკუთრებული ყურადღება. ფაქტობრივად ძნელია მოიძებნოს შუა საუკუნეების პერიოდის, და არა მარტო ამ ხანის, საქართველოს ისტორიის მეტ-ნაკლებად სოლიდური მკვლევარი, რომელიც გაკვირვებით მაინც არ შეხმინებოდეს Xს. მიწურულსა და XIს. დამდეგს განვითარებულ მოვლენებს, რომელთაც მოჰყვა იმერ-ამერის გაერთიანება და პირველად ქვეყნის ისტორიაში ერთიანი ქართული სახელმწიფოს ფორმირება. თავის დროზე ამ პრობლემატიკაზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მამამთავარმა აკად. ი. ჯავახიშვილმა, რომლის ფუძემდებლურ დებულებებზე აიგო კიდევ ძირითადად IX-XIს. დამდეგის პოლიტიკური ქარტეხილების მეცნიერული ანალიზი. უაღრესად მნიშვნელოვანია ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის ცალკეულ ასპექტებზე ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებები. საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პრობლემა არაერთხელ გამხდარა სპეციალური მონოგრაფიული შესწავლის საგანი. ამ თვალ-

საზრისით უდავოდ საეტაპოა აკად. მ. ლორთქიფანიძის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც შეჯამდა გასული საუკუნის 60-იან წლებში გამოცემულ ცნობილ მონოგრაფიაში¹, აგრეთვე მის განმაზოგადებელი ხასიათის ნარკვევებში, რომლებიც შევიდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II და III ტომებში². საქართველოს გაერთიანების საკითხებს აქტიურად იკვლევდნენ XXს. 70-90-იან წლებშიც. გამოიცა არაერთი სპეციალური ნაშრომი, მონოგრაფია, რომლებშიც ახლებურად იქნა გაშუქებული საკვლევი პრობლემის ცალკეული საკითხები. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პრობლემის შემდგომ მეცნიერულ კვლევას ნამდვილად არ დაუკარგავს აქტუალობა და კიდევ ერთხელ მის ყოველმხრივ გამოწვლილვით შესწავლას უდავოდ აქვს გარკვეული პერსპექტივა. სწორედ ეს მიზანია დასახული გურამ გაბუნias მიერ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში.

ნაშრომი შედგება წინათქმის, შესავლის, შვიდი თავისა და დასკვნებისაგან. მას დართული აქვს საგვარეულო ნუსხები და რუკები, აგრეთვე გამოყენებული საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის სია.

შესავალ ნაწილში, რომელიც მოცულობით საკმაოდ ვრცელია, ნაჩვენებია საკვლევი თემის აქტუალობა, დასახული მიზანი. აქვე დისერტანტი მიმოიხილავს წყაროთმცოდნეობით ბაზას და ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობას, უთითებს ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში ცალკეა მიმოხილული საერთაშორისო ვითარება ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის წინ, აგრეთვე საქარ-

¹ მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება. თბ., 1963.

² მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. თბ., 1973; მ. ლორთქიფანიძე. ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა. – წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. თბ., 1973; მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს შინა-პოლიტიკური და Xს. 80-იანი წლებიდან XIს. 80-იან წლებამდე. – წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ., 1979.

თველოს როლი და ადგილი მსოფლიო პოლიტიკაში ძვ.წ. VIს.-დან დაწყებული ახ.წ. Xს. მიწურულამდე. შესავალ ნაწილში განსაზღვრულია აგრეთვე ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩოები და არის გამაერთიანებელი მოძრაობის ცალკეული პერიოდების დადგენის მცდელობა.

დისერტანტი საკმაოდ დამაჯერებლად აჩვენებს საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პრობლემაზე ყურადღების კიდევ ერთხელ გამახვილებისა და მისი გადამწყვეტი ეტაპის (Xს. უკანასკნელი მეოთხედი – XIIს. დამდეგი) მონოგრაფიულად დაძუძუების აუცილებლობას. ამასთან, ის ხაზს უსვამს განსახილველი საკითხების „მეცნიერული **ისტორიზმის პოზიციებიდან** ერთ მთლიანობაში“ გააზრება-გაანალიზებას. უდავოდ სწორია გ. გაბუნიას დასკვნა იმის შესახებ, რომ ბაგრატ უფლისწულის 978წ. ქუთაისში გამეფებით მხოლოდ დაიწყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობა. აქვე არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში (ეს გვხვდება ნაშრომის სხვა თავებშიც) გატარებულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ეს იყო „საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის **ხელახალი** აღდგენა-დაფუძნება“ ან კიდევ „საქართველოს **ხელახალი** პოლიტიკური გაერთიანება“. მართალია, ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, რომელსაც თანამედროვე ისტორიოგრაფიაში არაერთი მომხრე ჰყავს, ქართული პოლიტიკური სამყარო (იმერამერი) ერთიან სახელმწიფოებრივ (ქართლი-იბერიის სამეფოს) სივრცეში მოქცეული იყო ძვ.წ. IIIს.-დან მაინც, მაგრამ ამ თეზისის უკომენტაროდ მიღება და იმის ერთმნიშვნელოვნად აღიარება, რომ XIIს. დამდეგს ბაგრატ III აღადგინა საქართველოს ოდინდელი ერთიანობა, მთლად გამართლებულად არ მიგვაჩნია. ამასთან, ჩვენ მხარს ვუჭერთ დისერტანტის დასკვნას იმის შესახებ, რომ VIIIს. 30-იანი წლებიდან, მართლაც ჰქონდა ადგილი გარკვეულ ძვრებს დასავლეთ საქართველოს ქართლის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრირებისათვის³, მაგრამ ისიც ცხადია, რომ

³ იხ.: **ზ. პაპასქირი**. ბიზანტიის დიპლომატია და პოლიტიკური ცვლილებები დასავლეთ საქართველოში VIIIს. I ნახევარში. – „ქართული დიპლომატია“, წელიწადი, ტ. 4. თბ., 1997, გვ. 300-308.

მოცემულ პერიოდში ქართლ-ეგრისის „გაერთიანება“ ქართლის ერისმთავრის არჩილ „მეფის“ ხელისუფლების ქვეშ რეალურ საფუძვლებს მოკლებული იყო და ის მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

სადისერტაციო ნაშრომის შესავალ ნაწილში საინტერესოდაა წარმოჩენილი მსოფლიო პროცესებთან საქართველოს კავშირი, ანუ დისერტანტის მოსწრებული და გონებამახვილური გამოთქმა რომ ვინმართ, საქართველოს ადგილი „ევრაზიული სივრცის გეოპოლიტიკურ მოზაიკაში“. უდავოდ სწორია გ. გაბუნias დასკვნა, რომ „საქართველო... მთლიანობაში ყოველთვის წარმოადგენდა შესაბამისი ეპოქის მოწინავე ისტორიულ-კულტურული მსოფლიოს (ე.წ. „ოიკუმენეს“) განუყოფელ ნაწილს“ და რომ „ქართველთა ქვეყანა“, რომელიც „ერთდროულად შედიოდა ორივე (აღმოსავლეთისა და დასავლეთის) გეოპოლიტიკურ რეგიონში, არც ერთ ისტორიულ ეპოქაში არ ყოფილა ცივილიზებული „ოიკუმენეს“ მიღმა“. უადრესად საინტერესო და ამასთან ლოგიკურად გამართულია დისერტანტის დაკვირვებები „ისტორიულ-კულტურულ მსოფლიოში“ („ოიკუმენეს“) ძვ.წ. VI-Vსს.-დან განვითარებულ პროცესებზე. არ შეიძლება არ დაეთანხმო გ. გაბუნias თეზისს იმის შესახებ, რომ „ელინისტურ ხანაში (ძვ.წ. IV-Iსს.) საფუძველი ჩაეყარა თავისი მასშტაბითა და ხანგრძლივობით კაცობრიობის ისტორიაში არნახულ ინტეგრაციულ პროცესებს“, რომ ამ ეპოქაში „მოხერხდა „აღმოსავლეთისა“ და „დასავლეთის“... ტრადიციული ოპოზიცია-დაპირისპირების რამდენადმე განმუხტვა, მისი ნეიტრალიზაცია. მოხდა ცივილიზებული კაცობრიობის განვითარების ორი მაგისტრალური – ევროპული (ელნური, მოგვიანებით, ბერძნულ-რომაული) და აზიური (აღმოსავლური) გზისა და კულტურების ზოგადსაკაცობრიო, ე. ი. უნივერსალურ ღირებულებათა საინტერესო სინთეზი“. სავსებით მართებულია აგრეთვე დისერტანტის დასკვნა იმის შესახებ, რომ ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა დაემთხვა „ბიზანტიის იმპერიის ხელახალი აღორძინების ბოლო ეტაპს“ და რომ „ბიზანტიურმა ფაქტორმა ჩვენი ქვეყნის საბოლოოდ გაერთიანებისა და სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის დაწყებული ბრძოლის პროცესი

მნიშვნელოვნად შეაფერხა“.

ნაშრომის I თავში, რომლის სათაურია: „**ცვლილებები საქართველოს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში**“, – მიმოხილულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება IX-X საუკუნეებში. ყურადღებაა გამახვილებული საერთო-ეკონომიკურ აღმავლობაზე, რომელიც შეიმჩნევა მოცემულ პერიოდში (VIIIს. შუა ხანებიდან) როგორც სოფლად, ისე ქალაქად. დისერტანტი ამ პროცესებს უწოდებს „დიდ ეკონომიკურ გარდატეხას“, რომელიც, მისი აზრით, საფუძვლად დაედო ქვეყნის „ეკონომიკურ ერთიანობას“. ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებაზე მსჯელობისას გ. გაბუნია საგანგებოდ ჩერდება თბილისზე, რომელსაც რატომღაც მოიხსენიებს „ქართველთა ეროვნულ დედაქალაქად“ (ჩვენი აზრით, ქუთაისი არანაკლებ „ეროვნული დედაქალაქი“ იყო). ამასთან, ის სავსებით სწორად მიუთითებს (მ. ლორთქიფანიძეზე დაყრდნობით), რომ თბილისი „არ წარმოადგენდა ტიპიურ ქალაქს საქართველოსათვის“. ასევე საგანგებოდაა ნაჩვენები ქუთაისის მნიშვნელობა, რომელსაც მკვლევარი თავდაპირველად ეგრისის პოლიტიკურ ცენტრად მიიჩნევს, ხოლო შემდეგ – ქართლის ერისმთავართა („...ქართუელთა და მეგრელთა“) სახელმწიფოს ერთ-ერთ რეზიდენციად. ის ფაქტი, რომ ქუთაისი ნამდვილად იყო თბილისიდან გამოდევნილი სტეფანოზ ქართლის ერისმთავრის სახლის წარმომადგენელთა სატახტო ქალაქი, ჩვენი აზრითაც, არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევედეს, მაგრამ ვერ გავიზიარებთ დასკვნას იმის შესახებ, რომ ქუთაისი იყო ლაზიკა-ეგრისის სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი VII საუკუნესა და VIIIს. დამდეგს (სადისერტაციო ნაშრომის II თავში გ. გაბუნია უფრო შორსაც მიდის და ქუთაისს ეგრის-ლაზიკის სატახტო ქალაქად მიიჩნევს IVს. დასაწყისიდან). ჩვენი აზრით, ლაზიკა-ეგრისის სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე (ახ.წ. II-IIIსს.-დან VIIIს. დამდეგამდე) ლაზ მეფეთა თუ პატრიკიოზთა მთავარ რეზიდენციად რჩებოდა არქეოპოლისი – ციხე-გოჯი. ქუთაისის პოლიტიკური დაწინაურება კი მთლიანად უკავშირდება „ხოსროვანთა“ დინასტიის დამკვიდრებას დასავლეთ საქართველოს ამ ერთ-ერთ უძველეს ქალაქში.

არ მიგვაჩნია სწორად დისერტანტის მიერ ქუთაისის გამოცხადება „საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დედაქალაქად“ უკვე 978 წლიდან. მართალია, 978წ. მოხდა ბაგრატ უფლისწულის ქუთაისის ტახტზე აღზევება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ბაგრატი უკვე მაშინ ერთიანი საქართველოს მეფედ, ხოლო ქუთაისი ავტონამატურად ამ გაერთიანებული სახელმწიფოს დედაქალაქად იქცა. 978 წლიდან ქუთაისი კიდევ კარგა ხანს რჩებოდა მხოლოდ „აფხაზთა“ სამეფოს დედაქალაქად. ერთიანი საქართველოს დედაქალაქად კი მისი გადაქცევა უკავშირდება ბაგრატ „აფხაზთა“ მეფის მიერ „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღებას. თავის დროზე, ჩვენ საგანგებოდ შევეხეთ ქუთაისის „აფხაზთა“ სამეფოს დედაქალაქიდან ერთიანი ქართული სახელმწიფოს დედაქალაქად ტრანსფორმაციის საკითხს⁴ და გამოვთქვით მოსაზრება, რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო 994 წლის შემდეგ, როდესაც გარდაიცვალა „ქართუელთა“ მეფე ბაგრატ II „რეგუენი“ და მისი სამეფო ტიტული, შესაძლოა, უკვე მაშინ მიიღო მისივე შვილიშვილმა „აფხაზთა“ მეფე ბაგრატ III-მ.⁵

IX-Xსს. სოციალური ვითარების გაშუქებისას გ. გაბუნია სწორად მიუთითებს, რომ ამ პერიოდში აზნაურობა – მისი გამოთქმით, „სოციალურად გაბატონებული წოდება“, რამდენიმე ფენისაგან შედგებოდა და საგანგებოდ გამოყოფს „დიდებულ აზნაურებს“, მაგრამ IX-Xსს.-ში საუბარი „დიდებულ აზნაურებზე“, როგორც ცალკე ჩამოყალიბებულ ფენაზე, ჩვენ ნაადრევად გვეჩვენება. როგორც ცნობილია, ცნება „დიდებული აზნაურის“ გაჩენა უკავშირდება ამა თუ იმ დიდგვაროვნის მიერ სამეფო კარზე მაღალი სამოხელეო თანამდებობის დაკავებასა და ამ გზით „დიდების“ მოპოვებას. ასეთი რამ კი ძირითადად ხდებოდა ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ. ამიტომაცაა ისტორიოგრაფიაში აღნიშნული, რომ „დიდებული აზნაურების“ ცალკე ფენად ფორმირება იწყება XIIს.-დან.

⁴ იხ.: გაბ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995წ. 27 სექტემბერი.

⁵ ამის შესახებ იხ.: **ზ. პაპასჭირი**. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 75-82.

ძირითადად მართებულია გ. გაბუნია მსჯელობა IX-Xსს. ქართული ფეოდალური საზოგადოების შიგნით არსებულ სოციალურ წინააღმდეგობებზე. პირველ რიგში, ეს ეხება დასკვნას იმის შესახებ, რომ „თავისუფალ მწარმოებელთა ინტენსიური დაყმევება-გაგლეხების პროცესი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა“, მაგრამ, ვფიქრობთ, არა გვაქვს საფუძველი (ყოველ შემთხვევაში, IX-Xსს.-ში მაინც) ვილაპარაკოთ „ქართველი მწარმოებელი მოსახლეობის“ რაღაც განსაკუთრებულ, „გააფთრებულ ბრძოლაზე“ მიწისა და პირადი თავისუფლებისათვის. სადისერტაციო ნაშრომის ამავე ნაწილში გ. გაბუნია ეხება „პატრონყმობას“ და იძლევა ამ სისტემის დეფინიციას, მიიჩნევს რა მას „საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის მეტად საინტერესო – ერთდროულად ზოგად-უნივერსალურ და კონკრეტულ-ორიგინალურ ფორმად“. აქვე მას, ჩვენი აზრით, რამდენადმე უადგილოდ, მოჰყავს აკად. მ. ლორთქიფანიძის მიერ ჯერ კიდევ 1962წ. გაკეთებული შენიშვნა იმის თაობაზე, რომ „პატრონყმობა ერთ-ერთი ნაკლებად შესწავლილი სოციალური ფენომენია ქართულ ისტორიოგრაფიაში“. ცნობილია, რომ 60-იანი წლების დამდეგიდან დღემდე ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მკვლევარი შეეხო პატრონყმობის სისტემის არსს, ხოლო გ. მამულიამ სპეციალური მონოგრაფიაც კი მიუძღვნა მას. აღსანიშნავია, რომ სადისერტაციო ნაშრომის ბიბლიოგრაფიაში ეს ნაშრომი დაფიქსირებულია.

სადისერტაციო ნაშრომის II თავი – „ახალი ქართული სამეფო-სამთავროები“ – შედგება 4 პარაგრაფისაგან. ერთიანობის წინამძღვრებზე მსჯელობისას, რომელიც მოცემული თავის I პარაგრაფის სათაურადაა გატანილი, დისერტანტი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ მდგომარეობაზე IX-Xსს.-ში. ის სწორად შენიშნავს, რომ VIIIს. შუახანებიდან დაწყებულ „საქართველოს საშინაო სტაბილიზაციას დაემთხვა კავკასიის და, საერთოდ შუა აღმოსავლეთის ვრცელ რეგიონში შედარებით მყარი საგარეო მშვიდობიანობის დამყარების პროცესიც“. სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში ასევე ცალკე პარაგრაფი აქვს დათმობილი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნასა და მის როლს გამაერთიანებელ პროცესებში. დისერტანტი ძირითადად სწო-

რად აანალიზებს დასავლეთ საქართველოში VIII ს. მანძილზე განვითარებულ მოვლენებს. კერძოდ, მართებულია მისი დასკვნა, რომ არჩილ „მეფის“ დროს მოხდა ძველი ეგრისის სამეფოსა და ქართლის საერისმთავროს ერთიან სახელმწიფოში გაერთიანება და რომ „ქართველთა ამ ახალი პოლიტიკური ერთობის ერთ-ერთი მთავარი ეპიცენტრი... ქუთაისი იყო“. სწორადაა შენიშნული აგრეთვე, რომ „ამ საერთო ქართული... პოლიტიკური გაერთიანების არსებობა მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა“. ჩვენი მხრიდან დავამატებდით, რომ ამგვარ გაერთიანებას, შეიძლება ითქვას, რეალურად საერთოდ არ უარსებია, ფაქტობრივად მისი მხოლოდ დეკლარირება მოხდა, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში მობრუნებულმა არჩილ „მეფემ“ ქართლის „მემკვიდრეობის“ სრულად დაბრუნება ვერ მოახერხა და იძულებული შეიქნა, მხოლოდ კახეთს დასჯერებოდა. არჩილ „მეფისა“ და „ხოსროვანთა“ დინასტიის დედაწლზე საუბრისას არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ გ. გაბუნია მ სრულიად დაუმსახურებლად წაართვა მათ ანაკოფიის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება. მართალია, დისერტანტი, სავსებით სამართლიანად, საგანგებოდ მიუთითებს ანაკოფიის ბრძოლის დიდ მნიშვნელობაზე, მაგრამ იქვე რატომღაც აღნიშნავს, რომ ამ ბრძოლამ „სახელი და დიდება“ მხოლოდ „...აფხაზეთის ახლად წარმოქმნილ სამთავროს მოუტანა“.

ცნობილია, რომ ანაკოფიის ბრძოლის შესახებ ისტორიოგრაფიაში არ არის ერთი აზრი. ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ ეჭვის თვალთ უყურებს არათუ ამ ბრძოლის რეალურობას, არამედ საერთოდ მურვან „ყრუს“ ლაშქრობას საქართველოში. ჩვენ ნდობით ვეკიდებით ქართული წყაროების (პირველ რიგში, ჯუანშერ ჯუანშერიანის ქრონიკის) ცნობებს ამ მოვლენაზე და მიგვაჩნია, რომ ისინი ძირითადად ზუსტად ასახავენ ისტორიულ რეალობას. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ანაკოფიის კვლევებთან ქართულელთა და აფხაზთა გაერთიანებული ლაშქრის მიერ მოპოვებული „დიდი ძღვევის“ მთავარი შემოქმედნი სწორედ ქართლის ერისმთავრები მირი და არჩილი იყვნენ და არა ე.წ. „აფხაზეთის სამთავრო“, რომლის ხელმძღვანელი ლეონ ერისთავი, როგორც მატეიანიდან ჩანს, იმ დროს საერთოდ არ იმყოფებოდა

ანაკოფიაში. თუ ჯუანშერის მატეანეს ვენდობით (არადა, დისერტანტი სწორედ ამ მატეანის ცნობებზე აგებს თავის თვალსაზრისს), მაშინ ცხადი ხდება, რომ ანაკოფიასთან მიღწეულმა სამხედრო წარმატებამ პოლიტიკური დივიდენდები, პირველ რიგში, სწორედ „ხოსროვანთა“ სახლს მოუტანა: ბიზანტიის იმპერატორმა სწორედ მირი და არჩილი ცნო ქართლ-ეგრისის მეფეებად, ლეონს კი მხოლოდ აფხაზეთის მემკვიდრეობითი ერისთავობა არგუნა.

ასევე არასწორია გ. გაბუნias განცხადება იმის შესახებ, რომ „ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფო საზღვარი“ ოდესმე „ნიკოფსიდან იწყებოდა და... კლისურამდე აღწევდა“. კლისურაზე (მდ. კელასური) **ეგრის-აფხაზეთის სახელმწიფო საზღვარი** არასოდეს გადიოდა. კლისურა იყო ე.წ. „აფხაზეთის საერისთავოს“ საზღვარი ლაზიკა-ეგრისთან. „აფხაზეთის საერისთავოს“ კი არავითარი „სახელმწიფო საზღვარი“ არ გააჩნდა, ამ დროს ის „საბერძნეთის“ ანუ ბიზანტიის იმპერიის ნაწილად განიხილებოდა და კლისურაზე სწორედ ბიზანტიის სახელმწიფო საზღვარი გადიოდა საქართველოსთან („კლისურა... მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა“).

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში ავტორი სავსებით მართებულად მიუთითებს, რომ „აფხაზეთის და დანარჩენი ეგრისის პოლიტიკური გაერთიანება ნებაყოფლობითი დინასტიური ხასიათის აქცია“ იყო. ასევე სწორია დასკვნა იმის შესახებაც, რომ „დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე, აფხაზეთის მოთავეობით, ძველი მროველისეული მასშტაბის ეთნიკურ-პოლიტიკური ეგრისი („ხალი ეგრისი“) აღდგა“. სხვათა შორის, ჩვენც სწორედ ასე გვესმის ცნება „ეგრის-აფხაზეთი“, ანუ ძველი ეგრისი VIII ს. უკანასკნელი მესამედიდან გახდა აფხაზეთი.

საკვალიფიკაციო ნაშრომში ცალკე პარაგრაფი ეძღვნება ისტორიული აფხაზეთის მოსახლეობისა და აფხაზთა ეთნიკური წარმომავლობის გარკვევის საკითხს (ამასთან, დისერტანტი ისტორიულ აფხაზეთად მოიაზრებს ტერიტორიას ნიკოფსიდან კლისურამდე). გ. გაბუნია იზიარებს პ. ინგოროყვას თვალსაზრისს აფხაზთა ქართველური ეთნიკური წარმომავლობის შესახებ. უფ-

რო მეტიც, მოსაზრება, რომლის თანახმადაც „ისტორიული აფხაზები და ახლანდელი აფსუები ერთი და იგივე ხალხია“, ხოლო „აფხაზეთის მიწა-წყალი ერთდროულად და თავიდანვე ქართველი და აფსუა-აფხაზი ხალხების საერთო სამშობლო“-ა, არც მეტი, არც ნაკლები, „დრომოჭმულ სტერეოტიპად“, „მეცნიერულად ყალბ, სახელმწიფოებრივი და ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით მეტისმეტად სახიფათო“ შეხედულებადაა გამოცხადებული, რომელსაც გადაჭრით უნდა გავემიჯნოთ, რადგან „მეცნიერულ-თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ასეთი კაპიტულანტური პოლიტიკის შედეგები არაერთხელ დასტეხია სამიმ, ხშირად სისხლიან ბუმერანგად ჩვენს სამშობლოს“. ჩვენ არ ვთვლით საჭიროდ, გავაკეთოთ მოცემულ საკითხზე გ. გაბუნიას მიერ მოტანილი არგუმენტაციის დაწვრილებითი ანალიზი, მით უფრო, რომ მას არა აქვს პრეტენზია იყოს ორიგინალური ამ საკითხში და აცხადებს, რომ „ისტორიული აფხაზეთის მოსახლეობის, მისი ეთნიკური შემადგენლობისა და ვინაობის, საერთოდ, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ბუნებისა და ხასიათის შესახებ უაღრესად დელიკატურ პრობლემატიკაზე მსჯელობისას“, ის „ძირითადად ნ. მარის, პ. ინგოროყვას, ნ. ბერძენიშვილის, თ. გამყრელიძისა და სხვათა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს“ ეყრდნობა. ჩვენ მხოლოდ ზოგადი ხასიათის კომენტარებით შემოვიფარგლებით.

დავიწყებთ იმის კონსტატაციით, რომ ძველმა ქართულმა საისტორიო ტრადიციამ არ იცის არავითარი ე.წ. „ძველი“ და „ახალი“ აფხაზები. მისთვის VIII-Xსს. და XVI-XVIIIსს. აფხაზობა ერთი და იგივე ხალხია. არავითარი ეთნიკური განსხვავება ე.წ. „ძველსა“ და „ახალ“ აფხაზებს შორის არ შეუძინებია XIX-XXს. I ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიასაც (ერთადერთ გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ ნ. მარის თვალსაზრისი აბას-აფხაზთა მესხ-„მოსხებისაგან“ წარმომავლობის შესახებ). მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ი. ჯავახიშვილს აბაზგები და აფშილები ქართველურ ტომებად მიაჩნდა, აგებულია დიდი მეცნიერის ადრინდელ ნაშრომში („ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნის 1913წ. გამოცემაში) მოცემულ ერთ გამონათქვამზე, რომელიც მან

უკვე იმავე ნაშრომის მეორე (1928წ.) გამოცემაში უარყო, როდესაც (სხვათა შორის, ნ. მარის პასუხად, რომელმაც საკუთარ მოწაფეს შენიშვნა მისცა აფხაზების ქართველებად გამოცხადების გამო) ი. ჯავახიშვილმა ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ აფხაზებს ის მხოლოდ „ქართველთა მონათესავედ თვლის“ და არ უწოდებს მათ ქართველებს, მეგრელებისა და სვანებისაგან განსხვავებით (ი. ჯავახიშვილის ეს კომენტარი შესულია „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნის ყველა მომდევნო გამოცემაში⁶). გარდა ზემოაღნიშნული განმარტებისა, ი. ჯავახიშვილის სხვადასხვა (როგორც საისტორიო, ისე განსაკუთრებით ენათმეცნიერულ) ნაშრომებში ისტორიული აფხაზების ქვეშ სრულიად გარკვევით იგულისხმებიან თანამედროვე აფხაზები, მათი დღევანდელი ენითა და ზნე-ჩვეულებებით⁷. ერთი სიტყვით, ნათლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული საისტორიო აზროვნება XXს. შუა ხანებამდე ე.წ. „ძველს“ და „ახალ“ აფხაზებს განიხილავდა ერთ ხალხად, ანუ „ძველ“ აფხაზებს მიიჩნევდა თანამედროვე აფსუა-აფხაზთა წინაპრად. პირველი მეცნიერი, ვისაც ეჭვი შეეპარა ამაში, იყო პ. ინგოროყვა, რომელმაც, როგორც ცნობილია, უარყო „ძველ“ აფხაზთა აფხაზურ-ადიღეური წარმომავლობა და ისინი ქართველურ ტომებად გამოაცხადა. მაგრამ პ. ინგოროყვას ეს თვალსაზრისი არ მიიღო ქართულმა ისტორიოგრაფიამ, და არა იმის გამო, თითქოს ის ერთგული დარჩა კომუნისტურ-ტოტალიტარული იდეოლოგიის მიერ ნაქადაგები ყბადაღებული „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ ლენინური პრინციპისა, როგორც ამას გვიკვირებს დღეს ურა-პატრიოტულ ლოზუნგებს ამოფარებული ზოგიერთი ჩვენი კოლეგა. მთელი კატეგორიულობით შეიძლება ითქვას, რომ ქართულმა ისტორიოგრაფიამ და, პირველ რიგში, მისმა მაშინდელმა ლიდერმა აკად. ნ. ბერძენიშვილმა პ. ინგოროყვას დაუწუნა მეცნიერული არგუმენტაცია. თუნდაც ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ 1953წ. შემდეგ სსრ კავშირში შექმნილმა პოლიტიკურ-იდე-

⁶ იხ.: ი. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. I. თბ., 1979, გვ. 152.

⁷ ამის შესახებ კონკრეტულ მასალას შეიძლება გავეცნოთ ამ უკანასკნელ ხანს გამოცემულ ი. ჯავახიშვილის ენციკლოპედიურ ლექსიკონში. იხ.: *ივანე ჯავახიშვილი. ენციკლოპედიური ლექსიკონი*. მთ. რედაქტორი აკად. რ. მეტრეველი. თბ., 2002.

ოლოგიურმა კონიუნქტურამ მართლაც იქონია გავლენა ქართველ ისტორიკოსთა (ასევე ლინგვისტთა) მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე და მათ შეასრულეს „რეჟიმის დაკვეთა“ პ. ინგოროყვას თვალსაზრისის კრიტიკისას, ვინ დაუშალა ქართულ ისტორიოგრაფიას, გამოეცხადებინა „ძველი“ აფხაზები ქართველურ ტომებად ადრე, ე.წ. სტალინი-ბერიას „პროქართული“ კონიუნქტურის პირობებში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა ამას ყველაზე უკეთ აკად. სიმონ ჯანაშია, რომელსაც, მეცნიერულ კომპეტენციასთან ერთად, ხელისუფლების მხრიდან, როგორც ცნობილია, სოლიდური პოლიტიკური მხარდაჭერაც ჰქონდა და არც არავისზე ნაკლები პატრიოტი იყო (რად ღირს თუნდაც მისი „*Од одном примере искажения исторической правды*“, რომელშიც მან ჭეშმარიტად ილიასეული პასუხი გასცა საქართველოს ისტორიის გამყალბებლებს), არ გააკეთებდა?! არადა, სწორედ ს. ჯანაშიამ, 1946წ. გამოცემულ ნარკვევში გიორგი შარვაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ნათლად აჩვენა, თუ რას ნიშნავდა შარვაშიძეთა საგვარეულოს და მათ თანამოდემთა ტომით „აფხაზობა“ და მათი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურული „ქართველობა“. სწორედ ს. ჯანაშიას ეს თვალსაზრისი განავითარა შემდგომ აკად. ნ. ბერძენიშვილმა, რომლის ნაშრომებში გაჩნდა „კულტურულ ისტორიული ქართველის“ ცნება.

ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენს გაკვირვებას იწვევს ზოგიერთი კოლეგის მცდელობა (ეს შეიმჩნევა წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომშიც), რადაც არ უნდა დაუჯდეს, გამოაცხადოს ნ. ბერძენიშვილი პ. ინგოროყვას კონცეფციის მომხრედ. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას, რომ ნ. ბერძენიშვილი არსად და არასდროს არ ლაპარაკობდა ძველ აფხაზთა ეთნიკურ ქართველობაზე. ის ყველგან და ყოველთვის ხაზს უსვამდა მათ „კულტურულ-ისტორიულ“ ქართველობას. ამასთან, სრულიად ცხადია, რომ ნ. ბერძენიშვილს არ აეჭვებდა „ძველ“ და „ახალ“ აფხაზთა ეთნო-ტომობრივი იდენტურობა. ყველაზე მკაფიოდ ნ. ბერძენიშვილის თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია მის შემდეგ განცხადებაში: „ერთ-ერთი ხელის შემწყობი პირობათაგანი იმისა, – წერდა ნ. ბერძენიშვილი. – რომ მთიელ-

მა აფხაზებმა (ე. ი. აფსუა-აფხაზებმა – ზ.პ.) შედარებით ადვილად შეითვისეს მათი დამხვდური თანამოძმენი, იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილობრივი აფხაზური მოსახლეობა, ხალხის ფართო მასა ინარჩუნებდა თავის საკუთარ ენას. ამის პირდაპირი მოწმობაა XIII ს. ქართველი მწერლის მითითება („ლაშა“).⁸

ყოველივე ამის აღნიშვნა მხოლოდ იმისთვის დაგეგმირდა, რომ არ შეიძლება ქართული ისტორიოგრაფიის „მამების“ და თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა დიდი ნაწილის ნააზრევის ასე ერთი ხელის მოსმით „დრომოჭმულ“, „მეცნიერულად ყალბ“ და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მეტისმეტად სახიფათო შეხედულებად გამოცხადება. მით უფრო მაშინ, როდესაც არა ხარ მთლად დარწმუნებული იმაში, რომ თუნდაც „აფსილები“, „ჰიპოთეზურ ღონეზე მაინც“, „არ აღძრავენ ერთგვარ ეჭვს მათი ადიდურ-ჩერქეზული წარმომავლობის შესახებ“. არაფერს ვამბობთ დისერტანტის მიერ მოტანილ ისეთ უსუსურ არგუმენტებზე, როგორცაა: ცნება „აფხაზეთის“ მეგრული „აფხა“-დან წარმომავლობის საკითხი ან კიდევ ხმამაღლა განცხადება იმის შესახებ, რომ თითქოს „პატარა აფხაზეთი ისევე არ შეიძლება იყოს ორი სხვადასხვა ხალხის დედა-სამშობლო, როგორც არ შეიძლება ერთ ადამიანს ერთდროულად ორი მშობელი დედა ჰყავდეს, ან ორი დედა აქონდეს“. შორს არ წავალთ და, იმის დასადასტურებლად, რომ შედარებით პატარა ტერიტორიაზე შეიძლება ერთდროულად ცხოვრობდეს არაერთი ავტოქტონი ტომი, ჩვენი მეზობელი დაღესტნის მაგალითი გამოდგება. როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ კავკასიის ამ რეგიონში, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიულად აფხაზეთზე გაცილებით დიდი იყო, საბჭოურ ხანაში აფხაზეთივით ავტონომიურ რესპუბლიკას წარმოადგენდა, ერთდროულად ცხოვრობს არა ორი, არამედ, სულ ცოტა, 20-ზე მეტი აბორიგენი, ანუ კავკასიური წარმომავლობის ხალხი, რომელთაგან ძალიან ბევრს (უკანასკნელი დაუზუსტებელი მონაცემებით – 12-ს) უკვე საკუთარი დამწერლობა და ეროვნული ლიტერატურა გააჩნია.

⁸ **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII. თბ., 1990, გვ. 616. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

არც ისაა სწორი, თითქოს „კაცობრიობის ისტორია ჯერ არ“ იცნობდეს „მაგალითს, რომ რომელიმე სახელმწიფოს ერთპიროვნული ლიდერის ტიტული უცხო ქვეყნის, ხალხის თუ ტომის სახელის აღნიშვნით იწყებოდეს“. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია (ამას, სხვათა შორის, ძალიან ხშირად იხსენებდა ზ. ანჩაბაძე, სეპარატისტულად განწყობილ აფხაზ მოღვაწეებთან კამათისას), რომ ბულგარეთის სახელმწიფო, თავის დროზე, შექმნეს და თავიანთი სახელწოდებაც მისცეს ვოლგისპირეთიდან ბალკანეთის ნ-კ-ზე გადასულმა თურქული მოღვმის ბულგართა ტომებმა. მაგრამ უკვე მესამე თაობაში ამ სახელმწიფოს წარმოშობით თურქი მეთაური თავის თავს სლავს უწოდებდა. ამას დავამატებდით ძველი რუსეთის მაგალითსაც. ცნობილია, და ამას ყველაზე თავგადაკლული ანტინორმანისტებიც კი ვერ უარყოფენ, რომ კიევის რუსეთის სლავური სახელმწიფო შექმნა არასლავურმა, მართლაც **უცხო**, გარედან მოსულმა ნორმანულ-სკანდინავიურმა დინასტიამ, რომელმაც, შესაძლებელია, მისცა კიდეც ახლადშექმნილ სახელმწიფოს „რუს“-ის სკანდინავიური სახელიც. დღეს განა ვინმე იტყვის, რომ რიურიკმა, ოლეგმა და მისმა მემკვიდრეებმა შექმნეს არა ძველი რუსულ-სლავური, არამედ ნორმანული სახელმწიფო.

მაგრამ ჩვენ ეს მაგალითები არ მოგვიყვანია იმის სამტკიცებლად, რომ დასავლეთ საქართველოში ე.წ. „აფხაზური“ დინასტიის ხელისუფლებაში მოსვლა ანალოგიური ხასიათის მოვლენად მივიჩნიოთ. პირიქით, ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ **ლეონ II და მისი წინაპრები, რომლებიც VIII ს. II ნახევრიდან დაწინაურდნენ საერთოქართულ (ხაზს ვუსვამთ, საერთოქართულ, და არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მასშტაბით) პოლიტიკურ ასპარეზზე, ზემონახსენები ბულგარებისა და ნორმანებისაგან განსხვავებით სულაც არ იყვნენ უცხო, გარედან მოსული ხალხი**. ისინი, მიუხედავად შესაძლო ეთნიკურ-ტომობრივი განსხვავებისა, ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ სამყაროში დიდი ხნის (თუ ძველი კოლხეთის ეპოქიდან არა, ეგრის-ლაზიკის პერიოდიდან მაინც) შემოსულები იყვნენ და მათ სამოღვაწეო ასპარეზს მხოლოდ ქართული (ჯერ დასავლურქართული – კოლხურ-ლაზური, ხოლო შემდეგ – საერთოქართული) სახელმწიფო-

ებრივ-პოლიტიკური სივრცე წარმოადგენდა. ამიტომაცაა, რომ შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო ტრადიციას არასოდეს გაუმახვილებია ყურადღება „აფხაზთა“ ეთნო-ტომობრივ „უცხოობაზე“. შუა საუკუნეების საქართველოსთვის აფხაზი, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებდა აკად. ნ. ბერძენიშვილი, კულტურულ-ისტორიულად ისეთივე ქართველი იყო, როგორც ქართლელი, კახელი, ეგრი, სვანი და ა.შ. სწორედ ამიტომაცაა, რომ აფხაზეთის – „ხოსროვანთა“ ქართლ-ეგრისის „ერთიანი სახელმწიფოს“ ნაწილის – ერისთავის ლეონ II-ის აღზევება მეფის რანგში და მისი ხელისუფლების გაგრძელება „ხოსროვანთა“ დინასტიის კუთვნილ ეგრისზე მთლიანად, ქართველ მემკვიდრეებს მიანიჭა სრულიად კანონზომიერ აქტად.

ასე რომ, ყველა კოლეგას გვინდა მოვუწოდოთ: მანამ, სანამ არ მოვიყვანთ ურყევ არგუმენტებს საკუთარი თვალსაზრისის შესამაგრებლად, ნუ გამოვაცხადებთ საქართველოს ინტერესების ღალატად იმას, რომ თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა საკმაოდ დიდი ნაწილი დღესაც არ იზიარებს პ. ინგოროვას თვალსაზრისს და ერთგული რჩება აფხაზთა ეთნო-ტომობრივ წარმომავლობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის მიერ შემუშავებული კონცეფციისა. ამასთან, სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ არსებობდეს განსხვავებული თვალსაზრისიც, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს არ უნდა გახდეს სხვადასხვა პოლიტიკური ბრალდებების წამოყენების საბაბი.

მაგრამ მოვუბრუნდეთ სადისერტაციო ნაშრომს, რომლის შესაძენ თავში – მისი სათაურია „**დიდი ისტორიული მოვლენების წინ**“ – გაშუქებულია „ქართლსა ზედა“ ბრძოლის თითქმის საუკუნენახევრიანი ისტორია. ცალკე პარაგრაფადაა გამოყოფილი ეგრის-აფხაზეთის სამეფოს საშინაო და საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა IX–X ს. I ნახევარში, საგანგებოდაა განხილული იოანე მარუშისძის დასის პოლიტიკური პროგრამა.

ნაშრომის IV თავში, რომელსაც, დისერტანტის გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, შთაბეჭდავი სათაური აქვს: „**უფლისციხის 975 წლის მოვლენების „გამოცანა“ და პოლიტიკური შეფასების ცდა**“, – ყურადღებაა გამახვილებული უფლისციხეში ბაგრატ

უფლისწულის ქართლის მმართველად გამოცხადების დინასტიურ-ლეგიტიმურ ასპექტებზე. გ. გაბუნია სავსებით სწორად მიუთითებს, რომ უფლისციხეში ბაგრატი მეფედ არ გამოუცხადებიათ და რომ ის მხოლოდ „ცენტრალური ხელისუფლების (იგულისხმება ქუთაისის ტახტი – **ზ.პ.**) წარმომადგენლად, ე. ი. განმგებლად შიდა ქართლში“ აღიარეს. ეს კი, დისერტანტის სწორი დაკვირვებით, ნიშნავდა ბაგრატ ბაგრატიონის „ეგრის-აფხაზეთის სამეფოს „სახელმწიფოებრივ სივრცეში“ კანონიერი გზით“ შემოსვლას. თუმცა აქვე გ. გაბუნია ფაქტოლოგიურ შეცდომას (ეტიყობა მექანიკურს) უშვებს და რატომღაც ბაგრატ უფლისწულს მაშინდელი „აფხაზეთის მეფის“ ძმისწულად აცხადებს. სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილზე მსჯელობისას ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით დისერტანტის განცხადებას იმის შესახებ, რომ გუარანდუხტისთვის უფლისციხისა და ქართლის ჩაბარება, დავით კურაპალატისა და კახელების დაზავების შემდეგ, თითქოს იყო „აფხაზთა პარტიის“ გამარჯვება. ჩვენი ღრმა რწმენით, გუარანდუხტ დედოფალი არ განასახიერებდა ე.წ. „პროაფხაზურ ძალებს“. ამ ძალების ლიდერი სწორედ რომ იოანე მარუშის-ძე იყო, რომელიც სუსტი თეოდოსის ნაცვლად ბაგრატ ბაგრატიონის დასავლეთ საქართველოში გამეფებისათვის იჭერდა თადარიგს და ამ გზით ცდილობდა ქუთაისის ტახტის შესუსტებული გავლენის აღდგენას ქართლში. ქართლის დიდაზნაურები კი, რომელთა კრეატურაც გახდა გუარანდუხტ დედოფალი, პირიქით, ყოველნაირად ცდილობდნენ, თავი დაეღწიათ „აფხაზთა“ მეფის ქვეშევრდომობისაგან, მოეპოვებინათ თავისუფლება და უფლისციხეში დაესვათ „სუვერენი“ დინასტი. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი ეს თვალსაზრისი კარგა ხანია გაცხადებულია⁹ და დასაზრუნია, რომ ის ვერ მოხვდა დისერტანტის ყურადღების არეალში.

ჩვენთვის ასევე გაუგებარია, რატომ არაა „მთლად საცნაური.., თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს“ დავით III დიდი კურაპალატის ერთგვარი ყოყმანი 978წ. ბაგრატ უფლისწულის ქუთაისში „აფხაზთა“ მეფის ტახტზე აყვანის წინ, რაზედაც ამხვილებს ყურადღებას დისერტანტი თავისი ნაშრომის V თავში. თა-

⁹ **ზ. პაპასქირი.** ერთიანი.., გვ. 67-71.

ვის დროზე ამ საკითხზე ჩვენ საგანგებოდ გავამახვილეთ ყურადღება და აღვნიშნეთ, რომ აქ რაიმე დაუძლეველ წინააღმდეგობასთან არ უნდა გვქონდეს საქმე¹⁰. შეიძლება გ. გაბუნია არ იზიარებს ჩვენს დასკვნებს, თუმცა ეს მაინც არ ათავისუფლებს მას სათანადო კომენტარისაგან. დისერტანტი სავსებით მართებულად ამხვილებს ყურადღებას 978წ. ქუთაისში ბაგრატ III-ის მეფედ კურთხევის ცერემონიაში ანისის მეფე სმბატ ბაგრატიუნის მონაწილეობის ფაქტზე და მიიჩნევს ამას ბაგრატ III-ის ხელისუფლების საერთაშორისო აღიარების მაჩვენებლად. ამასთან, ჩვენ ვერ გავიზიარებთ ნაშრომში გატარებულ აზრს იმის შესახებ, რომ 978 თუ 979წ. ტაშირ-ძორაგეტის კვირიკიან-ბაგრატიუნთა სამეფოს გაფორმება იყო ერთიანი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული შირაკელ ბაგრატიუნთა (ე. ი. ანისის ტახტის) საპასუხო „მტრული აქცია“. ლორე-ტაშირის, ანუ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს წარმოქმნა, პირველ რიგში და უმთავრესად, იყო ერთიანი სომხური სახელმწიფოებრიობის, რომელსაც ფორმალურად მაინც განასახიერებდა ანისის ტახტი, წინააღმდეგ მიმართული აქტი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ანისის მეფეები IX ს. მიწურულიდან აქტიურად ერეოდნენ შიდაქართულ საქმეებში და პრეტენზიას აცხადებდნენ „ქართლის მემკვიდრეობაზე“, ამ სახელმწიფოს დაქუცმაცებისკენ გადადგმული ნაბიჯი არ შეიძლება ჩაითვალოს ბაგრატ III-ის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ „მტრულ აქციად“.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია ტაო-კლარჯეთის – „ქართველთა“ სამეფოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და სომხურ სამყაროსთან. აქვე დისერტანტი საგანგებოდ ჩერდება დავით კურაპალატის გამაერთიანებელ მოღვაწეობაზე. ის სავსებით სამართლიანად მიიჩნევს დავით კურაპალატს თავისი ეპოქის უდიდეს პოლიტიკურ მოღვაწედ, ჭეშმარიტ მართლმადიდებელ-ქრისტიანად და გულმხურვალე ქართველ მამულიძეოდ, მაგრამ აქვე ხაზს უსვამს, რომ არაა მომხრე მისი მოღვაწეობის არც დაკნინებისა და არც გაზვიადებისა. დასანანია, რომ გ. გაბუნია ასეთი ზოგადი განცხადებით იფარგლება და რატომ-

¹⁰ ზ. პაპასქირი. ერთიანი..., გვ. 20-26.

ლაც თავს იკავებს დავით კურაპალატის „როლისა და მნიშვნელობის თაობაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში“ ამ უკანასკნელ ხანს მიმდინარე პოლემიკაში „უფრო ვრცლად“ მონაწილეობისაგან. არადა, მის მიერ არჩეული საკვლევი პრობლემიდან გამომდინარე, უპირიანი იქნებოდა, სწორედ ამ საკითხზე გამახვილებულიყო ყურადღება.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში ასევე საგანგებო მსჯელობაა 988-989წწ. პოლიტიკურ კრიზისზე, რომელიც მოჰყვა ბაგრატ III-ის გალაშქრებას კლდეკარის ერისთავის რატი ბაღვაშის წინააღმდეგ. გ. გაბუნია ფაქტობრივად იზიარებს ა. აბდლაძის აზრს და თვლის, რომ ბაგრატ III-ის ამ ლაშქრობის რეალური მიზანი იყო დავით კურაპალატის სამფლობელოების დაკავება და რომ ამით ის ცდილობდა, არ დაეშვა ბიზანტიის მიერ იმიერ-ტაოს დაუფლება, რატი ბაღვაშის ფაქტორს კი სამეფო კარის მესვეურთა მიერ მოგონილ პოლიტიკურ ხრიკად მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ გ. გაბუნიას ამ დაკვირვებებში უდავოდ არის ლოგიკა, ჩვენ მაინც მიგვაჩნია, რომ კონფლიქტი ბაგრატ III-სა და მის მამობილს შორის ინსპირირებული იყო რატი ბაღვაშის მიერ. ჩვენ ვერ დავეთანხმებით აზრს იმის შესახებ, რომ 989წ. დავით კურაპალატმა უარყო 975წ. უფლისციხეში მიცემული დაპირება და უარი თქვა ბაგრატზე, როგორც თავის მემკვიდრეზე. ასევე ვერ გავიზიარებთ დასკვნას, რომ X ს. 90-იან წლებში დავით კურაპალატის მიერ მაჰმადიანური საამიროების წინააღმდეგ წარმოებულ ძლევამოსილ სამხედრო კამპანიას თითქოს ქართველთა სასარგებლოდ არსებითად არაფრის შეცვლა არ შეეძლო და „ისტორიული სომხეთის ტერიტორიების „განთავისუფლება“... უფრო ბიზანტიის სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურებოდა“. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში¹¹ საკმაოდ დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ეს მთლად ასე არ

¹¹ იხ.: **შ. ბადრიძე**. საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასთან და დასავლეთ ევროპასთან. თბ., 1984, გვ. 68-69; **მ. ლორთქიფანიძე**. ახალი ფეოდალური, გვ. 484; **М. Д. Лордкипанидзе**. Из истории грузино-византийских взаимоотношений на грани X-XI вв. — კრ.: *საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები*, II. თბ., 1972, გვ. 40; **ზ. პაპასქირი**. ერთიანი..., გვ. 49-57.

იყო და რომ Xს. 90-იანი წლების სამხედრო-პოლიტიკური აქციები, პირველ რიგში, სწორედ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს ემსახურებოდა. ასე რომ, ვიდრე ასეთ დასკვნას გააკეთებდა, დისერტანტი ვალდებული იყო, მოეცა საწინააღმდეგო მოსაზრების კრიტიკული ანალიზი.

გ. გაბუნია ძირითადად სწორად აანალიზებს 1001წ. დავით კურაპალატის სიკვდილის შემდეგ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ კონიუნქტურას და მართებულად მიიჩნევს, რომ ბიზანტიის იმპერიამ ამ დროს ბაგრატ III სცნო სრულიად საქართველოს პოლიტიკურ ლიდერად და რომ ეს იყო „ერთიანი ქართული სახელმწიფოს... დაბადების“ ოფიციალურად ცნობის აქტი. ამასთან, ის აღნიშნავს, რომ „იმპერიას თავის მზაკვრულ გეგმებზე ხელი არ აუღია“. დისერტანტის ეს დასკვნა ზოგადად, რასაკვირველია, მისაღებია, მაგრამ, როგორც იტყვიან, არა უკომენტაროდ. საქმე იმაშია, რომ ბიზანტიის იმპერიას ამ ეტაპზე – 1001 წლიდან 1014 წლამდე ბაგრატ III-ის გარდაცვალებამდე არ გადაუდგამს რაიმე სერიოზული ნაბიჯი გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის წინააღმდეგ. ეს კი გამოწვეული იყო იმით, რომ ბაგრატ III-მ კურაპალატის ტიტულის მიღებით ოფიციალურად სცნო კონსტანტინოპოლის უზენაესობა და ამით უზრუნველყო ბიზანტიის ნეიტრალიტეტი საქართველოს შიგნით მიმდინარე პროცესებისადმი. იმპერიის ხელისუფლება „მზაკვრულ პოლიტიკაზე“ გადავიდა მოგვიანებით და ეს იყო საპასუხო რეაქცია გიორგი I-ისა და მისი მემკვიდრის ბაგრატ IV-ის მიერ გატარებულ მკვეთრ ანტიბიზანტიურ კურსზე.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში ყურადღებაა გამახვილებული გამაერთიანებელ მოძრაობაში ჰეგემონობის საკითხზე და სავსებით მართებულად არის აღნიშნული ქუთაისის ტახტის გადამწყვეტი როლი. ამასთან, დისერტანტი უყურადღებოდ არ ტოვებს „ქართველთა“ სამეფოს პოლიტიკური ძალების როლსა და ღვაწლსაც, აგრეთვე ხაზს უსვამს მცხეთის საკათალიკოსო ტახტის დიდ თანადგომასა და ძალისხმევას. ეს უდავოდ სწორი მიდგომაა და მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ამ რამდენიმე ხნის წინ იყო სერიოზული მცდელობა (გ. მელიქიშვილი) ტაო-

კლარჯეთისა და მისი ლიდერების, პირველ რიგში კი, დავით კურაპალატის როლის დაკნინება-დამცრობისა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის საქმეში. მაგრამ აქვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ, სიტუაციიდან გამომდინარე, ყველა კუთხეს არ შეუტანია თანაბარი წვლილი ქუთაისის ტახტის გარშემო ქვეყნის გაერთიანების პროცესში. პირიქით, ამას ყოველნაირად უშლიდნენ ხელს კახეთის საქორეპისკოპოსოს მესვეურები, რომლებიც შიდა ქართლის აზნაურებთან ერთად დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ იოანე მარუშის-ძისა და დავით კურაპალატის გეგმის რეალიზაციას. ამდენად, იმის განცხადება, რომ მოცემულ ეტაპზე კახეთმა და ჰერეთმა რაიმე პოზიტიური წვლილი შეიტანა 975წ. დაწყებულ პროცესში, ჩვენი აზრით, გაუძარტლებელია. იგივე ითქმის თბილისზე, რომელიც ამ დროს, ცნობილი მიზეზების გამო, ფაქტობრივად გამოთიშული იყო გამაერთიანებელი მოძრაობიდან.

აქვე ჩვენ კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით დისერტანტის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს „მატიანე ქართლისაჲ“-ში გატარებულმა ე.წ. „ქართლოცენტრისტულმა ტენდენციებმა“ ხელი შეუშალეს „მშობლიური ისტორიის არაერთი პირველხარისხოვანი პრობლემის“, მათ შორის „X-XI საუკუნეების მიჯნაზე ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის“ მეცნიერულ კვლევა-ძიებას. „მატიანე ქართლისაჲ“-ს, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრების“ სხვა ქრონიკებს, უდავოდ აქვთ „ქართლოცენტრისტული გადახრა“, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ძირითადად ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული და მეორეც, ამით ნაკლებად იზარალა VIII ს. შემდგომმა ისტორიამ. ყოველ შემთხვევაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით „მატიანე ქართლისაჲ“-ს თხზულებას ნამდვილად არ შეუქმნია რაიმე სერიოზული სიძნელეები ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის „საიდუმლოებათა“ არსში ჩაწვდომის საქმეში. თავისი პირუთვნელობითა და ობიექტურობით გამორჩეულ „მატიანე ქართლისაჲ“-ს ავტორს ოდნავადაც არ დაუკნინებია დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ძალებისა და ქუთაისის ტახტის ჰეგემონური როლი ქვეყნის გაერთიანებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის ხანგრძლივ პროცესში.

სადისერტაციო ნაშრომის VI თავში – „გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული ზრდა. ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლებისა და ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის“ – თანმიმდევრულადაა გაშუქებული 1001 წლის შემდგომი პოლიტიკური მოვლენები: ჰერეთისა და კახეთის შემოერთება, ქუთაისის ტახტის კონტროლის დამყარება კლარჯეთის ბაგრატიონთა სამფლობელოზე და ა.შ. ცალკე პარაგრაფი ეძღვნება განძა-არანზე ბაგრატ III-ის გალაშქრებასა და საქართველოს სახელმწიფოს გაზრდილი საგარეოპოლიტიკური პოტენციალის ჩვენებას. უაღრესად საყურადღებოა დისერტანტის მსჯელობა ბაგრატ III-ის ბედიში დასაფლავების ირგვლივ, კერძოდ, დასკვნა იმის შესახებ, რომ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის სამუდამო განსასვენებლად ბედიის შერჩევა ძირითადად განპირობებული იყო „ლეონიდების“ დინასტიის წარმომავლობით საბედიანოდან. ამ თვალსაზრისში უდავოდ არის გარკვეული ლოგიკა, თუმცა, ჩვენი აზრით, ბედიის წინ წამოწევა მაინც სხვა ფაქტორებმა განაპირობეს. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, სწორედ ბედიას მიჩნეული ეგროსის წილხვედრი ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრად. ამდენად, ბაგრატ III-ის ეს არჩევანი მოწმობს იმას, რომ მიუხედავად „აფხაზთა“ მეფეთა გადამწყვეტი როლისა ერთიანი დასავლურ-ქართული სახელმწიფოს შექმნაში, მაშინდელი საქართველოს ისტორიულ-სახელმწიფოებრივ ცნობიერებაში ეგროს-ქუჯის წვლილი უფრო დიდი მნიშვნელობისა იყო და სწორედ ისინი მოიაზრებოდნენ დასავლურ-ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სამყაროს ფუძემდებლად, ხოლო „აფხაზ“ მეფეთა „აფხაზთა“ სამეფო სწორედ ამ სამყაროს მემკვიდრის როლში განიხილებოდა¹².

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნითი VII თავი ეძღვნება Xს. მიწურულისა და XIIს. დამდეგის საქართველოს კულტურული მიღწევების მიმოხილვას. მასში საგანგებოდაა გამახვილებუ-

¹² ამის შესახებ დაწვრ. იხ.: **ზ. პაპასქირი**. ბედიის ტაძარი – ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის სიმბოლო. – „საისტორიო ძიებანი“, III. თბ., 2000, გვ. 6-7.

ლი ყურადღება ქუთაისზე, როგორც ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრზე.

განმაზოგადებელ დასკვნებში მოკლელაა შეჯამებული დისერტანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

ასეთია, ზოგადად, გ. გაბუნias მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი. როგორც ვხედავთ, შესრულებულია საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაო. ავტორი შეეცადა კომპლექსურად განეხილა და ერთიანად გაეაზრებინა IX-XII ს. დამდეგს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები, რომლებმაც განაპირობეს გამაერთიანებელი მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინება და ქუთაისის ტახტის ირგვლივ ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა. სწორედ ესაა სარეცენზიო ნაშრომის მთავარი სიახლე. ამასთან, სადისერტაციო ნაშრომი გარკვეულწილად წარმოადგენს მოცემული პრობლემის ირგვლივ XX ს. 60-90-იან წლებში ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩატარებული კვლევის ერთგვარ შეჯამებას. მასში აგრეთვე დასახულია საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული არაერთი საკითხის შემდგომი შესწავლა-დამუშავებისა და დაზუსტების ამოცანა. რაც მთავარია, ესაა მაღალ აკადემიურ დონეზე შესრულებული გამოკვლევა, რომელშიც, ფაქტობრივად პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მონოგრაფიულადაა გაშუქებული საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პერიოდი – X ს. უკანასკნელი მეოთხედი – XII ს. დამდეგი – ეპოქა, რომელმაც შვა ერთიანი ქართული სახელმწიფო. მართალია, მთელი რიგი საკითხების დისერტანტისეული ანალიზი, შეიძლება იყოს სადავო (რაზედაც გავამაზვილეთ კიდევ ყურადღება წარმოდგენილ რეცენზიაში), მაგრამ, ძირითადად, გ. გაბუნias მსჯელობა დამაჯერებელი და არგუმენტირებულია, დასკვნები კი – მისაღები. ვფიქრობთ, გ. გაბუნias საკვალიფიკაციო ნაშრომი, მიუხედავად მასში არსებული ცალკეული ხარვეზებისა, მთლიანობაში საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ამ ურთულესი და, ამასთან, კარდინალური პრობლემის შემდგომი მეცნიერული დამუშავების საქმეში გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯია.

Ó À Ò Ù Ä Å É

À×ÀÄÄÈÉ - ÔÉÉÄÉÈÉ ÙÄÄÉÉ

ÈÕÕÄÄ ÐÄÄÄÕÈÈÉ. მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნო-კულტურული ინდივიდუალობის მოშლის ე.წ. „მცდელობის“ შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იან წლებში 3

ÓÄÄÒÈÄÄÈÏ Ó ÈÕÏÏ ÒÉÄ

ÈÕÄÈÈÈ ÄÕÜÄÈÈÄÉ. ბიზანტიური წყაროები მისიმიანთა ტომის შესახებ 32

ÈÈÄ ÄÄÄÈÄÄÄ. წებელდის ჭედური წარწერები 43

ÄÄÄÈÈ ÄÄÄÄÄÈÄ. პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XVIIIს. ბოლო მეოთხედში. *ქლეშ-ბეი შარვაშიძის პოლიტიკური მოღვაწეობის პირველი პერიოდი. 1774-1800წწ.* 62

ÄÄÄÄÄ ÄÏ ÒÄÄÄ. 1830 წლის აფხაზეთის ექსპედიცია 92

ÏÏ ÄÄ ÄÄÏÕÕÈÄ. ტრაპიზონის კონფერენციის საკითხი ეროვნული საბჭოს სხდომებზე 115

ÄÄÄÈÈÒ ÄÏ ÄÄÄ. საქართველოს ეროვნული მოძრაობის პერიოდიზაციის საკითხისათვის. *XXს. II ნახევარი* 132

ÄÒÄÄÏ ÈÏ ÄÈÄ, ÄÈÏÏ ÄÒÄ×ÈÄ

ÈÏ ÄÄ Ï ÈÕÄÄÄÄ. სასჯელთა ფორმები შავიზღვისპირა ადიღების ჩვეულებით სამართალში. *XIX საუკუნის ეთნოლოგიური მასალების მიხედვით* 154

ÄÈÏÏ ÄÄÄÄÄÒÈÄÈÉ. რელიგიური დღესასწაულები დაღის სვანეთში. „ლაპრობ“ 162

ÈÕÏÏ ÒÈÈÈÈ ÄÄÄÄÈÏÏÏ ÄÏÄÏ ÄÄ

ÄÏ ÒÈÈ ÈÄÄÄÄÄÄÈÈÄ. ზოგი რამ გულრიფშის რაიონის ისტორიულ წარსულზე 179

101 x E E I E O O I O E A

E A a A A A O x E x E A. კოლხეთი რომის იმპერიის პროვინციულ სისტემაში დანიშნვის დროის საკითხისათვის 189

I I A A O A A O O E A A A. დასავლეთ ევროპის რაინდთა შეიარაღების განვითარება X-XIV საუკუნეებში 199

E A I A E E (A O O A O A) A I E A E A A A. ზოგი რამ კახაკებისა და მათი ჩრდილოეთ კავკასიაში დასახლების შესახებ 220

A O O A I I A O a O E E A. დაშნაკთა ტერიტორიული პრეტენზიები და ე.წ. „სომხეთის დანაწილების“ საკითხი თურქეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის პოლიტიკურ წრეებში 232

E A E I O O A E D A D A O O E O E. დუმბარტონ ოქსის კონფერენცია. უმნიშვნელოვანესი ეტაპი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის გზაზე 247

E A E I O O A E D A D A O O E O E. შარლ დე გოლის ვიზიტი მოსკოვში და სსრკ-საფრანგეთის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება 256

I I A O A O A A O A E E A. ალჟირის კრიზისი და შარლ დე გოლის პოლიტიკა 283

E I I O O A I O E I A A A I O A a O O A E A - 110

A O O A A D A D A O O E O E. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის კონსტანტინე გამსახურდიასეული გააზრება 295

E O E O E E A, A E A E E I A O A x E A

A O O A A D A D A O O E O E. ნაშრომი საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხებზე 305

С о д е р ж а н и е

Абхазия – наша боль

З. В. ПАПАСКИРИ. Миф о т.н. „попытках“ со стороны грузин лишить абхазский народ этнокультурной индивидуальности в конце 30-х – 40-х годах XX века	3
--	---

История Грузии

И. Дж. АРГВЛИАНИ. Византийские источники о племенах мисимиан	32
Л. В. АХАЛАДЗЕ. Чеканные надписи Цебельды	43
Д. Р. ЗАКАРАИА. Политические процессы в Абхазском княжестве в последней четверти XVIII – начале XIXв. <i>Первый период правления Келеш-бея Шарвашидзе</i>	62
Б. К. ХОРАВА. Абхазская экспедиция 1830 года	92
Н. Р. ЧАНТУРИА. Трапезунтская конференция на заседаниях Национального Совета	115
Д. Ю. ДЖОДЖУА. К вопросу о периодизации национального движения Грузии. <i>Вторая половина XX века</i>	132

Археология, этнография

К. М. ОКУДЖАВА. Формы наказания в обычном праве причерноморских адыгов. <i>По этнологическим материалам XIX века</i>	154
Д. Д. ДЕВДАРИАНИ. Религиозные праздники в Дальской Сванети. „ <i>Ламтроба</i> “	162

Историческое краеведение

Б. Е. КВАРАЦХЕЛИЯ. Об историческом прошлом Гульрипшского района	179
--	-----

Всемирная история

К. К. ПИПИЯ. Колхида в провинциальной системе Римской империи	189
Н. Б. БЕРУЛАВА. Эволюция вооружения Западно-Европейских рыцарей в X-XIV вв.	199
Т.-Е. М. АНТЕЛАВА. О некоторых вопросах расселения казаков на Северном Кавказе	220
Г. Р. МАРХУЛИЯ. Территориальные претензии дашнаковцев и т.н. вопрос „раздела Армении“ в политических кругах Турции, Грузии и Азербайджана	232
Т. З. ПАПАСКИРИ. Конференция в Думбартон-Оксе. Важнейший этап на пути учреждения Организации Объединенных Наций	247
Т. З. ПАПАСКИРИ. Визит Шарля де Голля в Москву и подписание союзнического соглашения между СССР и Францией	256
О. В. АРДАШЕЛИА. Алжирский кризис и политика Шарля де Голля	283

Константинэ Гамсахурдиа – 110

З. В. ПАПАСКИРИ. О некоторых вопросах исторического мышления Константинэ Гамсахурдиа	295
---	-----

Критика, библиография

З. В. ПАПАСКИРИ. Об одной монографии по вопросам политического объединения Грузии	305
--	-----

**ВСЕГРУЗИНСКОЕ ИСТОРИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО
им. ЭКВТИМЭ ТАКАИШВИЛИ**

АБХАЗСКАЯ ОРГАНИЗАЦИЯ

Исторические разыскания

Ежегодник

VI

В 6-й том ежегодника „Исторические разыскания“ вошли статьи по актуальным проблемам истории Грузии, всемирной истории, этнографии, исторического краеведения.

Ежегодник рассчитан на специалистов и широкий круг читателей.

ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР:

З. В. ПАПАСКИРИ

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Т.-Е. М. Антелава, Дж. М. Анчабадзе, А. Г. Атанелишвили, М. В. Барамидзе, В. Джапаридзе, Д. Ю. Джоджуа, О. К. Жордания, Б. Е. Кварацхелия, А. М. Киласония, Т. Ш. Мибчуани, Т. З. Папаскири, Б. К. Хорава.

Адрес редакции:

Г. Тбилиси, ул. Джикия 9

Тел.: 21-14-12

fax: 35-73-66

e-mail: dziebani@gol.ge

w-site: <http://dziebani.gol.ge>

Издательство Сухумского Филиала

ТГУ им. И. Джавахишвили

Тбилиси – 2003

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. 9.

ტელ.: 21-14-12

fax: 35-73-66

e-mail: dziebani@gol.ge

w-site: <http://dziebani.gol.ge>

გამომცემლობის რედაქტორი: რობერტ მესხი

საბუკლი ქალაქი 60X84

პირ. ნაბ. თაბ. 21,75

სააღრ.-საგამომც. თაბანი

შეკვეთა №

ფასი სახელშეკრულებო

სტამბა „ანო-XXI“

თბილისი, სანდრო ეულის ქ. №7.